П4
1958/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

9

სექტემბერი

1958

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 35-ე № 9 სექტემბერი, 1958 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


7744

## შინაარსი


გვ.

კონსტანტინე გამსახურდია — დავით ალმაშენებელი, ტეტრალოგია. გაგრძელება . . . 3
გიორგი ლეონიძე — ლექსები . . . 16
არჩილ სულაკაური — ტალღები ნაპირისკენ მიისწრაფიან. მოთხრობა . . . 17
ალექსანდრე ქუთათელი — ლექსები . . . 35
რევაზ ჯაფარიძე — ხმა იდუმალი. ნოველა . . . 36
დენის დავიდოვი — ბურცოვს, ლექსი. თარგმანი მ უ რ მ ა ნ ლ ე ბ ა ნ ი ძ ი ს ა . . . 78
აპოლონ მაიკოვი — ლექსები. თარგმანი მ უ რ მ ა ნ ლ ე ბ ა ნ ი ძ ი ს ა . . . 78
დავით სულიაშვილი — გულმართალი. გაგრძელება . . . 80
გიორგი ჯიბლაძე — ხელოვნების შორეულ ძეგლებთან. გაგრძელება . . . 88
სიმონ წვერავა — სასტვენიაში. მოთხრობა . . . 96

### ვიხილავთ ახალ ნაწარმოებებს

შ. აფხაიძე — ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ . . . 103
ჯუმბერ ჭუმბურიძე — ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევისათვის . . . 110
სერგო შენგელია — წიგნი დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებაზე . . . 116

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

პეტრე ბახტურიძე — კარლო კალაძე . . . 122
გურამ კანკავა — კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ . . . 130
დიმიტრი ბენაშვილი — შიო არაგვისპირელი . . . 139
ოთარ ბაქანიძე — გლებ უსპენსკი და საქართველო . . . 151
გიორგი მარგველაშვილი — ლეგენდა „ორი მაიაკოვსკის“ შესახებ ფაქტების სამსჯავროს წინაშე . . . 160

### ხელოვნების საკითხები

მიხეილ თოფურია — ლადო გუდიაშვილი . . . 170


(იხ. მეორე გვ.)


სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
თბილისი

## წიგნების მიმოხილვა


გვ.

ილია ტყეშელაშვილი, დავით კაკაბაძე — მარქსიზმის ფუძემდებლები ხელოვნების შესახებ 177
ანა ლვინიაშვილი — გ. შატბერაშვილის „მერცხლის ბუდეს“ გამოცემის გამო . . . 180
გ. ხუხაშვილი — რევაზ ინანიშვილის მოთხრობების მეორე წიგნის შესახებ . . 183
მარიამ ხვედელიძე — ოტია იოსელიანის საბავშვო მოთხრობები . . . . 187
ზ. რატიანი — წიგნი საბჭოთა ოჯახისა და საოჯახო სამართლის შესახებ . . . . 189

ახალი წიგნები . . . . . . . . . . . . . . . . . გარეკანის მესამე გვ.


---


რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IX-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა 432. უე 04127. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12^1/_2$. ქაღალდის ზომა $70 \times 108$. ტირაჟი 6500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

★

# დავით აღმაშენებელი *

ტეტრალოგია

## XI „ჯოჯოხეთო აღახვენ პირნი შენნი"...

> „ჭეშმარიტად ქცევადი და ცვალებადი ცხოველია კაცი, ნამდვილად წინააღმდგომისაგან წინააღმდგომად შეცვალებადი".

გაზაფხული კვლავ ეწვია ნაჭარმაგევს.

სასახლის გარშემო აყვავდნენ ნუშები, ხოლო ჩრდილოეთიდან გარსმომდგარ ველებზე ტყემლები ისე გადათეთრდნენ, აგრე ეგონებოდა მაცქერალს: ქარს ჩამოუხვეტია კავკასიონიდან თეთრად ნაპენტი ქულები თოვლისა და მათთვის გადაუფრქვევიაო თავზე.

დაჭრილი ერისთავები და სპასალარები გამომჯობინდნენ, ზოგი მათგანი უკვე ახერხებდა ყავარჯნით სიარულს. ზამთრიდან ჩამორჩენილი სტუმრები საერისთაოებში წავიდნენ. ჯერაც საგრძნობნი იყვნენ წყლულებანი ომისა.

ვაზირთაუპირველესი ორშაბათობით ჯდებოდა საამო კარზე, ველარ აუდიოდა ქვრივ-ობოლთა, დაკოდილთა და ხეიბართა მიღებას.

განა მარტო ნაჭარმაგევში, იმ წელს საამო კარზე ჯდებოდა ჭყონდიდელი ბოჭორმის, მუხრანის და გეგუთის სასახლეებშიაც.

ერთორჯერ ტაო-კლარჯეთშიაც იმგზავრა ომში დაღუპულთა და მძიმედ დაკოდილთა ოჯახების მისახედავად. მოლარეთუხუცესნი და განმგეთუხუცესნი თან ახლდნენ მას.

დავითის ბრძანებისამებრ ეს სახსრები ნაალაფარიდან უნდა გაეცა ვაზირთაუპირველესს.

ერწუხში დიდძალი ნადავლი ერგო ქართულ ლაშქარს. განძის ამირას მოკვლამ და აკინჯის ჯარის სარდლის ამირ ჰუსეინის ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაქცევამ ისეთი თავზარი დასცა ამირ შიხ ალდინ ახმეტს, თვით ეგზომ მრავალნაცადმა სარდალმა ველარ უხელა დამარცხებულ სპათა უკანდახევას და ვერ გამოიყენა ხელოვნება უკუქცევისა, რომელიც იმჟამინდელ სარდლებსაც ჩინებულად ემარჯვებოდათ.

ოდითგანვე აგრე იყო ცნობილი: დამარცხებული სარდალი აიყოლიებდა ჯერაც გაულახავ ნაწილს ლაშქრისას, ესაფრებოდა უწესრიგოდ უკუქცეულთა, დაუცხრომლად ეკენწლავებოდა მტერს, სანამ ოტებულნი სამშვიდობოს არ გაასწრებდნენ.

ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მებარგულთა ქარავანს, რომელსაც ლაშქრის საჭურჭლენი, საჭურველნი, სათადარიგო აბჯარი და მარქაფა ცხენების რემა მოჰყავდა ხოლმე.

ადამიანებს აგრე სჩვევიათ: საკუთარი ხელისმოცარვის მიზეზს თავის გარეშე ეძებენ ზოგჯერ. ამირ ახმეტი ამ დამარცხებას აბრალებდა: განძის ამირას, რომელმაც დავით მეფის წაბაძვით მოისარი სპაჲ ჩამოსვა ცხენებიდან და ახოში გადააყვანინა ცხენები... სწყევლიდა მშიშარა ამირ ჰუსეინს და მოლა-

---

* იხ. „მნათობი" №№ 6, 7, 8.

ლატე ზაზაი ჯუბიელს, რომელმაც საკუთარი სისხლით გამოისყიდა თავის სამშობლოს მიმართ ღალატი.

ერწუხში არა ერთი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა ამირ ახმეტმა, მისი უპირველესი შეცდომა ეგ იყო, რომ მან დაანება დავით მეფეს თავათ არჩევა ბრძოლის ველისა და ისეთ მიდამოში შეჰყვა მას, რომლის გამო ლაშქრის ამირას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. შიხ ალდინ ახმეტ ბრმად მიენდო ზაზაი ჯუბიელის თათბირს. თავისი ლაშქარი გაატარა დამრეცილ გზებსა და ბილიკებზე. აქლემებზე აღმხედრებულმა ლაშქრის ნაწილებმა დაიგვიანეს და როცა ლაშქრის ამირას და მის მოკავშირეებს მაშველი სპაი სჭირდებოდა, დავით მეფემ უკვე მოასწრო მათი ლაშქრის გულის გატეხა.

სამი კვირის გააფთრებული ბრძოლის მიუხედავად სელჯუკებმა ვერ მიაღწიეს იმ ერთადერთ ღელემდის, საიდანაც დავითის მეომრები წყალს იღებდნენ დღენიადაგ.

სელჯუკი ცხენოსნები ისე გააცოფა წყურვილმა, ისინი საკუთარ ცხენებს დაერიენ და მათ სისხლს სვამდნენ გააფთრებულნი. ლაშქრის ამირას შეცდომა იყო იგიცა, რომ მან მთიანეთის საბრძოლო პირობებში ფეხმარდ ჯორებსა და ცხენებს როდი აჰკიდა საჭურჭლენი, საჭურველნი და მონასპათა საზრდო, არამედ აქლემების ქარავანს.

როცა მთელი ლაშქარი უკუიქცა, აქლემებმა ვერ შესძლეს ცერაღმართულ ბილიკებზე ცხენებთან ერთად ჭენება.

ერისთავებმა არიშიანმა და ბარამისძემ, ხევისთავმა ხორანასძემ და მისმა შავქუდიანებმა, ომის დასრულებამდის ააყრევინეს უკანასკნელი ხიდები და ბოგირები. ცხენოსნებმა ასე თუ ისე შესძლეს ჭოჭიან ღელეებისა და ხევების გადალახვა, მაგრამ აქლემები გაოჩნდნენ, ქარავნის მცველნი მონასპანი უბრძოლველად მინებდნენ მდევარს.

ასე რომ ქართულ ლაშქარს ხელში ჩაუვარდა შვიდ აქლემს აკიდებული ძვირფასი კარვები ლაშქრის ამირასი, საჭურჭლენი, საჭურველნი, ოურაცხელი თორნი ბაღდადსა და დამასკოში ნაკეთებნი.

ბიბლიოთეკა

დავითის ბრძანებისამებრ სწორედ ამ ნადავლის ნახევარი გასცა ჭყონდიდელმა საავჯო კარზე.

* *

*

ნაჭარმაგევის სასახლეში მშვიდობამ დაიდგა თავისი კარავი...

შეწყდა დაუცხრომელი ზრუნვა საჭურველის, ცხენთა რემების შეძენისათვის. შეისვენეს რვალითხუროებმა, მემშვილდეებმა, ხმლის მწვრთნელებმა, მჭედლებმა, ნალბანდებმა და მეუნაგირეთა.

ახლა დღენიადაგ მხატვრობის, ხატების, ოქროქანდაკების, მინანქრული და ხეზე კვეთის ხელოვნებათა გამო იყო საუბარი.

სასახლის ჩრდილოეთით მდებარე მუხიანში, სადაც საჯინიბოები, სამჭედურები, ნაირნაირი სახელოსნონი იყვნენ გამართულნი, საოცარის სისწრაფით ააშენეს ახალი სახელოსნოები, ოქროჭედვის, ხეზე კვეთის და ფერწერის ოსტატთათვის განკუთვნილნი. ტაო-კლარჯეთიდან და სამცხიდან ჩამოყვანილი ხელოსნები და ოსტატები დაასახლეს. დავით მეფე და არსენ იყალთოელი, მხატვართუხუცესი თევდორე, ხუროთმოძღვართუხუცესი ლუკიანე დღენიადაგ თვალს ადევნებდნენ მათ მუშაობას.

* *

*

მღელვარე ამბებმაც არ დააყოვნეს.

ხუცესმონაზონის, სოსიპატრეს მიერ ჩამოტანილმა ბარათებმა რა მოაღწიეს, ადრე გამოგზავნილნიც ამეტყველდნენო თითქოს, სწორედ ისინი, რომელნიც თავის პინაქსში ჰქონდა ჩაკეტილი დავითს.

როგორც ჭყონდიდელი, ისე არსენ იყალთოელი და იოანე კათალიკოსი გაეცვნენ მათ, მაგრამ გულმოდგინედ სდუმდნენ...

გიორგი მეფეს მაინც და მაინც არ უყვარდა ვრცლადმოთხრობილი ამბებით თავის შეწუხება. იგი საერთოდ ერიდებოდა კითხვას; აგრე იტყოდა ხოლმე: მოაქამამდე რაც რამ დაწერილა უკვე აღნუსხულია სახარებაში, სხვა დანარჩენს თავის დროზე გვამცნობსო ანგელოზი უფლისა.

ქრისტეს სხვათა მიერ შენათხზი აროდეს წაუკითხავს და არც თავათ დაუწერია რამე, მაგრამ ღმერთობას მაინც ვეღარ ასცდაო.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ლულუს ბარათები გულდასმით გადაიკითხა. მხოლოდ უკანასკნელმა უსტარმა გაახარა გიორგი.

სახელდობრ: ბაგრატოვანთა ჯვარის „სასწაულებრივმა“ გამგზავრებამ პარიზს. არა მარტო გიორგი მეფე, არსენ იყალთოელი, იოანე ქართლის კათალიკოსი და დარბაზისერნიც აღფრთოვანებულნი იყვნენ.

ძელიცხოველის საომარმა ჯვარმა, რომელიც აურაცხელ ომებში წინ უძღოდა ბაგრატოვანთა ლაშქარს, ჯერ იყო და ჯვაროსნული ომებისგან დამდგარ სისხლის წვიმების მიუხედავად, იერუსალიმს მშვიდობით ჩაიყვანა უსპოდ გამგზავრებული დედოფალყოფილი რუსუდანი.

ახლა იგი იერუსალიმ-ანტიოქია-ბითინიის გზით კონსტანტინეპოლს გაბრუნებულა, იქიდან პარიზს ჩასულა და ამჟამად ასვენიაო პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, დასავლეთის საქრისტიანოს განსაცვიფრებლად.

„ოჰო“!!! გახარებული ბუხუნებდა გიორგი.

ნაჭარმაგევის მესაწოლე ბერებმა, მისვლელ-მომსვლელმა ხუცებმა მთელს საქართველოს მოჰფინეს ეს ამბავი.

სამღვდელოთა და ერისკაცთა შორის განსაკუთრებით ბრმადმორწმუნეებმა ივავმიუწვდომელი ამბები აჰკიდეს ამ საომარ ჯვარს. გოტფრიდ დე ბუიონის, ბალდვინისა და ტანკრედის გამარჯვებებშიაც წილი დაუდვეს მას.

გიორგი ჭყონდიდელიც აღფრთოვანებული იყო საომარი ჯვარის ეგზომ სახელოვანი მიმოსვლითა[1], მაგრამ ამჯერად მისი გულისყური სხვა საქმეებისადმი იყო მიქცეული.

ახლა მისთვის სავსებით ნათელი გახდა, თუ რად ერიდებოდა დავით მეფე ლულუს ბარათების შინაარსის გახმიანებას.

გოლგოთელი ეპისკოპოზი და მისნი მემხრენი, ყიფჩაღთა უმთავრესის ასულის გადედოფლების წინააღმდგომნი ისევ აყაყანდებოდნენ და განპატიუებული ეპისკოპოზებისა და პატივდაკლებულ დიდაზნაურთა გნიასი არც თუ ხელსაყრელი იქნებოდა ომში ჩაბმული სახელმწიფოს ერთნებობისათვის.

ჭყონდიდელი უსიტყვოდაც გრძნობდა თუ რა ცეცხლი გიზგიზებდა მისი გაზრდილის გულში. იგი მთლად დარწმუნებული არ იყო ლულუ ბენ ჰაიდარ დედისიმედს თუ იპოვნიდა, დავით მეფე ხელს არ აიღებდა ყიფჩაღთა უმთავრესის ასულის ცოლად შერთვაზე.

ხომ ეგზომ მამაშვილური ურთიერთობა სუფევდა ჭყონდიდელსა და დავითს შორის, გულმეცნიერი მოხუცი ყოველთვის ერიდებოდა უხეშად შეჭრას თავის გაზრდილის გრძნობათა საუფლოში, ამიტომაც გაურბოდა ცნობისწადილის გამოჩენას ამჯერადაც.

ვაზირთაუპირველესი გაოცებული იყო, რომ დავით მეფე არც კი აპირებდა მასთან გასაუბრებას ყიფჩაღთა უმთავრესის ასულის ჩამოყვანის გამო.

ერთხელ ნიანია ბაკურიანი დაიმარტოხელა ჭყონდიდელმა და სიტყვა ჩამოუგდო ამ საქმისათვის.

მცირე ხანს სდუმდა თავჩაქინდრული ნიანია, მერმე მზერა გაუმართა მოხუცს და მშვიდად მოახსენა:

„იცით უნეტარესო მამაო გიორგი, მართალია, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე ჩვენ სასტიკად დავამარცხეთ ქვაბ-ავაზაკნი, მაგრამ პატივდაკლებულნი ძმანი თავადთაგანნი ჯერაც თავიანთ მამულებში სხედან.

[1] მიმოსვლა, მიმოსვლაი — პილიგრიმობა

საბოლოოდ დამარცხებულად მხოლოდ იგი ჩაითვლება, ვინც საბოლოოდ გასრესილია. მართალია, მათგან ნამუსრევები და ნაფოტებიღა დარჩნენ, მაგრამ ხშირად უმნიშვნელო ნაფოტისაგან წარმოსდგება უდიდესი ხანძარი“.

* *

•

ვაზირთაუპირველესს მაინც და მაინც არ მოსწონდა შამან ერისთავის ასულის, გვანცას ეგზომ ხანგრძლივი სტუმრობა ნაჭარმაგევში. გამოზაფხულზე, როცა თაკვერელ აზნაურებს სასახლიდან მიჰყავდათ უსინათლო შამან ერისთავი, გვანცამ წასვლა დააპირა, მაგრამ ორივე დედოფალი წინ გადაუდგნენ; შემოდგომის პირამდის ჩვენთან დარჩესო გვანცა.

„მაშა, მაშა,—აროხროხდა გიორგი მეფე, — რასა ბრძანებთ ვეჟო, თქვენ ღვარცოფები უნდა გადალახოთ გზაში, ვაჟკაცებს რა გიშავთ, გაუძლებთ როგორმე ადიდებულ ხევებზე სად შეუძლია ქალწულს თქვენოდენას ატანა.“

დავით მეფე იქვე იჯდა, მან ხმა არ გაიღო.

ჭყონდიდელი ამჩნევდა თუ როგორი ფაქიზი სიყვარულით ექცეოდნენ გვანცას არა მარტო დედოფლები, გიორგი მეფეცა, რომელიც მის უმცირესს ჭირვეულობასაც ყმაწვილივით აჰყვებოდა ხოლმე, სულ ერთია, თევზაობა იქნებოდა ეს თუ ნადირობა.

თავათ გვანცა განსაცვიფრებელ რუდუნებას იჩენდა მოხუცი მეფის მიმართ. საუზმეს გვანცა მიართმევდა ბროწეულის ქვეშ მეფეს. ყოველ საღამოს, ლოცვის შემდეგ გვანცას შემოჰყავდა გიორგი საძილო დარბაზში ტასტებითა და სურებით აღჭურვილი მიმუნვარებით, თავათ ჰბანდა მოხუცებულს ფეხს.

ხუმრობდა კიდევაც გიორგი:

„მთელი ქვეყნის მეფენი ვაჟების მონატრულნი ყოფილან მუდამ. მე მხოლოდ ერთადერთ ასულს ვნატრობდი. მაგრამ არ მისმინა უფალმა. ახლა გვანცა უნდა წავართვა შამან ერისთავს.“

ელენე დედოფალი ხშირად ავადმყოფობდა ბოლო ჟამს. გვანცა ღამეებს უთევდა სნეულს, სძლისპირების გალობითა და ქალური ტიტინით შეიქცევდა ხოლმე.

წურბლებს გვანცა ასხამდა, წამლებსაც იგი აძლევდა. „ჩემს მესნეულეს“ უწოდებდა მას ელენე ხუმრობით.

ჭყონდიდელი შიშობდა. ვაჰ, თუ დედოფლები ჩაერიონ ამ გართულებულ ვითარებაში და ეს დალაგებული საქმენი კვლავ ამირიონო. ამიტომაც შეწუხდა, როცა გვანცა თან არ გაატანეს შამან ერისთავს.

ცხადია, იგი თაყვანსასცემდა ღვთისმშობელს მარიამს, ქართველთა განმანათლებელს, ნინოს, დიდად სათნო ქალად სთვლიდა დავით მეფის დედას, ელენეს, დანარჩენთა მიმართ იგი ან გულგრილობას ამჟღავნებდა, ან შეფარვულ სიძულვილს ატარებდა გულში.

არც თუ დიდ პატივს მიაგებდა ხოლმე დედოფალ მარიამს, რადგან მეორეჯერ გათხოვება აქამდის ვერ ეპატივებინა მისთვის.

საოცრად მოიღუშებოდა ხოლმე მამაი გიორგი, როცა მარიამი სახელმწიფური საქმეების გამო სიტყვას დასძრავდა დავით მეფესთან საუბარში.

ხშირად იტყოდა მონაზონი გიორგი:

დიაცთა საქმე ოდითგანვე კარგად განუწესებია უფალს: ყრმათა შობა და მათი აღზრდა, ფსალმუნის ღღენიადაგ კითხვა და თუ დრო მორჩათ—ბექვასელისა.

ქარიმან სეტიელის მსტოვარების მეოხებით, ჭყონდიდელმა კარგად იცოდა რომ თურქების ერწუხში დამარცხების შემდეგ მთელს სამეფოში გაძლიერდა მითქმა-მოთქმა და ჩურჩული წარმართი სადედოფლოს ჩამოყვანის წინაალმდეგ.

როგორც მღვდელმთავარნი, ისე დიდაზნაურნი, მდაბიორნი და ბერნი, გაუგონარ მკრეხელობად სთვლიდნენ

„უშჯულო“ ყიფჩაღების ქართლში ჩამოთესვლას. ჰყონდიდელი თავათაც ბრმადმორწმუნე იყო, მიუხედავად ამისა სიშლეგედ მიაჩნდა გოლგოთელისა და მის მემხრეთა დაყინებული მტკიცება: თურქები საბოლოოდ დაამარცხა დავით მეფემ, კონსტანტინეპოლს, ანტიოქიასა და იერუსალიმს სვიანად განაგებენ ქრისტიანნი ბრძანებელნი, მაშ ბარბაროსებთან დამოყვრება რისთვის გვინდაო?

* *
*

ჯოჯიკისა და არამაის არშარუნის პიტაკების მეოხებით ჰყონდიდელი გულმოდგინედ თვალს ადევნებდა სელჯუკიანთა სასულტნოს ვითარებათ შინაურსა და საგარეოს.

1104 წელს მოკვდა (თუ მოწამლეს) სულტან ბარქიაროკი და ისპაჰანის ტახტზე ავიდა მისი ნახევარი ძმა მოჰამედ ბენ მალიქ შა, რომელიც გარდა თავისი თურქული სახელწოდებისა „თაფარ“, ფირმანების ქვეშ აწერდა არც თუ მოკლე სახელს: აბუ შულჯაყ ღიას ედ—დუნჲა ვად—დინ კასიმ ამირალ მუმინინ.

მოჰამედი შესძენია მალიქ შას ნაყიდი მხევლისაგან, ამიტომაც გაუძნელდა მას სულტნის ტახტისაკენ გზის გაკაფვა. ჩემს მკითხველს ალბათ ეხსომება, მალიქ შა მოწამლეს თუ არა, სულტნის ტახტის გამო შეიბნენ მალიქ შას უფროსი ცოლი ტჲურკან ხათუნ და უფროსი ვაჟი მალიქ შასი — ბარქიაროკი.

ტჲურკან ხათუნმა შეივრდომა ჯერაც ჭაბუკი მოჰამედი და თავისი მცირეწლოვანი ვაჟის მაჰმუდის ტახტისმტედ აღვიარა იგი. ბოლოს დედინაცვალს სძლია ბარქიაროკმა და მოჰამედი თავის ნახევარ ძმას მიეკედლა.

ტჲურკან ხათუნის სიკვდილს მოჰყვა დიდი აღრევა ისპაჰანში, ტახტის გამო ცილობა აუტყდათ ძმებს. ეს ომები დასრულდა „უქცეველი ზავით“, რომლის მიხედვით ისპაჰანი და დასავლური პროვინციები ბარქიაროკს ერგო, ხოლო განჯა, არანი და კავკასიის სამხრეთი მოჰამედს. დადგენილ იქნა: არანის მეჩეთებში სულტან ბარქიაროკის სახელზე აღევლინათ ხუტბა.

ჯვაროსნულმა ომებმა, საერთოდ ქრისტიანული სამყაროს გაძლიერებამ შეაკავშირა ძმები.

ბოლოს იმდენი უჩიჩინა სულტან მოჰამედს მისმა ვაზირმა მუეიდ ალ-მულკმა, დიდი ვაზირის ნიზამ ალ-მულკის ვაჟმა, მოჰამედმა ბრძანება გასცა: არანის მეჩეთებში ხუტბა არ აღევლინათ ბარქიაროკის სახელზე.

ამ მიზეზმა იკმარა და ისევ შეიბნენ ძმები. მოკვდა ბარქიაროკი, მაგრამ ამ უკანასკნელის მემხრე ამირები და ვაზირები ყალხზე შესდგნენ და შეებრძოლენ მოჰამედს.

ყოველივე ამას ისიც ზედ დაერთო, რომ ასსასინებმა ამზოხი ასტეხეს და რამდენიმე ციხე ირანის მთიანეთისა აიღეს, ხელში ჩაიგდეს მიუდგომელი ციხე ალამუთისა.

მოჰამედი ბაღდადს გაემგზავრა და ეახლა ხალიფს, მუსტაზირ იბნ მოქთადის. ხალიფამ ნება დართო მოჰამედს ირანისა და არა-ირანის ქვეყნებში სულტანის სახელზე აღევლინათ ხუტბა, ოღონდ ეს იყო, პირობა დაუთქვა მოჰამედს: ასსასინებსა და ქრისტიანებს შებრძოლებოდა.

გამხნევებული მოჰამედი ისპაჰანს ჩავიდა და სისხლის წვიმები დააყენა. ასსასინების თავკაცს იბნ ატაშს საჩუქრები გაუგზავნა, ციხიდან გამოიტყუა, თავი მოსჭრა, თავები დააყრევინა მეციხოვნეებს, ხოლო ციხე შადიზი მიწასთან გაასწორა.

ბოლოს სულტანი ისე შეიპყრო ასსასინების წინაშე შიშმა, თავის უერთგულეს ვაზირებსა და ამირებს მათთან თანამზრახველობა შესწამა და განუკითხავად დახოცა ისინი. დიდხანს ებრძოდა განდგომილ დიდ ამირას შავალ საყავუს, რომელიც ფარსის პროვინციაში განუკითხავად დათარეშობდა, ბოლოს შეიპყრო იგი და თვალები დასთხარა.

ასსასინები მაინც არ ისვენებდნენ. სულტანმა უბრძანა თავის ვაზირს მუეიდ ალ მალკს დაუყოვნებლივ აეღო ალამუთის ციხე; მრავალი ათასი მონასპა შეაწყვიტა მუეიდმა ამ ციხის აღებას, მაგრამ ვერ შესძლო, განრისხებულმა მოჰამედმა გადააყენა იგი.

სულტან მოჰამედ ცალკერძ ჯვაროსნებს ებრძოდა, ცალკერძ ასსასინებს, სწორედ ამ დროს დაამარცხა დავითმა ლაშქრის ამირა, შიხ ალდინ ასმეტი და განძის ამირა ერწუხში.

გაბოროტებული სულტანის ბრძანებისამებრ ისპაჰანში მიბრუნების უმალვე შიხ ალდინ ასმეტს ოქროს ჩუგლუგით დაუმსხვრია ამირ ხარასიმ ხერხემლის მალები.

ჰყონდიდელი ამ ვითარებათ ანგარიშს უწევდა, ამიტომაც საშუროდ მიაჩნდა მას ყიფჩაღთა უმთავრესთან დავით მეფის დამოყვრება, ყიფჩაღების ჩამოყვანა და როქის სპის გაძლიერება.

* *
*

ვაზირთაუპირველესი სხვა რამეებსაც ამჩნევდა: დავით მეფის დანარჩენი სპასალარებიც ოდნავ ჰოჰმანობდნენ. განსაკუთრებით ჯონდი ერისთავი განიცდიდა ზეგავლენას იმ მითქმა-მოთქმისა, რომელიც შექმნეს გოლვოთელმა, დირბელმა მაქსიმემ და განპატიჟებულმა ეპისკოპოსებმა მთელს სამეფოში. ირყეოდნენ შერგილ ლიპარტიანი და ბეშქენ ჯაყელიცა.

ზოგი მათგანი რელიგიურ მოსაზრებას იმდენ ანგარიშს არ უწევდნენ, რამდენსაც მარიამ დედოფალის შეგონებებს. ისინი შიშს გამოსთქვამდნენ: ვაჲ თუ მოუსვენარმა ყიფჩაღებმა სამეფო აგვირიონ და ნებით შემოყვანილი უცხო ნათესავი გასაჟუჟი გაგვიხდესო ჩვენვე.

ბაგრატ მეფემაც შემოიყვანა ლიპარიტთან საბრძოლოდ ვარანგნი, მაგრამ ისინი მცირერიცხოვანნი იყვნენო.

თავათ ჰყონდიდელსაც ძილი ჰქონდა გამკრთალი ამ შესაძლებელი საფრთხის მიერ დაფიქრებულს, მაგრამ ამჯერად მისთვის მთავარზე უმთავრესი იყო მეფეთა მიერ წერილობით გაცემული პირობის უქცეველობა და როგორც ფხიზელი მცველი ბაგრატოვანთა სახლისა და სახელის უმწიკვლობისა, იგი შეუძლებელად სთვლიდა ერთხელ მიცემული პირობის გადათქმას.

* *
*

სტეფანოზ წილკნელმა ბარე ორგზის გამოგზავნა ყიფჩაღეთიდან უსტარი. იგი არა მალავდა: შარაღან შარაღანისძე გაოცებული იყო, აწ უკვე განაწყენებულიაო დავით მეფის დუმილისაგან.

ამ ბარათების გამო ერთ ორჯერ სიტყვა ჩამოუგდო ჰყონდიდელმა დავითს: რა პასუხი გავცეო სტეფანოზ წილკნელს?

მეფე მცირე ხანს სდუმდა, მერმე დარდიანი თვალებით მზერა გაუმართა მზრდელს და უთხრა:

მომავალ შაბათამდის დავიცადოთო.

იმავე მზგეფსის პარასკევს მალემსრბოლი ჩამოვიდა ყიფჩაღეთიდან და უკვე მესამე უსტარი ჩამოიტანა სტეფანოზ წილკნელისაგან.

მეორე დღის მიმწუხრისას, ჩრდილის კოშკში ეწვია დავითს ვაზირთა უპირველესი. მეფე გელათის საქმეთა გამო ესაუბრებოდა იყალთოელს, იოანე ქართლის კათალიკოსს, ხუროთმოძღვართუხუცესსა და მხატვართუხუცესს თევდორეს.

როცა საუბარი მოთავდა, ჰყონდიდელმა სტეფანოზ წილკნელის ბარათები ამოიღო და წინ დაუდო მეფეს.

დავითი გულდასმით გაეცნო მათ და იყალთოელს გადასცა. როცა იოანე კათალიკოსმაც გადაიკითხა, უხერხული დუმილი ჩამოვარდა დარბაზში.

ჰყონდიდელმა მზერა გაუმართა მეფეს და მტკიცე ხმით სთქვა:

„ჩვენთვის სავსებით გასაგებია შარადან შარაღანისძის განაწყენება. ჩვენო პატრონო. შენგანვე მსმენია არაერთგზის: სიტყვა მეფისა კანონი უნდა იქნეს უქცეველი. შარშან ორივე მეფის სახელით მე ვაუწყე სტეფანოზ წილ-

კნელს: შემოდგომის მიწურულამდის სადედოფლოს ჩამოვიყვანთო.

მერმე, როგორც მოგეხსენება, ერწუხის ომმა და ბოლოს დაზამთრებამ ხელი შეგვიშალა. ახლა უკვე დროა სარწმუნო კაცნი წარვგზავნოთ ყიფჩაღეთს.

კიდევ კარგი ჯერაც ჩვენთან სტუმრობენ უფლისწულის დემეტრეს მამამძუძე გაც და ძენი მისნი. გაც მრავალგზის ნამყოფია ყიფჩაღეთში. დარიალის კარიდან გადაიყვანს ჩვენს წარგზავნილებს შარაღანს".

გადაწყდა: სარწმუნო კაცთა წინამძღვრობა დაკისროდა გვარამ ბეჭისციხის პატრონს. ორი ეპისკოპოსი: კუმურდოელი და იშხნელი თან უნდა წაყოლოდნენ მას, აგრეთვე ხუთი ციხოვანი აზნაური: ელაშერ ელაშერისძე, გიორგი შაბურისძე, ვამეხ ურდოელი და ყიფჩაღეთს ადრე ნამყოფნი აზნაურნი ხურცისძე და ბუკაისძე. ჩუხჩების მცირე ამალას, მეკარვეებს, მეჯორეებს უხელებდა ათასისთავი ლათერია.

იმავე დღეს გადაწყდა მოღალატე რატი ორბელიანის მამული არგვეთის საერისთავოში, გელათისთვის გადაეცათ.

ორმოცი ახალგაზრდა განსწავლისათვის წარეგზავნათ კონსტანტინეპოლს.

ერთი მზგეფსიც გავიდა, სარწმუნო კაცთა წარგზავნა დაყოვნდა. ჰყონდიდელი მალემსრბოლებს აგზავნიდა. მაგრამ ერისთვის მეუღლე იუწყებოდა: გვარამ ერისთავი შეუძლოდ არის, როგორც კი გამოჯანსაღდება, გეახლებათო.

იმავე დღე დასთქვეს: სარწმუნო კაცთა ყიფჩაღეთს წარგზავნა ფრიად საიდუმლოდ უნდა მომხდარიყო, რადგან არავინ იცოდა: ნამდვილად შესძლებდა თუ არა მამამძუძე გაც ოვსეთზე გზაგავლით ყოფჩაღეთს მათ ჩაყვანას, ისიც ცხადი იყო ყველასთვის: უშედეგოდ უკანგამობრუნება მათი, უხეირო მითქმა-მოთქმის საბაბი გახდებოდა უთუოდ.

* *
*

ხუცეს-მონაზონის სოსიპატრეს ჩამოსვლამდის დავით მეფეს მკრთალი იმედი ჰქონდა ეგების შემდეგსა და შემდეგ უსტარში რაიმე სანუგეშო მოეწერა ლულუ ბენ ჰაიდარს.

დედოფლებს ღამ-ღამობით არ ეძინათ... მათ უცნაურ ამბავად ეჩვენებოდათ ეგზომ უკვალოდ გაუჩინარება ერისთავის ასულისა. ქარიმან სეტიელმა ხომ მთელი საქართველოს სამეფო და მის გარეშეც არზრუმისა და ტრაპიზონის საამიროები მოსჩხრიკა. არც ჯოჯიკისა და არამაის არშარუნის დაუკლიათ ცდა, დიდძალი ოქრო დახარჯეს ქალაქებსა, სასახლეებსა და ციხეებში მსტოვარების წარსაგზავნად.

ახლა ლულუ ბენ ჰაიდარმა ანისიდან იერუსალიმამდის იარა, მაშ, სად უნდა ყოფილიყო ეს სვედავსილი დედისმედი? აგრე მოსთქვამდნენ დედოფლები. ბუნებით რბილი და სათნო ელენე დედოფალი მხოლოდ ლოცულობდა და სტიროდა. დედის მიუმცდარი გული ჩინებულად გრძნობდა რა უდრტვინველად იტანჯებოდა მისი ვაჟი... მარიამი შესძრა თავისი ღვთისმოსავი რძლის ეგზომ უკურნებელმა მწუხარებამ, მასაც უძილობა დასჩემდა, წარამარა ხმობილობდა მკურნალებსა და მესნეულეებს, შაკიკის წამალს სვამდა დღენიადაგ.

* *
*

ერთ ღამეს ძილი გაუტყდა მარიამს, უთენია ადგა და ელენეს საძილო დარბაზში შეიჭვრიტა. დასიცხული დედოფალი პირაღმა იწვა, შიმუნვართა წინამდგომი შარვაშისძის ასული, მზისავარ, ტილეებს ადებდა შუბლზე.

„ეს მითხარი გეთაყვანე, ეკითხება მარიამი თავის რძალს, გვანცას მართლაც თუ მოსდგამს ბაგრატოვანთა სისხლი?"

ელენემ მარჯვენა ხელით მოიცილა შუბლიდან ტილე და მიუგო:

„დიახაც მოსდგამს მეფური სისხლი გვანცას. აკი დიდდედა მისი არტანუჯელი ბაგრატოვანის ასული იყო. ნუთუ პირველად გესმის გენაცვალე, თუ არა ვცდები სხვა დროს მითქვამს კიდევაც შენთვის: შამან ერისთავის მამას ედიშერს, ბაგრატოვანთა ქალი ჰყავდა ცოლად."

მარიამი სდუმდა მცირე ხანს, მერმე ფიქრებს თავი გაართვა და ასეთი რამ ჰკითხა თავის რძალს:

„ჰო, მაგრამ მერამდენე მუხლის ნათესაობა უწევს გეთაყვანე თუ იცი?"

„მერვე მუხლისა."

„ეჰ, ეგზომ შორეული ნათესაობა ნომოკანონითაც დასაშვებია. ბიზანტიელი იმპერატორები თავიანთ გარეთა ბიძაშვილების ნაშიერებსაც ცოლად ირთავდნენ გეთაყვანე. რა უშავს... რა უშავს..."

* * *

დედოფლების ღამეული ჩურჩული მეორე დღესვე მთელს სასახლეს მოსდო შარვაშიძის ასულმა მზისავარმა... ყველას სათითაოდ ანამუსებდა, ოთხივე სახარების მადლს აფიცებდა ყველას. მემაშხალეებმა და მესაწოლე ბერებმა ასევე „საიდუმლოდ" და „ფიცის ქვეშ" გაანდეს იგი ნაჭარმაგევში სტუმრად ჩამოსულ დიდაზნაურებს, ეპისკოპოზებს,—ხუცეს-მონაზვნებსა და ბერებს.

ბოლოს მთელ საქართველოში დაირხა ხმა:

დავით მეფემ ყიფჩაღთა უმთავრესთან დამოყვრებაზე ხელი აიღო და შამანა ერისთავის ასულს გვანცას ირთავსო ცოლად.

ყველაზე უწინ გოლგოთელ ეპისკოპოზს მისწვდა ეს ხმა, იგი ახლა უკვე საქვეყნოდ ღაღადებდა:

-მეფური სისხლის ქალი, მამულისათვის ომებში მრავალნაცადი ერისთავის ასული სასახლეში გვყავს და რა ჰკუაა ვიღაც მეჯოგე ყიფჩაღთა უმთავრესის ნაშიერი ტახტზე ავიყვანოთო?

მთელს სამეფოში აყაყანდნენ პატივდაკლებული ეპისკოპოსები და აზნაურები, თრიალეთის საერისთაოში ჩამორჩენილი ლიპარიტელებიც ამოძრავდნენ, დავით მეფის მტერ-მოყვარენი და ქვეგამხედვარნი გზაჯვარედინებზე გაჰკიოდნენ:

აღარ გვინდაო ყიფჩაღთა უმთავრესის ქალის ბაგრატოვანთა ტახტზე აყვანა. მაქსიმე დირფბელი და სხვა ქვეგამხედვარნი, რომელნიც დედისიმედის გადაკარგვას დავით მეფის წინააღმდეგ საბასრებლად იყენებდნენ, უფრო მძიმე ბრალდებებს თხზავდნენ: დავით მეფემ ქარიმან სეტიელს მოაშთობინა ლიპარიტის ასული, უკმაყოფილოთათვის თვალისასახვევად ლულუ ბენ ჰაიდარი წარგზავნაო პალესტინას.

იგი სარწმუნეობისადმი გულაყრილი რომ არ იყოს, რაღათ ესაჭიროებოდა ან ყიფჩაღთა უმთავრესის ასულის ცოლად შერთვა, ან უშჯულო ყიფჩაღების ქართლში ჩამოთესლვა? გოლგოთელი და მისნი მემხრენი ძველ ამბებსაც გადასწვდნენ: ყიფჩაღის ქალი იყო ტდურკან ხათუნი, მალიქ შა სულტნის უფროსი ცოლი, რომელმაც ჯერ სულტანი მოაწამლინა, ბოლოს მისმა მემხრეებმა მოწამლეს სულტანი ბარქიაროკი. შემდგომ ამისა მთელი სასულტნო ღორის ჯაგარივით აირიაო.

დავით მეფეს ამას ყოველივეს მოახსენებდა ხოლმე ქარიამან სეტიელი, მაგრამ იგი დუმილით ისმენდა ამ ამბებს.

* * *

მზისავარ შარვაშიძის ასულს არც მამულიშვილური გრძნობები აწუხებდა, არც დავით მეფის პიროვნული განცდანი.

იგი ბაგრატოვანთა სასახლეში ჩამჰკნარი შინაბერა იყო. თავის დროზე ულამაზესმა ქალმა ზარე სამიოდე დიდაზნაურს უარი უთხრა ცოლობაზე, რადგან ცხუმის ერისთავის ოჯახიდან გამოსულს აკვიატებული ჰქონდა: მხოლოდ ერისთავს გავყვებიო თანამეცხედრედ, მაგრამ რაკი მის მიერ და-

წუნებულმა დიდაზნაურებმა თავათ მოიწყვეს პირადი ცხოვრება, მზისავარ გაუთხოვარი დარჩა...

ნაჭარმაგევის სასახლეში როგორც კი განახლდა ჩურჩული ყიფჩაღთა უმთავრესის ასულის ჩამოყვანის გამო, მზისავარ უცნაურად ატროკდა. იგი ასე ვარაუდობდა:

ვინ იცის რა ზნეს გამოიჩენს ყიფჩაღთა უმთავრესის ასული, ბარბაროსული ტომის ნაშიერი, იგიც წარმართი?

შესაძლოა თვალში არ მოუვიდე და მიმტროსო. ეს შიში უკვე მთელს სასახლეში იყო მოდებული, განა მარტო ნაჭარმაგევში, ბოჭორმის მუხრანის, გეგუთისა და წალვლისთავის სასახლეებში ცახცახებდნენ მოხუცებული შიმუნვარები, გამგეთუხუცესები: ვაჲ თუ უშჯულო დედოფალი მოგვევლინოს და პატივისდაკლება მოგვიწყოსო განუკითხავად.

მზისავარ წინასწარ იყო დარწმუნებული ახალი თანამეცხედრე მეფისა, არამც და არამც არ ემგვანებოდა ღვთისმოსავსა და სათნო ელენე დედოფალს, რომელსაც დიახაც არ მოსწონდა უქნარა და ხვანჯების მოყვარულ, შინაბერა მზისავარის განუკითხავი პარპაში როგორც გეგუთის, ისე ნაჭარმაგევის სასახლეში, მაგრამ ყოველივეს ითმენდა ქრისტიანულ გულმოწყალეობას აყოლილი.

* *
*

ერთ დღეს უთენია ადგა მზისავარ, სასახლის ბაღში დაკრიფა უამრავი ვარდები და გვანცას საძილო დარბაზისაკენ გაემართა.

გვანცა წინა დღეს სათევზაოდ ჰყავდათ წაყვანილი გიორგი მეფესა და მახარას, ხურვება შეჰყროდა ღამით, ახლა დასიცხული იწვა ლოყებშეფაკლული. მზისავარმა ფრთხილად შეაღო კარი და თავი შერგო:

„ხომ არა გძინავს შემოგეველე?“

არა მძინავსო უგუნებოდ მიუგო ოდნავ განაწყენებულმა ქალმა. მზისავარ ახლადჩამოსული იყო აფხაზეთიდან, დიდიხნის წინად ჰყავდა, იგი ნახული გვანცას. არ იამა ამ ახმახი, თვალებგაცვენილი, ჩონჩხადქცეული დიაცის დანახვა.

მზისავარ მიხვდა ერისთავის ასულს რომ არ ესიამოვნა ეგზომ უკითხავი და ნაადრევი წვევა. ვარდები მიართვა, ზოგი ხელში შეაჩეჩა, ზოგიც ბალიშებსა და საწოლზე მიმოაბნია. სასთუმალთან მიუჯდა ავადმყოფს, შუბლზე აკოცა და აბრეშუმისებრ ვასვასა თმებზე მოუცაცუნა.

„იცი თუ არა შემოგეველე, შენისთანა ბედნიერი ქალი მთელს ჩვენს სამეფოში რომ არ არის ამჟამად?“

გვანცა შეცფუნდა:

რასა ბრძანებ დეიდა მზისავარ?“

„მერწმუნე, ჭეშმარიტად უბედნიერესი ქალი ხარ შემოგეველე, არა მარტო ეგა, ულამაზესიცა. ყოველივე ისე წარიმართა, ბედნიერება უნდა მიენიჭებინა შენთვის უფალს ყოველივე რაც მოაქამამდე მოხდა და რაც ახლა ხდება, ეს ყველაფერი აგრე უნდა მომხდარიყო, რადგან განგების მიერ აგრეა დათქმული.

უფალი სულგრძელია და შორსმჭვრეტელი, როცა ჩვენა გვგონია ბედისამარა მიგდებული ვართ, იგი ჩვენთვის ზრუნავს ნიადაგ. უფალი ყოველთა მცნობია, მუდამ ჩვენს შორისაა და ჩვენს გულში, რადგან იგი ყოველივე იდუმალების თვალნათლივ მხილველია.“

ესა სთქვა მზისავარმა და ოქროჭედილ ხატს მაცხოვრისსას შეხედა მოპირისპირე კედელზე დაკიდულს.

გვანცა ვერ მიხვდა თუ რისი თქმა ეწადა მზისავარს, ან რას მოასწავებდა მისი ბნელმეტყველება. ბალიშებზე ჩამოიწია, ცალ იდაყვზე დაეყრდნო, თანაც ხალათი წამოისხა გაშიშვლებულ ზემოტანზე.

„აბა სიმართლეს გეტყვი დეიდა მზისავარ, ჩემისთანა უბედო ქალი არა მარტო საქართველოში, მთელს საქრისტიანოშიაც არ იქნება ალბათ“.

შარვაშიძის ასულმა ზეასწკიპა თავისი მომშვილდური წარბები.

„რას ამბობ შემოგევლე?“

„განა შენ თავათ არ იცი დეიდა მზისავარ რა მუხანათურად წამკიდებია ბედი? დედა ადრე დამეკარგა, უსინათლო მამას რა შეეძლო. ჩემს გულს აროდეს უგრძვნია ის სალბუნი, რომელიც სიკვდილამდის მიყვება ადამიანს, ამიტომაც ახსენებს მომაკვდავი დედას. ჩემი გული გათოშილია სიყვარულის სიტფოს მოკლებული.“

„ღმერთს ნუ გმობ ერისთავის ასულო. მცირე რამ მეცა მსმენია შენს გამო. უმამაცესი ვაჟკაცები ჩვენი სამეფოსი გეტრფიან, მე თავათ ვიცნობ რამდენიმე ერისთავს, რომელნიც უხმოდ იტანჯებიან შენდამი ტრფიალისაგან გათანგულნი.“

„ეჰ დეიდა მზისავარ, ალბათ შენც გყვარებია თავის დროზე ვინმე, როგორც მსმენია ძლიერ ლამაზი ყოფილხარ. ალბათ შენც არა ერთი აზნაური გეტრფოდა მერმე რა? ბედნიერება მარტოდენ იგი როდია როცა შენ გეტრფიან, არამედ როცა შენ თავათ გიყვარს და მუქაფას მიგიზღავს მიჯნურის გული.

როგორცა სჩანს, მე მისჯილი მაქვს განგებისაგან, იგი მიყვარდეს, ვინც თავის თავს აღარ ეკუთვნის.

უფალმა მომიტევოს ასეთი მკრეხელობა, მაგრამ ეს აგრეა დეიდა მზისავარ.“

მზისავარმა კარებისაკენ გაიხედა, მწოლარესკენ გადაიხარა და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

„აბა იდუმალ ამბავს გამცნობ შემოგევლე ერთს, ოღონდ არ გამთქვა იცოდე, თორემ სასახლიდან დამითხოვს დედოფალი ელენე.“

გვანცა შეცფუნდა:

რა საიდუმლო უნდა იყოსო ასეთი?

„წუხელ გვიანი ღამით, ჩურჩულითვე განაგრძო მზისავარმა, ტლეებს ვადებდი დიოფალს ელენეს. მას სასთაულთან უჯდა მარიამ დედოფალი და მთელი ღამე შენს გამო ჰქონდათ საუბარი.“

„ჰო მაგრამ რა საუბარი უნდა ჰქონოდათ ჩემს გამო დედოფლებს? რასა ბრძანებ დეიდა მზისავარ?“

„რასა და ორივენი იმ აზრისა არიან: შენ უნდა გახდე დედოფალი საქართველოსი. შენ იცი და შენმა ქალობამ შემოგევლე, როგორ შეიშნობ ამას ყოველივეს: იმედია, არც ჩვენ დაგვივიწყებ, ჩვენ ვინც სიყრმე და ჯანი შემოვალიეთ ბაგრატოვანთა კარს.“

გვანცას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მთელი სხეული დაერღვაო, ბალიშებში ჩარგო თვალი და ატირდა ბალღივით.

მან აღარ იცოდა რას მოასწავებდა ეს ყოველივე, ან რა ეთქვა განაგონის საპასუხოდ?

მცირე ხანს აგრე იწვა პირქვედამხობილი, მერმე ისევ დაეყრდნო იდაყვებზე და სთქვა:

„რასა ბრძანებ დეიდა მზისავარ, მე ვინ მაღირსებს ასეთ პატივს!“

„დიდი ხანია ამ საქმეს მივესწრაფი, მე ვინა მკითხავს მეფეთა საქმეში ჩარევას, მაგრამ ამ ქვეყნად ყოველივეს თავისებური მნიშვნელობა აქვს, ყოველ სიტყვას სადმე საუბარში ჩართულს, ყოველ ამბის დანიშნულებისამებრ დროზე მიტანას.

ჯერ კიდევ იმ წელს, როცა ლიპარიტი და მისი ოჯახი გეგუთის სასახლეში სტუმრობდნენ, მე მუდამ ამას ვუჩიჩინებდი ორივე დედოფალს, დედისმედი დიახაც ულამაზესია და უსათნოესია ქალწულთა შორის, მაინც არ გარგებთმეთქი მოღალატე ლიპარიტის ოჯახთან დამოყვრება. ასკილს ჯერ არაოდეს მოუსხამს-მეთქი ვარდი.

ჩემი თათბირისთვის ყური რომ დაეგდოთ, ახლა სულ სხვა გზით წარიმართებოდა დავით მეფის ცხოვრება, შესაძლებელია ის სვედავსილი დედისმედიც ცოცხალი ყოფილიყო, ბოლოს და ბოლოს რომელიმე ერისთავს გაჰყვებოდა ცოლად და ესოდენ მწუხარებას არ მოჰგვრიდა მისი დაღუპვა დავით მეფეს.“

გვანცას ლოყები შეუფაკლდა ამ სიტყვების გამგონეს.

„ცოცხალი იქნებოდაო? რა იცი დეიდა მზისავარ დედისიმედი ცოცხალი რომ არაა?“

მზისავარი შეცფუნდა:

„მე რა ვიცი შემოგევლე, მაგრამ სხვანი სხვას ამბობენ. დირბელი მაქსიმე აგრე ამტკიცებს: ქარიმან სეტიელის სულზეაო მისი ცოდვა, და მე ის გითხარი რაც გამიგონია.

ცოცხალი, ჰძ; აკი ამბობენ... რაღა მკვდარი და რა შინ მოუსვლელიო.“

მცირე ხანს სდუმდა მზისავარ, კარებისკენ მიიხედა და დასძინა:

„ოღონდ შენ იყუჩე შემოგევლე და მე დანამდვილებით გამანდო მისრატულთუხუცესმა ერთმა: ცხენებს ამზადებენ სამეფო საჯინიბოში. სარწმუნო კაცნი უნდა წარგზავნონ, რათა დამოყვრებაზე უარი შეუთვალონო ყიფჩაღთა უმთავრესს.“

დერეფნებიდან ნაბიჯების ჩქამი მოისმა. მზისავარ დაფეთებული ზეწამოიჭრა, უკუსვლით წავიდა კარებისკენ, ბოლოს ისევ გამობრუნდა, თავზე წამოადგა მწოლარეს, საჩვენებელი თითი ტუჩპირთან მიიტანა:

„ოღონდ იცოდე ტსსსუ... დაიხსომე შემოგევლე: ვადაზე ადრე გათქმულ საიდუმლოს ბედითი შედეგები მოჰყვება ხანდახან.

* *
*

უკანასკნელ წლებში გიორგი მეფეს სახელმწიფური მნიშვნელობის საიდუმლოს არც უმხელდა ჭყონდიდელი, მოხუც მეფეს ისე გაბეზრებული ჰქონდა ამ ამბებისაგან თავი, არც ნაღვლობდა მაინც და მაინც...

ყიფჩაღეთს სარწმუნო კაცთა წარგზავნის დადგენა მას არც გაუგია; ერთი რამე მტკიცედ მიინიშნა გიორგიმ: როცა თავათ იგი და ორივე დედოფალი წინ აღუდგნენ თაკვერს გაბრუნებას ერისთავის ასულისას, დავით მეფე ესწრებოდა ამ ამბავს, იგიც მიენიშნებინა გიორგის, რომ გვანცას წასვლის, ან არ წასვლის გამო დავითს არც ჰო უთქვამს და არც უარი, და როცა ერისთავის ასულის ნაჭარმაგევში დარჩენა გადაწყდა, იდუმალი სიხარულის სხივი აკიანთდა მეფის თვალებში.

ამ ამბის გამო უჩვეულოდ გამხიარულდა გიორგი მეფე. იგი დღენიადაგ ამის მონატრული იყო ბოლოს და ბოლოს სიხარული მოეხვეჭა ამ ქვეყნად მის ერთადერთ ვაჟს.

* *
*

ერთხელ ძილი დაუტყდა გიორგის, დილაადრიან მარიამ დედოფალს ეწვია. დაჯდომა ვერ მოასწრო ისე სთქვა:

„აბა მე შენ გეტყვი მაიკო, ეს ოხერი ჩემი გული თაკვერელი მესტვირის გუდასავით გამძლე ყოფილა, მაგრამ იცოდე, ერთხელაც იქნება გასქდება ეს ტიალი ამდენი ტანჯვისაგან.“

მარიამმა მზერა გაუმართა ძმას:

„ველარც მე ვარ კარგად შენმა მზემ გიორგი, გულიც გამეთანგა და გონებაცა. ერთი მითხარი ვინ დასწყევლა ჩვენი ოჯახი გიორგი? სადაცაა გავიქცე აქედან, გეთაყვანე!

ამას წინად მაჯის შემტყობნი მოვაყვანინე. მღელვარებას მოერიდეო მირჩევდნენ. ახლა შენ მიბრძანე: როგორღა მოვერიდო მღელვარებას გეთაყვანე.

ხომ ხედავ, ჩემი რძალი ელენე ლოგინად ჩავარდა დარდისაგან. იგი აგრე ამბობს: ღმერთმა ნუ შემასწროს იმ დღეს ჩემი ერთად-ერთი ვაჟის თანამეცხედრედ წარმართი დიაცი დაჯდესო ბაგრატოვანთა ტახტზე... თუ ეგ მოხდა, ალბათ იმავე დღეს ამომხდებაო სული.

მართლაც და რა გასჭირდა ასეთი გეთაყვანე, არ გვინდა, არ გვინდა უშჯულონი. აგერ არა გვყავს გნოლის მართვესავით სათნო ქალი? ზოგს აუჩემებია: მეფური სისხლი, ეს მიბრძანე გეთაყვანე რა მეფეები უნდა ჰყოლოდათ ცხენიჭამია ყიფჩაღებს. წუხელ ელენემაც დამიმოწმა: არტანუჯელ ბაგრატოვანთა სისხლი აქვსო გვანცას.“

—„განა შენ აქამდის არ იცოდი ვეჟო, ბაგრატოვანთა ქალი რომა ჰყავდა ედიშერ ერისთავს, შამანის მამას, არტანუჯელი ბაგრატოვანისა? ახლა ეგ აუჩემებია ჭყონდიდელს: მეფეთათვის უხერხულიაო პირის გატეხა. ჰა, ჰა, ჰა, სიბერეშიაც რომ ვერ მოიშალა გიორგი მონაზონმა მიამიტობა.

რაც ამ ქვეყნად პირობა გაგვიცია მეფეებსა და სულტნებს, ეს ყოველივე სისრულეში რომ მოგვეყვანა, ახლა თხა და მგელი ერთად დაიწყებდნენ ძოვას. რა ვუყოთ მერმე. სიტყვა ხან ოქროსებრ მძიმედ გასატეხია, ხან ნივრის ნაქურცვენივით ფშუტე.

როცა მალიქ შა სულტანთან სტუმრობდა ბაღდადში, ერთ საღამოს დავთვერით, ნადირობიდან სასახლეში მიბრუნებულნი. სწორედ რომა ვთქვა, მალიქ შა ჩემზე ადრე დათვრა, რაჲგან მუსულმანები თრიაქს დიახაც კარგად უძლებენ, მაგრამ ღვინისაგან მალე ითვრებიან ხოლმე.

ლაწვის თავზე ზედიზედ მაკოცა მალიქ შამ და მითხრა:

„შენ ისე მომეწონე ჯეირანზე ნადირობისას, მამობრივ მზრუნველობას არ მოგაკლებ ალლაჰის მადლმა, ეგეც იცოდე, არც არასდროს მოგთხოვ ხარაჯას.“

საქმე არა გაქვს? მას შემდეგ ბარე ათ წელს ვუხდიდი ხარაჯას ისპაჰანს, სანამ დავით მეფემ უარი არ შეუთვალა მაგ სულკატიან სულტანს, ბარქიაროკს.“

დერეფნიდან მოისმა ერთობლივი ჟღარუნი ეჟვნებისა. გიორგიმ ხმა გაკმინდა და კარებისკენ გაიხედა.

მახარა შემოუძღვა უფლისწულს დემეტრეს, რომელსაც ფოლადისფერი ქორი ესვა მარცხენაზე, ხოლო თავათ მახარას, გრაგნილი ეჭირა ხელში.

გიორგიმ თვალი ჰკიდა ღიჭედ დარჩენილ კარის ზღურბლს გადაღმა წითელ-ყვითელ კაბა-ჯუბით მორთული ქღარუნა იდგა, მასაც ქორი ესვა მარცხენაზე.

უფლისწულს წითელი ყაბაჩა ეცვა, ოქრომკედით მკერდმოხატული, წითელი ჩექმები ამშვენებდა მის მაღალწვივიან ფეხებს. ოქროსფერი კულულები გადმოღვროდნენ შუბლზე. გიორგი წამოდგა და გადაკოცნა თავისი შვილიშვილი.

სახე გაუბრწყინდა მოხუცს ცალკერძ შვილიშვილისა და ცალკერძ ფოლადისფერი ქორის ხილვისაგან, გრაგნილს თვალი გადაჰკრა და უთხრა მახარას:

„ეს ქორები სადაურია, ვეჟო?“

„ერისთავმა არიშიანმა მოუძღვნა უფლისწულს დემეტრეს“.

„როგორ? ეს ორი ქორი?“

„ორიო? ბარე ჩვიდმეტი ქორი და თორმეტი მიმინო, მათ შორის შვიდი შევარდენი ნაკრტენგამოცვლილი.“

ახლა გრაგნილი გახსნა გიორგიმ, მცირე ხანს მდუმარედ კითხულობდა, ბოლოს გახარებული ეუბნება მარიამს:

„საამური ამბებია მაიკო, სტრატიგი ნოტარი და ეპიფანე არამსმელი იუწყებიან კონსტანტინეპოლიდან; მაისის დამლევს უნდა გეწვიოთ, ერწუხში გამარჯვება უნდა მივულოცოთო დავით მეფეს.

პატრიკი მოდისტოს თან გვახლავს და სამი ეპისკოპოზი, სმირნელი ეპისკოპოზი თერაპონტე ჩვენთან აპირებდა წამოსვლას, თერაპონტე ავად გაგვიხდა, ალბათ მალე გამომჯობინდებაო ღვთით.“ .

მეორე მხარეს გადააბრუნა გიორგიმ ეპისტოლე და გახარებულმა წამოიძახა:

„დახე, რა მომხდარა მაიკო, კეისარს ალექსი კომნენს გული მოუბრუნებია ნოტარის მიმართ, ისპაჰანს აგზავნის თურმე დესპანად.

ეგ არაფერი მახო, აქ კიდევ სწერია საამური ამბები. შვიდი ბიზანტიური მეძებარი წინასწარ გამოუგზავნია მოდისტოსს ჩემთვის: დიაკონს ლუკის და მონაყოფილს მავრას წამოუყვანიათ თურმე ისინი უკვე, სულ მალე ხუფთაში ჩავლენ, მეითარები დაახვედრეთ, თორემ თქვენი ქვეყნის გზები არც თუ კარგად იციანო დიაკონმა ლუკიმ და მონაყოფილმა მავრამ.“

მახარასაც თვალები გაუბრწყინდა ბიზანტიური მეძებრების ხსენებაზე.

„ძველთაძველი მეგობარია ჩემი პატრიკი მოდისტოს, განაგრძო გიორგიმ, როცა კარის ციხესთან ვებრძოდი თურქებს, იგი ერთ წუთსაც არ მომცილებია, ლომურად იბრძოდა. შენ რომ იცოდე მაიკო, რა ვაჟკაცია პატრიკი მოდისტოს.

მარიამს გაეღიმა:

„მეც კარგად ვიცნობ გეთაყვანე მოდისტოსს. ყოველ ახალ წელს პირველი მეფეხური იყო იგი ჩემს სასახლეში. როცა ჩემს კონსტანტინეს ცილი დასწამეს მეშურნეებმა, დღენიადაგ ჩვენსას იყო პატრიკი მოდისტოს. იგი ჭეშმარიტი ქრისტიანია და ასეთივე რაინდი.“

მარიამ დედოფალი წერილს ელოდა თავის ვაჟის, კონსტანტინესაგან, გაიხარა ამ ამბის გამგონემ, ისინი მაინც ჩამომიტანენო ბარათს. დავით მეფე შემოვიდა. ყვრიმალზე აკოცა თავის ვაჟს, ქორს შეუშვირა მარცხენა და ზედ დაისვა.

გულმკერდზე სული შეუბერა, მერმე წკიპურტი ჰკრა ბოლოებში. ქორი ომახიანად გაიმართა წელში და ფეტვისფერი თვალები დაუბრიალა მეფეს.

დავითმა სთქვა:

„ეხ რამდენი წელია ქორი არ დამისვამს ხელზე.“

„აბა მე გეტყვი ჩვენო პატრონო, ქორისთვის მზერის გამართვა ყოველ დილით მართებს ვაჟკაცს.“

წაიდუდუნა მახარამ.

დავითმა ისევ დემეტრეს გადასცა ქორი, დედოფალ ელენეს მიუჯდა სასთაულთან.

„მაჯის შემტყობნი თუ იყვნენ ამ დილით?“ შეეკითხა დავითი მზისავარ შარვაშიძის ასულს.

ესეცაა წავიდნენო. მიუგო შიმუნვართა წინამდგომმა.

რა სთქვესო? იკითხა მეფემ.

გამომჯობინდაო, დღეს ხვალ ბაღში გავიყვანთო დიოფალს.

მარიამ დედოფალიც გაახალისა კონსტანტინეპოლიდან გრაგნილის მიღებამ.

„იცი გიორგი“, ეუბნება იგი თავის ძმას, უცნაურად გამგვანებენ შენ პატრიკს მოდისტოსს. იგიც შენსავით ჯანმაგარია და გულგაუტეხელი. თუმცა თვით წარბებშიაც აღარ შერჩა არც ერთი შავი თმა, მაგრამ ნადირობას მაინც არ იშლის... უფრო მეტს გეტყოდი...

მარიამი შეყოყმანდა, თანადამსწრეთ მზერა მოავლო და ღიმილით განაგრძო:

წარმოიდგინე არც მიჯნურობას იმ-ლის პატრიკი მოდისტოს.“

„რაო, ცოლი არ შეურთავს ჯერაც?“ იკითხა გიორგიმ.

„უცოლოდ დაბერდა მოდისტოს. მაგრამ დიდად მომხიბლველი მოხუცია, საუცხოვოდ უკრავს მაკედონურ არფაზე და ბერძნულ რაფსოდიებს ზედ ამღერებს.

ჩემი წამოსვლის კვირაძალში ბუკოლეონის სასახლის შიმუნვარებს სხვა გასართობი არა ჰქონდათ, მოდისტოსის გამიჯნურების გამო ჭორაობდნენ დღენიადაგ, მოდისტოსს შეუყვარდა სასახლის შიმუნვართა წინამდგომი სტეფანოზ კურაპალატის ქვრივი.“

„აჰა, ხომ გესმის დიოფალო, ამიერიდან მიფრთხილდი იცოდე, პატრიკი მოდისტოს ჩემი თანაკბილაა, ჰა, ჰა ჰა.“ გულარხეინად ხორხოცობდა გიორგი.

„შენ ამბობდი გულგაუტეხელიო, ერთი მითხარი აბა რა ჰყრია გულის გატეხაში. მე დავკვირებივარ მშიშარები მამაცებზე ადრე კვდებიან ომებში. ღმერთს აგრე უნებებია მაიკო, ჩვენ მხოლოდ ერთხელა გვაქვს უფლის მიერ მინიჭებული ხორციელად ამ ქვეყნად მოსვლა. ამიტომაც უნდა გავიხაროთ, სანამ ცეცხლის მახვილიანი მთავარანგელოზი თავზე წამოგვადგება და სულს არ მოგვთხოვს.

ამ დილით გამახარა ჩემი შვილიშვილის მარცხენაზე ქორის დანახვამ, ჩემი გარდაცვლილი წინაპრები მომაგონა ცალ ხელში ქორითა და ცალშიაც ხმლითა.

ჩემი შვილისშვილის-შვილებიც აგრე ივლიან ალბათ ქორითა და ხმლით ხელდამშვენებულნი უკუნითი უკუნისამდე, მაიკო.“

„შენ რამდენი წლის იქნებოდი გეთაყვანე როცა ქორი შეისვი პირველად ხელზე?

შეეკითხა მარიამი დავითს.

მეფემ ღიმილით მიუგო:

„მე ათისაც არ ვიყავი, როცა ქორი შემაჩეჩა მახარამ ხელში“.

(გაგრძელება ნოემბრის ნომერში იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი ლეონიძე

★

### სამშობლოს

არა, არ არი, არ იპოება
სხვა სიტკბოება,
ვიდრე იგი, რომ ვცხოვრობდე შენთვის...
განა სად არი სხვა ნეტარება,
ან და რომელი დაედარება,
ვიდრე იგი, რომ ვშრომობდე შენთვის!
აბა სად არი სხვა სიხარული
უფრო ნათელი, მტრედისმხარული,
თუ არა ის, რომ ვიბრძოდე შენთვის...
შენთვის, სამშობლოვ, სიკვდილს
ვარჩევდე,
ვიბრძოდე, ვძლევდე და ვიმარჯვებდე,
აი, ნამდვილი ბედნიერება,
მას ხომ სიკვდილიც ვერ მოერევა!
არა, არ არი, არც იპოება
სხვა ნეტარება, სხვა სიტკბოება!..

### თბილისის რომანტიკა

ბროლისა მკერდზე
ზედ მთიებნი აღარ ნათობენ:
ძველი ლექსი

მზემ დამავალმა თბილისს დაჰხედა,
ვნახე, ჰშვენოდა, როგორც მედეა,
მის ლალებს, მარჯნებს რად არ
აჩვეტავთ,
იგი ხომ თქვენი შემოქმედია.
მითხარ, მაია,
მითხარ, მანანა,
დღეს სადღა არი
თქვენი მშვენება?
ან უთქვენობით რა გვეშველება?
თქვენი მთიებნი სადღა ნათობენ,
და რომელ მგოსანს შხამით ათრობენ?
მითხარი, ნინა,
ეკატერინა,
შვიდი ნაწნავი რომ გერტყა —
მართა, —
ნუთუ აღარ ხართ
ამ ქვეყნად მართლა?
და ან უთქვენოდ
რაღა ფასი აქვს
თბილისის დილას,
ქართლის ალიონს?
ვინ ამოსწიოს ხმალი კვლავ თქვენთვის,
ან ყანწი თქვენთვის ვიღამ დალიოს?
სტუმრებიღა ხართ
ჩემი სარკმელის —
როცა მოსკდება მთვარის ნამქერი...
და თვითეული ზოლი მთვარისა
თქვენი დალალის ჩქერი მგონია...
ოჰ, მეხარბება მე მათი ბედი,
ვისიც იყავით შარავანდედი,
ვისაც თქვენი ხმა გაუგონია...
თქვენი საყურის ჩრდილის ქვეშ ტუჩი
ვინც ერთხელ ჩუმად, გინდაც ფარულად
ჩაიტკბარუნა.
მე მას მოვკლავდი! მაგრამ რა ვუყო,
უკვე ამ კოცნით ქცეულა მტვრადა...
ახლა ვის გინდათ გული გაუყოთ,
მე რათ მიღიმით, მითხარით, რადა?
თქვენს აბრეშუმთა ზვირთში ვიღვრჩვები
ვაჰ, თქვენი ზღვიდან ვერ გამოველი!
არ ვიცი, როგორ გადაგირჩებით,
მაგრამ დაღუპვას თქვენგან მოველი!
მანანა ნინა, ეკატერინა,
შვიდი ნაწნავი რომ გერტყა მართა,
ნუთუ აღარ ხართ ამ ქვეყნად მართლა?
თქვენი მთიებნი სადღა ნათობენ
და სიტკბოებით სად, ვის ათრობენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ სულაკაური

★

# ტალღები ნაპირისკენ მიისწრაფიან

1

ჯარისკაცმა მიცვალებულს ფარაჯა გადააფარა და წელში გასწორდა. მზერა რატომღაც გადატიტვლებულ ბორცვზე შეაჩერა. „ალბათ იმ ბორცვიდან ზღვა ხელის გულივით მოჩანს“, — გაიფიქრა მან და მერმე საკუთარ ფიქრს ფიქრითვე გაეპასუხა: „თუმცა სულერთი არ არის, მოჩანს თუ არა?“

ზღვიდან მსუსხავმა ქარმა დაუბერა. სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა.

როდესაც ჯარისკაცი ფარაჯას იხდიდა, წინდაწინვე იცოდა, რომ დიდი სიცივის გადატანა მოუხდებოდა, მაგრამ მას არ უნდოდა, ეს საცოდავი ქალი ცის ანაბარა მიეტოვებინა. ფარაჯა გაიხადა და სუდარასავით გადააფარა. ეგონა, მიცვალებულის წინაშე უკანასკნელი ვალი მოვიხადეო.

ჯარისკაცი ისევ დაიხარა და მიწაზე დაგდებული ქუდი აიღო. მუხლზე დაფერთხა და დაიხურა. შაშხანას დასწვდა, წასვლა დააპირა. მზერა მაინც ბორცვისკენ გაექცა. „იქიდან ნამდვილად დიდი სივრცე მოჩანს“. — არ ასვენებდა აკვიატებული, აბეზარი ფიქრი. მერმე, თითქოს ვიღაცის გასაგონად, ხმამაღლა იკითხა:

— რა მოხდება, იქ რომ დავმარხო?

ერთხანს დუმდა. იტყოდი: პასუხს ელოდებაო, მაგრამ პასუხი მას თვითონვე მზად ჰქონდა:

— გავუთხრი საფლავს და დავმარხავ...

დიდხანს აღარ უფიქრია. ჩქარი ნაბიჯით გასწია ბორცვისაკენ. გზადაგზა იხსნიდა ქამარზე მიმაგრებულ ნიჩაბს. აღმართზე ახლა სხვა ფიქრი წამოეწია: „საოცარია, ალბათ ომამდე ის ბორცვი ბევრს შეუნიშნავს და უოცნებია კიდეც, ზედ ლამაზი საგარაკო სახლი წამოეჭიმა... ახლა კი ასეთი ადგილები ხაფლავისთვის თუ გამოდგება...“

ბორცვზე ასულ ჯარისკაცს ზღვისკენ არ მოუხედავს. ჩრდილოეთით გამოჩნდა ტრამალი, რომლის იქით მთები იწყებოდა. დათოვლილ მთებს მძიმე, ნაცრისფერი ღრუბელი აწვა, ხოლო ტრამალი სიკვდილის ყვავილებით — ხის ჯვრებით მოჩითულიყო. სასაფლაოზე შემორჩენილი ძველი თოვლი თეთრად ელავდა. ჯარისკაცი ზემოდან დასცქეროდა მას და ეჩვენებოდა, თითქოს ყორნები აფრენილიყვნენ და თეთრ თოვლზე შავ-შავი ნაფეხურები დაეტოვებინათ.

ჩრდილო-აღმოსავლეთით ბოლავდა დარბეული, გაპარტახებული საპორტო ქალაქი.

პორტში ჩაძირულ გემებს ზღვიდან ამოეყოთ ანძები დასაღრჩობად განწირული კაცის ხელებივით. რამდენიმე კატერი სრუტეში გასულიყო — მეორე ნაპირზე გადაჰყავდა მებრძოლები. კატერებს გარდა, იისფერ ზღვაზე მიმოფანტული ნავები ჩანდა. ისინიც მეორე ნაპირისაკენ მიისწრაფოდნენ.

დასავლეთიდან ისმოდა ქვემეხთა გუგუნი.

გერმანელები უტევდნენ ნახევარკუნძულს.

ჯარისკაცმა თვალით მონახა ის ადგილი, სადაც თავისი ათეული ეგულებოდა. ისინი, ქალაქის სამხრეთ გარეუბნიდან ხუთიოდე კილომეტრით დაშორებულნი, სანგრებში ისხდნენ [illegible]

ნებას ელოდნენ. რამდენიმე საათის შემდეგ ქალაქში უნდა შესულიყვენ და იქიდან ალბათ მათაც გადასხამდნენ მეორე ნაპირზე.

— ჩქარა უნდა დავბრუნდე... ხომ შეიძლება, რაღაც იფიქრონ. — ჩაილაპარაკა თავისთვის ჯარისკაცმა და საფლავის თხრას შეუდგა.

გაყინული მიწა ნიჩაბს არ იკარებდა, ისხლეტდა, ჯიუტობდა.

ჯარისკაცი აღარაფერზე აღარ ფიქრობდა, ჩქარობდა. მუშაობა თანდათან უადვილდებოდა: სიღრმეში მიწა თბილი და ფხვიერი იყო.

იგი უკვე ყელამდე იდგა საფლავში...

— მე მგონი, საკმარისია, — თქვა და საფლავიდან ამოძვრა, სახიდან ქუდით მოიწმინდა ოფლი, ნათქვამს დაუმატა: — ახლა აღარ თხრიან ამ სიღრმე საფლავებს. თუმცა სწორედ ახლა უნდა თხარონ ღრმა საფლავები.

თავქვე დაშვებას აპირებდა და თვითმფრინავების გუგუნმა შეაჩერა. ხმაზე იცნო: ჩვენები არ იყვნენ. ცას გახედა. არ შემცდარა: ისინი მოდიოდნენ მრისხანედ, შემზარავად, გზას არავინ ულობავდა. საოცარი სისწრაფით უახლოვდებოდნენ მას, ცოტაც და თავზე გადაუფრენდნენ.

— ჯანდაბას, თქვენი თავი! — წამოიძახა ჯარისკაცმა, მაგრამ სიტყვები არ გაუგონია, ყუმბარების გრიალმა დაფარა იგი.

ისინი ბომბავდნენ ნახევარკუნძულს და ჯარისკაცს ახლაც ისე მოეჩვენა, თითქოს კი არ ბომბავდნენ, ზედმეტ ყუმბარებს იცილებდნენ თავიდან. ერთმა თვითმფრინავმა მას სულ ახლოს ჩაუქროლა, ნაცნობი წივილი თუ სტვენა შემოესმა, სტვენას აფეთქება მოჰყვა.

როდესაც ჯარისკაცი გონს მოეგო, აღმოჩნდა, რომ საფლავში იწვა. მას აღარ ახსოვდა, როდის ან როგორ მოახერხა შიგ ჩახტომა. გულმა ვეღარ გაუძლო, სამარიდან თავი ამოყო და ზღვისკენ გაიხედა.

ერთი თვითმფრინავი კატერისკენ დაეშვა. კატერის ახლო-მახლო ოთხი თუ ხუთი წყლის სვეტი აღიმართა და ერთი წამით ცას შეეყუდა. ახლა მეორე თვითმფრინავი მოწყდა და დაექანა კატერისაკენ. ჯარისკაცმა თვალები დახუჭა და საფლავში ღრმად ჩაჯდა, უფრო ჩაწვა. რატომღაც ეგონა, თუ არ შეხედავდა, ისინი მიზანში ვერ მოახვედრებდნენ ყუმბარას.

ჯარისკაცამდე ხმაური აღარ აღწევდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ოთხივე კუთხით მიწა იყო, ხოლო ზევით — საფლავის ოდენა ცის ოთხკუთხედი ნაჭერი მოჩანდა. ჯარისკაცი გრძნობდა, რომ ზღვაზე საშინელება დატრიალდა.

— დაწყევლოს ღმერთმა, სამარეში შეიძლება კაცი გაგიჟდეს! — წამოიძახა მან. მერმე წამოდგა და საფლავიდან ამოცოცდა.

ისევ ზღვას დააშტერდა. თვალებში ჩაუგუბდა სიბრალული, რომლის იქით ძლივსშესამჩნევი მრისხანება ნაპერწკალივით ციმციმებდა. ეს ნაპერწკალი თანდათან ღვივდებოდა და, როგორც ცეცხლი თივას, ისე ნთქამდა თვალებში ჩამდგარ სიბრალულს. მის მზერაში ახლა მრისხანების ცეცხლი ენთო.

შორს იძირებოდა ცეცხლმოკიდებული კატერი. ჯარისკაცი პირველად ხედავდა ამ შემზარავ სურათს, პირველად აღიქვამდა ზღვას, როგორც უზარმაზარ სასაფლაოს, სადაც არ იყო არც ხის ჯვრები, არც საფლავის ქვები და არც ობელისკები. ზღვა თითქოს ადამიანებს იპარავდა და თავის წიაღში მალავდა. არავითარ ნიშანკვალს არ ტოვებდა მათი არსებობის შესახებ. თითქოს იყო და არა იყო რა...

ჯარისკაცი თავქვე დაეშვა. „მიწა არ არის ზღვა, — ფიქრობდა გზადაგზა, — მიწა ინახავს ადამიანთა ხსოვნას... მე მას დავმარხავ და თავთან დავუდებ დიდ ქვას... ზღვის ჯინაზე... ზღვის ჯინაზე... და თუ ოდესმე აქეთ მომისვრის ბედი, იმ ქვას დავაწერ, რომ აქ განისვენებს ქალი, რომელსაც სიცოცხლე უნდოდა, ჰქონდა და წაართვეს. ის ქვა საუკუნეებს გაუძლებს...“ მას ფიქრი არ დაუსრულე-

ბია, შეჩერდა გზის პირას, სწორედ იქ, სადაც წეღან ქალის გვამს ფარაჯა გადაახურა. აღარც ქალი იყო და აღარც ფარაჯა. იყო ყუმბარისაგან ამოთხრილი ორმო და მეტი არაფერი... ჯარისკაცი დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეფიქრა, რა ეღონა. გაწბილებულივით გაბრუნდა.

ტოტებდალეწილ, დაჩონჩხილ ხეზე ფარაჯის ნაფლეთს ქარი აფრიალებდა, ხოლო ბორცვზე ღიად დარჩენილი საფლავი დევის ამოშანთული თვალივით უაზროდ მისჩერებოდა ზეცას.

2

ჯარისკაცს მხარზე მოეგდო შაშხანა და გზას მიჰყვებოდა.

კარგად ახსოვდა ის დღე, როდესაც პირველად შეხვდა ამ ქალს. ეს არც თუ ისე დიდი ხნის ამბავი იყო.

მას ასმეთაურის ბარათი მიჰქონდა დივიზიის შტაბში. გზად პატარა სოფელი უნდა გაევლო. წინდაწინვე იცოდა, რომ ამ სოფელში ძეხორციელი აღარ ცხოვრობდა, მიეტოვებინათ იგი და სადღაც აღმოსავლეთით გადაბარგებულიყვნენ.

სოფელი მართლაც მიტოვებული აღმოჩნდა. საოცარი სიჩუმე სუფევდა, მკვდრული, უსიცოცხლო. ბეღურებიც კი აღარსად ჩანდნენ, მათი ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ვიწრო შუკა ხმამაღლა ითვლიდა ჯარისკაცის ნაბიჯებს და ერთგვარად აცოცხლებდა გაპარტახებულ სოფელს. ნაბიჯების ხმა ჰგავდა იმ სუსტ მაჯისცემას, რომლითაც მომაკვდავ ადამიანს სიცოცხლის ნიშანწყალს ატყობენ ხოლმე.

სახლისა თუ ქოხის დარაბები ყველგან ჩარაზული იყო, კარი — მაგრად გამოკეტილი. ბაღ-ბოსტნებში შალაფა მოხშირებულიყო, კიბეებზე — ხავსი.

ჯარისკაცს უცნაური გრძნობა დაეუფლა, უნდოდა მალე გასცლოდა აქაურობას, გასცლოდა შემზარავ დუმილს, სიცარიელეს, უკაცრიელობას. ნაბიჯს მოუმატა, თითქმის გარბოდა.

მოულოდნელად გზის მარჯვენივ ძველი ქოხის ფანჯარა ჭრიალით გაიღო. ჯარისკაცმა ნაბიჯს უკლო, მერმე გაჩერდა და, გაოცებულმა, ღია ფანჯარას მიხედა.

— გამარჯობა, — მოესმა ქალის ხმა.

მან სალამს სალმითვე უპასუხა, მაგრამ ჯერჯერობით ვერავინ დალანდა. ღია ფანჯრიდან მხოლოდ სიბნელე იხედებოდა.

ფანჯრის შემდეგ ქოხის კარი გაიღო. ჯარისკაცმა ახლა იქით მიიხედა. კარის დირეზე ქალიშვილი გადმოდგა. მას ფერმკრთალი და გაცრეცილი სახე ჰქონდა, თმა — აბურდული, ეტყობოდა, დღეს დილით არ დაევარცხნა.

ქალიშვილი იღიმებოდა, მაგრამ ეს ღიმილი ჩვეულებრივს არ ჰგავდა. ვაჟი პირველად ხედავდა ასეთ ღიმილს და ვერ მიმხვდარიყო, რას გამოხატავდა იგი.

ვაჟი ჭიშკარს მიადგა. ქოხში შესვლას არ აპირებდა, მაგრამ მაინც მიადგა ჭიშკარს, თითქოს თოკებით ეწეოდნენ.

— შემოდი, მე მარტო ვარ, — დაუძახა ქალმა.

ვაჟმა გააღო ჭიშკარი და ეზოში შევიდა.

ქალიშვილი იმავე ღიმილით იღიმებოდა.

— მთელ სოფელში ჩემს მეტი არავინაა.

ვაჟმა კიბე აიარა. ქალიშვილი მას ოთახში შეუძღვა.

ოთახი პატარა იყო, მაგრამ ორ საწოლს, მაგიდას, რამდენიმე სკამს და თეთრად შეფეთქილ ღუმელს მაინც იტევდა. ქალიშვილმა ვაჟს სკამი შესთავაზა და თვითონაც მაგიდას მიუჯდა.

— დაჯექი, ნუ გერიდება.

ვაჟმა შაშხანა კედელზე მიაყუდა, ზურგჩანთა მოიხსნა და იატაკზე მიაგდო.

— დაჯექი, — გაუმეორა ქალიშვილმა.

ვაჟი დაჯდა.

დუმილი ჩამოვარდა. არცერთმა არ იცოდა, საიდან დაეწყო საუბარი.

— რომელი საათია? — იკითხა ვაჟმა.

ქალიშვილმა ნაცრისფერი ხალათის სახელო გადაიწია.

— სამი.

ვაჟმა სახეში შეხედა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ იგი საკმაოდ ლამაზი იყო. მას შავი ღრმა თვალები, პატარა, სწორი, ოდნავ პაჭუა ცხვირი და ამობურცული ტუჩები ჰქონდა. ტუჩები რატომღაც დახეთქოდა.

— გეჩქარება? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— არა... ჰო... თუმცა ცოტა ხანს დავრჩები, — უპასუხა ვაჟმა.

— ქუდს რატომ არ იხდი?

ვაჟმა ქუდი მოიხადა და გადახოტრილი თავი გამოაჩინა. ქუდი ერთხანს ხელში ათამაშა, აწვალა, მერმე მუხლზე დაიდო, მარჯვენა ხელი მაგრად დააჭირა. სული მოითქვა, თითქოს თითები კი არა, ქუდი აწვალებდა მის თითებს.

„რატომ შემოვედი? — ფიქრობდა იგი, — მე თვითონ არ ვიცი, რატომ შემოვედი. ან ეს ქალიშვილი რატომაა აქ? მთელი სოფელი გაკრეფილა, ეს კი ფეხსაც არ ადგამს ქოხიდან".

— რაზე ფიქრობ? — ისე ჰკითხა ქალიშვილმა, თითქოს ფიქრს მიუხვდაო.

— არაფერზე, — ძლივს ამომარცვლა ვაჟმა და გაწითლდა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა, — შენ რატომა ხარ აქ?

— მე არ მინდოდა დარჩენა, მაგრამ პაპაჩემმა დაიჟინა, სადაც დავიბადე, იქ უნდა მოვკვდეო. მოხუცები ხანდახან ისეთ რამეს აიჩემებენ, რაც მათ ასაკს არ შეჰფერის.

— მერმე?

— მოხუცი ვერ მივატოვე.

— სადაა პაპაშენი?

— ქოხის უკან, ბაღში დავასაფლავე. მე თვითონ გავუთხარე საფლავი.

— რა უნდა ჰქნა ახლა?

— მე? არ ვიცი... როცა სოფელს ტოვებდნენ, გლეხები ამბობდნენ, გერმანელები ერთ კვირაში აქ იქნებიანო. უკვე რამდენიმე კვირა გავიდა და არ ჩანან. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენები დაბრუნდებიან... სოფელი სოფლს დაემგვანება...

— თუ ასე არ გაგრძელდა?

— მაშინ მეც გავიქცევი აქედან... თამბაქო ხომ არა გაქვს?

— წეკო...

— სულერთია.

ვაჟმა შარვლის ჯიბიდან სათუთუნექისა და პატარა ოთხკუთხედებად დაკეცილი გაზეთი ამოიღო, მაგიდაზე დააწყო და ხელით მიაჩოჩა ქალიშვილისაკენ, რომელმაც ისე ოსტატურად გაახვია წეკო, რომ ვაჟი მიხვდა, ეს ხელობა უცხო არ იყო მისთვის. ქალიშვილიც მიუხვდა ჯარისკაცს და უთხრა:

— პაპაჩემს მარჯვენა ხელის დამბლა ჰქონდა და თამბაქოს მე ვუხვევდი.

ვაჟმა ასანთს გაჰკრა. სკამიდან წამოიწია და ქალიშვილისკენ გადაიხარა. უცებ, თითქოს კეფაში ჩაქუჩი დაჰკრესო, თვალები დაუბნელდა. მან ნაცრისფერ ხალათში თეთრსა და მკვრივ ძუძუებს მოჰკრა თვალი.

ქალიშვილმა ანთებულ ასანთის ღერს სული შეუბერა და ჩააქრო.

— მე უკვე მოვუკიდე, მადლობელი ვარ.

ვაჟი დაჯდა და იმწამსვე წამოდგა. ზურგჩანთისკენ ხელი წაიღო, მაგრამ მეორე ხელზე თბილი ხელის შეხება იგრძნო და მოტრიალდა.

— ნუ წახვალ. ორი კვირაა ადამიანი არ მინახავს.

ქალიშვილს გულის კოჯზამდე გადაღეღილი ხალათი. ვაჟმა შეამჩნია, რომ მას მკერდი უთრთოდა. შეამჩნია ისიც, რომ ხალათი ტიტველ ტანზე ჰქონდა მოცმული.

— მიდიხარ?

შეკითხვა უპასუხოდ დარჩა.

ქალიშვილმა გაზეთის ქაღალდში გახვეული წეკო, რომელიც საშინლად ბოლავდა, ლამბაქზე დადო და წამოდგა.

— შენი ნებაა... მე კი ისე მენატრებოდი... ხანდახან, როცა ჩამეძინებოდა, მესიზმრებოდი კიდეც.

— მე?

— ჰო, შენ!

ეს ისე უბრალოდ, ისე გულწრფელად თქვა, რომ ვაჟმა დაიჯერა. ქალიშვილი არა სტყუოდა. იგი მართლაც ხედავდა სიზმარში სწორფერს — ოცი წლის ჭაბუკს, ასევე თმაგადაკრეჭილს, მზითგარუჯულს, ჯანსაღს, რომელსაც ასევე

ჯარისკაცულად ეცვა. სხვანაირი არც დაესიზმრებოდა, ყველა ოცი წლის ჭაბუკი თავგადახოტრილი იყო და ხელები რუხ ფარაჯაში ჰქონდა გაყრილი.

— ნუ გეშინია, მე არა ვარ ცუდი გოგო...

ვაჟი გრძნობდა, რომ მუხლები ეკვეთებოდა. უცებ, თითქოს ქალიშვილის სიტყვების სიმართლეში დარწმუნება უნდაო, ორივე ხელი ნაცრისფერ ხალათში ჩასჭიდა და... ახლეტილმა თეძოებმა და მოქნილმა წელმა გაიელვა თვალწინ. ქალიშვილი უნებურად ვაჟს მიეკრო, რათა შიშველი ტანი დაემალა. ვაჟი მთელი ტანით თრთოდა, თან გაშმაგებით უკოცნიდა თბილ მკერდს, ყელს, მხრებს. იგი პირველად იყო ასე ახლოს ქალის სხეულთან.

ქალიშვილი თითქოს მინებდა. ვაჟმა აიტაცა იგი და საწოლისკენ წაიყვანა.

— მოიცადე.

ვაჟს აღარაფერი ესმოდა.

— მოიცადე... გული წამივა... ცოტა პური გექნება, სულს მოვითქვამ.

ვაჟი ელდანაკრავივით შედგა.

— შენ არ იფიქრო პურისათვის... არა...მაპატიე... ცუდად გავხდი.

— რატომ წეღან არ მითხარი?

— ახლაღა დამეხვა თავბრუ.

ჯარისკაცმა სკამთან მიიყვანა იგი და ფრთხილად დასვა. მერმე ზურგჩანთა გახსნა და ამოალაგა ჯარისკაცული მშრალი ულუფა — პური და ძეხვის ნაჭერი. ფერდაკარგული ქალიშვილი ხარბად მისჩერებოდა ჯარისკაცს ხელებში, არ სჯეროდა, თუ იგი გაიმეტებდა ამ სიმდიდრეს.

— ჭამე! უთხრა ჯარისკაცმა

— შენ?

— მე არ მინდა. არ მშია.

მან ქალიშვილს წინ დაულაგა პური და ძეხვი. უხმოდ გაეცალა. ღია ფანჯარასთან მივიდა, უაზროდ მიაჩერდა მდუმარე შუქას. წეღანდელი ვნება გულში მინავლულიყო და სირცხვილის მწვავე გრძნობა დაუფლებოდა.

სკამის ხმაურმა გამოარკვია. მან გაიგონა, ქალიშვილი როგორ ადგა და საწოლისკენ როგორ წავიდა. ოთახი პატარა იყო, მაგრამ ჯარისკაცს მოეჩვენა, რომ ქალიშვილი დიდხანს მიდიოდა. მერმე საწოლის ჭრიალიც მოესმა. მობრუნდა. ნაცრისფერხალათიანი ქალიშვილი ლოგინზე იწვა. ერთი ხელი თავქვეშ ამოედო, მეორე — მოწყვეტით გადმოვარდნოდა, ხალათი გულთან გადაღეღოდა, მარცხენა ძუძუ მოუჩანდა — მკვრივი და თეთრი. ქალიშვილი იღიმებოდა. ეს ღიმილი ძალიან ჰგავდა იმ ღიმილს, რომლითაც იგი კარისწინ შეეგება ვაჟს.

ჯარისკაცი კარგა ხანს უმზერდა მას და ფიქრობდა, რომ ღიმილი კმაყოფილებისა იყო. მაგრამ შემდეგ იმ ღიმილში დაინახა სულ სხვა, რამაც იგი შეაძრწუნა.

მას ადამიანის სახეზე ბედნიერების ღიმილი ხშირად უნახავს. უბედურების გამომხატველი ღიმილიც უნახავს ადამიანის სახეზე. ზოგჯერ შეუმჩნევია ღიმილი სინანულისა, მწუხარებისა, დანაშაულისა, ბოროტებისა თუ დაცინვის... ადამიანები ხანდახან იარაღივით ხმარობენ ღიმილს — ხან თავდაცვისათვის და ხან თავდასხმისათვის. ქალიშვილის ღიმილი იყო ბედნიერებაც, უბედურებაც, სინანულიც, მწუხარებაც, დანაშაულიც, გაბოროტებაც და დაცინვაც. იგი ამ ღიმილით თითქოს ვიღაცას ესხმოდა თავს და, ამავე დროს, თავსაც იცავდა.

— რაღას უცდი? — ძლივსგასაგონად თქვა ქალიშვილმა.

ჯარისკაცმა ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს სიტყვები. უხმობდა თუ აძევებდა? შესაძლო იყო ერთიც და მეორეც. მას მეორე უნდოდა. უნდოდა წასულიყო სადმე შორს, სადაც არ იქნებოდა არც ეს ქალიშვილი და... თვითონაც არ იქნებოდა. როგორც ჩანს, მაშინ დაკარგული ჰქონდა უნარი, გაეგო: რა იყო შესაძლებელი და რა არ იყო.

— შენ არ იფიქრო პურისათვის... არა... მე შენ ნამდვილად მესიზმრებოდი... მესიზმრებოდი, თუკი დამეძინებოდა....

ჯარისკაცი არ განძრეულა.

— მოდი ჩემთან... ჩემთვის სულ ერთია, შენ გიყვარვარ თუ არა... მე მიყვარხარ... მე ყოველთვის დაგელოდები შენ, ყოველთვის დამესიზმრები.

გამოხდა ხანი...

არც ერთს არ დაუძრავს სიტყვა. ჯარისკაცმა ნაზი ფშვინვა გაიგონა და ისევ შეხედა ქალიშვილს: მას ეძინა, ნამდვილად ეძინა. „ალბათ იმდენი ხნის უძილოა, რამდენი ხნისაც მშიერი იყო, — ფიქრობდა ჯარისკაცი, — რა თქმა უნდა, ასეა. შიმშილი არ აძინებდა, დანაყრდა და ძილი მოერია“.

მერმე, რამდენადაც მას შეეძლო, უხმაუროდ გადადგა ნაბიჯი და მიუახლოვდა ქალიშვილს, რომელსაც ღიმილი თანდათან შორდებოდა, თითქოს დიდ დარბაზში შუქს ნელ-ნელა აქრობდნენ. ღიმილთან ერთად მის სახეზე ქრებოდა ბედნიერება, უბედურება, სინანული, გაბოროტება, კმაყოფილება, მწუხარება, დაცინვა, დანაშაული და ამოუცნობი, ბნელი სიმშვიდე ეუფლებოდა, როგორც ღამე ეუფლება ხოლმე დედამიწას.

ჯარისკაცმა გადაღეღილი ხალათი გაუსწორა, მკერდი დაუმალა. გადმოკიდული ხელი ფრთხილად დაასვენა ლოგინზე და ნაცრისფერი ხალათის კალთა გადააფარა ბოლომდე გაშიშვლებულ ბარძაყს, რომელსაც ოდნავ ეტყობოდა განტოტილი, წვრილი ცისფერი ძარღვები.

ხოლო შემდეგ, როგორც იტყვიან, აიკიდა თავისი გუდანაბადი და იქაურობა მიატოვა. მოთეთრილი გზას გაუდგა.

დივიზიის შტაბში უთხრეს, რომ მას სამი-ოთხი დღე მაინც მოუხდებოდა მოცდა. იგი ამ ხნის განმავლობაში თავისი ულუფის მხოლოდ ერთ მესამედს ჭამდა, დანარჩენს ინახავდა.

ჯარისკაცს თითქოს ტვინი ჰქონდა მოწამლული. ნიადაგ ქალიშვილზე ფიქრობდა. ყურებში ზარივით რეკდა ნაცნობი ხმა:

— შენ არ იფიქრო პურისათვის... არა... მაპატიე... ცოტა პური გექნება... სულს მოვითქვამ...

პური, რაც ჰქონდა, მისცა. ქალიშვილმა სული მოითქვა და დაიძინა. ეძინებოდა, ისე ეძინებოდა, რომ ყველაფერი დაავიწყდა. როცა გაიღვიძებდა, რას იფიქრებდა ნეტავი? რა უნდა ეფიქრა? გული დაწყდებოდა. იქ რომ არ დახვედებოდა, უსათუოდ დაწყდებოდა გული... იტირებდა კიდეც.

— შენ, ეი, ძმობილო, შეყვარებული ხომ არა ხარ?

ჯარისკაცი შეაკრთო უცხო ხმამ. გამოერკვა. ვიღაც სერჟანტი თავზე დასდგომოდა და დამცინავად იღიმებოდა.

— ოცნების დრო არ არის. წადი, შტაბში გეძახიან.

ჯარისკაცმა შტაბში დავალება მიიღო და ისევ გზას დაადგა. რამდენიმე საათის შემდეგ უკვე სოფელში იყო. სოფელში კი არა, ნაცნობი ქოხის კიბეზე ადიოდა. ვიდრე კიბეზე ავიდოდა, ერთ ხანს ჰიშკართან იდგა, ქოხის ფანჯარა ღია იყო და მას უკვირდა, რომ ქალიშვილმა არ გადმოხედა. შემდეგ კიბეები აიარა და კარი შეაღო.

პირველი, რასაც მან თვალი მოჰკრა, იყო ჯარისკაცული ჩექმები, რომლებიც საწოლის წინ ელაგა. კარის გაღებისთანავე საწოლზე ვიღაც შეინძრა და ზურგიდან მოხედა კარის დირეზე მდგარს. ჯარისკაცმა გადახოტრილი თავი დაინახა და ელდაჩამდგარი თვალები.

კარი სწრაფად მიხურა. კიბოსავით უკან-უკან დაეშვა კიბეზე. გაფითრებულ სახეზე ცივმა ოფლმა დაასხა.

„მასთან ვიღაცაა... ისინი ერთად წვანან ლოგინში“, — გაიფიქრა ჯარისკაცმა.

3

მას შემდეგ გავიდა რამდენიმე თვე.

დღეს დილით კი ეს ქალი ჯარისკაცებმა ნახეს პირქვედამხობილი, გონდაკარგული. წყალი ასხურეს, მოასულიერეს. ქალმა დიდი შავი თვალები გაახილა და ისევ დახუჭა. ისევ ასხურეს წყალი. ერთმა ვალერიანის წვეთები ამოიღო ზურგჩანთიდან. დაალევინეს.

ათმეთაურმა თქვა:

— თან წავიყვანოთ, აქ ნუ დავტოვებთ.

გონთმომდგარმა ქალმა თურმე გაიგონა ეს სიტყვები და აფეთქდა:

— ლაჩრებო! თქვენ დიდი ხანია, რაც მიმატოვეთ!... მშიშრებო, თქვენ ყველას კაბები უნდა გეცვათ! სად გარბიხართ კურდღლებივით, ვის უტოვებთ მიწას.

ხმა ჩაუწყდა, თითქოს ყელში ხელი წაუჭირეს. მერმე მთელი ტანით აცახცახდა. ქალი ადიდებულ მდინარესავით ვეღარ ეტეოდა საკუთარ ტანში, შფოთავდა, ოხრავდა, ტანსაცმელს იგლეჯდა, სამი ჯარისკაცი ძლივს აკავებდა.

ათმეთაურმა ისევ თქვა:

— წავიყვანოთ!

ერთმა ჯარისკაცმა უპასუხა:

— ჯერ დავამშვიდოთ.

ქალის დამშვიდება არც ისეთი იოლი გამოდგა.

— დამანებეთ თავი! დამანებეთ თავი! — ყვიროდა იგი.

— შეეშვით! — ბრძანა ათმეთაურმა.

სამი ჩაჩოქილი ჯარისკაცი წამოდგა. სამივენი ისე დაღლილიყვნენ ამ სუსტ და ფერდაკარგულ ქალთან ბრძოლაში, რომ სულს ძლივს ითქვამდნენ.

ქალი პირქვე დაემხო მიწაზე და აქვითინდა.

ათმეთაურს ერთი ჯარისკაცი გამოელაპარაკა:

— მე დავრჩები მასთან... ეს ქალი ჩემი ნაცნობია. დავამშვიდებ და წამოვიყვან.

ყველამ უნდობლად შეხედა მას.

— არ მენდობით?! — გაოცდა ჯარისკაცი.

ათმეთაური კარგად იცნობდა ამ ჯარისკაცს. უთხრა, სად დაელოდებოდნენ და შვიდი კაცისგან შემდგარი ათეული წავიდა. ვერც ერთი მათგანი ვერ მიხვდა, რომ ქალის წამოყვანაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. იგი სულს ლევდა, იცლებოდა.

ჯარისკაცი ახლოს დაუჯდა ქალს და მთრთოლვარე მხარზე ხელი დაადო. ასე ედო მანამდე, ვიდრე პირქვე დამხობილი არ მიყუჩდა, ვიდრე მხრებმა თრთოლვა არ შეწყვიტა.

ჯარისკაცმა პირაღმა ამოატრიალა ქალი და მისი თავი მუხლზე დაიდო. სახეზე მიწებებული წვრილ-წვრილი კენჭები და მიწა მოაცილა. ქალი მძიმედ სუნთქავდა, ტუჩებს ნერწყვით ისველებდა, უფრო სწორედ, უნდოდა დაესველებინა.

— წყალი ხომ არ გინდა? — შეეკითხა ჯარისკაცი.

ქალმა დიდი ჩამქრალი თვალებით შეხედა მას. უმზერდა დიდხანს დაჟინებით.

— მიცანი? ჰკითხა ჯარისკაცმა

ქალს თვალები გაუფართოვდა.

— წყალი.

ორი ყლუპი მოსვა და ისევ ჯარისკაცს მიაშტერდა. სულს ძლივს იბრუნებდა.

— ოთხი დღეა, მოვრბივარ. მეტი აღარ შემიძლია.

უცებ გაიღიმა. ღიმილი ისეთივე იყო, როგორც იქ, საწოლზე.

მან ხელის აწევა სცადა! ჯარისკაცი შეეშველა. ქალმა ხელი სახეზე მოუსვა ალერსით, მერმე ყელზე ჩააცურა.

— შენა ხარ?

— მიცანი?

— მე ვიცი, შენ ერთხელ კიდევ იყავი ჩემთან. კიბეებთან შენი ზურგჩანთა ვიპოვე... შიგ პური იყო, თევზი და ძეხვი... შაქარიც.

— ჰო, მე ვიყავი შენთან... ის შენ გეკუთვნოდა და დაგიტოვე, — დაუმატა ბოლოს.

— მადლობელი ვარ... მაპატიე...

— მე არ გადანაშაულებ.

— შენ უნდა მაპატიო. მე სიცოცხლე მინდოდა... ცხოვრება მინდოდა... მე ადამიანი ვარ... სიყვარულიც მინდოდა.

— გითხარი, არ გადანაშაულებ-მეთქი.

— შენ რომ მოგეცადა, წამოგყვებოდი.

— სად?

— რა ვიცი, სადაც შენ წამიყვანდი.

— სად წაგიყვანდი, ჯარში ვარ.

— მეც ვიქნებოდი ჯარში. ყველა ჩემი ტოლი ჯარშია.

— ეგ ვერ მოვიფიქრე.

— როცა გამოვიღვიძე და იქ არ დამხვდი, ვიტირე, მთელი ღამე ვტიროდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იტირე? მეც ასე ვფიქრობდი: როცა გაიღვიძებდი და იქ არ დაგხვდებოდი, იტირებდი.

— სამი დღე ფანჯარასთან გავატარე. მეოთხე დღეს ნაბიჯების ხმა მომესმა.

— მერმე?

— მე შენ მეგონე.

— მერმე?

— ის ძალიან გგავდა შენ, მაგრამ შენ არ იყავი ის. შენ შეგეძლო ჩემი სიყვარული, მას — არა. ერთი შეხედვით, თქვენ ყველანი ისე ჰგავხართ ერთმანეთს...

— უნდა მომეფიქრებინა შენი წაყვანა... ეჰ! მე, საერთოდ, არ შემიძლია ასეთი რამის მოფიქრება.

— მე მოფიქრებული მქონდა, მაგრამ ჩამეძინა.

— ჰო, შენ ჩაგეძინა.

— წყალი!

ქალმა მათარიდან წყალი მოსვა და ღრმად ამოისუნთქა.

— მადლობელი ვარ... რამდენი ვილაპარაკეთ. არ მეგონა, თუ ამდენ ლაპარაკს შევძლებდი.

— გშია?

— არ ვიცი.

— თუ გშია, გაჭმევ.

— არ მინდა... მე ახლა მშვიდად მოვკვდები.

— ნუ ამბობ მაგას.

ქალს ჯარისკაცის ყელიდან ხელი ჩამოუვარდა. თვალები დახუჭა.

„მაშინ თუ ვერ მოვიფიქრე, ახლა ხომ მოფიქრებაც არ მინდა. წამოვაყენებ და წავიყვან. თუ სიარული ვერ შესძლო, ავიყვან“, — ფიქრობდა ჯარისკაცი. ცოტა ხნის შემდეგ ეს ფიქრი ქალს გაუზიარა. ქალმა გაიღიმა.

— უკვე გვიან არის.

— რატომ გგონია?

— გაჩუმდი, აღარ შემიძლია ლაპარაკის მოსმენა, აი, ეს ღილი გამიხსენი.

ჯარისკაცმა საკინძე შეუხსნა.

— აი, აქ დამადე ხელი, — უთხრა ქალმა მილეული ხმით.

ჯარისკაცმა პერანგის ქვეშ ხელი შეაცურა და მარცხენა ძუძუსთან დაადო.

— გესმის გულისცემა?

— არა.

— უფრო მაგრა დამადე.

— მგონი მესმის.

— ვქრები. ახლა არცა მშია და არცა მცივა.

ქალმა თვალები გაახილა, დიდი შავი თვალები უცებ ცრემლებით აევსო. ცხვირის ნესტოები დაებერა, ტუჩები გაუფითრდა და აუთრთოლდა.

ჯარისკაცმა წელზე ხელი მოხვია, თავისკენ მიიზიდა ქალი და გულში ჩაიკრა. თვითონაც თრთოდა. ოღონდ არა ისე, როგორც ქოხში. ეს თრთოლვა სხვაგვარი იყო.

— რა საოცარია ცხოვრება, — თქვა ჯარისკაცმა, — გუშინ ჩვენ ქვეყნის მომავალი გვერქვა, დღეს მეომრები ვართ და სხვა თაობის მომავალს ვიცავთ... ჩვენი თაობა...

— მე არ მესმის შენი ლაპარაკი, — გააწყვეტინა სიტყვა ქალმა.

„რა სულელი ვარ, — ფიქრობდა ჯარისკაცი, — მას არ ესმის ჩემი და ვერც გაიგებს. მე არ ვიცი, როდის რა უნდა ვთქვა“.

ქალი არა შფოთავდა, არც ტანჯვა ჰქონდა სახეზე გამოხატული. ეს კი იყო, მძიმედ სუნთქავდა და თვალები მაგრად ჰქონდა დახუჭული, თითქოს ეშინოდა, ვინმემ ძალით არ გამიხილოსო.

ჯარისკაცი წამოდგა და მომაკვდავი ხელში აიტაცა. „წავიყვან, — გაიფიქრა მან, — როგორ შეიძლება, ასე ლენჩივით იჯდე და უცდიდე, როდის მოვა სიკვდილი“.

— დამაწვინე... არ შემიძლია, ყველაფერი მტკივა... დამაწვინე, — ამოიკვნესა ქალმა.

— არა, არა, ჩვენ წავალთ... ასე ვერ დაგტოვებ.

ჯარისკაცი თითქმის მირბოდა, თან ატატებული ქალი მიჰყავდა.

— ნელა! — კვნესოდა ქალი.

— ცოტა კიდევ მოითმინე, — ეხვეწებოდა ჯარისკაცი.

— დედა!

— სულ ცოტა, ცოტა კიდევ მოით-

მინე...

— თქვენ ყველანი ლაჩრები ხართ, მხდლები! კურდღლებივით გარბიხართ!

— არა ვართ ლაჩრები, არა! შენ არ იცი, ჩვენ გმირები ვართ, ნამდვილი გმირები!.. სხვაა გმირობა შეტევისას, სხვაა — უკან დახევისას. შენ ეს არ იცი, არა, არ გესმის.

ქალმა უსიცოცხლო თვალები გაახილა, საცოდავად გადაატრიალა...

— ყველაფერი ნაცრისფერია, მხოლოდ ცაა ლურჯი, — თქვა ჩურჩულით.

იგი ჰაერში გარდაიცვალა, ორი ძლიერი მკლავი იყო მისი სარეცელი.

ჯარისკაცი ერთხანს კიდევ მირბოდა. მერმე იგრძნო: ქალის ლოყა, რომელიც მის ყელს ეხებოდა, გაცივდა. მან ცხედარი ფრთხილად დაასვენა გზისპირას და დიდხანს იდგა გაქვავებული. ბოლოს ფარაჯა გაიხადა და გადააფარა...

4

ჯარისკაცი როდესაც ყუმბარისაგან ამოთხრილ ორმოს მოსცილდა და თავის გზას გაუდგა, უჩვეულო შინაგანი მოთენთილობას გრძნობდა. უნდოდა სადმე მოლზე გულაღმა წამოწოლილიყო და ცისთვის უსასრულოდ ეცქირა. მაგრამ არც მოლი იყო და არც დრო ჰქონდა წამოწოლისათვის.

ნახევარი საათის შემდეგ იგი უკვე ზღვის პირს მიჰყვებოდა.

ზღვა ხმაურობდა.

„არა, არა, მე ნამდვილად უსუსური ვარ, — ფიქრობდა ჯარისკაცი, — ომი ომია, მაგრამ ის, რაც არ უნდა თქვა, მაინც ცხოვრებაა. უფრო მეტიც, ცხოვრებისეული კანონები ახლა გაშიშვლებულია და თვალსაჩინო. მე აქ შევეფეთე პირისპირ მათ და უსუსური აღმოვჩნდი. დავრწმუნდი, რომ არასოდეს არ მიცხოვრია, მხოლოდ მისწავლია, მიფიქრია, მიოცნებია და არასოდეს შემიმოწმებია ცხოვრებაში ჩემი ფიქრი, ჩემი ოცნება, ჩემი ცოდნა“.

ლურჯი ტალღები ხმაურით აწყდებოდნენ ნაპირს და ქაფადქცეულნი ხმაურითვე ბრუნდებოდნენ უკან. ზღვა თითქოს მიწაზე ამოსვლას ლამობდა, წყალწაღებულივით ხავს ეკიდებოდა, ებღაუჭებოდა.

„აკი მან მისაყვედურა: რომ მოგეცადა, წამოგყვებოდიო, — გაიფიქრა ჯარისკაცმა, — მაშინვე ვერ მოვისაზრე,... ვიფიქრე, ოთხი დღე ვიფიქრე და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ყველაფერი გვიან იყო... ვითომ გვიან იყო?“

ჯარისკაცი უხმოდ მიჰყვებოდა ზღვის ნაპირს. მარცხნივ შეუხვია და პატარა აღმართს შეუდგა. გორაკის იქით ათეული ეგულებოდა.

გორაკის იქით ათეული არ დახვედრია.

აქაც ყველაფერი ყუმბარებს გადაეხნა.

ჯარისკაცმა თავდაღმართი ჩაირბინა და სანგრებთან გაჩნდა. სანგრები ალაგ-ალაგ ჩაშლილიყო, მიწით ავსებულიყო. მან ერთგან შაშხანის კონდახი შეამჩნია, ხელი მოჰკიდა და მოქაჩა. ძვრა ვერ უყო. ისევ მოსწია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. შაშხანას ამოჰყვა ადამიანის ხელი, რომელიც თასმას მაგრად ჩაბღაუჭებოდა. ჯარისკაცმა თოფი გვერდზე მიაგდო. მიწიდან ამოჩრილი დაღვლარჭნილი თითები მუშტად შეიკრა, თითქოს ცას დაემუქრა.

ცას ყოველი მხრიდან ნაცრისფერი ღრუბელი შემოსეოდა. ღრუბლები უსაზღვრო სილურჯეს ნთქამდნენ.

ჯარისკაცი ფრთხილად შეეხო მიწიდან ამოშვერილ მაჯას, ისე ფრთხილად, თითქოს ნალმსა სინჯავდა.

მაჯა გაციებულიყო.

— ნუთუ ყველანი დაიღუპნენ? — წამოიძახა ჯარისკაცმა და ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზას გახედა. გზაზე კაცისშვილი არ ჩანდა. — იქნებ აღარ მომიცადეს და წავიდნენ? შეუძლებელია!

ამ დროს შორიდან, ძალიან შორიდან მოესმა ძახილი. იგი გაინაბა და მიაყურა, ძახილი განმეორდა, მაგრამ ვერ გაიგო, რომელი მხრიდან იძახდნენ.

— ეჰეი!

ჯარისკაცმა მიიხედ-მოიხედა, მერმე

გორაკი აირბინა. აქედან უკვე ზღვა მოჩანდა.

— ეჰეი!

ნაპირიდან ორმოცი — ორმოცდაათიოდე მეტრზე ჯარისკაცმა გადაბრუნებული ნავი დაინახა. ნავს ცალი ხელით კაცი მობღაუჭებოდა, მეორე ხელს ჰაერში იქნევდა, თან მთელი ხმით ღრიალებდა, მშველელს უხმობდა. „ეს ნავი ზღვაში საიდან გაჩნდა, — გაიფიქრა ჯარისკაცმა, — წეღან აქ გამოვიარე და არაფერი არ შემინიშნავს. თუმცა მაშინ... მგონი ზღვისკენ არც გამიხედავს. ჰო, არ გამიხედავს".

— მიშველე!

ისევ აყვირდა დასაღრჩობად განწირული კაცი, მაგრამ ხელი აღარ დაუქნევია, ეტყობოდა, უკვე იმდენად დაღლილიყო, რომ ხელის დაქნევას ვეღარ ახერხებდა.

ჯარისკაცი ზღვისკენ დაქანდა.

ტანსაცმელი საჩქაროდ გაიხადა და ნაპირზე დაყარა. ნოტიო ზღვაური სველი ზეწარივით შემოეტმასნა. სხეული გაულურჯდა, აეხორკლა. დედიშობილა ისე მიდიოდა ცივ ქვებზე, როგორც ჯამბაზი თოკზე. ზღვას რომ მიუახლოვდა, მცირე ხნით შეყოყმანდა. უცებ ტალღა ძალღივით ეცა ფეხებში. ჯარისკაცმა უნებურად უკან ისკუპა, მაგრამ შხეფები მაინც მიესხურა. წყლის წვეთები ეთბილა და უფრო გაბედულად მივიდა ზღვასთან, მუხლებამდე შევიდა.

ხელები ზღვაში დაისველა, ტანი დაიზილა და შეცურდა. გადაბრუნებული ნავისკენ სწრაფად მოუსვა.

ნავს რომ მიუახლოვდა, უცნობი გაეხმაურა. ძლივს ლაპარაკობდა, ქშინავდა.

— თუ ძმა ხარ, მიშველე, ეს ნავი როგორმე გავიტანოთ ნაპირზე.

— დაიღალე? — შეეკითხა ჯარისკაცი.

— ძალიან.

ჯარისკაცი ბოლოში მოექცა ნავს და ძლიერად ჰკრა ხელი. ნავი და ზედ დაკიდული კაცი ნახევარი მეტრით მაინც მიუახლოვდნენ ნაპირს.

— შენ კარგად ცურავ. მე რომ ასე ვცურავდე, ახლა უკვე ნაპირზე ვიქნებოდი, — თქვა უცნობმა.

— დამინახე და იმიტომ აყვირდი?

— არა.

— მაშ?

— ვიფიქრე, იქნებ ნაპირზე ვინმეა, გაიგონებს და მომეშველება-მეთქი.

ჯარისკაცი ისევ მიცურდა ნავთან და ხელი ჰკრა. ეს მოძრაობა რამდენჯერმე გაიმეორა. ნავი თანდათან ნაპირს უახლოვდებოდა.

— ოჰ, რა საშინელება იყო, არ მეგონა თუ გადავრჩებოდი.

— ბევრნი ისხედით ნავში?

— ოცნი.

— ოცნი?

— ჰო.

— ამ ნავში?

— ჰო, ამ ნავში... ეს ნავი არც ისე პატარაა.

— ყველა დაიღუპა?

— ყველა. ყუმბარა სულ ახლოს გასკდა და ნავი გადაბრუნდა. მე მათზე უკეთესად ვცურავდი, ზღვაში ფარაჯისა და ჩექმების გახდა მოვახერხე. იმანაც მიშველა, რომ ნავისთვის ხელი არ გამიშვია.

— კარგად მოქცეულხარ.

ნაპირამდე თხუთმეტიოდე მეტრი იყო დარჩენილი. უცნობს გალურჯებულ სახეზე იმედიანად აენთო თვალები, თუმცა არა, ეს არ იყო იმედის შუქი. მის თვალებში გამოუცნობი ველური ნაპერწკლები აკიაფდნენ. გაუფართოვდა უპეები, საიდანაც უხმოდ იღვრებოდა დაუოკებელი სიხარულის ყიჟინა.

— შეგიძლია ფეხზე დადგე. წყალი გულამდე არ მოგწვდება, — ახარა ჯარისკაცმა.

— გადავრჩი, ახლა ნამდვილად გადავრჩი! — წამოიძახა უცნობმა, მაგრამ ფეხზე დადგომა მაინც არ უცდია. თუნდაც ეცადა, იმდენად იყო დაღლილი, რომ ზღვის ფსკერზე ფეხს ვერ მოიკიდებდა.

ჯარისკაცმა წინიდან მოუარა ნავს და ნაპირზე აათრია. მერმე უცნობი გამოიყვანა.

იგი ზემდეგი აღმოჩნდა.

— ტანისამოსი გაიხადე, გავწუროთ, — უთხრა ჯარისკაცმა.

— ახლავე გავიხდი. ვიდრე გაშრება, შენი ფარაჯა მათხოვე ვიყინები.

— ფარაჯა არა მაქვს. დავკარგე.

— დაჰკარგე? მე კი შენი ფარაჯის იმედი მქონდა.

სიცივისაგან აკანკალებული ჯარისკაცი საჩქაროდ იცვამდა საცვლებს. ამ სიტყვებზე მან ალმაცერად გახედა ზემდეგს და გაოცებულმა ჰკითხა:

— შენ რა, ზღვაში ჩემს ფარაჯაზე ოცნებობდი?

ზემდეგმა ჯერ შარვალი და ქვედა საცვალი გაიხადა. შარვალი რამდენჯერმე გადაგრიხა თოკივით, მაგრამ ვერ გაწურა. დაღლილობისაგან ქანცი გამოლეოდა. ხელები დაბლა დაუშვა და ჯარისკაცს მუდარით მიაშტერდა. ჯარისკაცმა ფეხები ჩაყო ჩექმებში და მისკენ წამოვიდა. ჩაცუცქული ზემდეგი წამოდგა, მუხლები ძლივს გამართა.

— ამ სიცივესაც თუ გადავურჩით, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაყეფს, — თქვა ზემდეგმა.

— ნუ გეშინია, გადავურჩებით, — დაამედა ჯარისკაცმა.

სველი ტანისამოსი გაწურეს და იქვე ქვებზე გაფინეს გასაშრობად.

ჯარისკაცმა მას თავისი ხალათი ათხოვა, პური და დაკონსერვებული ძეხვი აჭამა, სული მოათქმევინა. ზემდეგს, ხემსის შემდეგ, ისედაც მოთენთილი სხეული მოუდუნდა, მიესვენა ქვებზე და წასთვლიმა. თხუთმეტ წუთს იწვა გაუნძრევლად. მერმე სიცივემ არ დააყენა. წამოხტა და ქვებზე დაიწყო ხტუნვა — გავხურდებიო.

— ამ უაზრო ხტუნვას სჯობს, ნავი გადმოვაბრუნოთ და წყალი ამოვხაპოთ, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ ზემდეგმა.

— ნავი?

— რა გაგიკვირდა? აქ ხომ არ აპირებ დარჩენას?

— აქ რა მინდა, — უპასუხა ჯარისკაცმა, — ქალაქში წავიდეთ. იქ ჩვენები არიან.

— სულელო, ვიდრე იქ მივალთ, ჩვენები აღარ დაგვხვდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა იცი?

— ვიცი. რაც მოხდა, ჩემი თვალით ვნახე.

— მეც ვნახე.

— შენ არაფერი არ გინახავს.

— მაშ რა ვქნა? —

— მოდი, მომეხმარე. ეს ნავი გადმომაბრუნებინე.

ნავი დიდი ვაი-ვაგლახით გადმოაბრუნეს. შიგ ჩარჩენილი წყალი ნიჩბებითა და კონსერვის კოლოფით ამოხაპეს. ნავი უკვე მზად იყო.

ზემდეგმა ხალათი გაიძრო და ჯარისკაცს მისცა.

— ჯერ გეცვას, შენი ტანსაცმელი სველია, — უთხრა ჯარისკაცმა.

— არა უშავს... დრო აღარა გვაქვს, — უპასუხა ზემდეგმა. თან სწრაფად იცვამდა ნახევრადსველ ტანისამოსს.

ჯარისკაცს უკვირდა, რომ ზემდეგი ასე ჩქარობდა.

— შაშხანა არ დაგრჩეს, ის თუნუქის კოლოფიც ნავში ჩააგდე, გამოგვადგება! — გასცა ბრძანება ზემდეგმა.

იგი ნავთან ჩაჩოქილიყო და ნიჩბებს ამაგრებდა. მერმე კისერი მიაბრუნა და ზურგიდან გახედა ჯარისკაცს.

— ჩქარა!

ჯარისკაცმა შეხედა ზემდეგს და მოულოდნელად გაფითრდა.

— მე არ წამოვალ! — ჯიუტად უთხრა მან.

— რატომ?

— მე შენთან არ წამოვალ! — ისევ თქვა ჯარისკაცმა.

— რატომ?

ზღვა ხმაურობდა.

ბორგავდა, მოძრაობდა, როგორც უზარმაზარი ცოცხალი სხეული. იგი აღარ იყო, გამჭვირვალე ლურჯი, ჩამოწოლილ ღრუბლებს მისთვის ფერი შეეცვალა — გაემუქებინა.

ჩაჩოქილი ზემდეგი წამოდგა და ჯარისკაცისაკენ გაემართა. ჯარისკაცმა თოფი გადმოიღო მხრიდან და ფეხზე შეაყენა.

— არ მომეკარო! მოგკლავ!

ზემდეგს ფერი ეცვალა. შეჩერდა და თვალებდაჭყეტილი მიაშტერდა პირისპირ მდგარს.

ისინი იდგნენ და თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს.

დუმილი ზემდეგმა დაარღვია:

— სინდისს გეფიცები, პირველად გხედავ.

— მე არ გხედავ პირველად... პირველად არც შენ მხედავ.

ზემდეგი დიდხანს აკვირდებოდა ჯარისკაცს. გონების თვალი გადაავლო განვლილ დღეებს. რამდენადაც შეეძლო, გაიხსენა ყველა ნაცნობი, ყველა, ვინც კი შეხვედროდა ცხოვრებაში ადრე თუ გვიან... ბოლოს, კი არ იცნო, მიხვდა, ვინ იყო ეს ჯარისკაცი, გაიღიმა და მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— მოგკლავ! — ისევ დაუძახა ჯარისკაცმა.

— თუ მოკვლა გინდოდა, რატომ არ მომკალი მაშინ, როცა ქოხის კარი შემოაღე.

— მაშინ ის ცოცხალი იყო...

— ის ქალი მე არ მომიკლავს... რა გინდა ჩემგან?.

„მართლაც, რა მინდა ამ კაცისაგან? გაუელვა ჯარისკაცს ფიქრმა, — როგორ შეიძლება მოჰკლა კაცი, რომელიც შენსავით არ ფიქრობს, შენსავით არ აზროვნებს, რომელსაც სხვანაირად ესმის ცხოვრება? მერმე რაა, რომ შენ იარაღი გაქვს ხელში, ძალა გაქვს და ის შენზე სუსტია... თუ შენ მართალი ხარ, დაარწმუნე, დააჯერე, რომ მართალი ხარ. სიმართლეს ადვილად გრძნობენ, ხვდებიან, მას არ უნდა არც იარაღი... არც მათრახი..."

ჯარისკაცმა თოფი მხარზე გადაიკიდა და გატრიალდა, დინჯად გაჰყვა ზღვის ნაპირს. ზემდეგმა ერთხანს უცქირა, შემდეგ მოწყდა ადგილიდან და დაედევნა. მკლავში ხელი ჩაავლო, შეაჩერა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა მან ღიმილით.

ისევ დუმილი ჩამოვარდა. დუმილი ჩამოვარდა მათ შორის, თორემ ზღვა ისევ ხმაურობდა, ბორგავდა და ცოცხალი სხეულივით მოძრაობდა.

— შენ დაღლილი ხარ, მეორე ნაპირამდე ვერ მიაღწევ... ამიტომ მებრალეჯები, — უთხრა ჯარისკაცმა და ეჭვით შეხედა თვალებში.

— მე მაინც მივაღწევ მეორე ნაპირს, როგორც არ უნდა ვიყო დაღლილი, — უპასუხა ზემდეგმა.

იგი გაშორდა ჯარისკაცს და ნავისკენ გაეშურა. ორივე ხელი საკუთარ მკლავებზე შემოეჭდო და აზუზული მიდიოდა.

ზღვიდან მსუსხავმა ქარმა დაქროლა.

ზემდეგი მარჯვენა ხელით დაეყრდნო ნავის ქიმს და ღიმილით მიუბრუნდა ჯარისკაცს.

— ჩემთვის სულ ერთია, შენ წამოხვალ თუ არა.

ჯარისკაცი ჩაფიქრდა.

— მეცოდები, — გასძახა ზემდეგმა,— შენ არ უნდა იყო უპატიოსნო კაცი... გაგიჭირდება... მოდი, დავივიწყოთ, რაც მოხდა.

ჯარისკაცმა ნავისკენ გადადგა ნაბიჯი...

5.

ისინი ორასიოდე მეტრით არც იქნებოდნენ ზღვაში გასულნი, როცა ზემდეგმა ნაპირზე ავარდნილი ბუქი შეამჩნია.

— აგერ, გახედე! ხომ გითხარი, მოვლენ-მეთქი!

ჯარისკაცი რიტმულად უსვამდა ნიჩბებს. ზემდეგის სიტყვებისათვის არც მიუქცევია ყურადღება, რადგან საპორტო ქალაქისკენ იხედებოდა და, თან, თავის ათეულზე ფიქრობდა. ახლა რომ ნავში იჯდა, მას დანაშაულად მიაჩნდა.

— გახედე, გახედე, მოტოციკლებით მოდიან! — გაიმეორა ზემდეგმა.

გერმანელები მართლაც მოადგნენ ნაპირს. შეჩერდნენ, ალბათ ნავი შეამჩნიეს.

— ფიქრი ჯარისკაცის საქმე არ არის!.

— რა სთქვი? — შეეკითხა ჯარისკაცი.

— ნაპირს გახედე, ხომ არ გეცნობიან?

ჯარისკაცმა ნაპირს გახედა და იკითხა:

— მოვიდნენ?

— ალბათ მარტო მოსვლას არ გვაკმარებენ.

ნაპირიდან მართლაც ესროლეს ნავში მსხდომთ. ერთხელ, მეორედ, მესამედ... ზემდეგმა შაშხანა დაითრია და ნაპირს დაუმიზნა. ნაპირიდან ისევ მოისმა სროლის ხმა. საპასუხოდ ზემდეგის შაშხანამაც იგრიალა, ხოლო ჯარისკაცმა უფრო სწრაფად აამუშავა ხელები, მთელი ძალღონით უსვამდა ნიჩბებს.

ზღვაზე ბინდი წვებოდა. ზღვა თანდათან მუქდებოდა.

ნაპირიდან ნავს არ ეშვებოდნენ, დაჟინებით უშენდნენ ტყვიებს. თავის მხრივ არც ზემდეგი აკლებდა სროლას, ისიც ახლიდა და ახლიდა ტყვიას დაბინდულ სივრცეს. უცებ მან იგრძნო, რომ ნავმა სიჩქარეს უკლო, აღარც ნიჩბები ტყლაშუნობდა მწყობრად. შეშინებულმა მოხედა ჯარისკაცს, რომელსაც ნიჩბებისთვის ხელი შეეშვა და თვალებდახუჭული ოდნავ გვერდზე გადახრილიყო.

— რა მოგივიდა?! — შესძახა ზემდეგმა.

ჯარისკაცი ხმას არ იღებდა. ხმის ამოუღებლად მოიხარა წელში და სახე ისე დამანჭა, როგორც დიდი ტკივილის დროს იციან.

— რა მოგივიდა?!

— არ ვიცი, არ ვიცი... — მილეული ხმით უპასუხა ჯარისკაცმა და მოიკრუნჩხა. მერმე წამოიწია და მოშვებული ნავში ჩაწვა.

ნაპირიდან სროლა არ ცხრებოდა. ერთი ტყვია ნავის ფერდს მოხვდა და გაკაწრა.

ზემდეგს ბევრი არ უფიქრია. თოფი მიაგდო და ნიჩბებს მიუჯდა. ნაპირისაკენ შიშით იხედებოდა და თან გამალებული ამოძრავებდა დაღლილ ხელებს.

ჯარისკაცმა თვალები გაახილა, საცრისოდენად გაახილა და ზემდეგს მიაშტერდა.

ნავს ისევ ესროდნენ...

— დაიღალე? — ძლივს გასაგონი ხმით იკითხა ჯარისკაცმა.

— რაზე მატყობ?

— რატომღაც გაფითრდი.

— მე კი არ გავფითრდი, ზღვამ იცვალა ფერი.

— სახეზე ოფლმა დაგასხა, — ისევ გამოელაპარაკა ჯარისკაცი.

— მართლა? უჰ, როგორ, დაიხუთა ჰაერი.

— პირიქით, ცივი ქარია, — ნაწყვეტნაწყვეტად ამომარცვლა ჯარისკაცმა, — განა ვერა გრძნობ?

— ვერა.

— მარჯვენა ნიჩბი მოუსვი, ნავს ერთ ადგილზე ატრიალებ.

— ცოტა ჩაიწი, შენს გვერდით დავწვები, — უთხრა ზემდეგმა.

— დაგჭრეს?

— ჰო, მომარტყეს მაგ წყეულებმა, ისიც რა დროს, ცოტაც და სიბნელეს შევაფარებდით თავს.

ნავს ზღვის ტალღები აქანავებდა. ისინი იწვნენ თავშექცევით, ერთმანეთს მიკრულნი და ხმას არ იღებდნენ... მხოლოდ სხეულის სითბოთი გრძნობდნენ, რომ ცოცხლები იყვნენ. ზღვის ქარი უბერავდა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ციოდა. პირიქით — ტანი უხურდათ.

— აი, მეც მოვდივარ, — ხმამაღლა თქვა ჯარისკაცმა, — შენ როცა მიდიოდი, არ ვიცი, რას ფიქრობდი... მე შენზე ვფიქრობ... თითქოს ახლა შენს მუხლებზე მე მიდევს თავი, როგორც შენ გედო ჩემს მუხლებზე... ხომ გახსოვს?

— ვის ელაპარაკები? — შეეკითხა ზემდეგი.

— ჰა?

— ვის ელაპარაკები?

— არავის...

ზღვაზე წყვდიადი გამეფდა. ქარი მატულობდა. ტალღა ტალღაზე იზრდებოდა.

ისინი ისევ უხმოდ იწვნენ და გრძნობდნენ, რომ ზღვა ახლა საბედისწეროდ ათამაშებდა მათს ნავს. მაინც დუმდნენ, ხმას არ იღებდნენ.

ძლიერი ტალღა მიეხეთქა ნავის ფერდს და დაასველა ნავში მწოლნი.

— ესღა გვაკლდა, — ხმადაბლა თქვა ზემდეგმა.

— როგორა ხარ? — შეეკითხა ჯარისკაცი.

— გადავრჩებით? — იკითხა ზემდეგმა.

— როგორა ხარ? — გაიმეორა კითხვა ჯარისკაცმა.

— ცოტა უკეთესად. ნატყვიარზე ხელი მაქვს დაჭერილი. მინდა სისხლის დენა შევაჩერო.

— სადა ხარ დაჭრილი?

— მხარში.

— მეც.

— რა გვეშველება, ქარი მაინც არ ამოვარდნილიყო, — წუხდა ზემდეგი.

ჯარისკაცს უნდოდა ეთქვა, თუ როგორ აწუხებდა ჭრილობა, მაგრამ ზემდეგს არაფერი უკითხავს და ისიც გაჩუმდა. უნდოდა კიდევ ეთქვა, რომ სისხლში ცურავდა და ხელის განძრევას ვერ ახერხებდა. არც ეს უთქვამს.

უზარმაზარი ტალღები ნავს ნაფოტივით ათამაშებდა. მაღლა აიტაცებდა და მერმე ისეთი სისწრაფით დააქანებდა, იფიქრებდი, ნავი წყალზე კი არ იდგა, არამედ დიდი სიმაღლიდან ეშვებოდა სადღაც უფსკრულში. ეს არაფერი, საქმე ის იყო, რომ ყოველი ტალღა თავის წილ შხეფებს ასხურებდა მათ და ხანდახან ამასაც არ სჯერდებოდა, ტალღის მოზრდილ ნაწილს სთავაზობდა. ისინი სანახევროდ წყალში იწვნენ.

— სხვისი ბედი არავის არ აწუხებს, — თქვა დუმილის შემდეგ ჯარისკაცმა, — შენ კი, ჩემო კარგო...

— ვის ელაპარაკები? — ისევ ჰკითხა ზემდეგმა.

— ჰო, რა ვიცი, ჩემთვის ვლაპარაკობ.

— ზღვა გაგიჟდა, ასე თუ გაგრძელდა, ნავი გადაბრუნდება.

ჯარისკაცს ხმა არ გაუცია. ზემდეგი აწრიალდა. წამოწევა სცადა. მარცხენა ხელს ნავში ჩაგუბებულ წყალში ატყაპუნებდა, თითქოს რაღაცას დაეძებდა.

— რას ეძებ? — ჰკითხა ჯარისკაცმა.

— კოლოფს. წყალი უნდა გადავღვარო.

— წყალი?

— რა გაგიკვირდა?

— მე კოლოფზე ვწევარ, მაგრამ განძრევა არ შემიძლია, ღონე არა მაქვს.

ზემდეგმა ფეხი მუხლში მოღუნა და ჯარისკაცს წელის ქვეშ შეუცურა.

— ოო! — იყვირა ჯარისკაცმა და სახე ტკივილისაგან მოექცა.

— კოლოფი მინდა გამოვიღო, თუ შეგიძლია, ცოტა აიწიე.

ჯარისკაცმა ამაოდ სცადა წელის აწევა. ზემდეგმა მეორედ შეაცურა ფეხი კოლოფის გამოსათრევად. თან ირწმუნებოდა, რომ თუ კოლოფს ვერ გამოაცლიდა, უსათუოდ დაიღუპებოდნენ.

ქარი თარეშობდა ზღვაზე. ტალღები ყალყზე დგებოდნენ და ყრუ ბუბუნით ბანს აძლევდნენ ქარის ძახილს. ზღვა ტალღიდან ტალღაზე საცოდავად ისროდა ნავს.

ზემდეგმა, როგორც იყო, ხელში მოიგდო თუნუქის კოლოფი. გაჭირვებით ხაპავდა წყალს და ზღვას უბრუნებდა. ყოველი მოძრაობა დიდ ტკივილს აყენებდა, ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ერთხელ ისიც კი გაიფიქრა, ამ ტანჯვას სიკვდილი მირჩევნიაო, მაგრამ ეს აზრი მაშინვე მკრეხელობად ჩათვალა და ნავიდან წყლის ამოხაპვა განაგრძო. ცოტა ხნის შემდეგ დაღლილი და გაწამებული მიესვენა ნავის კიჩოზე. იგი ღრმად სუნთქავდა.

— როგორ ქანაობს ეს ნავი, ძილს მგვრის, — წაილაპარაკა ჯარისკაცმა.

— დაიძინე... ვინ გიშლის, — დუმილის შემდეგ უთხრა ზემდეგმა.

— მეშინია, ვაითუ ვეღარ გავიღვიძო.

— ნუ გეშინია.

— მე არ მინდა, ძილში მოვკვდე... სიკვდილის წინ მინდა ვიფიქრო.

— მაინც რაზე გინდა იფიქრო? — ოდნავი დაცინვით შეეკითხა ზემდეგი.

— სიცოცხლეზე.

ზემდეგს ამ სიტყვების გამო უნდოდა თუნუქის კოლოფი ეთხლიშა ჯარისკა-

ცისთვის, მაგრამ კოლოფი შეენანა, შეიძლება წყალში გადამივარდესო, მას მოეჩვენა, რომ ჯარისკაცმა ყალბად წარმოსთქვა ეს სიტყვები. სხვა დროს, შეიძლება ეპატიებია კიდეც, მაგრამ ახლა ამ მაღალფარდოვნებამ გულისამრევად იმოქმედა მასზე.

— ეს ნავი აკვანივით ირწევა, — განაგრძო ჯარისკაცმა, — ჩვენ თითქოს ტყუპები ვართ და ერთ აკვანში ვწევართ...

ჯარისკაცს სიტყვები გააწყვეტინა ვეებერთელა ტალღამ, რომელიც ნავს ზედ გადაევლო. ნავი ისე გადაიხარა, რომ ზემდეგს ეგონა გადაბრუნდებაო, მაგრამ ნავი არ გადაბრუნებულა. ზემდეგი თავიდან ფეხებამდე დასველდა და ჰრიალობა აეწვა.

— გამიგონია, ჰრილობას წინათ მარილს აყრიდნენ, — თქვა მან, — იქნებ ამ მლაშე წყალმა გვიშველოს!

ჯარისკაცი დუმდა. ზემდეგმა უნებურად შიში იგრძნო, თავი წამოსწია და ჯარისკაცს გახედა... ბნელოდა და ვერაფერი გაარჩია.

— რას გაჩუმებულხარ? — ჰკითხა მან შიშნარევი ხმით.

— ვკვდები!

სიტყვა ქარის ფრთებმა აიტაცა და, როგორც ბალღმა წყლის ზედაპირზე ბრტყელი ქვა, ისე გაასრიალა იგი ტალღებზე და სადღაც ჩანთქა.

— რა სთქვი, გაიმეორე, რა სთქვი! — არ ეშვებოდა ზემდეგი.

ჯარისკაცს აღარ გაუმეორებია ნათქვამი.

ზემდეგის ხელი, რომელიც მაგრა ჩაბღუჯოდა თუნუქის კოლოფს, ისევ ამოძრავდა, ამუშავდა.

ქარმა და წყლის დინებამ ნავი სრუტიდან ზღვაში გაიტაცა. დაჭრილებს კი ეგონათ, რომ ტალღები მათ ერთ ადგილზე ათამაშებდა.

ნავი ნელ-ნელა იცლებოდა წყლისაგან...

მთვარემ ღრუბლებიდან თავი გამოყო და ზღვაზე მკრთალი შუქი დაღვარა. ღამის წყვდიადი ოდნავ გაფერმკრთალდა.

ზემდეგმა თვალებით დაუწყო ძებნა ჰორიზონტს. ამაოდ! გარშემო მხოლოდ წყალი იყო, ატორტმანებული, გამძვინვარებული წყალი, რომელსაც ალაგ-ალაგ ვერცხლის ფერი დაჰკრავდა. ეს ფერი მოძრაობდა, ტალღიდან ტალღაზე სრიალებდა, გადადიოდა, ქრებოდა, მერმე ისევ ჩნდებოდა.

მთვარემ ჯარისკაცის სახესაც დახედა. მაგრამ ჯარისკაცს არ აუხედავს მთვარისთვის. თვალები დახუჭული ჰქონდა და მძიმედ სუნთქავდა. რამდენჯერმე გააღო პირი, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ არაფერი არ უთქვამს და ისევ მოკუმა.

ზემდეგი კი მარცხენა ხელს ისევ ამუშავებდა. თუნუქის კოლოფი ნავის ფსკერზე ფხაკუნობდა. წყალს წრიტავდა. ზემდეგს ტუჩებიდან სისხლი სდიოდა. მან ტკივილისა და სიმწრისაგან დაჭიმა ტუჩები. აღარ შეეძლო და მაინც ხაპავდა წყალს, პატარა კოლოფი თანდათან მძიმდებოდა, თითქოს წყლით კი არა, გამდნარი ტყვიით ივსებოდა. ბოლოს კოლოფი ხელიდან გაუვარდა, ალბა სცადა და ვერ მოახერხა, გაშეშებული თითები აღარ ემორჩილებოდნენ.

— ჩვენ თუ გადავრჩით, სასწაული იქნება, — ამოიგმინა მან.

— თუ გადარჩი, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო ჯარისკაცმა, ეტყობოდა ოდნავ მოითქვა სული, — რას იზამ? იბრძოლებ?

— რაა?!

— იბრძოლებ?

— რა აზრი აქვს ბრძოლას, როცა მტერი ნამდვილად გვჯაბნის?

— ისინი ვერ გაიმარჯვებენ.

— ჩვენ?

— ჩვენ აუცილებლად!

— როდის?

— მე არ ვიცი როდის, მაგრამ ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ.

— შენ ისე მელაპარაკები, თითქოს ამ ნავში მესამეც იყოს ვინმე — ხანგრძ-

ლივი დუმილის შემდეგ უთხრა ზემდეგმა.

ნავი ტალღამ შეატორტმანა და ჯარისკაცს სათქმელი ტუჩებზე შეაცივდა. თვალები მაინც გაახილა და ზემდეგს შეხედა. მთვარის შუქზე გარკვევით დაინახა მისი გაფითრებული სახე. პირთან შავი ლაქები შეამჩნია, მაგრამ მან არ იცოდა, რომ ეს სისხლი იყო.

— ბოროტებას რომ გაემარჯვნა, ქვეყანა ადრევე დაიღუპებოდა, — თქვა მან.

— თუ ძმა ხარ, მომეშვი.

— მე თუ გადავრჩი, ვიბრძოლებ, მარტო შურისძიება არ მომასვენებს. სხვა რომ არა იყოს რა, ღიად დარჩენილი საფლავებისთვის ვიძიებ შურს,— ჯარისკაცს ხმა ჩაუწყდა, ბოლო სიტყვები ხრიალით წარმოთქვა.

ზემდეგმა ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ღიად დარჩენილი საფლავები. არც უკითხავს... ყოველ შემთხვევისთვის იგი დაჭრილის ბოდვად ჩათვალა.

მძლავრმა ტალღამ ჰაერში აიტაცა ნავი და დაშვებისას მეორე ტალღა შეანარცხა. დაჭრილებმა საშინელი რყევა იგრძნეს და შიშისაგან თუ ტკივილისაგან ყვირილი აღმოხდათ. ეს იყო განწირულთა ხმა.

ნავი გადარჩა გადაბრუნებას. ზემდეგმა ეს სასწაულად ჩათვალა, მაგრამ რა გადარჩენა ეთქმის, როცა ნავი თითქმის ნახევრამდე წყლით აივსო.

ჯარისკაცს ესიამოვნა წყალი. იგი ახლაც თბილი ეჩვენა. სიამოვნებდა ისიც, რომ ჭრილობა მლაშე წყლისაგან ეწოდა. ბავშვობისას, როცა თითს გაიჭრიდა ან ფეხს გაიკაწრავდა, იოდს წაუსვამდნენ ხოლმე. მას ეს მუქი სითხე შიშსა და, თან, რაღაც შეუცნობელ სიამოვნებას ჰგვრიდა. ამასვე გრძნობდა ახლაც.

ზემდეგი დუმდა. იგი ფიქრობდა იმაზე, თუ რა მოეხერხებინა ნავში ჩამდგარი წყლისათვის. ერთი ასეთი დარტყმაც და ნავი აყირავდებოდა ანდა პირამდე გაივსებოდა. მან დიდხანს ეძება ფეხით თუნუქის კოლოფი და ვერ მონახა. ალბათ იმ რყევის დროს ზღვაში გადავარდა. ზემდეგი სასოწარკვეთილებამ მოიცვა, მაგრამ ეს სასოწარკვეთა დიდხანს არ გაგრძელებულა. დაღლილი ხელი მოჰკიდა ჯარისკაცს ჩექმაზე და სუსტად მოქაჩა.

— რა გინდა! — შეეკითხა ჯარისკაცი.

— ჩექმა გაიხადე, წყალი უნდა გადავღვაროთ.

„ეს კაცი არ დაიღუპება“, — გაიფიქრა ჯარისკაცმა, მერმე დიდი ვაი-ვაგლახით ასწია მარცხენა ფეხი და ქუსლს მარჯვენა შეუყენა. დიდი წვალების შემდეგ ჩექმა ზემდეგს ეჭირა ხელში.

ჯარისკაცი წყალში მთელი ტანით იწვა, მხოლოდ თავი ჰქონდა ამოყოფილი მაღლა. ისე იყო, თითქოს თბილ საბანში შეფუთნესო.

— მე ახლა წყალში ვწევარ და ისევ შენზე ვფიქრობ. არ ვიცი რატომ ვფიქრობ შენზე: იქნებ იმიტომ, რომ შემეცოდე?.. არა ის არ იყო სიბრალული, ის უფრო მეტი იყო. მე შენ ნამდვილად...

— ვის ელაპარაკები?

— ჰა?

— მე ვიცი, ვისაც ელაპარაკები.

— შესაძლოა.

— ეჰ, მე არ ვიცოდი მაშინ...

ქარს მიმოეფანტა ღრუბლები და ცაზე მთვარის ირგვლივ წვრილ-წვრილი ვარსკვლავები აყვავებულიყვნენ. ნავი კვლავ ქანაობდა, თუმცა არა ისე, როგორც წეღან. ტალღებს ცოტათი დაეკარგათ მრისხანე და შემტევი იერი.

ზემდეგმა მაშინვე იგრძნო ეს, და ჯარისკაცს ახარა.

ჯარისკაცმა უგულოდ გაიღიმა.

ზღვა მაინც ყრუდ ბუბუნებდა.

ჩექმა წყლით იყო სავსე. ზემდეგმა სცადა წყლის გადაღვრა და გაუჭირდა. მეორე ხელი ვერ შეაშველა და ჩექმის ყელი იღუნებოდა, ტყდებოდა, წყალი ისევ ნავში იქცეოდა.

— ნეტავი განთიადამდე მაცოცხლა, — ხმამაღლა ინატრა ჯარისკაცმა.

„განთიადამდე, — ფიქრში თქვა ზემ-

დეგმა, — მას უნდა განთიადამდე იცოცხლოს... საოცარი კაცია, საქმე ის არის, არ მოკვდე, თორემ რა მნიშვნელობა აქვს როდის მოკვდები, განთიადზე თუ შუაღამით“...

უცებ საშინელმა ხმამ შეზარა იგი. ჯერ ვერ გაიგო, რა ხმა იყო, საიდან მოსკდა? და, როდესაც მიხვდა, ჯარისკაცი ყვიროდა, შეცბა, შიშნარევმა ეჭვმა გაუკაწრა გული და თვალებდაჭყეტილი მიაშტერდა მას. დაძაბულად უსმენდა, უნდოდა ამ ყვირილისთვის გამოეტაცა სიტყვები, აზრი, რათა გაეგო, რა აწუხებდა ჯარისკაცს.

მალე დარწმუნდა, რომ ეს ყვირილი არ იყო. ჯარისკაცი მღეროდა. თუმცა სიმღერა კი არა, ეს იყო ტკივილის ამოძახილი, ყრუ, უფორმო. მაგრამ ზემდეგმა მაინც დაიჭირა მასში სიმღერის კილოს მსგავსი რაღაც.

ჯარისკაცი ნამდვილად მღეროდა. თანდათან ახშობდა ქარის ზუზუნს, ზღვის ამოძახილს.

გაოცებული უსმენდა ზემდეგი, დაძაბული, კაცი გადაიქცა სმენად და თანდათან დაიწყო სიტყვების გარჩევა.

ჯარისკაცი მღეროდა [illegible]ად დარჩენილ საფლავებზე, გარდაცვლილ ქალზე, რომლის სასიკვდილო სარეცელი ჰაერში გაწვდილი ორი მკლავი იყო... იგი მღეროდა მიწიდან ამოჩრილ ხელზე, რომელიც ცას ემუქრებოდა... მღეროდა ზღვაზე, რომელიც ადამიანებს იპარავდა... იგი შურისძიებაზე მღეროდა.

ზემდეგი მიხვდა, რომ ჯარისკაცი ამ სიმღერას ახლა-ღა სთხზავდა, გრძნობდა, რომ ეს სიმღერა მას ავსებდა.

ჰო, ივსებოდა ერთი ჭურჭელი და მეორე — იცლებოდა.

ჯარისკაცს ხმა გაებზარა, ხრიალი შეეპარა. ახლა უკვე ქარისა და ზღვის გუგუნი ჯაბნიდა მას. ქარი სიმღერას ფლეთდა. სიმღერა დროშასავით იშლებოდა, იკეცებოდა, ტკაცუნობდა და იფლითებოდა. ნაფლეთებს ქარი იტაცებდა და მიაფრენდა.

გაოცებული უსმენდა ზემდეგი. მან რაღაც უხილავი იხილა, გაუგონარი გაიგონა, ჩაუწვდომელს ჩაწვდა.

ჯარისკაცი კვლავ მღეროდა. არა, ეს აღარ იყო სიმღერა. ეს იყო მხოლოდ ხრიალი, სხვა არაფერი. ხმა ამოილია, ამოიშრიტა ყელიდან, ხმა გათავდა...

ზემდეგს დავიწყებოდა, რომ ნავიდან წყალი იყო გადასაღვრელი, რომ ამ წყალში თვითონაც იწვა. დავიწყებოდა ის ჩექმაც, რომელიც ჯარისკაცს გახადა. ერთი ფიქრით გამსჭვალულიყო, სურდა, როგორმე გაეხანგრძლივებინა ჯარისკაცისათვის სიცოცხლე. მას ეგონა, ამ კაცის ბედი მას მიანდეს და თავს იმტვრევდა იმის გამო ფიქრით, რა ეღონა, როგორ ეშველა.

წყლის ამოხაპვით დაიწყო ამ კაცზე ზრუნვა. იგრძნო, ღონე მომატებოდა. ახლა არც ისე უჭირდა წყლის გადაღვრა.

ჯარისკაცი გაუნძრევლად იწვა. არაფერზე აღარ ფიქრობდა. არა იმიტომ, რომ საფიქრალი შემოლეოდა, არა, ფიქრი არ შეეძლო.

მის წარმოდგენაში ბუნდოვნად ისახებოდნენ განვლილი დღეები. ისახებოდნენ და მერმე ქრებოდნენ.

— დედა, მივდივარ, — თქვა ჩურჩულით ჯარისკაცმა.

როდესაც იგი შინიდან გადიოდა, „მივდივარო“, — დედას გააგონებდა. დედა შეეკითხებოდა: „შვილო, როდის დაბრუნდებიო?“ შვილი უპასუხებდა: „მალე“.

ახლა არავინ შეჰკითხვია და არც მას უპასუხია, როდის დაბრუნდება. წავიდა ჩუმად, უდრტვინველად. წავიდა ისე, თითქოს მალე დაბრუნდებოდა. სიკვდილის წინ ესა თქვა მხოლოდ:

— ნუშები... თეთრი ნუშები...

არავინ იცის, ამ სიტყვების წარმოთქმის დროს რა წარმოისახა მის გონებაში. იქნებ მართლა დაინახა გაზაფხული, რომელიც თბილი ღიმილით მიდიოდა ნაზამთრალ ზვრებში თუ ყანებში, ჭალებსა თუ მთის ფერდობებზე და გზადაგზა თეთრად აფეთქებდა ნუშებს.

* *
*

ზღვაზე თენდებოდა.

ნავში აღარ იყო წყალი, ორნი იწვნენ მხოლოდ, ერთი დაჭრილი და მეორე...

ზემდეგმა წამოიწია, რატომ წამოიწია, თვითონაც არ იცოდა. წამოიწია დიდი წვალებით და მუხლებზე დადგა. შორს თვალი მოჰკრა ნაპირს. შეამჩნია ისიც, რომ ტალღები ნაპირისკენ მიისწრაფიან.

ასე დაჩოქილი შეხვდა იმედივით მოსულ განთიადს, რომელიც სინათლეს ჰფენდა უსასრულო სივრცეს. ეს სინათლე მის სულსაც წვდებოდა და როგორც ზღვაზე, მის სულშიც იფანტებოდა სიბნელე.

— ნეტავი მასაც ეცოცხლა განთიადამდე, — თქვა და თვალებზე ცრემლი მოადგა. ამღვრეული მზერით დახედა ჯარისკაცს.

ჯარისკაცის სახეს ნათელი ადგებოდა.

— მე ვიძიებ შურს ღიად დარჩენილი საფლავებისთვის, — წარმოთქვა ჩურჩულით ზემდეგმა, თითქოს ლოცულობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალექსანდრე ქუთათელი

★

### თბილისის ზღვა

ტბა წყალს ითხოვდა მლაშე, გამშრალი,
როგორც დედის რძეს ბავშვი სნეული.
ხან აწუხებდა ქარი აშარი,
ხან კიდევ გვალვის ალხი წყეული.
მიწა დაშრიტა ხვატმა და ალხმა
და მისი შველა ივარაუდეს.
დაჰყვნენ... გათხარეს იორის არხი
და ძუძუსავით პირში ჩაუდეს.
მიწა დანაყრდა, კვება არგია,
ტბებიც შეერთდა, ზღვაებრ იმღერის
და ნაპირისკენ ახლა გარბიან
ტალღები თევზის ქერეჭისფერი.
ტბებმა ზღვის ძალა გამოიჩინა,
ციმციმებს ცივ წყლით განალაღები.
წამოქოჩრილი, როგორც ყვინჩილა
ზღვის ხმოვანებას ბაძავს ტალღები.
გემით მიცურავს ხალხი ათასი
და თვალს უამებს უცხოდნაგები
ბაღში ჩაფლული, კოხტა, ხალაი
მთების კალთებზე აგარაკები.

### დიად მომავლის რეკენ ზარები

როცა ქუხილი ცას გადაირბენს
ეს თვითმფრინავი რეაქტიული,
უკან დარჩება მთები საირმე,
ველი, ტრამალი, მხარე ტყიური,
ოკეანები, უდაბნოები,
ამ დედამიწის ყველა სარტყელი, —
მსურს ვიყო კაცი ახალდროების,
ეუფლებოდეს ცოდნას ქართველი.
მსურს წაიშალოს შიში და იჭვი,
აკი მეხისგან ქვეყნის დალახვრა
და გვწამდეს შრომა, გონება, ნიჭი
მნათობთა შორის გზებს გადალახავს...
კაცობრიობას შვება ეღირსა
და ძველი ქვეყნის დაიწყო დაშლა,
როს ოქტომბერში მხსნელმა ქვეყნისა —
საბჭოთა ხალხმა გასჭედა დაშნა.
ქვეყნად მშვიდობა თავს იდო ვალად,
რომ ომის შიშით არვინ ოხრავდეს,
ნივთში მოძრავი ატომის ძალა
კაცის სიკეთეს და ჯანს მოხმარდეს...
აკი ორბიტზე გავიდნენ, დაწვნენ
ამ დედამიწის თანამგზავრები.
მნათობთა შორის მგზავრობის მაცნედ
დიად მომავლის რეკენ ზარები!

### ფოთლები

მაგონდებოდა ციხის გოდოლი,
ბროლის ციხეში ობოლი ბინა,
როს შემოდგომის ქარმა ფოთოლი
ღია სარკმელში შემოაფრინა.
შემოატარა ოთახი წყნარი
და ჩემ წინ დასვა მუნჯი, ეული.
ორი აღმოჩნდა ფოთოლი მჭკნარი,
ერთმანეთს კოცნით მიწებებული...
იდუმალებით დუმდა კეთილი,
დაუნდობელი ხელით დევნილი,
როგორც ეთერი მუხლმოკვეთილი,
აბესალომის მკერდზე შთენილი.
ორნივ მიჰკროდნენ ერთმანეთს ბაგით.
გაყვითლებული ჰქონდათ ღერები
და მყის გაისმა ნაცნობი ჰანგი
მიჯნურობაზე დანამღერები:
„თუ სიცოცხლეში ვიყავით ერთად,
სიკვდილშიც ერთი გვქონდეს საფლავი".
იდგა ცახცახი უცხო რამ ფერთა,
ხმა საამური და გულსაკლავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

★

# ხმა იდუმალი

ნოველა

## თავი პირველი

ყორეები და ყორეები! რამდენი ასეთი ყორე მინახავს ჩვენს სოფლებში! მიდიხარ, მიჰყვები და ბოლო კი არ უჩანს. ზოგს იელის ჯარჯი აქვს ზემოდან მოვლებული, ზოგს — თლილი, წიწიბოიანი ქვები, ზოგი უბრალოდაა თავგადალესილი და, მოწვიმს თუ არა, შუკაში რძისფრად მოედინება ყორიდან ნაღვენთი სისველე.

მკვიდრი, გამწვდომი ყორეები და ზედ გადმოხრილი კომში და კაკალი, ლეღვი და ქლიავი, თელა და კოპიტი! ყორის აქა-იქ დამსკდარი კედელი უნებლიე სევდასა გვგრის, მაგრამ აი, გაივლი კიდევ ორიოდე ნაბიჯსაც და ბრმა კედელს ერთბაშად ეხილება თვალი: ეს ჭიშკარია, ხავსმოდებული კრამიტით გადახურული ალაყაფის ჭიშკარი. მრგვალად გამოჭრილ სარკმელში შეიხედავ და მწვანე კოინდარი შემოგანათებს. ჯერ კიდევ ირწევა ალმაცერად აყირავებული ოწინარი. ჭის სარქველზე სველი სათლი დგას. აგერ აფოფრილი კრუხი მოუძღვის ახლადგამოჩეკილ ყვითელ წიწილებს, ოდის ლაფაროში კი ნაადრევი სიცხით დაოსებული ქოფაკი წევს და ჭიშკრისაკენ ზარმაცად იყურება.

ეს ყორეები, ეს ჭები და ეს კოპიტები მიდგნენ თვალწინ, როცა სადგურ ტ-ში ჩამომხტარმა ქალაქიდან კარგა მანძილით დაშორებული ვაგზლის მოედანი გადავირბინე და იმ წუთას დაძრულ ტრამვაიში ამოვყავი თავი.

ტრამვაი ჩვეულებრივი იყო, ისეთი, რომლისთანასაც თითქმის ყოველ ჩვენებურ ქალაქში ნახავს კაცი. მიჩაქჩაქებდა წითლად შეღებილი ეს ერთადერთი ვაგონი და თითქოს განზრახ არა ჩქარობდა.

რიკულებიან ჭიშკრებს გადაღმა ქარვისფრად ღუოდნენ სართვლოდ ჩადიდგინებული ვენახები. ტრამვაი ნელა მიირწეოდა და ვატმანის ზარის ჟღრიალში მე კვლავ ჩემს ეზო-კუთხეს დავტრიალებდი: ეკვნების ჟღარუნით ბრუნდებოდა შინ ნასიმინდარ ყანებში დამძღარი საქონელი, ჟღრიალებდა გაოჩნებული ტრამვაის ზარი და ისევ მეჩვენებოდა ჩემი შუკები, ჩემი ორღობეები და ის მაღალი, ჯარჯმოვლებული ყორეები.

ახალბედა ჯარისკაცი ვიყავი. ცოცხლად მახსოვდა ყოველივე, რაც შინ დავტოვე და იმგვარი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს გუშინ მიმეტოვებინოს იქაურობა.

ჩემი პოლკი, საიდანაც აქ ჩამოვედი, თურქეთის საზღვართან იდგა. საზღვართან დიდხანს ვიდექით. სადღაც შორს ომი მძვინვარებდა, იმ პატარა, საზღვრისპირა ქალაქში კი დღეები აჩაჩა ურმებივით მიიზლაზნებოდნენ. ერთი დღე მეორესა ჰგავდა, მეორე — მესამეს... რას არ ინატრებდი კაცი ამ დროს! ყველაზე უმალ იმას ინატრებდი, როგორმე სხვაგან წასულიყავ, თუნდაც ჯანდაბაში, ოღონდ კი გულის გამაწვრილებელ მოწყენილობისათვის თავი დაგეღწია.

ქვეითი ჯარის ოფიცერთა სასწავლებელი, საითაც ახლა მიგვეჩქარებოდა, ქალაქგარეთ აღმოჩნდა. შორიდან ეკლესიას ჰგავდა. ვეებერთელა საათი უმშვენებდა შუათანა კოშკის წინამოს.

პოლკიდან ჩამოსულნი ლოყებდაბრაწულმა ზემდეგმა მიგვიღო. რკინის ჭიშკარში შეგვხვდა და, როგორც კი მორიგემ საბუთები გაგვისინჯა და აგდებულად შეგვათვალიერა, თავმომწონედ გვანიშნა უკან გავყოლოდით.

ახლაღა დავინახე: ქამარი უცნაურად შემოერტყა, გაცილებით დაბლა, ვიდრე მიღებულია და ამიტომ წელს ზემოთ მეტისმეტად წაგრძელებული მეჩვენებოდა.

თქვენ ათეულის მეთაური ყოფილხართ პოლკშიო, — მომიბრუნდა მე, როცა მაღალი კიბის ათავების შემდეგ თავისი ოთახის კარი გააღო და შიგ შეგვიყვანა.

დიახ-მეთქი, ვუპასუხე, თანაც, რაც შეიძლებოდა, ზრდილობიანად გამოვიჭიმე მაგიდასთან.

იმავე წუთს ჩვენი პატარა ჯგუფის უფროსად დამნიშნა. მკაცრად დაგვარიგა, ასე და ასე უნდა მოიქცეთო. რაც მთავარია, უნდა გვხსომებოდა, რომ ის, სადაც ახლა ჩვენ ვიყავით, პოლკი არ იყო, სხვა რამ იყო.

ეს ისე გადმოგვკრა, თითქოს შანს გვიგებდა.

მე მაშინვე მომინდა შეკამათება, მაგრამ თავი შევიკავე.

— ჰმ! — ჩაიცინა ერთმა ჩვენთაგანმა, როცა დერეფანში გამოვდიოდით.

— ძირს ჩავიდეთ? — იკითხა მეორემ.

— აბა აქ ვინ გაგაჩერებს!

— რა, ჭირიანები ხომ არა ვართ!

— ეე! — მოგვაძახა ვიღაცამ უკანიდან.

მოვიხედეთ. მორიგე გვანიშნებდა, ძირს ჩადითო. იმ წუთში საშინელი სიმარტოვე ვიგრძენი. ვის არ გამოუცდია: ხანდახან გულს იმგვარი სევდა შემოაწვება, ყველაფერი თავს გაბეზრებს, ყველაფერი უაზროდ გეჩვენება, ოცნების უნარიც აღარა გაქვს და შენივე თავის წინაშე უზომოდ პატარავდები.

სანამ პოლკში ვიყავი, როგორც კი დროს მოვიხელთებდი, მინდორში გავრბოდი. შევტოპავდი შემოსული პურის ყანაში და მანამ ვივლიდი, სანამ გული ყელს არ მოებჯინებოდა დაღლილობისაგან. ვეალერსებოდი მწიფე თავთავებს და ტანში საამო ჟრუანტელი მივლიდა. ზემოთ ცა იყო, უსაზღვრო და ლურჯი ცა, ძირს კი აფუებული დედამიწა და ეს მწიფე თავთავები. ცოდვაა, არარაობაზე იფიქრო ამ დროს კაცმა! ჩემი გიჟური მოგზაურობიდან დაბრუნებულს და ხაოიანი ფხებით უწყალოდ დასერილს თან იმედიანი გული მომქონდა.

გვიან ღამით, როცა ყველას ტკბილად ეძინა ნახევრად ჩაბნელებულ ყაზარმაში, მე დიდხანს ვბორგავდი, რათა ძილისათვის თავი წამერთმია, მაგრამ თვლემის მარყუჟები ბოლოს მაინც სძლევდნენ მოღლილ სხეულს და იმავ წუთს, თვალს მივლულავდი თუ არა, კვლავ მესიზმრებოდა ჩემი შუკები, ჩემი ორღობეები და ის მაღალი, ჯარჯმოვლებული ყორეები...

## თავი მეორე

ზემდეგი მართალი გამოდგა. პოლკის ერთფეროვანი ცხოვრების შემდეგ მართლაც გვეუცხოვა სასწავლებლის სუსხი.

ჩვენი ასეული შევსებას ელოდა. მინდორში არ გავყავდით სამეცადინოდ. დილის შეკრებიდან, რომელიც სასპორტო მოედანზე იმართებოდა ხოლმე, უკანვე გვაბრუნებდნენ და სხვადასხვა სამეურნეო საქმეზე გვაგზავნიდნენ.

ერთხანს შეშა იყო დასახერხი ფარდულში. ჯერ ის ვხერხეთ. მერე სადღაც წაგვასხეს საბარგო მანქანებით. სათიბები ყოფილიყო მოსავლელი. სამ დღეს ვთიბეთ, ორ დღეს ბალახის გაშლა-გადაბრუნებას მოვუნდით, კვირის თავზე მოვაგროვეთ და გაავდარების მოლოდინში ზვინებად დავდგით.

კარგი კი იყო ის სათიბები! გარიჟრაჟიდან ვიდრე შებინდებამდე სრიალებ-

და ცელი ლორთქო ბალახში და ხელმარცხნივ ზოლად წვებოდა ნამიანი ღვარეული.

როგორ ჰგავდა ეს სათიბები ჩემი სოფლის სათიბებს, როგორ ჰგავდა აქაური ანკარა მდინარე იმას, რომელიც ჩვენს ვენახთან მოჩუხჩუხებს და გიჟური ადიდება იცის...

კარვები მდინარის პირას გვქონდა გაშლილი. სადილ-ვახშამს ცისქვეშ ვიკეთებდით, ბრიალა კოცონთან, მიმწუხრისას კი, როცა კოცონი ჩაფერფლვას იწყებდა და მოწმენდილ ცაზე დამსხდარი ვარსკვლავები მორცხვად ციმციმებდნენ მდინარის მორევში, ტირიფის ძირას თავს მოვიყრიდით, გავიშოტებოდით გრილ მიწაზე, თავქვეშ ხელებს ამოვიდებდით და ჯერ სულ ნელა, ჩუმი ღიღინით ვიწყებდით სიმღერას.

თავდაპირველად ყველა თავისთვის ღიღინებდა. მერე რომელიმე ჩვენთაგანის ცეცხლი მოედებოდა დანარჩენებს და სხვებიც იმ ერთის ხმას ვუერთდებოდით.

ჩვენ შორის არცერთი არ იყო ნამდვილი მომღერალი, მაგრამ არა ვერცხლით მოჭედილი ყელი, არამედ ამღერებული გული ყოფილა თურმე სიმღერის დედა.

წამსვე აიყრებოდა მთელი ბანაკი. მორიდებულად სხდებოდნენ შორიახლო და სუნთქვაშეკრულნი გვიგდებდნენ ყურს.

მერე ეს ჩვეულებად გვექცა. ამიერიდან სიმღერა ისეთივე განუყრელი ნაწილი იყო იმ უმწიკვლო შემოგარენისა, როგორც უღრუბლო ცის ლაჟვარდი ანდა შორს, თვალსაწიერზე აღმართული ლურჯი მთები.

ხანი გავიდა და ისევ ყაზარმაში დაგვაბრუნეს. გული დამწყდა.

ახლა გახურებული მაჭრობაა ჩემს კუთხეში. შინ დარჩენილი ქალები და ბერიკაცები ერთთავად მარანში ფუსფუსებენ. აქა-იქ ჯერ კიდევ ბღერტენ კაკლებს და ნაგვიანევად ამწვანებული ეზოები ყვითელი ნეშოთი იფარება. ნაღვლიანად გამოიყურებიან მოლეული მსხლები. ბლისა და ქლიავის ხეები მთლიანად გაშიშვლებულია. მხოლოდ ხურმას შერჩენია ნაყოფი. პირველი თოვლი მოვა თუ არა, ახალწლის წინადღეებში, საყვარლად შეინაბდება და კუნწალ-კუნწალ დაიწყებს ცვენას...

## თავი მესამე

ზამთარმა ისე გაიარა, ერთხელაც აღარ გაგვხსენებია საყვარელი სიმღერები. თავის მოფხანვის დროც არ იყო. გარიჟრაჟზე ვდგებოდით, დავეწყობოდით ოცეულებად და სანამ მებუკე დილის საარს დაამთავრებდა, ჩვენ უკვე სასპორტო მოედანზე ვიყავით.

ვრცელი სასპორტო მოედანი დაჟანგული მავთულით იყო შემოღობილი. მოედნის ერთ მხარეს მავთულის ღობე ქვის ორსართულიან სახლებს ებჯინებოდა.

ნაპირა სახლის წინ სახანძრო ონკანი იყო. წყალს აქედან ეზიდებოდნენ.

სახლებს ჩავურბენდით თუ არა, სულ ერთსა და იმავეს ვხედავდით: ონკანთან პერანგა მოხუცი იდგა, მხარზე პირსახოცი გადაეგდო და თითქოს რაღაცას გაუკვირვებიაო, ერთთავად ჩვენკენ იყურებოდა.

ეს პოლკოვნიკი კუნსევიჩი იყო. ტაქტიკას გვასწავლიდა.

როგორც კი თვალს მივეფარებოდით, მოხუცი პირს დაიბანდა, წაეხემსებოდა და მერე სულ ჩვენთან იყო.

ვეება ტანთან შედარებით ფეხები მოკლე და სუსტი ჰქონდა პოლკოვნიკს. მუდამ წინ გადახრილი დაიარებოდა, ისიც ფეხის წვერებზე, რადგან ქუსლები ციმბირის თოშს მოეყინა სამოქალაქო ომში. ერთხელ ყუმბარას დაემარხა. ენა კბილებში მოჰყოლოდა. ახლა ტკივილები აღარ აწუხებდა, მაგრამ ენა ისევ გასივებულივით ჰქონდა, ოდნავი აღელვების დროსაც კი ძლივს იკავებდა პირში.

პირველად კინაღამ დავიხოცეთ სიცილისაგან, ეს რომ შევნიშნეთ.

პოლკოვნიკი აიმღვრა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ეტყობოდა, ჩვენ როდი ვიყავით პირველნი...

მას შემდეგ თვალს ვეღარ ვუსწორებდი, დანაშაულის გამოსყიდვას იმით ვცდილობდი, რომ დღე და ღამ ტაქტიკის წიგნებს ჩავკირკიტებდი, მოცალეობისას კი მეზობელ ხევში ჩავირბენდი ხოლმე მარტოდმარტო და იქ საბრძოლო ბრძანებებს ვიზეპირებდი.

გაზაფხულის ერთ წყნარ საღამოს იღლიაში წიგნი ამოვიჩარე, სიგრძივ გადავჭერი სასპორტო მოედანი, მავთულხლართში გავძვერი და ხევისაკენ გავუდექ გზას.

ხევი უდაბური იყო. ბუჩქი რომ ბუჩქია, ისიც კი არ ჩანდა ახლომახლო, თუმცა ხევგაღმა, ათიოდე წუთის სავალზე ამწვანებული მინდვრები ახარებდნენ თვალს.

ხევის პირს მივაღწიე თუ არა, ჩამოსაჯდომი ქვა მოვძებნე, ტაქტიკის წიგნი ჩაკეცილ ადგილას გადავშალე და ის იყო უნდა მოვწყობილიყავ, უჩვეულო ხმაურმა მიიქცია ჩემი ყურადღება.

თავი ავწიე და განვცვიფრდი.

იმ ადგილას, სადაც გუშინ დილით პოლკოვნიკი კუნსევიჩი სანგრების გათხრას გვასწავლიდა, მძიმე ტანკები ჩამწკრივებულიყვნენ. პირველ მწკრივს უკან მეორე მოჩანდა, მეორეს უკან მესამე, მეოთხე...

მხოლოდ ერთი ტანკი თუხთუხებდა, ზანტად ინაცვლებდა ადგილს და ირგვლივ დამწვარი ბენზინის მკვეთრ სუნს აყენებდა.

მართლაც საკვირველი იყო: გარნიზონში არცერთი სატანკო ნაწილი არ იდგა. მაშ ესენი საიდან უნდა მოსულიყვნენ?

უკან გაბრუნებას ვაპირებდი ამის გასაგებად, როცა მავთულხლართის მხრიდან ფეხის ხმა და ხმამაღალი ლაპარაკი შემომესმა.

მერვე ასეულის ბიჭები იყვნენ. ალბათ, იმათაც შეეტყოთ ტანკების გამოჩენა და სანახავად მოდიოდნენ.

ყველა მათგანი ჩემებრ პირტიტველა იყო. საომარი მანქანები მგონი არც კი ენახათ ასე ახლო.

ფერდობს სირბილით გადმოადგნენ და შეჩერდნენ. ვერც კი შემნიშნეს, როგორ მივუახლოვდი, ისე იყვნენ გართულნი უჩვეულო სანახაობით.

ვიღაცამ გაბედა საერთო მყუდროების დარღვევა და თქვა, ამა და ამ მარკისა არიანო. სხვები არ დაეთანხმნენ. ყველა ცდილობდა ცოდნა გამოეჩინა. კამათი აუტყდათ.

— საიდან მოვიდნენ? — ვიდროვე და ჩავურთე მე.

— ფრონტიდან! — აგდებულად მომიგო იმან, რომელიც პირველი ალაპარაკდა. სხვები ვერ მამჩნევდნენ. მთელი გულისყური ტანკებისათვის მიეპყროთ.

— არ ბიცი? — განაგრძო კამათის წამომწყებმა, — გვარდიის სატანკო დივიზიაა!

— მერე აქ რა უნდა? — გულუბრყვილოდ ვიკითხე მე.

— ჰმ! რა უნდა! სულ ბრძოლაში იყო. ახლა, ალბათ, უნდა დაასვენონ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. გარინდებულნი შევცქეროდით უდაბურ ხევში დაბანაკებულ სატანკო დივიზიას. არცერთი ეკიპაჟი არ ჩანდა ბანაკში, მხოლოდ გუშაგები ასვეტილიყვნენ ოთხივე მხარეს.

ცნობისმოყვარენი კიდევ მოგვემატნენ. ყველა ჩერდებოდა ხევის პირას და იქ დიდხანს იდგა, როგორც საპატიო ყარაულში.

როდესაც უკან გამოვბრუნდი, კარგა დაღამებული იყო. მთელი სასწავლებელი სატანკო დივიზიაზე ლაპარაკობდა. რას არ თხზავდნენ, თუმცა ისიც არავინ იცოდა, მარტო მანქანები იყო ახლა აქ თუ ხალხიც ახლდა ამ მანქანებს. ზოგი იმასაც კი იკვეხნიდა, გაშლილი დროშა დავინახეო. ცხადია, ცოცხალი ტყუილი იყო. დივიზიის დროშას აქ ვინ გაშლიდა, ისიც მინდორში!

მოუსვენრობამ შემიპყრო. სულმოუთქმელად ველოდი გათენებას. ხვალ

ჩემი თვალით უნდა მეხილა არაჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც ეს მანქანები დაჰყავდათ გადაბუგულ სოფლებსა და ქალაქებში.

მოლოდინი დროს აჭიანურებს. იმ საღამოსაც ასე მოხდა. იღბლად გამახსენდა: შაბათი იყო. მაშ დღეს ერთი საათით გვიან დაგვაძინებდნენ. წინ წლისოდენა ღამე იდო. მინდოდა ბიბლიოთეკაში ჩავსულიყავ და ორიოდე ფურცელი მაინც წამეკითხა. ჩავედი. ჩაკეცილ ადგილას გადავშალე ტაქტიკის წიგნი, მაგრამ გული ვერ დავუდე.

მთელი სასწავლებელი გარეთ იყო. დავხურე წიგნი და მეც გამოვედი. გამოსვლის უმალ ნაცნობი სიმღერა მოსწვდა ყურს. უცებ ვერც კი მოვიმხრე, სად მღეროდნენ. ყური მივუგდე. ამ სიმღერას ხშირად ვმღეროდით იქ, სათიბში. მე ყოველთვის პირველ ხმას ვამბობდი. აქ კი, აი, რამდენი ხანი გავიდა და ერთხელაც არ გვიმღერია!

სიმღერის სურვილმა ამიტაცა. ხეივანს მივაშურე. ბილიკზე ბნელოდა. ხელების ფათურით მივდიოდი. ბოლოს შევნიშნე გრძელი სკამი, რომელსაც ფანჯრიდან გამოსული სინათლის ზოლი ანათებდა.

მომღერლებმა მიცნეს, მიიწ-მოიწიეს და შუაში ისე ჩამსვეს, სიმღერა არ შეუწყვეტიათ.

სმენა დავძაბე. მეც ნელინელ შევიჭერ სიმღერის ეშხში.

ჯერ ბანებს მივეხმარე, მაგრამ მალე ვიგრძენი, მაღალი ბანი გამომდიოდა. წამით ჩავჩუმდი. ისევ მივუგდე ყური. სიმღერის მუხლის შემობრუნებას დავუცადე, რათა პირველზე გადავსულიყავი. გადავედი კიდეც. თავიდან კარგად გამოვიდა. მერე შევამჩნიე: აწევა მიჭირდა. არ ვიცი, ზედმეტი მონდომებისაგან თუ იმის გამო, რომ დიდი ხანი იყო, რაც არ მემღერა, ჰაერი არ მყოფნიდა, იძულებული ვიყავი აქა-იქ მიმეფუჩეჩებინა და მუხლს გადავხტომოდი. და ერთგან, უცებ, სრულიად მოულოდნელად, როდესაც გადახტომა დავაპ::რე, ვიღაცის სუფთა, კამკამა ხმამ იმგვარი სინარნარით ასწია ის, რაც მე ასე ძალიან მიჭირდა, რომ გაოცებისაგან წამსვე ჩავჩუმდი.

ვინანე, ნეტავი არ მოვსულიყავი-მეთქი. სასირცხვო აქ არა იყორა, მაგრამ სიმღერის ჩათავებამდე თავჩაღუნული ვიჯექი. როცა ეს სიმღერა ჩათავდა და ახლა სხვა დაიწყეს, ის უცხო პირველი ხმა აღარ გამიგონია. ნუთუ ისევ მე დამითმო?

ბიჭებმა ჯლიკვი გამკრეს, რაღას უცდიო. ერთმა გულმა მითხრა, ძალღონეს დავძაბავ-მეთქი, მაგრამ ჩემი მარცხი გამახსენდა და ისევ სიჩუმე ვამჯობინე.

ბიჭებმა კიდევ მიბიძგეს. სიმღერას აშკარად აკლდა პირველი ხმა.

გაცივებული ვარ-მეთქი, წავიბუზღუნე.

ბედად ზარის წკრიალი გაისმა საზაფხულო ესტრადაზე, რომელიც იქვე, ხეივნის ბოლოში იყო მოწყობილი.

მსმენელები წავიდ-წამოვიდნენ, მომღერლებიც წამოიშალნენ.

მე ყველაზე გვიან ავდექი. უკან არცკი მომიხედნია ელნათურებით გაჩახჩახებულ ესტრადისაკენ გავსწიე. მეგონა, ამხანაგებიც მომდევდნენ. კარს წავადექი და მხოლოდ მაშინ მოვიხედე უკან. მომღერალთაგან აქ არავინ იყო. „ნეტავი სად წავიდნენ?“ — გავიფიქრე და უკან გამოვბრუნდი.

გამიკვირდა, როცა ისინი კვლავ სკამის შორიახლო დავინახე. შეჯგუფებულიყვნენ და სულგანაბულნი უსმენდნენ ვიღაცას. მაშინვე გამახსენდა უცხო პირველი ხმა. „ალბათ, ახალი კურსანტია!“ — წავილაპარაკე ჩემთვის და თავშეყრილთ მივუახლოვდი.

სწორედ ის ლაპარაკობდა. ხმაზე ვიცანი. უფრო ახლო მივედი და მესამე სართულის ფანჯრიდან ჩამოშვებული სინათლის ზოლში ძლივს გავარჩიე: მგონი კაპიტანი იყო. „საიდან, ვინ არის?“ სმენად გადავიქეცი. მინდოდა გამეგონა, რას ამბობდა კაპიტანი, რადგან ბიჭებმა უცებ ისეთი ხარხარი ატეხეს, ვიღაც გადმოადგა მესამე სართუ-

ლის ფანჯარას და სინათლის ზოლი ერთბაშად დავიწროვდა.

შემამჩნია.

მე ხელი მივიტანე ყვრიმალთან და მხედრულად მივესალმე.

კაპიტანი თავშიშველა იყო. ქუდი ხელში ეჭირა. საპასუხო სალამის მაგივრად გამიღიმა და ჩემკენ წამოვიდა.

— მართლა გაცივდით?

არა-მეთქი, მინდოდა მეპასუხნა, მაგრამ კაპიტანმა ისევ დამასწრო და რაღაც გამომიწოდა:

— გრიპის საწინააღმდეგო აბია. გადაყლაპე!

ბიჭებმა სიცილი ატეხეს. ახლა კაპიტანსაც გაეღიმა და მათ გადახედა.

— მოგვატყუა?

ბიჭები ისევ იცინოდნენ.

„რა უჭკუო ხალხია! — ვფიქრობდი გაღიზიანებული, — რა აცინებთ?“

— კინოში არ შევიდეთ? — თითქოს ბოდიშს იხდისო, ამხანაგურად მკითხა კაპიტანმა.

— შევიდეთ! შევიდეთ! — აყაყანდნენ ბიჭები.

ბილიკს გავყევით. ბიჭები ისევ გარს გვეხვეოდნენ. ყველას უნდოდა ლაპარაკი კაპიტანთან, რომელიც სრულიად ახალგაზრდა აღმოჩნდა. ერთი შეხედვით ოც წელსაც არ მისცემდით. „კაპიტანი როდისღა გახდა?“ — მიტრიალებდა თავში. სასიამოვნო შესახედავი კი იყო, თუმცა იმისი მამაკაცური იერი უცებ ვერ მოგხიბლავდა. თვალებში რაღაც უცნაური, ნათელი სხივი უდგა. სახე ოდნავ დაძაბული ჰქონდა, სმენა გამახვილებული. შეხედავდი და იფიქრებდი, სიცილს ძლივს იკავებსო. მის შემყურეს ძალაუნებურად გუნება შეგეცვლებოდა. იქნებ შეგენატრა კიდეც, ნეტავი ამას, ასე გულიად რომ შეჰხარის ყველას და ყველაფერსო.

კაპიტანი ექიმი აღმოჩნდა.

ეს არ გამკვირვებია, თუმცა საამისოდაც ძალზე ახალგაზრდად მეჩვენა. ბოლოს, როდესაც ბიჭებმა გვარდიის სატანკო დივიზია ახსენეს და კაპიტანს რაღაც ჰკითხეს, თვალები დავაჭყიტე. ახლა კი მივხვდი: ჩემს წინაშე ნამდვილი მეომარი იდგა, გვარდიის კაპიტანი, გვარდიის სატანკო დივიზიის ექიმი.

კაპიტანი რაღაც ამბავს ჰყვებოდა, თვითონაც იცინოდა და სხვებსაც აცინებდა.

როცა სინათლე ჩაქრა, მომიბრუნდა და წამჩურჩულა:

— შენ მართლა შეუძლოდ ხომ არა ხარ?

უმალვე ვიუარე და შევეცადე ხმაში მთელი პატივისცემა ჩამექსოვა.

— კარგი ღამეა, არა?

ზემოთ ავიხედე. ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო.

—მიდიხარ ასეთ ღამეში და თითქოს არაფერს დასასრული არა აქვს, არც ცას, არც მიწას, არც საერთოდ არაფერს, რაც კი ერთხელ გაჩენილა!— წაიჩურჩულა კაპიტანმა, — კარგია, არა?

პასუხი ვერ შევბედე და მხოლოდ მხრები ავიჩეჩე.

— გგონია, არც არასოდეს მოკვდები, — განაგრძობდა ხმამაღლა ფიქრს კაპიტანი, — სიკვდილი საერთოდ არ არის, არის სიცოცხლე, ცა და დედამიწა! აბა მაჯა მაჩვენე!

მე ხელი გავუწოდე და ჩურჩულით ვკითხე:

— თქვენ ლექსებს სწერთ?

— მე? — გადმომხედა კაპიტანმა,— არა. არასოდეს არ დამიწერია. თქვენ სწერთ?

— არც მე, — მივუგე და რატომღაც გავწითლდი.

— მე მგონია სისულელეა ლექსების წერა.

გაოცებული შევაჩერდი.

— აბა რა უნდა დასწერო! ამას, ყველაფერს, ხომ ვერ დაიტევს ლექსი!— კვლავ მოციმციმე ვარსკვლავებს შევავლო თვალი კაპიტანმა.

— მაგრამ ეს ხომ შეიძლება დაიხატოს! — ცას ავხედე მეც და ისევ კაპიტანს მივაჩერდი გაუბედავად.

ჩუმი სიცილი მომესმა. ნუთუ დამცინოდა?

— დაიხატოს? — წამჩურჩულა კაპიტანმა, — მთავარი მაინც დაუხატავი დარჩება. განა ყველაფერს სიტყვებით ვლაპარაკობთ? ისეთი რამეც ხომ არის, რასაც მხოლოდ გრძნობ და ენით ვერ გამოთქვამ. იტყვი და მაშინვე მიხვდები, რომ სულ სხვა რამე თქვი.

— მერე კარგია?

— მე როდის ვთქვი, კარგია თუ ცუდი.

დუმილი ჩამოვარდა.

ეკრანზე ჩრდილები ფარფატებდნენ. ჰყვიტინა მუსიკა ისმოდა.

კაპიტანმა ჩემი ხელი გაანთავისუფლა და ნიდაყვებით წინა სკამის საზურგეს დაეყრდნო.

როცა კინო დამთავრდა, გარეთ ყველაზე ადრე გამოვედით. რკინის ჭიშკრამდე მივაცილე და მისი წასვლით გულდაწყვეტილი უკან გამოვბრუნდი.

მეორე დღეს, კვირას, თვითონ მომაკითხა. ასეულის მეთაურთან ერთად მივედით და ქალაქში გასვლის ნებართვა გამოვითხოვეთ ჩემთვის.

ნებართვა ავიღეთ, მაგრამ ქალაქში არ წავსულვართ. სატანკო დივიზიას გავუარეთ, ხევის ციცაბო კედელზე ავფოფხდით და მინდვრებს გავყევით.

ღრუბლიანი დღე იყო. ცაზე აქაიქ მოჩანდა ცინცხალი ლაჟვარდის ნაჭერი. სუსტი ნიავი ჰქროდა და შუბლს გვიგრილებდა უგზო-უკვლოდ მიმავალთ.

ბოლოს დავიღალეთ და შევჩერდით. ერთმანეთს შევხედეთ.

სიცილი აგვიტყდა. უმიზეზოდ ვიცინოდით ამ ლაღი ცის ქვეშ, ამ უბიწო ტრიალ მინდორში და ჩვენს სიცილზე კიდევ უფრო გვეცინებოდა.

კვლავ გზა განვაგრძეთ. განგებ ვიხრებოდით და ნორჩი ბალახი მუხლებამდე გვწვდებოდა. კაპიტანს კიტელი ჩაეხსნა, გული გაეღეღა. მის თვალებში აუწერელი ბედნიერება ჩასახლებულიყო: არც ნახანძრალი ჩანდა სადმე, არც ნანგრევი არავითარი ნიშანწყალი ომისა და სისხლისღვრისა.

უკან სხვა გზით დავბრუნდით.

კაპიტანს კერძო ოთახი ეკავა ქალაქის განაპირას.

მივედით თუ არა, დაბალჭერიანი ქოხის აივანზე მოხუცი დიასახლისი გამოგვეგება, სკამები გამოახრიგინა და მაშინვე ჭადრაკის დაფა დაგვიდო წინ.

სანამ მოხუცი ფუსფუსებდა, მივიხედ-მოვიხედე.

ეზოში იასამნის ბუჩქი ჰყვაოდა. ბებერი თუთა, რომლის ტოტებიც აივანზე შემოდიოდნენ, ჯიშიანი ფოთლებით შემოსილიყო, ნიავის ყოველ შემობერვაზე შრიალებდა და ირგვლივ ნედლი ბალახის სურნელს აკმევდა.

— ქამარი შეიხსენი, თუ გინდა, არ გცხელა? — შინაურულად მომიბრუნდა კაპიტანი, როცა კიტელი გაიხადა და მაგიდას მიუჯდა, — დღეს ძალიან სიცხეა. ახლა ტყეში ხეტიალია კარგი. თქვენში არის ტყეები?

— ჩვენს სოფელში? თვითონ სოფელში არა, მაგრამ ცოტა მოშორებით კი, უღრანი ტყეებია. ოდესმე წავიდეთ.

— ჩვენებური ტყე მე არც კი მინახავს ხეირიანად, — წაილაპარაკა კაპიტანმა, — მანგლისში ვიყავი ორჯერ, ისიც პატარაობისას.

— ჰოდა, წავიდეთ. ჩვენს ტყეებს გაჩვენებ. უკეთესს ვერაფერს ნახავ. მთელი დღე ივლი, ივლი და ნაპირს ვერ მიატან.

— მართლა? — თვალები გაუბრწყინდა კაპიტანს.

— დაიკარგები. ახლა წყაროებს აღარ იკითხავ?

— ალბათ, ისეთი ადგილიც ბევრია, სადაც ადამიანს ნაჯახი არ შეუტანია.

— რამდენი! მიდიხარ, მიდიხარ და, წიფელია აგერ გადატეხილი. თვალს ვერ შეაწვდენ. ნახევარი ხე იქვე ჩახლეწილა და ლპება. ვინ გაიტანს, ხარი მიუდგება თუ კაცი!

— აუჰ! — ბავშვივით ხარობდა კაპიტანი, — ვითამაშოთ?

გორგლად დახვეული ქამარი მაგიდაზე დავდე და ჩამოვჯექი.

— ტყესავით არაფერი არ მენატრება, — დაიწყო ისევ კაპიტანმა და ჭად-

რაკის დაფა გამალა, — ყოველ წელიწადს ვაპირებდი მოგზაურობას, მაგრამ არ მოხერხდა. ახლა, როგორც კი ომი დამთავრდება, მთელი საქართველო უნდა შემოვიარო. გინდა, ერთად წავიდეთ?

— მინდა? — შევცინე მე.

— მოიცა, მოიცა, ცხენი რომ აგრე არ მიდის?

— უჰ, ბოდიში!

— მანდ მოვკლავ.

მე უკან წავიღე ჩემი აცუნდრუკებული ცხენი და მის სანაცვლოდ ახლა პაიკს წავეტანე.

კაპიტანი ჩაფიქრდა. მერე ისე განვაგრძეთ თამაში, რამდენიმე წუთს ხმა აღარ ამოგვიღია.

იასამნის ბუჩქს ფუტკარი ეხვეოდა.

— გესმის? — თქვა უცებ კაპიტანმა და თვალები მოწკურა, — დაღამებამდე ასე ზუზუნებენ.

ახლა მეც მოვავლე თვალი ეზოს.

— ქალაქში მგონი არავის არ უდგას სკა. ნეტავი საიდან მოდიან? — თქვა კაპიტანმა.

— შეიძლება ველური ფუტკარიც იყოს.

— მერე ისინიც ხომ უნდა მოვიდნენ!

— რატომ, შეიძლება აქვე ახლოს არიან დაბუდებული.

— მოდი, დავანებოთ თავი!

— რას?

— ნუღარ ვითამაშებთ.

— აბა რა ვქნათ?

— არაფერი. ცოტა წავეხეტმსოთ და ისევ წავიდეთ.

— სად?

— სადმე. სულ ერთია.

## თავი მეოთხე

და, მართლაც, სულ ერთი იყო, სადაც წავიდოდით. ყველაფერს, რასაც კი დაინახავდა, აღტაცებაში მოჰყავდა კაპიტანი.

ვიწროლიანდაგიან რკინიგზას გავყევით, რომელიც ტირიფების ხეივანში მიიკლაკნებოდა.

— სად მიდის ეს გზა? — მკითხა კაპიტანმა.

— არ ვიცი, ალბათ, მთებში.

— მერე მატარებელი რატომ არ ჩანს?

— იშვიათად დადის. აქედან ქვას ეზიდებიან.

— მოდი, აქ დავჯდეთ და დავუცადოთ.

— მატარებელს?

— არა, არა, წავიდეთ. იქნებ არც გამოიაროს.

გზა განვაგრძეთ. ლიანდაგი ხან მარცხნივ მოუხვევდა, ხან მარჯვნივ, ხან აღმართს შეუდგებოდა და ხან ერთბაშად დაეშვებოდა თავქვე.

მე ოდნავ ჩამოვრჩი უკან, რადგან ჩექმის ყელში კენჭი ჩამივარდა. სანამ იმას გამოვაგდებდი, კაპიტანი კარგა მანძილზე დაწინაურებულიყო. მუხლამდე ბალახში იდგა და ჰაერს გასცქეროდა.

— რად გაჩერდი? — მივაძახე მე.

— მოდი, მოდი, რა გაჩვენო!

— რა იყო?

— შეხედე ამას! ამისთანა ჯადო ჩემს დღეში არ მინახავს. რამდენჯერაც არ უნდა ნახო, სულ გგონია, რომ პირველად ხედავ. ნიავი არ იძვრის, აქაურობა კი სუნთქავს... გულისცემაც გესმის. ყველაფერი ცოცხალია და ერთმანეთს ავსებს. ალბათ, სულ ასე იყო, ასი ათასი წლის წინათაც. ახლა, უცებ რომ ბომბი ჩამოვარდეს და გასკდეს ამ ჯეჯილში, არ გაგეცინება?

მივხვდი, რასაც ამბობდა და ჩემდაუნებურად ღრმად ამოვიოხრე.

— რა სისულელეა! — წაილაპარაკა მან, — დავბრუნდეთ?

მზეს ავხედე. მისი სხივები ძლივს ატანდნენ დასავლის ცაზე გაწოლილი ღრუბლის ქულებში, მაგრამ ჩვენს წინაშე მაინც მწვანედ, იისფრად და მუქლურჯად ციმციმებდა მთები და ველმინდვრები.

— გინდა, ქვები ვისროლოთ? — უცებ წამოვიძახე მე. პასუხისთვის აღარც დამიცდია. ბალახებში ბრტყელი ქვა მოვძებნე, — აბა, რომელი უფრო შორს გადავისვრით!

თითქოსდა გულისპასუხს მივუხვდიო, კაპიტანმა ძირს დააგდო მხრებზე წამოხურული კიტელი და ქვების მოგროვება დაიწყო.

ჯერ მე ვისროლე.

კისერწაგრძელებულნი გავყურებდით შხუილით გავარდნილ ქვას. ქვა ჯერ ზემოთ-ზემოთ წავიდა, მერე ერთბაშად დაეშვა დაბლა და წყვილ ლაპლაპა ზოლად გაწოლილ ლიანდაგზე ააყენა მტვერი. ბოლოს დაცემის ხმაც მოგვესმა.

— არა უშავს! — შესძახა კაპიტანმა, რომელსაც სიხარულის ცრემლი უბრწყინავდა თვალებში. მრგვალ ქვას მოხერხებულად მოუმარჯვა საჩვენებელა თითი, უკან დაიხია, მარჯვენა ფეხის წვერზე გადმოიტანა უეცრად ტანის მთელი სიმძიმე და გასტყორცნა.

ქვა ერთხანს არ ჩანდა, რადგან თავადაც თეთრი ღრუბლების ფონზე მიფრინავდა, მაგრამ ბოლოს ჯეჯილს გაუსწორდა, რკინიგზისაკენ დაეშვა და ლიანდაგებში გაგორდა.

საზღვარი აღარ ჰქონდა კაპიტანის სიხარულს. ისევ ქვებს დაუწყო ძებნა ბალახებში.

ახლა ჩემი რიგი იყო. შევიმართე და მთელი ძალღონით მოვიქნიე ხელი. ქვემოდან ვიღაცამ მოგვაძახა:

— ეე, ეე, ვინ აფრენს მანდ?!

პირკატა გვეცა: ბორცვის ძირას გამავალ ბილიკზე ჯერ დასაპალნებული სახედარი გამოჩნდა, რომელიც მსუბუქად მოაწკაპუნებდა ფეხებს, მერე ჭრელი ცხვირსახოცით თავწაკრული ბერიკაცი.

— ახლა კი მოვკურცხლოთ აქედან! — წავჩურჩულე კაპიტანს.

— რა უნდა, იქით ხომ არ ვისვრით! — ბაღლურად იმართლა თავი მან.

მოხუცმა რკინიგზაზე გადმოუხვია. საქციელი წაგვიხდა. ქვები მიწაზე დავყარეთ და ჩავჯექით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცმა კიდევ ამოიხედა. ალბათ, მიხვდა, ვინც ვიყავით და უკვირდა, რამ გაასულელათ, სად ჯარისკაცი და სად ქვის სროლაო.

ამან ხელახლა გაგვამხიარულა. წამოვწექით და მანამ გავყურებდით ჩაქჩაქით მიმავალ სახედარს და ცხვირსახოცით თავწაკრულ გლეხკაცს, სანამ ერთიცა და მეორეც თვალს არ მიეფარნენ.

— ახი არ იყო, იმ სახრით რომ ავეჭრელებინეთ? — შემომცინა კაპიტანმა და მის თვალებში ნამდვილი ბაღლური კმაყოფილება ამოვიკითხე.

ამ წუთიდან ის ჩემთვის უკვე აღარ იყო კაპიტანი, გვარდიის კაპიტანი, გვარდიის სატანკო დივიზიის ექიმი. ის უბრალო, ჩემი კბილა ბიჭი იყო, რომელთანაც თითქოს ერთად გატარებული სიყმაწვილე მაკავშირებდა. ჩემი კბილა ბიჭი იყო. გული მიჩვენა და არც მე დავრჩენივარ ვალში. ჩვენ სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისათვის, რანი ვიყავით აქამდე, რით ვსულდგმულობდით, ცხოვრების რა გზა გავიარეთ. ამისა არც დრო იყო და არც სურვილი. ჩვენ თითქოს მთელი სიცოცხლის მანძილზე ვეძებდით ერთმანეთს, ვეძებდით და აი, ვიპოვნეთ კიდეც.

ასეთი რამ მხოლოდ სიყმაწვილეში ხდება. ვისაც სიყმაწვილეში მეგობარი ჰყოლია, იმას ვერასოდეს ვერ დაჰკარგავს. ვისაც სიყმაწვილეში ერთხელ მაინც ჰყვარებია, იმ სიყვარულს ვერასოდეს ვერ დაივიწყებს.

უტყუარი გუმანით ვგრძნობდი, კაპიტანსაც სიამოვნებდა ჩემს ახლოს ყოფნა. მინდოდა რაიმე მეთქვა მისთვის, მეთქვა ისეთი რამ, რასაც სხვას არ ვეტყოდი, მაგრამ ახლა, თვალს რომ ვავლებდი განვლილ ცხოვრებას, რომელიც ისე უფერულად გამეტარებინა, ვწუხდი: საგულისხმო ვერაფერი მეპოვნა.

ეს მაინც არ უშლიდა ხელს ჩვენს მეგობრობას.

ლაშქრობიდან დავბრუნდებოდით თუ არა, იარაღს მივაყუდებდი და ხევნისაკენ გავრბოდი. მირიანი, კაპიტანს ასე ერქვა, იქ მელოდებოდა ხოლმე. თუნდაც არ დამლოდებოდა! გვარდიის სატანკო დივიზიის სანიტარული ბატალიონი ხუთი წუთის სავალზე იდგა. რა უნდოდა იქ მირბენას!

ერთხელ ორი თუ სამი საათით გვიან დავბრუნდით მინდვრიდან. მირიანი არ დამიხვდა.

— ახალი ამბავი იცი? — წამჩურჩულა გვერდით ვიღაცამ, როცა მუნდირი გავიხადე და შაშხანა გადმოვიღე გასაწმენდად. უცებ ვერ გამოვერკვი.

— დიდი ლაშქრობა იქნებაო, — კვლავ საიდუმლოდ წამჩურჩულა ამხანაგმა.

— რა?

— ლაშქრობა. სამი დღით წავალთო.

— ლაშქრობა?

— სამდღიანი.

— ჰოო. როდის?

— ხვალ-ზეგ.

— ვინ თქვა?

— თქვეს. ფრონტის სარდალი ჩამოდისო.

— მერე?

— მერე და ლაშქრობა იქნება. გენერალი და, ლაშქრობა არ მოაწყოს?

— ჰმ! — თავმობეზრებულივით ამოვიქშინე მე და ისევ იარაღს მივწვდი. საკეტი დავშალე, გავწმინდე, მივზეთმოვზეთე და ავაწყე. ისე გავერთე; ლულის ღრუში გარჭობილი ზუმბის გამოძრობისას კინაღამ კბილები ჩავამტვრიე უკან მდგომ ამხანაგს.

ამ ფათერაკს შეუმჩნევლად არ ჩაუვლია. პარკში ხარხარი ატყდა. მორიგე შემოვიდა, რა ამბავი გაქვთო.

— არაფერი, კინაღამ ზუმბა მომიხვდა და, — დაზარალებულს გადავხედე და მოვიბოდიშე მე.

— ვერ მოარტყი მერე? — გაეღიმა მორიგესაც, — კავალერისტს მაინც არ აწყენდა რიგიანი კოპი.

კავალერისტს კოპი არ აწყენდაო? ესღა უნდოდათ! იმისთანა სიცილი ატყდა, შემრცხვა. ყველა „კავალერისტს“ უყურებდა. მწყობრში ფეხს ურევდა „კავალერისტი“. ამიტომ ხმა დაურხიეს: დაბადებითვე კავალერიაშია ნამსახური და ქვეითად სიარული არ ემარჯვებაო.

— ბერიშვილო! — დაიძახა უცებ მორიგემ.

თოფი ძირს დავუშვი.

— შენთან ტანკისტების ექიმი იყო. ნახე? ხუთის ნახევარზე კიდევ ამოვალო.

— ბერიშვილს ბედმა გაუღიმა, ბიჭებო, იცით? — წამოიყვირეს იქითა კუთხეში.

— როგორ? — ყასიდად იკითხა ვიღაცამ.

— ატესტაცია გაუგზავნიათ გენერალურ შტაბში. კაპიტნობას აძლევენ.

— ვაა! — წამოიძახა რამდენიმე ხმამ საერთო ხარხარში.

— კაპიტანთან ყოფილა დაბმული და ზნე თუ არ შეიცვალა, ფერს მაინც შეგვიცვლითო.

მეც გამეცინა. ახლა თითქოს მეამაყებოდა კიდეც ჩემი მეგობრის კაპიტნობა.

## თავი მეხუთე

ხუთისნახევარზე ხევნში გაველი. მირიანმა შორიდანვე მომაძახა:

— რა სასაცილოდ მობანცალებ, ბიჭო!

— მეძინა, — მოკლედ მივუგე მე და მის წინ სკამზე დავეშვი. ახლაც მეძინებოდა. ფეხები ძლივს მოვათრიე აქამდე. თვალი რომ მივლულე, სწორედ მაშინ ჰკრეს გამოღვიძების ბუკს.

— ნაშუადღევს ვიყავი. გითხრეს?

— კი.

— რა იყო, გამოახილე თვალები!

— მოიცა, ძალიან მეძინება.

— აგერ წყალი და შეიშხაპუნე პირზე.

ხევნის ერთ კუთხეში მართლაც ამოჩუხჩუხებდა ანკარა წყარო. იქით კი გავიხედე, მაგრამ არ გავნძრეულვარ.

სკამის ზურგზე გადაწოლილი ვნებივრობდი.

— აბა, გამოიძინე და მერე ამოვალ! — აბუზღუნდა მირიანი.

თვალები გავახილე.

— აბა რა, მე გელაპარაკები, შენ კი გძინავს! — თქვა ისევ მან.

— გათენდა თუ არა, მას აქეთ მინდორში დავძუნძულებ. წადი, ერთი, სინჯე, როგორია? — თავი გამოვიდე მე, — ექიმებს რომ განებივრებენ, ბიძია, ისე კი არ არის საქმე!

— ოჰ, გამომივიდა მეომარი!

— აბა რა!

— მომილოცე ახლა! — მოჩვენებითი წყენა ერთბაშად გაუქრა სახეზე მირიანს და შემომცინა.

წამოვიწიე. ნეტავი რა მოხდა? სიხარულისაგან წამოჭარხლებული მიყურებდა. შევათვალიერე. ცვლილება ვერაფერი შევატყვე. მხრებზე კაპიტანის სამხრეები ეკერა ისევ, ორდენების ლენტიც ხელუხლებელი იყო. მერე უეცრად შევნიშნე: დაჭრის ნიშნები მოეხსნა. მის ადგილას მკრთალი, ვიწრო ზოლები დამჩნეოდა ოდნავ გახუნებულ კიტელს.

— შვებულება მოგცეს? — წამოვიძახე ჩემდა უნებურად.

— როგორ მიხვდი? — გულწრფელად გაიკვირვა მან და თავადაც დახედა მკრთალ ზოლებს, — ათი დღე! გზის ჩაუთვლელად! აი, ბილეთი!

ალბათ, უნდა გამხარებოდა, მაგრამ რატომღაც მოვიწყინე. არ ვიცი, რად გამოვართვი ბილეთი, რად შევაბრუნე, რად შემოვაბრუნე. სადღაც გულის სიმი ჩამწყდა. ბილეთი უხალისოდ მივაჩეჩე და ვკითხე:

— დღეს მიდიხარ?

— თერთმეტზე, საღამოს. ქალაქში უნდა ავირბინო კიდევ. ჩემოდანი კი არ ჩამილაგებია. შენც რომ მოდიოდე ახლა!

— სამგზავროს დაუცდი?

— აბა?

— მუშა მატარებლებიც დადის. უფრო მალე ჩახვალ.

— მერე შეიძლება?

— რა ვიცი, ალბათ, შეიძლება, ომია...

— წერილს გამატან?

— ვისთან?

— თბილისში.

— ვინ მყავს იქ! ნათესავები არიან, მაგრამ... მოიცა, თუმცა დავწერ. არა, არა, რა საჭიროა...

ყაზარმაში გულდაწყვეტილი დავბრუნდი. ახლა პურს მკიან ჩემს კუთხეში. სკოლიდან გამოქცეული პატარები ფეხდაფეხ მისდევენ მკონავებს, თავთავებს აგროვებენ. თავსაფრიანი ქალებს სამხარი მოაქვთ, პერანგშემოხეული ბერიკაცები ჰოოპუნას აგუგუნებენ. ურმები, ჭიგოები, კევრები, კალოები...

## თავი მეექვსე

შეკრება ოცეულებად დაეწყო. ყოველ ოცეულს სააღლუმოდ გამოწყობილი მეთაურები ამოსდგომოდნენ გვერდით. სასპორტო მოედანზე სიჩუმე გამეფებულიყო. ამოდენა თავყრილობის მიუხედავად, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. გული გამალებით მიცემდა. მირიანის გამგზავრების შემდეგ თითქოს მარტო დავრჩი, მაგრამ ახლა ესეც კი მიმავიწყდა.

მთელი კვირის მანძილზე გაცხარებული სამზადისი იყო სასწავლებელში. ფრონტის სარდალი ჩამოვიდა. გვარდიის სატანკო დივიზიის გამოჩენის შემდეგ ეს მეორე დიდ ამბად გვეჩვენებოდა, რამაც დღეთა ჩვეულებრივი მსვლელობა დაარღვია.

დაგვიანებული ასეულები ტაატით ეწყობოდნენ.

ფრონტის წინ გენერლის ადიუტანტმა გაირბინა, მერე რაღაც გაახსენდა, უკან გამობრუნდა და მარჯვენა ფლანგისაკენ გაიქცა.

წამით სანახაობამ გამიტაცა. აქეთ-იქით დავიწყე ცქერა.

ორკესტრის წინ, ბებერი ტირიფის ქვეშ უფროს ოფიცერთა ჯგუფი თათბირობდა. ამ ჯგუფს ორი პოლკოვნიკი გამოეყო. ერთმა პირველ ბატალიონისაკენ აიღო გეზი, მეორე ჩვენკენ წამოვიდა. შორიდან ძლივს ვიცანი მოხუცი კუნსევიჩი. ახლო რომ მოვიდა, დავაკვირდი. ერთიორად მოტეხილი მეჩვენა. ტანთ დიდი მონდომებით იყო ჩაცმული. გამიკვირდა კიდეც. პოლკოვნიკი არასოდეს ყურადღებას არ აქცევდა ამგვარ წვრილმანებს. ახლა ჩვეულებისთვის ეღალატნა, მაგრამ არაფერი არ უხდებოდა. სხვის ტანზე შეკერილი მოლურჯო ხალათის საყელო მუნდირის ყაიდაზე შეებნია. საყელო ვიწრო იყო. ნიკაპქვეშ დანაოჭებული ღაბაბი გაეჩინა. მაღალ ჩექმებში გამოკრული წვრილი ფეხები ისე მოჰქონდა, თითქოსდა ველოსიპედზე ზისო. ფრონტის შუაგულს მოაღწია, შეჩერდა და კვლავ ტირიფისაკენ გაიხედა.

თითქოს ამასღა ელოდაო, მწვანე ხეივანში მერვე ასეული გამოჩნდა. ასეულს ტანდაბალი, ჩაფსკვნილი ლეიტენანტი მოუძღვოდა წინ.

— დარციმელია! –- დაიძახა პოლკოვნიკმა კუნსევიჩმა, მაგრამ მისი ხმა მეც ძლივს გავიგონე ჯარისკაცური სიმღერის ქუხილში.

ლეიტენანტი მწყობრიდან გამოვიდა. ალაპლაპებული შაშხანები საოცრად ბრწყინავდნენ.

Дорога ты для солдата,
Родная русская земля....

გაისმოდა ვრცელ მოედანზე.

— ას-ეულო! — დასჭექა ლეიტენანტმა და ოდნავი თავმომწონეობით უკან-უკან წამოვიდა.

მწყობრად აიკრიფა ნაბიჯი ასეულმა.

პოლკოვნიკი კუნსევიჩი დაიძრა, მცირე მანძილი კოჭლობით გაირბინა და კიდევ დაიძახა:

— დარციმელია!

ასეულის მეთაური მობრუნდა, მაგრამ პოლკოვნიკმა ხელით ანიშნა, ნუ გამოიქცევიო, ასეული სტელეფონო ბოძს იქით უნდა დადგეს, მეექვსე ასეულის მარჯვენა ფლანგზე, ოცეულებადო.

ასეული წინ მოდიოდა მძიმე, აკრეფილი ნაბიჯით, სიმღერა კი ქუხდა, გრგვინავდა, მიდამოს აზანზარებდა.

პოლკოვნიკი ისევ აწრიალდა. დიდი ხანი იყო სამხედრო ბრძანება არ გაეცა და ახლა უზომოდ ღელავდა.

ხანდახან ცინცხალი ორდენების წყება გადაჰკრავდა თვალს, წკიპურტით მტვერს აცილებდა.

არც კი ვიცოდი თუ ამდენი ორდენები ჰქონდა პოლკოვნიკ კუნსევიჩს.

ფრონტის წინ კიდევ გამოჩნდა გენერლის ადიუტანტი. მოხუცთან მიირბინა და ზრდილობიანად უჩურჩულა რაღაც.

პოლკოვნიკი უყურადღებოდ უსმენდა. მერე, როცა ადიუტანტი კვლავ მარჯვენა ფლანგისაკენ გაიქცა, ჩაახველა, იქაურობას ქორივით თვალები მოავლო, არაბუნებრივად გაჭიმულმა უკან-უკან დაიწია და ბებრული, ხრინწიანი ხმით დაიგრუხუნა:

— ათასეულებო, სწორდიით!

ტირიფს გადაღმა, აგურის ფხვნილით მოგებულ ბილიკზე ალისფერმა კანტმა გაიელვა.

ხელახლა ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, თითქოს ჰაერიც კი გაიყინა. დეზების სუსტი ჟღარუნიღა აღწევდა ახლა ჩვენამდე.

— ათასეულებო, სმენაა! — იქუხა კუნსევიჩმა.

შავგვრემანმა კაპელმეისტერმა ორჯერ გააქნია ჰაერში ნახევრადმოხრილი მარჯვენა ხელი, თავი უკან გადააგდო და მუსიკამ დაიწყო „შეხვედრის მარში“.

სარდალმა ნაბიჯს მოუმატა. ეტყობოდა, შეეცოდა გაჭირვებით მომავალი მოხუცებული პოლკოვნიკი.

კუნსევიჩი ხუთიოდე ნაბიჯზე შეჩერ-

და. მხედრულ სისხარტეს გადაჩვეული მარჯვენა ხელი ყვრიმალთან მიიტანე.

გაქვავდა გენერალიც.

მუსიკა დადუმდა, მაგრამ ახლა პოლკოვნიკ კუნსევიჩის ჩახლეჩილმა ხმამ აავსო სივრცე.

## თავი მეშვიდე

ალღუმიდან გაბურბუსალებული დავბრუნდი. საწოლზე ჩამოვჯექი სულის ამოსათქმელად. სადამომდე მეცადინეობა აღარ გვექნებოდა, ნაშუადღევს სალაშქროდ უნდა გავსულიყავით. მთელი დღე სამხადისს დაეთმო. ზემდეგი თავის ოთახში შევიდა. სამუშაო ძველმანებს არიგებდა. დერეფნიდან ხმაური ისმოდა. ზემდეგის კართან რიგი იდგა.

მუნდირი გავიხადე და ის იყო, მეც ტანსაცმლის გამოსაცვლელად უნდა წავსულიყავი, ოთახში ასეულის მორიგე შემოვარდა. დამინახა თუ არა, აქ ყოფილაო, საწოლთან მოირბინა.

— პოლკოვნიკი კუნსევიჩი გიბარებს. ჩქარა!

— მე? — ვკითხე და მუნდირს წავეტანე, — სად არის?

— ტაქტიკის კლასში!

მუნდირი ჩავიცვი. ღილები სასწრაფოდ შევიბნიე. მორიგე თავს მადგა. მაჩქარებდა. სანამ ქუდს ვირგებდი, ქამარი მომაწოდა.

— მარტოა, თუ იცი? — ვკითხე და თვალი შევავლე მის შეშფოთებულ სახეს.

— არ ვიცი. მე რომ გამოვდიოდი, სასწავლებლის უფროსიც იქ შევიდა. ვახსენებ, იცოდე! — სხაპასხუპით მომიგო მან და კარისაკენ მოჰკურცხლა.

ტაქტიკის კლასი პირველ სართულზე იყო. კიბე თვალის დახამხამებაში ჩავირბინე.

კლასის კართან ლოდინი მომიხდა. „ის გამოვა და მე მერე შევალ"! — ვფიქრობდი გუნებაში და ტანზე კოხტად მორგებულ მუნდირს მეათეჯერ ვისწორებდი.

კარი მოწყვეტით გაიღო. მთლად მიწისფრად ქცეული მორიგე გამოვიდა და გაოგნებული შემომაჩერდა.

— რა იყო? — უცნაურმა თრთოლვამ ამიტანა მეც მის დანახვაზე.

— შედი! ფრონტის სარდალიც იქ არის! — ძლივს წაიჩურჩულა მორიგემ.

ყოყმანის დრო აღარ იყო. „მთავარია, ნაბიჯი არ შემეშალოს, — ვიმეორებდი თითქმის ჩურჩულით, — ნაბიჯი, ნაბიჯი... მარცხენა ფეხზე შევჩერდები, მარჯვენას კი ლონივრად მივადგამ. ამხანაგო გენერალო... ამხ... გთხოვთ, ნება მიბოძოთ, წარვუდგე პოლკოვნიკს.. ამხანაგო პოლკოვნიკო"...

მაგრამ მე უკვე ტაქტიკის კლასში ვიყავი. თავბრუ დამეხვა. ყველაფერი ერთმანეთში აირია. ახლა ვეღარც კი ვარჩევდი, ვინ პოლკოვნიკი იყო აქ და ვინ გენერალი, მაგრამ ფეხებს მაინც დაუკითხავად მივყავდი წინ.

შევჩერდი. ერთ ფეხს მეორე მივადგი, მაგრამ ვეღარ მოვიგონე, რომელი რომელს. ალბათ, თვალები დახუჭული მქონდა. ვერაფერს ვხედავდი. სიცილი მომესმა და ამან გამომარკვია.

ჩემს წინ თავშიშველი, თმა-წვერგაპარსული წითური კაცი იდგა. მის ერთადერთ ოქროს კბილზე არეკლილი სხივი ეკალივით შემესო თვალებში. ვიცანი: ეს ფრონტის სარდალი იყო და უმალ მოვსულიერდი.

ორიოდე საათის შემდეგ მთელმა სასწავლებელმა იცოდა ჩემი მარცხის ამბავი: პატაკის მიცემისას გენერალი პოლკოვნიკად მოვიხსენიე. ერთი სიცილი და ხარხარი იყო. კაპიტნობის მაძიებელ ბერიშვილს ფრონტის სარდალი დაუქვეითებია და ახლა გაპოლკოვნიკებულ გენერალს ბატალიონის მეთაურად აგზავნიან მიყრუებულ გარნიზონში.

ვინ იცის, როდის მოელებოდა ბოლო ამ შეუბრალებელ განქიქებას, რომ სასწავლებელს მეორე ამბავი არ მოსდებოდა: ბერიშვილისათვის გაძლიერებულ

მსროლელი ასეულის მეთაურობა მიუნდვიათ და მომავალი ლაშქრობა მისი სარდლობით უნდა ჩატარდესო.

ეს კი სიმართლე იყო. ტაქტიკის კლასში სწორედ ამისთვის დამიბარეს. პოლკოვნიკ კუნსევიჩის არჩევანი ჩემზე შეჩერდა. ჩანს, ამაოდ არ ჩაევლო ტაქტიკის წიგნებში კირკიტს.

სიხარულისაგან ფეხზე აღარ ვიდექი. ტაქტიკა ჩემი გატაცება იყო. მოთმინება აღარ მყოფნიდა, როდის გავიდოდით მინდორში. იქ კი ველარ გაიცინებს ფრონტის სარდალი, იქ კი აღარ მივცემ სიცილის საბაბს!

ჩემს ასეულთან ერთად, რომლის მეთაურადაც ლაშქრობის დამთავრებამდე ვითვლებოდი, ნაშუაღამევს დამშრალ ხევში ჩავედი, გვარდიის სატანკო დივიზიის მანქანებს გვერდი ავუქციე, წინ მზვერავები წავიმძღვარე და მეც თან მივყევი.

გათენდა.

მზე შუბისტარზე შეიმართა თუ არა, საშინლად ასიცხდა, მაგრამ შესვენებაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო.

გვალვით გადახრუკულ მინდვრებს ბოლო არ უჩანდა. აქა-იქ მიტოვებული ჭები გვხვდებოდა, მაგრამ შიგ ერთი წვეთი წყალი არ იყო. შეიძლება იყო კიდეც, მაგრამ ახლა წყურვილიც კი მსიამოვნებდა. ხომ შეიძლებოდა მტერს მოეწამლა წყალი ან ყოველის მხრიდან დაენაღმა ჭის მისასვლელები!

„არ მიეკაროთ! დანაღმულია!“ — პირიდან პირზე გადადიოდა ჩემი ფიცხელი განკარგულება.

შევისვენეთ. მერე კიდევ ვიარეთ დაღამებამდე.

ღამე ტყეში გავათიეთ, მდინარის პირას.

გარიჟრაჟამდე ტკბილ ბურანში ვიყავი. გულაღმა ვიწექი და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შევყურებდი. ხან მშობლიური ტყეები მიდგა თვალწინ, ხან კი, რატომღაც, ჩვენი სოფლის ძველებური წისქვილი მაგონდებოდა. იქაც, გადაბელილ ტირიფებში რამდენჯერ ვწოლილვარ ასე, რამდენჯერ მითვლია და ვერ დამითვლია ეს აურაცხელი ვარსკვლავები.

მზე იწვერებოდა, როდესაც სამაშხალე მოვიმარჯვე.

ცას წითელი, მოციმციმე ბურთულა დაეკიდა, ქვემოთ შხუილით დაეშვა და ნაპერწკლებად გაიბნა ბორცვის ძირას.

პირველმა ზარბაზანმა დაიქუხა. მწვანე ტაფობში მტვრის უსწორმასწორო სვეტი დადგა. ამომავალი მზის სხივები კვეთდნენ მტვრის ბოლქვებს და გაქაჩლებულ ტაფობს მოლოლიალე ჩრდილებით ალაქავებდნენ.

ჭოგრიტს წავეტანე. ხელი მიკანკალებდა. ჭოგრიტი ქვეშ მომქცეოდა. ტანი ძლივს ავითრიე, რომ როგორმე გამომეძრო.

მოშორებით ბატარეის სერჟანტი იჯდა სანგარში და რაღაცას გაჰყვიროდა. მისი სიტყვები კანტიკუნტად მესმოდა, მაგრამ აზრი ვერაფერი გამოვიტანე. გამიკვირდა კიდეც, ნეტავი ვის უყვირის-მეთქი. ყური მივუგდე და ძლივს მივხვდი: ეს გავარვარებული ყუმბარები სწორედ მისი ნება-სურვილით მოფრინავდნენ ჩვენს თავზე.

„რა დაემართა? რატომ ღელავს ასე?“ — გამიელვა და ძალის მოსაკრებად საათს დავხედე.

„დროა!“ — მგონი ხმამაღლა შევძახე ეს, ავტომატს მჭიდე მოვარგე, სანგრის მიწაყრილზე ლულით დავუშვი და როცა მხარზე კონდახის ძიგძიგი ვიგრძენი, მივხვდი: ტყვია ტყვიას მისდევდა.

დათქმულ ნიშნად ესა კმაროდა.

აკაკანდნენ დაზგის ტყვიამფრქვევები. აყეფდნენ ნაღმსატყორცნები. ჰაერი დენთისა და გამდნარი ლითონის სუნით გაიჟღინთა.

წინა ხაზს გავხედე. მარცხენა ფლანგზე გამაგრებული მეოთხე ოცეულის ჯარისკაცები სათითაოდ გადარბოდნენ წინ და იერიშის ზღუდეს იკავებდნენ. სროლა გახშირდა. ახლა პირველი ოცეულის მეომრებიც აიშალნენ მარჯვენა ფლანგზე. გულმა ბაგაბუგს უმატა. ალყის შემორტყმა იწყებოდა.

ბატალიონის მეთაურის სათვალთვა-

ლო პუნქტიდან შავი მაშხალა აიჭრა ჰაერში.

სანგრიდან ამოვხტი, ავტომატი მოვიქნიე, რაღაც დავიყვირე და წინ გავიჭრე.

ჩემი ხმა სხვებმა აიტაცეს.

წინ მივრბოდი და მიწასაც ველარ ვამჩნევდი ფეხქვეშ. ვგრძნობდი, მარჯვნიდანაც მორბოდნენ, მარცხნითაც. ზარბაზნების შორეული ქუხილი ძლივსღა აღწევდა ჩვენამდე.

გარკვევით მესმოდა, როგორ მიჩქეფდა ადუღებული სისხლი საფეთქლებში, თუმცა სახეზე, ალბათ, გაფითრებული ვიყავი, მციოდა.

მაშ არ შემცდარა მოხუცი პოლკოვნიკი, არ შემცდარა, არა! ეს არ არის სასაცილო, სასაცილო სრულებით არ არის! ნამდვილი ბრძოლაა, მე კი ამ ბრძოლას ვმეთაურობ, მე ვმეთაურობ, მე!..

## თავი მეშვიდე

მირიანი, ალბათ, ჩამოვიდა, ალბათ, ყოველდღე მოდიოდა ასეულში.

მომხდარი ამბებით გაბრუებულს უზომოდ მწყუროდა მისი ნახვა. მწყუროდა ახლობელი ადამიანი, ვინც მომისმენდა, ვინც ჩემი სიხარულით გაიხარებდა და იმის გარჩევაშიც არ შევიდოდა, მოყოლის დროს რა ვთქვი მართალი და რა წავამატე ჩემდაუნებურად.

დავბრუნდით თუ არა, არც კი დავმჯდარვარ, მაშინვე სანიტარულ ბატალიონს მივაშურე.

მირიანი არ დამიხვდა. მისი ჩამოსვლის ვადა გადაედოთ. ეს დროც გასული იყო, მირიანი კი მაინც არსად ჩანდა.

უკან გულნატკენი და ცოტა შეფიქრიანებულიც დავბრუნდი.

რა დაემართა?

შინ მელოდა თურმე სიხარული! იმან ყველაფერი ხელახლა გადამავიწყა.

საღამოს ამოკითხვაზე სასწავლებლის უფროსის ბრძანება წაიკითხეს.

ლაშქრობაში განსაკუთრებული უნარის გამოჩენისათვის ფრონტის სარდალი ათდღიანი შვებულებით მაჯილდოებდა.

როცა ასეულის მეთაური ბრძანებას კითხულობდა, მწყობრის წინ ვიდექი.

ყველამ მე შემომხედა.

მოულოდნელმა ამბავმა ისე გამაოგნა, ხმა ველარ ამოვიღე.

თურმე ნატვრასაც ეჩვევა ადამიანი.

მწყობრი დაიშალა. ამხანაგები გარს შემომეხვივნენ. ახლა არავის ყურისგდება აღარ შემეძლო.

გარეთ გავვარდი. შუბლზე გრილი ნიავი მომხვდა. მესალბუნა. მაშ მე ხვალ წავალ, მოხუცებს ვინახულებ, ნაცნობ ადგილებს მოვირბენ, რამდენიმე დღით საოცნებო მოგონებებში გადავსახლდები...

შემოვბრუნდი. პირველყოვლისა მთელი წლის ნაგროვები წერილები ამოვიღე საველე ჩანთიდან და ჩემოდნის კუთხეში მოვათავსე. სულ თავზე მამაჩემის წერილი იდო. ვიცანი: ივნისის დამდეგს მომივიდა. ბალი დამწიფდაო, მწერდა. რაც ყვავილიდან გამოვიდა, მას აქეთ წვიმას არ გადაუღია და გემო სულ არა აქვსო. შაშვები მაინც არ ცილდებიან, მომკლა იმათმა ჟივჟივმაო.

წერილი დავკეცე და ჩამოვჯექი. ახლა რას აკეთებენ ნეტავ იქ? ლობიოს ბარდს იღებენ, ალბათ, შიგადაშიგ ნაადრევ სიმინდსაც ტეხენ. სასუა მეწისქვილე ყოველდღე კოდავს დოლაბებს და ბუზღუნებს, აცალეთ, ვექო, ტაროს გახმობა, რა არის, რომ წყალ-წყალა მარცვალს მოარბენინებთ, ხომ ხედავთ, ფქვილის მაგივრად, რძე გადმოდის ალაშიო. „ეეჰ!“ — ამოიოხრებს მერე და აჯაბაჯა გაალაჯებს კერიისაკენ. ცხელი მჭადის სუნი ტრიალებს წისქვილში. დაკონკილი ბიჭები ძუძგურებენ ცეცხლის პირას, დაბრაწულ მჭადს მიშტერებიან და ხმას არ იღებენ.

ხელზე რაღაც სველი დამეცა. შევკრ-

თი. მივიხედ-მოვიხედე. ირგვლივ ყველას ეძინა. მხოლოდ მორიგე მისჯდომოდა მაგიდას და საღამური ნათურის შუქზე წიგნს კითხულობდა.

ტანზე გავიძრე. ლოგინში ჩავწექი.

ის-იყო საბანი წავიხურე, შიშველ ფეხზე ვიღაც შემეხო.

— ბერიშვილო, გძინავს?

თავი წამოვყავი.

— ზემდეგი გეძახის, — წამჩურჩულა მორიგემ და საწოლს მოსცილდა.

— იჰ! — ამოვიოხრე ბოლმაზე მოსულმა, — თუ შუაღამისას არ წამოგაგდო, დილით ველარ მოასწრებს!

სანამ ვიცვამდი, ზემდეგი თავად შემოვიდა.

— გეძინა? — მკითხა იმ განსაკუთრებული მზრუნველობით, რითაც არცთუ ისე მანებივრებდა ხოლმე, — იჯექი, იჯექი, ჩაიცვი! ქვემოთ სტუმარია, ჭიშკართან გიცდის.

— სტუმარი? — წამოვიძახე გაკვირვებულმა.

— სუ! ქალიაო. დიდხანს არ დაიკარგო, იცოდე. გათენდება თუ არა, მოდი.

პასუხისათვის აღარ დაუცდია. თვალი გავაყოლე. ვინ ქალი, რას ამბობს! ზემდეგს ხუმრობა არ უყვარდა. მაშ ვინ უნდა იყოს? მუნდირი მოუთმენლად გადავიცვი და მეც გარეთ გამოვედი.

ეზო ჩაბნელებული იყო. მხოლოდ ჭიშკართან ენთო სინათლე. ახლო რომ მივედი, ძილმორეულმა გუშაგმა სიბნელეში ატუზულ ადამიანზე მანიშნა. შლაგბაუმის ქვეშ გავძვერი და სახტად დავრჩი: ჩემს წინაშე მირიანის მოხუცი დიასახლისი იდგა.

— რა იყო, დედი? — იმდენად გამაკვირვა მისმა სტუმრობამ, აღარც კი დავაცალე ხმის ამოღება, — აქ რამ მოგიყვანა?!

— ლევანი ხარ? — შემეხმიანა მოხუცი, — მირიანმა გამომგზავნა, შვილო, ამოდიო.

— მირიანმა?

— ჰო, ეს წუთია მოვიდა.

— დაემართა რამე?

— არა, შვილო, არა, არაფერი არ არის. მარტო ასე თქვა, ამოვიდესო...

ჩემს განცვიფრებას საზღვარი აღარ ჰქონდა. რა მოელანდა? მეტ გამოკითხვას აღარ გამოვკიდებივარ, მაშინვე ქალაქის გზას დავადექი.

— სად მიხვალ, შვილო, სახლი დაკეტილია, — დამადევნა მოხუცმა, — გასაღები მე მაქვს.

— აბა ის სად არის?! — მოვუბრუნდი უფრო დაეჭვებული.

— ერთ საათში მოვალო. ამასობაში შენ შეატყობინეო.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ნაცნობ ჭიშკარს მივადექი. ეზოში შევედი. ბებერი თუთის ქვეშ ნათურა ენთო, მაგრამ აივანზე არავინ ჩანდა. მაგიდაზე ჭადრაკის დაფა იყო გადაშლილი, ფიგურებიც იქვე ეყარა.

დავიძახე, იქნებ მოსულია-მეთქი. ხმა არავინ გამცა. კიდევ დავიძახე. ბაიბური არ ისმოდა. აივანზე ავედი და უპატრონოდ მიტოვებულ ფიგურებს დავუწყე ხელში წვალება, თან ჭიშკრისაკენ ვიყურებოდი.

ეს რაღა ახირება იყო, რად უნდა დაეძახე ასე შუაღამისას?

აღარც დედაბერი მოვიდა.

ათიოდე წუთს ვიჯექი. ჭიშკრისათვის თვალი არ მომიშორებია.

ბოლოს, როგორც იქნა, გაიჭრიალა ჭიშკარმა. ჭადრაკის ფიგურები უკან მივყარე და წამოვდექი. მეგონა, დედაბერი მოვიდა, მაგრამ მის მაგივრად, თავად მირიანი შემრჩა ხელში..

— ღამურა! — მივაძახე გახარებულმა, — ცოცხალი ხარ?

— ოჰ, მოხვედი? — შეკრთა იგი და ზემოთ ამოიხედა, — გამარჯობა!

პასუხად აივნის კარი გავუღე. რაღაც ქაღალდში გახვეული გამოვართვი. ეტყობოდა, ჩქარა ევლო. ხმამაღლა სუნთქავდა. მაშინვე სკამზე ჩამოჯდა, კიტელის საყელო შეიხსნა და გამიღიმა:

— რასა იქ, როგორა ხარ?

— მე. რა მიჭირს, შენ როგორ იმგზავრე?

— ამ საღამოს ჩამოვედი. დაჯექი რას დგახარ! ვითამაშოთ?

კინაღამ გამეცინა. სათამაშოდ დამიბარა ამ შუაღამისას?

— მართლა, მირიან, მე შვებულება მომცეს, იცი? — უმალ ჩემი სასიხარულო ამბავი გამახსენდა და ვახარე.

— ოჰ! როგორ? — ნაღვლიანი თვალები მომაპყრო მან.

— როგორ და ისე! — საჭიროდ აღარ ჩავთვალე ყველაფრის მოყოლა და რაღაცით დაეჭვებულმა თვალი გავუსწორე, — შენ რა, საწყენი ხომ არაფერი შეგხვდა?

— დიდი ხნით მიდიხარ? — სიტყვა ბანზე ამიგდო მირიანმა.

— ათი დღეო...

— თბილისში გაივლი?

— აბა გადავფრინდები?

— წერილი წაიღე.

— არ წავიღებ!

— ოჰო! — წარბები აზნიქა მან, მაგრამ დაღლილ თვალებში ღიმილის ნიშანწყალიც არ უჩანდა, — დაჯექი, ერთი ხელი ვითამაშოთ.

დაფა გადმოაბრუნა. ფიგურების დალაგება დაიწყო.

— თეთრები გინდა თუ შავები?

— სულ ერთია. ჩვენს ზემდეგს სად ვგონივარ ახლა, იცი?

— ჰო.

— სხვანაირ ადგილას. ქვემოთ ქალი გელოდებაო. ის ბებრუხანა კი... — ღიმილი მომერია მე.

ახლა მირიანსაც გაეხსნა შუბლი.

— ყოჩაღ! მაგისთანებიც დაიწყე?

მე ვიცინოდი. ეს სიტყვებიც შევიფერე და სიცილში ჩავატარე.

— ჰო, ჩვენ მგონი ხვალ მივდივართ, — თქვა უცებ მირიანმა.

— ვინ თქვენ?

— ჩვენი დივიზია.

— სად?

— ფრონტზე. აჰა, თეთრებით ითამაშე.

გავშტერდი. სიტყვის თქმა ველარ მოვახერხე.

— დაიწყე, — მითხრა მან, როცა თეთრების მხარე ჩემკენ მოაბრუნა და პირუკუ დალაგებულ მეფე-დედოფალს ადგილები შეუნაცვლა, — აბა დილის მატარებლით წახვალ? რა კარგია! ჩუ, ფეხის ხმა იყო?

— ალბათ, მოხუცი მოვიდა.

მაგრამ ჭიშკარში არავინ შემოსულა. დაგვიანებულმა მგზავრმა თუ აიარა.

— მირიან! — წავიჩურჩულე ისე, რომ მღელვარება დამეფარა, — თქვენებმა იციან?

— ჩვე-ნე-ბი-ანთ თამ-როსაო... — წაიღიღინა მან.

— მირიან!

— ჰო.

— თქვენებმა იციან?

— რა?

— აი, ეს... შენ რომ...

— დაიწყე, რაღას უცდი!

— არ მისწერ?

— ნწ. შეიძლება არც წავიდეთ. ლაპარაკობენ, ისე... ჰა!

ჭადრაკის დაფას აბნეულად გადავხედე და მეფის წინა პაიკი უხალისოდ წავწიე წინ.

მირიანმა საპასუხო სვლა გააკეთა და ღიღინი დაიწყო. გარინდებული ღიღინებდა. თვალს არ აშორებდა დაფას.

ველარ მოვითმინე და მეფე ხრიგინით წავაქციე.

— რა იყო? — გამოერკვა მირიანი.

— არაფერი! რა სისულელეა ახლა ამის თამაში!

— გაგიჭირდა?

— გამიჭირდა კი არა, ის! მომეცი წერილი!

— აბა შენ ეგენი ჩააწყე. ახლავე დავწერ.

ამ სიტყვებზე წამოდგა. ოთახში შევიდა. მე ისევ ჭადრაკის ფიგურებს მივუბრუნდი და, რომ რამე მეკეთებინა, სათითაოდ დავუწყე ჩალაგება მუყაოსყუთში.

ჭიშკარმა გაიჭრიალა. მირიანი მაშინვე გამოვიდა აივანზე, მაგრამ როგორც კი მოხუცი დიასახლისი დაინახა, ისევ შებრუნდა ოთახში.

„გამოძახებას ელოდება!“ — შევფიქრიანდი ისევ და ეზოში ხანხალით მომავალ დედაბერს უაზროდ მივაპყარ თვალები.

— მოვიდა? — ხმამაღალი ჩურჩულით მკითხა მან, როცა ქვის საფეხურებიან კიბეზე ამოდიოდა.

მე თავი დავუქნიე და მეტი რომ აღარაფერი ეკითხა, იღლიაში კოლოფამოჩრილი მირიანის ოთახში შევედი.

მირიანი ნახევრად ბნელ კუთხეში იჯდა. გამალებით წერდა. ახლა ხელმეორედ ვიგრძენი უცნაური კრძალვა მის მიმართ. ჩვენს შორის თითქოს ისევ ჩადგა რაღაც...

ოთახში დარჩენა უხერხულად ჩავთვალე. ისევ აივანზე გამოვედი.

დედაბერი თავის კართან იდგა. გასაღებს ეჯაჯგურებოდა.

მივუახლოვდი, გზიდან ჩამოვიცილე, კარი უსიტყვოდ გავუღე და მყისვე უკან გამოვტრიალდი.

მირიანი ისევ გამალებით წერდა.

სვეტს ავეყუდე და ეზოში დავიწყე თვალებით ბორიალი. გამახსენდა, როგორ ბზუოდნენ აქ ფუტკრები ადრიან გაზაფხულზე. ახლა სუსტი ნიავი ჰქროდა. თუთის ფოთლებს აშრიალებდა. ეზოს კუთხეში განმარტოებით მდგარი იასამნის ბუჩქი გაძრცვნილი იყო. ზაფხულმა ფეხი მოიკიდა. მალე თუთასაც შეეპარება სიყვითლე...

მოაჯირთან კარგა ხანს ვიდექი. გულით მინდოდა რაიმეზე მეფიქრა, მაგრამ არაფერზე ფიქრი არ შემეძლო.

ფეხის ხმა შემომესმა. მოვიხედე. მირიანი კარებში იდგა. ერთხელ უკვე ნახმარ კონვერტში წერილს სდებდა.

— მისამართი აწერია, — თქვა მან, — მიაგნებ?

— როგორ ვერ მივაგნებ! ხალხი პოლუსზე დადის.

— ოღონდ ხვალ საღამოსვე უნდა მიიტანო, იცოდე, ჩახვალ თუ არა.

მერე ახსნა დამიწყო, როგორ უნდა მიმეგნო მისი სახლი. მე ყურს არ ვუგდებდი. წერილი რომ მომცა, ფრთხილად მოვკეცე და ჯიბეში ჩავიდევი.

— აბა ნახვამდის ახლა, ალბათ, მალე შევხვდებით!

ცრემლები მომაწვა. თავის აწევაც ველარ გავბედე.

— მაგდებ? — წავილუღლუღე მხოლოდ იმისათვის, რათა სიჩუმე არ გამეცა.

— შენი წასვლის დავლიოთ, თუ გინდა, კონიაკი მაქვს.

— არ მინდა.

— თითო ჭიქა დავლიოთ.

— მომეშვი ერთი!

— მართლა, სულ მავიწყდებოდა! აი, ეს უნდა წაიღო. შენთან ვაპირებდი დატოვებას. არ შეგაწუხებს? — მაგიდაზე შემოდებულ ქაღალდის შეკვრას წაეტანა იგი.

— გასატეხია?

— არა, წიგნებია. ბატალიონში მქონდა. უთხარი, ესენი აღარ ჰირდებათქო. დანარჩენი წერილში სწერია. ზედმეტი არაფერი წამოგცდეს! — თვალი თვალში გამიყარა მან, — მძიმე კია, როგორ მიიტან ყაზარმამდე. მოდი, მე გამოგყვები ცოტაზე.

— მოიტა! შენზე ნაკლებად წავიღებ? — თითქმის ძალით გამოვგლიჯე ხელიდან წიგნების დასტა და კიბეს მივაშურე.

ჭიშკრამდე გამომყვა. ქუჩაში გავედით და შევჩერდით. სახეზე შევხედე. წამიერმა ღიმილმა გაურბინა თვალებში. ვატყობდი, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა. მაშინ თავად მოვიკრიბე გამბედაობა, მკლავში ხელი ჩავავლე, მისი გრილი თითები ჩემსაში მოვიქციე, მაგრად მოვუჭირე, მერე გავუშვი, გავტრიალდი და ცრემლები რომ არ დამენახვებინა, თავქუდმოგლეჯილი დავეშვი თავდაღმა.

ერთი-ორჯერ მომესმა ვიღაცის დაძახილი. არ ვიცი, ის იყო თუ სხვა. უკან აღარ მომიხედნია.

შეშის ფარდულს მივაღწიე, შევჩერდი, წიგნებს ხელი მოვუნაცვლე და შუბლი შევიმშრალე.

ზაფხულის წყნარი საღამო იყო. თავს ვარსკვლავები დამციმციმებდნენ.

ამგვარი საღამო იყო მაშინაც, პირველად რომ ვნახე მირიანი, ახლა კი ვინ იცის, რამდენი დღე და საათი გავიდოდა, სანამ კიდევ შევხვდებოდით ერთმანეთს.

ეროვნული

## თავი მერვე

მოსაღამოებული იყო, როცა ბაქოდან მომავალი ჩქარი მატარებელი ნავთლუღს მიუახლოვდა. შორს თბილისის ერთიმეორეზე მიჯრილი სახურავები გამოჩნდა. ჩამავალ მზეს თითქოს ხანძარი გაეჩინა. თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ გუმბათიანი სამრეკლოები. მთელი ქალაქი ოქროს მტვერში აცურებულიყო...

მატარებელი ელვასავით მიჰქროდა აწოწილი ელევატორების გასწვრივ.

ძილგამტყდარი მეისრეები უხალისოდ უცდიდნენ მის გავლას.

დაუქმებულ ჩიხებში საცხოვრებელ სახლებად გადაკეთებული თითო-ოროლა ვაგონი იდგა. მიწის პირამდე დაბლებულ კიბეებზე ფეხშიშველა ბალღები ისხდნენ და ხარბად ადევნებდნენ თვალს შორი გზიდან მომავალ მატარებელს.

სადგურს მივაღწიეთ თუ არა, ვაგონიდან პირველი ჩამოვხტი და მაშინვე გასასვლელისაკენ ავიღე გეზი.

ერთბაშად ვერც კი მოვისაზრე, რომელ მხრისაკენ უნდა გამეხვია.

კითხვა-კითხვით გავყევი სადგურის ქუჩას. მუხრანის ხიდთან მარცხნივ მოვუხვიე: ერეკლეს მოედანზე გავედი. ბოლოს, რომელიღაც ჭიშკრიდან გამოცვენილმა ბიჭუნებმა შემიყვანეს ერთს ფართო, ოთხივე მხრივ მაღალი სახლებით შემორტყმულ ეზოში.

მარტოდ-მარტო ავუდექი რკინის კიბეს. აქამდე წუთითაც არ მიფიქრია, რომ ოჯახში ცუდი ამბავი მიმქონდა. ვნატრობდი, შინ ვინმე მამაკაცი დამხვედროდა, ან მამა ან ვინმე სხვა, წიგნები მიმეჩეჩებინა და სანამ გამოკითხვას დამიწყებდნენ, უკანვე გამოვბრუნებულიყავი, მაგრამ სურვილი არ ამიხდა: კარი შუახნის გამხდარ-გამხდარმა ქალმა გამიღო. ტანთ საგარეოდ ეცვა. ხელში მოწაფური შავი პორტფელი ეკავა. ალბათ, სადმე მიდიოდა და მე შევაჩერე. დამინახა და შეკრთა, რადგან სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა ჩემს წინაშე (მე ხომ დაკაკუნებაც ვერ მოვასწარი). ჩემოდანი დავდგი და ქუდი მოვიხადე.

— მირიან სავანელი აქ ცხოვრობს?

— დიახ, — წარბშეკრულად მიპასუხა ქალმა, — მე დედა ვარ მისი.

ამ სიტყვებზე ხმელი ხელი გამომიწოდა და მეც ჩამოვართვი.

— მირიანის ამხანაგი ხართ?

— დიახ. აი, ეს გამომატანა, — ვთქვი მე და ჩემოდანზე შემოდებულ წიგნების შეკვრა ჩამომართვა.

— როგორ არის, ხომ კარგად ჩამოვიდა?

— დიახ... წერილია კიდევ!

— მაია! — დაიძახა დიასახლისმა და შეკვრა ჩამომართვა.

ოთახის კარი გაიღო. შუშაბანდში საშუალო ტანის შავგვრემანმა ქალიშვილმა გამოიხედა.

— მირიანის ამხანაგია. წერილი გამოუტანებია, — მიმართა მას დიასახლისმა, შეკვრა იატაკზე დასდო, შავი პორტფელი იღლიაში ამოიჩარა და წერილი მაშინვე გახსნა.

გახარებულმა მაიამ ტაში შემოჰკრა და ისევე ელვასავით გაჰქრა, როგორც გამოჩნდა.

დიასახლისს შუბლი შეეკრა და წერილს კითხულობდა.

— ბოდიში, მე... — დავძარ ხმა მოწიწებით, რათა კითხვაში ხელი არ შემეშალა, ქუდი ფრთხილად დავიხურე და უკან-უკან წავედი კიბისაკენ.

— როგორ? — წერილს წამით მოწყვიტა თვალი კითხვაში გართულმა დედამ, — სად მიდიხართ?!

— უნდა გეახლოთ, — მივუგე კიდევ მეტი მოწიწებით, რის საშუალებასაც კი ჩემი სოფლური აღზრდა-განათლება მაძლევდა, — ათი დღით ვარ ჩამოსული...

— მერე აგრე როგორ შეიძლება! მირიანის ოჯახში მოხვედით და აგრე გინდათ წახვიდეთ?

შევყოყმანდი, თუმცა ერთი სული მქონდა, აქედან როდის გავაღწევდი.

— აბა! — შემომიძახა მანდილოსანმა და ისევ ქალიშვილი მოიხმო: — მაია!

— ახლავე, დედი! — მოისმა მაიას წკრიალა ხმა ოთახიდან.

თითქოს სადღაც გამეგონა ადრე ეს ხმა.

— გამოდი, აქ გიცადოთ?

— ახლავე! — გამოეპასუხა იგივე, ზარივით წკრიალა ხმა, რომელიც წამიერი ფიქრის შემდეგ მირიანისას მივამსგავსე.

— დღეს ჩამოხვედით? — ისევ მე მომიბრუნდა დიასახლისი.

— ერთი საათის წინ. პირდაპირ სადგურიდან მოვდივარ. მირიანმა უსიკვდილოდ ამ საღამოსვე უნდა მიიტანოო, — მივუგე რაც შემეძლო თავაზიანად, ყურებში კი წამის წინ განაგონი ნაცნობი ხმა წკრიალებდა.

— მშობლები გყავთ?

— დიახ.

— სად?

— სოფელში.

— მომეცით ეგ ქუდი. ჩემოდანი აი, აქ დადგით. მერე შიგნით შევიტანთ. მაია! — კიდევ გაიხედა მან ოთახისაკენ.

— ახლავე, დედა, რა მოგივიდა! — ხელახლა გამოჩნდა კარებში შავგვრემანი ქალიშვილის სახე, — სახლი დაულაგებელია, მაინცდამაინც უნდა ვთქვა?

— ნეტა ერთი, როდის დალაგდები! მოდი, გაიცანი ჯერ ეს კაცი. ხომ იცი, მაგვიანდება!

თითქოს ხელი ჰკრესო, ისე გამოვარდა შუშაბანდში საოცრად მოძრავი, თვრამეტი-ცხრამეტი წლის ქალიშვილი, ჯიქურ მოგვადგა და ისევ დედას მიმართა ალერსნარევი საყვედურით:

— დაიწყებს ყვირილს! არ უნდა დავალაგო?

იმის გულუბრყვილო, თითქმის სრულიად ბავშვურ ბუტიაობაზე ღიმი მომერია და როდესაც ხელი ჩამოვართვი, მზერა კვლავ დიასახლისზე გადავიტანე. ვგრძნობდი, მაია იღიმებოდა და ისევ მე მიყურებდა, რაც ერთსა და იმავე დროს ძალზე სასიამოვნოც იყო და წონასწორობასაც მიკარგავდა.

სიჩუმე მაიამ დაარღვია:

— სხვას უწყრება, თვითონ კი სტუმრის თანდასწრებით კითხულობს წერილს!

— ოჰ, მართლაც! ბოდიშს ვიხდი, — შეკრთა დიასახლისი და ქალიშვილს მიუბრუნდა, — რაც შენი საქმე არ არის, იქ ცხვირს ნუ ჩაჰყოფ ხოლმე!

ამის გაგონებაზე ისევ მომერია ღიმილი და მალულად მაიას გავხედე. ისიც იღიმებოდა. მაიამ შემნიშნა, რომ ვუყურებდი და როდესაც დედა წერილს დაუბრუნდა, მეგობრულად თვალი ჩამიკრა.

დიასახლისმა ზერელედ გადახედა წერილის ბოლოს. იქ, ალბათ, საგულისხმო არაფერი იყო. პორტფელი იღლიიდან გამოიღო და წერილი მაიას გაუწოდა.

— ახლა მე წავიკითხო? — წამსვე წამოიძახა მაიამ და გაიცინა იმ ზარისებური წკრიალა ხმით და ისე გულიანად, როგორც მხოლოდ მის მოუსვენარ, ჩათქვირებული ტანის რხევას და ნაპერწკლებით სავსე თვალებს შეეფერებოდა.

— ჭკუით იყავი! — გაეღიმა დედასაც, — სტუმარი მოასვენე. დაღლილი იქნება. რვეულებს ჩავაბარებ და ახლავე მოვალ, — მერე ისევ მე მომიბრუნდა: — თქვენ ვერსად ვერ გაგიშვებთ ამაღამ. დილამდე ჩვენი სტუმარი იქნებით.

სხვა რაღა გზა იყო, თავი დავხარე, რაც ფარ-ხმალის დაყრას ნიშნავდა.

როდესაც მარტო დავრჩით, შუშაბანდის ღია ფანჯარასთან მივედი და ეზოში გადავიხედე. იქაურობა ვეება ნათურას გაეჩახჩახებინა.

— რას უცქერით? — მომიახლოვდა მაია და თვითონაც ეზოში გადაიხედა.

დაბალი მესერით შემოღობილ ბაღჩაში თავშიშველი ბერიკაცი ყვავილებს რწყავდა.

— როგორი ნათელი ფერებია! — წავილაპარაკე მე უფრო იმისათვის, რომ ნაცნობი წკრიალა ხმა ერთხელ კიდევ გამეგონა.

— იცით, რა ჰქვია მაგ ყვავილებს?

— არა!

— თვალხუჭუნები!

— ეგ რას ნიშნავს?

— მზის ამოსვლისას იშლება, მზის ჩასვლისას ისევ შეიკეცავს ფურცლებს, თითქოს დაეძინაო.

— მერე რატომ ახლა არ ძინავთ?

— სინათლე არ აძინებთ. ლამაზი ყვავილია. ჩვენც გვქონდა, მაგრამ დედამ არ დააყენა. არ უყვარს ყვავილები.

— აბა ეს? — ყვავილებიან ქოთანზე ვანიშნე მე.

— ეს მირიანის ნახელავია! — ეშმაკურად, ქვეშ-ქვეშ შემომღიმა მაიამ და როცა წამიერად თვალი გადავკარი, ერთბაშად მირიანს მივამსგავსე. სახე ამასაც ხორბლისფერი ჰქონდა, მაგრამ მირიანი უფრო შავტუხა იყო, რაც მეტ მამაკაცურ იერს აძლევდა. ნათელი შავი თვალები ძმისებრ უბრწყინავდა მაიას. ამას გარდა, იყო კიდევ რაღაც ისეთი, ხმის კილო თუ გამომეტყველების იდუმალი შუქი, რაც სხვადასხვა ჰასაკისა და სქესის ადამიანებს ერთმანეთთან ანათესავებს.

— დიდი ხნით ჩამოხვედით? — მკითხა უცებ მაიამ.

— დიდი ხნით? — უნებლიედ პასუხი დავუგვიანე და ერთხელ კიდევ შევხედე მალულად, — დიდი ხნით არა... ცოტა ხნით...

— სწავლობთ?

— თქვენ საიდან იცით?

— მირიანმა გვითხრა.

— მერე რა იცით, ისა ვარ?

— როგორ არ ვიცი, თქვენ თვითონ არა თქვით? — წარბები აზიდა მაიამ.

— ბოდიში, დამავიწყდა, — უხერხულად წავილაპარაკე მე და მომეჩვენა: ეს თავნება, მომხიბვლელი ქალიშვილი ჩემით ერთობოდა.

— ჯარში დიდხანს უნდა იმსახუროთ? უცნაური შეკითხვა იყო.

— არ ვიცი... შეიძლება ვიმსახურო.

— მირიანი ყველაფერს მოგვიყვა. მართლა ძალიან ნიჭიერი ხართ?

კიდევ ავწიე თვალები და მაიას შევხედე იმის გასაგებად, დამცინოდა თუ მართლა მეკითხებოდა.

— მე სულ სხვანაირი მეგონეთ, — განაგრძო მაიამ, რომელმაც ყურადღება არ მიაქცია ჩემს წამოწითლებას, — სამხედროს არ გავხართ. არც მირიანი ჰგავს სამხედროს. აქ რომ იყო, სულ არ ჰგავდა. მართლა. ამდენი ხანია მსახურობს და მაინც არ ჰგავს...

უცებ ჩაჩუმდა და ტუჩები ისე აიბზუა, თითქოს ეს ამბავი დიდი უბედურება ყოფილიყოს.

— სამხედრო რა, სხვანაირია? — დავარღვიე სიჩუმე მე.

— რასაკვირველია!

— მაინც როგორი?

— როგორი... როგორი, არ ვიცი, მაგრამ... წამოდით, გაჩვენებთ!

ამ სიტყვებზე მაია ფანჯარას მოსცილდა. ოთახში შეირბინა. მერე ისევ გამოჰყო თავი შუშაბანდში, შემოდითო, ხელი დამიქნია და კარს უკან გაუჩინარდა. პირველად ხუმრობა მეგონა. აბა რა უნდა ეჩვენებინა თავისი სიტყვების დასადასტურებლად, მაგრამ კარისაკენ მაინც წავედი. წინა ოთახიდან მეორეში გამიყვანა, წიგნებით დახვავებული საწერი მაგიდის უჯრა გამოსწია, რაღაც სქელი წიგნი ამოიღო. სურათების ალბომი აღმოჩნდა. მოუთმენლად გადაშალა, მუყაოზე დაკრული მრგვალი სურათი იპოვნა და გამომიწოდა.

— აი, ნახეთ! ხომ ნამდვილი სამხედროა?

სურათზე ულვაშებაკრეჭილი ოცდარვა-ოცდაათი წლის მაიორი იყო გამოხატული. გვერდშექცევით იდგა. ხელები ხმლის ვადაზე შეეწყო.

— ვინ არის? — გავხედე მაიას.

— მოგწონთ? — აღტაცებას ვერ მალავდა იგი, — ხომ ნამდვილი სამხედროა?

„აი, როგორები მოსწონს!“ — გამიელვა მე და უნებურად შემშურდა, რომ

ეს ამაყი მაიორი ასე მიმზიდველი იყო.

— ვინ არის? — ისევ გავიმეორე კითხვა, თუმცა ისევ სხვა რამეზე ვფიქრობდი, — ნათესავია?

— მირიანს ჰგავს, არა?

სურათს კიდევ გავხედე და ცალყბად ვუპასუხე:

— ძალიან.

— ჩვენი ბაბუაა!

— ასე ახალგაზრდა? — გულწრფელად, მაგრამ სრულიად დაუფიქრებლივ წამოვიძახე მე.

მაიამ გადაიკისკისა.

— თქვენ გგონიათ, ბაბუა აუცილებლად მოხუცი უნდა იყოს?

გავწითლდი. მაია ისევ იცინოდა ზარისებური წკრიალა ხმით. ახლა თითქოს თვალები კი არა, ხმა უნათებდა სახეს.

სურათი გამომართვა. ხარბად დააცქერდა.

— ჩვენ, სამივე, ერთმანეთს ვგავართ, ბაბუა, მე და მირიანი! — თქვა მცირე დუმილის შემდეგ.

— აკი მირიანი სამხედროს არ ჰგავსო?

მაიას კიდევ გაეცინა.

— თუ აგრეა, მაშინ მეც უნდა ვგავდე სამხედროს!

ვგონებ ეს მესამედ დამიჭირა.

— ახლა სად არის? — ვკითხე სიტყვის მასალად, რათა უხერხული გარინდება მიმეჩქმალა.

მაიას გაუკვირდა.

— ბაბუა? ბაბუა დიდი ხანია მოკვდა. მაშინ დედაჩემიც არ იყო დაბადებული. კი არ მოკვდა, თურქეთის საზღვარზე მოკლეს, როცა სტამბოლიდან ბრუნდებოდა. ბაბუაც ექიმი იყო. იქ რუსეთის საელჩოში მუშაობდა.

— ომის დროს? — ვიკითხე და სურათი ისევ გამოვართვი.

— არა, ყაჩაღებმა მოკლეს. აი, ნახეთ, სურათი 1896 წელსაა გადაღებული სანკტ-პეტერბურგში. С. Петербург! — ჩამქრალ წარწერას ვარდისფერი თითი გააყოლა მაიამ და ნორჩი, გაშიშვლებული მკლავის სიმხურვალე სახეზე მომაცხუნა.

უნებურად უკან დავიხიე. თვალი წამივიდა. ასე მხოლოდ მორყეულ ბონდზე გასვლისას დამმართნია. მაია მაგიდასთან იდგა. უწესრიგოდ გაბნეულ სურათებს ალბომში აწყობდა. ვინატრე დიდხანს გაგრძელებულიყო ეს დუმილი, დიდხანს ეგროვებინა სურათები, რათა მალულად მეცქირა... ყვრიმალზე თმა ჩამოშლოდა. შორიდანვე ვგრძნობდი: ძალზე რბილი იყო ის თმა. ხელის შევლება მომინდა. თვალები დავხუჭე. რას იტყვის? მერე რით უნდა ავხსნა ჩემი საქციელი? „არა, არ შეიძლება!“ — გავიფიქრე და ავწრიალდი.

— რას ეძებთ? — მომიბრუნდა მაია, რომელიც აინუნშიაც არ იყო, რა მემართებოდა.

— ჩემი ქუდი სად არის?

— ქუდი რად გინდათ?!

— უნდა წავიდე.

— უნდა წახვიდეთ? რას ამბობთ! — შეწუხდა მაია და სახე მოეღუშა.

ბუნდოვნად მახსოვდა: ქუდი წინა ოთახში დავტოვე. ამაო იყო აქ მისი ძებნა, მაგრამ მაინც ერთ ადგილზე მილურსმულივით ვიდექი და აქეთ-იქით ვიყურებოდი.

მაიამ მოირბინა. მკლავში ხელი ჩამავლო:

— გეძინებათ? მართალი თქვით!

თვალი ვეღარ გავუსწორე. მისი შემოხედვა ხმითაც კარგად ვიგრძენი და ამან უფრო ამაფორიაქა.

— ახლავე დაგიგებთ! დაწვებით?

მაია უკვე ტახტთან იყო და მოქარგულ ყურთბალიშებს აგროვებდა.

— არა, არა, მაია, აუცილებლად უნდა წავიდე! — ახლა საკუთარი სურვილის წინააღმდეგ გავჯიუტდი მე, — ერთი საჩქარო საქმე გამახსენდა. სად არის ქუდი?

— გეწყინათ რამე? — გაიმართა ტახტზე გადახრილი მაია, ბალიშები იქვე დაჰყარა და ჩემკენ წამოვიდა.

— არა, არა, რას ამბობთ!

— აბა თვალებში შემომხედეთ!

მაიას ხმას დედისეური სიმკაცრე დაეტყო.

— შემომხედეთ! — გაიმეორა მაიამ.

თავი ავწიე, მაგრამ მის თვალებს წამითაც ვერ გავუძელ და ყურებამდე წამოჭარხლებულმა მაშინვე დავხარე.

— ვაი, რა მატყუარა ყოფილხაართ!

— რატომ? — დაუფიქრებლად შევეკამათე მე და უმალ გამიელვა: „გიჟად ჩამთვლის! ვინ იცის, რას იფიქრებს!..“

— გითხრათ? — წამოიძახა მაიამ.

— რა?

— რაც გეწყინათ!

ნუთუ რამე მეწყინა! უცებ მეც მომეჩვენა, რომ მართლა რაღაც მეწყინა.

— თქვენ სულ მთავარსარდლობაზე ოცნებობთ, მე კი გითხარით, სამხედროს არ გავხართ-მეთქი, — განაგრძო მაიამ, — ხომ? ხომ მივხვდი? კარგი, ლევან, მე წყენინება არ მინდოდა. მირიანს გეფიცებით. ისე ვთქვი. დედა სულ მეუბნება, სულელური ლაპარაკი იციო. თქვენც სისულელედ ჩათვალეთ. აი, ხომ ხედავთ, ბოდიშს ვიხდი, ოღონდ ახლა ნუ წახვალთ. დედას ეწყინება...

ქურდულად გავხედე. მაიას თვალებში ნამი შევნიშნე და გული მეტკინა. ხმაც ვეღარ ამოვიღე იმის სანუგეშებლად, არაფერიც არ მწყენია-მეთქი, მაშინვე სკამი გამოვწიე და დავჯექი. დედის მოსვლამდე ხმა აღარ ამოგვიღია. მაია სამზარეულოში გავიდა და რადგანაც მე ლოგინში ჩაწოლა ვიუარე, იქ ვახშმის თადარიგს შეუდგა.

## თავი მეცხრე

შინ არ მიმელოდნენ.

ეზოს ჭიშკარში ძაღლი გამომეგება გაბმული ყეფით. ჩვენად ვერ შევიცანი. მაინც არ შევეპუე, ჭიშკარი შევაღე. ძაღლი წკმუტუნით ამედევნა. თითქოს გულმა უგრძნო, შინაურიაო და უადგილო გაწიწმატებისათვის ბოდიშს იხდიდა.

სახლი გამოკეტილი დამიხვდა. საძირკველზე ჩამოვჯექი. ძაღლი იქვე დაყუნცულიყო, კუდს აქიცინებდა და თვალებში შემომცქეროდა. „ყურშია!“ — მივეფერე ხმამაღლა. ძაღლი არ განძრეულა. სხვა სახელი თუ ერქვა. „ნეტავი ბებერი ბახულა სად გაქრა?“ — გამახსენდა ჩვენი ავი მყეფარი. ალბათ, მოკვდა და მის მაგივრად ეს ძაღლი მოიყვანეს. „რამდენი დრო გასულა!“

სამზადში შევედი წყლის დასალევად. ქვითკირის კედლებს შუა მომწყვდეული სიგრილე და რაღაც განსაკუთრებული, საკმაზის თუ დანაყილი ნიგვზის სუნი, რომელიც აქ დღემუდამ ტრიალებდა, მესიამოვნა.

სველი თუნგულა მოვიყუდე. წყალი საამოდ რუკრუკებდა და წურწურით ჩამომდიოდა გულზე.

თუნგულა დავდგი და ისევ გარეთ გამოვედი.

ლურჯ სერებს თხელი ნისლი გადაჰკვროდა. თითქოს სადღაც შორს უჩინარი კოცონი ენთო და მისი კვამლი კიდითკიდემდე ედებოდა მთებსა და ველ-მინდვრებს. ახლა პირველად ვგრძნობდი, რა ენით აუწერელი სილამაზე მეფობდა ირგვლივ, რა მაღალი იყო ცა, რა გამჭვირვალე იყო ჰაერი...

დერეფანში ძაღლმა შეჰყეფა, შეჰყეფა და წამსვე ჩაჩუმდა. ჭიშკარში შემომძვრალი ღორი თუ მოელანდა.

დაბინდდა.

შინაურები მოვიდნენ. მთელი სახლი დიდი ხნის ნანატრმა სიხარულმა მოიცვა. ნაცნობი საგნებიც კი გრძნობდნენ ჩემს მოსვლას. ყველაფერს შევხაროდი და ყველაფერი მე შემომხაროდა.

მეორე დღეს ერთბაშად მოვიწყინე. სასიხარულო გამომელია. ახლა რაღაც სხვა მინდოდა. დედას ჩრდილმა გადაჰკრა სახეზე. „რა ვქნა, შვილი ხომ არავინ გამომიცვალა?!“ — ყოველ წამს ვკითხულობდი მის დაღვრემილ თვალებში.

— რა მოგივიდა, ბიჭო, გეწყინა ჩვენი ნახვა? — დაურიდებლად მკითხა მამამ ვახშამზე.

პასუხი ვერ შევბედე.

— გაშალე აბა შუბლი, დღეის სწორსაც აქ მეყოლები თუ?

მამა შესამჩნევად მოხუცებულიყო. ახლა ველარ მომეგონებინა, როგორი იყო ის ჩემი წასვლის წინ. „საწყალი მამა!“ — ვფიქრობდი გულგასიებული და პირში ენა ვერ მომებრუნებინა.

— მამა, — ვუთხარი ერთ დღეს, — მე უნდა წავიდე...

— სად?! — მოიხედა მან და ცელის გამოსაკვერავი გრდემლი, რომელიც ის იყო ჩამოიღო ბუხრის თავიდან, კინალამ დაუვარდა, — გავიდა შვებულება?

— არა, კი არ გავიდა, მაგრამ...

— რა მაგრამ!

— თბილისში უნდა წავიდე...

მამა ერთხანს გაჩუმებული იდგა, მე მიყურებდა, მერე მიტრიალდა და თუმცა გამოსაკვერავი ცელი ხელში ეჭირა, გრდემლი ისევ ბუხრის თავზე შეაგდო. გრდემლი იქ ნავთის ბოთლს მოხვდა და მასთან ერთად ძირს გადმოვარდა. იატაკზე ნავთი დაიქცა.

— დაგწვას ჩემმა გამჩენმა! — დაიხარა მამა და ძლივს წაატანა ხელი იატაკზე გაგორებულ ბოთლს.

სადგურზე გამომყვნენ. მამა წინ მიდიოდა და ჭრელი ხურჯინი მიჰქონდა. „რა იქნება, დავბრუნდე?“ — ვკითხე თავს, მაგრამ უცხო ძალა წინ მიმერეკებოდა.

მამამ ხურჯინი შეიტანა ვაგონში და ისევ ძირს ჩამოვიდა.

— უთხარი რამე ბავშვს, ასე უშვებ? — მომესმა დედის ხმა.

— ჯაჭვით ვერ დავაბამ. სხვა რა ვუთხრა! — თქვა მამამ.

ბედად ზარი ჩამორეკეს. კიბეზე ავედი. ერთხელ კიდევ გადმოვხედე ბაქანზე დარჩენილთ და ყელზე მოწოლილი ბოღმით გაგუდული ვაგონში შევვარდი. არც კი შემიმჩნევია, როგორ დაიძრა მატარებელი. ვაგონი ოდნავ ირწეოდა. გარედან ყრუდ მოისმოდა თვლების გრუხუნი, ირგვლივ ყველას ეძინა. მეც მივწექი და დაძინება ვცადე, მაგრამ რული არ გამეკარა. მეზობელ კუპეში ძუძუთა ბავშვი ტიროდა. ბავშვი მაშინაც ტიროდა, როცა ვაგონში ამოვედი, მაგრამ გაბმული ტირილი მხოლოდ ახლა მომესმა. ალბათ, ტკივა რაღაც და იმიტომ ტირის. ძალიან პატარა თუა. არც კი იცის, რა ტკივა. ნეტავი მეც ვიქნები ვინმეს მამა? მივალ შინ და დამიძახებს: „მამა!“ რა უცნაურია! ჯერ არაფერი, არაფერი და მერე უცებ — მამა! ვცდილობდი როგორმე წარმომედგინა ეს, მაგრამ გაჭირვეულებული ბავშვის ტირილი მოსვენებას არ მაძლევდა.

ფანჯრებში მტრედისფერი შემოიჭრა. ჩამთვლიმა. ბავშვის ტირილი ძილშიც კი მესმოდა. მერე ერთბაშად დადუმდა ყველაფერი. უმალვე გამომაღვიძეს. მატარებელი თბილისის სადგურში შედიოდა.

„ახლა საით?!“ — ვაგზლის მოედანზე გასვლისთანავე მკითხა ვიღაც უჩინარმა. გამცრა. ქუჩას გავყევი. ჩექმების ბრაგუნის მაგივრად კვლავ თვლების ყრუ გრუხუნი მედგა ყურებში.

„ცხენივით არ მიდიხარ?“ — ჩამქირქილა იმავე ხმამ და თვალწინ ულვაშებაკოკრებული ამაყი მაიორი დამიდგა.

„ამას ედრები?!“ — თითქოს ცხადად ჩამესმა ყურში.

ნაბიჯი შევანელე. სადღაც მოვუხვიეხიდზე გავედი.

## თავი მეათე

შუშაბანდის კარზე ორჯერ დავაკაკუნე. პირველად მეც ძლივს მომესმა კაკუნი, მეორედ კი ისე მაგრად მომივიდა, კინაღამ მინა ჩავამსხვრიე. ცივმა ოფლმა დამასხა. ნეტავი ახლა არ გამომხედავდნენ, ან არავინ დამიხვდებოდეს შინ! მუხლმოკვეთილი ვიდექი და ველოდი.

„ერთხელ კიდევ დავაკაკუნებ და წავალ!“ — გავიფიქრე.

ახლა მოვახერხე და ზომიერად დავაკაკუნე კარის მინაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წამსვე საწინააღმდეგო გრძნობა დამებადა: „რა ვქნა, შინ რომ არავინ დამიხვდეს?“

აქ მოსვლა ძვირად მილირდა. შევძლებდი და მოვიდოდი მეორედაც?

პასუხი არავინ გამცა.

ცარიელ შუშაბანდს თვალი მოვავლე. აი, იქ ვიდექით იმ დღეს. „რას უცქერით?“ — გაიწკრიალა ყურებში ნაცნობმა ხმამ.

გამოვბრუნდი. კიბეზე ჩამოვდიოდი, მაგრამ თავში ის აზრი მიტრიალებდა, როდის მოვსულიყავი მეორედ. „დედა შინ იქნება. ვაითუ რამე შემნიშნოს!“ კიბე ჩავათავე. გავალ ქუჩაში და მოვიცდი. როცა იქნება, ხომ უნდა მოვიდეს! „მერე რამდენ ხანს მოიცდი!“ „თუნდაც დილამდე!“

ჭიშკარს მივადექი. ის იყო, უნდა გამომეღო, გარედან ვილაც მოაწვა და მე უკან დავიხიე.

იქვე გავშეშდი.

ჭიშკარში შილიფად ჩაცმული მაია იდგა. ჯერ გაუკვირდა ჩემი დანახვა, მერე სიხარულმა გაუნათა სახე.

— ლევან, მართლა თქვენა ხართ?

კინაღამ ენა ჩამივარდა. „მოუმზადებელს მომისწრო, ვინ იცის, რას იფიქრებს...“

— რა კარგია! — განაგრძობდა მაია, რომელიც, ალბათ, ვერ ამჩნევდა ჩემს გაოგნებას, — შვებულება ასე მალე გავიდა?

ერთბაშად მომაბრუნა მაიას გულღია შეხვედრამ.

— როგორ ხართ? — ვკითხე და შევამჩნიე: ხელში მაღაზიიდან ახლადგამოტანილი წიგნების შეკვრა ეჭირა, — წიგნები იყიდეთ? მომეცით, წამოგიღებთ.

— ზემოდან არ მოკიდოთ ხელი, გაწყდება! — კედით შეკონილი დასტა გამომიწოდა და ეზოში შემოვიდა, — დედამ, იცით, რა თქვა თქვენზე?

შევაჩერდი.

— იმისთანა მორცხვია, იმისთანა, მაგნაირი მორცხვი მე არ მინახავსო.

მაიას სიცილს მეც ავყევი, გულში კი გამეხარდა: მაშ ჩემზე ულაპარაკნიათ!

— ოღონდ ძალიან ამაყიაო, — დასძინა მაიამ.

— საიდან შემატყო?

— ჰმ, დედა და ვერ შეგატყობდათ?

ავიმრიზე. საუბრის შესატრიალებლად წიგნებს გადავხედე:

— საინტერესო რამეებია?

— არ ვიცი. მირიანის წიგნებია. მაშინ ვერ ვუშოვნეთ. მართლა, წერილი მოვიდა კიდევ!

— რაო?

— არაფერი, ისე. კარგად ვარო. ბოდიში, მე წინ გავიქცევი, კარს გაგიღებთ. ამოდით, ამოდით!

— საიდან იწერება?

— როგორ საიდან?!

— აა... — შევყოყმანდი მე, მაგრამ უცებ ვიპოვე სათქმელი, — შეიძლება ბანაკად გავიდნენ.

— ჰო, არა.

შუშაბანდში შევედით. მაიამ წიგნები გამომართვა, იატაკზე დააწყო და ოთახის კარს მიუმარჯვა გასაღები.

— თქვენ ისევ გამოუძინებელი ხომ არა ხართ?

— არა, ამჯერად კარგად გამოვიძინე.

— მაშინ ძალიან გეძინებოდათ.

დამნაშავესავით გავიღიმე და წიგნებს დავწვდი, რათა ოთახში შემეტანა.

— რა ვქნა, დედა კიდევ არ არის შინ. როგორ ეწყინება თუ არ დაუხვდით! — თქვა მაიამ, როცა კარი გამიღო და წინა ოთახში შემიძღვა.

— სად არის? ახლა ხომ არდადეგებია!

— ჯერ არ დაუთხოვიათ უფროსი კლასები. სამ დღეში დაითხოვენ.

— თქვენ?

— მე რა, სესია დამთავრდა და ახლა თავისუფალი ვარ. აქ ვიყოთ თუ გარეთ? მგონი აქ უფრო გრილა.

— თქვენი ნებაა. მართლა, მაია, მამა სად არის?

— მამა? — წარბები აზიდა მაიამ, — მირიანმა არ გითხრათ? თბილისში არ ცხოვრობს. დედა და მამა გაშორებული არიან. მამას სხვა ცოლშვილი ჰყავს სოხუმში.

მეუცხოვა ეს ამბავი. მაიას შევხედე. ის მაგიდის გადაღმა იდგა და ნაღვლიანი თვალებით შემომყურებდა.

— იცით, რა ძნელია, ლევან? ჩვენ ძალიან ბევრი გადავიტანეთ.

— არ ნახულობთ ხოლმე?

— მამას? როცა უმამოდ იზრდები, ასე გგონია, მამა არცა გყავს. გაიზრდები, ნახავ, მოგეფერება კიდეც, შენც აკოცებ, მაგრამ... — მხრები აიჩეჩა მაიამ და თვალები მომაპყრო, — მშობლიური გრძნობა ერთბაშად არ ჩნდება, ლევან. ადამიანთან ერთად იბადება და იზრდება ისიც.

— ოჰ!

— ნამდვილად. მე ჩემს თავზე გამოვცადე. მიკვირს, მირიანმა რატომ არ გითხრათ. ის უკვე დიდი ბიჭი იყო. ყველაფერი კარგად ახსოვს.

— გიამბობდათ ხოლმე?

— არა, არასოდეს. მირიანს საერთოდ არ უყვარს მოყოლა. თქვენ გიყვებათ რამეს?

— აბა როგორ! — მივაშველე მე და წამსვე გამახსენდა: მირიანს კრინტიც არ დაუძრავს თავის წარსულზე, ერთხელაც არაფერი მოუყოლია.

— თქვენ ბიჭები ხართ. ბიჭებთან სხვაა. მართლა, მირიანს სიმღერა უყვარს. იქ მღერის ხოლმე?

— ერთხელ იმღერა.

— კარგი ხმა აქვს, არა?

„ალბათ, ესეც მღერის!“ — გავიფიქრე მე.

— არ მოგწონთ?

— რა?

— მირიანის ხმა.

— ჰო... როგორ არა!

— კონსერვატორიაში უნდა შესულიყო.

— მერე რატომ არ შევიდა?

— არ ვიცი. დედამ არ ქნა. კარგი ექიმია?

— ალბათ, კარგია. მე ავად არ გავმხდარვარ.

— ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი თუ მირიანი ექიმი გამოვიდოდა. სულ სხვანაირი იყო.

— არ მოგწონთ ექიმები?

— ახლა მომწონს. ბაბუაც ხომ ექიმი იყო.

გულზე ეკალივით მომხვდა მაიას ეს სიტყვები. ისევ ბაბუა!

— თქვენ გიყვართ მუსიკა? — მკითხა თავის მხრივ მაიამ და მეორე ოთახში გავიდა.

რად მკითხა ეს? მიხვდა, რომ ამაზე ვფიქრობდი?

თვალი გავადევნე. გავადევნე და ვეღარ მოვწყვიტე, სანამ მისი მოქნილი, ქორფა ტანი კარს არ მიეფარა.

„ახლა გამოიცვლის და ისევ გამოვა!“ პასუხი აღარ გამიცია.

კარსა და კედელს შუა დარჩენილ ჭრილიდან ვხედავდი: საწერ მაგიდასთან მივიდა. თავი გვერდზე გადახარა. შიშველმა მკლავებმა ერთ მხარეს აიწიეს. ჭილის პაწაწინა შლიაპა მოიხადა, სარჭები ცალ მუჭში ჩაიგროვა და შავი, რბილი თმის სწორებით, რომლის მბზინვარებაც თვალებსა მჭრიდა, ჩემკენ წამოვიდა, კარიდან გამოიჭყიტა და გამიცინა. აღარც კი ახსოვდა თავისი შეკითხვა.

არა, ამ წუთში უნდა ავდგე და წავიდე აქედან! ეს თამაში კარგს არაფერს შემამთხვევს...

მაია ისევ მიიმალა. შუშაბანდის კართან მივედი და გარეთ დავიწყე ცქერა, რათა მაიასაკენ აღარ გამეხედა.

აქედან ეზოს ნახევარი მოჩანდა. მინდოდა თვალი მიმედევნებინა, რა ხდებოდა ეზოში, მაგრამ თითქოს ერთბაშად დავბრმავდი.

— ლევან! — მომესმა უცებ.

მოვიხედე.

მაია მეორე ოთახის შორეულ კუთხეში იდგა და შავ, მომცრო როიალს თავს ხდიდა.

— გინდათ, რამე მოგასმენინოთ?

— ოჰ, თქვენ უკრავთ? — უანგარიშოდ წამოვიძახე მე.

— მუსიკა არ გიყვართ? — ისევ შემომცინა შორიდან მაიამ.

— როგორ არა! — წავილუღლუღე და გზა-კვალი სულ დამებნა.

— აბა გამოდით აქეთ, სკამი წამოიღეთ.

— არა, მე აქ ვიქნები!

— ვიწყებ! — ჩვეული ანცობით შესძახა მაიამ, მრგვალი სკამი მოხერხებულად დაიდგა და როიალს მიუჯდა.

პირველად ვერ გავიგე, რას უკრავდა. ყური მივუგდე. მინდოდა გამომეცნო მუსიკა, თავს ძალა დავატანე, მაგრამ ვერ ვიცანი. შორიდან ზღვის შრიალი მესმოდა. მერე თითქოს ქარი ამოვარდა ზღვაზე და მაიას ნაცნობი ხმა თუ კივილი მოიტაცა. თვალები დავხუჭე. ქარი მატულობდა. ტალღები ოთახში შემოაჭრნენ. ცივი კივილი კიდევ გავიგონე.

თვალები გავახილე.

წამოვდექი.

მაია როიალთან იჯდა.

ფეხაკრეფით მივუახლოვდი. გატაცებული ჩანდა. არ გაუგია, როგორ მოვდიოდი აქეთ. ბოლოს როიალის ფრონტონზე აღიბეჭდა ჩემი ლანდი.

მაიამ თავი ასწია, მაგრამ არ მოუხედნია. მის წინ სარკე არ იყო და ჩვენი თვალები ერთმანეთს არ შეხვედრიან.

ვარდისფერი თითები კვლავ მოუსვენრად დაჭროდნენ კლავიშებზე.

მე დაჟინებით შევყურებდი ფრონტონს. დარწმუნებული ვიყავი, მაია იღიმებოდა და მინდოდა დამენახა მისი კმაყოფილი ღიმილი.

კიდევ გადავდგი ნაბიჯი.

ტუჩები მოეკუმა. ვარდის ფურცელივით უყვაოდა სიფრიფანა ყურის ბიბილო. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, თუმცა მაია ისევ უკრავდა.

ახლა გარკვევით ვხედავდი სამკერდის ღილს, რომელიც დროდადრო ამოიწევდა ხოლმე მხრებზე გადატკეცილი კაბის ქვეშ.

თვალი ისევ აყვავებულმა ბიბილომ წამართვა.

ყვრიმალზე ჩამოშლილი რბილი თმის ბულული ირხეოდა, ბიბილოს ეხებოდა, ელაციცებოდა.

რა იქნება, ახლო მივიდე და ეს თმის ბულული ავუკეცო?

მრგვალ სკამზე მოსხლეტილად მჯდომარე მაიას ფრთხილად შემოვუარე, კედლის მხარეს გავედი და როიალის თავს მარცხენა ნიდაყვით ჩამოვეყრდენ.

გალაღებულმა მაიამ ამომხედა, გამიღიმა და ისევ კლავიშებზე დაჰხარა სახე. ყელზე წვრილი ხალი ჰქონია. ნიკაპზეც! მე თითქოს მესმოდა ახლა მისი გულის ფეთქვა. ღრმად ჩაჭრილი გულისპირი წამისწამ ეკვროდა ნორჩ მკერდს, ქვემოდან კი ვიწრო ზოლად მოჩანდა ის, რაც ჯიუტი ღილით იყო შეკრული...

მაიამ უცებ შესწყვიტა დაკვრა და ამომხედა. ნუთუ მასაც მოესმა ჩემი გულის გამალებული ძგერა? ღიმილის ნატამალიც აღარ უჩანდა თვალებში. ყურებში კვლავ როიალი გუგუნებდა. ხანდახან გამოერეოდა მაიას შორეული, ნაცნობი ხმა, მაგრამ ახლა ის, მაია, ჩემს წინ იჯდა მრგვალ სკამზე. მერე წამოდგა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. უკან დავიხიე. ზურგით კედელს ავეკარ. „ალბათ, მიხვდა! ახლა მეორე ოთახში გავა და მაცლის, სანამ წავიდოდე...“ მაგრამ მაია არ იძვროდა.

თითქოს ტყვია ჩამასხეს ძარღვებში. ხელები დამიმძიმდა.

აყვავებულ ბიბილოს ოქროსფერ შარავანდში ჰხვევდა მზის ერთადერთი სხივი,რომელიც ფანჯრის ზემო კუთხიდან იჭრებოდა.

რად დგას? რატომ არ მიდის? ან რატომ არაფერს ამბობს? მეტის ატანა შეუძლებელია!

ნაბიჯი გადავდგი. ტანი დამემორჩილა. როიალს მოვცილდი, მაგიდასთან გავჩერდი და მოვიხედე.

მაია იმავე ადგილზე იდგა. ფერი წასვლოდა.

— მაია, მე... — ძლივს დავიბრუნე სიტყვის ამოთქმის უნარი, — უნდა წავიდე...

— როგორც გნებოთ, — მომესმა მისი შეცვლილი ხმა, — თბილისში როცა ჩამოხვიდეთ, შემოიარეთ ხოლმე...

საიდან გაჩნდა ეს ცივი თავაზიანობა? ჩვენ ხომ პირველ შეხვედრისთანავე დავმეგობრდით! ჯანდაბას! მაშ გადაწყვეტილია, მივდივარ!

თავს უკანასკნელი სიამოვნება წავარ-

თვი, უკან აღარ მიმიხედნია, წინა ოთახში გავედი, იქიდან შუშაბანდში, მინებიანი კარი გავაღე და რკინის კიბეზე სირბილით დავეშვი.

ქუჩაში მივხვდი, რა ჩავიდინე: სამუდამოდ დავკარგე მაია. დღეის შემდეგ იქ აღარ მიმესვლებოდა. ჩემის ნებით მივატოვე იქაურობა. არავის არ გამოვუგდივარ. მაშ რისთვის გამოვიქეცი? შეიძლებოდა მეტი უგუნურება?

იქნებ სულ ახლო ვიყავი ბედნიერებასთან და მე თვითონ გადავხერგე იქით მიმავალი გზა!

სუნთქვა შემიგუბდა. თბილისშიც ვეღარ გავჩერდები. დღესვე უნდა წავიდე აქედან. ხვალ დილით მატარებელი ჩამიყვანს იქ, სასწავლებელში, სადაც ჩვეულებრივი ცხოვრება დაიწყება. მაიას სამუდამოდ მოვწყდები, შორიდანაც ვეღარ დავინახავ. თავი ვერ შევიკავე, ყველაფერი ერთბაშად გამოვამჟღავნე, უსიტყვოდ, უთქმელად... მაია მიმიხვდა. ამიერიდან ფეხთა მტვერი გავხდი.

„მერე სად მიდიხარ?!"

გაფიქრებამ თავზარი დამცა.

უკან დავბრუნდე?

კედელს მივეყრდენ, რათა სული მომებრუნებინა.

რამდენი წუთი იქნება გასული, რაც წამოვედი, ათი, თხუთმეტი, ოცი?

მერე რა მოვიმიზეზო, დამრჩა რამე?

ხელი ჯიბეებზე ვიტაცე. არა, არაფერი არ დამრჩენია!

მაშ რა ვქნა? ჩემივე უღონობისაგან კინაღამ ცრემლები გადმომცვივდა.

მივალ! თუ მაია ცივად შემხვდა, სიტყვასაც არ ვეტყვი, უკანვე გამოვბრუნდები და...

გავტრიალდი. სირბილით განვლე ის გზა, რომელიც ათიოდე წუთის წინ დამძიმებული ნაბიჯით გამოვიარე.

ეზოში შევედი. დრო კიდევ მქონდა. კიდევ შეიძლებოდა საშინელი სირცხვილის თავიდან აცილება. როცა ფეხქვეშ რკინის საფეხურის ჟღრიალი გაისმა, მაშინ კი ვიგრძენი: ახლა ერთადერთი გზა მქონდა. ეს გზა ზემოთ მიდიოდა, იქ, მაიასთან...

შუშებიანი კარი ხელის შეხებისთანავე გაიღო. წინა ოთახის კარი ღია დაეტოვებინა მაიას.

დავაკაკუნო თუ...

ათახთახებული ხელი კარის ჩარჩოს მოვავლე. თითქოს ღრმა ჭაში ჩავეშვი ერთბაშად. სახეზე სიგრილე მეცა.

ოთახს ჭიქის თვალები მოვავლე. არავინ ჩანდა. იქით თუა ან მეზობელთან თუ გავიდა...

მეორე ოთახის კარს გავუსწორდი და როიალისაკენ გავიხედე.

როიალის წინ ტახტი იდგა. ტახტს კედლიდან ჩამოშვებული ხალიჩა ჰფარავდა.

უკან დავიხიე. ძლივს დავიოკე ყელზე მოწოლილი გაურკვეველი ხმა.

ტახტზე გულაღმა იწვა მაია. ფართოდ გახელილი თვალები ჭერისთვის მიეპყრო, მისი მოღეღილი მკერდი ახლა არაჩვეულებრივად მაღალი და გამომწვევი მეჩვენა, ზომიერად აუდ-ჩაუდიოდა. ოცნებაში წასულს თავი ყურთბალიშის უკან გადაეგდო. მბზინვარე თმა ხალიჩის კიდეზე ეყარა. მარცხენა ფეხი, რომელზედაც კაბა ჩამოსცურებოდა, მოეკეცა და ტახტზე შემოედგა. მუხლს ქვემოთ ვარდისფერი სიშიშვლე მოუჩანდა...

ხმამაღლა თუ ვსუნთქავდი ან რამე წავაქციე. მაია შეკრთა. ტანის მდგომარეობა არ შეუცვლია, ისე მოაბრუნა სახე კარისაკენ. ჩემი ხელახალი გამოჩენა, ალბათ, იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, უცებ ვერც კი მოისაზრა, რა უნდა ექნა. მერე მიხვდა. ტანი მათრახივით მოიქნია, წამოჯდა და სრულიად დაბნეულმა მხრებზე ჩამოშლილი თმის სწორება დაიწყო.

წამითაც აღარ დავფიქრებულვარ. ოთახი თვალის დახამხამებაში გავირბინე, მაიას წინ მუხლებზე დავემხვე, გაყინული ხელები წელზე მოვხვიე და სახე მკვრივ მკერდში ჩავმალე.

მაიას სუსტი კვნესა აღმოხდა. ხმა ოთახს არ გასცილებია. ვკანკალებდი. მაია წინააღმდეგობას არ მიწევდა. თავადაც კანკალებდა. წამით შუბლი მოვა-

ცილე მხურვალე მკერდს. ქვემოდან სახეს ავხედე. მაია ველარ ვიცანი. ხმამაღლა სუნთქავდა. ღაწვებზე სისხლი მოსწოლოდა.

— მაია, მაია... — წავიჩურჩულე და შევანჯღრიე.

მაიას სიცოცხლის ნიშანწყალი წართმეოდა: ფერს თანდათან ჰკარგავდა. წამოვიწიე, მკლავზე გადავიწვინე, სახე ახლოს მივუტანე სახესთან და ყელზე, პაწაწინა ხალთან ვაკოცე; თითქოს ამ კოცნამ გამოაფხიზლა. მხრებზე მაიას რბილი ხელები შემეხო. შიში გაჰქრა. კიდევ ავიწიე, გვერდით მოვუჯექი, უკან გადავარდნილ სახეს წავეტანე და როცა მკლავებში მისი ტანის სიმძიმე ვიგრძენი, გახურებული ტუჩებით მოკუმულ ტუჩებს დავაცხრი...

## თავი მეთერთმეტე

მთელ ღამეს მატარებელი მანჯღრევდა. თვალი ვერ მომეხუჭა, ისე ვიყავი შეპყრობილი აქამდე უცნობი, ბუნდოვანი გრძნობით. იმ უცნაური შემთხვევის შემდეგ ნამდვილად მომხდარიც აღარ მჯეროდა. თითქოს ახლა ვერკვევოდი სიზმრიდან, რომელიც ამდენ ხანს გაგრძელდა და ამდენი საფიქრალი დამიტოვა.

მოხდა! მოხდა! მაგრამ რა მოხდა? მაიას თრთოლვას ახლაც ცხადლივ ვგრძნობდი და მინდოდა დამეჯერებინა, რომ სურვილისამებრ შემეძლო კვლავ მის გვერდით გაჩენა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი შთაბეჭდილებები გასაოცარი სიცხადით შემოენახა მეხსიერებას. ეს შთაბეჭდილებები ახალი და ახალი ძალით მიპყრობდნენ და მცირე ადგილსაც აღარ მიტოვებდნენ სალი განსჯისათვის.

პირველად მაშინ გამოვერკვი, როცა მატარებელი სადგურ ტ-ში გაჩერდა.

ბაქანზე არაფერი, მაგრამ იქით, სადაც სატვირთო მატარებლებს აყენებდნენ ხოლმე, უჩვეულო ფუსფუსი იყო.

თავლია ვაგონებთან სამხედროები ირეოდნენ, ვაგონებსა და მიწაყრილს შუა გადებულ სახელდახელო ბოგირებს ხსნიდნენ და ფიცრებს ზემოთ აწყობდნენ.

სამგზავრო მატარებლიდან ჩამოსული ხალხის ტალღა, რომელიც გასასვლელისაკენ მიიჩქაროდა, ძლივს გავარღვიე და თავლია ვაგონებს მივუახლოვდი.

ვაგონებზე მუყაოს სათამაშოებივით ეწყო მწვანედ შეღებილი საბარგო ავტომანქანები, ჯავშნიანი ავტომობილები, ტანკები. კაბინებში ორ-ორი, სამსამი კაცი იჯდა. ახდილ ლიუკებიდანაც მოჩანდნენ გარუჯული სახეები.

მძიმედ დატვირთულ ვაგონებს ფეხაკრეფით ჩავუარე. არცერთი ნაცნობი სახე! მინდოდა ვისმე ეკითხა, ვის ვეძებდი, სად მივდიოდი, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევდა. ყველა თავის საქმეში იყო გართული.

მეოთხე თუ მეხუთე ვაგონს ჩავცილდი. ბოლოს ავტომატგადაკიდებულმა ჯარისკაცმა შემაჩერა, ქვემოთ გზა არ არისო.

შევყოყმანდი. თვალი თავბოლომშექცევით დაყენებულ ტანკებისათვის ვერ მომეშორებინა.

ჯარისკაცს, ეტყობოდა, გული მოუვიდა. სწრაფად მომიახლოვდა და ბრძანება გამიმეორა.

გამოვბრუნდი. მინდოდა, რაღაც მეკითხა, მაგრამ ხმა ველარ ამოვიღე.

ეჭვი არ იყო: ჩემს წინაშე გვარდიის სატანკო დივიზიის ეშელონი იდგა. მაგრამ მირიანი? ძლივს გავბედე ამ სახელის გულში გავლება და მაშინვე ავილეწე. აქამდე ვცდილობდი სულ არ მეფიქრა მირიანზე, როგორმე მიმევიწყებინა ყველაფერი, რაც კი მასთან მაკავშირებდა, მაგრამ რამდენადაც უფრო მეტად ვცდილობდი, მით უფრო მიჭირდა უსიამოვნო მოგონებების მოცილება.

მიუხედავად მაიასათვის გამოგზავნილი უკანასკნელი წერილისა, მე თავს ვარწმუნებდი, მირიანი გარნიზონში აღარ დამიხვდება-მეთქი. ეს კი წინასწარ მან-

თავისუფლებდა ყოველივე უხერხულობისაგან, რასაც შეხვედრა გამოიწვევდა, უკეთუ მირიანი ისევ ქალაქში იყო.

მაგრამ ხომ შეიძლებოდა, აქ, სადგურში გადავყროდი მირიანს? ამის წარმოდგენამ შემაშფოთა. უკან ერთხელ კიდევ მოვიხედე, არავინ მომდევდეს-მეთქი, წაგრძელებული ბაქანი გადავჭერი და ვაგზლის მოედანს მივაშურე.

გზადაგზა რამდენჯერმე ვცადე წარმომედგინა მირიანი, მაგრამ მის მაგივრად ყოველთვის მაია მესახებოდა. დაძმის სახეები წინანდებურად დაწყვილდნენ მეხსიერებაში. ვერა და ველარ მოვახერხე მათი დაცალკევება.

უკან კიდევ ერთხელ მოვიხედე. ეშელონი უკვე აღარ ჩანდა. ჩვენს შორის შეშის ვეებერთელა ხორები იყო.

ამხანაგები გააკვირვა ჩემმა ნაადრევმა ჩამოსვლამ. სახეზე გაცრეცილი ვიყავი. უძილოდ გატარებულ ღამეებს დაღი დაემჩნია. ყველას ეგონა, შინ ცუდი ამბავი დამიხვდა ან თავად ვიავადმყოფე მთელი კვირის განმავლობაში. შვებულების ორი უკანასკნელი დღე ისევ ჩემს ხელთ იყო. ორ დღეს კიდევ შემეძლო არ გამოვჩენილიყავ და ცნობისმოყვარეთა აკვიატებულ შეკითხვებისათვის თავი ამერიდებინა.

სატანკო დივიზიის აყრის ამბავი ყაზარმაში შევიტყვე დაწვრილებით. დღეს უკანასკნელი ეშელონი მიდიოდა. კაპიტანი ორჯერ მოსულიყო ასეულში. გამგზავრების წინა ღამეს ხეივანში მოეყარათ თავი ბიჭებს, ემღერათ. კაპიტანიც მათთან ყოფილიყო.

ეს ყველაფერი ისე მოვისმინე, თითქოს მე სრულებითაც არ მეხებოდა.

გარეთ გამოვედი.

ხეივანში აქა-იქ ატანდა საშუადღეოზე ასული მზის სხივები. მწვანე სკამლოგინის გვერდით, სილაზე, აცახცახებული ფოთლის ჩრდილი თამაშობდა. „ამ სკამთან შევხვდით პირველად", — გავიფიქრე და გული შემეკუმშა. ახლა კიდევ დავძაბე მეხსიერება, რათა მირიანი წარმომედგინა, მაგრამ მის მაგივრად ისევ მაიას სახე დამიდგა წინ.

გავინაბე. ახლა აღარ მეკრძალებოდა მირიანთან შეხვედრა, რასაც ერთი საათის თუ საათნახევრის წინ ცეცხლმოდებულ სახლში შევარდნას ვამჯობინებდი. მაიას ძმა ჩემი ძმა იყო. მე მირიანის და მიყვარდა და ეს არაფრით არ შეურაცხყოფდა მირიანს.

„მირიანი — ჩემი ძმა! მირიანი—ჩემი ძმა!" — ვიმეორებდი დაჟინებით და სინდისის ქენჯნა თანდათან მტოვებდა.

ხეივანს გავყევი, ჭიშკარი გავიარე და ქალაქის გზას დავადექი.

აი, ის ფარდული, სადაც შეშას ვჩეხავდით აქ მოსვლის პირველ დღეებში! ფარდულს იქით მაღალი ყორეა. აი, ყორეც!

ყორესთან ხელზე მოვაჭრე გოგონები ისხდნენ. წვივებდაკაწრულნი ხელებს იფარებდნენ ხმელ მუხლისთავებზე და გამვლელ-გამომვლელს შავ ქლიავს სთავაზობდნენ.

— ძია, ქლიავი არ გინდა? — მომაძახა ყველამ ერთად.

ჯიბეში მანეთიანი მოვძებნე და იმას გავუწოდე, რომელმაც პირველმა მოირბინა.

— ქლიავი? — წამოიძახა გოგონამ, როცა მეგობრულად გავუღიმე და გზა განვაგრძე.

— თქვენ ჭამეთ. მე არ მიყვარს ქლიავი.

მიხვეულ-მოხვეულმა ქუჩამ ნაცნობ ჭიშკართან მიმიყვანა. ჭიშკარი ჩაკეტილი იყო. შევიჭყიტე. სუფთად დაგვილი პაწაწინა ეზო ძველებურად გამოიყურებოდა; თუთაც, დამკილული მაგიდაც, ორი სკამიც მოაჯირის გასწვრივ. აივანს მზე მისდგომოდა. იმ ადგილას, სადაც ჭადრაკს ვთამაშობდით მე და მირიანი, დაფორებული დერგი იდგა. ალბათ, დიასახლისმა გასაშრობად გამოიტანა.

ჭიშკარს მოვცილდი. აქ ყველაფერი მირიანს მაგონებდა. ადრე უიმისოდ ვერც კი წარმომედგინა აქაურობა. აი, წავიდა და არაფერიც არ შეცვლილა!

თავდაღმა დავეშვი. ქალაქის ნაპირა სახლს უკან ვიწროლიანდაგიან რკინი-

გზას მოვკარი თვალი. მახსოვდა, ორმოციოდე წუთის სავალზე თხმელის ბუჩქნარი იყო. მე და მირიანი სწორედ იქით მივდიოდით მაშინ, მაგრამ ვერ მივაღწიეთ. ლიანდაგს გავყევი. შორიდანვე დავინახე ჭალაში ჩაბმული ცხენები. აი, ის ბილიკიც, სახედრიანმა ბერიკაცმა რომ გაიარა. ლიანდაგებში ბრტყელი ქვები იყო გაბნეული. ერთ ქვას ხელი დავავლე, მოვიქნიე და გავტყორცნე, მაგრამ ის სულ ახლოს დაეცა ამწვანებულ ბორცვზე და კვლავ ლიანდაგზე ჩამოგორდა. ხელახლა დაღუნვა დამეზარა. ლიანდაგს მივყევი.

რკინიგზის მარჯვენა მხარეს პური გაეჭრათ. ნაპურალს ცხვრები შესეოდნენ. ალბათ, არც ის ცხენები იყვნენ დაბმული. ირგვლივ გაურკვეველი შრიალი და ზუზუნი იდგა. ასე მხოლოდ ზაფხულის შუადღეზე იცის ხოლმე. ყოველი სულდგმული ფხიზლობს, გარეთაა გამოსული და სივრცე უთვალავი ხმით ივსება.

ლიანდაგიდან გადავუხვიე და კორდზე ავირბინე. კორდიდან ვრცელი მიდამო ეშლებოდა თვალს. შორს, ლურჯი ტყით შემოსილი მთის ძირას მტერის ბუდე იდგა, რომელსაც ირიბ ზოლებად ჰკვეთდა ტყის მეორე ბოლოში ჩასაფრებული მზე. ეს ქვის სამტეხლო იყო. ალბათ, ვაგონებს ტვირთავდნენ, რადგან ხანგამოშვებით სიმწვანეში დაკარგული ორთქლმავლის ნაწყვეტ-ნაწყვეტი შეკივლება ისმოდა.

ჭადრებში ჩაფლულ ქალაქს გავყურებდი.

სულ მარჯვნივ სამხედრო სასწავლებლის თუნუქის სახურავიანი შენობები გაფანტულიყვნენ. სასპორტო მოედანზე ჭიანჭველებივით დაღოღავდნენ ადამიანები. მერე დამშრალი ხევი და...

აი, აქ იდგნენ!

ვეღარ მოვითმინე, ბილიკს გავყევი და მალე ხევის ციცაბო კალთაც ჩავირბინე. დახრულ ქვებსა და გათელილ ბალახს ჯერ კიდევ ემჩნეოდა მუხლუხების კვალი. ჩემთვის ეს კვალი მირიანის ნაფეხურები იყო. თვალი ხარბად გავადევნე თითქმის გადახნულ მინდორს. ნანიაღვრალთან მოეხვიათ და ქვემოთ წასულიყვნენ, სადგურის მხარეს, სადაც განიერი ორღობეები და შეთვალებული ვენახებია.

## თავი მეთერთმეტე

სასწავლებელში არაფერი მომხდარიყო ღირსშესანიშნავი, მხოლოდ პოლკოვნიკ კუნსევიჩს შესჩენოდა ავადმყოფობა და ტაქტიკის გაკვეთილებს ასეულის მეთაური ატარებდა მის მაგივრად. პოლკოვნიკს სამი დღის წინათ დაეწყო მუშაობა. მინდორში ყელშეხვეული გამოდიოდა და დილიდან საღამომდე ბებრულად ახველებდა, ჩაბჟირებით. პირველად სასპორტო მოედანზე ვნახე, სადაც სალაშქროდ აღჭურვილნი ოცეულებად ვიყავით ჩამწკრივებული. ხაკის უბრალო გალიფე მონდომებით ამოჭიმულ ჩექმის ყელებში ჩაეტანებინა. ოდნავი კოჭლობით მოგვიახლოვდა ჩვეულებისამებრ წინ გადმოხრილი და ათიოდე ნაბიჯზე გაჩერდა.

ოფიცერთაგან მხოლოდ პირველი ოცეულის მეთაური იყო ახლა აქ. ჯერ ვერ შენიშნა პოლკოვნიკი, მაგრამ უჩურჩულეს. სმენაო, დაიძახა და ქუსლზე შემოტრიალდა.

პოლკოვნიკი, რომელიც აქამდე მოწყენილი იდგა, ერთბაშად გამოცოცხლდა, პატაკი ბოლომდე მოისმინა. ეს პატაკი მხოლოდ მხედრული თავაზიანობის გამოხატულება იყო, მეტი არაფერი, მაგრამ მე შევნიშნე, როგორ უბრწყინავდა მოხუცს თვალები და რა ხარბად უსმენდა შვეულივით გაჭიმულ უმცროს ოფიცერს.

იმ დღეს, თუ მეტი არა, ორმოცდაათი კილომეტრი მაინც გავიარეთ ფეხით.

პოლკოვნიკი ოცეულის წინ მიდიოდა მოკლე, არეული ნაბიჯით და რაღაც ამბებს ჰყვებოდა. მოშორებით მივდევ-

დი. მისი ხმა ჩემამდე არ აღწევდა.

უგუნებოდ ვათვალიერებდი მიდამოს, რომელიც თითქოს ყოველ ნაბიჯზე იცვლიდა ელფერს. ჯერ ნაპურალები იყო, მერე სიმწიფეში შესული სამყურით გადაფითრებული სათიბები, მერე ისევ ნაპურალები და, დაბოლოს, დატაროებული სიმინდის ყანებიც დაიწყო. ყანაში ძლივს ვჩანდით. გატკეცილ ნაურმალზე ჩვენივე ჩრდილები მიგვიძღოდა.

პოლკოვნიკმა შესვენებისას დამინახა და რაღაც ღიმილისმაგვარი გამოიხატა მის დიდრონ, ბუდეებიდან ოდნავ გამოზნექილ თვალებში. წამოხტომა დავაპირე, მაგრამ ხელი დამიქნია, იჯექიო. წამი რომ გავიდა, კიდევ გავიხედე იქით. ისევ მე მიყურებდა.

ბანაკში გვერდიდან არ მოვუშორებივარ. ხანდახან სალაპარაკო შემოძლეოდა. მთელი ნახევარი საათი იჯდა ხოლმე და ხმას არ იღებდა.

ხელახლა მხიბლავდა მოხუცი, ხელახლა ჩავუკირკიტებდი ტაქტიკის წიგნებს.

ვერც კი გავიგე, დრომ როგორ გაიარა, როგორ გაშუალდა შემოდგომა.

წვიმიანი დარები დაიწყო. ღამით ბრაგაბრუგი გაჰქონდა წვიმის მსხვილ წვეთებს კარვის კალთებზე. დილით გათოშილნი ვდგებოდით, ადიდებული მდინარის პირას ვიყრიდით თავს და სახელდახელო ტივებსა და ნავტიკებზე ამხედრებულნი ხან ყიჟინითა და აურზაურით, ხან კი მღვრიე ტალღების უხუმარ ტლაშუნში გადავდიოდით გაღმა.

ფოსტა ზემდეგს მოჰქონდა. სანოვაგით დატვირთული ფურგონი სწორედ ნასადილევს მოხრიგინდებოდა ხოლმე. წერილების დარიგებისას კარვიდან არ გამოვდიოდი. საწოლზე ვიჯექი და გულისფანცქალით ველოდი, ახლა ჩემს გვარს დაიძახებენ-მეთქი.

ოქტომბრის ერთ ბურუსიან საღამოს მართლაც დაიძახეს ჩემი გვარი. კარვიდან გამოვვარდი.

წერილი მამაჩემისაგან იყო. უხალისოდ გავხსენი. ისევ ვენახის ამბავს მწერდა მამაჩემი. ეს მეორე კვირაა გადაუღებლად წვიმს და თუ ეს ვერ გამოგვიყვანიაო. თუ არ გადიკარი, მოსაკრეფ ყურძენს დაგვილპობს ვენახში და ან ოჯახს რა უნდა ვუყოთ ან მთავრობას რა პასუხი გავცეთო.

ისედაც დანაღვლიანებული გუნება სულ გამიფუჭდა. წელმოწყვეტილივით ვიყავი.

— რა მოგივიდა?! — მკითხა პოლკოვნიკმა კუნსევიჩმა, როცა ღამის მეცადინეობიდან დაბრუნებულნი ბანაკს წავადექით.

ამხანაგებმა ერთმანეთს გადახედეს, ვის ეუბნებაო.

— ბერიშვილო! — ისევ მოისმა პოლკოვნიკის ხრინწიანი ხმა.

მწყობრიდან გამოვედი.

— რა მოგივიდა?

— არაფერი... — მივუგე დაიმედებულმა, სიბნელეა და ჩემს სახეს მაინც ვერ დაინახავს-მეთქი.

— მართალი მითხარი! — ჩამაცივდა მოხუცი და მხარზე დიდი მძიმე ხელი დამადო, — იქნება რამე გიჭირს?

— არაფერი, — ვუპასუხე ისევ ჯიუტად, თუმცა მისი თანაგრძნობით გულაჩვილებულს ცრემლები მახრჩობდა.

— აგრე არ ვარგა. კაცი გულჩათხრობილი არ უნდა იყოს, თორემ ცხოვრება გაგიჭირდება.

— მე წესრიგს არ ვარღვევ, ამხანაგო პოლკოვნიკო, რაც შემიძლია, ვსწავლობ...

— კიდევ! მოგეწყინა ჯარში?

— არ ვიცი.

— აბა რამ გამოგცვალა?!

მხრები ავიჩეჩე. ყელზე მოწოლილი ბოღმა ხმის ამოღების საშუალებას არ მაძლევდა.

— არ გესმის? აბა რამ გამოგცვალა! მე ხომ ბრმა არა ვარ.

იმისმა ალერსსგადაჩვეულმა ხმამ და მამობრივმა ზრუნვამ ერთბაშად მომსხლიტა. შუბლით მხარზე მივეყრდენ და დიდი ხნის სათქმელი გადმოვღვარე:

— მე თქვენ... მე თქვენ ძალიან...

ძალიან პატივს გცემთ, ამხანაგო პოლკოვნიკო...

— ტირი? — შებორძიკდა მოხუცი და გასივებული ენა ძლივს მოიბრუნა პირში, — კარგი, მეტს აღარაფერს გკითხავ. ხედავ? წვიმა წამოვიდა.

მაგრამ ახლა მე მომინდა ლაპარაკი. მომინდა ყველაფერი მეთქვა მისთვის, ვერ გავუბედე. წვიმა თანდათან მატულობდა. პოლკოვნიკს შესცივდა. ოდნავ წინ გადახრილი მიაბიჯებდა დამპალი ნეშოთი მოფენილ ბილიკზე და ჩექმის ქვეშ მძიმედ ჭრაჭუნებდა ნესტით გაჟღენთილი მიწა.

მთელ ღამეს მოუსვენრად ვწრიალებდი. რატომ სდუმდა მაია? რატომ ერთხელ მაინც არ გამიხსენა? ეჭვი შემეპარა: ვაითუ ვინმე ხსნიდა წერილებს და ჩემამდე არ მოჰქონდა? თვალწინ წელწაგრძელებული ზემდეგი წარმომიდგა, რომელიც რატომღაც გაუთხოვრად დაბერებულ თავშენახულ ქალს მაგონებდა. უგემურად შემაქრქოლა, როგორც იმ დღეს, სასწავლებელი სხვა ქრისო, მაღალფარდოვნად რომ გვითხრა...

არა, რა თავში იხლიდა ის ჩემს წერილებს! ვერც წაიკითხავდა.

მაშ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო მაიასათვის? აბა? ნუთუ ერთხელ არ გავახსენდი ამ ხნის განმავლობაში?

მოუსვენრობა სულ უფრო და უფრო მიპყრობდა. ამ ღამით თავს პირველად ვკითხე: რა იყო მაია ჩემი, მეგობარი? ამხანაგი? ცოლი? საცოლე? დაუსრულებელი არაფერი არ არის. მაშ რით უნდა დაბოლოვებულიყო ჩვენი ურთიერთობა?

„ნუთუ მეც ვიქნები ვინმეს მამა? — მომაგონდა იმდღევანდელი ფიქრი, მაიასაკენ რომ მიმაქანებდა ჩქარი მატარებელი, — ჯერ არაფერი, არაფერი და მერე უცებ — მამა!“

იქნებ მაია უკვე იყო იმ არსების დედა, რომელსაც ჩემთვის მამა უნდა დაეძახა? გული ამიჩქროლდა. მკერდში აქამდე შეუცნობი სითბო ჩამეღვარა. თვალები დავხუჭე, რათა უფრო ნათლად წარმომედგინა, როგორ იქნებოდა მაია ჩემი შვილის დედა. ახლა იმას გადავწვდი, სად ვიცხოვრებდით. რასაკვირველია, სოფელში! მაია იქ უცხო ენას ასწავლიდა სოფლელ ბავშვებს. ზაფხულში, სიმინდის თოხნაზე მეც გავყვებოდი მეზობლებს ყანაში. მაია კალათით ჩამოიტანდა სამხარს და იქ, პანტა მსხლის ძირას ერთად ვისამხრებდით...

ოცნებამ გამიტაცა.

„ლევან, ბიჭო, — მეტყოდა მაია, — ის ეშმაკი ჭაში ჩავახედე და იმისთანა ღრიალი მორთო, ქვეყანა შემიყარა“.

„მერე რად ჩაახედე!“

„არ შეიძლება?“

„გიჟი!“

„კარგი, აიღე ხელები, ხედავ, გვიყურებენ!“

მე ვკოცნიდი მაიას ოცნებაში გადავარდნილი, ის კი გაბუტულივით იჯდა თავგადახდილ კალათასთან და, ვითომდაც ჩემს გამოსაჯავრებლად, კაბის კალთას იფარებდა შიშველ წვივებზე.

წვიმის შხეფმა გამომიყვანა ბურანიდან.

კარვის კალთა გახეულიყო და სასთუმალთან წყალი წვეთავდა.

## თავი მეთორმეტე

ბანაკი აიშალა.

ნოემბრის დამდეგს საზამთრო ბინებში დავბრუნდით.

ხუთიოდე თვეც და სასწავლებელს უნდა გამოვთხოვებოდი.

დღეს დღეზე ვითვლიდი, სული კბილით მეჭირა, მაიას წერილი კი არ ჩანდა და არა. მოთმინების ფიალა მევსებოდა და არ ვიცოდი, რამდენ ხანს გავძლებდი ასე. ვერიდებოდი მაიაზე ფიქრს, რათა ამით მაინც მომეახლოვებინა გადამწყვეტი შეხვედრის წუთი.

მირიანმაც დამივიწყა. ჩვენ მატარებელში შემთხვევით გაცნობილ მგზავრებივით დავრჩით ერთმანეთისათვის. მეხსიერებაში თანდათან მკრთალდებო-

და მირიანი. ახლა მისი სახე იმ ძველისძველ სურათში მერეოდა, მაიამ რომ მაჩვენა. „ჩვენ, სამივე, ერთმანეთს ვგავართ, ბაბუა, მე და მირიანი!“ — ხშირ-ხშირად მაგონდებოდა მაიას სიტყვები და გულს მწვავედ მღრღნიდა. რა იყო ეს, ეჭვიანობა? მაიას დაკარგვის შიში? „აი, როგორები მოსწონს!“ — ვფიქრობდი მაშინ, ახლა კი სისხლს მიმღვრევდა ამის გახსენება. რამდენი მოხდენილი ვაჟკაცი დაიარებოდა ქვეყანაზე, მაია კი არაფრით არ იყო ხელფეხშეკრული. ადრე მეგონა, მაია მე მეკუთვნოდა სულით და ხორცით, მაგრამ მერე თანდათან მივხვდი: ეს რწმენა მევე ჩავუნერგე ჩემს თავს, მაიამ კი არაფერი იცოდა მის გარშემო...

ყოველი წუთიც ძვირფასი იყო. რაიმე უნდა მეღონა. მაია ხელახლა მიუწვდომელი ხდებოდა ჩემთვის.

ერთ დღეს პატრულად დამნიშნეს სადგურში. გათენებამდე ბაქანზე ვიდექი და ვუყურებდი, როგორ მიდიოდნენ და მოდიოდნენ სამგზავრო და სატვირთო მატარებლები. სასწავლებელში აფორიაქებული დავბრუნდი. რაღაც აზრი ამეკვიატა. ეს აზრი ჩასაფრებული ნადირივით იყო აქამდე სადღაც. ახლა სამალავიდან გამოვიდა...

ერთხელ, შუაღამისას, ბუფერების ჯახუნმა გამომაღვიძა. თვალები გავახილე. ჩემს საწოლში ვიწექი. გავვოცდი: ასე გარკვევით საიდან უნდა გამეგონა ბუფერების ჯახუნი? ფეხის ხმა შემომესმა. სული გავნაბე. ვიღაც მომიახლოვდა, ერთხანს უჩუმრად იდგა, მერე საბანი შემისწორა და წავიდა.

„მორიგე იყო,“ — გავიფიქრე და გულზე მომეშვა. ნეტავი ვინ მორიგეობდა დღეს? ამ კითხვას სხვა უმნიშვნელო კითხვებიც მოვაყოლე, მაგრამ თვალწინ მაინც უკაცური სადგური და გაქანებული მატარებლები მიდგა.

წამოვჯექი. ეს კი შეუძლებელი იყო!

თავი ახალ საფიქრალს მივეცი. რაიმე საბაბი უნდა გამომეძებნა შვებულების მისაღებად, მაგრამ რა საბაბი?

მეორე დღეს ფრთხილად მივიკითხმოვიკითხე. სანუგეშო არაფერი აღმოჩნდა. მოკლევადიან შვებულებას მხოლოდ ჯილდოს სახით აძლევდნენ წარჩინებულ მეომრებს, სხვაგვარი შვებულება კი, თუ ის გარნიზონის საექიმო კომისიის დასკვნას არ ეყრდნობოდა, აკრძალული იყო საგანგებო ბრძანებით.

სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. გამოსავალი არ ჩანდა და არც უნდა მქონოდა მისი იმედი.

დილის ვარჯიშის დროს, როცა ქვის სახლებს ჩავურბინეთ, თვალი უნებურად სახანძრო ონკანისაკენ გამექცა. ონკანთან პერანგა მოხუცი იდგა, მხარზე პირსახოცი გადაედო და ცალ ფეხზე მოუსვენრად დაყრდნობილი ჩვენკენ იყურებოდა.

„პოლკოვნიკი კუნსევიჩი!“ — გამიელვა უცებ და გული შემიტოკდა. რატომ აქამდე არ გამახსენდა პოლკოვნიკი კუნსევიჩი? პოლკოვნიკს ყველაფერი შეუძლია. თუ მოინდომებს, ყველაფერი შეუძლია. უნდა მოვინახულო, მაგრამ როდის? მინდორში, მეცადინეობის დროს? ეს აზრი მაშინვე უარვყავი. ტაქტიკის კლასში? არც ეს ივარგებდა. კარს ვერ ჩავკეტავდი. ვინმე შემოვიდოდა და ხელს შეგვიშლიდა. ერთადერთი საიმედო ადგილი, სადაც სათქმელის გამჟღავნება შემეძლო, მისივე ბინა იყო.

პოლკოვნიკი მეორე სართულზე ცხოვრობდა, სულ ნაპირა სახლში, კიბის მარჯვენა მხარეს. მე ორჯერ ვიყავი იქ ნამყოფი. ერთხელ ოცეულის მეთაურმა გამაგზავნა, მეორედ თავად დამიბარა დიდი ლაშქრობის წინ.

მაგრამ შინ როგორ მიმესწრო? დილაადრიან, საუზმემდე, ის უკვე ტაქტიკის კლასში იყო, მერე მინდორში. ნაშუადღევს ერთი საათით იკარგებოდა, საღამოთი კი, სანამ ამოკითხვის ბუკს დასცემდნენ, პოლკოვნიკს ისევ სასწავლებელში ვხედავდით.

ყველა დროს ისევ დილა ჯობდა. ბევრი, ბევრი, ნახევარი საათი, მეტი ხომ არ დასჭირდებოდა ჩვენს საუბარს! ამის გაფიქრება და გადაწყვეტილების

მიღება ერთი იყო. მუნდირი გადავიცვი თუ არა, გარეთ გამოვვარდი და იმ ქვის სახლისაკენ მოვკურცხლე. შემოდგომის მშვენიერი დილა იდგა და ეს კიდევ უფრო მიხალისებდა გუნებას. დარწმუნებული ვიყავი, მხსნელს მივაგენი და ახლა აღარაფერი მედარდებოდა.

კიბე სულმოუთქმელად ავირბინე.

„წარწერა არ ჩანს, მაგრამ კარგად მახსოვს: აი, ეს კარია!“

კარს უკან ჩაბჟირებული ხველება მოისმა. დასაკაკუნებლად აწეული ხელი უმალვე ძირს დავუშვი. ნუთუ გამოდის? ახლა უთანაბრო ფეხის ხმა გავიგონე. წამიც და, მიწყდა.

გამახსენდა: სათქმელი ჯერ კიდევ არ მომეფიქრებინა. მთავარი დაწყება იყო. საიდან დამეწყო? უცებ ვერ მოვისაზრე, საიდან იწყებოდა ეს ამბავი: იქიდან, როცა მირიანს შევხვდი, თუ იქიდან, ულვაშებაკოკრებული მაიორის სურათი რომ მაჩვენა მაიამ? მერე ასე ერთი შეხედვით შემიყვარდა ქალი, რომელიც მანამდე თვალითაც არ მენახა?

„შემიყვარდა!“

მწვავედ დამსუსხა ამ სიტყვამ. ახლა უნდა ავდგე და ზღაპარივით მოვყვე, როგორ „შემიყვარდა!“

პოლკოვნიკის კარის წინ ატუზულს უსაზღვრო წვრილმანობად მეჩვენა ჩემი თავგადასავალი. წვრილმანობად მეჩვენა თვეობით გულში ნალოლიავები გრძნობა და კინაღამ მაშინვე უკან გამოვბრუნდი. მოხუცი აუცილებლად ყმაწვილურ თავქარიანობად ჩამითვლიდა ყველაფერს. შეიძლება დავეტუქსე კიდეც. „შეუყვარდა! ამის მეტს არავის შეუყვარდა! შეუყვარდა კი არა, ხალხმა წვრილშვილი მიატოვა და იარაღი უჭირავს ხელში. ამას შეუყვარდა! აი, თურმე რა ყოფილა! შვებულება მიეცით ჩქარა, თორემ გაგიჟდება! სუს! არ გავიღნენ თავს?“

ასე, ამ ერთხელ გაიღვიძა საღმა გონებამ...

ბევრი აღარ მიფიქრია. უკან დაფეთებული გამოვბრუნდი და კიბე თავპირისმტვრევით ჩავირბინე.

მთელი დღე გიჟივით ვიყავი. როცა მოსაღამოვდა, მყუდრო ადგილი მოვძებნე და წერილის წერას შევუდექი. ეს მერამდენედ ვწერდი, პასუხი კი მაინც არ იყო. ნუთუ მისამართი მეშლებოდა?

„ერთხელ კიდევ ვცდი ბედს“, — გავიფიქრე და ფანქარი მოვიმარჯვე.

დავწერე, რომ ბანაკიდან დავბრუნდი. ახლა ისევ ქალაქში ვარ. მირიანისაგან არაფერი მიმიღია. თვითონ ხომ არ იცის რამე?

გადავიკითხე. დასაწყისი მშრალი და ნაძალადევი მომეჩვენა, ცოტა ფარისევლურიც. თითქოს რაღაც სხვა მინდოდა მეთქვა.

„მე უხეშად მოვექეცი. ასე მხოლოდ პირუტყვები იქცევიან. მაია არასოდეს არ მაპატიებს. მე ფეხქვეშ გავთელე მისი სიამაყე და ახლა რა გასაკვირია თუ სამაგიეროს მიხდის!“

უეცრად წამოტივტივებული აზრი მეხივით დამეცა: იქნებ შეემთხვა რამე?

მართლა შევშინდი. ვცადე შევბრძოლებოდი აკვიატებულ აზრს: მაია ახალგაზრდაა, სიცოცხლით სავსე. რა უნდა მოსვლოდა!

„განა იმაზე ახალგაზრდებიც არ იღუპებიან?“ — შხამივით ჩამეწვეთა გულში და ზეზე წამოვვარდი.

სად წავსულიყავი, რა ღონისათვის მიმემართა?

ისევ ფოსტა, სასწრაფო დეპეშა უკან დასაბრუნებელი მისამართით!

დეპეშა იქვე შევადგინე. სამჯერ დავხიე და მაინც ვერ დავწერე ის, რაც მინდოდა. ბოლოს ყოყმანს ვძლიე და გამოვიყვანე: „თბილისი, თოდრიას 6, სავანელს. მირიანი კითხულობს თქვენს ამბავს. მიდეპეშეთ, როგორ ხართ. ბერიშვილი“.

დეპეშა იმ ღამესვე გავგზავნე და ორწილ მოუთმენელი მოლოდინიც დაიწყო. ყოველ საღამოს გულამოვარდნილი ავრბოდი ფოსტის კიბეზე. პასუხი არ ჩანდა. მხოლოდ კვირის თავზე გადმომცეს სიგრძივ გაკეცილი ფურცელი. გავხსენი კი არა, გავგლიჯე. ჩემივე დეპეშა იყო. კუთხეში ფოსტის მოხელეს მიეწერა: „ამ მისამართით ადრესატი ვერ ვიპოვნეთ“.

## თავი მეცამეტე

ერთმა გარემოებამ მოულოდნელად შეცვალა მთელი ჩემი ცხოვრება. მე და „კავალერისტი“ სადგურის პატრულებად დაგვნიშნეს.

აწ უკვე შეუძლებელი იყო თავის მოტყუება. სჯობდა, სამზადისს შევდგომოდი და წუთიც არ დამეკარგა.

ქალაქ ტ-დან თბილისამდე ათი-თერთმეტი საათის სავალია. სატვირთო მატარებლები შეიძლება უფრო ჩქარაც დადიან.

ჩვენი მორიგეობა საღამოს რვაზე იწყებოდა და მომდევნო საღამოს რვაზე თავდებოდა. წამის გაცდენაც კი შეუძლებელი იყო. ამ ოცდაოთხ საათში უნდა მომესწრო ყველაფერი.

„კავალერისტის“ იმედი მქონდა. ხათრიანი ბიჭი იყო და მიუხედავად გაუთავებელი აბუჩად აგდებისა, რასაც განსაცვიფრებელი სიმშვიდით იტანდა, ამხანაგის გულისათვის ცეცხლში ჩადგებოდა. მხოლოდ მესამე პატრულს არ ვიცნობდი, მაგრამ ის უმცროსკურსელი იყო და ჩვენ — ძველებს — თვალებში შემოგვციცინებდა. თუ კავალერისტს გავუტყდებოდი და დავიყოლიებდი, ის იმ მესამეს ეტყოდა და ამით საქმეც გაიჩარხებოდა.

დაღამებამდე გეგმებს ვაწყობდი. იმგვარის სიზუსტით მოვიფიქრე ყოველი წვრილმანი, ძნელი იყო ანგარიშში მოვტყუებულიყავ.

გადავწყვიტე, უკანასკნელ წუთამდე ამხანაგებთან კრინტიც არ დამეძრა.

მოაღწია საყარაულოს შეკრების დრომაც.

ქალაქში, საკომენდანტოს წინ დაეწყო გარნიზონის მთელი ყარაული.

მწყობრში გაშეშებული ვიდექი და წინ ვიყურებოდი.

იქ თუმცა ორმოციოდე წუთს გაგვაჩერეს და კიდევ შეგვახსენეს უფლებამოვალეობანი, მე მხოლოდ ერთი რამ გავიგე: სადგურიდან ფეხი არ უნდა მოგვეცვალა.

ორკესტრის ზარაბანმა ფიქრი შემაწყვეტინა. ყარაულს ხიშტიანი კარაბინები გაედო მხარზე და გამართული ნაბიჯით ალაყაფის ჭიშკრისაკენ მიეშურებოდა.

ჩვენ სამმა ყველაზე ბოლოს გავიარეთ, ქუჩაში გამოვედით და ტრამვაის დავუწყეთ ლოდინი.

ახლა ტრამვაი მოვა. დავჯდებით. მერე... სადგური!

მოვიდა. დავჯექით. ისევ ნელა მიდის, მიირწევა. თითო-ოროლა მგზავრი ადის, ჩამოდის, ჩაყანგებული ზარი კი ჟღრიალებს...

ის დღე მომაგონდა, პირველად რომ ჩავჯექი ამ ტრამვაიში. ორივე მხარეს ყორეები იყო, ყორეებს იქით კი სართვლოდ ჩადიდგინებული ვენახები... ეს თითქოს დიდი ხნის წინათ იყო, მას შემდეგ მთელი საუკუნე გავიდა.

ახლა ათი წუთი უკლია რვას. თურმე რა ადრე ღამდება!

ვთქვათ, გავუმხილე ამათ და უარი მითხრეს, მერე? სულ ერთი არ არის? ახლა სულ ერთი არ არის ჩემთვის ყველაფერი? მე ხომ მაინც უნდა წავიდე!

— ვის ელაპარაკები? — გადმომხედა გულკეთილმა „კავალერისტმა“, როგორც კი ტრამვაი გაჩერდა და სადგურის მოედანზე ძირს ჩამოვედით.

— ველაპარაკები? — თვალი თვალში გავუყარე მას და წამოვწითლდი, — ვის უნდა ველაპარაკებოდი!

გულუბრყვილო „კავალერისტი“, რომელსაც ხმის ამოღებას სიკვდილი ერჩივნა, ამით დაკმაყოფილდა და თავისებური ათრეული ნაბიჯით გზა განაგრძო. მაგრამ მე უკვე აღარ შემეძლო დამშვიდება.

სადგურის შესასვლელში საათი ცხრის ხუთ წუთს აჩვენებდა, იქ კი, მეორე თუ მესამე ლიანდაგზე მგონი მატარებელი იდგა.

ავჩქარდი, ამხანაგებს გვერდი ავუქციე და სირბილით მივაშურე ბაქანს.

აქ მართლაც იდგა გრძელი მატარებელი. პირველი ვაგონი შორს იყო,

წყალსატუმბი კოშკის გადაღმა და აქედან არც კი ჩანდა, ორთქლმავალი ება თუ არა.

„იქნებ აქეთაა თავი და არა იქით?" ბევრი ფიქრის დრო არ იყო. მივიხედმოვიხედე და სანამ ამხანაგები გამოვიდოდნენ, საყარაულო ოთახში შევირბინე, ფანჯარასთან მივდექი, უბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოვიღე. წერილის დაწერა მინდოდა, მაგრამ ხელი ისე ამკანკალებოდა, ერთი ასოც ვერ გამოვიყვანე. ქაღალდის ნაგლეჯი იქვე დავაგდე და სანამ ბიჭები გამოჩნდებოდნენ, ისევ ბაქანზე გამოვედი.

ფანჯრიდან დავინახე: ისინი ძველ პატრულებს ესაუბრებოდნენ მოსაცდელ დარბაზში, სატვირთო მატარებელი კი კვლავ გაუნძრევლად იდგა მესამე ლიანდაგზე...

მაშინვე წყალსატუმბ კოშკისაკენ გავიქეცი.

გამურულმა მეისრემ ცალყბად გადმომიგდო, შედგენა ეს არის მთავრდება და ახლა სარეისო ორთქლმავალს ველითო, თან თვალი გამომაყოლა, ლიანდაგი რომ გადავიარე და მატარებელს მეორე მხრიდან მოვექეცი. აქ ერთიორჯერ ავუარ-ჩავუარე ხე-ტყითა და ნახშირით დატვირთულ ვაგონებს.

სრული ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა ერთიანად სველი სარეისო ორთქლმავალი. მემანქანის კაბინის სახურავიდან წყალი წვეთავდა. ალბათ, სადღაც გადაუღებლად წვიმდა.

დადგა გადამწყვეტი წუთი. სიკვდილსიცოცხლის საზღვარზე ვიდექი. აქეთ ყველაფერი იყო, იქით მხოლოდ ერთი პაწია იმედი ან არაფერი, მაგრამ მე მაინც ამ უკანასკნელს ვარჩევდი. ცხადი შეგნებით, მოფიქრებულად ჩავდიოდი უმძიმეს დანაშაულს...

„ღმერთო, შენ მიშველე!"—იტყოდა, ალბათ, მამაჩემი გასაჭირში. „ღმერთო, შემეწიე!" — მოღრუბლულ ცას აჰხედავდა შარვალამოკარწახებული სასუა მეწისქვილე და ისე შევიდოდა ადიდებულ წყალში, მაგრამ მე კი, მე... ვაგონის საზეთეს ფეხი დავკარი, რაღაცას მოვეჭიდე და ზემოთ იმ დროს ავბობღდი, როცა ორთქლმავალმა ყურის წამღებად დაიღრიალა, გაიწია,ააჯახუნა მთელი შემადგენლობა და ფრთხილად აიკრიფა ნაბიჯი...

ჯერ კიდევ არ იყო გვიან, ჯერ კიდევ შეიძლებოდა გადახტომა, ბაქანზე დაბრუნება... კიდევ შეიძლებოდა, კიდევ... მატარებელი კვლავ ნელა მიდიოდა, მაგრამ მე თვალები დავხუჭე და თითები მაგრად ჩავჭიდე ბაგირის წვერს, რითაც წყალში ნათრევი მორები იყო დაკრული ამ პირმობღრიალებულ თავლია ვაგონზე.

ერთი წუთი კიდევ და... ერთი წუთი! მატარებელი სვლას მოუმატებს, ჩამობნელდება, მიწასაც ველარ დავინახავ...

გავუძელ ერთ წუთსაც, მეორესაც, მესამესაც!

ახლა კი შეუძლებელია გადმოხტომა. მატარებელმა ზედიზედ გადაჰკვეთა ისრები და საბედისწერო ქანაობით გაიჭრა ჩაბნელებულ ვენახებში.

ქვემოდან გამაყრუებელი ჯახჯახი და ღრჭიალი მოისმოდა.

წამოვიწიე, ვაგონის წინა კედელზე გადმოვანაცვლე ხელები და ძირს ჩავიხედე.

ვაგონსა და ვაგონს შუა, ბუფერების ქვეშ, ალმასივით ბრწყინავდა ლაპლაპა ლიანდაგი და სადღაც უკან მირბოდა რხევითა და ქანაობით.

ეს, ალბათ, ჩემი ვაგონი ქანაობდა.

ზემოთ მორები წიწკინებდნენ. ვგრძნობდი, როგორ იჭიმებოდა ბაგირი და თითქოს კბილებით ეჭიდებოდა კანდახეთქილ მორებს.

მაგრამ რომ გაწყდეს ან გაიხსნას ეს ბაგირი? სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ვის რა ოხრად უნდა ამგვარი უაზრო სიკვდილი! ყოველ წამს მოსალოდნელია მორის გადმოცურება. ხელსაც ვერ გაუშვებ ამ მონჯღრეულ კედელს? ვაგონი ქანაობს და როგორც კი წამოდგები, ან მარჯვნივ გადაგისვრის ან მარცხნივ.

ორთქლმავალი დამფრთხალი მოზვე-

რივით გაჰრილა წინ, თანდათან უმატებს სიჩქარეს და ღამის უკუნეთს გაჰბღავის.

ნეტავი რა დროა? ნახევარი საათი მაინც თუ გავიდა, რაც მოვდივარ? კიდევ ათნახევარი საათი დარჩა იქამდე, ესე იგი ოცდაერთი ამდენი!

სახეში თოში მცემს. ძვალსა და რბილში თანდათან მიჯდება სიცივე. ცა, ალბათ, მოღრუბლულია. ერთი ვარსკვლავიც კი არსად კიაფობს. ხელები სველი მაქვს. თქორმა გამილოკა თუ დავისისხლიანე? — ერთი მეორეზე მიტრიალებენ თავში ეს კითხვები და უფრო მეტის დაჟინებით ვეჭიდები ვაგონის წინა კედელს, რომელიც მორყეული კბილივით ფამფალებს და იქნებ მოულოდნელად მოძვრეს კიდეც.

ჩავჯექი. კედელს ცალი ხელი ვუშვი და მორს მოვავლე. ახლა მეორე ხელიც გადმოვიტანე აქეთ. ნოტიო ქარს ზურგი მივუშვირე.

ცოტა მომეფონა, მაგრამ ზურგშიაც მალე შეაღწია სიცივემ.

ვაგონის რყევას როგორღაც მივეჩვიე, ხელების განთავისუფლებას კი მაინც ვერ ვბედავდი. მაგრამ ხელები რად მიხურდა ასე? ნუთუ მართლა დავისისხლიანე!

იქნებ დაწოლა ჯობდეს. რყევაც ნაკლები იქნება. იმ წუთშივე შევუდექი ამ განზრახვის შესრულებას.

ფეხები წინ გავიწვდინე და გულაღმა დავეშვი.

ახლა ქარი აღარ წიოდა ყურებში. მორყეული წინა კედელი საიმედო საფარად იქცა. მაგრამ დიდხანს მაინც ვერ გასძლებ ასე...

ჟინჟლავდა. ცის შუაგულში ძლივს ირჩეოდა დაფხრეწილი ღრუბლის რუხი ფერი. ალბათ, მთვარე იყო სადღაც, მაგრამ ისე შორს იყო, მისი სინათლე ჩემამდე ვერ აღწევდა.

არა, სიგიჟეა ასე წოლა! ეს მორი, სულ ზევითა, ძალზე საეჭვოდაა წინ წამოწეული. მემანქანემ თუ უეცრად დაამუხრუჭა, აუცილებლად გადმოანგრევს ხორას.

მოვიკრიბე, რაც ძალი და ღონე გამაჩნდა. წამოვდექი. ისევ მოვეჭიდე მორებს და ზემოთ აბობღება დავიწყე, თან იმის თადარიგს ვიჭერდი, თავადვე არ გადმომეგდო საფათერაკოდ წამოცურებული მორი. ხორას ზემოდან მოვექეცი.

ლოკომოტივმა კიდევ გაჰბღავლა ღამეს. ნუთუ არსად გაჩერდება, ნუთუ ერთი სადგურიც არსად არის ამ დასაქცევში!

ცის შუაგულში სინათლემ იმატა. წვიმა მაინც არ ცხრებოდა. ყინვის ლოლუებივით მესობოდა შიშველ მაჯებში და ყელ-კისერში. ჩემდა ბედად, მატარებელმა სვლა შეანელა. აქედან გარკვევით ვხედავდი ფერდებაპარპალებულ ორთქლმავალს. ახლა ის ქშენით მიიწევდა წვიმაში. მალე ჩემს ირგვლივაც გაისმა წვიმის მსხვილი წვეთების სულმოუთქმელი ტლაშუნი. ასე დაულევაშებული სიმინდის ყანაში იცის ხოლმე.

მაზარა გავიხადე. თავზე წამოვიხურე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიარე ასე, რამდენ ხანს წვიმდა. მაზარიდან რომ თავი ამოვყავი, მატარებელი ტრიალ მინდორში იდგა. თენდებოდა. წვიმა კვლავ კოკისპირულად ასხამდა და ასხამდა, ცა ფეხად ჩამოდიოდა. როცა კარგად ინათლა, ქარი ჩადგა, წვიმამაც იკლო თითქოს და მე, მოსხლეტილი, სველ მორებზე დანდობილად დავეშვი და უმალ ძილ-ღვიძილის ბურანში გავეხვიე.

## თავი მეთოთხმეტე

მაზარიდან რომ თავი მეორედ ამოვყავი, მატარებელი ისევ მიდიოდა. მოსვენებას არ მაძლევდა ფიქრი, რამდენ ხანს ვიარე, დროით ჩავიდოდი თუ არა. მაგრამ აქ რას გაიგებდი! ირგვლივ მხოლოდ ნასიმინდარი ჭალები და წვიმის შემდეგ დარჩენილი ჰანჭრობი იყო.

ზედა ტანსაცმელი გავიხადე, გავწუ-

რე და ისევ ჩავიცვი, ქალაქში ჩასვლამდე იქნებ გაშრეს-მეთქი.

ბოლოს, როგორც იქნა, დავლანდე თვალი ნაცნობ ელევატორებს და გული შემიფრთხიალდა. ახლა არავითარი სილამაზე არ არსებობდა ირგვლივ, არაფერი მახარებდა. უცებ გამახსენდა: ქალაქი პატრულებით იყო სავსე. ყოველ ნაბიჯზე საბუთებს უსინჯავდნენ საეჭვო სამხედროებს. შეიძლება ვერც კი მიმეღწია მაიას სახლამდე და ყველაფერს ამაოდ ჩაევლო. წინათ ამაზე არ მიფიქრია.

ვაგონიდან ნავთლუღის სატვირთო სადგურში ჩამოვხტი. მატარებლებით ჩახერგილ ლიანდაგებში გაჭირვებით გავაღწიე.

გზა სასაფლაოზე მედო. სასაფლაოსაკენ ჯობდა, ვინ უნდა შემხვედროდა იქ! სადღაც ახლოს საავადმყოფოა, მგონი რკინიგზის გადაღმა. იქიდან ქვემოთ დავეშვები, მოვუხვევ და ისანში გავალ.

მიყრუებული ქუჩებით კარგა ხანს ვიარე. სისხამი დილა იყო. ქალაქს ისევ ეძინა. მეეზოვეები ქუჩებს ხვეტდნენ. თითო-ოროლა გამვლელის აჩქარებული ფეხის ხმა და ტრამვაის თვლების შორეული ღრჭიალი თუ არღვევდა ნაწვიმარი დილის მყუდროებას.

გული ახალმა სადარდელმა გამისერა: ვის უნდა მივდგომოდი ასე ადრიანად, იქნებ გაღვიძებულიც არ დამხვედროდნენ! შემეცადა სადმე, სანამ ქალაქი ფეხზე დადგებოდა? ეს შეუძლებელი იყო: უკან დაბრუნებას ველარ მოვასწრებდი. რაღა გაეწყობოდა! კვლავ გავყევი ქუჩებს.

მარცხნივ ამღვრეულ მტკვარს მოვლანდე თვალი. გაღაღმა ნაპირზე გაშლილი ორთაჭალის ბაღები უკან დარჩა. მაშ მე ისანში ვარ! ორიოდე წუთიც და, ფრიალო კლდეზე ორბივით წამომჯდარ მეტეხს ჩავურბინე. ხიდზე გავედი. მოედანზე ხალხი ირეოდა. ალბათ, მთელი საათი თუ საათნახევარი მოვდიოდი.

ბამბის რიგი, სიონი...

აქ სადღაც შესახვევია.

უცებ მომეჩვენა, თითქოს გუშინაც აქ ვყოფილიყავ. შიში, რომელიც მატარებლიდანვე მომდევდა, ერთბაშად გაჰქრა. მე ისევ თბილისის მიწაზე მედგა ფეხი. არავინ მომიკლავს, არავისთვის არაფერი წამირთმევია, ვინ რას მერჩის! ამ წუთში რომ მოსულიყვნენ და საბუთები მოეთხოვათ, გავძალიანდებოდი. რა უფლებით მთხოვდნენ საბუთებს! ვინ ვიყავი მე, სამუდამო გადასახლებიდან გამოქცეული დამნაშავე?

ჩემს წინ ვიღაც პალტოიანი ქალიშვილი მიდიოდა. ბერეტიდან გამოყრილი შავი, მბზინვარე თმა მხრებზე სცემდა. მაიას მივამსგავსე. ალბათ, ძალიან მინდოდა, მაია ყოფილიყო და ამიტომ მივამსგავსე. ვიცოდი, ის არ იყო, მაგრამ მაინც გადავუსწარი და უკან მოვიხედე. ქალიშვილმაც ამ დროს ასწია სახე. რასაკვირველია, სხვა აღმოჩნდა. ოდნავადაც არ ჰგავდა მაიას.

თოდრიას ქუჩისაკენ გადავუხვიე. უკანიდან ფეხის ხმა შემომესმა. მოვიხედე. ისევ ის ქალიშვილი იყო. ნეტავი რად მიყურებდა? ვინმე ნაცნობი ხომ არ ვეგონე! უნებლიედ ტანსაცმელზე დავიხედე და ელდა მეცა. ალაგ-ალაგ ფიჭვის მორებიდან გამონაჟონი ფისი მიმკრობოდა. მახლობელ ეზოში შევედი, ჭიშკარს ამოვეფარე და, რაც შეიძლებოდა, მოვიწესრიგე ტანსაცმელი. მაგრამ ასე როგორ ვეჩვენო? ისედაც მიწურული დრო ბევრი ფიქრისა და ყოყმანის საშუალებას აღარ მაძლევდა.

სამალავი მივატოვე. ისევ ქუჩაში გამოვედი. ყურადღებას აღარ ვაქცევდი აჩირებულ ცნობისმოყვარეებს, რომლებიც ახლა უფრო ხშირად და ხშირად მხვდებოდნენ. წინ მივისწრაფვოდი.

მჭიდროდ მოხურული რკინის ჭიშკარი ვიცანი. ეზოში შევედი. გულზე მომეშვა. მივიხედ-მოვიხედე. ეზოში არავინ ჩანდა. წამის შეყოვნებაც და, გამოჩნდება ვინმე. „ვის ეძებთ?“ — დამიძახებს და ჩემს ტანსაცმელს დაუწყებს თვალიერებას.

კიბეს ავუდექი. ვიარე და ვიარე, ვიარე და ვიარე, ძლიერ დიდხანს ვიარე, სანამ მესამე სართულამდე ავაღწევდი.

ახლა კლდეზე გადაჩეხილსა ვგავდი. გაჩერება აღარ შემეძლო, ძირს კი, რაც დამემართებოდა, ჩემზე აღარ იყო დამოკიდებული.

დავაკაკუნე. როცა არავინ გამომეხმაურა, კარს ხელი ვკარი. გაიღო. შუშაბანდში ქურდულად შევაბიჯე. მე უკვე მქონდა ამის გამოცდილება. ვიგრძენი, მუხლები მღალატობდნენ.

წინა ოთახის კარს დავუპირდაპირე. სანამ იქამდე მივიდოდი, კარი ზანტად გაიღო და ვიღაც თალხებში გახვეულმა ქალმა გამომხედა. მაია არ იყო. ვიღაც სხვა იყო. ჩვენ მხოლოდ ერთ წამს ვუყურებდით ერთმანეთს. თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ქალს უცებ სახე მოეჭცა, კინაღამ შეჰკივლა, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ გაუჩინარდა კარს უკან.

გავშრი. ალბათ, ოთახებში კიდევ იყო ხალხი. ხმამაღალი ჩურჩული გარკვევით მესმოდა.

კარი ხელახლა გაიღო. ორი კაცი გამოვიდა. ერთი მოხუცი, ერთიც ხანდაზმული. ამათ ქალები გამოჰყვნენ. მე იმავე ადგილზე ვიდექი. ვერ გავნძრეულიყავ. აღარც კი მესმოდა, რა ხდებოდა ჩემს გარშემო. თვალები ხანში შესულ კაცს მივაპყარი. მეცნაურა. ორმოცდაათს იქნებოდა მიტანებული. გათეთრებული სქელი თმა გვირგვინად წამოსდგომოდა მის მაღალ, ხორბლისფერ შუბლს. თვალებში ნაცნობი სხივი დავიჭირე. ვინ იყო? თითქოს სადღაც მენახა ეს კაცი. მზერა ვერ მომეწყვიტა მისთვის. ალბათ, ასეთი იქნებოდა ის ამაყი მაიორი, ჰარმაგობისათვის რომ მიეღწია. „მამა!" — გამიელვა უცებ და კვნესისმაგვარი რაღაც აღმომხდა.

უცნობს ნიკაპი აუცახცახდა. ცრემლებმა ერთბაშად იფეთქა მის სახეზე. მომვარდა, გადამეხვია და გულში ჩამიკრა, თან ჩურჩულებდა:

— ჩემი მირიანის ამხანაგი ხარ, შვილო?.. ჩემი სიყრმის შვილის ამხანაგი ხარ?...

ირგვლივ ყველა ქვითინებდა, ჭაღარა კაცი კი ისევ მიხუტებდა გულში და ახლა გაურკვეველ სიტყვებს ლუღლუღებდა.

ვერც კი გავიგე, ადგილიდან როგორ დავიძარი. ვიღაცამ ყრუდ ამოიგმინა და ჩემს წინაშე ისევ აირივნენ სახეები.

ეჭვი არ იყო, მოკვდა ვიღაც და შეიძლება აი, იქ, მიცვალებული წევს. „იქ წევს მიცვალებული! იქ წევს..."—ვიმეორებდი გულში და წინ უაზროდ მივალაჯებდი. ირგვლივ ყველა ტიროდა, ყველა ჩუმად, თავისთვის ტიროდა, მხოლოდ მე არ ვტიროდი, მარტო მე და კვლავ უანგარიშოდ ვიმეორებდი:

„იქ წევს მიცვალებული"...

შემიყვანეს წინა ოთახში და კართან გამაჩერეს. მამას უკვე აღარ ეჭირა ჩემი ხელი, მაგრამ ის სადღაც ახლოს იდგა. წინ იატაკი იყო, მერე, იქით, მაგიდის ფეხი. იმას იქით სკამი; ვიღაც იჯდა სკამზე. მერე იდგა ტახტი. ტახტზეც იჯდა ვიღაც. მე თავი ავწიე და დავინახე: მაიას დედა იჯდა. აქამდე ერთხელაც არ გამხსენებია მაიას დედა. ახლა დავინახე და პირველად გამახსენდა. გამახსენდა მისი კოპებიანი შუბლი, ხმელი სახე. ის არ ტიროდა, არც არავის უყურებდა, ისე იყურებოდა. ალბათ, იქ წევს მიცვალებული...

მე ახლოს ვიდექი მეორე ოთახის კართან. „თუ ოდნავ მივაბრუნებ სახეს, დავინახავ, ვინ წევს იქ..." — გავიფიქრე შეძრწუნებულმა და ჩემი მოულოდნელი შემოსვლით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ჩურჩული მომესმა. ეს დედამ თქვა:

— შვილო, მირიან...

დედა ძლივს გასაგონი ხმით მოსთქვამდა:

— ამხანაგი მოგივიდა, ბიჭო... კიდევ მოგივლიან ამხანაგები...

მაგიდაზე ცოცხალი ყვავილები ელაგა. ეს ხომ შემოსვლისთანავე დავინახე, მაგრამ რატომღაც ვერ შევნიშნე.ყვავილებს შორის მირიანის ახალთ-ახალი ქუდი იდო, სწორედ ის ქუდი, რომელიც სასწავლებლის ხეივანში ეკავა იმ ღამეს, პირველი ხმა რომ აუწია ჩემს მაგივრად.

ნაბიჯი წინ წავდგი. როიალის კუ-

თხიდან სიცარიელე შემომჩერებოდა. ხალიჩა მოეხსნათ, მაგრამ ტახტი ისევ ძველ ადგილას იდგა.

გახევებული ვიდექი და დიდხანს ვერ ვხედავდი: იმ ტახტზე მაია იჯდა. უწესრიგოდ ჩამოშლილი თმის ხვეულებში სახე ძლივს მოუჩანდა. უეცრად შევხედე და ვიცანი. იმანაც შემომხედა, მაგრამ ერთი ძარღვიც არ შეტოკებია სახეზე. უაზროდ იყურებოდა სადღაც ჩემს იქით. მე თითქოს გამჭვირვალე ვიყავი. მერე ოდნავ აწია სახე. თვალებში ნაცნობი სხივი გაუკრთა და მე მომეჩვენა, რომ მაიას კივილი გავიგონე. ყურებში როიალის გუგუნი იდგა. როცა გამოვერკვი, მაია მე მიყურებდა. არაფერს აღარ დავეძიდე. მივაჩერდი. ლოყაზე ცრემლი აუციმციმდა მაიას, ლოყაზე ჩამოუგორდა.

ძალღონემ მიმტყუნა. ჰერი თითქოს ერთბაშად ამოტუმბეს ოთახიდან. წავბარბაცდი. კარის ჩარჩოს წავეტანე, შუბლით მივეყრდენ და მეც ავტირდი.

ვიღაც მომიახლოვდა, მომეხვია და თავადაც ატირდა ჩუმი, ჩაგუბებული ხმით. ალბათ, ისევ მამა იყო.

ორიოდე წუთის შემდეგ გარეთ გამოვედი.

კიბის ძირას ვიღაცები იდგნენ, მგონი მე მიყურებდნენ და მჯიღებით ისრესდნენ თვალებს. ყურადღება არავისთვის მიმიქცევია. ქუჩაში გავვარდი.

ერთხანს გაოგნებული ვიდექი გადასასვლელთან. ვერ მომეგონებინა, ქუდი სად დავტოვე. მალე გულიდან ესეც გადამავარდა. ხალხში გავერიე. ჯერ ჯიქურ მივარღვევდი ბრბოს, მერე ტროტუარიდან ჩამოვედი და ძუნძულით გავყევ ქუჩის პირს.

## თავი მეთხუთმეტე

ღამდებოდა, როცა მატარებელი უკანასკნელ სადგურს გასცილდა. ოციოდე წუთიც და, ტ-ში უნდა გაჩერებულიყო. ჩემთან ერთად ორი გაურკვეველი ხნოვანების ქალი შემოჰფარებოდა სატვირთო ვაგონის ტამბურს. ქალები ენად გაიკრიფნენ. ჩემი ჩათრევაც სცადეს, მაგრამ როდესაც ლაპარაკის არავითარი სურვილი არ გამოვამჟღავნე, ცხვირი აიბზუეს და ამის შემდეგ აღარც კი გავხსენებივარ.

მეც ეს მინდოდა.

თუმცა ორივე საკმაოდ ჩამოფხრეწილ-ჩამოგლეჯილი იყო, ერთ მათგანს საათი ეკეთა მაჯაზე. მე დროდადრო გავხედავდი ხოლმე ამ საათს და მერე ისევ ტამბურის ფიცრულ კედელს მივჩერებოდი.

საათის პატრონმა ბოლოს შენიშნა ჩემი მოუსვენრობა, თავადაც დახედა საათს, ჩემკენ გამოაპარა უნდო თვალები და თანამგზავრს რაღაც ანიშნა. ახლა იმანაც გადმომკრა თვალი. აჩურჩულდნენ. დროგამოშვებით ჩემკენ იყურებოდნენ.

საათებზე მონადირედ თუ მიმიღეს. მეწყინა, მაგრამ ხმის ამოღების თავი არ მქონდა. ტამბურის კედელზე მიყრდნობილ ნიდაყვებში სახე ჩავმალე და თვალები მივლულე. უმალ გულის კუნჭულში ჩარჩენილი მოგონებები წამოიშალნენ. „ჩვენ სამივე, ერთმანეთს ვგავართ, ბაბუა, მე და მირიანი"... გაიწკრიალა ნაცნობმა ხმამ.

უცებ ვიღაც შემეხო მხარზე. მერე შემანჯღრია.

— რა მოგივიდათ!

დაფეთებული მოვტრიალდი. ორივე მხრიდან ის ჩემი თანამგზავრები ამომდგომოდნენ და მიყურებდნენ.

— ტიროდით? — მკითხა იმან, რომელსაც საათი ეკეთა მაჯაზე.

ვტიროდი?

ის სულ ახლოს იდგა. მატარებლის რწევაში ოდნავ მეხებოდა მხარზე. თვალებში ჩავხედე და, როცა იქ ის ამოვიკითხე, რასაც არ ველოდი, უცნაური სურვილი დამებადა: მომინდა ყველაფერი მომეთხრო მათთვის, ჩემი ამბავი ზღვაში გადაგდებული კენჭივით ჩამეძირა უცხო გულებში, ჩამეძირა და მერე სამუდამოდ დამევიწყებინა,

რომ აქ ვისმე შევხვდი და ის საიდუმლო გავანდე, რასაც არცერთ ახლობელს არ გავანდობდი. მაგრამ ვაი, რომ გვიანი იყო. დრო აღარ მეყოფოდა. გავმწარდი. რადგან ეს არ შეიძლებოდა, ვინატრე, სულ მარტო ვყოფილიყავი, ამ უცნობი ადამიანების გაღიზიანებულ ცნობისმოყვარეობას როგორმე გავქცეოდი, მაგრამ ისინი ისევ აქ იყვნენ.

— კიდევ ტირით?—მკითხა საათიანმა.

— არა!

— უბედურება შეგემთხვათ?

სახე ღიმილმა თუ რაღაც მისმა მსგავსმა დამიღრიჯა.

— შეგემთხვათ? — გაიმეორა ქალმა.

— მეგობარი მომიკლეს, —ვთქვი და ვიგრძენი, რომ ალსარებაში სადღაც სიცრუე შემეპარა.

— ოჰ! — ამოიკვნესა ქალმა, რომელიც კვლავ თანაგრძნობის გამოჩენას ცდილობდა და ამხანაგს გადახედა, — სად?

— ხულ ერთია, სად! მოკლეს!

ეს სიტყვები თითქმის შევყვირე, რათა ბოლო მომეღო უთავბოლო დაკითხვისათვის. ალბათ, არეულად ვიყურებოდი. ქალები დაფრთხნენ და ერთბაშად უკან დაიხიეს. ნანატრი სიჩუმე ჩამოვარდა, რასაც ვაგონების ულვთო ჯახჯახი არღვევდა მხოლოდ.

მატარებელი ზოზინით მიდიოდა. ყოველ ბოძთან მიახლოვებისას ანელებდა სიჩქარეს.

უღუუ! — დაიღრიალა ორთქლმავალმა. ვაგონები ღონივრად გასწია. სადღაც ბრაგუნი გაისმა. ალბათ, ზემოთ ქვა გადმოვარდა და ვაგონის იატაკზე დაეცა. აი, სინათლეებიც! გამოვფხიზლდი. ნეტავი რა ადგილას გაჩერდება? უკეთესი იქნება თუ ბაქანთან არ მოვხვდით. იქ ყველაფერი განათებულია და აუარებელი ხალხი მიდი-მოდის.

ყრუდ შემოგვჯაჯღანეს ქვიტკირის ჯიხურებმა, ჩაირბინა სემაფორმა, ვენახის ჰიშკარმა...

ესეც პროჟექტორები! მატარებელი ისრებს კვეთს. აი, სამკუთხედებად ანთებული ფანრებიც მატარებლების ბოლოებში! კიდევ კარგი, მეოთხეზე გადავდივართ!

მაგრამ...

ტამბურის კარი გამოვაღე. ხელის კანკალით მოვსინჯე კიბე. ზედ დავდექი. წინ ტყვიასავით ჩაიქროლა მესამე ლიანდაგზე ჩამომდგარი მატარებლის კუდმა. ახლა თითქოს ცეცხლი წაეკიდა მთელ შემადგენლობას. განათებული ფანჯრები ერთმანეთს გადაებნენ, ზოლად გაიბნენ და შუა გაჰკვეთეს ყურისწამღებ ჯახუნში განაბული მატარებელი.

„მაშ არ გაჩერდება, არ გაჩერდება ეს წყეული!“ — მგონი ხმამაღლა შევბღავლე მე და კიბის სახელურებს სასოწარკვეთით ჩავებღაუჭე.

ვიღაცამ მკლავში მტაცა ხელი. კისერი მოვიღრიჯე. ის ქალები იყვნენ. რაღაცას მიყვიროდნენ და მანიშნებდნენ, მაგრამ მე უკვე აღარაფერი მესმოდა. მხარი ღონივრად მოვიქნიე, რათა როგორმე გამენთავისუფლებინა, თავბრუდამხვევი სისწრაფით გაქანებულ მიწას ჩავაშტერდი და...

შემზარავი ხმით იკივლა ვიღაცამ. წამიც და, ის კივილიც თან გაიტაცა წინ გაჭრილმა მატარებელმა, მე კი შორს ვიყავი და იქ მესმოდა ეს ჯოჯოხეთური ხმაური.

წამოდგომა მოვინდომე, მაგრამ ვერ შევძელ. ყრუ ტკივილმა ისევ რაღაც ცივს გამაკრა.

ხელზე სისველე მომხვდა. პირველად მაზუთი მეგონა. გამაჟრჟოლა. ახლა ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სითხე, რომელშიაც პირქვე ვიწექი, ჩემივე სისხლი იყო.

იქნებ კიდეც სჯობდეს ასე?

ერთხელ კვლავ გავიბრძოლე და საკუთარ სხეულს რომ ველარ მოვერიე, უშწეოდ ამოვიღმუვლე რაღაც და ცრემლები წამსკდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### დენის დავიდოვი

★

# ბურცოვს

## მიპატიჟება პუნჩზე

ბურცოვ, ოსტატო გალახვის,
შფოთის და სუფრის თავკაცო,
თუ გწამს ღმერთის და არაყის,
მეწვიე, ქოხი გაგაცნო.

მეწვიე, ჩემი არიფი
და ჩემი დოსტი შენა ხარ:
დაგხვდება ქოხი ღარიბი,
კართან მათხოვრებს ვერ ნახავ.

შიგ არცა ბროლი ელვარებს,
არც კედლებს შვენის მხატვრობა,
მეც დიდი გვამი არა ვარ —
პატრონი — უფალს მადლობა!

გუსარი ვარ და, ვინც მნახავს,
თვალებს არავის ვუჭრელებ,
შვრიით გატენილ ტომარას
სავარძლის ნაცვლად ვუჩვენებ.

არ მივის საფერფლეები
ბროლის და არცა ვტრაბახობ;
სამაგიეროდ გვექნება
ჩიბუხიცა და თამბაქოც.

კედლის მხატვრობის მაგივრად,
ტყავის ჩანთა მაქვს, ჯიგარო,
ზედ ახატია კარგი რამ —
მეფის ვენზელი ვიკმაროთ.

სარკეც არა მაქვს და ულვაშს,
თავს რომლის გამო ვიწონებ,
მხოლოდ ხმლისპირზე ვამოწმებ,
მხოლოდ ხმლისპირზე ვისწორებ...

ხოლო ვაზების სანაცვლოდ,
სანაცვლოდ ბროლის სასმურის,
ხუთი ჭიქა ვეება
პირთამდე გახლავს დასხმული,

ხუთივე ფუნჯით სავსეა,
შიგ სამოთხეა უჭკნობად...
მობრძანდი, გელი, გუსარმა
მაშ, დამიმტკიცე გუსრობა!

### აპოლონ მაიკოვი

* * *

მოხრიალდა მერცხალი
შორი ზღვების გაღმიდან,
მოსრიალდა მერცხალი,
ჩამოჯდა და ამღერდა:

— თებერვალო,
თებერვალო,
სულ ტყუილად დარდობ!
შენც ტყუილად
იქუფრები,
იმუქრები — მარტო —

გინდა იყოს წვიმა,
გინდა იყოს თოვლი,
გაზაფხულის სუნი უდის
სულერთია
ყველაფერს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ატირდა თოვლი და პირველი სარკმელი დაჩნდა
და ჰა, ჩემს ოთახს გაზაფხულის ხმაური ავსებს:
მესმის საყდრიდან ზარის რეკა, ყაყანი კაცთა,
ბორბლების სხლტომა და ჭრიალი საურმე გზაზე...
სულში დაჰბერა განახლების ნიავმა ხელად,
ვხედავ ცისფერი ტრამალების არ ჩანს ნაპირი...
ვქცეულვარ ხელად, მსურს გავიჭრე სიმღერით ველად,
სადაც ჭრელ ყვავილს ჰფანტავს აპრილი.

* * *

ძეძვით და ისლით გადაშამბულ უკაცურ კონცხზე,
ამ მცირე კონცხზე, ალაგ ფიჭვი რომელსაც შვენის,
მოხუცებულმა მებადურმა დამარხა შვილი.
ზღვა იყო დედა, ზღვამ გაზარდა ჭაბუკი იგი,
მანვე მიიღო თვისი პირმშო წიაღსა შინა
და მერე ფრთხილად.გამორიყა ნაპირზე გვამი.
მოხუცმა მამამ დაიტირა ჭაბუკი თვისი;
მწვანე ტირიფქვეშ გაუთხარა სამარე პირმშოს,
დაადო ქვა და ჯვარს დაჰკიდა პაწია ბადე —
მათი პირქუში სიღატაკის ღარიბი ძეგლი.

თარგმანი **მურმან ლებანიძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით სულიაშვილი

★

# გუდამართალი*

ამ დროს იმავე შენობის მეორე ოთახში მოულოდნელი ამბით დაბნეული და შეშინებული ხმოსნები გრძელი მაგიდის გარშემო ბოლთას სცემდნენ. ზოგიც სკამზე იჯდა და, პაპიროსის ბოლში გახვეული, კედელს მიშტერებოდა. ხმას ვერ იღებდნენ, არ იცოდნენ რა ემოქმედათ. კედლის სიმაღლეზე ჩამოკიდებულ მეფის სურათს გახედავდნენ, — თრთოდნენ, ქშინავდნენ.

— რას იტყვის გუბერნატორი? უნდა შევატყობინოთ! ჩვენ განზე გავდგეთ და ხელები დავიბანოთ. ზომები იმან მიიღოს! — დუმილის შემდეგ თქვა ჰალარაწვერებიანმა ქალაქის თავმა, რომელსაც თავი ლიბერალად მოჰქონდა.

სკამზე მსხდომნი წამოდგნენ. მოსიარულენი შედგნენ.

— სწორეა! ნამდვილია! — კმაყოფილებით დაუდასტურეს.

აწკარუნდა ტელეფონის ზარი.

— ...დიაღ, თქვენო აღმატებულებავ... დარბაზი გაჭედილია ხალხით. ვერ შევძელით მათი დაშლა. პარტიების წარმომადგენლები უშვერი სიტყვებით იხსენიებენ მათ დიდებულებას. დიაღ, თქვენო აღმატებულებავ? გვესმის! მხოლოდ ძალით შეიძლება მათი დაშლა.

კიდევ აწკარუნდა ტელეფონის ზარი.

ამუშავდნენ მეფის მოხელენი, გუბერნატორის თანაშემწე, პოლიცმეისტერი, კაზაკების ატამანი, ბოქაულები, პოლიციელები.

დარბაზი გუგუნებდა. რევოლუციონერების სიტყვები ჩანჩქერის შხეფებივით ეპკურებოდა მსმენელებს. რამდენიმე ასეულის გული გამალებით ცემდა, ფეთქავდა, მომავალი ბრძოლებისათვის ღვივდებოდა.

ხალხით გაჭედილ კარებში მოულოდნელად მაღალტანიანი, გრძელულვაშიანი პოლიცმეისტერი აღიმართა. კარებშივე შედგა და აცახცახებული ხმით დაიძახა: „გენერალ-გუბერნატორის სახელით გიბრძანებთ: ახლავე დაიშალეთ! დაუყოვნებლივ დატოვეთ დარბაზი!..“

კრება ჯერ შეკრთა. ყველამ პოლიცმეისტერის მრისხანე სახეს შეხედა. მისი აქსელბანტებით მორთული გულმკერდი რომ დაინახა — გაინაბა, გაყუჩდა. ხოლო ერთმა წამოიძახა:

— არ გვეშინია გუბერნატორისა, არა!.. — გაყურსული ხალხი შეინძრა.

— არ გვეშინია, არა!

— წადი, მოახსენე, რომ არ დავიშლებით!

— განაგრძეთ სიტყვა, ამხანაგო! სიტყვა!..

— სიტყვა! სიტყვა! — ქუხილივით გაისმა დარბაზში.

პოლიცმეისტერი გაბრუნდა. მხლებლებიც თან გაჰყვნენ.

სხდომა გაგრძელდა. მაგრამ დარბაზში ალესილი ხმალივით ჩამოეკიდა შიში და კრთომა. შეშფოთდა კრება. ერთი წუთით აღგზნებული გული შეიკუმშა. გაღვივებული მუგუზალი ჩაიფერფლა. თვალებში შუქი ჩაქრა. სიტყვას მოაკლდა სიცხოველე.

დარბაზში შეიარაღებული კაზაკები შემოცვივდნენ, კონდახებითა და მათრახებით დაუწყეს ცემა პირველ რიგში მსხდომ მუშებს. მუშები შეკრთნენ, დაიბნენ, მერე კარებს მიაშურეს. ატყდა სტვენა, ყვირილი, გინება, ქალების წივილ-კივილი, „ვაი-დედას“ ძახილი, წყევლა და კრულვა. დაუნდობლად და ვერაგულად ურტყამდნენ კარებთან შემჭიდროებულ ხალხს ჩასაფრებული კაზაკები, კონდახს ჩასცხებდნენ, იქვე იატაკზე ანარცხებდნენ. წაქცეულებს გაქცეულები თავზე ახტებოდნენ. მირბოდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ, კისრისტეხით ჩარბოდნენ კიბეებზე. ქვევით დაკეტილი ხვდებოდათ გასასვლელი კარი და უკან ბრუნდებოდნენ. გასასვლელს ეძებდნენ, მაგრამ ვერ პოულობდნენ, გატეხილი ფანჯრიდან ეზოში ხტებოდნენ, კუნჭულებში იმალებოდნენ.

ტყვიებს გაჰქონდა ზუზუნი.

კამო და მე ქანდარაზე დიდხანს ვიყავით მომწყვდეულნი, იატაკზე ვლოლავდით. ერთმა ამხანაგმა წამოიწია, წამოდგა. დარბაზში გადაიხედა. წამსვე მოწყვეტილი ფოთოლივით დაეცა.

— დათა, ყოჩაღად იყავი! არ შეშინდე! იწექი! არ ადგე! — შემომესმა კამოს ხმა. შევხედე, ფერი დაჰკარგოდა, სახე დაღრეჯოდა, თრთოდა.

გასასვლელ კარებთან შეჭუჩული ამხანაგები ყვიროდნენ: — „გააღეთ! გააღეთ!“ — კარს მუშტებს ურტყამდნენ, იგინებოდნენ. ბოლოს, როცა კარი გაიღო, მოვარდნილ მდინარესავით დავეშვით კიბეებზე.

დერეფნის ორივე მხარეს ჩამწკრივებული,

---

* გაგრძელება, იხ. № 7.

გალალებული კაზაკები არ გვინდობდნენ. კონდახებს გვიშენდნენ, თავგატეხილი ამხანაგები იატაკზე ეცემოდნენ.

კონდახის დარტყმამ მეც კიბეზე დამაგორა. წამოვდექი. ხელი მოვისვი, — თბილი სისხლით გამეთხუპნა ხელი. შავი ზოლები ემჩნეოდა თეთრ ხალათს. თავის ქალა მეწვოდა. ქუდი აღარ მეხურა.

ეზოში დავიწყე სირბილი. ბნელოდა. აჩრდილებივით დარბოდნენ ჩემ გვერდით განწირულები. ერთმანეთს ვეხეთქებოდით. ერთი კუთხიდან მეორეს ვაწყდებოდით. დახოცილთა და დაჭრილთა გვამებს თავს ვევლებოდით. არ ვიცოდით, საიდან მოდიოდა ტყვიები. ჩასაფრებული კაზაკები, ისე ნადირობდნენ ჩვენზე, როგორც მონადირენი დამფრთხალ ნადირზე.

ხელისგულის ოდენა ეზოში ვიწრო გასასვლელი დავინახე. ვიღაც მირბოდა იქითკენ. ჩამტვრეულ ფანჯარაში გადაძვრა. მეც გადავძვერი.

ვიღაცის მუხლს ხელი წავკარი. იატაკზე დავეშვი. სიბნელეში ძლივს გავარჩიე ტახტი. ტახტზე ვიღაც იწვა და კვნესოდა, „ჩუმად! ნუ კვნესი! გაგვიგონებენ! შენც დაიღუპები, ჩვენც!..“ — შეუტიეს დაჭრილს.

— წყალი! წყალი! მიშველეთ!.. — წაილუღლუღა დაჭრილმა.

— არ დაალევინოთ! დაჭრილს წყალი არ დაელევინება! — იძახის ვიღაცა.

ხელს მკრავენ. იატაკზე ვჯდები.

— ჩუმად! ჩუმად!

ახლაღა ვიგრძენი თავის საშინელი ტკივილი. თითქოს ზედ მუგუზალი დამადვესო, ისე მეწვოდა.

ოთახში გულის დამლევი სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ დაჭრილის შეკავებული ზმუილი გაისმოდა. ეზოში სროლა კანტიკუნტად გრძელდებოდა.

ამ დროს ქალაქში ცხოვრება ჩვეულებრივ მიმდინარეობდა. მხოლოდ მახლობელ შენობებს აკრთობდა განუწყვეტელი სროლა.

რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ჯოჯოხეთური წუთები, აღარ მახსოვს. ერთხანს სროლა მინელდა. სიწყნარე ჩამოვარდა. ფანჯრიდან ერთი ზოლი მკრთალი სინათლისა ოთახს მოეფინა.

დაჭრილი — მიყუჩდა.

• •
•

შორიდან ისმოდა ქალაქის ყრუ ხმაური. უეცრად მიწყნარებულ ოთახში ალაყაფის გალების ჭრიალი შემოიჭრა. ფურგუნის თვლების დგრიალი შუა ეზოში მიწყდა. მდუმარებაში გაისმა ბრძანება:

— აბა, ჩქარა! ყველა კუთხე დაიარეთ! მოძებნეთ, მოკრიფეთ! ჩაყარეთ!..

— დაჭრილები ცალკე! მკვდრები ცალკე!..

„ვაი დედა!“, „მიშველეთ!“, „წყალი!“ — გვესმოდა ხმები.

მალე ფურგუნის თვლები ისევ აჭრიალდნენ. ალაყაფის კარი გაიღო. ისევ მიიხურა. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ერთმანეთის სუნთქვა გვესმოდა. გულისცემით ველოდით, მაგრამ რას? რა მოგველოდა!

რამდენი ხანი გავიდა დუმილში!

უცბათ გასაღები გაჩხარუნდა, ყველანი წამოვცვივდით. გავინაბეთ. კარი გაიღო და მსხვილი, დაბალი ტანის გრძელულვაშიანი მამაკაცი კარებშივე შედგა. თითქოს სული მოითქვა. ერთხანს დუმილით გვიმზერდა.

— გათავდა ყველაფერი! წავიდნენ! ახლა გასვლაც შეიძლება. ნუღარ გეშინიათ! გადით! ნელა! წყნარად!

მოვწყდით ალაგას. კარებში გავიჭედეთ. გასვლის დროს ჯიბეებიდან ფულს ვიღებდით, მზარეულს ვაძლევდით. ვეუბნებოდით: „აგერ ტახტზე დაჭრილია! ის ვერ წამოვა! მოუარე!!!

უცბათ მივირბინე მასთან. დავხედე.

უძრავად იწვა. მკრთალად გავარჩიე მინასავით გამჭვირვალე ღია თვალები. დავუხუჭე...

• •
•

მეორე დღეს ალიოშა სვანიძესთან მივდიოდი. გზაში კამო შემხვდა.

— კამო! კამო! შე ღდინძაღლო, როგორ გადარჩი? როგორ?

— შენ რომ დაგცილდი, გატეხილი ფანჯრიდან ეზოში გადავხტი. გადავხტი და სხვებთან ერთად, მომწყვდეული ნადირივით, ხან ერთ კედელს მივეხეთქებოდი, ხან მეორეს. გასასვლელი არსად ჩანდა. ყველგან ტყვია ზუზუნებდა. რამდენ ხანს ვირბინე, აღარ მახსოვს. ბოლოს მიყრუებულ კუთხეს მივადექი. საწვიმარი მილის გვერდით მივწექი და თავი მოვიმკვდარუნე. გვერდებში წვრილ-წვრილი ქვები, თუ კენჭები მჩხვლეტდნენ, ნემსებივით მესობოდნენ, მაგრამ ვუძლებდი.

— მერე? მერე?

— განაბული ვიყავი, სანამ სროლა არ შეწყდა. მერე დაკეტილი ალაყაფის კარი გაიღო და ეზოში ფურგუნი შემოხრიგინდა. მივხვდი, რაშიც იყო საქმე. უფრო გავიტრუნე. დაიწყეს დაჭრილებისა და მკვდრების ალაგება. ფურგუნში ერთ მხარეს დაჭრილებს ყრიდნენ, მეორე მხარეს — დახოცილებს. მეც ამწიეს და, კვნესა რომ არ მოვრთე, დახოცილებში ჩამაგდეს.

— რატომ არ გაიქეცი, როცა ალაყაფის კარი გააღეს?

— ეზოში და კარებთანაც ჯერ კიდევ ბევრი პოლიციელი იდგა. დამიჭერდნენ. ფურგუ-

ნში ნელ-ნელა ნაპირისაკენ მივჩოჩდი. ერთმა მიცვალებულმა მოკაუჭებული მკლავი ისე მომდო, თითქო ჩემი დაკავება სდომებოდეს. უნდა გამოგიტყდე, ძალიან შემეშინდა. ძლივს დავიძვრინე თავი. სისხლით ვიყავი გათხუპნული. ალაყაფის კარს რომ გავცდით, ვიცოცე და სულ ზევით მოვექეცი. როცა ფურგუნი პუშკინის ქუჩაზე დაეშვა, ცოტა მოვსულიერდი. მოვემზადე გადასახტომად, მაგრამ ქუჩებში ჯერ კიდევ ხალხი დადიოდა. ხიდი რომ გავიარეთ და სანაპირო ქუჩაზე გავედით, ფურგუნის ნაპირს მივადექი და გადავხტი. ბნელი და ვიწრო ქუჩებით მიველი დეიდაჩემთან... მერე, ხომ იცი! დაიწყეს წივილ-კივილი... ალიოშა სვანიძესი ხომ არაფერი იცი?

— არა. ახლა სწორეთ იქ მივდიოდი!

— მაშ, წავიდეთ!

ჩქარი ნაბიჯით მივდიოდით. შინ დაგვხვდება თუ ტირილით შეგვეგებებიან მისი დები? რაღა ეშველება მის მოხუც დედას, ერთადერთი ვაჟის პატრონს?.. — ვფიქრობდით გზადაგზა.

— კარგი ბიჭია ალიოშა, სემინარიაში ერთად ვსწავლობდით! — ვუთხარი კამოს.

— ცხვირი ცოტა მაღლა აქვს აწეული! ინტელიგენტია!..

— არა, კამო! ცდები! ძალიან მოკრძალებულია!

— სოსოს რატომღაც უყვარს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს!

— შენ საიდან შეამჩნიე? მართალია! იმათ ოჯახში ხშირად დადის. მის დას, კატოს არალეგალურ წიგნებს აძლევს ხოლმე.

— ვიცი! მეც ერთი-ორჯერ ვყოფილვარ მაგათ ოჯახში სოსოს დავალებით. ძალიან კარგი ადამიანები არიან.

— კარგი შემოსავალი აქვთ! მკერავები არიან და სახელიც გაითქვეს. უფროსმა დამ, საშამ, ფრანგული იცის.

— საიდან?

— არ იცი? ეგენი ხომ ერთ ფრანგ მკერავთან ცხოვრობდნენ, მსახურობდნენ და ჭრაკერვასაც მასთან სწავლობდნენ. ფრანგი ქალი მოხიბლული იყო დების მოხდენილობით, ჭკუითა და ნიჭიერებით. ჰოდა, როცა ის გარდაიცვალა, მაგათ დაუტოვა სამკერვალო თავისი მუშტრებიანად. დებმა მოლოდინი გაამართლეს და ახლა ყველა მაგათ ეტანება. შემოსავალი იმდენი ჰქონდათ, რომ ალიოშა საზღვარგარეთ გაგზავნეს სასწავლებლად.

სახლს მივუახლოვდით. მაღალი კიბე ისე ავირბინე, რომ გული კინაღამ ამომვარდა. კარს მივაყურე და. რადგან წივილ-კივილი არ შემომესმა, იმედი მომეცა. კარი გაიღო და თვითონ ალიოშა შეგვეგება.

— ოჰ! რა კარგი ჰქენით, რომ მოხვედით! სულ თქვენზე ვფიქრობდი! როგორ გადარჩით, როგორ!..

დებმაც კვრვას თავი დაანებეს, ჩვენი გადარჩენის ამბავს ისმენდნენ. თან ცრემლებს ცხვირსახოცით იწმენდნენ.

ალიოშა კი უფრო იოლად გადარჩენილიყო. თავისი დინჯი, რაჭული კილოთი მოგვიყვა, თუ როგორ მოასწრო გამოსვლა ქუჩაში, რომელიც ყოველი მხრიდან პოლიციელებით იყო შეკრული. მას როგორღაც მოეხერხებია თავის გაძვრენა, ერთ მახლობელ ეზოში შევარდნილა, ეზოდან ვიღაცის ბინაში ასულა. იმათაც ისეთი მასპინძლობა გამოუჩენიათ, რომ შინ გათენებამდის არ გაუშვიათ.

— ჩვენ კი მთელი ღამე ტირილსა და ვაივაგლახში გავატარეთ. ვიცოდით, რომ იქ იყო. სროლა ისე ისმოდა, თითქოს ქალაქს მტერი შემოესია და მცხოვრებლები გარბიანო. — თქვა უფროსმა დამ.

— როგორ გაგვეხარდა, როცა ინათა და ალიოშა მოვიდა! დღეს უსათუოდ უნდა მოვძებნო ის ოჯახი და მადლობა გადავუხადო! — დაუმატა მეორე დამ, კატომ. ცისფერი ცქრიალა თვალებით შემოგვხედა, რაც მას ძალიან უხდებოდა.

ეს წყნარი, მშვიდი ოჯახი გვხიბლავდა, გვაჯადოვებდა. წამოსვლა აღარ გვინდოდა. თითქოს სხვა სამყაროში ამოვყავით თავიო.

• •
•

უიარაღო ხალხზე მთავრობის გამარჯვებასთან სდევდა ჩვენი მორალური და იდეური გამარჯვება. ახლოვდებოდა ცხრაასხუთი წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება.

რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობის მიზნით, ხელისუფლების ფარული წაქეზებითა და ხელისშეწყობით მოხდა სომეხ-თათართა შეტაკება. ამან დიდი მსხვერპლი მოიტანა ბაქოში. შეტაკებათა ტალღამ თბილისშიც გადმოხეთქა. რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას არ შეეძლო ამის წინააღმდეგ არ გაელაშქრა, და გაილაშქრა კიდეც. მუშების მოლაშქრეთა მეოხებით შეტაკება შეწყდა. ამის შემდეგ გაიმართა მიტინგი სომეხ-თათართა დაძმობილებისა და ზავის გამო, რომელიც პარტიამ დემონსტრაციად გადააქცია მთავრობის წინააღმდეგ.

პურის მოედანზე ერთ პარტიულ ამხანაგს დაქირავებული ჰქონდა ოთახი, სადაც იმართებოდა კონსპირაციული სხდომები. რსდ მუშათა პარტიის საკავშირო კომიტეტისა. აქ ხშირად იკრიფებოდნენ ამხანაგები. იმ დღესაც, როცა სომეხთა საკათედრო ეზოში სომეხ-თათართა მიტინგი დემონსტრაციად გადაიქცა, ამ ოთახში თავი შეიყარეს ამხანაგებმა. აქ იყვნენ კობა, პოეტი აკოფიანი, ხანოიანი და

სხვები. ისინი მსჯელობდნენ მომხდარი დემონსტრაციის შესახებ.

ოთახის კარი უცბათ გაიღო და შემოვარდა კინტოს ტანისამოსში გამოწყობილი კამო. კობამ ყველაზე ადრე იცნო ის და ღიმილით შესძახა:

— ბიჭო, კამო, შენა?!

— ბიჭოს! შენ არ იყავი მიტინგზე, რომ ილაპარაკე? ვაჰ! რა მშვენიერი სიტყვა წარმოთქვი! — მიმართა პოეტმა აკოფიანმა.

— მაშ, რა! არავინ იყო, შვილოსა, და რას ვიზამდი? მიტინგზე ათი ათასამდე და მგონი თხუთმეტ ათასამდეც კაცი იქნებოდა, აი! — თქვა კამომ.

კობამ ცალი თვალი მოჭუტა. კამოს მოუბრუნდა და უთხრა:

— აჭარბებ, კამო!

— ხუთი ათასი მაინც იქნებოდა! ეს მაინც დაიჯერე!

— არც ამდენი! — არ ეთანხმებოდა კობა.

— ახლა, როგორც გინდა! — თქვა კამომ წყრომით.

— კარგი! რამდენიც იყო! მოყევი, როგორ ჩატარდა. — ეუბნება ხანოიანი.

— ჰოდა, სოციალ-დემოკრატთა ორატორებიდან არავინ იყო და მხოლოდ ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს.

— მერე? მერე?

— მიტინგის შემდეგ ყველა თათართა სასაფლაოსაკენ გაემართა. აქაც მიტინგი მოეწყო. იქიდან კი ქაშუეთის ტაძრის ეზოში შევიკრიბენით. ასეთი სადემონსტრაციო განწყობილება რომ დავინახე, ამხანაგებთან ერთად, ერევნის მოედანზე ქარვასლაში შევედი. მოვითხოვე სამი არშინი ყუმაში. ცარცით დავაწერე: „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს სოციალიზმს“, „გაუმარჯოს რვასაათიან სამუშაო დღეს“, და გავმართე წითელი დროშა. ჯერ კალთის ქვეშ ამოვიდე. როცა ხალხს დავეწიე, ამხანაგებთან ერთად ავწიე. მაგრამ დროშის ტარი მოკლე გამოდგა. მაშინ ორი ამხანაგის მხრებზე შევჯექი და ასე მივედი მეფისნაცვლის სასახლესთან. აქ შეჩერდა ეს მოზღვავებული ხალხი. მაშინ პირველად ჩემს სიცოცხლეში წარმოვთქვი სიტყვა. ჯერ ქართულად, მერე კი ჩემი დამტვრეული რუსულითაც.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, კამო! — ღიმილით ჩაურთო კობამ.

— შენ ნუ დაიჯერებ და ასე კი იყო!

— მერე იქიდან სად წახვედით? — შეეკითხნენ.

— გაზეთ „კავკაზის“ სტამბას მივადექით, რომ სამუშაოდან მოგვეხსნა მუშები. ისინიც შემოგვიერთდნენ. ნაძალადევისაკენ ვაპირებდით ხალხის წაყვანას.

— ბიჭოს! ბიჭოს! ეგ ხომ ნამდვილი ამბავი იქნებოდა! — შესძახეს.

— სწორედ ამ დროს გაჩნდნენ პოლიციელები. ჩვენ გარშემო დაიწყეს ტრიალი. — უბნის ზედამხედველი ხომ თავიდანვე მოჰყვებოდა დემონსტრაციას. ვერ შევამჩნიე, ისე უცბათ მომექცა ზურგში. მეცა პალტოში და მოინდომა ჩემი დაჭერა. მე ფეხი ვკარი. გულაღმა წავაქციე, მაგრამ მეც წავიქეცი. საიდგანღაც გაჩნდნენ ცხენოსანი კაზაკები. ამხანაგები გაიფანტნენ. მე და ზედამხედველი მიწაზე ვკოტრიალობდით. კაზაკებმა გვერდით ჩაირბინეს, მე კი თავი დავიძვრინე. ღობეს გადავევლე და...

— ბევრს ნუ კვეხულობ, კამო! — შენიშნა კობამ.

— ღობეზე რომ ვხტებოდი, ერთი კაზაკი წამომეწია, ხმალი უნდოდა დაეკრა, მაგრამ ხელზე მომხვდა. მსუბუქად გამკაწრა.

— ბიჭო და, მოქნეულმა ხმალმა მხოლოდ მსუბუქად გაგკაწრა? — არ ცხრებოდა კობა.

— როგორც იქნა, ვუშველე თავს! გავედი ქალაქის მეორე ნაწილში. ევროპული ტანისამოსის ნაცვლად, კინტოურში გამოვეწყე. სიმთვრალე მოვიგონე. გავწიე სალდათების ბაზრისაკენ. სარდაფში ჩავედი და ღვინო მოვითხოვე. ცოტა დავლიე, ქუჩაბანდებით ვიარე და აი, აქ მოვედი.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ აბა, ახლა მე პროკლამაციას დავწერ, შენ კი სტამბაში წაიღე, დააბეჭდვინე და გაავრცელე. — უთხრა კობამ.

კობას უყვარდა ამხანაგებთან გახუმრება, მაგრამ, ამავე დროს, არ ივიწყებდა მათს გამოყენებას და მიჩნეულ საქმეზე აგზავნიდა.

როცა კამომ პროკლამაცია წაიკითხა, იწყინა.

— დამიჯერე, რომ დემონსტრაციაში ხუთი ათასი კაცი მაინც იღებდა მონაწილეობას.

კობა არ უჯერებდა. ბოლოს პროკლამაციაში ღიმილით ჩაწერა: „რამდენიმე ასეული“...

კამომ დასტაცა ხელი პროკლამაციას და სტამბაში გაარბენინა.

• •
•

ცხრაასხუთი წლის რევოლუციამ კამო სავსებით შთანთქა. მის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. უფრო ცოცხალი, ნამდვილი, პასუხსაგები. საჭირო იყო იარაღი, ყუმბარები, შეიარაღებული აჯანყება და ისიც ემზადებოდა. ჯერ კიდევ ადრე რამდენიმე ბერდენა კამომ შემოინახა და თავის საწყობში გადამალა, შეისწავლა ყუმბარების კეთება და საქმეს მთელი თავდადებით მიეცა.

ერთხელ, ყუმბარის კეთების დროს, კაფსული გაუსკდა. თვალის ქუთუთო დაუზიანდა. ახლა ნაკვერცხალივით უღვიოდა თვალის ჩინი.

ამ ხანებში ნაძალადევში მუშებმა შეადგინეს რევოლუციის დამცველი რაზმი. ამ რაზმში შედიოდა კამოც.

ცხრაასხუთი წლის შვიდ დეკემბერს მოსკოვში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა.

მოსკოვის გაფიცვას გამოეხმაურა მთელი ამიერკავკასიის რკინიგზა. გაფიცვა მოედო საქართველოს ყველა წარმოებას. საგაფიცვო კომიტეტმა ხელში იგდო რკინიგზის სადგური, დეპო და სხვა. ნაძალადევში ყოველდღე ეწყობოდა მიტინგები, რომელთაც უამრავი ხალხი ესწრებოდა. მთელი დასავლეთი საქართველო რევოლუციონერების ხელში გადავიდა.

მაგრამ ამ დროს მოსკოვის აჯანყება არაადამიანური სისასტიკით ჩააქრეს. დაიწყო მკაცრი რეაქცია. თბილისიდან დასავლეთ საქართველოს ასაღებად გამოგზავნეს დამსჯელთა რაზმი ალიხანოვის მეთაურობით, რომელმაც ცეცხლითა და მახვილით გადათელა მთელი საქართველო...

თბილისში გამეფებულ რეაქციას არ შეუშინდნენ ნაძალადევის მუშები. თოფებით შეიარაღებულნი იცავდნენ თავიანთ უბანს. ეს მთავრობამ კარგად იცოდა. ამიტომაც ძლიერი იერიში მიიტანეს ამ უბანზე.

ნაძალადევში ხმა გავრცელდა: ამაღამ კაზაკები შემოგვერტყმიან, უნდათ რაზმელები განაიარაღონ და საწყობებიც ხელში ჩაიგდონო. მცხოვრებლებმა სინათლე ჩააქრეს. ქუჩებში მოძრაობა შეწყდა. ეზოების და სახლების კარებები ჩაიკეტა. მოსალოდნელი თავდასხმის წინ დუმილი გამეფდა. მხოლოდ მუშებისაგან შემდგარი რაზმელები არ ისვენებდნენ, არ უნდოდათ, კაზაკები ნაძალადევში შემოეშვათ. მთელი ღამე არ სძინებიათ, კუთხეებში ჩასაფრებულნი, თავდასხმას უცდიდნენ.

ორი ათეული რაზმელისაგან შემდგარი ჯგუფი (კამო, მ. კალაძე, გ. ელიავა, პ. ცინცაძე, მ. დვალი და სხვები) ნაძალადევის განაპირად გორაკის ძირში ჩასაფრდა, მთელი ღამე მტერს უცდიდა. თითქმის გათენდა კიდეც, მაგრამ მტერი არსად ჩანდა. ის იყო რაზმეულებმა დაშლა გადაწყვიტეს, რომ გორაზე გამოჩნდა გაფანტული წერტილები. რაზმელები დააკვირდნენ. „ბიჭებო, კაზაკები! აბა, ფრთხილად! მოემზადეთ!“ — „კამო აბა, შენ იცი!“ — „წყნარად! ჯერ დავაცადოთ! ვნახოთ საით წავლენ“... — ნიავივით წყნარად გადაუჩურჩულეს მათ ერთიმეორეს.

კაზაკები ცხენებიდან ჩამოხტნენ. დაწოლილ ცხენებს ამოეფარნენ. სროლა ატეხეს. ტყვიებს გაუდიოდა ზუზუნი, ყუმბარებს — გრიალი. „მედგრად, ბიჭებო! დასცხეთ!“ — გაისმოდა ჩასაფრებულ რაზმელთა შორის. მაგრამ, ეს რაა? ზურგიდან ვინღა ისვრის? შუაში მომწყვდეული რაზმელები დაიბნენ. შეკრთნენ. ორი მხრიდან უტევდა მტერი: წინიდან — კაზაკები, უკნიდან — სალდათები და დრაგუნები. „ბიჭო, კამო! ყუმბარები! ყუმბარები!!... ერთ მხარეს მივაყაროთ! წრიდან გავიდეთ!.. — მაგრამ, აღარ იყო ყუმბარები. მსუბუქად დაჭრილი კამო ბუჩქს ეფარებოდა. შემოსეული სალდათები და დრაგუნები ხმლებითა და კონდახებით შეცვივდნენ რაზმელების გუნდში. ხოცავდნენ დაჭრილებს, ჩხრეკდნენ და ძარცვავდნენ მოკლულებს, მისდევდნენ გაქცეულებს.

კამოსაც მიაგნეს, იმასაც კონდახებით დაუწყეს ცემა. მას კი წინდაწინვე ჰქონდა შედგენილი თავისი გადარჩენის გეგმა, — თვალთმაქცობით უნდოდა სიკვდილისგან ეხსნა სიცოცხლე. როგორც კი დაიჭირეს, იყვირა: „Я крестьян! бунт не знай“ თავი მოიკატუნა, ხელები მაღლა ასწია. კაზაკებს ეჭვი დაებადათ. ერთ კაზაკს შეებრალა კიდეც.

— იქნებ მართალს ამბობს?

— ჰოდა, თან წავიყვანოთ! იქ ვათქმევინებთ ყველაფერს!.. ასეც მოიქცნენ. მიიყვანეს ერთ ცარიელ სახლში და იატაკზე დააგდეს. კამო იხრავდა, თავში ხელს იცემდა— „ეს რა დამემართა! რა ღმერთი გამიწყრა, ამას რას მაბრალებენო“...

— არა! შენ ნამდვილად თვალთმაქცობ, შენც იმათთან იყავი, ბუნტოვჩიკი ხარო, — ეუბნებოდნენ კაზაკები.

— ღმერთმანი იმათთან არ ვყოფილვარ, სოფლიდან ამ დილას ჩამოვედი! გლეხი ვარ! მიშველეთ, ცოლ-შვილს ნუ დამიღუპავთ! — ეხვეწებოდა კამო...

— სიმართლე თქვი! თუ არ იტყვი, თოკზე ჩამოგკიდებთ!

საიდანღაც მართლაც მოიტანეს თოკი. გაბრუებული კამო კარგად ხედავს, როგორ გამოაბეს ჭერის კაუჭზე თოკი, მარყუჟი გაუკეთეს. სკამი დაუდგეს, კამო ზედ დააყენეს. თავი მარყუჟში გააყოფინეს. აქაც ხერხი იხმარა კამომ, — ნიკაპი ყელთან მიაბჯინა, ისე, რომ თოკი ნიკაპზე მიედო. როცა სკამი გამოაცალეს, ფეხების ბარტყუნი დაიწყო. კაზაკებს კი ეს ახალისებდა. იცინოდნენ, კამო მოელოდა, რომ თოკი გაწყდებოდა. სუნთქვა უჭირდა, სული ეხუთებოდა, მთელი სხეულით ირხეოდა.

— შეიძლება მართლაც გლეხია! — თქვა ერთმა კაზაკმა, როცა კამოს გადატრიალებული თვალები დაინახა. ისევ ჩამოხსნეს. იატაკზე დაგდებული კამო სულს იბრუნებდა. გადარჩა თუ კიდევ მოელის რამე? გულშეღონებული, სულგანაბული ეგდო, არ ინძრეოდა...

— თუ იმათთან არ იყო, მაშ რად იმალებოდა? — იკითხა ერთმა კაზაკმა. ნამდვილად იმათთან იყო!.. ეი! გესმის? — თქვი მართალი, იყავი იმათთან თუ არა? — ფეხი წაკრეს, გვერდზე გადააბრუნეს. .

— არაფერი არ ვიცი! გლეხი ვარ! ბუნტი არ ვიცი. დილას ჩამოვედი. — ლუღლუღებდა კამო. — ბუჩქში იმიტომ შევძვერი, შემეშინდა!

კიდევ რა მოელის კამოს?.. თავს დაანებებენ?

გაუშვებენ?... არ უნდა სიკვდილი კამოს! არ უნდა, რომ ციხეში წაიყვანონ. იქ თუ იცნეს და ბათუმიდან გამოქცევის ამბავიც გაიხსენეს, მაშინ... დაიღუპება კამო...

მალე მოვიდნენ პოლიციელები. კამო იმათ ჩაიბარეს. მეტეხის ციხეში წაიყვანეს.

• •
•

ცხრა მოკლული რაზმელი მიიტანეს იმავე ოთახში, სადაც კამო ჰყავდათ. უწესრიგოდ ერთმანეთზე მილაგებულ გვამთა ხროვას ამხანაგური, თავგანწირული გმირობა თავს დასტრიალებდა. თითქოს სიკვდილმა უფრო შეაკავშირა ისინი, თითქოს სიკვდილმა უფრო გააცხოველა მათი არსება, თითქო ახლა უფრო მეტყველებდნენ ისინი.

ამ სახლთან ნაშუადღევს უამრავი ხალხი მოგროვდა. ჯერ თითო-ოროლა მოდიოდა. მერე კი თანდათან იმატა მომსვლელთა რიცხვმა. უკვე აირია ერთმანეთში დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. დახოცილთა პატრონებს ნება მისცეს, გამოეცნოთ თავისი მახლობელი და თვითონვე დაესაფლავებინათ. მიდიოდნენ მნახველები, ნათესავები გლოვითა და მოთქმით შედიოდნენ ოთახში. ეძებდნენ თავიანთ მიცვალებულებს. იკაწრავდნენ სახეს, იგლეჯდნენ თმას.

ეზოში იდგა გლოვის ზარი.

კამოს დები — ჯავაირა და სანდუხტა მთელი დღე მოუსვენრად იყვნენ, არ იცოდნენ, რა დაემართა მათ ძმას. როცა ჯავაირამ გაიგო, დახოცილებთან მნახველებს უშვებენო, ისიც იქით გაიქცა. მირბოდა თმაგაწეწილი, თვალებგაშტერებული. — ეზოში შეგროვილი ხალხი დაინახა, კივილსა და წივილზე მიხვდა, აქ უნდა ყოფილიყვნენ დახოცილები.

— შვილებო, შვილებო! რა დღე დაგადგათ! ვაი თქვენი დედის ბრალი!.. ვაი თქვენი დების ბრალიცა! — მოესმა ჯავაირას. გაშმაგებით გაარღვია შეგროვილი ხალხი და შევარდა ოთახში.

— გაუშვით ეგ საცოდავი, ვერა ხედავთ, რა გამწარებულია? გაუშვით, გაუშვით! — იძახდნენ აქეთ-იქიდან.

აივნის კუთხეში ქალები ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— ვინ არიან დახოცილები, ქალო? ჯერ კიდევ ვერ გამოუცვნიათ?

— ზოგი იცნეს, ზოგიც ვერა.

— ჩვენებიანთ გიორგი ელიავა ყოფილა ერთი!..

— უი, უი, მისი დედის ბრალიცა!

— კიდევა?

— კიდევა, ილიკო ნინიძეი, პეტრე ციციშვილი და რა ვიცი, კიდე ვინა.

— უი, უი, ეგ საცოდავები, ეგენი!

ჯავაირა ოთახში რომ შევარდა, ხელნაკრავივით შედგა.

— ვის ეძებთ? — ჰკითხა ჯავაირას ერთმა თვალებგაწითლებულმა ახალგაზრდა გოგონამ, კედელთან რომ მიმდგარიყო და ქვითინებდა.

— კამოს! — უთხრა ჯავაირამ.

— აქ არ უნდა იყოს! მგონი დაჭრილი წაიყვანეს ციხეში. — მოესმა ჯავაირას.

ის მაინც იდგა და ჩამწკრივებული გვამებისათვის ვერ მოეცილებინა თვალი. კამო მათ შორის არ იყო. ნელა გამობრუნდა.

დიდხანს არ იცოდნენ, სად იყო კამო — მეტეხის ციხეში თუ საავადმყოფოში. იქნებ ციხეშია? გვარი გამოიცვალა, რომ ბათუმის ამბები არ გაახსენონ?

მეტეხის ციხის კედლებთან ხშირად დადიოდა მისი და სანდუხტა იმ იმედით, იქნებ როგორმე ძმის ამბავი გაიგოო. ერთხელ ჩარკინული ფანჯრიდან ვიღაცის ხმა შემოესმა: „ველოსიპედი სარდაფიდან ამოიტანეთ, ოთახში შეინახეთ!“

მიხვდა სანდუხტა — ხმაზე იცნო თავისი ძმა. მაშ, ციხეში ყოფილა, კარგად არის!

საფეთქლებმა გამალებით დაუწყო ცემა. უცებ მოსწყდა ადგილს. დალმართზე დაეშვა.

მალე სხვის სახელზე კამოს საცვლები და სანოვაგე გადაუგზავნეს.

• •
•

ნაცემ-ნაგვემი კამო ციხეში თავს იკატუნებდა, ლაპარაკი არ შემიძლიაო; თავისი ვინაობა რომ არ გაეცა, ხმას არ იღებდა. მაგრამ გონება გამალებით მუშაობდა, მუდამდღე იმას ფიქრობდა, ციხიდან როგორმე თავი დაეძვრინა.

კამოსთან ერთად ციხეში მოიყვანეს ვინმე შანშიაშვილი, რომელიც რაღაც უბრალო საქმისთვის იყო დაპატიმრებული. კამოს შემთხვევა მიეცა გამოლაპარაკებოდა. ისიც გაიგო, თუ რა ბრალდებოდა. საუბრიდან გამოირკვა, რომ ის კაცი გულით და სულით მომხრე იყო რევოლუციისა, მაგრამ არ იცოდა, სად და როგორ მიეღო მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში. ამასთანავე, მას გაგონილი ჰქონდა რევოლუციონერ კამოს სახელიც. მაშინ კამო შეეკითხა:

— შენ გინდა რევოლუციას რითიმე გამოადგე?

— მინდა! და მერე როგორ! მაგრამ რით! აბა საიდან! ყველას ხომ არ შეუძლია ეს!..

კამომ მას მხრებზე ხელი დაადო. თავისკენ მიიზიდა.

— შენ არასდროს არ გინახავს კამო? — შეეკითხა.

— ნაძალადევში ვნახე, ისიც შორიდან. საწყალი აკი მოკლეს კაზაკებმა!..

— მაშ იცი, რა გითხრა? კამო სულაც არ მოუკლავთ! ის ცოცხალია. აგერ დგას შენ წინაშე!..

— შენ ხარ კამო? როგორ, ის ხომ მოკლეს?!

— მომისმინე! შენი გვარი?

— შანშიაშვილი.

კამომ სწრაფად მოისაზრა, როგორ უნდა გამოეყენებინა შემთხვევა. — იცი, რა? შენ ნამდვილად გინდა გამოადგე რევოლუციას? — კიდევ ჩაეკითხა.

— აკი გითხარით! ძალიან მინდა-მეთქი!

— ჰოდა, შენ შეგიძლია ციხეშიც კი ემსახურო მას!

— როგორ?

— აი, როგორ! მე რომ ციხეში დავრჩე, უსათუოდ ჩამომახრჩობენ. მე მოვკალი ყუმბარით ერთი კაზაკი. წარსულში კიდევ ბევრი რამ მედება ბრალად. სიკვდილი არ ამცდება. მე ჯერ არავინ მიცნობს. არც შენ გიცნობენ. როცა შანშიაშვილის გვარს დაიძახებენ, შენ ყური მოიყრუე. მე წავალ შენ მაგიერ. ვეტყვი, შანშიაშვილი მე ვარ-მეთქი. როგორც შანშიაშვილს — გამათავისუფლებენ. შენ კი შემდეგში ადმინისტრაციას დაემუქრები, — რატომ ამღენხანს არ დამკითხავთ და არ გამათავისუფლებთ-თქო.

მალე გამოიძახეს შანშიაშვილი. მის ნაცვლად კანცელარიაში კამო გამოცხადდა. ალალმართალი კაცივით ეჭირა თავი. მეორე დღესვე გაიღო მეტეხის კარი და ისევ მიიხურა. შანშიაშვილი — კამო გაათავისუფლეს. კამომ ერთი კიდევ შეხედა მეტეხის კედლებს, გაიღიმა და ჩქარი ნაბიჯით მოსცილდა იქაურობას. კვლავ შეცურდა მისი ნავი რევოლუციის ზვირთებში...

• •
•

რეაქცია მძვინვარებდა, მაგრამ პარტია მაინც განაგრძობდა მუშაობას. დღეები და კვირეები ისე მისდევდნენ ერთმანეთს, როგორც ცის ტატნობზე შემოდგომის დამწუხრებული ღრუბლები. არ შეწყვეტილა პარტიზანული ბრძოლა. ჟანდარმები თარეშობდნენ. რევოლუციონერები მუშაობას განაგრძობდნენ. მთავრობა გზავნიდა დამსჯელ ექსპედიციებს, აწყობდნენ დარბევებს. საზღვარი არ ჰქონდა შავრაზმელთა თავგასულობას...

ბოლშევიკები რევოლუციას დამარცხებულად არ თვლიდნენ. არ წყვეტდნენ მუშაობას. შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად და ფარული ორგანიზაციების შესაქმნელად ემზადებოდნენ.

• •
•

ცხრაას ექვს წელს თბილისში შეიქმნა ბოლშევიკური მებრძოლი ჯგუფი, რომელშიც კამოც შედიოდა.

ამ ჯგუფის მიზანს შეადგენდა პარტიის მატერიალური მხარის გაუმჯობესება, გაზნეული იარაღის მოგროვება, იარაღის შეძენა, გაფანტული ამხანაგების მოგროვება, ზოგიერთი ამხანაგის ციხიდან განთავისუფლება და სხვ.

ამ ჯგუფის დავალებით კამო ხშირად დადიოდა ფინეთში და პეტერბურგში, სადაც იმ დროს მუშაობდა ტექნიკური საბრძოლო ბიუროს ერთერთი ხელმძღვანელი. ის ამზადებდა ახალი სახის ყუმბარებს, ლ. კრასინისა და პროფ. ტიხვინსკის გამოგონების მიხედვით. კამოც მათთან სწავლობდა ყუმბარების დამზადებასა და გამოყენებას. იგი მთელ საღამოებს ტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიაში ატარებდა. მისი მიზანი იყო, ისეთი ყუმბარა გაეკეთებინა, რომელიც ძალიან დიდ ხმას გამოსცემდა, დაშავებით კი მინიმალურად დააშავებდა. კამო ამ საქმეს დიდი გულმოდგინებით და გატაცებით ეძლეოდა. დამზადებული ყუმბარები ჩაჰქონდათ თბილისში და ისევ უკან ბრუნდებოდა.

იმხანად ფინეთში, კუოკალაში ცხოვრობდნენ ვ. ი. ლენინი და მისი მეუღლე კრუპსკაია. საქართველოდან კამო ისე არ დაბრუნდებოდა, რომ მათთვის რამე ძღვენი არ წაეღო. კამო გრძნობდა, როგორი სიყვარულით იღებდნენ მას და შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ ისინი არ ენახა.

ბებურიშვილი, რომელიც იმჟამად პეტერბურგში ცხოვრობდა, იგონებს: „შინ დაბრუნებისას ჩემს ოთახში დამხვდა სხვისი ჩემოდნები და პატარა ტიკჭორა ღვინო. მითხრეს: მოვიდა ვიღაც კავკასიელი, ესენი დატოვა და თქვა, — საღამოს შემოვივლიო. საღამოს ჩემთან შემოვიდა არა რომელიმე ნათესავი ან მოკეთე, როგორც მოველოდი, არამედ კამო, ძველებურად ცოცხალი და მქუხარე კამო, სწორედ ისეთი, როგორიც მინახავს ცხრაასხუთი წლის დეკემბერში. ის ფინეთში ვ. ი. ლენინთან წასასვლელად ემზადებოდა. ჩემს კითხვაზე, რატომ წამოიღე ტიკით ღვინო-მეთქი, მიპასუხა, — ლენინისთვის მომაქვს ძღვნად წითელი კახურიო... მაგრამ კამოს, ვიცოდი, ლენინთან უფრო ძვირფასი ძღვენიც მიჰქონდა, — კავკასიელი ამხანაგების ინფორმაცია!..

• •
•

პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სასადილო ძალიან მოხერხებულ ალაგად ითვლებოდა ამხანაგების კონსპირატულად შეხვედრებისათვის, რადგან სასადილოში ყოველდღე უამრავი ხალხი დადიოდა. მოსულ ამხანაგებს არავინ ყურადღებას არ აქცევდა. ეს კარგად იცოდა კამომაც.

ერთ დღეს, სადილობისას, დარბაზის კარი

შეაღო ერთმა ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწყობილმა კაცმა, რომელმაც მყისვე მიიპყრო მოსადილეთა და დამსწრეთა ყურადღება. მან მაგიდების რიგები გაიარა. ერთ ხელში ცხვირსახოცში გახვეული მრგვალი, მძიმე ბურთის მსგავსი რამ ეჭირა, მეორეში კი — ქაღალდში გახვეული კანაფით შეკრული ქილა. იგი მიემართებოდა ჩოხის კალთების რხევით, მაღალყულიანი მესტებით, დინჯი ნაბიჯით. არავინ ყურადღებას არ აქცევდა. პატარა მანძილი გაიარა, მოძებნა, ვინც უნდოდა და შედგა. ეს ნადეჟდა კონსტანტინოვნა კრუპსკაია იყო. მაგრამ ვინ იყო კავკასიურ ტანისამოსში გამოწყობილი მოხდენილი ვაჟკაცი, — არავინ იცოდა. გაფაციცებით უმზერდნენ მას და უკვირდათ, — რა უნდა ყოფილიყო ის ბურთივით მრგვალი, ხელსახოცში გახვეული ნივთი. იქნებ ეს ყუმბარაა, კავკასიიდან გამოგზავნილი? მაგრამ არა! მოსულმა ზრდილობიანად გახსნა ხელსახოცი და ყველამ დაინახა, რომ ეს იყო საზამთრო. ნადეჟდა კონსტანტინოვნამ ჯერ ვერ იცნო მომტანი, მერე კი შესძახა:

— აჰ! კამო, კამო! რისთვის სწუხდებოდი! საიდან? როგორ! თბილისიდან?

— ეს საზამთრო დეიდამ გამომატანა თქვენ და ილიჩთან. — უთხრა კამომ.

— ეს რაღაა? — თავმოკრულ ქილაზე უჩვენა.

— ეს კაკლის მურაბა დეიდამ გააკეთა თქვენთვის.

— ილიჩს მოეწონება!

— მეც ეგ მინდა! — გულკეთილად და ნაზად უპასუხა კამომ.

ნადეჟდა კონსტანტინოვნა აკვირდებოდა, ფიქრობდა, — „ეს უდრეკი ნებისყოფის, გამბედავი, აჯანყების მოთავე და კაჟივით მტკიცე ბოლშევიკი როგორ იყო, იმავე დროს, ასეთი ყურადღებიანი, თვინიერი, მორცხვი და გულუბრყვილო ამხანაგი?“

კამოს ძალიან უყვარდა ვ. ი. ლენინი, კრასინი და ბოგდანოვი. ხშირად დადიოდა კუოკალაში მათთან, როცა ისინი იქ ცხოვრობდნენ. ნადეჟდა კონსტანტინოვნას ბინაზე მაშინ იმყოფებოდა მისი დედაც, რომელსაც კამო ძალიან დაუმეგობრდა და, რომელსაც უყვებოდა კავკასიური ხალხის ზნე-ჩვეულებებს, იქაური ცხოვრების ამბებს. უამბობდა თავის დეიდაზე, დებზე და სხვა.

• •
•

გაცხარებულ რეაქციის დროს, ცხრაასექვს წელს, მეც დამატუსაღეს იმ სალდათებმა, რომელთაც იარაღი ავყარეთ ხარაგაულსა და ზესტაფონში. ისინი თურმე ბორჯომში იყვნენ კარვებში განლაგებული, მე იქ პარტიის დავალებით ჩაველი და არ ვიცოდი თუ შევხვდებოდი მათ. ერთ საღამოს ქუჩაზე მიმავალი, ორმა სალდათმა შემიცნო. მაგრად წამავლეს ხელი და თავიანთ შტაბში მიმიყვანეს.

— აი ეს არი, თქვენო აღმატებულებავ, ჩვენი კომანდირი დავიდოვი რომ მოჰკლა! — უთხრეს უფროს ოფიცერს.

— რაო? დავიდოვის მკვლელი? აა! ახლა კი ჩავარდნილხარ ჩვენ ხელში და გიჩვენებთ სეირს! — შესძახა უფროსმა.

— ეს იყო თქვენო აღმატებულებავ ჩვენი ვინტოვკა რომ ჩამოიკიდა. სისხლიანი ფული რომ დაგვირიგა! — უპატაკებდნენ სალდათები.

ოფიცრებს ძალიან გაეხარდათ ჩემი დაჭერა. მოიხმეს კაზაკები და უბრძანეს წავეყვანე ლიკანში, სადაც სალდათები საზაფხულო კარვებში იყვნენ დაბანაკებული. შუაღამე გადასული იყო, რომ შვიდი კაზაკი და სამი სალდათი გარს შემომერტყა. ქალაქგარეთ გამიყვანეს. წინასწარ ვგრძნობდი, რაც მომელოდა.

იმ ხანად წესათ იყო მიღებული პოლიტიკური ტუსაღი ცოცხალი არ მიეყვანათ ციხეში, არამედ გზაში მოეკლათ. ასე დაემართა წინა კვირაში ჩემ მეგობარ იცკა რიჟინაშვილს.

მივდიოდი, გარს კაზაკები მერტყნენ. გზაში ერთი ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი წამოგვეწია. თან წამოგვყვა. რაღაც იმედი მომეცა.

ერთ მხარეს მტკვარი იყო. მეორე მხარეს პატარა გორაკი. უცბათ კაზაკები გაიფანტნენ. გორაკებზე აცვივდნენ. მე კი მიმატოვეს. მივხვდი ვერაგობას. ოფიცერს, რომელიც ადგილიდან არ დაძრულა, გვერდში ამოვუდექი. კაზაკები დარბოდნენ. ერთმანეთს უძახდნენ „-ო“!.. თან ჩახმახს აჩხაკუნებდნენ. მაგრამ განზრახვა ვერ შეასრულეს. ოფიცრის გვერდით ვიდექი, არ გავქცეულვარ. ცოტა ხნის შემდეგ უკანვე დაბრუნდნენ. ოფიცერი შეეკითხა:

— რატომ აცვივდით გორაკზე?

— რაღაც ხმაურობა შემოგვესმა. ვიფიქრეთ: ეს არის ამის ამხანაგები დაგვესხნენ თავს და ხელიდან გაგვტაცებენ. მაგრამ არავინ აღმოჩნდა. — იცრუეს კაზაკებმა.

— მერე, როგორ შეიძლება ტუსაღის მიტოვება?...

ამაზე ვერაფერი უპასუხეს. გზა განვაგრძეთ. გადავრჩით. ოფიცერმა გადამარჩინა.

მიმიყვანეს კარავებთან, სადაც სალდათებს ეძინათ. ნამძინარევი სალდათები გამოცვივდნენ. ლანძღვა დაუწყეს კაზაკებს, — ცოცხალი რატომ მოიყვანეთო.

მთელი ღამე გვერდიდან არ მომცილებიან სალდათები. მოკვლას მიპირებდნენ. გათენდა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჯიბლაძე

★

# ხელოვნების შორეულ ძეგლებთან*

**ლა-მანში, 13 ოქტომბერი**

დილის 8 საათზე ავდექით, მაგრამ პარიზიდან გამოყოლილი დაღლილობა ახლაც მძიმედ მოქმედებს. ორივე მხარეს დელფინები გემს ეთამაშებიან თუ საშოვარზე მიიჩქარიან, ვერ გაიგებ. ყოველშემთხვევაში, ჩვენთვის ეს მშვენიერი გართობაა და თვალყურს ვადევნებთ მათ ვაჟკაცურ ნავარდს. დელფინების წყლიდან ამოხტომა სწრაფი და ფაფარაყრილი მერნის განავარდების მსგავსია.

...უკვე ლა-მანშიდან გავედით და ატლანტიკის ოკეანეში შევცურეთ. უნდა გავიაროთ ბისკაის ყურე, რომელიც თავისი მრისხანებით ყოველთვის აშინებს არა მარტო მგზავრებს; არამედ მეზღვაურებსაც. ჩვენს გემზედაც ცოტა როდია ისეთი ბისკაის რომ ეშინია: ამიტომ ბევრი გულისფანცქალით მოელის საღამოს 6 საათს, როცა გემი ბისკაის ყურეში შევა. თითქმის მთელი დღე, როგორც გვითხრეს, მეორე დღის 2 საათამდე სულ ბისკაის ყურის განკარგულებაში უნდა ვიყოთ. ჯერჯერობით ამინდის პროგნოზი საიმედოა. ასეთი ცნობა გადმოგვცა რადიოთი კაპიტანმა ბისმენნიმ და ყველა გაგვახარა.

დღის 3 საათზე ვსადილობთ. მარცხნივ ჩანს საფრანგეთის ნაპირები. შორს, სილუეტებივით, გამოჩნდა ბრეტანის კუნძულები.

ნაცვლად დილის 6 საათისა, ბისკაის ყურეში 5 საათსა და 40 წუთზე შევედით. ამინდი მართლაც კარგი და წყნარია. მარცხნივ 10 კილომეტრზე გამოჩნდა საფრანგეთის კუნძული და შუქურა უესანი. ბინოკლით ჩანს კუნძულის მაღალი ნაპირები, შუაში შუქურას თეთრი ტანი, რომელსაც მზის სხივები ანათებენ, და მის ირგვლივ სამი თეთრი შენობა. შემდეგ კიდევ დავინახეთ მეორე შუქურა, ისიც შენობებით იყო გარშემორტყმული. ეს იყო სულ, რაც აქ ვიხილეთ.

ვაკვირდებით ბისკაის ყურის წყალს და ისე შავი გვეჩვენება, როგორც მარგანეცში ამოვლებული მდინარე ყვირილის წყალი.

ღამის 1 საათზე გემბანზე ავედი. თბილისში ახლა 4 საათია. იქ ყველას სძინავს და, ჩვენს გემზეც მომსახურე პერსონალის გარდა, ყველა ღრმა ძილშია წასული.

მთელ ბისკაის ყურეს ნამგალა მთვარე დაჰქათქათებს. ლამაზია აქაურობა. ირგვლივ მხოლოდ ტალღების ტლაშუნი და ჩვენი გემის მოტორების მონოტონური გუგუნი ისმის.

სადღაც შორს რომელიღაც გემი მიიკვლევს საზღვაო გზას. უადამიანოდ მაინც ყველაფერი გარინდული და მკვდარი მეჩვენა. საოცარი სიმარტოვე ვიგრძენი. მხოლოდ სამყაროს უსასრულობა გაგრძნობინებდა თავის გამოუცნობ ძალას. ისევ ქვევით ჩავედი, წიგნს მივაშურე. ერთადერთი ახლა მხოლოდ ის იყო, ვისთანაც ადამიანურად საუბარი შემეძლო.

**ბისკაის ყურე, 14 ოქტომბერი**

დილის 7 საათზე მზე უკვე ამოწვერილი იყო. ბისკაის ყურე წუხელ გემს საგრძნობლად არყევდა. მაგრამ ეს რყევა მგზავრებმა მაინც აკვნის საამო რწევად მიიჩნიეს, ვინაიდან მთელი ღამე შტორმის მოლოდინში იყვნენ. განსაკუთრებით ნერვიულობდნენ ქალები, რომლებიც ზღვას თითქოს შეეჩვივნენ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ დაუმეგობრდნენ.

დღე მზიანი და წყნარია. 2 საათსა და 45 წუთზე სულ ახლოს ჩაგვიარა საბჭოთა ტანკერმა „იოსებ სტალინი“. გულმა სიხარულით იწყო ძგერა, თითქოს ტანკერის სახით ჩვენი სამშობლოს ნაპირი გვიახლოვდებოდა და იმედს გვაძლევდა. ორმა საბჭოთა გემმა აქ, უცხო წყალში, სამშობლოდან შორს მოხვედრილმა, ერთმანეთს სალამი მისცეს.

ყველა გემბანზე იყო და ტანკერს უყურებდა, ხოლო ტანკერის ეკიპაჟის წევრები ჩვენ გვათვალიერებდნენ.

სრული ნახევარი საათის შემდეგ ტანკერიდან რადიოგრამა მივიღეთ: ტანკერის ეკიპაჟი მხურვალედ მიესალმებოდა ჩვენს გემს, მის

* გაგრძელება, იხ. № 4, 5, 6, 7.

მგზავრებსა და ეკიპაჟს, უსურვებდა ბედნიერ მგზავრობას და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებას.

ამ დეპეშამ ყველა გაახარა.

ცხადია, ჩვენი გემიდანაც გაეგზავნა ტანკერლებს მისალმებისა და მშვიდობით მგზავრობის სურვილის გამომხატველი დეპეშა. მაგრამ ამ დროს ერთმანეთს ბინოკლითაც ველარ ვხედავდით. სულ სხვადასხვა გზით და სხვადასხვა მიმართულებით მივდიოდით.

შემდეგ კი მთელმა დღემ შედარებით უფერულად ჩაიარა. მართალია, ბისკაის ყურეში სიწყნარე იყო, მაგრამ ჰავა ისე უხეში და ველური გვეჩვენა, რომ გემბანზე გაჩერება ყველას უჭირდა. რა ვუყოთ, რომ მზე არც თუ უნიათოდ გვიცინოდა. მის ძალას მაინც ვერ ვგრძნობდით.

**ატლანტიკის ოკეანე, 15 ოქტომბერი**

დაგვათენდა ატლანტიკის ოკეანეში.

უკვე დილის 7 საათი და 30 წუთია. რადიომაც მუშაობა დაიწყო. გვაცნობა გემის ადგილსამყოფელი. ჩვენ ნაკლებად გვესმის კოორდინატების მნიშვნელობა, მაგრამ მაინც სიამოვნებით ვისმენთ. ჯერჯერობით დილა ღრუბლიანია. სამი დღეა ზღვაში ვართ და გემი კვლავ შეუჩერებლად მიაპობს ტალღებს.

დაახლოებით დღის 1 საათსა და 45 წუთზე გავიარეთ პორტუგალიის კუნძულები. არაფერი დაგვინახავს ნისლისა და ღრუბლების გამო. ცოტა ხნის შემდეგ მარცხნივ გამოჩნდა პორტუგალიის კონცხი, შემდეგ თეთრი სახლები, გორაკები, რომლებმაც საქართველოს მთები და გორაკები მომაგონეს. გვეუბნებიან, რომ ლისაბონს ვუახლოვდებითო, მაგრამ არაფერი ჩანს. სწორედ ამ დროს გადმოსცა რადიომ დავით გამრეკელის კონცერტი. სასიამოვნო იყო ატლანტიკის ოკეანეში მყოფთ მოგვესმინა ჩვენი მომღერლის მშვენიერი ხმა. გამრეკელმა შეასრულა ვარიაგი სტუმრის არია ოპერა „სადკო"-დან. შთაბეჭდილება ჩვეულებრივზე უფრო ძლიერი იყო.

თანდათან სულ ახლოს ვხედავთ პორტუგალიის ნაპირებს. გემზე ყველა თავისი საქმითაა გართული: ვინც არ მუშაობს, ის წერს ან კითხულობს, ან კიდევ ბინოკლით ათვალიერებს ოკეანის სივრცეს.

**ატლანტიკის ოკეანე, 16 ოქტომბერი**

მშვენიერი მზიანი დილა გათენდა.

დილის 8 საათია და გემზე უკვე დაიწყო სისხლჭარბი ცხოვრება.

მეოთხე დღეა შეუსვენებლად მიდის ჩვენი გემი და ებრძვის ოკეანის მღელვარე ტალღებს. დასასრული არა ჩანს. წინ კიდევ ოთხი დღის სავალია.

როცა მზიანი დღეა, მეტ ძალასა და სიხარულს გრძნობ. ღრუბლები ადამიანის სახესაც მოღრუბლულ გამომეტყველებას აძლევენ.

მარცხნივ გავიარეთ სანტა მარია. დილის 11 საათზე სულ ახლოს გამოჩნდა ესპანეთის ნაპირები, რომლებმაც მცხეთისა და ძეგვის, ქსნისა და კასპის მიდამოები მოგვაგონეს.

მარჯვნივ, სულ ახლოს, აფრიკის ნაპირებია. ჯერ მაროკოს, შემდეგ კი ტუნისის ნაპირებს ჩავუარეთ. გამოჩნდა ქალაქი ტანჟერი. გავივლით გიბრალტარს და გავალთ ხმელთაშუა ზღვაში.

დღის 12 საათზე ტემპერატურა პლუს 20 გრადუსია.

მარცხნივ გავიარეთ ესპანეთის ნაპირები. ჩანს ქალაქი და კონცხი ტარიფი. ზოგიერთმა ხუმრობა დაიწყო: ტარიფის დადება პირველად, ალბათ, ამ ქალაქში შემოიღესო. რამდენადაც შეიძლება გარედან შეაფასო, ტარიფი პატარა ქალაქი ყოფილა. იგი სულ ახლოს ჩანდა, ისე ახლოს, რომ ავტომანქანები და ადამიანებიც კი დავინახეთ. ვხედავდით გრძელ თეთრ სახლებს, ყაზარმებს, მარცხნივ შუქურას, მარჯვნივ კი მაღლობზე კოშკის ორ წვეტს.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდა ქალაქი გიბრალტარი მარცხნივ, ხოლო მარჯვნივ აფრიკის ქალაქი სეუტა. გიბრალტარი უკვე პირდაპირ ჩანს ზღვაში ჩასულ თუ ზღვიდან ამოსულ ქალაქად. გარეგნულად იგი ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენი გემის თვალთახედვის წერტილიდან. შემდეგ კი სურათი თანდათან შეიცვალა: გიბრალტარი გორაკს მარჯვნივ გაეკრა. ისე ახლოს მივედით, რომ ამწეების ღია ხახა გვიცქეროდა. ყველაფრიდან ჩანს, მთელი ეს მიდამო სამხედრო ბასტიონად არის გადაქცეული. სახლები დაბალი გვეჩვენება, უმეტესად თეთრად შეფეთქილი, თუმცა აქა-იქ შენიშნავთ რუხი ფერის სახლებსაც. შემდეგ კიდევ სულ ყაზარმების რიგი გამოჩნდა. დავინახეთ ქარხნები და ელევატორები, შუაში აღიმართა მაღალი გორაკი, რომელსაც სახლები მერცხლის ბუდეებივით

ჰქონდა მიკრული. მთელი გიბრალტარი სავსეა შუქურებითა და გემებით.

გემმა მიმართულება შეიცვალა და ჩვენ ისევ გიბრალტარს მივუბრუნდით. ნავსადგურში დგას ღია მწვანე ფერის დიდი სახაზო გემი. მთის მწვერვალზე მრავალი ზარბაზანია. ქალაქში სულ არა ჩანს მწვანე ნარგავები. ეტყობა ზარბაზნები და ვარდები ერთმანეთს ვერ ეწყობიან. მთის პირდაპირ ხედი თავდება და მის კლდოვან ჩახერგილ ნაპირს მივყვებით.

გამოჩნდა ქალაქის მეორე ნაწილი, რომელსაც აქამდე ეს მთა ფარავდა. მთელი ქალაქი ჰიაყელძსავით მიჰყვება წყლის ნაპირებს. ძალიან გრძელი ქალაქი ყოფილა, თითქოს მთასა და ზღვას მიჰკვრიაო. ქარხნების მილებიდან კვამლი ამოდის და ცაში სვეტებად იმართება.

მთის შუაგულში გამოჩნდა ვეებერთელა დაქანებული ველი, რომელიც ოქროსფერია და პურის ნათესს მოგაგონებს მოსავლის აღების შემდეგ. ისე დაქანებულია, რომ ადამიანი ფეხზე ვერ დადგება, აუცილებლად დაგორდება და ზღვაში ჩავარდება. ზოგიერთმა მგზავრმა თქვა, რომ ბეტონის ველიაო. სამხედრო აეროდრომი ხომ არ არის?

მაგრამ თვითმფრინავი აქ როგორ დაჯდება?

ვიღაცამ წამოიძახა: ეს იმიტომაა მოწყობილი, რომ წვიმის დროს წყალი დააგროვონო! მრავალი სხვა განმარტებაც მოვისმინეთ, მაგრამ ეს დღემდე უნახავი სანახაობა ჩვენთვის მაინც გამოუცნობი სფინქსი შეიქნა. ერთი რამ კი ნათელი იყო: ყოველი მეტრი აქ იარაღშია ჩასმული, რკინაბეტონით გამაგრებულია და გიბრალტარი სამხედრო ქალაქია.

დღეს 1 საათსა და 30 წუთზე გიბრალტარი ჯერ კიდევ არ გვქონდა გავლილი. თითქმის მთელი დღე მიდამოების დათვალიერებაში, სჯა-ბაასსა და მასლაათში გავატარეთ.

დღე იყო წყნარი, მზიანი და საამო. იგი შეცვალა ასევე მშვენიერმა საღამომ. ჩვენც არ დაგვიყოვნებია მისი გამოყენება. ვახშმის შემდეგ, საღამოს 11 საათზე, გემბანს მივაშურეთ დასაძინებლად.

ერთი საათის შემდეგ ისევ კაიუტაში ჩავედით, მივატოვეთ რა ხმელთაშუა ზღვის მთვარე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და გრილი ნიავი.

ღამის 1 საათზე ყველას მიეძინა. ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა. მონოტონურად ხმაურობდა მხოლოდ გემი და მისი ჩუმი ეკიპაჟი.

**ხმელთაშუა ზღვა, 17 ოქტომბერი**

დილით მშვიდი ზღვა ვიხილეთ. ამინდიც თბილი იყო — პლუს 20 გრადუსი.

გუშინ მგზავრები ნახევრადშიშველნი დადიოდნენ გემბანზე, რა იქნება დღეს, თუ დილის 8 საათზე უკვე 20 გრადუსი სითბოა.

საუზმის დროს, 9 საათზე, შეგვატყობინეს, რომ საღამოს იმართება ტრადიციული ბალ-მასკარადი, რომელიც დიდი ხანია მზადდება ჩვენს გემზე კულტურის შეფის, უთუოდ ნიჭიერი ევგენი გორსკის ხელმძღვანელობით. იგი მეტად მოქნილი და ელასტიური კაცია. ყველაფერს წვდება და ყველაფერი ენციკლოპედიურად იცის, გარდა ფილოსოფიისა. სამაგიეროდ, ცხოვრების პრაქტიკულ ფილოსოფიაში სოკრატეზე უკეთესად ერკვევა. პირადად მე შეჩვეული არა ვარ ბალ-მასკარადებს და ამიტომ ვამჯობინე ცალკე ვყოფილიყავი, რემბრანდტის ახლადშეძენილი რეპროდუქციების ახლოს.

გადმომცეს, რომ ბალ-მასკარადი ძალიან ცოცხლად, ხალისიანად და კარგად ჩატარებულა. მისი ქრიამულის ხმა ჩემს კაიუტამდეც აღწევდა, თუმცა არც ისე ახლოს იყო. გორსკის თავისი ტალანტი მთლიანად გადმოუშლია და თავდაუზოგავად უმუშავნია. მისი კალამბურები ყველას წვდებოდა, მხოლოდ ისინი გადაურჩნენ, ვინც არ ესწრებოდაო, მათ შორის მეც.

როცა გემბანზე ავედი, დავინახე, რომ ბალ-მასკარადის მონაწილენი ნასიამოვნები იშლებოდნენ, ხოლო გორსკი მოღლილ-მოქანცული, გაოფლიანებული და დაოთხებული მოღასლასებდა. მას მთელი თავისი ენერგია დაუხარჯავს. მიაგავდა შემოდგომით გაძარცულ ხეს, რომელსაც ფოთლები დაუყრია და ქარში მოძრავი მხოლოდ შიშველი ტოტები შერჩენია. სალამის მოცემაც აღარ შეეძლო. ვალმოხდილი დასაძინებლად მიდიოდა.

**ხმელთაშუა ზღვა, 18 ოქტომბერი**

დღეს პირველად ვიკითხეთ, თუ რა დღეა, ვინაიდან აქამდე მხოლოდ რიცხვებს მივყვებოდით და დღე არავის მოჰგონებია. გვითხრეს, ხუთშაბათიაო. თურმე რა აღვილად ავიწყდება ადამიანს დღეები, როცა ცხოვრების შუაგულში არ ტრიალებს. ასე ეძლევა დავიწყებას ყოველივე, თუ მეხსიერება ყოველდღე ცოდნის ქვით არ ილესება.

18 ოქტომბრის ხუთშაბათი ღრუბლიანი დილით შეგვხვდა. „პობედა“ კვლავ მედგრად მიაპობს ზღვას და იტალიის ნაპირებისაკენ, ნეაპოლისაკენ მიეშურება.

ახალი ამბავი შევიტყვეთ: დღეს, საღამოს, ჩვენი ჯგუფი ბანკეტს უმართავს კაპიტან ივანე მიხეილის-ძე ბისმენნის. გამოვყავით კომისია, რომელსაც მივანდეთ ბანკეტის მოწყობა და მისი ჩატარება. სუფრა უნდა იყოს ქართული პურმარილით გაწყობილი, სამზარეულო გვპირდება ყველაფერს გავაკეთებთ, ღომისა და საცივის გარდაო. შეფ-მზარეულს წარბიც არ შეუხრია, როცა მენიუ ჩამოვაწერინეთ. ყველაფერი ჰქონია, კუპატების ჩათვლით.

ღლის პირველი საათი მოახლოვდა. გამოჩნდა კუნძულ სარდინიის ნაპირები, მისი სამხრეთი ნაწილი. სახლებს ვერ ვხედავთ. აშკარად ეტყობა, რომ ხრიოკი, მწირი კუნძულია, თუმცა ისტორია ძალიან საინტერესო აქვს. იტალიას იგი მხოლოდ 1861 წლიდან ეკუთვნის. ამჟამად სარდინიაზე მოქმედი ვულკანები აღარ არის, რომლებიც მას ოდესღაც ჰქონია. მარჯვნივ გვერდს ვუვლით ალჟირსა და ტუნისს, 180 კილომეტრის მანძილიდან.

საღამოს 7 საათზე მთვარე ამოვიდა, „მთვარე დამწვართ იმედი“, და ყველაფერს ნათელი გადააფარა, მთელს ხმელთაშუა ზღვას გადაწვდა მისი ტანი. ირგვლივ ყველაფერი მშვენივრებად წარმოგვიდგა. მეტად ლამაზი სანახავი ყოფილა ხმელთაშუა ზღვა, როცა მას მთვარე დაჰქათქათებს და ზღვის ზედაპირს ვერცხლისებურად აჩენს.

გვეუბნებიან, ხვალ, საღამოს 6 საათის ნაცვლად, დილის 10 საათზე ნეაპოლში ვიქნებითო. ამან ყველა ძალიან გაახარა, თუმცა ჩვენს ბანკეტს სიხარული ვერ შემატა.

ბანკეტმა რატომღაც უღიმღამოდ ჩაიარა.

კაპიტანი ბესმენნი ყველას სამხიარულოდ იწვევდა, მაგრამ არ იქნა და არა — მაგიდაზე მხიარულება ვერ დამყარდა. ჩვენმა კარუზოებმა და შალიაპინებმა სიმღერებიც ვერ შეუწყვეს ერთმანეთს. სამაგიეროდ, მრავალი სადღეგრძელო დაიცალა. ბისმენნის, რომელიც ძალიან საყვარელი კაცია და ნამდვილად ღირსია ყველას უყვარდეს არა მარტო კარგი შესახედაობის, არამედ გულღია ხასიათის გამოც, ჩვენ ვუსურვეთ მომავალ წელს მისი მეთაურობით ვასკო დე გამას გზა გაგვევლო. მან ჩაიცინა და გვითხრა: დიდი დრო უნდა მსოფლიოს ირგვლივ გემით შემოვლასო.

ჩვენ ვეხუმრეთ: თქვენ ხომ ძველი ზღვის მგელი ხართ? ბისმენნიმ არ დააყოვნა და ხუმრობითვე გვიპასუხა:

— ზღვის მგელი კი ვარ, მაგრამ ვინ მოგახსენათ, რომ ძველი?

ესა თქვა და მანდილოსნებს ამაყად გადახედა.

ყველას მხიარულად გაგვეცინა ამ მოსწრებულ პასუხზე, განსაკუთრებით მანდილოსნებს.

ბანკეტი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. ღამის 12 საათზე დავიშალეთ, რომ ადრე დილით გვეხილა, თუ როგორ მიადგებოდა ჩვენი გემი ნეაპოლის ნავსადგურს.

**იტალიის ნაპირებთან, 19 ოქტომბერი**

უკვე იტალიის ნაპირებთან ვართ. დილის 8 საათზე მარჯვნივ ჩავუარეთ კუნძულ კაპრის, სადაც მაქსიმ გორკი ცხოვრობდა, ხოლო მარცხნივ პატარა კუნძულ ისკიას.

დილა ნისლიანია. ვუახლოვდებით ნეაპოლს ანუ „ახალქალაქს“ („ნეაპოლი“ ნიშნავს „ახალ ქალაქს“). იგი რომაელებს დაუარსებიათ და მისი ისტორია, მიუხედავად სახელწოდებისა, მეტად ძველი და მდიდარია.

ამჟამად ნეაპოლი იტალიის ერთერთი დიდი ნავსადგურია, ამავე დროს იტალიის მესამე ქალაქად იწოდება (რომი, მილანი, ნეაპოლი). გამახსენდა, რომ იტალიის ქალაქთაგან პირველად აქ ალიმაღლეს ხმა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. 1943 წელს სწორედ ნეაპოლში იფეთქა დიდმა აჯანყებამ ჰიტლერელების წინააღმდეგ.

9 საათსა და 30 წუთზე გემმა სვლა შეანელა, შემდეგ კი შეაჩერა იტალიელი ლოცმანის მისაღებად.

პორტში შესასვლელად ჩვენს გემს ბუქსირები მოაბეს. იტალიელი ლოცმანის კომანდით „პობედა“ ამაყად მიადგა ნისლში გახვეულ ნეაპოლის ნავსადგურს.

პორტი ლამაზი ჩანს. მარჯვნივ თეთრი დიდი სახლია და ჩვენი თეთრი გემიც მას უახლოვდება. სადგურის ზევით დიდი საათია.

როცა ჩვენი გემი ნავსადგურს მიადგა, გამახსენდა სტეფან ცვაიგის „ამოკი“, რომელიც 1912 წელს ნეაპოლის ნავსადგურში ღამე საოკეანო გემის მისვლის დროს უცნაური ამბით იწყება. ჩვენ კი დილით შემოვდივართ, 44 წლის შემდეგ და თვალწინ გვიდგას ნავსადგური, რომელიც პირველად ამ 28 წლის წინათ ცვაიგის რომანმა გაგვაცნო.

ჩემს ფანტაზიას მაშინ ნეაპოლის ნავსადგუ-

რი, ცვაიგის იმპრესიონისტული აღწერის წყალობით სრულიად სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი, უფრო ზღაპრულად და ბუნდოვნად. სინამდვილეში კი თურმე რა სავსებით ბუნებრივი ყოფილა. მაგრამ ამაზე ქვემოთ, ახლა უფრო სხვა საქმეები გვაქვს.

აი უკვე ნეაპოლის ნავსადგურში ვდგავართ. იტალიის პოლიციის წარმომადგენლები ამოვიდნენ პასპორტების შესამოწმებლად. ჩვენ კი გემიდან ვათვალიერებთ პორტის მოედანზე ჩამწკრივებულ ერთცხენიან ეტლებს, რომლებიც გაკრიალებული ავტომანქანების გვერდით ეგზოტიკურად გამოიყურებიან. ასეთი ეტლები გვაჩვენა უფრო ადრე იტალიურმა კინოსურათმა „დაბრუნდი სორენტოში“.

ჩვენს გემს პატარა მოტორიანი ნავი მოება. ნავში იყო საშუალო ხნის კაცი და 19—20 წლის ლამაზი, მაღალი, ენერგიული ყმაწვილი, რომელსაც მოტორიანი ნავი მოჰყავდა. ამ ბიჭის შეხედვამ მომაგონა დიუმას „გრაფი მონტე კრისტო“. ეს ყმაწვილი თავისი სახით, ტანითა და მოქმედებით ძალიან ჰგავდა ჩემს წარმოსახვაში შენახულ დიუმას გმირს — ედმონდ დანტესს, რომელიც მე ძალიან მიყვარს თავისი სპეტაკი, მებრძოლი ხასიათისა და, განვლილი განსაცდელის მიუხედავად, ადამიანური გრძნობების გამო.

ირგვლივ ხალხი ბლომადაა.

პორტის მოედანზე ერთცხენიანი ეტლები ეტყობა მგზავრებს ელოდებიან. მგზავრები კი არ ჩანან.

როდემდის გაგრძელდება ეს ლოდინი? ძნელია მიხვდეთ.

ვინ იცის, ამ მეეტლეთაგან რამდენს გაჭირვება აქვს და სულმოუთქმელად მოელის ორიოდე გროშს.

მაგრამ ამაზე ფიქრის დრო ახლა ჩვენ არა გვაქვს.

ვუყურებთ ძველსა და ახალ სახლებს. მარჯვნივ ჩანს მაღალი გორაკი, რომელსაც დიდი და პატარა შენობები ამშვენებენ.

პორტის საათი უკვე 10 საათსა და 45 წუთს უჩვენებს.

ჩვენს წინ, მეორე მისადგომთან, რომელიღაც სხვა სახელმწიფოს დიდი გემი დგას. მის პირდაპირ ვეებერთელა ძველი შენობაა, რომელსაც მემორიალური დაფა აკრავს წარწერით; ეტყობა, ისტორიული ძეგლია და იცავენ.

ნავსადგურში გაიარა მაღალმა ზანგმა, მხიარული სახით, თეთრი ხალათითა და ქუდით.

ვემზადებით ნავსადგურში გადასასვლელად. ყველაფერი მზად არის. ტურისტულმა ფირმამ „გრანდი ვიაჯიმ“, რომელმაც მომსახურება უნდა გაგვიწიოს, მშვენიერი სუვენირები დაგვირიგა რომის, ნეაპოლის, პომპეის, სორენტოს, კაპრის ღირსშესანიშნავ ადგილთა აღწერებითა და ილუსტრაციებით.

12 საათზე გავდივართ ნეაპოლის დასათვალიერებლად და პირველად ვადგამთ ფეხს იტალიის მიწას.

**ნეაპოლი, 19 ოქტომბერი**

გავიარეთ ნეაპოლის პორტის დიდი სადგური, შემდეგ ძალიან ფართო კიბეებით დავეშვით ძირს და გავედით მოედანზე, სადაც ერთცხენიანი ეტლების, ავტომანქანებისა და ხალხის წრეში ჩვენთვის გამზადებული ტურისტული ავტობუსები გველოდებოდნენ.

მოედანზე გვითხრეს, რომ ის დიდი შენობა, რომელსაც მემორიალური დაფა ჰქონდა მიკრული და გემბანიდანვე მიიქცია ჩვენი ყურადღება, მე-13 საუკუნის ციხე-სიმაგრე ყოფილა. იგი ფრანგებს აუგიათ. მეორე ციხე-სიმაგრეც ახლოს ყოფილა, თითქმის მოედნის ცენტრში, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს დაუნგრევია ჰაერიდან ბომბარდირებას. მისი ნანგრევები საცოდავად გამოიყურება და ისეა შეფუთული, როგორც ზამთარში ციტრუსების ნარგავი.

უკვე ნეაპოლის ქუჩებში გავედით. ყველგან ბიუსტებს ვხედავთ. ნეაპოლიტანური სიმღერების სამშობლოში სასიხარულო იყო გვეხილა ჯუზეპე გარიბალდის — იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ლეგენდარული მებრძოლის ძეგლიცა და ქუჩაც.

ჩვენ ჯერ ძველ ნეაპოლში ვართ, რომლის ქუჩები სავსეა შავტანსაცმელში გახვეული ბერებითა და მონაზვნებით. აქედან გავდივართ „ბირჟა-მოედანზე“, ვხედავთ ბერნეს მიერ გაკეთებულ მოზრდილ სკულპტურულ გამოსახულებას, მარცხნივ კი მკაცრი სტილით აგებულ ნეაპოლის უნივერსიტეტის შენობას. მის გაყოლებაზე ყვითელი შენობებია, რომლებიც ესპანელებს აუშენებიათ.

როცა კათედრალის ქუჩას მივადექით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ქუჩის სახელწოდების სრულიად საწინააღმდეგო სურათმა-გაჩაღებულმა ხელზე ვაჭრობამ. ეს ძველი ნეაპოლის ერთერთი უძველესი ქუჩაა, ვიწრო და გრძელი. შუასაუკუნეებში, როცა აქ ეკლესია და კათედრალი იყო, ქუჩას ამიტომ მიუღია ეს სახელწოდება. მეორე მსოფლიო ომის დროს დაბომბვის შედეგად ორივე დაზიანებულა — ქუჩაც და კათედრალიც.

მაღაზიები აქაც სავსეა საქონლით, მაგრამ მყიდველი არა ჩანს.

ქუჩის ორივე მხარეს ბერები და მონაზვნები მიმოდიან, ყმაწვილები და ბიჭები ქუჩაშივე ჭამენ ხილსა თუ ბუტერბროდებს. აქაც, ისე როგორც სხვაგან, მაღაზიები აჭრელებულია დღის ილუმინაციებითა და მყვირალა რეკლამებით, რომლებმაც მნახველს თვალი უნდა მოსჭრან, რომ მაღაზიაში შევიდეს.

ხელმარცხნივ დაგვანახეს ესპანელების მიერ მე-15 საუკუნეში აგებული ესპანური კარები. იქვე ახლოს გვიჩვენეს ახალი საავადმყოფოს შშენებლობა. ძველი საავადმყოფოც მის გვერდითაა.

მარჯვნივ გამოჩნდა დიდი წითელი შენობა, რომელიც ამჟამად ნაციონალურ მუზეუმს უკავია. ეს შენობა მე-16 საუკუნეში აუგიათ და გიდმა არ დააყოვნა ჩვენთვის ეთქვა ის, რაც ვიცოდით: ყველა წითელი შენობა, რომელსაც დაინახავთ, ესპანელების აშენებულიაო. წინათ ამ შენობაში უნივერსიტეტი ყოფილა მოთავსებული, შემდეგ კი ნაციონალური მუზეუმი მოუწყვიათ. ეს მუზეუმი პირველყოვლისა იმითაა საყურადღებო, რომ იქ თავმოყრილია პომპეისა და ჰერკულანუმის გათხრების დროს ნახული მატერიალური კულტურის ძეგლები. მუზეუმის ქანდაკებათა უმრავლესობა პომპეის ნანგრევებიდანაა წამოღებული და ახლა ამ მუზეუმს ამშვენებენ, როგორც წარსულის უტყვი, მაგრამ ორატორზე უკეთ მეტყველი ძეგლები.

პირველად დავინახეთ პომპეის მაგისტრატის ქანდაკება. ეს მაგისტრატი პომპეის უკანასკნელი მმართველი ყოფილა, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით 79 წლის 24 აგვისტოს, ვეზუვის ამოხეთქის დროს, თავის თანამემამულეებთან ერთად დაღუპულა. მისი სახე ზუსტად არის აღბეჭდილი ამ გამოსახულებით, ვინაიდან იმდროინდელი ბიუსტები და ქანდაკებები სავსებით სწორად გამოხატავდნენ ადამიანებს და ამ მხრივ ნამდვილი პორტრეტის როლს ასრულებდნენ.

ვინ იყო ეს მაგისტრატი?

შემორჩენილია მისი სახელიც — მარკო ოლკონო რუფო.

როგორც პომპეიში ნახულ ყველა ქანდაკებას, ისე რუფოს ქანდაკებასაც ტანის ნაწილი მომწვარი აქვს. ჰერკულანუმში ნახული ქანდაკებები მომწვარი არ არის, ვინაიდან უფრო განელებული მტვრით იყო დაფარული, ვიდრე პომპეი.

მეტად საინტერესოა რომაული ეპოქის სარკოფაგი, პატარა ქანდაკებებით შემკული. იქვე დგას ჰერკულანუმში ნახული მარმარილოს ქანდაკება, ჰერკულანუმელ მოქალაქეს ისე ზუსტად რომ გამოხატავს, როგორც მარკო ოლკონო რუფოს ქანდაკება.

გვიჩვენეს იმდროინდელი სია, მარმარილოს ქვაზე ამოჭრილი, იმ ადამიანებისა, რომლებიც ქალაქის მაგისტრატები იყვნენ. მშვენიერია მის გვერდით მდგარი ქალის ქანდაკება და ავგუსტუსის სკულპტურული გამოსახულება.

პომპეიში, ისევე როგორც ძველი დროის ყველა წარმართულ ქალაქში, ბევრი ტაძარი იყო. ამ ტაძრებს წარმართული ღმერთების პატივსაცემად აშენებდნენ. ამიტომ აქ თქვენ ნახავთ წარმართული ღმერთების მსახურთა მრავალ სკულპტურულ გამოსახულებას. ისინი ზუსტად გამოხატავენ ადამიანებს, წარმართულ ტაძრებში რელიგიურ წესებს რომ ხელმძღვანელობდნენ. გვიჩვენეს ერთერთი ასეთი წარმართი სასულიერო პირის კარგად შენახული ქანდაკება. იგი ანტიკური სკულპტურის უთუოდ მნიშვნელოვანი ძეგლია.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ჰერკულანუმში ოთხი ცხენის ქანდაკება იყო. ერთერთი მათგანი დროთა სვლას გადარჩენია და ახლა აქ, ამ მუზეუმშია წარმოდგენილი. იგი დამსხვრეული უპოვიათ, მისი ნაწილები შეუერთებიათ და ახლა ქანდაკება სრული სახით დგას ჩვენს წინაშე. ქანდაკება დიდია, თანაც ანტიკური სკულპტურისათვის დამახასიათებელი დინამიკურობით გამოირჩევა.

პომპეასა და ჰერკულანუმში იყვნენ წარმართი რელიგიური ქალები, რომლებსაც ვესტალები ეწოდებოდათ. მათ ჩირაღდნები ეპყრათ ხელში და ტაძრის წინ იდგნენ. ვესტალების ქანდაკებები, მეტად საინტერესონი, ცოცხლად აღადგენენ ანტიკურ ხანას მისთვის დამახასიათებელი რელიგიური რიტუალებით. მათ ახლოს დგას ავგუსტოსის თუ ტიბერიუსის ქანდაკება, რომელიც კაპრის კუნძულზე იდგა. ქანდაკება კარგად არის შენახული, თითქოს ახალი იყოს.

პომპეიში უპოვიათ და აქ მოუტანიათ იმპერატორ კალიგულას ქანდაკება. ეს ვამპირი ცხენზე ამაყად ზის და ასევე ამაყად, მზრძანებლურად გამოიყურება. ქანდაკება დიდია, თვით კალიგულას ზვიადობისა და ვერაგობის სავსებით შესაფერისი.

სრულიად სხვა სახით გამოიყურება ჩეჩილიო ეგუნდოს ბიუსტი. ეს კაცი ყოფილა პომპეელი ებრაელი, რომელსაც დიდძალი ქონება ჩაუგდია ხელში და ყველაზე მდიდარი გამხდარა. მას არც სიამაყე ემჩნევა და არც გულზვიადობა. მის სახეზე სიმშვიდესა და შემპარავ გამოხედვას ამოიკითხავთ. ალბათ ამით ახერხებდა იგი თავისი საქმეების მოგვარებას და კლიენტების ნდობის მოპოვებას. მის პატარა თავსა და ასევე პატარა თვალებს არაფერი განსაკუთრებული არა აქვთ. ეს პომპეელი დიდი ვაჭარი სწორედ იმ სახის ყოფილა, როგორსაც ქანდაკებაში ვხედავთ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სიცოცხლეში მის სახეს ფუფუნების მეტი არაფერი უნახავს, აქ კი

კრატერის წიწკლები აზის, როგორც პომპეიში გადარჩენილ ქანდაკებათა უმრავლესობას.

ძირითადად ამით მთავრდება რეალურ სახეთა სკულპტურული გამოსახულებანი და ვიწყებთ მითოლოგიური არსებების განყოფილების დათვალიერებას.

გვიჩვენებენ პერსეის ქანდაკებას. იგი ჩვენს ერამდე III საუკუნეს განეკუთვნება. ქანდაკება ბერძნული ანტიკის ყველა დამახასიათებელი ნიშნით იქცევს ყურადღებას და საინტერესოა, როგორც ამ ეპოქის ძეგლი. გაგვიკვირდა, რომ მითოლოგიურ სახეთა გალერეაში მოუთავსებიათ ქანდაკება, რომელიც დღემდე იწვევს დავას: ვინ არის გამოსახული — ახალგაზრდა ნერონი თუ ტიბერიუსი? ეს ქანდაკება პომპეიში უპოვნიათ და იგი მართლაც პომპეის ეპოქით თარიღდება, უფრო ახალი არ არის.

ჩვენს ერამდე III საუკუნეს განეკუთვნება პომპეური ქანდაკების შესანიშნავი ნიმუში — „მოცეკვავე სატირი“, რომლის რეპროდუქცია დღეს მთელს იტალიაში პომპეის ემბლემად არის მიჩნეული. როცა ჩვენ იგი ვნახეთ, საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ „მოცეკვავე სატირი“ ანტიკური ქანდაკების ერთერთი უბრწყინვალესი ნიმუშია.

სატირი შიშველი, ზეამართული ტანით დგას, ფეხის თითებზე დაყრდნობით, მარჯვენა ფეხი წინ გადაუდგამს, მარცხენა ხელი ზევით ირიბად აუწევია, მარჯვენა ხელი მოუხრია, მაგრამ მოძრაობის მხრივ სავსებით შეთანხმებულ ჰარმონიულ მდგომარეობას ქმნის, სახე მიუქცევია მარცხენა ხელისაკენ, რომელსაც თითქოს უყურებს თუ იჩრდილებს.

მთელი ეს გამოსახულება ზუსტად გადმოცემს სხეულის კუნთებისა და ორგანოების მონაწილეობას ცეკვაში, ანატომიური აგებულება პირდაპირ გაცოცხლებულია, და როცა თქვენ უცქერით, გგონიათ, რომ სადაცაა სატირმა ციბრუტივით ტრიალი უნდა დაიწყოს. ამიტომაა, რომ თვალს ვერ აშორებთ და მოელით იმ წუთს, როცა სატირი შეირხევა.

მოცეკვავე სატირის შემქმნელს აბსოლუტურად მიუღწევია ანტიკური ქანდაკებისათვის დამახასიათებელი პლასტიკურობის, ელასტიკურობისა და ჰარმონიულობისათვის. ამავე დროს მთელი გამოსახულება ჰაეროვანია, საოცრად მსუბუქი გეჩვენება, თითოეული ნაწილი დამუშავებულია ისე სრულყოფილად, როგორც ლაოკოონში, და მე გამიკვირდა, რომ „მოცეკვავე სატირის“ მარცხენა ხელი ზუსტად ისეთ მდგომარეობაში ვიხილე, როგორც ლაოკოონის მარჯვენა ხელი, რომლითაც იგი გველის ტანის გაწყვეტას ცდილობს. ეს ქანდაკება ისეთივე დიდი მოვლენაა, როგორც ლაოკოონი და ნიკეა, ყოველშემთხვევაში, ამ სამეულმა ყველაზე უკეთესად გამოხატა ანტიკური ქანდაკება.

ჩემთვის რომ ნება მოეცათ გამენაწილებია ადგილები ამ სამი ქანდაკებისათვის, ე. ი. ჩემთვის რომ პარისის როლი დაეკისრებიათ, მე ასე მოვიქცეოდი: პირველ ადგილს მივცემდი ლაოკოონს, მეორეს — ნიკეას, მესამეს — მოცეკვავე სატირს, და შენიშვნას გავუკეთებდი: ისინი ხელოვნებაში ძმები არიან.

ჩვენ ისევ ვაგრძელებთ პომპეიში ნახული ქანდაკებების დათვალიერებას. ზოგიერთი მათგანი დღემდე სადაოა, ვინაიდან გარკვეული არ არის, თუ რომელ მითოლოგიურ არსებას გამოხატავს. ასეთია თუნდაც ახალგაზრდა ყმაწვილის ქანდაკება, დიონისოს რომ უნდა განასახიერებდეს. სამაგიეროდ, ბევრია ქანდაკება, რომლებიც ნამდვილად გამოხატავენ დადგენილ მითოლოგიურ არსებებს, როგორც მაგალითად აპოლონის ტაძრიდან წამოღებული აპოლონის ქანდაკება. იგი უთუოდ მშვენიერია, ხელოვნების ერთერთი საუკეთესო ძეგლია, იმითაც შესანიშნავია, რომ მოქანდაკეს მისთვის განსაკუთრებით ლამაზი სახე მიუცია.

სრულიად ორიგინალური შთაბეჭდილება მოახდინეს შადრევანთა ქანდაკებებმა, რომლებიც ოდესღაც პომპეის ქუჩებს ამშვენებდნენ. დღეს კი ისინი ნეაპოლის ნაციონალურ მუზეუმში მოთავსებულან. ეს ქანდაკებები მნახველებს აძლევენ სრულ წარმოდგენას პომპეის ძველი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და გემოვნებაზე.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა პომპეიდან მოტანილი „გამარჯვება“, რომელიც ლუვრში ნახულ „ნიკეას“ წააგავს და გვაფიქრებინებს მათი შინაარსის იდენტურობას. პომპეის „ნიკეას“ მხოლოდ ცალი ხელი არა აქვს, ზომითაც უფრო პატარაა, უფრო დაუზიანებლადაა ჩვენამდე მოღწეული, მაშინ როცა ლუვრის „ნიკეა“, ანტიკური ქანდაკების ეს ერთერთი უდიდესი ძეგლი, ტრაგიკული დაზიანებითაა ჩვენამდე მოღწეული.

განმაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ახდენენ პომპეის სასახლეებიდან და მდიდართა სახლებიდან მოტანილი, ვეზუვის ცეცხლფრქვევას გადარჩენილი, პომპეური ფრესკები, რომლებიც აქ საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი. ეს ფრესკები უმთავრესად მარმარილოზე იყო მიხატული და ფერთა სიმრავლე, სახეთა გამჭვირვალობა, თითქოს სიახლეც კი დღემდე შემოუნახავთ. დამავიწყდა მეთქვა, რომ ზოგიერთი ფრესკა მარტო პირველი საუკუნისა კი არაა, არამედ, ბევრი მათგანი ჩვენს ერამდეა შესრულებული. პომპეის ტრაგედიას ისინი გადაურჩნენ რაღაც საოცარი ძალით, ისე რომ ზოგიერთი არც დაზიანებულა. ქანდაკებებიც ძველია, ერთი მათგანი ჩვენს ერამდე მე-6 საუკუნეს განეკუთვნება, როგორც მაგალითად აპოლონის ქანდაკება, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა.

ჩვენ დიდი სიხარული განვიცადეთ, როცა მივადექით ლიზიპის ცნობილ ქანდაკებას „ჰერმესი“ (მერკური). საქმე ისაა, რომ იგი ორიგინალია და გენიალური ბერძენი მოქანდაკის ოსტატობის ცოცხალი მოწმე.

ლიზიპი ჩვენს ერამდე მე-5 საუკუნის ხელოვანი იყო. ბევრი მისი ქანდაკება დროთა სვლაში დაიღუპა. „ჰერმესი“, რომელიც ლიზიპის ერთერთი საუკეთესო ნამუშევარია, ახლა ჩვენს წინაშე დგას და ვხედავთ.

შორეული წარსულის რეალურად ხილვის უჩვეულო გრძნობა გიპყრობთ, როცა ამ შესანიშნავ ძეგლს უყურებთ. მისი სიძველე და შემოქმედებითი სიდიადე ერთ სახეშია გასაგნებული, როგორც ჭეშმარიტად ხელოვნების მარადიული სინორჩის ცოცხალი მოწმე. მთელი ქანდაკება ღრმად გააზრებულია, ხოლო აზრი ოსტატურად არის გაშლილი მხატვრული ძერწვის რთულ კომპონენტთა გამოყენებით.

ვცადოთ მაინც მისი ზოგადი დახასიათება, ელემენტარული წარმოდგენა რომ მივიღოთ.

ქანდაკება მთლიანია, ყოველმხრივ დასრულებული, მითი შერწყმულია სინამდვილესთან, რაც მხატვრული სახის შინაარსს ცოცხლად ასაგნებს. მაგრამ თვით მითი ოლიმპის მწვერვალიდან თითქოს პრაქტიკულ სინამდვილეში ჩამოსულა მისთვის ხელის ჩამოსართმევად. ამაზე მეტყველებს ჰერმესის ღრმად ჩაფიქრებული სახე, მისი მდგომარეობა და ალჭურვილობაც.

ჰერმესს ფეხებზე პატარა ფრთები აქვს გამობმული, იგი კლდის თავზე ზის და ისვენებს. სახე ლამაზი აქვს, თმა — ხუჭუჭა და ისე დაყენებული, როგორც ანტიკურ ფრესკებსა და ქანდაკებებში გვინახავს, როცა ეს უკანასკნელნი VI-V საუკუნეების ბერძნებს გამოხატავენ. როგორც კი შეხედავთ, უნებლიეთ თქვენც ჩაფიქრდებით, ვინაიდან თვითონ ჰერმესი თითქოს რაღაცას ფიქრობს, ზევსის დავალების შესრულების წინ თუ შემდეგ. თავი ხელზე აქვს დაყრდნობილი, სხეულით წინ არის წამოწეული, სანდალჩაცმული ფეხები კი სრულ წარმოდგენას გაძლევენ, თუ რა სისწრაფით შეუძლიათ მათ გადააქროლონ ზევსის ყველაზე ერთგული მსახური და შვილი.

ლიზიპის ეს სახელგანთქმული ქანდაკება ჰერკულანუმში უნახავთ. აქედან ნეაპოლის ნაციონალურ მუზეუმში მოხვდა. შემდეგ ავადსახსენებელ გერინგს, რომელსაც კლეპტომანის უნარი არ აკლდა, იტალიაში მიუთვისებია ლიზიპის „ჰერმესი“ და თავის სახლში წაუღია. ომის დამთავრების შემდეგ იგი უნახავთ იმდროინდელი გერმანიის ამ ვაიმმართველის სახლში და ისევ იტალიისათვის დაუბრუნებიათ. კიდევ კარგი, რომ ეს გენიალური ქანდაკება თავისი არსებობის მანძილზე მეორე ქარიშხალსაც გადაურჩა. გვისურვებია მისთვის მშვიდობიანი ყოფნა მომავალში მაინც.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო პომპეიში ნახულმა ხუთი ქალის ქანდაკებამ. ისინი ჰგვანან ეგვიპტურ ქანდაკებებს და შესაძლოა პომპეიში ეგვიპტიდან მიიტანეს.

ჰერკულანუმში უპოვიათ მშვენიერი ქანდაკება „მთვრალი სატირი“, რომელიც სატირს ღვინის გუდით წარმოგვიდგენს. ქანდაკებას ძალიან ატყვია ვეზუვის მოქმედება, მაგრამ გამოსახულება მაინც კარგად არის ჩვენამდე მოღწეული.

ზუსტი პორტრეტი, რომელიც სციპიონს გამოხატავს, განსაკუთრებით საინტერესოა. უძლეველ ჰანიბალის დამამარცხებელი სციპიონი ბრინჯაოს ქანდაკებაშია გამოსახული და თვითდაჯერებული სახით გვიცქერის, მოჭიდავეთა ფიგურების ფონზე. აქაც მრავლადაა წარმოდგენილი საკმაოდ კარგად შემონახული პომპეური ფრესკები და ნილბები.

ჩვენს ერამდე მე-7 საუკუნეს განეკუთვნება ეგვიპტიდან მოტანილი ქალის ბიუსტი. იგი იმითაცაა შესანიშნავი, რომ ემალის თვალები აქვს. ძველი ეგვიპტელები ემალის უდიდესი ოსტატები იყვნენ და ეს ძეგლიც, ოცდაშვიდი საუკუნის წინათ შექმნილი, ერთხელ კიდევ გვიდასტურებს ამ დებულებას.

ნეაპოლის მუზეუმს ძალიან ბევრი აქვს რომის ქანდაკებები. აქვეა პაპის საჩუქრები ნეაპოლიტანიის მეფისადმი. პაპები საერთოდ დიდი მონდომებით ღებულობდნენ საჩუქრებს და თვითონაც უხვად ასაჩუქრებდნენ სხვებს — გარკვეული მიზნებით.

გვიჩვენეს კალიგულას მეორე ქანდაკება. კალიგულა მთელი ტანით ფეხზე დგას და ისეთივე ზვიადი სახით გვიცქერის, როგორც უფრო ადრე ნახული ქანდაკებიდან. მის ახლოს დაუდგამთ იმპერატორ ტიტუსის ქანდაკება, იმ ტიტუსისა, რომლის სასახლის სარდაფშიაც იპოვეს მე-16 საუკუნეში ლაოკოონის ქანდაკება. თვით ტიტუსის ეს გამოსახულება ნაპოვნია ჰერკულანუმის გათხრების დროს.

მშვენიერია გაიუს იულიუს კეისრის ბიუსტი. იგი პორტრეტული სისწორით გამოხატავს კეისარს. ბიუსტი ორიგინალია და უთუოდ რომელიღაც დიდი ოსტატის მიერ არის შესრულებული.

შევდივართ იმ დარბაზში, სადაც გამოფენილია ძველ ბერძენ მოღვაწეთა ბიუსტები.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ წვერავა

★

# სასტვენიაში

*
* *

სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილმა კაცმა აჩქარებული ნაბიჯით გაიარა ორღობე, ვიწრო ბილიკით გორაკისაკენ გაუხვია და იქვე ჭიშკართან შეჩერდა.

— მასპინძელო! — დაიძახა და ღიმილი გაუკრთა თვალებში.

— რომელი ხარ, შვილო! — ეზოში მოხუცი ქალი გამოვიდა და ჭიშკრისაკენ გასწია.

ლევან ლეშკაშელმა დედის ხმა იცნო, ჭიშკარი შეაღო, გაექანა და მოხუცს გადაეხვია. დედა-შვილი დიდხანს იდგა ასე.

— ლევანი მოსულა! — ხელად დაირხა ამბავი ქარჩხეთში.

— კარგი, თუ ქალი ხარ!

— დამანახეთ, სად არის?

— აბა მოულოდნელი სიხარული ამას ჰქვია! — გაიძახოდნენ ქარჩხელი ქალები და ლეშკაშელების ეზოსკენ მორბოდნენ. ახლადმოსულს გარს ეხვეოდნენ. ყოველ წუთს იღებოდა ჭიშკარი. სანამ დედა-შვილი ორიოდე სიტყვის თქმას მოასწრებდა, ეზო მეზობლებით გაივსო.

როცა სიხარულით თავბრუდახვეული დედა სახლის კიბეზე ჩამოჯდა, ყველა ლევანს მივარდა.

— ჩემი ბიჭი ხომ არსად გინახავს? — ეკითხებოდა ერთი.

— ჩემს ქმარს ხომ არსად შეხვედრიხარ? — ართმევდა სიტყვას მეორე.

ამასობაში ელისაბედსაც მოეკრიბა ღონე. კიბიდან ამდგარიყო, შვილისათვის ქამარში ჩაევლო ხელი, თითქოს ეშინოდა, არსად გამექცესო და სულ თვალებში მისჩერებოდა. ხანდახან ზურგზე, ნეკნებზე დაუსვამდა ხელებს, ხომ ყველაფერი თავის ადგილას აქვს, ტყვიას ხომ არ დაუკლია რამეო.

ლევანმა ცხვირსახოცი ამოიღო, ქუდი მოიხადა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

დედამ ყველაზე ადრე შენიშნა, შვილს შავი გრუზა ქოჩორი მთლად გათეთრებოდა.

— ვაი შენს დედას, ეს რა მოგსვლია, შვილო!

— დედილო, ეს არაფერი საწუხარია, — უთხრა ლევანმა.

— შინ ცოცხალი რომ მომიხვედი, შვილო, ახლა სიკვდილის აღარ მეშინია. ოღონდ, ოღონდ... მე უბედურმა სხვა რამე გავიფიქრე. თეთრი ქოჩორი-მეთქი...

ელისაბედმა ენაზე იკბინა, თუმცა თავი ვერ შეიკავა. გასათხოვარი ქალებისკენ მიიხედა.

— ჰო... ჰო... ჰოუ! ელისაბედო, ელისაბედო! ამაზე მეტი ბედნიერება რაღა გეწევა, ქალო! ლევანი მოგსვლია, ლევანი!

გაისმა მოხუცი კაცის ხმა.

— ეს, ბიძია ალმასხანი უნდა იყოს, არა?! — წამოიძახა ლევანმა.

— მე ვარ, ბიძიკო...

ალმასხან ქათამაძე ლეშკაშელების ალაგეზე გაჭირვებით გადმოვიდა და ლევანს მიუახლოვდა. მოხუცმა თავით ფეხებამდე შეათვალიერა შინმოსული ვაჟკაცი. მერე, როცა გადაკოცნა და ყველანი აივანზე დასხდნენ, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ახლა კი მჯერა ომის დამთავრება.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. სი-

ხარულს სათქმელი გაეწყვიტა ყველასთვის.

ამასობაში აივანზე მარიკა შემოპარულიყო. იგი ელისაბედს ზურგიდან მოექცა და მოულოდნელად გადაკოცნა. ლევანი წამოდგა. სახეშეფაკლულმა მარიკამ მას ხელი ჩამოართვა, გვერდით მიუჯდა მოხუც ქალს, რომელმაც დედური მზრუნველობით შეხედა ქალიშვილს თვალებში და შუბლზე ჩამოყრილი კულულები გადაუწია.

მხიარულ საუბარში ლევანი სულ მარიკას შესცქეროდა. ქალს თავი დაეხარა, იატაკს მისჩერებოდა. ელისაბედი დედის გუმანით გრძნობდა, რომ ქალვაჟის ფიქრები უხილავი ძაფებით იხლართებოდნენ, უკავშირდებოდნენ ერთი-მეორეს.

— მარიკა მყავდა, შვილო, იმედად, მომხმარედ შენს შინ არყოფნაში. დღე იყო და სამჯერ მაინც მომაკითხავდა. ამან გადამატანინა უშენობა.

მარიკა ომამდე ჯერ კიდევ პატარა და ცქრიალა გოგონა იყო. თუმცა თვალები ახლაც ძველებურად უციმციმებდნენ, ხმაც ძველებურად მომხიბლავი ჰქონდა, მაინც შენიშნავდით, რომ დიდ ომს მისთვის დაემჩნია მძიმე ფიქრისა და დარდის კვალი.

ლევან ლეშკაშელი ქალის ფარულ გამოხედვაში აშკარად კითხულობდა: ჩემს სადარდებელთა შორის შენ პირველი და ყველაზე მწვავე იყავიო.

— აბა, ქალებო, მნახველებო და წამსვლელ-მომსვლელებო, — წამოიძახა უეცრად ალმასხან ქათამაძემ. — დავიმალოთ, დავტოვოთ დედა-შვილი ერთად, თავიანთ ჰერქვეშ. მერე ლევანს მიმართა: — დაისვენე, შვილო, მიიხედმოიხედე შენს სახლ-კარში. საღამოს... გადმოევლე ღობეს, მოდი ბიძია ალმასხანთან. მე კი მანამდე მარანში წავალ.

— გაქვს რამე ჰურში, ბიძია ალმასხან?

— გლეხკაცს, შვილო, ღვინოს რა გამოულევს?! შენთვის სამჩაფიანს მოვხდი, გელოდები, იცოდე, — თქვა ალმასხანმა, ძირს ჩავიდა და გოგო-ბიჭებს შეუტია. — აბა, ვინც ზედმეტი ხართ, ახლავე ოთახი დაცალეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

როცა მეზობლები წავიდ-წამოვიდნენ, ლევანმა სახლსა და ეზოს შემოუარა, ხელით ეხებოდა კედელს, ღობეს, გულს უჩუყებდა მათი ნახვა, ესაუბრებოდა მათ, ეალერსებოდა.

ერთი კვირის შემდეგ დილით ადრე ადგა და დაბისაკენ გასწია.

ლევან ლეშკაშელის ომში წასვლამდე ერთი თვით ადრე რაიკომის მდივნად ვალიკო ბულაძე აირჩიეს. ახსოვდა ლევანს, როგორ მოსწონდა ვალიკოს მისი ნამუშევარი.

— ოოო! ომგადახდილს ვახლავარ, ომგადახდილს! — მიაძახა ვალიკომ, როგორც კი დაინახა ლეშკაშელი.

იმ დღეს ბულაძეს სხვა აღარავინ მიუღია. მთელი საღამო ლევანთან საუბარში გაატარა. დაწვრილებით აამბობინა, რაც მას და მთელ მის ნაწილს გადახდა. იცოდა, მტერს გამოდევნებული ნაწილი, რომელშიც ლეშკაშელი იყო, ბაქსანის ხეობიდან ბრანდერბურგის კარიბჭემდე მივიდა. ლეშკაშელი მხედრული სიზუსტით მოუთხრობდა ზოგიერთ ოპერაციაზე.

მდივანი დიდი გულმოდგინეობით უსმენდა. საუბარმა გვიანობამდე გასტანა.

— ახლა სად აპირებ მუშაობას, ლევან? — შეეკითხა მდივანი.

— სიმართლე გითხრა, დასვენებას ვაპირებდი. ოღონდ უსაქმოდ ყოფნა მეძნელება...

— სოფელში სამუშაოები ჩამოგვრჩა, ჩემო ლევან. — თუ კაცმა მუშაობა არ იცის, მასზე მინდობილი საქმის ოსტატი არაა, ბევრს ვერას მოსთხოვ.

— მაგას რად ამბობ!—გაიცინა ლევანმა.

— ქარჩხეთზე გეუბნები. ჩამოგვრჩა თქვენი სოფლის კოლმეურნეობა.

— ეგ ერთი შეხედვით ამჩნევია ქარჩხეთს, — ჩაურთო ლევანმა.

— აი, ეს არის მოხვედი შინ და უკვე შევამჩნევია, რომ ქარჩხელებს საამაყო არა აქვთ რა.

— ჰმ! — დაიქნია თავი ლევანმა.

— იცი რა, ჩემო ძმაო, — გააგრძელა სიტყვა მდივანმა, — რამდენადაც ქარჩხელებს ვიცნობ, და არც შენა ხარ ჩემთვის უცხო, ვფიქრობ, იქ თავმჯდომარედ ასარჩევი კაცი შენა ხარ. სამხედრო სამსახურში მიღებული გამოცდილებაც დაგეხმარება და...

— თავმჯდომარეობა, სწორედ გითხრა, არ მინდა, — იუარა ლევანმა.

— მიზეზი?

— რთული სამუშაოა. მაგას მირჩევნია, ჯერ რიგითი კოლმეურნედ ვიმუშაო. დავბრუნდი ჯარიდან, მაგრამ როგორ? კონტუზიის შედეგებს ჯერაც არ გაუვლია. ღამღამობით ძილი არა მაქვს. ამასთან თავმჯდომარე, ბიკენტი ბოგველაძე. ჩემი კარის მეზობელია. იტყვის, იმისათვის ხომ არ დაბრუნდა ეს ოჯახქორი, თავმჯდომარეობა ჩამოერთვაო.

— ეგ უკანასკნელი ანგარიშში ჩასაგდები არაა!

— გამიჭირდება კოლმეურნეობაში ხელმძღვანელი თანამდებობის შესრულება. არ მინდა ჩემს მეზობლებთან პირშავი გამოვდგე, — კვლავ ჩაილაპარაკა ლევანმა.

— აი, ეგ კარგი პასუხია, — უთხრა ბუღაძემ.

ლევანის უკანასკნელ სიტყვებში თანხმობის კილო გამოსჭვიოდა. მდივნისათვის სწორედ ეს იყო საჭირო. ლევანი გამბედავი იყო, პატიოსნება და შრომის უნარი არ აკლდა. კოლმეურნეობაში თავმჯდომარედ არჩევისათვის ეს თვისებები კმაროდა.

რაიკომიდან გამოსულმა ლევან ლეშკაშელმა პირდაპირ სახლს მიაშურა. მთელი კვირა, რაც ის უკვე შინ იყო, ხელი არ გაუჩერებია. სად ვენახი იყო საკეთებელი, სად ღობე. ახარებდა, რომ მისი დაბრუნებით აღფრთოვანებული დედა როგორღაც გაჭარმაგდა, გამხიარულდა. იმ კვირას წულუკიძეშიც წავიდა ბაზრობაზე, წვრილმანი რაღაცეები ეყიდა და, მათ შორის, ვარდისფერი აბრეშუმის საკაბეც.

— ყოჩაღ, დედა! — უთხრა შვილმა, — მალე შეიკერავ?

— რაღა დროს ჩემი ვარდისფერი კაბაა?!

— მაშ ვისთვის გიყიდია?

— იმისთვის, ვინაც ჩვენს კერას ჩემ შემდეგ არ გააციებს. — ლევანმა გადაიხარხარა.

— მე კი არ მეცინება.

— მაინც ვისთვის?

— შენც კარგად იცი.

ჩანდა, დედას მხედველობაში მარიკა ჰყავდა.

* *
*

კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

ქარჩხელები სამუშაოდ ვერ გავიდნენ. ძალაუნებურად ყველამ კოლმეურნეობის კანტორაში მოიყარა თავი. იქ საუბრით ერთობოდნენ და, როცა ბიკენტი ბოგველაძე გამოჩნდებოდა, საკოლმეურნეო სამუშაოებზედაც მსჯელობდნენ.

ერთხელ, ასეთ ამინდში ბიკენტიმ გადაწყვიტა შემთხვევით თავმოყრილ ხალხში კრება ჩაეტარებინა.

ლევან ლეშკაშელიც იქ იყო. ის იმ დილით ცხენისწყლისპირა მინდვრებიდან დაბრუნებულიყო და ასე ერთად შეყრილ მეზობლებს ომის ამბებს უყვებოდა.

ბიკენტი ბოგველაძე მოულოდნელად შემოვიდა. მიესალმა მათ და ყველანი თავის სამუშაო ოთახში შეიპატიჟა. თურმე ბრიგადირების გადასინჯვის საკითხი უნდა განეხილა და გამგეობის სხდომა გახსნა რიგითი წევრების თანდასწრებით. წამოდგა აგრონომი დიმიტრი მიქაძე და თავმჯდომარეს მიმართა:

— ბიკენტი, ლევან ლეშკაშელს რა ვუყუთ, ყველას გვახსოვს მისი მუშაობა და რიგით მუშაკად მისი დატოვება როგორღაც არ მომწონს.

— მაგაზე მეც ვიფიქრე, — გაღმეჭით თქვა ბოგველაძემ, — ოღონდ ისეთი ვერაფერი გამოვნახე და ჯერ ვარჩიე, ისევ რიგითს სამუშაოზე იყოს.

— მეც ასე მირჩევნია, — წამოიძახა ლევანმა.

— მაგას შენ აღარ გკითხავთ, ბიძიკო! — მიმართა მას ალმასხან ქათამაძემ. — ეს ჩვენი საქმეა ახლა, რასაც გააკეთებ. მოვინდომებთ რიგითს სამუშაოზე იქნები, მოვინდომებთ — სხვა საქმეს დაგავალებთ.

ბოგველაძეს სიტყვა ენის წვერზე შერჩა, როცა კოლმეურნეობის ერთობლივი ხმები გაიგონა: ლევანი ბრიგადირად დავნიშნოთ, ან ახალი ბრიგადა შევქმნათ, ან კიდევ ერთი ძველი ბრიგადირი გავათავისუფლოთ და მის მაგივრად დავაყენოთო.

— მე კიდევ გთხოვთ, რიგით წევრად დამტოვოთ, — შეეხვეწა ყველას ლევანი, მაგრამ მას აღარავინ უსმენდა.

— შენ უნდა გვიშველო, ლევან! — აქეზებდა მას დიმიტრი მიქაძე. — თორემ ჩამოვრჩით, ბიჭო. შარშანდელი ჩვენი მოწეული სარჩო სათქმელი არაა. გაიძახიან, ომმა მუშახელი მოგვაკლოო, იმას კი აღარ ანგარიშობენ, ამით მჭამელ კბილებს არაფერი მოჰკლებია.

დიმიტრი მიქაძე კოლმეურნეობის აგრონომი იყო. ის უკვე დიდი ხანია აქ მუშაობდა. ქარჩხეთში ჰქონდა სახლკარი და იქვე ჰყავდა ცოლ-შვილი. დიმიტრის პატიოსნება არ აკლდა. თვითონ გულმოდგინედ მუშაობდა. ყველას ძალიან უყვარდა სათნო ხასიათისათვის. აგრონომი ხედავდა, თუ როგორ მიდიოდა უკან-უკან კოლმეურნეობა უთაური თავმჯდომარის ხელში. გამოდავებას კი ვერ უბედავდა. ახლა ის დიდად კმაყოფილი იყო, რომ ლევანი ბრგადირად წამოაყენა. ლევანს დიდი ხნიდან იცნობდა. იმედი ჰქონდა, მის ბრიგადირად დანიშვნას კოლმეურნეობის საქმეების გამოკეთებაც მოჰყვებოდა.

ათიოდე წლის იყო ლევანი, რომ დაობლდა. დაქვრივებული დედა ზრდიდა მას. ბავშვი სკოლაშიაც დადიოდა და დედასაც ეხმარებოდა შინაურ საქმეებში. მეზობლებსაც უჭირდათ ცხოვრება, მაგრამ არ იშურებდნენ არაფერს, ეხმარებოდნენ მათ. ასეთ მეზობლებს შორის ალმასხანი პირველი იყო. ახლა მოხუცი შესცქეროდა ლევანს და აღტაცებით ამბობდა:

— შეხედეთ, შეხედეთ, როგორ დავაჟკაცებულა. ბეჭებს დახეთ, მკერდს შეხედეთ რამსიგანე აქვს, მაგრამ ფერი შეეცვალა, ფერი.

— ომი, ჩემო ალმასხან, კაცს კი არა, რკინას შეცვლის, — ჩაურთო სიტყვა ეგნატე მეშველიანმა.

ამ დროს აივანზე ბიკენტი ბოგველაძე გამოვიდა, მოხუცებმა საუბარი შეწყვიტეს. ბიკენტიმ ხელი მკლავზე გამოსდო ლევანს და ისევ კაბინეტში შეაბრუნა ბრიგადირი.

იქ მათ დახვდათ აგრონომი, რომელიც ჯერაც არ გამოსულიყო გარეთ, სულ ერთ ადგილას იჯდა და აგროტექნიკოს მარიკა კეთილაძეს ხმადაბლა ელაპარაკებოდა.

— აი, გაეცანით ჩვენს საქმეებს, — მიმართა ლევანს ბიკენტიმ. — გეგმები და ქაღალდები, ჩანაწერებით აქ არის...

* *
*

ჯერ კარგად არ იყო გათენებული, ახალი ბრიგადირი კოლმეურნეობის კანტორაში რომ მივიდა. რადგან სხვა არავინ მოსულიყო, დარაჯს — ლუკა შველიძეს გამოელაპარაკა. ლუკას მანამდე არ იცნობდა და არც ენახა. დარაჯს ცალი ფეხი არ ჰქონდა. ყავარჯენს ხმარობდა.

— ფეხი როგორ დაგიშავდა, ძმობილო? — შეეკითხა მოსული.

— ეჰ, ჩემი ამბავი ქვას აატირებს, — ხვნეშით თქვა ლუკამ. — მე ბიძია, აქაური ვარ. ხალხში გამოსვლის სურვილმა გამიტაცა. ჩვიდმეტი წლის ბიჭი რომ ვიყავი, დნეპროპეტროვსკში წავედი სამუშაოდ, კარგი ხელობაც ვისწავლე. შევირთე ცოლი, დავსახლდი. რაღა გითხრა, ჩემს ბედს ბევრი შენატროდა.

ომი დაიწყო. ერთადერთი ვაჟი ჯარში მყავდა. შინ მარტო მე და ჩემი მეუღლე ვიყავით. როგორც ხედავ, მე ფეხი დავკარგე, ცოლი კი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, დღემდე არ ვიცი. ძლივს მოვაღწიე აქამდე. სოფელმა და ბიძაშვილებმა კარგად მიმიღეს. მამისეულ ადგილზე სამოსახლო მომცეს, ქოხიც დამიდგეს და ვცხოვრობთ ასე. ერთი სიხარული ისღა მაქვს, რომ შვილმა მომნახა.

ლევან ლეშკაშელი თავჩაღუნული უსმენდა დარაჯის ლაპარაკს.

მალე მოხუცი სოფლის ამბავზე გადავიდა. თითქმის მთლად ჩამოუთვალა ახალ ბრიგადირს, ვინ როგორ მუშაობდა. საუბარი კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ საუბარში გართულებს თავმჯდომარე და მოანგარიშე თავს არ წამოდგომოდნენ.

— რა ადრე მოსულხარ, შე კაცო, დასვენება მაინც არ გინდოდა? — გამოეხმაურა ბიკენტი ლევანს.

— ამბობენ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. რაღა ადრეა! გაშუადღევდება, სადაც არის! — მიუგო ლევანმა. მერე თავის ბრიგადის წევრების სია მოითხოვა. ვინც უცნობებად მოეჩვენა, მათი სახელი და გვარი უბის წიგნაკში ჩაიწერა. შემდეგ ბიკენტის სთხოვა, ხვალ საერთო კრება მოვიწვიოთო, მანამდე კი გავიაროთ საყანეებზე.

თანხმობის ნიშნად თავმჯდომარემ თავი დაუქნია. გასწიეს. მათ აგრონომი, აგროტექნიკოსი და ბრიგადირები გაჰყვნენ უკან.

ლევანს ორლულიანი, სანადირო თოფიც წამოეღო. მიდიოდნენ ერთად მხიარული საუბრით. გზაზე წისქვილიდან მომავალ ალმასხანს შეხვდნენ.

ლევანი არავის არაფერს ეკითხებოდა. რასაც თვალით ხედავდა, გონებით ხვდებოდა. სახარბიელო სურათი არ იყო. კოლმეურნეობას თითქმის მთელი მიწები დაემუშავებინა, მაგრამ მოსავალი კი მცირე მიეღო.

— ერთი დავისვენოთ! — თქვა დიმიტრიმ.

— ჩავიმუხლოთ, თორემ ბიძია ალმასხანი დაგვეღალა! — დაეთანხმა ლევანი აგრონომს.

ყველანი ბორცვზე ჩამოსხდნენ. მათ წინ მდინარე ცხენისწყალი მიგრიალებდა, მდინარის გაღმა სამეგრელოს ველები და ტყეები ხელისგულივით ჩანდა.

უცებ სროლის ხმა მოისმა. ლევანი მყისვე წამოხტა. ზურგიდან თოფი გადმოიღო, წამოიჩოქა და ცაში მძიმედ აფარტაშებულ გარეულ ინდაურებს ზედიზედ ესროლა. ნანადირევის ასაღებად, გარდა ალმასხანისა, ყველა ერთად გაიქცა. ჯერ ადგილამდე ვერ მიეღწიათ, რომ მომიჯნავე ბორცვზე ორი მონადირე გამოჩნდა. ისინი თოფმომარჯვებული მორბოდნენ. ლევანმა მათ დაასწრო. ერთი ინდაური რომ მან აიყვანა ხელში, მეორეს მარიკა წვდა ფრთაში. მალე უცნობები მოვიდნენ. მათ ლევანი დაინახეს და შეჩერდნენ.

— მამა, ვერ იცანი ლევანი?! — მიმართა მარიკამ არისტარხოს. მან ხელი ჩამოართვა ლევანს, ხოლო მისი თანმხლები, ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირი კიკილია დარსაველიძეს ველარაფერი მოეხერხებინა და გაშტერებული იყო.

— კიკილია, ბიჭო, ომმა ვერ გიშველა, ვერ დაგავიწყა ლევანთან გულძვირობა?

— რას ბრძანებ, ბიძია ალმასხან! — შეცბუნდა კიკილია. რა ექნა, არ იცოდა, ეკოცნა თუ არა?

— ნანადირევში ხომ არ შემეცილებით, მგონი თქვენც ესროლეთ? — შეეკითხა ლევანი.

— დიახ, ვესროლეთ, დავაცდინეთ.

— არა, ეგებ ეჭვი გეპარებათ? — გაუღიმა კვლავ ლევანმა მონადირეებს.

— ლევანმა გაჯობათ! — გააქეზა ალმასხანმა.

— ლევანმა ერთი ინდაური ალმასხანს უთავაზა, მეორე მარიკას, მესამე ბიკენტის, მეოთხე კიკილიას და არისტარხოს გადასცა, აჰა, გაიყავითო. მათ დაირცხვინეს, უარი თქვეს ნანადირევის მიღებაზე, არც მოგვიკლავს, არც გვერგებაო.

ლევანი ნასიმინდარზე მიდიოდა. რამ-

დენ წვრილს და უხეირო ჩალის ძირს დაინახავდა, კიკილიას აბრაზებდა. ეუბნებოდა: ეგ უთუოდ შენი ბრიგადის ნამუშევარია. კიკილია რაღაცას ბუზღუნებდა თავისთვის, ხან უსიამოვნოდ ჩაიქნევდა ხელს.

სოფლის ახლოს, ერთ დიდ ნაკვეთთან შეჩერდნენ. ყველა გაოცდა: ნაყანებში სიმინდის ღერები ზოგან ორი-სამი ნაბიჯით იყო დაშორებული ერთმანეთისაგან, ზოგან კი სრულებით არაფერი ჩანდა.

— ასეთი ყანები თუ გქონდათ, კიდევაც ბევრი მოგიწევიათ! — გულნატკენად უთხრა ლევანმა აგრონომს და ალმასხანს მიუბრუნდა:

— გახსოვს, ბიძია, ამ მიწაზე რა კარგი სიმინდი მოდიოდა? მითხარით, რომელი ბრიგადისაა?

ალმასხანმა თავი დაიქნია, სხვებმა კიკილიასკენ მიიხედეს. კიკილია მაღლა იყურებოდა და თან უსტვენდა. არავის უთქვამს რამე.

ლევანმა ალმასხანი სახლამდე მიაცილა.

— ცოტა მუხლებმა მიღალატეს, წელში, თეძოს თავზე ქარი მწიწკნის, შვილო. ახლა სამუშაოზე ჩემი სიარული ძნელია. ეს ოხერი გული არ მიდგება შინ! — მისუსტებული ხმით თქვა ალმასხანმა და თითებით ქათქათა წვერებზე ხელები ჩამოისვა.

* *
*

ლევანს ღამით მშვიდად არ ეძინა, ბორგავდა, შფოთავდა. შეშინებული ელისაბედი ფხიზლობდა: შვილს არაფერი მოუვიდესო. როცა ლევანი ოდნავ წათვლემდა, დედა ფეხაკრეფით მიეპარებოდა, გადმოწეულ საბანს შეუსწორებდა, კალთებს შეუკეცავდა, სახეზე დახედავდა და ისევ თავის საწოლს მიუბრუნდებოდა, მაგრამ მოსვენება მაინც არ ჰქონდა. შეინძრეოდა თუ არა ვაჟკაცი, ელისაბედი ისევ ფეხზე იდგა.

ასე გადიოდა ღამეები.

იმ კვირაში კოლმეურნეთა საერთო კრება მოიწვიეს. სოფელში სამასამდე მუშახელი ითვლებოდა. კრებაზე მისი მეათედი მოსულიყო.

ბიბლიოთეკა

— დანარჩენები სად არიან? — იკითხა ლევანმა.

— კრების მოწვევა რომ აგრე ადვილი იყოს... — ჩაილაპარაკა მოანგარიშემ და თავმჯდომარეს რაღაც ქაღალდები გადაუდო.

— ესეც საკმაოა! — კმაყოფილი კაცის კილოთი წარმოთქვა ბიკენტიმ.

ლევანს არაფერი უთქვამს მისთვის.

— წადით, ვინც კი გვაკლია და მობრძანება არ იკადრა, აქ მოიყვანეთ! — დაავალა ლევანმა მერგოლეებს. ოცი კაცი წამოდგა. კარებს მიაწყდა, არიქა, რომელი უფრო მალე მოვიყვანთ ვისმესო.

მოხუცი ალმასხანიც წამოდგა.

— ბიძია ალმასხან, შენ აქ იჯექი!

ეს სიტყვა განსაკუთრებული სითბოთი უთხრა მოხუცს ლევანმა და სკამი გაუწოდა.

ბიკენტის ძალიან უნდოდა, თუნდაც ერთი წუთით გასცლოდა ლევანს, მაგრამ ვერ ახერხებდა, ლევანი ადგილიდან არ იძროდა, არც ამბობდა რამეს, მხოლოდ საათს დაჰყურებდა მალიმალ.

პირველი კიკილია მოვიდა.

— რატომ არ მოხვედი კრებაზე, კიკილია? — ჰკითხა მას ლევანმა.

— ბაზარში ვიყავი ჩექმის გასაწევად! — ცივად მიუგო კიკილიამ. ამ ოთხი წლის მანძილზე მას პირველად ესმოდა ასეთი მომთხოვნი კილო.

შემდეგ არისტარხო შემოვიდა.

— შენ სადღა იყავი?

— ნაცნობი მომიკვდა და მის გასვენებაზე წავედი.

— მიცვალებულების დასაფლავება ჩვენში დილიდან შემოიღეს თუ?..

— არა, მაგრამ... — აპილპილდა არისტარხო და, რომ რამე უხიაკი სიტყვა არ ეთქვა, აივანზე გავიდა.

— შენ, ეგნატე?

— მე, ქვე-შენი ჭირიმე, ვენახს ვბარავდი.

— შენ, კიწი?...

დარბაზში ხმაური ატყდა. ჩუმი ხითხითი გაისმა, ხმამაღლა კი ვერავინ ბედავდა გადახარხარებას.

— კოლმეურნეობა, — დაიწყო ლევანმა და კოპები შეიკრა, — გამვლელ-გამომვლელის სახლად გაგიხდიათ. ოჯახი, სახლი, ვენახი, და ჰა ყველას გვაქვს. თავის დროზე მკვდარიც ვიტიროთ, ბაზარშიც წავიდეთ და კიდეც ვიმღეროთ. ახლა თუ თავმჯდომარე დამეთანხმება, სჯობს შინ წავიდეთ. ხვალ ყველანი უკლებლივ სამუშაოზე გამოვცხადდეთ. მერგოლეურებო, ჩემთან დარჩით!

ყველამ თავმჯდომარეს შეხედა.

ბიკენტი კი გაოგნებული იდგა. ვინ არის ეს კაცი, მე რომ არაფერს მეკითხება.

* *
*

ლევანს მერგოლეურებიდან ბარნაბა კინწურაშვილი და ეგნატე მეშველიანი მოსწონდა. განსაკუთრებით ბარნაბას ენდობოდა იგი ლევანის სიყრმის მეგობარი იყო. სადაც ბარნაბა ეგულებოდა, იქ ლევანს არაფრის შიში არა ჰქონდა, საქმე უეჭველად გაკეთდებოდა.

ლევანი კარგად იცნობდა თავისი კოლმეურნეობის ყოველ წვრილმანს. დაარსდა თუ არა მის სოფელში კოლმეურნეობა, პირველ დღიდანვე იმ ბრიგადაში მოხვდა, რომელსაც საცდელი ნაკვეთები ებარა დასამუშავებლად. ამ ბრიგადას მაშინ ალმასხანი ხელმძღვანელობდა. ლევანი მან ღვიძლი შვილივით შეიგუა. ახალგაზრდა კაცი სულ საცდელ ნაკვეთებში ტრიალებდა. შრომა უყვარდა. ალმასხანი მას პატარა აგრონომს ეძახდა, ხოლო აგრონომ დიმიტრი მიქაძეს ის თავის თანაშემწედ მიაჩნდა და აგროტექნიკოსზე უფრო მეტად მას ენდობოდა.

ალმასხანს როგორც სიმინდის, ისე ვენახის, ჩაის, გერანის, რამის, თუთისა და ბოსტნეულისათვის ცალ-ცალკე ჰქონდა მოწყობილი საცდელი ნაკვეთები. ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას სიმინდს აქცევდა. ზუსტად ჰქონდა შემოწმებული, რომ ხელოვნური სასუქებით განოყიერებულ ნათესს როდი ჩამოუვარდებოდა მდინარის შლამით განოყიერებული მიწა. თვითეული სახის სასუქისათვის ცალკე ნაკვეთი გამოყო. განსაკუთრებით აინტერესებდა სასუქების ნაყოფიერების ხანგრძლიობა. ამ მხრივ მდინარის შლამი მიაჩნდა ყველაზე კარგ საშუალებად სიმინდის მოსავლის გადიდებისათვის. ამ საცდელ ნაკვეთებში ცოტათი ეხმარებოდა მჭედლის უმცროსი ბიჭი ბარნაბა.

ბარნაბა მამას სამჭედლოში შველოდა. ხან საბერველს ამუშავებდა, ხან გახურებული რკინის გამოკვერაში ხელს წამოკრავდა. ლევანი საცდელი ნაკვეთებისათვის სამუშაო იარაღებს ყოველთვის ოქრუას აკეთებინებდა. როცა მამას არ ეცალა, მაშინ ბარნაბა იყო მისი ოსტატი. მორჩებოდა თუ არა ბარნაბა თავის საქმეს, ლევანთან ჩაირბენდა. ახალგაზრდა მჭედელს ძალიან აინტერესებდა ის ცდები, რომელსაც მისი მეგობარი აწარმოებდა. ლევანიც ისე შეეჩვია ბარნაბასთან ყოფნას, რომ მის უნახავად ერთ დღესაც ვერ ძლებდა. როგორც კი მორჩებოდნენ საქმეს, ორივენი იქვე მდინარეში ჩაცვივდებოდნენ საბანაოდ. ოქრუა ბარნაბას უჩიოდა, სულ გამიტყიურდაო, ხოლო ლევანის დედას, ელისაბედს კი ხშირად ხუმრობით ეტყოდა:

— ერთი ბიჭი მყავს და ისიც შენი შვილე!

(გაგრძელება იქნება.)

# ვიხილავთ ახალ ნაწარმოებებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. აფხაიძე

★

## ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“

ქართულ მხატვრულ ლიტერატურას შეემატა ახალი ნაწარმოები — ლევან გოთუას ისტორიული რომანი „გმირთა ვარამი“. რომანი არ არის დასრულებული: იგი პირველსა და მეორე წიგნს შეიცავს. აქ მთავარი ადგილი დათმობილი აქვს კახეთის ისტორიულ ვითარებას XVI საუკუნის დასასრულსა და XVII საუკუნის დასაწყისში. მთავარი გმირია კახთბატონი ალექსანდრე მეფე. რომანში ფართოდ არის გაშუქებული ის საშინაო, სამხედრო თუ დიპლომატიური ხასიათის საქმიანობა, რომელსაც ეს მეფე კახეთის გადასარჩენად აწარმოებდა. ავტორი მოვლენათა განვითარების ცენტრში აყენებს ალექსანდრე მეფეს, როგორც თავისი დროის პროგრესულ მოღვაწეს, რომელშიც აისახა ხალხის ისტორიული როლი, მისი დაუცხრომელი ბრძოლა თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის.

ისტორიული რომანის ავტორი უმთავრესად თანამედროვეობის პოზიციებიდან გამოდის. ისტორიული რომანის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ლ. ფაიჰტვანგერი ამბობს: „მე არასდროს არ განმიზრახავს ისტორიის ასახვა მხოლოდ ისტორიისათვის“. თავის შემოქმედებაში მას აინტერესებს თანამედროვეობის მთავარი საკითხები და ძალები, რომლებიც იწვევენ ცვლილებებს სოციალურ ურთიერთობაში, აინტერესებს დადგენა იმ ობიექტური კანონზომიერებებისა, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას აპირობებენ. იდეათა ბრძოლას, სოციალური ძალების კონფლიქტს, რომელიც ასეთ მწვავე ხასიათს იღებს თანამედროვე საზოგადოებაში, იგი აშუქებს წარსულის მასალაზე და ცდილობს, ისტორიულ პროცესში დაინახოს განვითარების გარკვეული კანონზომიერება.

როცა გუსტავ ფლობერმა წარსულს მიმართა და თავისი შესანიშნავი „სალამბო“ შექმნა, მას იტაცებდა გარკვეული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური საკითხები, რომელთა გამართლებასაც შორეული წარსულის მასალით ცდილობდა. ასეც არ იყოს, ის წარსულისაკენ მიჰყავდა ბურჟუაზიული თანამედროვეობის სიძულვილს. ზნეობრივი ჰარმონიის დასაყრდენს იგი ისტორიაში ეძებდა.

რაღა შორს წავიდეთ, — ავიღოთ ჩვენი კლასიკური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. როცა ისინი წარსულს მიმართავდნენ, უეჭველია, მხედველობაში ჰქონდათ თანამედროვე საზოგადოება და ის როლი, რომელიც ეკისრებოდა მხატვრულ ლიტერატურას ამ საზოგადოების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ამიტომ იყო, რომ თავიანთი პოემების გმირებად მათ გამოჰყავდათ სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლები, რომლებიც მათი დროის საზოგადოებისათვის მისაბაძ მაგალითებად გამოდგებოდნენ, ამ საზოგადოებაში წმინდა პატრიოტულ გრძნობას აღძრავდნენ და განამტკიცებდნენ.

ისტორიულ მასალაზე აგებული ნაწარმოები იმდენად შეასრულებს თავის მხატვრულ დანიშნულებას, რამდენადაც ის ღრმად იჭრება ისტორიულ მოვლენებში და მათზე დაყრდნობით თანამედროვეობის სოციალურ, პოლიტიკურ, იდეურ, ეთიკისა თუ მორალის საკითხებს უპასუხებს. წარსულის თანამედროვეობასთან მოახლოების, დაკავშირების გარეშე ისტორიულ რომანს გაუჭირდება მკითხველთა გულში გზის მონახვა.

ამ მხრივ საინტერესო მხატვრულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ლევან გოთუას ახალი რომანი „გმირთა ვარამი“. ავტორი მოქმედების არედ იღებს ისეთ ხანას ჩვენი ხალხის ისტორიაში, როცა ბრძოლამ თავისუფლებისათვის მეტად დაძაბული ხასიათი მიიღო და ხალხს დასჭირდა დაერაზმა მთელი თავისი ფიზიკური და ზნეობრივი ძალები იმისათვის, რომ არსებობა შეენარჩუნებინა. ეს დრო, ამასთანავე, აღინიშნა ახალი გზების ძიებით ქვეყნის გადასარჩენად. რომანის მთავარი გმირი ალექსანდრე მეფე ამ გზის გამკვალავია და ამაში ავტორი სავსებით კანონზომიერ მოვლენას ხედავს. რომანის მთავარი იდეა — ხალხის გმირული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის — უშუალოდ მიმართულია კავშირისაკენ, რომელიც კახეთის მაშინდელ მმართველ წრეებს სურთ დაამყარონ ჩრდილოეთის მეზობლებთან—რუსებთან. ლევან გოთუას ყურადღებას იპყრობს ეს ეპოქა, რომელიც აღსავსეა შინაგანი დრამატიზმითა და ახალი პოლიტიკური ორიენტაციის ძიებით.

რომანში ალექსანდრე მეფე დახატულია როგორც შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწე, თავისი ქვეყნის უანგარო პატრიოტი, რომელ-

საც კარგად აქვს წარმოდგენილი, რომ საქართველოს ბედუკულმართობა დაკავშირებულია მის სამთავროებად დაქუცმაცებასთან, რომ მისი ხსნა შეიძლება ერთიანი, ცენტრალისტური ხელისუფლების შექმნით და სანდო მოკავშირის შეძენით იმ ბრძოლაში, რომელსაც ხალხი შეუნელებელი ენერგიით ეწეოდა მომხდური მტრების წინააღმდეგ.

რომანში არაფერია ნათქვამი დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ შექმნილი სიტუაციებიდან ჩანს, რომ იგი ოსმალეთის მოძალების მსხვერპლი გამხდარა. ოსმალეთი ქართლს უტევს, მას დაკავებული აქვს თბილისი და სხვა ციხეებშიც თავისი ჯარები ჰყავს ჩაყენებული; ქართლის რაინდი მეფე სვიმონ იძულებულია, ოსმალეთის წინააღმდეგ შეუწყვეტელი და თავდადებული პარტიზანული ომი აწარმოოს. ოსმალეთი კახეთის საზღვრებზეა მომდგარი: იგი ალექსანდრესაგან მოითხოვს ხარკს, მძევალს და გზას შამხალთან უშუალო კავშირის დაჭერის მიზნით.

სამხრეთიდან კახეთის საზღვრებთან დგას ირანი, რომელიც ოსმალეთთან ომის მდგომარეობაში იმყოფება და ამიტომ კახეთიდან მხარდაჭერას და აგრეთვე ხარკსა და მძევალს მოითხოვს.

ჩრდილოეთიდან კახეთს სისტემატურად თავს ესხმის და არბევს ლეკობა. მუდამ მშფოთვარე მტრულ ძალებს შორის მოქცეული კახეთი ალექსანდრე მეფის მეთაურობით გამოსავალს ეძებს, სახელმწიფოებრივი ხასიათის ღონისძიებებს მიმართავს.

რომანში ფართოდ არის ასახული კახთ-ბატონის ბრძოლა თავისი ქვეყნის თავისუფლების შენარჩუნებისათვის, ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც ალექსანდრეს რეფორმის დროს ჩაისახა და რომლებმაც შემდეგში სათანადო პირობების მომწიფებასთან ერთად ხორცი შეისხეს.

ალექსანდრე მეფე რომანში წარმოდგენილია ფართო პლანით: როგორც სახელმწიფო მოღვაწე და როგორც ოჯახის უფროსი — მოსიყვარულე ქმარი და მამა. მისთვის არაფერი ადამიანური არ არის უცხო: იგი მკაცრი და ეჭვით შეპყრობილი მეფეა, რომელიც მზადაა სასიკვდილოდ გაიმეტოს გამზრდელი ბერი ზოსიმე, საკუთარი ძმა ქაიხოსრო და ყველა, ვინც გაბედავს და მის განზრახვებს წინ აღუდგება. უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრეს სახე თანდათან ვითარდება, მოქმედების გაშლასთან ერთად მისი ხასიათი ახალ და ახალ თვისებას იძენს, თანდათან მდიდრდება და ღრმავდება. შემდეგში ალექსანდრე გვევლინება, როგორც დაბრძენებული სახელმწიფო მოამაგე და ჰუმანისტი, რომელიც ქვეშევრდომთა ყოფით არის დაინტერესებული. რომანის ნამდვილი ღირსება ის არის, რომ ამ მხატვრულ სახეებს ავტორი უკავშირებს ხალხის ბედს, მხატვრულ სახეებში განსახიერებულია ხალხის გმირული ბრძოლა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. რომანი „გმირთა ვარამი", რამდენადაც იგი განმათავისუფლებელი ტენდენციებითაა გაჟღენთილი და თავისი დროის მოწინავე იდეებს ამტკიცებს, ამ მხრივ მტკიცედ არის დაკავშირებული დღევანდელობასთან, საბჭოთა პატრიოტიზმთან.

რომანის მიხედვით, ალექსანდრე მეფე პროგრესული აზრების მატარებელია, მას გაუქმებული აქვს საერისთაოები, რომლებიც ფეოდალთა ძლიერების საფუძველს წარმოადგენდა და შემოღებული აქვს სამოურავოები. ამასთან, ფხიზელ თვალყურს ადევნებს მათს მოქმედებას, სჯის იმ მოურავებს, ვინც ხალხს ავიწროებს, ხალხში უკმაყოფილებას იწვევს და სახელმწიფოებრივ სისტემაში რღვევა შეაქვს.

რომანში ფართო ადგილი აქვს დათმობილი გამანადგურებელ თავდასხმებს, რომლებსაც აწყობდნენ მთის ხალხები კახეთის წინააღმდეგ და, აგრეთვე, იმ გმირულ ბრძოლებს, რომლებსაც კახელი გლეხობა მომხდურთ უპირისპირებდა. ამ ბრძოლების სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი რომანით არის გულადი მეომარი და გამჭრიახი სტრატეგი, მუდმივ ომებში გამობრძმედილი ალექსანდრე, რომელსაც შემოკრებილი ჰყავს გარშემო ისეთი გამოცდილი სარდლები, როგორათაც ავტორის მიერ გამოყვანილია დავით ჯანდიერი, შერმაზან ჩოლოყაშვილი და ხალხის სხვა ერთგული შვილები.

აღსანიშნავია, რომ ლევან გოთუა თავის რომანში მტკიცედ იცავს ხალხის მორალური ერთიანობის კონცეფციას, რაც აუცილებელი იყო მომძლავრებული მტრის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის. ფეოდალური სახელმწიფოს პირობებში განდიდების სურვილით შეპყრობილი ცალკეული ფეოდალები, უეჭველია, ყოველთვის არ იდგნენ პატრიოტული შეგნების მაღალ დონეზე და ქვეყნის დაცვის საქმიდან განზე იყვნენ გამდგარნი. ლევან გოთუას მხატვრული ყურადღების ცენტრში ეს ხალხი როდი დგას. ავტორი ჩვენი კლასიკოსების გზით მიდის და შორეული წარსულიდან სამოქმედო ასპარეზზე გამოჰყავს მაღალი ზნეობრივი ძალით და სამშობლოს უანგარო სიყვარულით შეიარაღებული ადამიანები, რომელთათვისაც თავისი ქვეყნის ინტერესები ყოველივე სხვა საზოგადოებრივ მისწრაფებებზე მაღლა იდგნენ. ავტორის ეს მხატვრული ტენდენცია რომანის შემეცნებითსა და აღმზრდელობითს მნიშვნელობას გაცილებით მაღლა სწევს.

მძიმე პირობებში ალექსანდრე მეფე ემყარება არა მხოლოდ სამხედრო ძალას (მან კარგად იცის, რომ ყოველი მხრიდან მოძალე-

ბულ მტრებს ეს ძალა წინ ვერ აღუდგება), არამედ თავის მოქნილ და რეალურ საფუძვლებზე დამყარებულ დიპლომატიას, რათა დრო მოიგოს და ჩრდილოელ მეზობელთან — რუსეთთან გააბას მეგობრული კავშირი, მფარველობა მიიღოს და მისი დახმარებით შეებრძოლოს შემოსეულ მტრებს. მთელ რომანს სწორედ ეს ტენდენცია (რუსეთთან კავშირის დაჭერისა) გასდევს თავიდან ბოლომდე. ალექსანდრეს პოლიტიკურ მოღვაწეობაში სხვა მხარეებთან ერთად განსაკუთრებით სწორედ ამ მომენტს უსვამს ხაზს ავტორი. აღსანიშნავია, რომ ავტორს ალექსანდრე მეფე გამოყვანილი ჰყავს, როგორც საკმაოდ რეალისტი მოღვაწე, რომელმაც კარგად იცის, რომ მოსკოვი ძლიერ დაშორებულია კახეთს, რომ იქიდან დამხმარე ძალის მიღებას დიდი დრო სჭირდება, რომ მოსკოვი არც აღმოუჩენს ამ დახმარებას, თუ ეს მის ინტერესებშიც არ შედის.

ამ შემთხვევაში ალექსანდრე უფრო შორს იხედება. მას სჯერა, რომ მომძლავრების გზაზე მდგარი რუსეთის პოლიტიკური ინტერესები მომავალში მაინც შემოიყვანს მას ამიერკავკასიაში და აქ გადაელობება ირან-თურქეთის დამპყრობელურ პოლიტიკას. ალექსანდრემ კარგად იცის, რომ საქართველოს მოუხდება დათმობაზე წასვლა, თავისი სუვერენული უფლებების შეკვეცა, მაგრამ სხვა გზა აღარ დარჩენია. ის ნაკლები ბოროტების გზას არჩევს. დარწმუნებულია, რომ ეს გზა ქართველ ხალხს ფიზიკურ არსებობას შეუნარჩუნებს, ეროვნულ კერას — ძალით მოგლეჯილ სამცხეს დაუბრუნებს და ამით დარღვეულ ეროვნულ ორგანიზმს გაამთელებს. ამ ერთადერთი სწორი პოლიტიკური ხაზით მიჰყავს ავტორს ალექსანდრე, და მთელი რომანიც ამ იდეით არის შეკრული.

ძნელია რომანის შინაარსის გადმოცემა, ვინაიდან იგი მეტად ფართო მოცულობისაა, მრავალხაზობრივად ვითარდება, მეტად დიდ ტილოზეა გაშლილი. მაგრამ ეს არცაა საჭირო. საქმე ისაა, რომ რომანში ასახულია არა მხოლოდ ალექსანდრეს სამეფო კარის, არამედ მთელი ხალხის ტრაგიზმით, სულიერი დაძაბულობით სავსე ცხოვრება.

შეიძლება ითქვას, რომ ეს რომანი თავისი მნიშვნელობით ხალხურია, რამდენადაც ავტორს აღწერილ და მხატვრული სახეებით გაცოცხლებულ ისტორიულ მოვლენებში, პირველ ყოვლისა, აინტერესებს ხალხის ბედი, მისი ნაციონალური ყოფა და მისწრაფებანი. რომანი ხალხურია, თუ ამ ცნებაში ჩვენ ვიგულისხმებთ განმათავისუფლებელ ტენდენციებს. რომანის ერთ-ერთ მთავარ გმირს წარმოადგენს ხალხი, გლეხობა — სისხლითა და ოფლით რომ წერს საკუთარ ისტორიას. საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად, ისტორიის შემომქმედად ავტორს გამოყვანილი ჰყავს ხალხი, რომლის პოლიტიკური და, საერთოდ, ჰუმანისტური იდეალების მატარებლად რომანში გამოყვანილია გლეხობის ისეთი კოლორიტული წარმომადგენლები, როგორიც არიან ოქრო-პაპა, მამუკა, ზაზა, შახუტი და სხვები.

ავტორი სწორ ისტორიულ და პოლიტიკურ ნიადაგზე დგას და ხალხს ხატავს, როგორც მშვიდობისმოყვარეს და მშრომელს, რომელიც შორს დგას ყოველგვარი აგრესიული ზრახვებისაგან. ამ მაღალი ზნეობრივი ძალითაა აღჭურვილი, კარგი მხატვრული ალღოთი და ფსიქოლოგიური სიღრმით დამუშავებული რომანის ზოგიერთი გმირი, რომლებიც მთიელ ხალხებს განასახიერებენ. ასეთია, თუნდაც, ლეკი ქალი ზუჰრა. ლეკები გაიტაცებენ გლეხ მამუკას. მისი ცოლი სათინო მეზობელ ქართველ ქალთან საბედოსთან ერთად არ დაერიდება არც გზის სიშორეს და არც საფრთხეს — გაბედულად გაემართება მიუვალ მთებში, სადაც გატაცებული ქმარი ეგულება. ეს უბრალო გლეხი ქალი საოცარ სულიერ სიმტკიცესა და სიფაქიზეს იჩენს, რათა ქმარი გამოისყიდოს. დიდი გაჭირვებისა და სიძნელეების გადალახვის შემდეგ იგი მიაღწევს ასლან მურზას კოშკს, სადაც მისი ქმარია გამომწყვდეული. ლეკი ქალი ზუჰრა იმდენს მოახერხებს, რომ სათინოსა და მამუკას ერთმანეთს შეახვედრებს. სათინო, ქართველი ქალების ეს ღირსეული წარმომადგენელი, რომლისთვისაც სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება გარდუვალ შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენს, გამოისყიდის ქმარს — მამუკას და მას სამშობლოს დაუბრუნებს. კიდევ მეტი: ის მორალის მაღალ საფეხურს აღწევს. ზაზასთვის წამოღებულ თათმანებს ზუჰრას შვილს (ლეკს) აჩუქებს და დალოცავს. ზუჰრა თავის მხრივ თავდასხმებში დაღუპულ თავის ქმარს დასტირის. რომანში საკმაოდ არის ჩართული მხატვრული გემოვნებით შესრულებული ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ხალხურ ჰუმანიზმს, ხალხთა მშვიდობისმოყვარეობას, ერთმანეთის პატივისცემას და მეგობრობას გამოხატავენ. ამ მხრივაც რომანი კარგად ეხმაურება დღევანდელობას და იგი ჩვენი საზოგადოებრიობის სულიერ განწყობილებას ემთხვევა.

ხალხთა ცხოვრების არსში მეტი ჩაწვდომით აქვს ასახული ავტორს ურთიერთობანი ქართველ და რუს ხალხებს შორის. უკანასკნელს რომანში წარმოადგენს არა იმდენად ბორის გოდუნოვის გარემოცვა, რამდენადაც მათე ნოგირინი — ეს უბრალო გლეხი, რომელიც ხალხური კეთილშობილებითა და რეალისტური პოლიტიკური ალღოთია აღჭურვილი. მათე ნოგირინი იშვილებს უპატრონოდ დარჩენილ ზაზას, რომელიც სულაყის ჭალებში ლეკების

მიერ მიტაცებულ მამას დასტიროდა. წყაროსთან კაზაკების რაზმმა შეისვენა. ლეკები განიზრახავენ ღამით ამ რაზმის გაძარცვას, მაგრამ იქვე ბუჩქებში მიმალული ზაზა გააღვიძებს ჰანაკს და გადაარჩენს მას. მათე ნოგირინი იშვილებს ზაზას და ჩინებულად აღზრდის მას. მათე ნოგირინის დამოკიდებულებაში ქართველ გლეხობასთან ავტორი გამოხატავს ორი ხალხის ბედს, მათს ურთიერთობას, რომელიც შემდეგში ისტორიული კანონზომიერებით მტკიცე კავშირში გადაიზრდება.

კახეთში შექმნილი მდგომარეობა ალექსანდრეს იძულებულს ხდის მიიღოს იმ დროისათვის მეტად გაბედული ღონისძიებანი: დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობანი მოსკოვთან (ბორის გოდუნოვთან), იქ ელჩიონის გაგზავნით, რომელსაც ნიადაგის მოსინჯვასა და სამხედრო იარაღის შესწავლას ავალებს. ალექსანდრეს გეგმა ირანის მოძალებას დაუპირისპიროს რუსეთის მფარველობა და თურქთა წინააღმდეგ ერთად დგომა. ვიდრე თერგზე ციხეს ააგებდა და რუსეთ-კახეთის გზა გაიკაფებოდა, ალექსანდრე თავის უმცროს შვილს კონსტანტინეს წარგზავნიდა ირანს და ამით შეაკავებდა შაჰ-აბასს. ასედაც იქცევა.

მეორე მხრივ, ალექსანდრე, რომელმაც იარაღით ვერაფერი გააწყო ქართლის შემოერთების საქმეში, გადაწყვეტს, ნათესაური კავშირი დაამყაროს ქართლის ფეოდალურ წრეებთან და შერთოს თავის შვილს დავითს აშოთან მუხრან ბატონის ქალიშვილი ქეთევანი (შემდეგში შაჰ-აბასის მიერ წამებული). ეს იყო პოლიტიკური მოსაზრებით ნაკარნახევი აქტი. ასეთივე პოლიტიკურ ხერხს მიმართავს ალექსანდრე მთის მმართველების ორი ძმის სურხაი შამხალის და ელიმ შამხალის შორის უთანხმოების ჩამოგდების მიზნით: ელიმ შამხალის ქალიშვილი უნდა შერთოს თავის უფროს შვილს ერეკლეს. ავტორი არ იშურებს მხატვრულ საღებავებს იმისათვის, რომ დახატოს სალიჰას ფიზიკური და სულიერი სილამაზის სურათი. ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია ყაფლან ვაჩნაძის, ერეკლეს მამის ნიკოლოზ ეპისკოპოსისა და თვით ერეკლეს მგზავრობა საიდუმლო ნიშნობაზე წახურის წმინდა გიორგის ხატთან, აგრეთვე, მიმზიდველი მხატვრული საღებავებით გადმოგვცემს მეგობრულ ტენდენციებს, რომლებიც არსებობდა დაღესტნელთა და ქართველ ხალხებს შორის, ტენდენციას, რომელსაც რელიგიური ფანატიზმიც ვერ აყენებს ჩრდილს.

ავტორს ცოცხლად აქვს აღწერილი ქართველებისა და ლეკების შეხვედრა საიდუმლო ნიშნობაზე და უბრალო მოვლენას როჭოს უეცარ გადაფრენას სიმბოლიური ხასიათი ეძლევა. ერეკლეს და სალიჰას შორის დამყარებული სულიერი კავშირი ტრაგიკულად დამთავრდება: თვითონ სახე სალიჰასი, რომელიც ერეკლესადმი სიყვარულის ბოლომდე ერთგული რჩება და თავისი ხასიათის იშვიათ თვისებებს ამჟღავნებს, ავტორს ისეთი თბილი და ლირიკული საღებავებით აქვს შესრულებული, რომ იგი (სახე) ღრმად იჭრება მკითხველის გულში და მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მის მეხსიერებაში.

ავტორი სრულიად არ დგას სოციალური მშვიდობის პოზიციაზე. რომანში იგი მთელ რიგ ეპიზოდებს უთმობს ფეოდალების მიერ გლეხების შევიწროების აღწერას. ალექსანდრე მეფის რეფორმამ, რომელმაც ერისთავობა მოშალა და მოურაობის სისტემა შემოიღო, მართალია, კახთ სამეფოს მეტი მტკიცე საფუძველი შეუქმნა, მაგრამ, ცხადია, სოციალური უსამართლობა ვერ მოსპო. ისტორიული შეზღუდულობის გამო ასეთი ამოცანა მას არც ეკისრებოდა. მოურავები ხშირად იყენებდნენ მინიჭებულ ძალა-უფლებას და გლეხობას ავიწროებდნენ ზედმეტი გადასახადების შეწერით თუ სხვა მკაცრი ღონისძიებების გატარებით. ასეთი უსამართლობის შედეგად ქედელებმა კოზმა მოურავი მოკლეს. ავტორს ვრცლად და მხატვრული დამაჯერებლობით აქვს აღდგენილი თავის რომანში ეს ეპიზოდი. საყურადღებოა ამ სოციალურ კონფლიქტში თვით ალექსანდრე მეფის პოზიცია. იგი გაიგებს თუ არა მოურავის მკვლელობას, გადაწყვეტს გლეხობის დასჯას; ამას უკარნახებს მას თავისი სოციალური ალღო. მაგრამ მოვლენათა ზეგავლენით მეფე უარს იტყვის გადაწყვეტილებაზე და თვითონ იკისრებს საქმის გამოძიებას. საქმეში პირადად ჩარევას ურჩევს რომანის ერთ-ერთი მკაფიოდ დახატული გმირი — ბახუტა, რომელიც მეფეს გლეხობის სიბრძნის, ვაჟკაცობის და ქედუხრელობის გამომხატველ ოქრო-პაპასთან მიიყვანს. ოქრო-პაპა რომანის ერთ-ერთი ძლიერი სახეა, მასში განსახიერებულია ქართველი გლეხობის ზნეობრივი უმწიკვლობა და ჭეშმარიტი ხალხური პატრიოტიზმი, დიდი სულიერი სიმდიდრე. საყურადღებოა ოქრო-პაპას პასუხი მეფის კითხვაზე თუ ვინ მოკლა მოურავი. „მოურავი მოკლა სოფლის თოფმა“. ამ სიტყვებით გამოხატავს ავტორი კოლექტივის დიდ ძალას, ხალხის, ამ შემთხვევაში გლეხობის მორალურ ერთიანობას და შეურიგებლობას სოციალურ უსამართლობისადმი.

ალექსანდრე მეფის მოქნილი პოლიტიკური ალღო კიდევ უფრო მკვეთრად მჟღავნდება უძლიერეს და გავლენიან ფეოდალთან — ნუგზარ ერისთავთან — დამოკიდებულებაში. მეფე გუმანით მიხვდება, რომ მოურავის მკვლელობა ნუგზარის მიერ არის მოწყობილი. ნუგზარის მიზანი ამ შემთხვევაში გარკვეულია: უნდა

გლეხობა მეფეს გადაკიდოს, ამით ისარგებლოს და თავის სამფლობელო გააფართოოს ხევისა და დარიალის გზის ხელში ჩაგდებით. ალექსანდრე მეფე გაათავისუფლებს ოქრო-პაპას და მას ბახუტასთან ერთად გაგზავნის შიოლა ხევისბერთან, წამალსა და იარაღს გაატანს და ნუგზარის წინააღმდეგ რაზმავს თავისუფლებისმოყვარე ხევს. წინასწარი მიღებული ღონისძიებების, ოქრო-პაპასა და ბახუტა ფინჰარაულის გამჭრიახობის შედეგად ნუგზარის განზრახვა მარცხით დამთავრდება. საყურადღებოა, რომ ალექსანდრე მეფე განდგომილ ფეოდალთან ბრძოლაში უმთავრესად ემყარება გლეხობას — მის საუკეთესო წარმომადგენლებს ოქრო-პაპასა და ბახუტას. ამით ავტორს სურს, ხაზი გაუსვას ალექსანდრე მეფის როლის მნიშვნელობას ხალხის ფართო ფენების შემომტკიცების საქმეში და მის პროგრესულ ზრახვებს დიდ პატრიოტულ გზნებასთან ერთად. მისი ღრმა პატრიოტიზმი, შეუნელებელი ზრუნვა თავის სამეფოს კეთილდღეობისათვის მჟღავნდება არა მხოლოდ მუდმივ ბრძოლებში შემოსეულ მტრებთან, არამედ აგრეთვე მის დიპლომატიურ საქმიანობაში. მისი ინიციატივით გრემი ამ დიპლომატიური საქმიანობის ცენტრად იქცევა. აქ თავს იყრიან, ერთი მხრივ, ირანისა და ოსმალეთის, და, მეორე მხრივ, რუსეთის ელჩები. პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში ავტორი არ მიდის იოლი გზით: ის თავის რომანში ფართო ადგილს უთმობს იმ წინააღმდეგობათა გახსნას და გაშუქებას, რომლებიც ამ საკითხში დიდებულთა შორის არსებობდა. ამ მხრივ ავტორი სავსებით რეალურ კონკრეტულ ისტორიულ ნიადაგზე დგას. საინტერესოდ აქვს მას გადმოცემული, მაგალითად, დიალოგი ფართოდ განსწავლულ ზოსიმესა და ალექსანდრეს შორის. ზოსიმეს აზრით, ოსმალეთი დიდია, მაგრამ შემოქმედებითი ენერგია აკლია. ირანი თუმცა გაბზარულია, მაგრამ მასში კიდევ მნიშვნელოვანია შემოქმედებითი საწყისი. რუსეთი ძლიერიცაა და სახელმწიფოებრივ ფართო მნიშვნელობის გზაზეა დამდგარი, მაგრამ შორსაა, ახალი რომი მაინც არაა. რუსეთის სამყარო უცხოდ, ხოლო თურქეთი მას უფრო ახლობლად ესახება. ჯანსაღად და სახელმწიფოებრივად აზროვნებს ალექსანდრე. საქართველო საკუთარი ძალებით ველარ დაძლევს დაქსაქსულობას. სამცხე დაიღუპა, იღუპება ქართლი. იმერეთ სამეგრელო ერთმანეთს შეაკვდნენ და ორივენი მონებად იქცნენ. კახეთი ბეწვის ხიდზეა. მთა ზვავმა ჩაჩიხა და გააყრუა. ბარი მაჰმადიანობის ტალღამ წალეკა. საჭიროა ძლიერი მფარველი. ასეთ მფარველად ალექსანდრეს ესახება რუსეთი და სთხოვს ზოსიმეს, წავიდეს მოსკოვს, გაეცნოს რუსეთს, რათა საბოლოოდ გადაწყდეს საკითხი მძევლობა თუ გერობა. თვით ალექსანდრე გერობას, ესე იგი ნაკლებ ბოროტების გზას არჩევს. მეფე შორს იხედება. უნდა დააინტერესოს რუსეთის სამეფოს ხელმძღვანელები პოლიტიკური უპირატესობით, რომელიც მას მოელის ამიერკავკასიაში მომაგრებით. ირან-ინდოეთის, არზრუმ-ბაღდადის სავაჭრო გზაზე გასვლით ალექსანდრე მათ დიდ ეკონომიურ სარგებლიანობას აღუთქვამს. მისი საბოლოო მიზანი კი ივერიის ერთიანობის აღდგენაა. ხოლო ერთად შეყრილი ივერია დიდი ძალაა. ბიზანტია დაიშალა, ივერია კი იბრძვის. ის არის დღეს ქრისტიანული ცივილიზაციის ერთადერთი დამცველი, ივერიაც დამარცხდება, თუ დახმარება არ აღმოუჩნდა ერთმორწმუნე ხალხის მიერ. ამ დახმარებას ითხოვს ალექსანდრე. თერგზე ახალი ციხის ჩადგმას, შამხალის დალაშქვრას და საქართველოსკენ გზის გაკაფვას სთხოვს ის რუსეთის მეფეს. ასე ფართოდ აზროვნებს ეს პატრიოტი მეფე, თუმცა გრძნობს, რომ ასეთი კავშირისათვის ჯერ პირობები არ არის მომწიფებული და საკუთარი სამხედრო ძალისა და ხალხის ენერგიის მობილიზაციასაც ახდენს.

ალექსანდრე მეფე ამრიგად საწადელს ვერ აღწევს, ვინაიდან იძულებული ხდება, საყვარელი, თავის მიერვე გაწრთვნილი და მზრუნველობით გაზრდილი შვილი ერეკლე სტამბოლს გაგზავნოს მძევლად. ერეკლე სტამბოლში თავის ხანმოკლე, მაგრამ საკმაოდ მდიდარ და ლამაზ ცხოვრებას მოწამეობრივი სიკვდილით დაასრულებს: დიდ სულგრძელობას იჩენს და მამულის სიყვარულში დალევს სულს. სხვათაშორის, ეს ეპიზოდი, ისე როგორც სხვა მრავალი (თუნდაც მამისა და დედის განცდები შვილის დაღუპვის გაგების დროს) ავტორს ისეთი მღელვარებით, ისეთი მხატვრული ოსტატობით აქვს აღწერილი, რომ ვერ შეიძლება მკითხველში ღრმა თანაგრძნობა არ აღძრას და არ გაიტაცოს იგი.

მთელი რომანი ამ ჯანსაღი პატრიოტული მღელვარებით არის დაწერილი. მას საფუძვლად ღრმა ზნეობრივი ძალა უდევს: ეს არის სამშობლოს უანგარო სიყვარული. ასეთია ალექსანდრეს მიერ გადადგმული ნაბიჯი, როცა მამობრივ გრძნობას სახელმწიფოებრივი ინტერესი სძლევს და გადაწყვეტს, ერთი შვილი კონსტანტინე ირანს გაგზავნოს მძევლად, ხოლო ერეკლე — ოსმალეთს. შეუძლებელია ამ ეპიზოდის გულდამშვიდებით წაკითხვა, ისეთი მხატვრული ჩაწვდომით და ძალით აქვს აღწერილი იგი ავტორს.

ლევან გოთუა თავისი მხატვრული ყურადღების ცენტრში აყენებს სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლებს, მათ მაღალ პოლიტიკურ-მორალურ მისწრაფებებს და ამით გასაგებს ხდის, თუ რატომ შეინარჩუნა ჩვენმა ხალხმა ფიზიკური არსებობა და სულიერი

თავისუფლება სისხლის წვიმების ხანაში. ვფიქრობ, ეს რომანის დიდი ღირსებაა. ავტორი მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს არა მარტო მთავარი, არამედ მეორეხარისხოვანი გმირების სურათების, მათი ხასიათების ხატვაში. მართლაც, რომანში გამოყვანილი გმირები და, განსაკუთრებით, ალექსანდრე მეფე, ზოსიმე ბერი, ნიკო-ხოსრო, დავით ჯანდიერი, ოქრო-პაპა, მარიამ დედოფალი, შერმაზან ჩოლოყაშვილი, ბატონიშვილი ერეკლე, ბახუტა, სათინო, ზაზა და სხვები, რომლებშიც საქართველოს თავისუფლების იდეა არის განსახიერებული, დახატულია ცოცხლად, ნამდვილი შემოქმედის ფუნჯით. საერთოდ, უნდა აღინიშნოს ავტორის მდიდარი ფანტაზია, რომელიც საშუალებას აძლევს მას, აღადგინოს განსაზღვრული ეპოქის ფართო პანორამა, ღრმად ჩასწვდეს ამ ეპოქის მთავარ მამოძრავებელ ძალებს, ტენდენციებს და მათი სწორი სურათი გაშალოს. ავტორს ახასიათებს ხასიათთა ხატვის კარგი უნარი მათს განვითარებაში, შეჯახებაში.

რომანში სიცხოველე შეაქვს იმ ღრმა სიყვარულის გრძნობას, რომლითაც ასე ბედნიერად და უხვად არიან დაჯილდოებულნი მისი გმირები. ამ სიყვარულში არაფერია ბიწიერი, ქვენაგრძნობიდან მომდინარე. ასეთია, მაგალითად, როგორც აღინიშნა, სიყვარული ერეკლესა და სალაჰს შორის, ხალიანას ღრმა, უმანკო გატაცება ზაზათი. კდემამოსილებით არის აღწერილი ავტორის მიერ თუნდაც მათი შეხვედრა დიდი ხნის დაშორების შემდეგ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი სავსებით შეგნებულად გაურბის შიშველი ეროტიკული სცენების არათუ გაზვიადებას, არამედ მათს გამოტანას, და ამ მხრივაც გმირთა ხასიათში ის ხაზს უსვამს უფრო რომანტიკულ, ამაღლებულ განწყობილებას.

არ შემიძლია ვთქვა, თუ რამდენად შეეფერება რომანში გამოყენებული ისტორიული მასალები, ისტორიული დეტალები სინამდვილეს, მაგრამ ერთი ცხადია: ავტორს სწორად და მართებულად აქვს წარმოდგენილი ეპოქის მთავარი ტენდენცია. უეჭველია, რომანს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს; მხატვრული სახეების საშუალებით მას უფრო ღრმად და უშუალოდ შეჰყავს მკითხველი დრამატიზმით სავსე წარსულში, უფრო ახლოს აცნობს მას, ვიდრე ამას რომელიმე ისტორიული შრომა შეძლებდა. ამ მხრივ ნაწარმოების მხატვრულ-შემეცნებითი მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა.

რომანის ღირსება ის არის, რომ იგი შეუნელებელი ინტერესით იკითხება. ამის მიზეზია სიუჟეტური ხაზის მოხდენილად წარმართვა, განვითარება.

ლ. გოთუა კარგად ხედავს, ფხიზელი თვალით უყურებს მაშინდელ ცხოვრებას, მთელ ყოფას. მას საკმაოდ დაწვრილებით აქვს შესწავლილი იმდროინდელი ქალაქები, ადამიანები, ჩვევები, რითაც რომანი მოხდენილად არის გაცოცხლებული. ამ რომანში მართლაც ისეთი ყოფითი სურათებია აღდგენილი, რომლებიც დიდ მხატვრულ, შემეცნებით მასალას წარმოადგენენ. ასეთია, თუნდაც, აღწერა ხალხური თეატრიონის — ბერიკაობისა და ყეენობისა, რომლებშიც ხალხმა თავისი სულიერი მისწრაფება გამოხატა, თავისი სატირული ნიჭი გამოავლინა, თავისი სოციალური მრწამსი ასახა. კიდევ მეტ შთაბეჭდილებას ტოვებს რომანის ერთ-ერთი, ხალხის ახალგაზრდა წარმომადგენლის იმავე ქოხსალამურას მიერ გათამაშებული სცენა „ჩრდილობანა“. ამ სცენას ავტორი იყენებს, როგორც მხატვრულ ხერხს, რომელსაც გარკვეულ ფუნქციას აკისრებს — დაანახოს მეფეს, თუ როგორ არღვევდა ზოგიერთი მოურავი მის მიერ დადებულ წეს-კანონებს და ხალხში უკმაყოფილებას იწვევდა.

როგორც აღვნიშნეთ, ლ. გოთუა გადამჭრელ ყურადღებას უთმობს არა ვერაგებისა და მოღალატეების ბიოგრაფიას, მათი ძირგამომთხრელი საქმიანობის აღწერას, მათ სიმრუშეს და ზნეობრივ გათახსირებას, არამედ სულით მაღალი, კეთილშობილი ადამიანების გმირულ შემართებას, მხატვრული სახეებით გადმოცემას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორი არ ღალატობს სინამდვილეს, ცხოვრების სიმართლეს და გმირების უმრავლესობას იგი წარმოგვიდგენს არა შელამაზებულად, არამედ თავიანთი ადამიანური ნაკლოვანებებით, ვნებებით, შინაგან წინააღმდეგობათა ჭიდილში. ასეთია ალექსანდრე მეფეც, ერეკლეც, რომელსაც დროებით სძლევს მძევლობიდან განთავისუფლების ბუნებრივი ცთუნება, მაგრამ შემდეგ მაინც ურიგდება თავის მძიმე ხვედრს, ასეთია ომან ჩოლოყაშვილი (დავითის აღმზრდელი), თვითონ დავითი და სხვები.

ყურადღებამისაქცევია რომანის მაღალი მორალი: ალექსანდრე, რომელსაც ძალითა და ხმლით უნდოდა დაემკვიდრებინა სამართალი, აღედგინა ქართლისა და კახეთის ერთიანობა, თანდათან თმობს თავის პოზიციებს და ბოლოს სავსებით იზიარებს ზოსიმე-აღმზრდელის მოძღვრებას, რომელსაც საფუძვლად სიმართლისა და ზნეობის ძალა უდევს.

რომანს აქვს კიდევ ერთი კარგი ღირსება: ეს არის ავტორის ცდა, ჩააბას მოქმედებაში ხალხი, დაგვიხატოს მისი ყოფა, მისი შრომა, მისი ადგილი ისტორიულ პროცესში. რომანში დახატული ხალხის, გლეხობის წარმომადგენლები — ოქრო-პაპა, ბახუტა, ქოხსალამურა, ზაზა, მამუკა, სათინო — ცოცხალი ადამიანებია, ხორცშესხმულნი არიან. ყოველ ამ გმირში მკითხველს ესმის პატრიოტული გულისცემა, ყოველ ამ გმირში თვით ავტორის წმინდა პატრიოტული განწყობილება იგრძნობა. ამ პირებს

(ხალხის წარმომადგენლებს) რომანში დათმობილი აქვთ მოქმედების საკმაოდ ფართო სარბიელი. თუ მათ მაინც მთავარი ადგილი არა აქვთ დაკავებული, ეს აიხსნება ავტორის მიზანდასახულობით: მისი სურვილია, მოგვცეს კახეთი უმთავრესად საგარეო ურთიერთობაში, საგარეო ძალების იმ ჰიდილში, რომელშიც კახეთი იყო ჩაბმული, დასახოს ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლითაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი საქმიანობა უნდა წარმართულიყო.

ავტორის მთელი ყურადღება აქეთკენ არის მიმართული, თუმცა, როგორც ცნობილია, საგარეო და საშინაო პოლიტიკის ერთმანეთისაგან გათიშვა არ შეიძლება. ამიტომაა, რომ რომანში სოციალური ფონი, ყოფა მაინც შედარებით მკრთალად არის ასახული. რომანი დაწერილია ნამდვილი, გულწრფელი სიყვარულით რუსი ხალხისადმი. ეს პატივისცემა და სიყვარული რუსული კულტურისადმი მთელ რომანს გასდევს თავიდან ბოლომდე. რომანში აცილებულია პოლიტიკური სერვილიზმი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მის ზნეობრივ საფუძველს.

რამდენიმე შენიშვნაც.

ვფიქრობ, რომ რომანში არის გაჭიანურებული ადგილები (თუნდაც მაჩუჩას — ქოხსალამურას ქვევრში დამალვის ამბავი, იმავე ხალხური თეატრიონის აღწერა და სხვ.), რაც სიუჟეტის დინამიკურ განვითარებას ერთგვარად აფერხებს. სიუჟეტის გაშლის ასეთივე შემაფერხებელ როლს ასრულებს რომანში გაჭიანურებული მსჯელობა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ამა თუ იმ პირის მიერ, უფრო კი ამა თუ იმ გმირის ფსიქოლოგიური სურათის დახატვისას, ერთგვარი მხატვრული ზომიერების დაუცველობა (უმთავრესად ეს შეეხება ალექსანდრე მეფის ფსიქოლოგიური სურათის აღდგენას).

ვფიქრობ, გადაჭარბებული ადგილი აქვს დათმობილი ყოფითი დეტალების აღწერას (ნიშნობა, პურმარილით შეგებება მოსკოვში, ბაზრობა და სხვ.). ყოველივე ეს საჭირო და რომანის აუცილებელი, გამაცხოველებელი ელემენტებია, მაგრამ მაინც ზომიერების დაცვაა საჭირო. აჯობებდა მათი შეკუმშვის ხარჯზე რომანში მეტი ადგილი დასთმობოდა სოციალურ ურთიერთობას, უფრო კი გლეხობის ცხოვრების აღწერას.

ცალკე უნდა გამოიყოს ენის საკითხი. ლევან გოთუა ერთი იმ ავტორთაგანია, რომელიც ინტენსიურ-შემოქმედებით მუშაობას აწარმოებს ენაზე, ეძებს და ქმნის ახალ, ხანდახან საკმაოდ ძარღვიან სიტყვებს, ხმარებაში შემოაქვს ძველიც და ხალხში გაგონილი სიტყვებიც. მწერლის ლექსიკური მასალა მდიდარია. ამ მხრივ ლ. გოთუას შრომა დასაფასებელი და მისასალმებელია. მაგრამ ახალი სიტყვა-თქმნა თვითმიზნად არ შეიძლება გადაიქცეს. აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო. მრავალმა სიტყვამ, ლ. გოთუას მიერ ხმარებაში შემოტანილმა, შეიძლება სრული მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვოს მომავალში. ეს სავარაუდო საკითხია. ამიტომ ახალი სიტყვების ძიებისა და ხმარებაში შემოტანის უფლება ავტორს უთუოდ უნდა მიეცეს. მაგრამ ერთი მაინც უნდა მოვთხოვოთ ყოველ ავტორს: ზომიერების დაცვა, თავის არიდება ღვარჭნილი, ხშირად გაუგებარი ენობრივი კონსტრუქციისაგან. რომანი გადატვირთულია ისეთი სიტყვებით, რომელთა გაგება მკითხველს გაუჭირდება, თუ მას ამ სიტყვათა ახსნა-განმარტება არ დაერთო. ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება რომანიდან. მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა. ისიც აღსანიშნავია, რომ უბრალოებისა და ბუნებრიობის დაცვა სინტაქსურ წყობაში რომანს მეტ ეფექტს მისცემდა.

ენა ქმნის სტილს, სტილში ვლინდება მწერლის ინდივიდუალობა. მწერალს არ შეიძლება წაერთვას თავისუფლება თავისი მხატვრული ენობრივი მასალის შერჩევაში, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ეს მასალა მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს და თუ, ვთქვათ, არქაიზმები დიალოგში იქნა გამოყენებული, მას ზღვარი უნდა დაედოს ავტორისეულ რემარკებსა და, საერთოდ, ტექსტში.

ეს წვრილმანი შენიშვნებია. საერთოდ კი, წარმოდგენილი ნაწარმოები ქართულ ისტორიულ რომანთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია. იგი მონუმენტურია არა მარტო მოცულობით, არამედ უფრო იმ აზრით, რომ ავტორი ისტორიული პროცესის არსის შეგნების სიმაღლეზე დგას.

რომანი „გმირთა ვარამი“ გრძნობაამმაღლებელი საკითხავი წიგნია, რომელიც ჭეშმარიტი პატრიოტული შთაგონებით არის დაწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ჭუმბურიძე

★

# ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევისათვის

უკვე დიდი ხანია ქართველი მკითხველის ცნობიერებაში დამკვიდრდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მნიშვნელობის შეგნება. პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მკითხველს ვაჟას შემოქმედების გაცნობის შემდეგ ეუფლება, ამ მწერლის სიდიადის გრძნობაა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებამ, განსაკუთრებით კი პოეზიამ, ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე ქართველ კრიტიკოსთა საგანგებო ყურადღება მიიქცია. ბევრი დაიწერა ვაჟა-ფშაველას შესახებ, უმეტესად პოზიტიური ხასიათისა. მისმა უაღრესად თავისებურმა შემოქმედებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მაგრამ ერთი რამ კი ყველასთვის აშკარა იყო: ვაჟას სახით ქართულ მწერლობას დიდი ხელოვანი მოევლინა.

მაგრამ რამდენადაც დიადია ვაჟა-ფშაველა, იმდენად ძნელი აღმოჩნდა მისი შემოქმედების თავისებურებათა ჩვენება და ეს იყო უმთავრესად იმის მიზეზი, რომ ბევრი უმართებულო მოსაზრებაც გამოითქვა ვაჟას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ.

ჩვენს დროს კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი. საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობამ ყურადღება გაამახვილა ვაჟას მემკვიდრეობის პრობლემურ საკითხებზე. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გამოქვეყნდა ა. ქუთელიას (1947 წ.) მიხ. ზანდუკელის (1953 წ.), გ. ჯიბლაძის (1955 წ.), ა. მახარაძის (1955 წ.), ა. ჭეიშვილის (1955 წ.), დ. ბენაშვილის და სხვათა ვრცელი ნაშრომები, რომლებშიც გაშუქებულია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სხვადასხვა მხარე.

გასაგებია, რომ საბჭოთა მკითხველი ყოველ ახალ ნაშრომს ჩვენი სასიქადულო მწერლის შესახებ დიდი ინტერესით ეგებება. ამ მხრივ, ყურადღება მიიქცია 1957 წელს სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დაბეჭდილმა გრიგოლ კიკნაძის წიგნმა — „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“. ამ საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნში ავტორი განიხილავს ვაჟას შემოქმედების კარდინალურ საკითხებს, რომლებიც არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ფართო მკითხველი საზოგადოებისთვისაც საინტერესოა.

წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ სარეცენზიო წიგნის ავტორი ერიდება ვაჟას ნაწარმოებთა შინაარსის გადმოცემას. საანალიზო თხზულებათა შინაარსის თხრობა აქ აუცილებელ მინიმუმამდეა დაყვანილი, რითაც ეს ნაშრომი განსხვავდება ბევრი გამოქვეყნებული წიგნისაგან. „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“ ისეთი მკითხველისთვისაა განკუთვნილი, რომელიც უკვე იცნობს ვაჟას ნაწერებს და ერკვევა ლიტერატურული პროცესის ძირითად საკითხებში.

გამოკვლევის ავტორი იძლევა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა მსოფლმხედველობრივსა და ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზს, როგორც ქართული, ისე რუსული და უცხოური მწერლობის ნიმუშებთან შეპირისპირების საფუძველზე. რასაკვირველია, ამასთანავე მას უხდება, სადაც ეს აუცილებელია, იმ შეხედულებათა კრიტიკული შეფასება, რომლებიც ადრე გამოთქმულა.

ასეთ მიზანდასახულობას უპასუხებს ამ გამოკვლევაში განხილული საკითხები, რომელთა მიხედვით წიგნი დაყოფილია სამ ნაწილად და თორმეტ თავად. ნაშრომს უძღვის შესავალი და დართული აქვს ავტორის ბოლოსიტყვა.

ვაჟა-ფშაველასადმი ავტორის მიდგომა თავიდანვე განსაზღვრულია იმ ამოცანით, თუ რით უახლოვდება და რით ამდიდრებს XIX ს. ქართულ ლიტერატურას ვაჟას შემოქმედება, რით გამოირჩევა ვაჟა სხვა ქართველი მწერლებისაგან, ე. ი. როგორია ამ შემოქმედის ადგილი ქართული ლიტერატურის განვითარებისა და მომწიფების პროცესში. ამგვარად, საერთოსა და ზოგადის ჩვენებასთან ერთად, ავტორი ცდილობს გამოკვეთოს ვაჟას პოეტური ინდივიდუალობა. ეს ტენდენცია თვალნათლივ გასდევს მთელ წიგნს. და ჩვენ გვგონია, რომ სწორედ ეს არის ლიტერატურის ისტორიკოსის ამოცანა, ასეთი უნდა იყოს ყოველი მწერლისადმი მიდგომის პრინციპი.

ამასთანავე, საგულისხმოა ისიც, რომ თითქმის არც ერთი საკითხი არ არის აღძრული წიგნში, რომელსაც ავტორი სასხვათაშორისოდ ეხებოდეს. მას ბოლომდე მიჰყავს ამა თუ იმ საკითხის განხილვა და ცდილობს შეუმოწმებლად და სათანადო არგუმენტაციის გარეშე არ გაიზიაროს აქამდე გამოთქმული ესა თუ ის მოსაზრება.

რა არის ახალი სარეცენზიო წიგნში ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ ადრე გამოთქმულ შეხედულებებთან შედარებით? ჩვენ აქ

მხოლოდ უმთავრეს მომენტებსა და დასკვნებზე შევჩერდებით.

1. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ დამახასიათებელ თავისებურებად სარეცენზიო წიგნის ავტორს ის მიაჩნია, რომ მწერლის მხატვრულ ნაწარმოებში იდეა გაშიშვლებულად არაა მოწოდებული, იგი თვით განსახიერებულ მასალაშია საძიებელი. ამ მხრივ ავტორი განიხილავს ქართული ლიტერატურის განვითარების გზას და დაასკვნის, რომ ვაჟას უშუალო წინაშორბედი მწერლები, აუცილებლობის გამო, მკაფიოდ ტენდენციური იყვნენ ამ სიტყვის საუკეთესო ლიტერატურული გაგებით. ეს იყო პერიოდი იდეის ბატონობისა ასასახავ მასალაზე, „ეს იყო სტადია გამოსახატავი იდეისაკენ პირდაპირი სვლისა“. როგორც ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, — „ეს, რასაკვირველია, არ იყო ნაკლი. პირიქით, ეს დიდ ღირსებასაც წარმოადგენდა, რადგან ასეთი ლიტერატურა ქართველ მკითხველს დიად სოციალურ იდეებსა და გრძნობებს **პირდაპირ** უნერგავდა და უვითარებდა. სრულიად ცხადია, რომ ეს ჩვენი მწერლები არც გამონაკლისს წარმოადგენდნენ“ (სარეცენზიო წიგნი, გვ. 33). ავტორი ამ გზას პირობითად **მონოთემატიკურ გზას** უწოდებს იმ აზრით, „რომ ყველა ეპიზოდი და საერთოდ ყველაფერი, — რამდენადაც კი ეს მხატვრულ ნაწარმოებში შესაძლებელია, მწერლის ერთი მთავარი იდეის გამოსახატავად არის მოხმობილი“ (გვ. 34). განსხვავებით ვაჟას გზა **პოლითემატიკური გზაა**, რამდენადაც მისი ერთი ნაწარმოების ფარგლებში მოტივთა ნაირნაირობა და მათი პარალელური დინება დადასტურებული.

ვაჟას პოეზიაში იდეამ ვერ დაჩრდილა აღწერილი საგნები და მოვლენები — „ვაჟას შემოქმედებაში იდეას არ წაურთმევია ამ მოვლენათა და ფაქტთათვის დამოუკიდებელი მნიშვნელობა. პირიქით, პატრიოტულმა გრძნობამ ახალი შინაარსი შეიძინა, ახალი გრძნობადი მასალა მიიღო; იდეა თითქოს დაფარა ახალმა სახეებმა და მისი (იდეის) ცხადყოფა მკითხველს მიანდო; ვაჟას შემოქმედებაში ნაწარმოების მომხიბვლელლობა იდეის ხარჯზე კი არ მოხდა, არამედ, პირველ ყოვლისა, სახეების მომჯადოებლობაზე დამკვიდრდა; ყველაფერი დაჯილდოვდა პატრიოტული გრძნობის გამოსახვის უნარით ისე, რომ საკუთარი ღირსებაც შეინარჩუნა“ (გვ. 34). ეს არის ერთი უმთავრესი საფუძველი ვაჟას პოეზიის მომხიბვლელობისა და იგივე იყო იმის მიზეზი, რომ მწერლის მრავალი ნაწარმოების დედააზრი სხვადასხვა კრიტიკოსს სხვადასხვაგვარად ესმოდა.

2. წიგნის ავტორი გვიჩვენებს, რომ ვაჟას შემოქმედებაში თავს იჩენს ღრმა ეროვნული შეგნება. მაგრამ, ვიდრე ქართული ლიტერატურა ამ სიმაღლემდე ავიდოდა, მან განვითარების გარკვეული საფეხურები განვლო. ავტორი განიხილავს პატრიოტული გრძნობის შინაგან ფსიქოლოგიურ მექანიზმს და პატრიოტიზმის გამოვლენას ქართული მწერლობის განვითარების მანძილზე. საერთოდ, სარეცენზიო წიგნის ერთი დიდი ღირსება ის არის, რომ აქ ყველა საკითხი განხილული და გადაჭრილია ისტორიულ ასპექტში.

ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ასეთი პატრიოტული გრძნობით დაჯილდოებული ხელოვანის შემოფარგვლა მხოლოდ მთის პრობლემატიკით შეუძლებელია, ეს ნიშნავს ვაჟას შემოქმედების ეთნოგრაფიული მნიშვნელობის აღიარებას. ამიტომ ფრიად საგულისხმოა ავტორის დასკვნა, რომელსაც იგი წიგნის შესავალში იძლევა: „ვაჟა-ფშაველამ ჩვენს ლიტერატურაში მთელი სისრულით პირველად ასახა ფშავისა, თუშეთისა და ხევსურეთის ყოფა. და ასახა ეს ისე, რომ ფშაველის, თუშის თუ ხევსურის დახასიათებას აღარ დაჰკრავდა ეგზოტიკური იერი. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თვალნათლივი შედეგი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ კუთხეების მცხოვრებთა ყოფა და ხასიათი მტკიცედ დაუკავშირდა ჩვენი ქვეყნის წარსულს, მის აწმყო ვითარებას და ქართველი ხალხის სანუკვარ იდეალებს. საქართველოს ბარისა და მთის მცხოვრებთა ერთიანობაზე აქამდე ბუნდოვან წარმოდგენას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სრულიად გარკვეული, ყველასათვის ნათელი და დამარწმუნებელი სახე მიეცა. ვაჟა-ფშაველამ ისე გაიაზრა და ასახა მთიელთა ცხოვრება, რომ აშკარა გახდა მათი განუწყვეტელი კავშირი მთელი ქვეყნის საარსებო ინტერესებთან“ (გვ. 7).

3. ავტორი სათანადო მასალის საფუძველზე დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ვაჟას ცნობილ პოემებში — „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“ თემსა და პიროვნებას შორის დაპირისპირება კი არ არის მოცემული, არამედ ის წინააღმდეგობაა დახასიათებული, რომელიც თემის შიგნით, მის ადათებშივე არსებობს. ამდენად, ეს კონფლიქტი გარედან შეჭრილი ფაქტორის შედეგი კი არ არის, როგორც ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, არამედ თვით თემის ბუნებიდან გამომდინარეობს. წიგნის ავტორი ნათლად გვიჩვენებს, რომ ჯოყოლა თემის მოწინააღმდეგე როდია, არამედ იგი იცავს თემისათვის დამახასიათებელ სტუმარმასპინძლობის ადათს. ამ თვალსაზრისით „ალუდა ქეთელაურის“ განხილვისას სრულიად დამარწმუნებელია ავტორის მსჯელობა, რომ მკლავის მოჭრის ჩვეულება არ წარმოადგენს ადათობრივი სამართლის ნორმას, ე. ი. შესასრულებლად არ არის სავალდებულო.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი ასწორებს ვაჟას ნაწარმოებთა შინაარსის არასწორ გაგებაზე აღმოცენებულ ორ ფაქტიურ შეცდომას: ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება, რომ თემმა ალუდა მოიკვეთა მხო-

ლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა მკლავი არ მოსჭრა მუცალს, მართებული არ არის. ალუდამ საბოლოოდ სარწმუნოებრივი სამართლის ნორმა დაარღვია, რამაც თემის განრისხება გამოიწვია. ხოლო „გველის მჭამელთან" დაკავშირებით ავტორი მიუთითებს, რომ,წინააღმდეგ გავრცელებული აზრისა, ამ პოემაში არ იგულისხმება მინდიასაგან ნამდვილად გველის ხორცის ჭამა. აღნიშნულ შესწორებებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამ ნაწარმოებთა დედააზრის გასათვალისწინებლად.

ავტორის აზრით, მართალია თემური ურთიერთობიდან აიღო ვაჟა-ფშაველამ სათანადო მასალა, მაგრამ მწერალი არ შემოიზღუდა თემური წყობილების ფარგლებით. ვაჟას მიერ ამ შემთხვევაში ისეთი საკითხია დასმული, რომელიც „აქტუალურია სხვა საზოგადოებრივი ფორმაციებისთვისაც" (გვ. 65). ასეთი დასკვნა კი, როგორც ავტორი შენიშნავს, — „ათავისუფლებს ჩვენს პოეტს თემის პრობლემით შეზღუდვისაგან და მისი შემოქმედებისადმი ნაყოფიერი, ფართო ლიტერატურული თვალსაზრისის გამოყენების შესაძლებლობას ქმნის" (იქვე). ასეთი მიდგომა საკითხისადმი ფრიად მნიშვნელოვანია, რამდენადაც თემისა და პიროვნების ურთიერთობის მოძველებულმა პრობლემამ ვაჟას შემოქმედებაში საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის გარკვევის მნიშვნელობა მოიპოვა.

ამგვარი გაგების საფუძველზე ავტორი სულ სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევს პოემის გმირების საქციელსაც: ავტორის მსჯელობის თანახმად, ისინი ინდივიდუალისტებად კი აღარ გამოიყურებიან, როგორც კ. აბაშიძე და ზოგიერთი სხვა კრიტიკოსი ფიქრობდა, არამედ ზნეობრივად მაღალ საფეხურზე მდგომ პიროვნებებად გვევლინებიან (იხ .გვ. 77—80).

4. ძალიან ფართოდ განიხილავს ავტორი ბუნების გრძნობას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. მისი მიზანია გვიჩვენოს ვაჟას ამ გრძნობის სიდიადე, ერთის მხრივ, და სხვა პოეტთაგან მისი განსხვავება, მეორე მხრივ. ამ საკითხის გასაშუქებლად ავტორს მოხმობილი აქვს მასალა როგორც არსებული სპეციალური ლიტერატურიდან, ისე სხვადასხვა მწერლის შემოქმედებიდან.

წიგნში განხილულია ბუნების გრძნობის განვითარება მსოფლიო ლიტერატურისა და ჩვენი მწერლობის ისტორიის ასპექტში. ამ მხრივ ავტორი აღნიშნავს რამდენიმე საფეხურს.

ბუნების გრძნობის მხრივ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ავტორს საგანგებოდ აქვს განხილული ქართული ლიტერატურის განვითარების განასერში. ამ თვალსაზრისით წიგნში დახასიათებულია ბუნების გრძნობის გამოვლენა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა", „ვეფხისტყაოსანსა" და „აღორძინების ხანის" პოეზიაში. საგანგებოდ მსჯელობს ავტორი დ. გურამიშვილის შემოქმედებაში გამომჟღავნებული ბუნების გრძნობის ხასიათზე და დაასკვნის, რომ ძალიან „ახლოს დგას ეს პოეტი ბუნების სიმშვენიერის უშუალო წვდომასთან" (გვ. 95). შემდეგ ავტორი განიხილავს ამ გრძნობის გამოხატვის სახეებს ქართველ რომანტიკოსთა და რეალისტთა შემოქმედებაში და ხელშესახებად გვიჩვენებს, რომ ბუნებისადმი ვაჟა-ფშაველას მიდგომა რეალისტურია, რომ ბუნებამ ამ მწერლის შემოქმედებაში თავისთავადი მნიშვნელობა და მომხიბვლელობა შეინარჩუნა, რაც ბუნების წვდომის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს, — „ბუნების ყოველ ნაკვთსა და წარმონაქმნს ვაჟას შემოქმედებაში ინდივიდუალური სახე აქვს და საკუთარი სახელი გააჩნია. ამიტომაცაა ვაჟას ბუნების პოეზია მარად მოუბეზრებელი და წარმტაცი... ვაჟამ ისეთი ვნება ჩააქსოვა ბუნების ხოტბაში, რომ დანარჩენ ჩვენს პოეტებს აღარ ყოფნიდათ ძალა რამენაირად მაინც მიახლოვებოდნენ ვაჟას მიერ დაპყრობილ სიმაღლეს" (გვ. 114).

5. ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის, ბუნებაზე პოეტის შეხედულებათა სისტემის საკითხს ავტორი სპეციალურად ეხება წიგნის მეოთხე თავში — „ბუნების ვაჟასეული გაგების საკითხი". აქ დაწვრილებით არის განხილული და შეფასებული ის გავრცელებული შეხედულებანი, რომლებიც ვაჟას მიიჩნევენ წარმართად, პანთეისტად, ანიმისტად და ა. შ. (კ. აბაშიძე, ს. დანელია და სხვ.). წარმართობისა, პანთეიზმისა და ანიმიზმის თაობაზე არსებულ სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით ავტორი ა ს ა ბ უ თ ე ბ ს გავრცელებულ შეხედულებათა მცდარობას. იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ კრიტიკოსთა შეცდომის სათავე ვაჟას მეტყველების ფორმისა (მხატვრული ხერხისა) და თვალსაზრისის გაიგივებაში მდგომარეობდა და რომ, სინამდვილეში, დაწყებული მწერლის ეთიკური პრინციპებიდან, მისი რეალისტური პოზიციიდან და დამთავრებული სინამდვილის ასახვის მხატვრული გზით, — ყველაფერი უარყოფს გავრცელებულ აზრს, რომლის მიხედვით ვაჟა არის წარმართი, პანთეისტი და ანიმისტი. ასე, მაგალითად, მკვლევარი ეხება რა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შეხედულებას ვაჟას პანთეისტობის შესახებ, აღნიშნავს, რომ „პანთეისტური თვალსაზრისი აღარ უშვებს ბოროტისა და კეთილის, როგორც დაპირისპირებულთა, გაგებას. მისთვის ბოროტი და კეთილი, როგორც ასეთი, აღარ არსებობს" (გვ. 134). მაშასადამე, პანთეიზმისათვის მორალური კატეგორიები უცნობია. ხოლო — „საყოველთაოდ ნათელია, თუ რაოდენ დიდი ადგილი უჭირავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ზნეობრივ პრობლემებს. ამ სფეროსადმი ინტერესი, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის. პირიქით, ეს ინტერესი ძირი-

თადად უნდა ჩაითვალოს ვაჟა-ფშაველასათვის“ (გვ. 133). ამრიგად, თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, მაშინ ცხადია, რომ ვაჟას პანთეისტობის თეორია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. (სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გზა პანთეიზმის უარყოფისა არაა შემთხვევითი, იგი ზოგიერთი ევროპელი მწერლის მიმართაც ყოფილა გამოყენებული. ასე, მაგალითად, დაახლოებით ამდაგვარადვე უარყოფს შელის პანთეისტობას ნ. კოტლიარევსკი წიგნში — „მეცხრამეტე საუკუნე“). გარდა ამისა, ავტორს სხვა სერიოზული საბუთებიც მოეპოვება ვაჟას პანთეისტობის უარსაყოფად. იგი, კერძოდ, აღნიშნავს, რომ „პანთეიზმისათვის საერთოდ პრობლემად იქცევა ცალკეული სახეობის ‚კერძოს არსებობის შესაძლებლობაც კი. პანთეიზმი გულისხმობს, რომ ყველაფერი ერთია, ყოველი ცალკეული დაკარგულია ერთ მთლიანში“ (გვ. 137). ვაჟას შემოქმედებაში კი—„ყოველი მოვლენის, ყოველი ცალკეული სახის თავისთავადი ღირებულება განიცდება. ვაჟას მიერ დახატული მოვლენა არა მარტო ემსახურება მასში ნაგულისხმევი ზოგადი აზრის ნათელყოფას, არამედ მისი არსებობის გამართლება მის საკუთარსა და დამოუკიდებელ ღირებულებაშიცაა“ (გვ. 137) ერთი სიტყვით, ის არის მნიშვნელოვანი, რომ, როგორც ამ შემთხვევაში, ისე საერთოდაც, ყოველი დებულება დასაბუთებულია და ესაა სარეცენზიო წიგნის ერთი მთავარი ღირსება.

6. ავტორი „გველის მჭამელს“ განიხილავს, როგორც ფილოსოფიური პოემის ნიმუშს. მაგრამ იგი უარყოფს გავრცელებულ აზრს, თითქოს „გველის მჭამელში“ დასმული იყო ადამიანის ყოვლისმცოდნეობის შესაძლებლობის საკითხი (ი. ვართაგავა, ს. დანელია). ავტორი მიუთითებს ნამდვილი ცოდნისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე და გვიჩვენებს, რომ „გველის მჭამელში“ ასეთი ცოდნა არ არის ნაგულისხმევი (გვ. 142-144). ავტორის აზრით, პოემაში განხილულია საკითხი სამყაროს ინსტინქტით წვდომისა.

ავტორი სავსებით დამაჯერებლად აბათილებს ი. ვართაგავასა და ს. დანელიას შეხედულებას, რომ „ნაკლებია მხატვრული ღირსება ვაჟას ნაწარმოებთა შორის ყველაზე უფრო სახელგანთქმული პოემის „გველის-მჭამელი“, რომ „ვაჟა ვერ მორევია თავის გამოცანას და, როგორც პოემა „გველის-მჭამელი“ სუსტი ნაწარმოებია“. ავტორი სათანადო მასალის ანალიზის შედეგად ნათელყოფს, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი ასეთი აზრის დასაცავად.

7. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხალხურობაზე მსჯელობისას გრ. კიკნაძე იყენებს იმ დაკვირვებებს, რომლებიც ხალხურ წყაროებსა და ვაჟას ნაწარმოებთა შორის შეხვედრას მოწმობს. მაგრამ მას სავსებით მართებულად არ მიაჩნია ნაწარმოების ხალხურობის განმსაზღვრელ პირობად მხოლოდ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გამოყენება, ანდა მაინცდამაინც იმ ფორმების დაცვა, რომლებითაც ხალხური მეტყველება გამოირჩევა. ავტორი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხალხურობას იმ ნიშან-თვისებათა დაცვაში ხედავს, რომლებიც ხალხური პოეზიის კლასიკურ ნიმუშებს ახასიათებს. ასეთ ნიშნებად ავტორს მიაჩნია ისეთი სახეების შექმნა, რომლებიც მისაწვდომია „საზოგადოების ნაირნაირი ფენისათვის“ (გვ. 157), დეტალიზაციისაგან თავის არიდება, მომხიბვლელი გულუბრყვილობა, ფსიქოლოგიური თხრობისაგან თავის შეკავება და სხვ.

ავტორი ურთიერთს ადარებს ვაჟას ზოგიერთ თხზულებასა და მათ ხალხურ წყაროებს და ასაბუთებს, რომ ვაჟას შემოქმედებაში გაერთიანებულია „ხალხური შემოქმედებისა და ინდივიდუალური შემოქმედების განსხვავებული ტენდენციები“ (გვ. 163). საერთოდ დასკვნა კი ის არის, რომ „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ადასტურებს, თუ რაოდენ დიდი ნიჭია საჭირო, რათა ხალხის მხატვრულმა გენიამ არ შთანთქას ინდივიდუალური სახე ხელოვანისა; ვაჟას შემოქმედება იმასაც გვიჩვენებს, თუ რა სიმაღლეა საჭირო ნიჭისა, რათა ხალხის მხატვრული შესაძლებლობანი ხელოვანმა თავისად აქციოს და საკუთარი ნიჭის გზით წარმართოს; ამისათვის აუცილებელია, რომ ხელოვანში თავი მოიყაროს ეროვნულმა, ხალხურმა მხატვრულმა ალღომ. დაუძალებლად სწორედ ეს ალღო გამომჟღავნდა ვაჟას შემოქმედებაში: მან ინდივიდუმის ენაზე თარგმნა ხალხური. ასეთი იყო ვაჟას გენია“ (გვ. 174). ერთი სიტყვით, ვაჟამ, როგორც ხელოვანმა, მოახერხა ის, რასაც იგი თეორიულადაც მოითხოვდა მწერლისაგან.

8. სარეცენზიო ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი გარკვეული მიმართულებისადმი ვაჟა-ფშაველას მიკუთვნების საკითხს. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ კ. აბაშიძემ წამოაყენა ვაჟას სიმბოლისტობის თეორია, განიხილავდა რა ქართული ლიტერატურის განვითარებას ე. წ. ევოლუციური მეთოდის მიხედვით. მომდევნო ხანებში შეიძლება უკვე ბევრს აღარ სჯეროდა ვაჟას სიმბოლისტობა (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს დროს გამოთქვა, მაგალითად, ვ. გოლცევმა აზრი, რომ „ვაჟა-ფშაველა შეიძლება პირობითად ჩავთვალოთ სიმბოლისტად“), მაგრამ არავის უჩვენებია, თუ რატომ არ შეიძლება ვაჟა სიმბოლისტად მივიჩნიოთ. სარეცენზიო წიგნში კი სწორედ ესაა მთავარი: აქ დასაბუთებულია, თუ რატომ არ არის ვაჟას შემოქმედება სიმბოლისტური ხასიათისა. გრ. კიკნაძემ სიმბოლოს ცნების ანალიზისა, სიმბოლისტთა შეხედულებებისა და მათი შემოქმედებითი პრაქტიკის დახასიათების საფუძველზე უჩვენა, რომ ვაჟა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას რომელიმე ჯურის სიმბოლისტად. ავტორმა ჩინებულად გაარკ-

ვია სიმბოლოს ხასიათი სიმბოლისტურ პოეზიაში და სიმბოლოს მნიშვნელობა ჩვეულებრივ მხატვრულ აზროვნებაში. ავტორმა დამარწმუნებლად გვიჩვენა, რომ სწორედ ამ უკანასკნელი გარემოების გაუთვალისწინებლობამ წარმოშვა ვაჟას სიმბოლისტობის თეორია. გრ. კიკნაძე ამტკიცებს, რომ ვაჟას პოეზია არის „საგნების პოეზია“ (გვ. 193), რომ მისთვის მთავარია კონკრეტული მოვლენები და ამიტომ ვაჟა არის განსახიერება რეალისტი მწერლისა, რომლის ერთი თავისებურება მეტაფორიზაციის არაჩვეულებრივ ნიჭში მდგომარეობს (გვ. 202). წიგნში ვრცლადაა ლაპარაკი ვაჟას პოეზიის მეტაფორულობაზე, რაც უფრო ადრე, 1940 წელს, საგანგებოდ აქვს აღნიშნული ს. ჩიქოვანს.

ამრიგად, ავტორმა დაგვანახვა, რომ ის, რაც ვაჟას შემოქმედებაში სიმბოლისტურად იქნა მიჩნეული, სინამდვილეში რეალისტი მწერლის თავისებურ მხატვრულ ხერხს, წერის თავისებურ მანერას წარმოადგენს.

9. ვაჟა-ფშაველას პროზის განხილვისას (გვ. 207—235) ავტორი ამ პროზის ჯერ საერთო დახასიათებას იძლევა, ხოლო შემდეგ საგანგებოდ ჩერდება ვაჟას საბავშვო თხზულებებზე (გვ. 224 — 234). ვაჟას პროზის თავისებურებად ავტორს ის მიაჩნია, რომ, მიუხედავად მასში დასმული ეთიკური პრობლემებისა, მწერლის „მხატვრულ შემოქმედებაში ეს საკითხები ისეა განხილული და გადმოცემული, რომ თითქმის არ ვხვდებით მორალიზების ტენდენციას, დარიგება-ჭკუის სწავლების გამომხატველ გამოთქმებს“ (გვ. 210) და რომ „ვაჟა-ფშაველა გვასწავლის დიდაქტიკური ტონის აუღებლად და სწორედ ამაში ჩანს მისი დიდი ოსტატობა“ (გვ. 211). ვაჟას პროზის ანალიზს ავტორი მიჰყავს იმის აღიარებამდე, რომ ამ პროზაში ჩანს ვაჟას „სიყვარული სიცოცხლისადმი“, მისი „სიცოცხლის სიხარული“ (გვ. 213), რომ „ესაა ვაჟა-ფშაველას ამოსავალი პრინციპი“ (გვ. 214). გრ. კიკნაძე ვაჟას პროზას „ობიექტური ლირიკული პროზის ნიმუშად“ მიიჩნევს, რამდენადაც მასში ავტორის მე წინა პლანზე არ არის წამოწეული. ვაჟას პროზაულ თხზულებებს ავტორი განიხილავს როგორც მცირე ზომის ნაწარმოებებს. მოქმედ გმირთა რაოდენობის სიმცირესთან ერთად, მათთვის ისაა დამახასიათებელი, რომ მწერალი ერიდება როგორც მრავალსიტყვაობას, ისე ძირითადი თემიდან გადახვევასა და ე. წ. პარალელური სიუჟეტების შემოტანას. თხრობისას ვაჟა ისეთ ფრაზებს არჩევს, რომლებიც ყოველგვარი „ავტორისეული ჩართვების“ გარეშე, უშუალოდ გამოხატავენ მოვლენათა არსებით მხარეს. და თუ ამას დავუმატებთ, რომ ვაჟას პროზაში ჩვენ ვერ ვხვდებით ვრცელ პერიოდებს, მაშინ გასაგებია, თუ რა აზრით უწოდებს მას სარეცენზიო წიგნის ავტორი „შეკუმშული პროზის“ ნიმუშს (გვ. 215 — 222).

10. ვაჟას დრამატურგიული მემკვიდრეობის საერთო თემატიკური განხილვის შემდეგ, გრ. კიკნაძე საგანგებოდ გამოჰყოფს „მოკვეთილს“ და აანალიზებს მას იდეური და დრამატული ხელოვნების თვალსაზრისით (გვ. 235 — 251). ავტორი აღნიშნავს „მოკვეთილისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ მოტივთა სიახლოვეს და შემდეგ გადადის დრამატურგიული ტექნიკის მხრივ „მოკვეთილის“ დახასიათებაზე.

საინტერესო აქ ის არის, რომ ავტორი, გარდა ვაჟას დრამატურგიის იდეურ-თემატიკური ანალიზისა, მკითხველს აცნობს ვაჟას პიესების სპეციფიკურ მხარეს, ე. ი. უჩვენებს, თუ როგორია მწერლის პიესები დრამატული ხელოვნების თვალსაზრისით, მაშასადამე, ავტორი გვიჩვენებს, თუ რას წარმოადგენს ვაჟა, როგორც დრამატურგი. ეს მხარე საგანგებო აღნიშვნის ღირსია, რადგან ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში არც თუ ხშირად გვხვდება მწერლის მხატვრული ოსტატობის დეტალური დახასიათება.

11. წიგნის მეათე თავი ეხება გმირთა დახატვის ხერხებს ვაჟას შემოქმედებაში. აქ ნაჩვენებია გმირთა დახატვის ის გზა, რომელსაც ვაჟა მიჰყვებოდა. ავტორის დაკვირვებით, ამ შემთხვევაში უპირატესად გმირთა დახატვის არაპირდაპირი გზაა არჩეული, როგორც ეს მრავალ დიდ ხელოვანს ახასიათებდა; ვაჟა-ფშაველა თავისი გმირების გარეგნობის სრულ აღწერას არ იძლევა, მაგრამ ამით მის პერსონაჟებს სინათლე არ აკლდება, რადგან სულიერი სამყაროს ჩვენების გზით ქმნის ვაჟა თავისი გმირების გარეგნულ ხატს.

12. საინტერესოა წიგნის ის თავი, რომელიც ავტორს ასე დაუსათაურებია: „ვაჟა-ფშაველა — ქართველ მწერალთა მემკვიდრე და წინაპარი (შენიშვნები)“. ამ თავში რიგი საგულისხმო დაკვირვებებია მოწოდებული. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რით და რა მხრივ ენათესავება ვაჟა-პოეტი რუსთაველს და უფრო კი დავით გურამიშვილს. საყურადღებოა ის სიახლოვე, რაც შეიმჩნევა აკაკის „ჭალარასა“ და ვაჟას ერთ სიმღერას („ჩონგურს სიმები დამიწყდა“) შორის. ასევე საგულისხმოა პოეტური შეხვედრები ვაჟას „დედის ტირილსა“ და აკაკის „განთიადს“ შორის და სხვ. აგრეთვე საყურადღებოა ავტორის მსჯელობა ვაჟა-ფშაველასა და გ. ლეონიძის პოეტური ნათესაობის შესახებ და სხვ.

13. სარეცენზიო წიგნის დიდი ღირსება ისიცაა, რომ ავტორმა გააბათილა ვაჟას შემოქმედების შესახებ ერთხანს საკმაოდ ფეხმოკიდებული ზოგიერთი ყალბი დებულება. რა თქმა უნდა, ამჟამად აღარავის სჯერა, რომ ვაჟამ „ვერ შეძლო ამაღლებულიყო თავისი დროის ამოცანების სიმაღლემდე“ და რომ იგი „ფშავის ვიწრო ხეობაში ჩაიკეტა და შეგნებულად შეზღუდა თავისი თემატიკა მთიელ ქართველთა და მეზობელ ტომთა სისხლისმღვრელი შინაომებით“ და სხვ.

მაგრამ ამ მხრივ ვაჟას საბოლოოდ რეაბილიტაციას დასაბუთება სჭირდებოდა და ეს მოახერხა სარეცენზიო წიგნის ავტორმა. წიგნში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, თუ როგორ გამოიხატა ვაჟას შემოქმედებაში მთის „მოუცილებელი და განუწყვეტელი კავშირი მთელ საქართველოსთან“, „თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჟას შემოქმედებას ქართველი ხალხის საერთო — ეროვნული ამოცანების თვალსაზრისით“ (გვ. 316).

მაგრამ ყველაზე ფეხმოკიდებული უმართებულო შეხედულება, რომელიც ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეში წარმოიქმნა, ვაჟას ენის საკითხს შეეხებოდა. არც ერთი დიდი ხელოვანი, და მათ შორის ვაჟაც, არ შეიძლებოდა საერთო სალიტერატურო ენის წინააღმდეგ წასულიყო და ერთი რომელიმე დიალექტის თვალსაზრისზე დამდგარიყო. მაგრამ ვაჟას პოეზიაში სწორედ ასეთი ტენდენცია დაინახეს და მწერალს ფშაური კილოს დამკვიდრების ცდა უსაყვედურეს. წიგნის ავტორი ნათლად გვიჩვენებს, რომ არც თეორიულად და არც პრაქტიკულად ვაჟას ასეთი პოზიცია არ აურჩევია. ის, რაც ვაჟას პოეზიაში სალიტერატურო ენიდან გადახვევად მიიჩნიეს, მხოლოდ ვაჟას სტილის თავისებურებაა და არ შეიძლება მას ესთეტიკური ფუნქცია წავართვათ.

ასეთია სარეცენზიო წიგნის ხასიათი. უკვე ნათქვამიდან ჩანს, თუ როგორი ერუდიციითაა შესრულებული ეს ნაშრომი და რამდენად საინტერესოა იგი საკითხების ღრმა და ორიგინალური დამუშავებით.

მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს წიგნი ზოგიერთ ნაკლსაც შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სასურველი იყო ამ წიგნს დართვოდა ვაჟა-ფშაველას შესახებ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გამოქვეყნებული სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა და კრიტიკული შეფასება.

ჩვენ გვგონია, რომ წიგნის შესავალში საკმაო სისრულით არ არის დახასიათებული ვაჟას ლიტერატურული შეხედულებანი და, საერთოდ, აჯობებდა მწერლის ლიტერატურული შეხედულებანი ცალკე თავად გამოყოფილიყო.

მეტი შეიძლებოდა თქმულიყო ადრინდელ მწერლებთან ვაჟას პოეტური სიახლოვისა და შემდგომი ხანის მწერლობაზე ვაჟას პოეტური გავლენის შესახებ. ეს საკითხი უფრო მეტი სისრულით წარმოდგენას საჭიროებს.

აღნაგობის თვალსაზრისით შესაძლებელია უკეთესი ყოფილიყო, თუ ავტორი „გველის მჭამელს“ ცალკე თავად კი არ გამოყოფდა, არამედ მას ვაჟას მსოფლმხედველობის ანალიზისას განიხილავდა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენთვის მთლად დამარწმუნებელი არ არის ავტორის მტკიცება, რომ პოემაში დასმულია საკითხი სამყაროს ინსტინქტით წვდომისა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შეიძლება ეს მოსაზრება არ გაიზიარო, მაგრამ შეუძლებელია ავტორის მსჯელობის ლოგიკურ ხასიათს ანგარიში არ გაუწიო.

სასურველი იქნებოდა ვაჟას პოეზიის საგანგებო განხილვა ლექსთწყობის თვალსაზრისით. მაგრამ ეს უფრო მომავლის საქმეა.

წიგნი დაწერილია დახვეწილი, აკადემიური ტონით, მაგრამ გვხვდება ცალკეული ფრაზები, რომლებიც შეიძლებოდა უფრო ბუნებრივი ქართულით გამართულიყო, მაგალითად: „აქ სიმღერის განვითარება იმ შინაარსით მიდის, რომელიც პოეტის შინაგან სალაროში ძევს“ (გვ. 37), ანდა — „... ასეთი პოეზია აერთიანებს პოეზიის სხვადასხვა სახეს და შეხებაში მოჰყავს იგი ფილოსოფიასთან“ (გვ. 178).

თავისი წიგნის შესავალში გრ. კიკნაძე წერს: „ავტორი დარწმუნებულია, რომ რამდენად საგულისხმოც უნდა იყოს ვაჟას შემოქმედების განხილვა ,იგი მაინც ამ დაუშრეტელი ნიჭით დაჯილდოებული პოეტის მხოლოდ მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი დახასიათების ცდაა — მხოლოდ ცდა!“ (გვ. 5).

როგორიც არ უნდა იყოს თვით ავტორის მოკრძალებული განცხადება, რაც მხოლოდ ვაჟასადმი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას მოწმობს, ჩვენ გვგონია, ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ სარეცენზიო წიგნი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა ვაჟა-ფშაველას შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო შენგელია

★

# წიგნი დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებაზე

გ. კიკნაძის ნაშრომის ძირითადი ღირებულება ისაა, რომ იგი წარმოადგენს მეტად თავისებური მოაზროვნე პოეტის — ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ორიგინალურად გარჩევის ცდას. წიგნში საინტერესოდაა მოცემული ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ანალიზი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ვაჟა არ იყო წარმართულ პოზიციებზე მდგარი პოეტი, იგი არ იყო ანთროპომორფისტი და ანიმისტი, არ იყო პანთეისტი, არ იყო სიმბოლისტი, არამედ ვაჟა ყველგან და ყოველთვის მძლავრ რეალისტ და ოპტიმისტ პოეტად რჩებოდა. ასევე დამაჯერებლადაა ნაშრომში განხილული ვაჟა-ფშაველას ხალხურ შემოქმედებასთან ურთიერთობის საკითხი, ვაჟას წერის მანერა, გმირთა დახატვის ხერხები პოეტის შემოქმედებაში და „ვაჟა-ფშაველა ქართველ მწერალთა მემკვიდრე და წინაპარი“. ერთი სიტყვით, მთელ ნაშრომს „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი დიდ სიყვარულისა და ხანგრძლივი შემოქმედებითი კვლევის ბეჭედი აზის.

მიუხედავად დადებითი მხარეებისა, გრ. კიკნაძის ნაშრომი ჩემი აზრით, შეიცავს მთელ რიგ სადავო და მცდარ დებულებებს.

არ არის სწორი გრ. კიკნაძის დებულება, თითქოს „ვაჟას შემოქმედებაში ნაწარმოების მომხიბვლელობა იდეის ხარჯზე კი არ მოხდა, არამედ, პირველ ყოვლისა, სახეების მომჯადოებლობაზე დამკვიდრდა“ (გვ. 34). არა მგონია დიდ მტკიცებას მოითხოვდეს ის გარემოება, რომ რაგინდ მხატვრულად არ იყოს დაწერილი ნაწარმოები, თუ მასში გამოთქმული იდეები ხალხს არ იზიდავს, თუ იგი ხალხის ფიქრსა და ოცნებას არ გამოხატავს, ასეთი ნაწარმოების ავტორი დიდების კვარცხლბეკზე ვერ შედგამს ფეხს. ამ დებულების ნათელ დადასტურებას თვით ვაჟას უკვდავი შემოქმედება იძლევა. ნუთუ ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ ერთმა უბრალო ფშაველმა ვაჟას ბრწყინვალე პოემა „ბახტრიონის“ წაკითხვისას დაჭრილი ლუხუმის ფეხზე წარმოდგომაში იმდროინდელი საქართველოს აღორძინება იგულისხმება, მარტო პოემაში გამოყენებულ ბრწყინვალე პოეტური „სახეების მომაჯადოებლობას“ უნდა მივაწეროთ და არა პოემაში გამოთქმულ ბრწყინვალე პატრიოტულ იდეებს?! ცხადია, საკითხის ასე დაყენება ჭეშმარიტი ფაქტის უგულებელყოფა იქნებოდა, რის გამო თვით გრ. კიკნაძე წიგნის მრავალ ადგილას სრულიად სამართლიანად უსაყვედურებს სხვა კრიტიკოსებს. ვაჟა-ფშაველას სიდიადე იმაში მდგომარეობს, რომ მის შემოქმედებაში ფორმა და შინაარსი ერთ მთლიანობაშია მოცემული პოეტური „სახეების მომაჯადოებლობა“ ჰარმონიულად შეთანხმებულია ღრმა და ბრწყინვალე იდეებთან. ვაჟა-ფშაველა მკითხველთა ფართო მასებში უდიდესი პოპულარობით, სარგებლობდა პირველ რიგში, სწორედ მის უკვდავ ნაწარმოებებში გამოთქმული ღრმა იდეებით, რომლებიც ბრწყინვალე პოეტურ ფორმაში იყო გამოვლენილი.

ასევე არასწორია გრ. კიკნაძის მეორე დებულება, რომ „ვაჟა-ფშაველას სევდა არის სევდა გულუბრყვილო, სევდა სხვაზე გაუბოროტებელი, სევდა სხვისადმი მიუმართავი დაეპიურად მიმდინარე“ (გვ. 38). ნუთუ ეს ითქმის „მხედართა ძველი სიმღერის“, „არწივისა“ და სხვა ლირიკული შედევრების ავტორზე? ცხადია, არა.

არაზუსტია დებულება: „ლირიკული ქმნილება, საზოგადოდ, განსაზღვრული მიზნისაკენ მდინარებით ხასიათდება, მაშინაც კი, როდესაც მიზანი თვით მწერლისათვის ყოველთვის ნათელი არ არის“ (გვ. 3). ასეთი დებულების მიყენება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის სავსებით უსაფუძვლოა, რადგან ვაჟა უდიდესი ხელოვანი იყო, თვით უმაღლეს პოეტურ ზეშთაგონების მომენტშიაც კი გარკვეული მიზნისაკენ მიისწრაფოდა და თავის ლირიკულ შედევრებში ყოველთვის ნათელ და ადამიანთა საზოგადოებისათვის გამოსადეგ იდეებს ქადაგებდა. ამ დებულების ნათლად დამადასტურებელია ვაჟა-ფშაველას მიერ 1907 წელს დაწერილი ლექსი „სიმღერა“ („როს ვუკვირდები თავის-თავს“). ამ ლექსში დიდი პოეტური მგზნებარებით გადმოგვცემს ვაჟა: როცა იგი უკვირდება საკუთარ თავს და წარმოიდგენს, რომ მას ცხოვრებაში ათასობით მადლიანი საქმე გაუკეთებია, ხოლო ცოდვილიანი საქმე კი სადღაც კენტად რჩება, პოეტს მხრები ესხმება და ზეცისაკენ გასაფრენად მიიწევს, ამ მომენტში პოეტის გულში ნათელი დაისადგურებს და „ზღვავდება მწყობრი სიტყვებ-

ქალალდზე დასაბლერტალა“, მაშინ პოეტს „გულის სიმები“ აუთრთოლდება, „მუზაც ეწვევა“ და პოეტის ჩანგი იწყებს საამო ხმაზე ჟღერას. ასეთ შემთხვევაში პოეტი ნეტარების ზღვაში ცურავს და ზეცის კალთა ხელთ უპყრია. ამ მომენტში პოეტი თავისი ხვედრის მეტად მადლიერია და მისი ლექსი არა მარტო პოეტს, არამედ მკითხველებსაც აჯადოებს. კონტრასტულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა პოეტს ცოდვები მოჭარბდება. მაშინ იმავე პოეტის ჩანგი დუმს, იგი „დაჩლუნგებულა, დამდგარა, შემოჰხვევია გველია“, პოეტი თავს ჯოჯოხეთში გრძნობს და თავის გაჩენის დღეს წყევლის. მიუხედავად იმ დიდი პოეტური ფანტაზიისა, რომელსაც ვაჟა ამ ლექსში ამჟღავნებს, ლექსის დასკვნითი სტრიქონები — „ასე ყოფილა მგოსანსა, თუ მადლი გამოელია“ მაინც გარკვეული, საღი რეალისტური იდეის ნათელი გამოვლენაა. ეს ლექსი „განსაზღვრული მიზნისაკენ მდინარებით ხასიათდება“ და ლექსის იდეაც ჩვენთვის გასაგებია. ვაჟას აზრით, მაშინაა ლაღი და მიმზიდველი პოეტის შემოქმედება, როცა იგი მადლიანი იდეების მქადაგებელია. ცხადია, ვაჟას მიზანია შთააგონოს პოეტები, რომ მადლიანი, ჰუმანური იდეების ქადაგების გარეშე შემოქმედება მკვდარია.

არჩევს რა პატრიოტული ნაკადის ხასიათს ვაჟა-ფშაველას „სიმღერებში“, გ. კიკნაძე ასეთ საერთო დასკვნას აკეთებს: „...ვაჟას სიმღერებში ერთი რომელიმე მოტივის ბატონობაზე ლაპარაკი სწორი არ იქნება. უფრო მართებული აღმოჩნდება, თუ მის „სიმღერებში“ ვცნობთ თემატურ ნაკადთა არა მხოლოდ თანაარსებობას, არამედ მათს თანასწორლირებულიანობასაც“ (გვ. 41). ცხადია, როგორი თვალსაზრისითაც არ უნდა ვიმსჯელოთ ვაჟა-ფშაველას „სიმღერებზე“, მათში მთავარი მაინც პატრიოტული მოტივია.

ავტორი ცდილობს, პატრიოტიზმის იდეის გამოხატვაში განსხვავება დაინახოს ი. ჭავჭავაძე—აკ. წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას შორის და ასკვნის: „...მაშინ, როდესაც ილიასა და აკაკის შემოქმედებაში მაინცდამაინც სამშობლოს რომელიმე კუთხისადმი სიყვარული კი არ ჩქეფს, არამედ მათი სიყვარულის ობიექტია საზოგადოდ სამშობლო... ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სამშობლო წარმოდგენილია არა როგორც ზოგადი იდეა, არამედ როგორც მისი კუთხე თავისი მდინარეებითა და მთებით, ყვავილებით, ფრინველებით და ცხოველებით“... (გვ. 44). ეს დებულება რომ სწორი იყოს, მაშინ ვაჟას შემოქმედებაში არ უნდა ექნეს ადგილი სამშობლოს სიყვარულის ზოგადი ცნების გამოხატვას. მაგრამ ვაჟას შემოქმედებაში ხომ ეს უკანასკნელიც მეტად მძლავრადაა მოცემული! საკმარისია მოვიგონოთ ვაჟას პატრიოტული შედევრიდან — „ბახტრიონი“ კვირიას პატრიოტული სიტყვები, აგრეთვე ლირიკული შედევრი — „მხედართა ძველი სიმღერა“, რომ მტკიცედ დავრწმუნდეთ მკვლევარის მიერ წამოყენებული დებულების არასიზუსტეში. მართალია, ვაჟა სამშობლოს სიყვარულის დიად განცდას ხშირად კონკრეტულ კუთხის სიყვარულთან აკავშირებს, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ვაჟა ასევე ხშირად „საზოგადოდ სამშობლოსადმი სიყვარულზედაც დიდი გრძნობით ლაპარაკობს არა მარტო პოემებსა და ლექსებში, არამედ პროზაულ შედევრებშიაც, როგორიცაა, მაგალითად, „ხმელი წიფელი“, „ფესვები“ და სხვა.

არ იყო საჭირო იმის მტკიცება, რომ „ვაჟა-ფშაველას სხვა ნაწარმოებში, ისევე „მოხუცის ნათქვამსა“ და „ბახტრიონშიაც“, მიუხედავად მათი პატრიოტული ხასიათისა, იდეა ვერ ჩრდილავს და ვერ ჩქმალავს მასალას“ (გვ. 54). ამ დებულების მოტანა მკვლევარს, ალბათ, იმიტომ დასჭირდა, რომ ცოტა ქვემოთ უფრო გაბედულად ნათქვამი დებულება წამოეყენებინა „ბახტრიონისა“ და „მოხუცის ნათქვამის“ შესახებ: რაკი ხსენებულ პოემებში „ადგილი აქვს ნაირნაირი მოგონებების უწყვეტ დინებას, აქ პოეტი ხშირად უხვევს ძირითადი თემიდან ამა თუ იმ შედარების მოწოდების მიზნით. ამიტომ ხანდახან მწერლის უშუალო მიზანი იჩქმალება და თვით გადმოცემული მასალის მშვენება გვიტაცებს. ასეთია, სხვას რომ თავი დავანებოთ, კვირიას სიზმარი“ (გვ. 54). ამ დებულების პირველი ნაწილი, რომ „პოეტი ხშირად უხვევს ძირითადი თემიდან“ მხოლოდ ვაჟა-ფშაველას, როგორც შემოქმედის, ფართო დიაპაზონს ადასტურებს და სხვას არაფერს, ხოლო დებულების მეორე ნაწილი, რომ „ხანდახან მწერლის უშუალო მიზანი იჩქმალება და თვით გადმოცემული მასალის მშვენება გვიტაცებს“, რის დამადასტურებლადაც გ. კიკნაძე კვირიას სიზმარს ასახელებს, აშკარად არასწორი მოსაზრებაა. კვირიას სიზმარი მართლაცდა დიდი პოეტური ოსტატობითაა გადმოცემული, მაგრამ ნუთუ ამ ადგილის წაკითხვის შემდეგ მკითხველი არ გრძნობს, რომ კვირიას სიზმარი ალეგორიული სახეა ბახტრიონის ციხის მოძალადე თათრებისაგან უცილოდ განთავისუფლებისა. ვაჟა-ფშაველა უძლიერესი მხატვარია, მაგრამ როგორი სიძლიერითაც არ უნდა დახატოს პოეტმა ესა თუ ის მოვლენა, მის პოეტურ სახეებში ყოველთვის ვგრძნობთ გარკვეული, საღი იდეის ბრწყინვას და „გადმოცემული მასალის მშვენება“ არასდროს არ ფარავს მწერლის უშუალო მიზანს.

არადამაჯერებელია მკვლევარის მტკიცება, თითქოსდა „ალუდა ქეთელაურში“ როგორც ადათობრივი სიმართლის ნორმა, ისე არ უნდა გავიგოთ მტრის მკლავის მოჭრის ჩვეულება“

(გვ. 62), რადგან ამ დებულების დამადასტურებლად თვით ავტორის მიერ „ალუდა ქეთელაურიდან“ იქვე მოტანილი ადგილი ადასტურებს ასეთი მოსაზრების უსაფუძვლობას:

„წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა.

(ხაზი ჩემია — ს. შ.)

ვაი აგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა „ბრალითა!“ — გოდებს ალუდა.

ცხადია, თუ მოკლული მტრისათვის მარჯვენის მოკვეთა პატრიარქალური თემის პირობებში მცხოვრებ ადამიანთათვის „ადათობრივი სიმართლის ნორმად“ არ იქნებოდა გამოცხადებული, ამ შემთხვევაში ალუდას მძიმე სადარდებელი რა ექნებოდა!

აქედან გამომდინარე, არც ეს დებულებაა სწორი: „რაც მთავარია, ასეთი ცნობიერება თვით თემსაც არ აქვს. საქმე ისაა, რომ თემი მკლავის მოჭრის ადათის დაცვით კი ბოაა მაინდამაინც დაინტერესებული, არამედ მას ალუდას ვაჟკაცობაში ეპარება ეჭვი“. ამ დებულებასაც „ალუდა ქეთელაურიდანვე“ თვით გ. კიკნაძის მიერ მოტანილი ციტატი არღვევს, ხევსურები ალუდას ერთხმად შესძახებენ:

„გამოჰქცევიხარ ქისტის შვილს
გადუქცევიხარ ქალადა.
მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ,
უკვენ მისდევდი მა რადა?!“
(ხაზი ჩემია — ს. შ.)

„ალუდა ქეთელაურიდან“ ზემომოტანილ ციტატებში ხაზგასმული სიტყვებიდან ნათელია, რომ ალუდა ქეთელაური თემმა უწინარეს ყოვლისა, იმიტომ გაკიცხა, რომ მან მოკლულ მტერს მარჯვენა არ მოსჭრა, რითაც დაარღვია თემის დახავსებული წესი, ხოლო შემდეგ ამას ის დაემატა, რომ ალუდამ „მოუნათლავ გმირს“ — მუცალს საკუთარი ხელით შესწირა საკლავი, რითაც მეორედ დაარღვია თემის ადათი. ეს ორი მომენტი გახდა საბაბი ჰუმანისტისა და სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის — ალუდა ქეთელაურის სამშობლოდან გაძევებისა.

ვაჟა-ფშაველას დამსახურება თემისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხის გარკვევისას სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მწერალმა თავის შემოქმედებაში (განსაკუთრებით პოემებში „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“ (მოგვცა თემის დახავსებული წესების წინააღმდეგ ამხედრებული პიროვნებები, რომლებიც მოითხოვენ თემის ისეთი ჩვევების ძალაში დატოვებას, რომლებიც სხვადასხვა კუთხისა და ერის ადამიანთა დამეგობრებასა და ადამიანისაგან ღირსეული ვაჟკაცისადმი პატივისცემას მოითხოვს (ჯოყოლა სტუმრის მტკიცედ დამცველია, ალუდა კი კარგი ვაჟკაცისათვის მარჯვენის მოკვეთის მოწინააღმდეგეა), ხოლო სასტიკად გმობენ თემის ისეთ ჩვევებს, რომელთა პრაქტიკული განხორციელება სისხლის ღვრასა და ხალხთაშორის შუღლის ჩამოგდებას იწვევს. ერთი სიტყვით, თემისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემას ვაჟა, როგორც დიდი ჰუმანისტი პოეტი, ადამიანთა საზოგადოების საკეთილდღეოდ წყვეტს. ვაჟა მოითხოვს პიროვნების განთავისუფლებას თემური წყობილების არტახებისაგან და ადამიანის თავისუფალი, ჰუმანიური აზრებისათვის ფართო გასაქანს მოითხოვს.

თემური წყობილების ადათ-ჩვეულებების მძაფრი კრიტიკით ვაჟა-ფშაველა დიამეტრალურად გაემიჯნა ხალხოსნებს, რომლებიც ხელოვნებით აიდეალებდნენ თემური წყობილების კანონებს და პატრიარქალურ თემს სოციალიზმის ჩანასახად და საფუძვლად თვლიდნენ.

გ. კიკნაძის დებულება, რომ ვაჟა-ფშაველას პერსონაჟებს სრულიად არა აქვთ განზრახული, დაუპირისპირდნენ თემის რომელიმე ადათს და უარყონ იგი“ (გვ. 74), ვაჟა-ფშაველას მდიდარ პოეტურ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ეწინააღმდეგება.

გ. კიკნაძე თავის ნაშრომში საგანგებო ადგილს უთმობს ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური პოემის „გველის მჭამელის“ ანალიზს. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ხსენებული პოემის იდეური გარკვევის საკითხში აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი.

გ. კიკნაძე სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ირგვლივ პროფ. ს. დანელიასა და ის. ვართაგავას მიერ გამოთქმულ მცდარ შეხედულებებს. მაგრამ ამის შემდეგ ჩვენი მკვლევარიც ვერ იძლევა „გველის მჭამელის“ თემის სწორ განსაზღვრას. გრ. კიკნაძის აზრით, „გველის მჭამელში“ ვაჟამ... სწორედ ის გვიჩვენა, რომ, გონების გვერდით, ასეთი არადამიანური ინსტინქტებითაც (იგულისხმება „მინდიას პიროვნების წამმართავი პრინციპი“ — ჰუმანურობა— ს. შ.) შეიძლება გარემოს წვდომა, მისი ერთგვარი გაგება, ამაში მდგომარეობს „გველის მჭამელის“ მთავარი აზრი, საკითხის ამგვარ დასმაშიც გამოვლინდა ვაჟა-ფშაველას დაკვირვებისა და აზროვნების სიღრმე“ (გვ. 147). ეს დებულება ჩვენ ბუნდოვანად მიგვაჩნია.

არადამაჯერებელია გრ. კიკნაძის მტკიცება, თითქოს „არც თემა, არც ენა და სხვა მისთანანი „ვეფხისტყაოსნისა“, რასაკვირველია, ხალხური არ არის, მაგრამ იგი შეუდარებლად უფრო მეტადაა მიჩნეული ხალხის საკუთრებად და მის წიაღთან დაახლოებულად, ვიდრე ნიკო ლომოურის თუ სოფ. მგალობლიშვილის რომელიმე ნაწარმოები“ (გვ. 156).

ნუთუ შესაძლებელია, რომ მხატვრული

ნაწარმოების „არც თემა, არც ენა“ ხალხური არ იყოს და ასეთი ნაწარმოები ხალხის საკუთრებად იქცეს?! ცხადია, არა.

გრ. კიკნაძის ნაშრომის მერვე თავში — „ვაჟა-ფშაველას მხატვრული პროზა“ უფრო მწერლის წერის მანერაზეა ლაპარაკი, ვიდრე ნაწარმოებებში გამოხატულ იდეებზე. საჭირო იყო ვაჟას პროზაული შედევრების იდეურ ანალიზს ჯეროვანი ადგილი დასთმობოდა, ამით შრომა დიდად მოიგებდა.

ეხება რა ვაჟა-ფშაველას დრამატურგიულ თხზულებებს, გრ. კიკნაძე ვაჟას „სცენების“ (ფშაველების ცხოვრებიდან) მიმართ ასეთ დებულებას ავითარებს: „ამ სცენებში ვაჟა ისეთ თემას შეეხო, რომელსაც იგი შემდგომშიც, — სხვა კუთხით და სხვა თვალით, — არა ერთხელ განიხილავს. ასე, მაგალითად, ცოლის, როგორც შემბორკავის, მაიძულებელის და გზის დამბნევის მოტივს ამუქებს ვაჟა „გოგოთურსა და აფშინასა“ და განსაკუთრებით კი „გველის მჭამელში“ (გვ. 238). ყოვლად შეუძლებელია, რომ გოგოთურის ცოლი მზიასთან გავაიგივეოთ. აი საითკენ მოუწოდებს ცოლი გოგოთურს:

წადი, შენც ვინმე გაცარცვე,
არ გინდა სარჩო ნეტარა?
ქისტებს თავები გაჰბალთე,
ხევსური დაადევ ბეგარა.
ამბობენ, აფშინაის ცხენს
ტანი სრულ ვერცხლით ეფარა.

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ გოგოთურის ცოლი ჩვენ წინაშე წარმოდგება, როგორც ფუქსავატი ქალი, რომელსაც ეგოისტური გრძნობები, პირადი გამდიდრების სურვილი ამოქმედებს და ასეთი მისწრაფების განხორციელების მიზნით იგი ქმარს ბოროტების ჩადენისაკენ მოუწოდებს. მაგრამ გოგოთური, როგორც ჭეშმარიტ რაინდს შეშვენოდა, არ აჰყვა ცოლის ამ ცდუნებას. ნუთუ გოგოთურის ცოლი ჰგავს მზიას, რომელიც ქმრისაგან მხოლოდ იმას მოითხოვს, რაც ოჯახის შენახვის ადამიანური მინიმალური მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობდა მხოლოდ?! სწორედ ამიტომ მოხდა, რომ მინდიამ ანგარიში გაუწია ცოლის მოთხოვნას, უღალატა თავის რწმენას და ოჯახის მოვლის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაება. მინდია ბოლოს თვითონაც გრძნობდა, თუ რამდენად დატანჯა მან თავისი ოჯახის წევრები, როცა იგი ილუზიებით თავგაბრუებული იყო და სწორედ ამიტომაც „გველის მჭამელის“ ცნობილ ადგილში (მზიას სიზმარი) მინდიამ თავისი ცოდვები შემდეგი სიტყვებით მოინანია:

გთხოვ, მაპატიო, მზიაო,
რაც გლანძღე, გაგაბრაზია:
რასაცა ჰხედავ ჩემს თავზე,
ღირსი ვარ, სწორედ ახია...

ეროვნული

ბევრი ორიგინალური აზრია გამოთქმული გრ. კიკნაძის ნაშრომის მეათე თავში—„გმირთა დახატვის ხერხები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, მაგრამ ზოგიერთი სადავო დებულება წიგნის ამ ნაწილშიცაა. ასე, მაგალითად, როცა გრ. კიკნაძე ვაჟა-ფშაველას მიერ გმირთა სულიერი სამყაროს დახატვის თავისებურებაზე ლაპარაკობს, ვაჟასაგან განასხვავებს (გმირთა დახატვის საქმეში) ილიასა და აკაკის წერის მანერას. აქვე მკვლევარი შენიშნავს; „ილიას „კაცია ადამიანს“, „მეფე დიმიტრი თავდადებულსა“, ანდა „განდეგილში“, აკაკის „ბაში აჩუკსა“, „ნათელასა“ და „თორნიკე ერისთავში“ ბატონობს ტენდენცია, რომ გმირის გარეგნობითვე გამოიხატოს და აღინიშნოს მისი სულიერი მხარე“ (გვ. 254). ეს დებულება არაა ზუსტი. აკაკის „ბაში აჩუკში“ ოცზე მეტი მოქმედი პირია და მათგან მხოლოდ ბაში-აჩუკისა და აბდუშაჰილის პორტრეტია მოცემული, დანარჩენი მოქმედი პირები კი მათ მოქმედებაშია დახატული.

საერთოდ, ჩვენი კლასიკოსების ასეთი დაპირისპირება არ იყო საჭირო, რადგან ილია და აკაკი ხშირად გმირთა მხოლოდ სულიერ დახასიათებას იძლეოდნენ და არა მათ პორტრეტს. ასე, მაგალითად, ილიას მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ მთავარი მოქმედი პირის პეტრეს პორტრეტი სრულიადაც არაა მოცემული. ასევე „ოთარაანთ ქვრივში“ არც ოთარაანთ ქვრივის, არც სოსია მეწისქვილისა და არც არჩილისა და კესოს პორტრეტებია მოცემული. აკაკის სახელგანთქმულ პოემაში „გამზრდელი“ თითქმის ყველა მოქმედი პირი მხოლოდ მათი სულიერი თვისებების მიხედვითაა დახასიათებული და არა პორტრეტულად.

მეტად საინტერესოდაა დაწერილი გრ. კიკნაძის ნაშრომის მეთერთმეტე თავი — „ვაჟა-ფშაველა ქართველ მწერალთა მემკვიდრე და წინაპარი“. წიგნის ამ ნაწილში მკვლევარი ლიტერატურული ფაქტების მოშველიებით დამაჯერებლად ადასტურებს, რომ ვაჟა იყო ადრინდელი ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებზე მდგარი შემოქმედი. შრომის ეს ადგილი ხასიათდება ციტატების მომარჯვებულად მოშველიებით, მაგრამ ერთ შემთხვევაში ნაწილობრივი უხერხულობა მაინც იგრძნობა. მკვლევარი, ეხება რა „თვითგამეორებებს“ ვაჟას შემოქმედებაში, შენიშნავს, რომ „ჯოყოლას სიტყვები — „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“ თითქოს გამეორდა „სისხლის ძიების“ სტრიქონში — „მკვდარ ძმას დის ცრემლი უხდება, ბანს მისცემს მთა და ბარია“ (გვ. 286). ვფიქრობ, „სისხლის ძიებიდან“ მოტანილი სტრი-

ქონის უფრო ზუსტი შესატყვისი იქნებოდა „სტუმარ-მასპინძლიდან“ შემდეგი სტრიქონები:

სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარ ძმას ტირილი დისაო...

ასევე არაზუსტია ანალოგიების ძიება (თუმცა სხვა სიტუაციაში) „სისხლის ძიების“ ამ სტრიქონებსა —

არ მინდა, თვალებს მიშინებს
ნახვა ქიჩირის ხელისა.
ვაჟკაცსვე ჰშვენის ეჭიროს
ხელი მოკლულის მტერისა (გვ. 286)

და „ალუდა ქეთელაურის“ ამ სტრიქონებს შორის:

მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,
იტყოდა: ცოდვა არიო;
ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო.
მკლავზედაც გებას მარჯვენა,
შენზეც ალალი არიო.

ვფიქრობ, „თვითგამეორების“ სიზუსტის დამადასტურებლად, „ალუდა ქეთელაურის“ ზემომოტანილი სტრიქონების ნაცვლად, ამავე პოემის აი, ეს სტრიქონები უფრო გამოდგებოდა:

...წაიღე, თუ გწამს უფალო,
ნულარ მაჩვენებ თვალითა.
კაი ყმის მარჯვენა არი,
გული მეწვება ბრალითა...

გ. კიკნაძის ნაშრომის უკანასკნელ თავში — „ვაჟა-ფშაველას პორტრეტი“ წამოყენებულია შემდეგი სადავო დებულებები:

მკვლევარი, ეძებს რა სევდიანი მოტივების გამომწვევ მიზეზებს ვაჟას შემოქმედებაში, დასძენს: „თვით სამყაროს რაობის გამოცნობის სურვილია მისი (იგულისხმება ვაჟა — ს. შ.) სევდის მიზეზი... ამ მშვიდი: წარბშეუხრელი ბუნების ხილვისა და გამოცნობის სურვილი არის ერთ-ერთი წყარო მისი სევდისა და არა ყოველდღიური წარმავალი ვითარება. ვაჟა გაურბოდა ამ ყოველდღიურობისადმი დაქვემდებარებას, იგი იწევდა „ზეცადა“ (გვ. 302). მართალია, ზოგ შემთხვევაში ვაჟას შემოქმედებაში სევდის გამომწვევი მიზეზი თვით სამყაროს საიდუმლოების არსში ჩაწვდომის სურვილიდან გამომდინარეობს, მაგრამ ვაჟასათვის, როგორც დიდი რეალისტი და სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი პოეტისათვის, მაინც ძირითადად დამახასიათებელია ადამიანთა ჭირ-ვარამზე, მათს ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრაზე ფიქრი და ზრუნვა და იგი არასოდეს არ გაურბოდა „ყოველდღიურობისადმი დაქვემდებარებას“, სწორედ ამაშია ვაჟას შემოქმედების სოციალური ხასიათი და მისი პოეტური შემოქმედების დიდი ძალა.

ასევე არაზუსტად ჟღერს დადებითი პერსონაჟებისადმი ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულების გარკვევის მიზნით გ. კიკნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „შეიძლება ითქვას, რომ ვაჟას შემოქმედებაში ამ ადამიანებისადმი სიყვარული ამაღლდა იმ დონემდე, სანამდეც ამაღლებულია ბუნებისადმი პოეტის სიყვარული“ (გვ. 305).

მართალია, ვაჟა-ფშაველა ბუნების უდიდესი მომღერალია, მაგრამ მის შემოქმედებაში ადამიანთა საზოგადოებისადმი სიყვარული მაინც ყველაზე მაღლა დგას. პოეტი ბუნების კანონზომიერების ურთულესი პრობლემების გარკვევის მომენტშიაც კი ადამიანთა საზოგადოებაზე ფიქრობს, ვაჟასათვის ბუნება არა მარტო ესთეტიკური ჭვრეტისა და ტკბობის საგანია, არამედ იგი ობიექტური რეალობაა, რომლის კანონზომიერების ხვეულებში ღრმად ჩახედვას პოეტი მხოლოდ ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით ახდენს. სწორედ ესაა პოეტის ბუნებასთან დამოკიდებულების ფილოსოფიური არსი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.

როცა ვაჟა ბუნების მოვლენებს უკავშირდება, მას ეს აინტერესებს არა როგორც თავისთავად არსებული მოვლენები, არამედ პოეტს სურს, რომ ბუნებაში არსებული კანონზომიერებანი ბუნებრივად დაუკავშიროს ადამიანთა საზოგადოების კანონებს. ასე, მაგალითად, პოეტი ლექსში „სიმღერა“ („კიდევ ხმა მესმა ციდამა“) ამბობს:

„....ულევ-უვსები რამ შექმნა,
თუნდა შევხედოთ მთვარესა!“

ვაჟას ამ მოვლენის მოგონება იმიტომ დასჭირდა, რომ ლექსის შემდეგ სტრიქონებში ადამიანთა საზოგადოებისათვის საჭირო ოპტიმისტური იდეები ექადაგებინა, ამიტომაც ბუნების ამ მოვლენის მოგონების შემდეგ პოეტი ახასიათებს ადამიანთა ცხოვრებას და განაგრძობს, რომ ადამიანთა საზოგადოებაშიაც ასეთ მარადიულ, კანონზომიერ ცვალებადობას. აქვს ადგილი;

დღეს მტირალს, ბედის მომდურავს,
ხვალ ისევ გაახარებსა.
ღარიბს ამდიდრებს, მდიდრისას
სიმდიდრეს გაათავებსა.
დაბმულს აუშვებს, ახსნილსა
დააბამს, გააკავებსა...
საწუთროს ჟინი შეიგნო,
დღე-ღამეობა ჟამისა:
ხვალ განთიადის მომლოდნელს
შიში არა აქვს ღამისა;
ზამთარს ზაფხული მოჰყვება,
ყნოსვითა ვსტკბებით მწვანისა...
სულდგმულს რად დაეძინაო,
ვისა აქვს ღონე დავისა?!

აქ საკვირველი რა არი,
დიდი სახეთქი თავისა?!..

ასევე, როცა ფილოსოფიურ ლექსში „ღამე მთაში“ ვაჟა ბუნებას შესცქერის, მასში ხედავს არა მხოლოდ საგანთა და მოვლენათა უბრალო გროვას, არამედ მათ ორგანულად ურთიერთდაკავშირებულ ჰარმონიას და პოეტს სურს, რომ ადამიანთა შორისაც ასეთი მტკიცე მეგობრული კავშირი იყოს. ლექსის დასკვნის სტრიქონებში ვაჟა ღრმა ფილოსოფიური გაგებით აყალიბებს ბუნების დიალექტიკური წინააღმდეგობის კანონს:

ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა,
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყავისა.

პოეტს ბუნების უმაღლესი კანონის — შინაგანი წინააღმდეგობის შედეგად მიაჩნია ბუნებაში არსებული მარადიული ცვალებადობა, აქედან გამომდინარე სიცოცხლის მარადიულობა და ამის შედეგად კი სილამაზის მარადიულობა. ასეთი იდეის ქადაგებით ვაჟა შთააგონებს მკითხველს, რომ ადამიანთა საზოგადოებაშიც ასეა: ცხოვრებაში არსებული წინააღმდეგობა საფუძველია მარადიული ცვალებადობისა, რაც თავის მხრივ საწინდარია მარადიული სიცოცხლისა, და ეს უკანასკნელი მარადიული სილამაზის არსებობის მტკიცე საფუძველია.

გ. კიკნაძის ნაშრომი დაწერილია გამართული ლიტერატურული და, თანაც, მხატვრული ენით, მაგრამ ზოგიერთი სტილისტური სახის უხერხულობანი წიგნში მაინც გვხვდება. ასე, მაგალითად, გაუმართავია შემდეგი ადგილი: „მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ იქვე, ამავე ლექსში, ახალი მოტივი შემოიჭრება, მოტივი, რომელზე გადასვლის აუცილებლობა (ხაზი ავტორისაა — ს. შ.) არც კი ჩანს და ამიტომ ის თვითღირებულების მქონეა, როგორც დამოუკიდებლად მომდინარე მოტივი“ (გვ. 40).

გარდა ამისა, დღევანდელი სალიტერატურო ქართული ენის ნორმების თვალსაზრისით არქაულად ჟღერს სიტყვა „ვითარცა“, რაც წიგნში ძლიერ ხშირად მეორდება.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე ბახტურიძე

★

# კარლო კალაძე

კარლო კალაძე ქართველ საბჭოთა მწერლობის იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც თავისი შემოქმედება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას ორგანულად დაუკავშირა.

საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელობა, და მშობლიური კერის შუქი და სითბო, ამღერებული ჩანგის ეროვნული კილო, ჭაღარა დედის მოსიყვარულე გული, საქართველოს მიწა-წყალზე მოწკრიალე წყაროს ჩურჩულში მოსმენილი ძველი არაკი, ამწვანებულ მთაველზე შეფენილი გაზაფხულის ნაირფეროვანი ხალიჩა, შემოქმედებითს შრომაში ჩაბმულ ადამიანთა ხალისი — ყოველივე ეს გამოხმაურებას ჰპოვებს კარლო კალაძის პოეზიაში.

მარტო შრომა და ზეიმი როდი აქვთ საერთო საბჭოთა ადამიანებს. მათ აგრეთვე აერთიანებს გმირული ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ.

რასაც არ უნდა აკეთებდეს, სადაც არ უნდა იღვწოდეს საბჭოთა ადამიანი, ყველგან და ყოველთვის მთელ თავის საქმიანობას სამშობლოს სიყვარულს უკავშირებს. შრომობს იგი საწარმოში თუ საკოლმეურნეო მინდვრებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში თუ არმიის რიგებში, თავის შრომას საბჭოთა პატრიოტი სამშობლოს კეთილდღეობას უძღვნის, მისი წინსვლისა და განვითარების საქმეში წვლილის შეტანის სურვილით არის შთაგონებული და აღფრთოვანებული. ჩვენში რომ სპორტსმენი რეკორდს ამყარებს, ეს წარმატებაც სამშობლოს საამაყოდ და სასიხარულოდ მიაჩნია. ეს გრძნობა კარგად გადმოსცა კარლო კალაძემ ლექსში „მთასვლელთა ბაასი“. ქართველი ალპინისტები მამაცად ძლევენ ზვიადი მწვერვალებისაკენ აღმართულ დაბრკოლებებს და ღრმად სწამთ, რომ „მხრებით როს ვარღვევთ ვიწრო ნაპრალებს, ესეც სამშობლოს სიყვარულია“.

საბჭოთა პოეტის შემოქმედებაში სამშობლოს სიყვარული განუყოფელია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცხოველმყოფელი იდეისაგან, ყველა ქვეყნის მშრომელთა სამშობლოს სიყვარულისა და პატივისცემის კეთილშობილური გრძნობისაგან.

ქართველ და უკრაინელ ხალხთა მეგობრობა საუკუნეებს ითვლის. ძირითადში ეს მეგობრობა გამოიხატა ორი მოძმე ხალხის სულიერი ცხოვრების ყველაზე უფრო სათუთი და ნატიფი მხარის საფუძველზე — პოეზიის შთაგონებული ფურცლებით. დავით გურამიშვილი და ტარას შევჩენკო, აკაკი წერეთელი და ლესია უკრაინკა თავიანთი შემოქმედებით ორი ხალხის უანგარო სიყვარულისა და გულითადი მეგობრობის კლასიკური გამოხატულებაა.

კ. კალაძის ლექსი „ლესია უკრაინკას ძეგლი სურამში“ ამ თემისადმია მიძღვნილი. პოეტის ღრმა რწმენით, ლესია უკრაინკა, სიცოცხლისა და მზის მოტრფიალე შემოქმედი, ახლაც ცოცხლობს, ვინაიდან მისი „ხმა ახლავს უკრაინელთა ახალ ცხოვრებას, ახალ იმედებს“ საქართველოსათვის კი იგი არა მარტო სტუმარი, არამედ ღვიძლი შვილია, დამაკავშირებელი მოძმე უკრაინელ ხალხთან, უწმინდესი ოცნებით და ფიქრით გაერთხმიანებული დავით გურამიშვილთან. გამარჯვებული საბჭოთა ხალხისათვის ხალხთა შორის მეგობრობა დიად მონაპოვარს წარმოადგენს და ამიტომ არის, რომ:

ეგ სიყვარული უმაღლესია
და გულით ხალხის გულთან მიჭრილი,
როგორც სურამის ქედზე ლესია —
დგას მირგოროდში გურამიშვილი.

საერთო გზამ და მიზანმა დარაზმა საბჭოთა კავშირის ხალხთა შვილები საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. როცა ქართველი დედა ბრძოლის ველიდან მიღებულ სურათზე თავისი ვაჟის გვერდით უკრაინელ მიკოლას სახეს დასცქერის, მას ერთი წამითაც არ ეეჭვება, რომ მისი შვილია ის უცნობი ჯარისკაციც. ვინაიდან საბჭოთა სინამდვილემ ძმებად აქცია სამშობლოს ღირსების დასაცავად დარაზმული პატრიოტები.

ამ ლექსში, რომლის სათაურია „დნეპრის ნაპირი შორს არის, განა?..“ პოეტი მდინარე

დნეპრს ვოლგისა და მტკვრის დობილს უწოდებს და ამბობს:

დნეპრის ნაპირი შორს არი, განა?
არა. ვინ გაჰყო სამშობლო ჩვენი!..
და აი, თუმცა ახლოა დნეპრი,
განა შორს არის ჩემი სოფელი?..

უკრაინაში ყოფნისას პოეტის სმენას ატკბობს დიდი კობზარის ტარას შევჩენკოს სამური ნანა, ჩაესმის გურამიშვილის ხმა და გრძნობს:

...ჩვენს დრომდე რამ მოიყვანა
აქ, ორი ხალხის ორი მგოსანი!
ის გრძნობს, თუ:

....რით არის გვირგვინოსანი
ბრძოლის და შრომის გმირული ხანა.

ლექსში „გურამიშვილის საფლავთან“ კარლო კალაძე გვიხატავს საქართველოდან შორს მყოფი ადამიანის განცდებს, ადამიანისა, რომელმაც უკრაინის მიწა-წყალი მშობელი დედის მფარველ კალთად მიიღო, ხოლო „უკრაინული სიმღერა ქართულ ხმას დაუკავშირა“.

ასეთივე ურთიერთობა დაამყარა საქართველოსათვის საბჭოთა სინამდვილემ სხვა ერების მიმართაც. თანამედროვე თაობისათვის უცხოა ის შუღლი და მტრობა, რაც ისტორიის გრძელ მანძილზე არსებობდა ქართველ ხალხსა და ლეკებს შორის. კ. კალაძე თავის ლექსში „მოგონება“ ლირიულ გმირს, ქართველ მხედარს შეახვედრებს ლეკის ქალთან. ეს უკანასკნელი სიყვარულით შემოეგება ქართველ ჯარისკაცს, რომელსაც გულში ჩაესახა ასულის ტრფობა და „ჩრდილოეთში თან დაჰყვება გამარჯვების იმედად“.

დიდი სამამულო ომის პერიოდში დაწერილი კარლო კალაძის ლექსები ნათლად გვიჩვენებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას საერთო მტრის წინაალმდეგ გმირულ ბრძოლაში.

ლექსში „უსახელო მთის ბალადა“, რომელიც მიძღვნილია მამაცი საბჭოთა მეომრების მიშაკოვისა და შალამბერიძისადმი, პოეტი უმღერის უსახელო მთას მისი რუხი ფერდობით; უმღერის იმიტომ, რომ ამ თითქოს უსულო და უსახელო მთის გულიც კი თანაგრძნობით ძგერს სახელოვანი საბჭოთა არმიისადმი, მასთან ერთად მთაც წინ გადაღობვია მტრის ურდოებს, რათა აღუკვეთოს წმიდათა წმიდა საბჭოთა მიწა-წყალზე თარეში. უსახელო მთის გულთან ჩასაფრდა ორი გმირი მებრძოლი — ქართველი შალამბერიძე და რუსი მიშაკოვი. მათ მკერდს მტკიცე ჯავშანივით იფარავდა მთის ფერდობი. მტერს შიშის ზარს სცემდნენ თავდადებული საბჭოთა პატრიოტები ჯარისკაცური უშიშარობით, ტყვიისა და ყუმბარის წვიმით. ამ გატაცებულ ბრძოლაში, თავდავიწყებულ შერკინებაში პოეტი ხედავს მარადიული ძმობის მკაფიო გამოხატულებას:

თქვენმა გმირობამ გული გვიჩვენა
მარადი ძმობის გამომხატველი, —
რუსი ვაჟკაცის მტკიცე მარჯვენა
და მხარი-მხართან მდგარი ქართველი!

გამუდმებული ომების დამარბეველი საშინელებანი მშვიდობიანმა შემოქმედებითმა შრომამ შესცვალა. შვებით ამოისუნთქა აქაურმა ბინადარმა და მკვიდრმა:

ჩემი ცხოვრების გარშემო
დამშვიდებული მთებია,
და ისევ გულში ბრუნდება
სისხლის ყოველი წვეთი, —

ამბობს საბჭოთა ადამიანი — თავისუფლების შვილი და მისი ერთგული დამცველი. იგი სიცოცხლესაც კი არ დაიშურებს, თუ ეს საჭირო იქნა სამშობლოს, ხალხის კეთილდღეობისათვის.

ეს ძლიერი ლტოლვა საბჭოთა ადამიანისა მუდმივი განახლებისა და შეუფერხებელი წინსვლისაკენ, დაუკმაყოფილებლობა არსებულით და სწრაფვა უკეთესი მომავლისაკენ. კ. კალაძემ კარგად გამოხატა ლექსის ამ სტრიქონებით:

და თუ ვიჩქარე, კაცმა რომ მკითხოს,
რა ბედს დავეძებ ან რა სანუკვარს?!
— სიცოცხლე ჩემი სიახლეს ითხოვს,
მას შუა გზაზე დგომა არ უყვარს.

თანამედროვეობის ყველაზე უფრო აქტუალურმა საკითხმა, ყველაზე უფრო პოპულარულმა მოძრაობამ, რომელიც დაეუფლა მილიონობით ადამიანის გონებასა და კეთილ ნებას მთელ მსოფლიოში — ბრძოლამ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის — ფართო ადგილი ჰპოვა კარლო კალაძის პოეზიის თემატიკაში.

კარლო კალაძის ლექსი „ზამთრის დილა“ განვლილი ქარტეხილების შემდეგ ჩვენში გამეფებულ სიმშვიდეს, მის ფონზე ასახულ საბჭოთა ადამიანის სულიერ განწყობილებას გადმოგვცემს. მასში დახატული თეთრად დათოვლილი ქართული ოდასახლებიც კი მშვიდობის მტრედებს მოგვაგონებენ. პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მშვიდად გუგუნებს კერა ქართული“. მოსიყვარულე დედის თვალები ალერსით შესცქერიან შვილს, ერთადერთ იმედს — ომგადახდილ ვაჟკაცს. წამიერად გაიელვებს ვაჟის თვალებში ტკივილით გამოწ-

ვეული ანაზღეული კრთომა — შედეგი ომში მიღებული ჭრილობისა. ეს კრთომა და დედის გულის კვნესა წუთიერია მხოლოდ. იგი ყუჩდება, რადგან არ „ემუქრება სოფელს არავინ— ზის მთაზე მშვიდად მტრედების გუნდი“.

• •
•

მოძმე ხალხის შვილებისადმი სიყვარული, მის მომავალ ბედზე ზრუნვა ქართველ მეომარს მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშიც კი თავის უპირველეს მოვალეობად და ურყევ კანონად მიაჩნია. პოეტი მოგვითხრობს, როგორ იშვილა ბალყარეთში, ბაქსანის ნაპირებზე ქართველმა ჯარისკაცმა გახა ბუქურაულმა მტრის ტყვიით განგმირული რუსი ქალის ოქროსთმიანი პატარა პირმშო:

იქ ჩემს მალხაზებს ძმად ეყოლება,
იზარდოს, მათთან ითარიკაოს!..

საყურადღებო ნაწარმოებია კარლო კალაძის ლექსი „საარტილერიო დუელი“. აქ ავტორი პოეტური საღებავებით გვიხატავს კავკასიონის მთებში მძრწოლავ სიკვდილს. მაგრამ იგი როდი ჰგავს ჩონჩხს, რომელსაც ცელი უპყრია და თვალის ღრმულები თავის სოროებს მიუგავს, ჩვეულებრივად რომ ხატავენ. არა, ეს ნამდვილად ხორცშესხმული სიკვდილია, თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს არის საშინელება, რომელიც წყვდიადს ჰკვეთს ელვარედ გაჩაღებულ გუგათა სიღრმით, კლანჭებით თხრის სამარეს, ეს არის მოხერხებული და მრისხანე მკვლელი, რომელიც საბედისწეროდ სჭექს კლდეებში და სცელავს სიცოცხლეს.

მაგრამ სიკვდილის ამ საშინელებას გზა გადაუღობეს პიტალო კლდისაგან გამოკვეთილმა საბჭოთა ადამიანებმა:

ასჯერ მოასკდა კლდეებს სიკვდილი,
ასჯერვე შეხვდა ჩვენი კრებული
და ღამის შემდეგ მაინც იმ დილით
სიკვდილი დარჩა დამარცხებული.

პოეტმა შეძლო მხატვრულ ფორმაში ეჩვენებინა სიცოცხლის შერკინება სიკვდილთან, შეძლო რამდენიმე სიტყვით ეჩვენებინა ომის საშინელება, ქართველი საბჭოთა მეომრების თავდადებული გმირობა, მათი გაუტეხელი ნება — რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ეძლიათ სიკვდილი, განადგურება, რომ ეზეიმნა სიცოცხლეს და ბედნიერებას, და „რომ ისევ ერთა დასალუპავად თავისუფლებას მტერი არ ჰყავდეს...“

ჩვენი ხალხის ერთსულოვანმა შემართებამ მოსპო მტერი და კვლავ ააბიბინა ჯეჯილი „იქ, სადაც მიწა დათხარა ნაღმმა, ვაშლის ხე ტყვიით მკვლავმოჩეხილი კვლავ აყვავილდა მდინარის გაღმა“.

გამარჯვებული ხალხის შემოქმედებითმა შრომამ ბაღნარად აქცია საუკუნეების მანძილზე გვალვებისაგან ილაჯგამოცლილი ნიადაგიც კი. არხებით დაისერა ოდითგანვე ურწყავი ადგილები. სამგორის ხრიოკი ველი წალკოტად აშრიალდა.

საბჭოთა პატრიოტიზმის ფესვები სამშობლოს მაღალი თვისებებით არის გამოკვეთილი მას ასაზრდოებს ჩვენი ნათელი აწმყო და კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალი. მშობლიური კერა ყველაზე ძვირფასია საბჭოთა პატრიოტისათვის. პოეტიც ამიტომ ამბობს:

მეც ამ კერის ნაპერწკალმა
ამანთო და ამამღერა.

ძნელია გამოიცნო — ადამიანის სასიხარულო ღიმილს ამშვენებს ჩაუქრობელი კერა, თუ პირიქით!

კარლო კალაძის ლექსი „დედა“ ასახავს საბჭოთა პატრიოტის გულწრფელ განცდებს, პატრიოტისა, რომელსაც სიცოცხლე იმიტომ უყვარს, რომ ამ ქვეყნად დედაშვილური გრძნობა არსებობს, მშობლიური მხარე ჰყვავის, სახლიკაცთა კილო ისმის და მისი კარდაბალი ფიცრული სახლი განუყრელი ძაფებით არის დაკავშირებული მთელ გარე სამყაროსთან. ამაში მდგომარეობს კ. კალაძის იმ ლექსების ღირსება, რომლებიც ერთ ციკლად არიან გაერთიანებული — „ისევ მშობლიურ სოფელში“.

მართალია, პოეტი ლაპარაკობს თავის ლექსებში მშობლიური სოფლის, მოგვარეების, ერთის შეხედვით უაღრესად ინტიმური განცდების შესახებ, მაგრამ მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ ეს სითბო და სიყვარული არ ეკუთვნის მარტო საუბრის საგანს, იგი მთელი სოციალისტური სამშობლოსადმია მიმართული. აქ თვითეული კონკრეტული მოვლენა აყვანილია მხატვრული განზოგადების დონემდე. ეს დონე და მაღალი ხარისხი ანიჭებს მათ დიდ ესთეტურ და შემეცნებითს მნიშვნელობას.

ავიღოთ თუნდაც ლექსი „მედოქეები“. პოეტი აქ ხატავს მეტად უბრალო, მაგრამ ძალზე კოლორიტულ ამბავს. მის მშობლიურ სოფელში ჩემი სოფლიდან ჩვენებური კერამიკის ოსტატებმა ურმით ჩაიტანეს თიხის ჭურჭელი. კ. კალაძე მათ აყალო მიწით მძერწავ წარმართთა მეტოქეებს უწოდებს. ურემზე დაულაგებიათ ფუჩეჩში შეფუთვნილი სურა, ხალამი, ჭინჭილა... ამ ფერწერული ნახატის სრულყოფისათვის პოეტს არც შავი ნაგაზი დავიწყებია, რომელიც მეურნეებს თან დაჰყავთ ჯაჭვგამობმული, ხოლო

დაბალ, გოგორა ურმებზე
გადაწოლილი ჭურები *

იცქირებიან პირლიად,
დევივით გაბაწრულები!

მედოქეები სოფლის წყაროსთან შეჩერდნენ. ჰიშკრიდან მათ სახემზიანი პატარძალი გამოეგება. ერთმა ახალგაზრდა მედოქემ სეხნია კახაბერმა მას „ქალივით ოდნავ ფერმკრთალი, ქალივით გულმკერდ მაღალი წვეთშეუსვამი, ახალი სურა მიართვა“. ლამაზმა პატარძალმა სურა ჩამოართვა და ტანის ნარნარი რხევით ახალი ოდა სახლის კიბეები აირბინა. კახაბერს გული შეუკრთა და ადგილიდან ველარ დაიძრა პატარძლის მშვენიერებით მოხიბლული. მისი შემხედვარე ბრგე მედოქეები ახორხოცდნენ. კახაბერი

გრძნობს, რომ სიცილით ურმებზე
გადაწოლილან ჰურებიც
და ძველ არაკად მოისმის
წყაროთა ნაჩურჩულებიც!

შეაკრთო ქალის სილამაზემ ვაჟკაცის გული. დიდხანს ვერ ახერხებს თავდახრით მდგარი სეხნია კახაბერი წყაროსაკენ გახედვას. დგას იგი გარინდებით, ერთ რამეში დარწმუნებული „გული რომ რკინა ეგონა, დოქივით გაებზარება“.

მაგრამ კახაბერს როდი შურს ლამაზი ასული ომგადახდილი ვაჟკაცისათვის. როცა მან ვენახის მესერზე გადაკიდული ჯარისკაცური მაზარა დაინახა, გუმანით მიხვდა, ვის ეკუთვნოდა იგი და იფიქრა:

დიახაც, უნდა ქვეყნები
მოევლო სასახელოდა. —
შინ თუ გვირგვინის სასკვენად
ასეთი ქედი ელოდა!

კარლო კალაძის ამ ერთ პატარა ლექსზე ასე ხანგრძლივად იმიტომ შევაჩერეთ ყურადღება, რომ ერთგვარად ხაზი გაგვესვა ნაწარმოების მხატვრული დონისათვის, ავტორის შემოქმედებითი მიღწევებისათვის. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ მის ნაწარმოებში სჭარბობს რიტორიული სიმშრალე, შეიმჩნევა ტენდენცია აბსტრაქციისადმი, იგრძნობა მოვლენათა ემპირიული ხილვა, გამოყენებულია აღწერითი მანერა.

ამავე სტილით არის შექმნილი კარლო კალაძის ლექსი „მასწავლებელი ქალი სოფლად“. ოღონდ უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელში შედარებით განელებულია ის ინტიმური სითბო და განცდათა უშუალობა, რაც ასე ჭარბად არის ლექსში „მედოქეები“. მაგრამ სამაგიეროდ აქ გიზიდავთ ლექსის ძალდაუტანებელი, მსუბუქი, ლაღი მდინარება, ფოლკლორული უბრალოება და გაშლილი სუნთქვა.

მხატვრული შემოქმედების უპირველესი და მთავარი ამოცანაა დაგვიხატოს ადამიანის სულიერი სამყარო, მისი უნატიფესი განცდები, გამოავლინოს სადღაც ღრმად მიმალული გრძნობები, რომელთაც არაპოეტური თვალი ვერც კი შეამჩნევს. მისი ამოცანაა ადამიანის ფსიქიური და მორალური ჩამოყალიბების პროცესის სწორად წარმართვა, მოქალაქის იდეურესთეტიკური აღზრდა. მხატვრული ლიტერატურის ამ ამოცანის გადაწყვეტისას ადამიანის ინტიმური ურთიერთობის ასახვა მწერლის განკარგულებაში არსებულ დიდ და ქმედით საშუალებას წარმოადგენს.

ოღონდ ერთი აუცილებელი პირობის დაცვაა საჭირო სოციალისტური რეალიზმის მეთოდის თვალსაზრისით: ნაწარმოებში დახატული ინტიმური ურთიერთობა არ უნდა გამოეთიშოს ცხოვრებას, რეალურ სინამდვილეს მთელი მისი წინააღმდეგობებით, მრავალფეროვნებითა და ხასიათების კოლიზიით. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ იდილიურ სიმშვიდეს, მანილოვშჩინას.

განვიხილოთ ამ ასპექტში კარლო კალაძის ლექსი „მამის ჩამოსვლა“. სტუდენტ შვილს თბილისში სოფლიდან მამა ესტუმრა. ჩამოვიდა მოხუცი კაცი, რომელსაც პოეტი ასე ახასიათებს:

მომსვლელი შორის ერთი სოფლელი
დგას და სიმშვიდით გამოირჩევა.

ამ დროს იღება ინსტიტუტის ჭიშკარი და სტუდენტი ვაჟი ტოლ-ამხანაგებს წარუდგენს თავის მოხუც მამას:

— შვილო, შენს მამას რა მომახუცებს! —
მხნედ უპასუხებს მოხუცებული.
— ხომ კარგადა ხარ?
— კარგად,
— ჩვენც კარგად!
შემდეგ კი:

ჭაბუკმა ჩვეული რიდით
ყანა იკითხა და გუთნეული.

ასეთ შესავალს მოსდევს იმის აღწერა, თუ როგორ გაჰყვნენ ყველანი გრძელ ქუჩას პირზე ღიმმოუშორებლად, მოხუციც მათთან ერთად მიაბიჯებს მხნედ „თავისი ახალ ამბით, ხურჯინით“. ცოტა მოგვიანებით კი შვილის პატარა ბინაზე „სიმღერით ჭერი ახმიანდება“.

ავტორს ვერ მოუძებნია სხვა რამ გულშიჩამწვდომი მომენტი, რომ მამა-შვილის ურთიერთობაში მკითხველს ეგრძნო რაღაც დამაფიქრებელი, ამაღელვებელი და ამმაღლებელი, ამიტომ ლექსი მოკლებულია პოეტურ გრძნებას, იგი ვერ შესძრავს ადამიანის შინაგანი არსების უხილავ სიმებს ვერც საკუთი

განცდით, ვერც სხვა რაიმე ზემოქმედებით. ხოლო როცა მხატვრული ნაწარმოები მოკლებულია ემოციური ზეგავლენის უნარს, იგი თავის ნამდვილ დანიშნულებას ვერ შეასრულებს.

დაახლოებით ასეთსავე შთაბეჭდილებას ტოვებს კარლო კალაძის საკმაოდ მოზრდილი სიუჟეტიანი ლექსი „ბალადა სიყვარულისა“. თუმცა უნდა ითქვას, რომ მასში ზოგიერთი ადგილი პოეტური გემოვნებით არის შესრულებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთლიანად ლექსის ფაბულას მაინც ერთგვარი ხელოვნურობა და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სპეციალურად გამოგონილი სიუჟეტურად განვითარების დაღი ამჩნევია.

იმის ნაცვლად, რომ პოეტი სინამდვილეში შემჩნეული მოვლენების ბუნებრივ მდინარებას გაჰყოლოდა და ამ გზით დაეხატა მღელვარე სურათი, მას აურჩევია ისეთი ხერხი, რომლის საშუალებითაც მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება — მან მოისმინა რაღაც მწიგნობრული, მწყობრად დალაგებული ამბავი, და იგი დიდხანს ვერ შერჩება მეხსიერებას. ვერ შერჩება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მის აღქმაში გულს, გრძნობათა სამყაროს არ მიუღია მონაწილეობა.

თუ მხატვრული შემოქმედების ნიმუში არ აღმოჩნდება პლაკატურ პირდაპირობაზე უფრო მაღლა, მას არ ექნება ემოციური ზეგავლენის ძალა და ესთეტურ-შემეცნებითი მნიშვნელობა.

ამ გარემოებას მით უმეტეს უნდა გაესვას ხაზი, რომ კარლო კალაძეს შექმნილი აქვს ისეთი ნაწარმოები ინტიმურ თემებზე, სადაც გრძნობ ნამდვილ პოეტურ ხილვას, განიცდი ლირიულ სითბოს და გესმის შემოქმედებითი ძარღვის ცემა. ეს იგრძნობა, მაგალითად, ლექსში „ზამთრის ღამე სოფლად“.

აქ დახატულია იმერეთის სოფელი ზამთრის ღამეში. ბუხარს უსხედან და სიმინდის ქარვისფერ ტაროებს მარცვლავენ. ზამთრის გრძელ ღამეს ბაასით ჰკლავენ. კუთხეში ბამბის მპენტავი მიმჯდარა და დინჯად, ტკბილი ხმით მოუთხრობს თანასოფლელებს, როგორ მოიარა ცხრამთა, ნატვრის წყარო და „სულთა ბუდე“. სურაც აუვსია ნატვრის წყაროს წყლით, მაგრამ მთები დასდევნებიან დასაჭერად და როცა ბეწვის ხიდზე ფეხი შეუდგამს, სურა გასტეხია. მოიგავარაკე იქვე მიუთითებს სურის ნატეხზე. შემდეგ, ღამის წყვდიადში უქრია ლამბაჩა და „სამ ადგილას ახლაც აჩნია ცას ნატყვიარი“. სამ ვარსკვლავს გაუნათებია მისთვის გზა.

რა არ უნახავს, სად არ ყოფილა! —  
დასძენს სხვა ვიღაც ცრუ სიბრალულით,  
რომ ძილგატეხილ ღამის არულით  
დასრულდეს ღამის წილადობილა.

გაჩაღებული ბუხარი კვლავ ღუღუნებს, ნაკვერცხალსაც კი გული უხარის, გაუპარსავი ცრუპენტელა განაგრძობს ზღაპრებს „და დიდის ამბით თოვს ირგვლივ ბამბა“. ხოლო გარეთ ნამდვილად თოვს, მდუმარე მთაგორებს, ველს და მიდამოს თეთრად აცვივათ თოვლის ფანტელი.

სწორედ ასეთი უშუალობა, ინტიმური უბრალოება, იმერეთის სოფლური ყოფის დამახასიათებელი კოლორიტი ანიჭებს ხსენებულ ნაწარმოებს პოეტურ ღირსებას. აქ თითქოს იდილიაც იგრძნობა, მაგრამ არა გარედან მოტანილი და ნაძალადევად ჩართული ლექსის მხატვრულ ქსოვილში, არამედ ბუნებრივად გამომდინარე იმ ვითარებიდან, რომელიც თავის ტილოზე ასახა პოეტმა.

ერთგვარი აბსტრაქციისა და გულგრილობის ბეჭედი აზის კარლო კალაძის ლექსს, რომლის სათაურია „თ-ს“. სწორედ ქალისადმი მიძღვნილ ამ ლექსში პოეტს უნდა გამოეჩინა განსაკუთრებული სითბო და ინტიმური გრძნობის შინაგანი ძალა. თითქოს თემა აძლევდა მას საჭირო ბიძგს ამოცანის შესაფერისი მხატვრული გადაწყვეტისათვის. მაგრამ ამის ნაცვლად მივიღეთ მშრალი მსჯელობა იმის შესახებ, რომელი უფრო მოსაწონია — ფიჭვის უჭკნობი სიმწვანე თუ ხნიერი ჭადრის შრიალი. ამრიგად, სქოლასტიკამ მოჰკლა ინტიმი, მღელვარე გზნება კი გონებისეულმა განჭვრეტამ შესცვალა.

კ. კალაძის ლექსი „რომანი ლექსად“ ნატურალისტური ელფერით არის აღბეჭდილი და პორნოგრაფიული ხასიათისაა. ჯანსაღ ინტიმს, კაცის ბუნების ამამაღლებელ ლირიკას ვერ ეგუება იმის აღწერა, თუ „თბილ სილაში გაწოლილი ბერიკაცები“ როგორ „ფხიზლდებოდნენ მოულოდნელად“ ლამაზი ქალის შიშველი ტანის დანახვაზე. საბჭოთა პოეზიასთან რა აქვს საერთო ბერიკაცების ავხორცობას ან კიდევ ახალგაზრდა ვაჟის თავაწყვეტილ ჟინს, რამაც იგი ზღვაში ჩაყვინთული ქალის ძლივს გახელილ თვალებს დააწაფა „სულის შეხუთვამდე!“.

ამ ვნებიან სურათს კი ნაპირიდან მოხუცები უცქერიან ხელის მოჩრდილვით, რომელთა „სათვალეების ნაპერწკლები ელავენ ცივად“.

ნუთუ ეს არის ნიშანდობლივი თვისება კ. კალაძის ლექსის იმ ლირიული გმირის ხასიათისა, რომელიც ომის წლებში ფრონტიდან დედას სამკუთხად გაკეცილ ბარათს უგზავნიდა! ამ ბარათის ყოველი ასო მას საკუთარი გულის ჩურჩულად მიაჩნდა და ამიტომ უწოდებდა მას „ფრთებასხმულ გულისთქმას“. ამ ვაჟმა მტერი დალეწა საყვარელი მამულისათვის, თავდადებით იბრძოდა წინ მკვდარი სოფლების აღსადგენად, კეთილშობილება უძღოდა წინ დროშად, და უცებ — „სულშეხუთული კოცნა“ უცნობ ქალთან, რომლის შესა-

ხებ თვითონვე ამბობს: „და სამუდამოდ კვლავ ამ ქვეყნად დავიკარგენით...“

ეს კი იქნებოდა ღალატი საკუთარი მხატვრული კონცეფციისა, იქნებოდა სრული გაუგებრობა და შეუსაბამობა, ჩვენც იმიტომ ვფიქრობთ, რომ კ. კალაძის პოეზიისათვის იგი არ არის დამახასიათებელი, იგი არაორგანული და წარმავალია.

ასეთს უცხოს და წარმავალს მისი შემოქმედებისათვის უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე კარლო კალაძის ფორმალისტური ხასიათის ძიებანი, რითაც აღინიშნა პოეტის მხატვრული პრაქტიკა ოცდაათიან წლებში. მაგალითისათვის განვიხილოთ ლექსი „იმერული მოთხრობა“, რომელიც 1934 წელს არის შექმნილი. იგი ასე იწყება:

ტყეებისა და ღრუბლების ჩრდილებს გზა დაუფარავთ,
დღე დამიღამდა მდინარის პირად, შევდექ.
მთელი ხეობის წყალმა, ჰაერმა და საუბარმა
ჩემ წინ ერთბაშად ჩამოიარა შემდეგ.

მთელი ლექსი ასეთი მანერით არის დაწერილი. დარწმუნებული ვართ, ეს არ გამოუწვევია პოეტის სურვილს, რადაც უნდა დაჯდომოდა ყურადღება მიექცია უცნაური ფორმით, გაუმართლებელი ორიგინალობით, აზრის განზრახ გართულებითა და გაბუნდოვნებით.

უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად კ. კალაძემ განიზრახა ლექსისათვის გამოეძებნა ახალი ფორმა, რომელიც უფრო შესატყვისი იქნებოდა ახალი შინაარსისათვის. ეს არ იყო „ზაუმით“ გატაცების შედეგი, არამედ ფრიად კეთილი მისწრაფება, რომელიც მიზანმიუღწეველი დარჩა.

ასეთმა ძიებამ ლექსის ბუნებრივი და ლაღი დინება შეაფერხა, ვინაიდან მარცვლების შეფარდება პირველსა და მეორე სტრიქონს, მესამესა და მეოთხე სტრიქონებს შორის ხელოვნურად არის დარღვეული — თხუთმეტმარცვლიანი თორმეტმარცვლოვანზე. ამით პოეტმა განგებ გააძნელა საკითხავი მასალა. ხოლო როგორც ამის ლოგიკური შედეგი — გაართულა აზრის გაგება და ათვისება.

მსგავსმა ტენდენციამ თავი იჩინა აგრეთვე კარლო კალაძის ზოგიერთ სხვა ნაწარმოებში. ამ მხრივ ყველაზე უფრო დამახასიათებელია ლექსი „ამბავი აჭარელ ამხანაგების, თქმული კარლო კალაძის მიერ“. აქაც გადაჭარბებული ყურადღება ფორმისადმი, ტექსტის დამძიმება და გაბუნდოვნება.

კ. კალაძე დროულად გაეთიშა ამ მავნე ცდუნებას და იგი კვლავ თავის ბუნებრივ შემოქმედებითს გზას დაუბრუნდა.

სწორედ ამის შედეგია ის, რომ კარლო კალაძის ზოგიერთი ლექსი ხალხმა სიმღერებად აქცია. ასე, მაგალითად, „თამარ ქალის სიმღერა“, რომლის სიტყვებზე მუსიკა შერჩეულია ხალხური მელოდიების მიხედვით, ძალზე პოპულარულია ჩვენში. იგი დაიწერა საბჭოთა ხალხის სამამულო ომის მრისხანე დღეებში და უმღერის ქართველ მეომარს, რომელმაც მტერს არ დაანება საყვარელი თბილისის აოხრება.

მაგრამ, თუ კ. კალაძის სასიამოვნო ლექსების მეტი ნაწილი ლაღად გაისმის, მათი ტექსტი მსუბუქი და მუსიკალურია, ზოგი მათგანი დამძიმებულია საგანგებოდ რჩეული სიტყვებით და შედარებებით. უმთავრესად ეს შეეხება ოცდაათიან წლებში შექმნილ მის სიმღერებს. მაგალითისათვის ავიღოთ ლექსი „ჩიტი ნიბლია“. აქ პოეტი მდინარეზე გადებულ ბონდის ხიდის რწევას ადარებს სატრფოს ფრთაგაშლას, მახლობლად სუროს ფოთლების შრიალს კი — საკუთარ თავს. ხოლო ნაწარმოების ლექსიკურ მხარეს ხარისხს უკარგავს ასეთი გამოთქმა: „შენის ფრთაგაშლით შენ მომაგონდი“. ან კიდევ ფრჩხილებში ჩასმული ფრაზა: (მეც იქვე ახლოს ვსახლობდი მაშინ).

ადვილად შეიძლება გაითვალისწინოს კაცმა, რა ძნელი იქნება ასეთი მასალის საფუძველზე მელოდიური სიმღერის შექმნა. რიტორიული სიმშრალე საერთოდ ვნებს ნაწარმოებს, მით უმეტეს იგრძნობა ეს ნაკლი, თუ პოეზიის ნიმუში სიმღერისათვის არის განზრახული.

• •
•

კარლო კალაძის ბევრი ნაწარმოები შექმნილია ნამდვილი პუბლიცისტური მღელვარებით. ამ ნაწარმოებთა მთავარი ღირსებაა პოლიტიკური პათოსი, მოქალაქეობრივი მგზნებარება და შინაგანი დრამატიზმი. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რომანი ლექსად „მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა“.

ხსენებული პოემა სამამულო ომისა და მისი შედეგების თემაზეა აგებული. მისი ლირიული გმირი გახდა უნებური მოწმე ქართველი მეომრის არჩილის მიერ ფრონტზე ჩადენილი მამაცობისა და მონაწილე მისი სულიერი ცხოვრების დიდი საიდუმლოსი.

პოემის ბევრ ადგილს ჭეშმარიტი შთაგონების ბეჭედი აზის. ასე, მაგალითად, დაღუპულ გმირს ახლობელ ადამიანებთან ერთად დასტირის მდინარეც — „თერგიც კი, თერგიც თმაგაშლილს ჰგავდა თავის აჩეხილ სანაპიროთი“. ხოლო როცა სურს გმირის სიმტკიცე და ლტოლვა ასახოს სიცოცხლისადმი, გადარჩენისადმი, მშობლიურ კუთხეში დაბრუნებისადმი, ავტორი ასე ალაპარაკებს მას: „ასჯერ დავეცი, ასჯერ წამოვდექ, რომ ისევ თბილისს დავბრუნებოდი“.

ფრონტზეც თავის ძალას ინარჩუნებს სულიერი სილამაზე და გარეგნული მშვენიერება

გიორგის და ინას შეხვედრას იმ ადგილებში, სადაც

მზეც ცეცხლის კვამლში ამოდიოდა,
ღვიოდა ბრძოლის ველი ველური,

სადაც „ირგვლივ ნანგრევთა სიჩუმე იდგა, სიჩუმე ცივი და უფერული“, ასე აგვიწერს პოეტი:

ვინ მოიგონა, რომ ბრძოლის ველზე,
მძვინვარებს მხოლოდ მტრობა უხეში!
მე არ მიგრძვნია მეტი სინაზე
სხვაგან, ჩემს ფერად სიჭაბუკეში.

ნაწარმოების ეს ადგილი ლოგიური განვითარებაა იმ მომენტისა, როცა ავტორი ხატავს გიორგის განცდებს, ინას პირველსავე შეხედვაზე რომ აღიძრა მის გულში. სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს იმ პირობითობად, რაც დასაშვებია მხატვრულ ნაწარმოებში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის თვალსაზრისით.

მაგრამ პოემის მხატვრულ ქსოვილში ნაკლიც შესამჩნევია. პოეტი ზოგჯერ იმის სურვილის გამო, რომ მის მიერ შერჩეული გასარითმავი სიტყვა როგორმე შეინარჩუნოს, აზრისეულ მხარეს სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ასე, მაგალითად, გარითმულია სიტყვები „გადიწვიმეთ“ და „მძიმედ“. ამის შედეგად მივიღეთ ასეთი არაბუნებრივი, ნაძალადევი ფრაზა: „თქვენ კი მის ამბავს უზიხართ მძიმედ“.

ასევე გაუმართლებლად მიგვაჩნია ალიტერაციის პატივსაცემად არაბუნებრივი, ხელოვნურად შეთხზული სტროფის ჩართვა პოეტურ ნაწარმოებში. მაგალითად:

მომეცით ხელი და ცრემლით სველი
წამწამიც კი არ დააწამწამოთ, —
რომ წამით არჩილს არ დადოთ ბრალი,
წამით ლალატი რომ არ დასწამოთ!

ისეთი დრამატულად მძაფრი შინაარსისათვის, როგორიც საფუძვლად უდევს პოემას, მსგავსი ფორმის მისადაგების ცდა თავგასართობ ვარჯიშს უფრო წააგავს, ვიდრე სერიოზულ მხატვრულ ხერხს.

ძირითადში კი, როგორც ზემოთაც ვთქვით, კ. კალაძის რომანი ლექსად „მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა“ პატრიოტული ნაწარმოებია. მასში მკაფიოდ სჩანს საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებები, სჩანს იმ ცხოვრების სიდიადე, რომლისთვისაც ღირს ამქვეყნად სიცოცხლე, ღირს შრომაც და ბრძოლაც მის დასაცავად, მტარვალთა ხელყოფისაგან მის გადასარჩენად. ამის გამო ენიჭება ხსენებულ ნაწარმოებს იდეურ-შემეცნებითი მნიშვნელობა.

პოეტური სახეთა ორიგინალური, თავისებური სისტემის შექმნას კარლო კალაძის შემოქმედებაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. ბევრჯერ ეს ცდა გამარჯვებით არის დაგვირგვინებული, ზოგ შემთხვევაში კი მიზანი განუხორციელებელი რჩება და ფორმალისტური ხასიათის ძიებად იქცევა, რის შესახებ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი.

ჯერ კიდევ ოციან წლებში შექმნილი კ. კალაძის ლექსი „ენგურის თქმულება“ მეტყველებს პოეტის მიერ ამ მხრივ მოპოვებულ წარმატებებზე. მაგალითად, მთის მდინარის აწყვეტილი დინება პოეტმა ასე დახატა:

„ენგური ხევის ყბეში შევარდა
და ხევმა ხარბად შესვა ენგური“.

აქ მოცემულია მშფოთვარე წყლის ენერგიის შეგრძნება, მისი სისწრაფის ძალა, ხელშესახებად არის დანახული მთებიდან მოვარდნილი მდინარის ხეობაში შეჭრა.

ასევე ფერწერულად გამოუკვეთავს პოეტს მთვარის მიბნედა ღრუბლიდან ცაზე: „დაფრუბელთა სიბნელეში ბრჭყალი უჩანს მთვარეს“.

კარგი პოეტური სურათია დახატული ამ სიტყვებით:

კვლავ იმერეთის ჰაღარა ღამე
თავისი მთვარის ფაფანაკითა.

მაგრამ არ არის მოსაწონი, როცა პოეტი თავის თავს გაიმეორებს ხოლმე. კ. კალაძეს კი ზოგჯერ მოსდის ასეთი შეცოდება. ასე, მაგალითად, მსგავსი რამ მას გამოყენებული აქვს სხვა ნაწარმოებშიც:

ფაფანაკად მთვარე ჰქონდა, იალბუზის ჩრდილი — ნაბდად

(ლექსი „საზეიმოდ“).

არც ერთი და იმავე რითმების განმეორებაა მისაღები: კ. კალაძეს ხშირად აქვს გამოყენებული რითმა — მდელოსი — საქართველოსი.

ისეთი კარგი მხატვრული სახის გვერდით, როგორიცაა, „პურის ძნებს ულოს უგრეხდი, მზემ მკლავქვეშ სული დალია“, სმენას უხეშად სჭრის ნაუცბათევად საიდანღაც მოტანილი ფრაზა: „აფრთოვანებული იყო თქვენი ვაჟკაცობითა“. (ლექსი „ალაზნის ველის სიმღერა“), ან კიდევ: „მანდ მეგულვება მოხუცი ვისხდებით... და ვიკამათებთ...“ (ბალადა „მოხუცი მასპინძელი“).

არ შეიძლებოდა არ აღგვენიშნა კ. კალაძის ლექსებში შემჩნეული ასეთი ხარვეზები, მითუმეტეს მაშინ, როცა პოეტს ეხერხება მხატვრული ოსტატობის მაჩვენებელი, ნამდვილად შთაგონებული სტრიქონების შექმნა. მაგალითისათვის მხოლოდ ორიოდე მათგანს დავასახე-

ლებთ. სოფლად შეაცეცხლის მშობლიურ კერას ასე პოეტურად გვიხატავს კ. კალაძე ლექსში „დედა“:

ახლაც მოსჩანს ჯაჭვი კარდლით
ციდან ვახშმად დაშვებული,
თვალი ალმა რომ შეავლო
ნდომით ათამაშებული.

მარტო ამ ერთ ტაეპში ისე ცოცხლად არის დახატული სურათი, რომ სხვა არაფერია საჭირო იმისათვის, რათა მკითხველმა ნათლად წარმოიდგინოს იმერეთის სოფლის თავისებურება. მისთვის დამახასიათებელი კოლორიტი.

* *
*

კარლო კალაძემ ბევრი კარგი ნაწარმოები შესძინა ქართულ საბავშვო ლიტერატურას. მათში ასახულია ბედნიერი საბჭოთა ნიორჩი თაობის საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრება ოჯახში, სკოლაში, აწერილია ჩვენი ბავშვების საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი გარემო, დახატულია მათი შინაგანი ბუნება.

ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში თავიდანვე თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს კარლო კალაძის პიესებმა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მისი „როგორ“ და „ხატიჯე“, რომლებიც დადგა დიდმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა.

შემდგომ წლებში კარლო კალაძემ შექმნა თანამედროვეობის თემებზე აგებული დრამატიული ნაწარმოებნი: „სახლი მტკვრის პირას“, „ერთი ღამის კომედია“, „ლალი“, „სოფლის საამო საღამოები“.

კარლო კალაძის შემოქმედებას მუდამ შთააგონებდა და შთააგონებს სოციალისტური სამშობლოს აყვავებისა და ძლიერებისათვის ბრძოლის პათოსი, ჩვენი ქვეყნის უძლეველობისა და სიმტკიცის მხატვრული პროპაგანდა, ხოლო ამ გზით ისინი ერთგულად ასრულებენ აქტიური მშენებლის როლს ცხოვრების მუდმივი წინსვლისა, მისი შემდგომი გარდაქმნისა და გაუმჯობესების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ კანკავა

★

# კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“

ისტორიული რომანების ავტორები სხვადასხვაგვარად ეკიდებიან თავიანთ ამოცანას, განსხვავებულად უყურებენ წარსულის ათვისების საქმეს, თავისებური წარმოდგენა აქვთ ამ ჟანრის დანიშნულებაზე.

არიან ავტორები, რომელნიც ისტორიას უდგებიან წმინდა შემეცნებითად, განყენებულად ახდენენ მის ანალიზს და ისტორიული ფაქტების დამუშავებას, რათა შემდეგში გამოიტანონ შეხედულებები, წინასწარ შემზადებული მათ მიერვე, ან მათი თანამედროვე ხანის ფილოსოფოსების მიერ. ამგვარ თვალსაზრისს გულისხმობდა ალფრედ დე ვინი, როდესაც ამბობდა: ფაქტების სიმართლემ უნდა დაიხიოს იდეის სიმართლის წინაშე და ამგვარად (იდეის სახით) უნდა წარუდგეს ყოველი ისტორიული პერსონაჟი შთამომავლობასო.

ზოგი რომანისტისთვის, პირიქით, უფრო მნიშვნელოვანია დახატოს ხორცშესხმული ისტორიულ-სოციალური ტიპები, რომელნიც გამოირჩევიან წმინდა ადამიანური თვისებებით, სახეების სიცოცხლით: ამგვარი მწერლები არც ერთ მომენტში არ სცილდებიან ისტორიულად შეპირობებულ კონკრეტიზებულ გარემოს, დროითა და კლასით განსაზღვრულ ფარგლებს. ამგვარი მწერლები ბევრია და დიდი პოპულარობით სარგებლობენ მკითხველებში.

ისტორიულ რომანისტთა ერთი ნაწილისთვის მათი ჟანრი სინამდვილიდან გაქცევის საშუალებაა. გ. ფლობერი, მაგალითად ამბობდა: „მადამ ბოვარის“ შემდეგ ბურჟუაზიული საზოგადოება ყელში ამომივიდა და კართაგენისკენ უნდა ავიღო გეზი, რათა ამ საზოგადოებას განვეშოროო. ამგვარი თვალთახედვის რომანისტებისთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია ისტორიული წარსულის გადმოსაცემად იმავე მეთოდების გამოყენება, რომელიც თანამედროვე რომანისთვის არის განკუთვნილი და ამგვარად ისტორიის მოდერნიზაცია.

მაგრამ უფრო ხშირად ისტორიული რომანის ავტორებისათვის წარსული არსებობს მხოლოდ როგორც მასალა, როგორც თანამედროვე საკითხთა შესახებ არსებულ შეხედულებების მოსათავსებელი სფერო. ამგვარი ტიპის მწერლები, როგორც წესი, არჩევენ, თავისი აზრები გამოთქვან და ჩამოაყალიბონ განსხვავებულ გარემოში და ახდენენ მათს ტრანსპოზიციას.

ერთ თავის გამოსვლაში ლ. ფოიხტვანგერი ამბობდა: მწერლებს, რომლებსაც სურთ ილაპარაკონ თანამედროვე პრობლემებზე, ეკითხებიან, რა გიშლით ხელს, რომ აირჩიოთ თანამედროვე სიუჟეტი, რით არჩევთ ისტორიულ ამბებზე წერასო, და თვითონვე, საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, აძლევდა პასუხს: იგი ავტორია როგორც თანამედროვე, ისე ისტორიულ თემაზე დაწერილი რომანებისა მაგრამ მწერალი ორივე შემთხვევაში ერთსა და იმავე თვალსაზრისს ამუშავებს, ერთსა და იმავე მასალაზე მუშაობს. ისტორიული გარემო ან ისტორიული კოსტუმები მწერლისათვის არის შედარებით იოლი საშუალება „რეალობის ილუზიის შესაქმნელად“, ერთგვარი სტილიზაციისთვის. მწერლები თავიანთი შეხედულებების გამოსათქმელად, — განაგრძობს ლ. ფოიხტვანგერი — ხშირად ხელს მიჰყოფენ არა დროში გადანაცვლებას, არამედ — სივრცეში და თავიანთი ნაწარმოების მოქმედების ადგილი გადააქვთ, ვთქვათ, სხვა ქვეყანაში. სივრცეში გადაადგილებას კი მე დროში გადაადგილება ვამჯობინე, ესაა და ეს.

„მე ვერც კი წარმომიდგენია სერიოზული რომანისტი, რომელსაც შეუძლია ისტორიული თემები სხვაგვარად გამოეყენებინა, თუ არა გარკვეული დისტანციის შესაქმნელად. იგი ხედავს მათში მხოლოდ სიმბოლოს და სურს შეძლებისდაგვარად ზუსტად ასახოს საკუთარი ეპოქა, თავისი საკუთარი, თანამედროვე და სუბიექტური შეხედულებანი“, — წერს ფოიხტვანგერი.

ისტორიულ რომანისტთა ამგვარი დაყოფა პირობითია და იგი მათ დასახასიათებლად უფრო გამოდგება, ვიდრე მათი კლასიფიკაციისათვის.

კონსტანტინე გამსახურდიასთვის, როგორც მოაზროვნისათვის, ისე მხატვრისათვის ისტორიული თემის მომარჯვება არასდროს არ გულისხმობს წმინდად ისტორიაში ჩაძირვას, ისტორიის გაშუქებას ისტორიისათვის. კ. გამსახურდია იმ მწერლებს ეკუთვნის, რომელნიც არა მარტო თანამედროვე პრობლემებით და საკითხებით, არამედ მომავლის დიდი იმედით ცხოვრობენ. ამგვარი მწერლები ვერ იქნებიან პასიურნი ან ინერტულნი თანამედროვე ცხოვრების მიმართ.

ერთი მხრივ, კ. გამსახურდიამ თავს იდო

დიდად საპატიო საქმე—მხატვრულ ჩარჩოებში მოექცია საქართველოს წარსული, შეექმნა ისტორიული რომანების სერია „ქართლის ცხოვრების“ საერთო სათაურით. მათ განხორციელებას მწერალი ათეული წლების განმავლობაში ეწევა. ქართველმა რომანისტმა განიზრახა, მემატიანეების მიერ ძუნწად მოწოდებულ ქრონიკებში საკუთარი ფანტაზიით, მხატვრის უტყუარი სინამდვილის გრძნობით, იმით, რაც მათ სტრიქონებს შუა იმალება, ისტორიული შემოქმედება ექცია ხელოვნების დოკუმენტად და ამგვარად დაახლოებოდა ისტორიულ დოკუმენტს. ერთი მწერალი, რომელიც არკვევდა, რა დამსახურება აქვს ისტორიის წინაშე ისტორიკოსს, ერთი მხრივ, და ისტორიულ თემაზე მომუშავე რომანისტს, მეორე მხრივ, ამბობდა: სერიოზული ავტორი ისტორიული რომანებისა და სერიოზული ისტორიკოსი ერთმანეთისაგან ისევე განსხვავდებიან, როგორც კომპოზიტორი განსხვავდება მეცნიერისაგან, რომელიც აკუსტიკის პრობლემებზე მუშაობს. ისტორიული რომანების ავტორებისგან ზუსტი ისტორიული ცნობების მოთხოვნა იგივე იქნებოდა, რაც კომპოზიტორისათვის მოკითხვა იმისა, თუ როგორაა მოწყობილი რადიო. მაგრამ ამგვარი შედარებაც ვერ გამორიცხავს და ვერ უგულებელყოფს ნამდვილი მხატვრის მიერ გარდასული სინამდვილიდან ცხოველი სურათების აღდგენის განუზომელ შესაძლებლობებს, მწერლის, როგორც რესტავრატორის, კეთილშობილ როლს.

მეორე მხრივ, კ. გამსახურდია, ნაწილობრივ, ისტორიული რომანების იმ მწერალთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც წარსულის სახეებში საკუთარ აზრებს, თანამედროვე პრობლემებსა და თავის საფიქრებელს სდებენ, მის მხატვრულ შრომებში ისტორიული მასალა თანამედროვე ასპექტშია დანახული. უფრო მეტიც, მწერლის ისტორიულ რომანებში იმგვარი თემატური რკალებია მოხაზული, რომლებიც არ შეიძლება გატარებული ყოფილიყო შუა საუკუნეების ფილოსოფიაში, მორალში ან ხელოვნებაში. ამიტომ ძალიან ხშირად მწერლისთვის ისტორია მასალაა და ნაწილობრივ ამაშია მისი უპირატესობაც. მწერალი არ სწყდება თანამედროვეობას მაშინაც, როდესაც იგი ჩვენი ქვეყნის შორეულ, ღრმა წარსულს ეხება. ისტორია ხშირად მხატვრული ფონია, საშუალება, ხანდახან მხატვრული დეტალიც, უბრალო აქსესუარი.

„დიდოსტატის მარჯვენას“ ავტორი დიდ ადგილს უთმობს თავის ნაწარმოებში შუა საუკუნეობრიობის წარმოდგენას, იმდროინდელი ხანის სურნელისა და სუნთქვის გაცოცხლებას, ამოქმედებას, არა მარტო ადგილის, არამედ დროის კოლორიტის დაცვას. ამას გარდა, მწერალი ოსტატურად ხატავს დროის შესაფერ ტიპაჟს, ისტორიულ-სოციალურად ჩამოყალიბებულ პერსონაჟებს. აქ ორი მხატვრული მეთოდი ენაცვლება ერთმანეთს. „დიდოსტატის მარჯვენაში“ წარმოდგენილი პერსონაჟები თავიანთი ბიოლოგიით, ვნებებით, ფსიქიკით, სწრაფვებით თავისებურად თავის ეპოქას ხატავენ. ისინი ცხოვრობენ სისხლსავსე ცხოვრებით, მათი ტონუსი დროდადრო ზედმეტად აწეულია და რთული სოციალური, რელიგიური თუ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოვლენები გადახარშულია მათს ბუნებაში, ნაწარმოებში მოქმედი ადამიანების სულში...

ხდება პირიქითაც. მწერალი არ კარგავს ინტერესს პერსონაჟებისადმი, იგი სწვდება მათს რაობას, მაგრამ არა ნაკლები სისწორით, შეიძლება ითქვას, სიზუსტით გადმოგვცემს ისტორიულ გარემოს, ეპოქის სულს, ყოფით სურათოვნებას. ძველი მცხეთის მოუკირწყლავი ქუჩაბანდები დამძიმებული მწუხრით, მთავართა სანათლოის შუკები და ჩიხები, ხურსისეული სასახლის დაბზარული კედლები, პუროობის ცერემონიალის გადმოცემა — უბრალო აქსესუარები არაა. ამგვარ გარემოში მოთავსებული პერსონაჟები ძალაუნებურად გვესახებიან ჩვენი მამა-პაპების ამეტყველებულ, ხან კი მდუმარედ მოქმედ სახეებად. გამწვავებული პოლიტიკური სიტუაცია, ფეოდალური სეპარატიზმის მძაფრი გამოვლინებანი, რელიგიური ფანატიზმის თარეში, მთის ვიწროებში წარმოდგენილი ბატალური სცენების ენერგიული აღწერა, ნადირობის უაღრესად ოსტატური გადმოცემა, შეთქმულთა თათბირების ჩვენება, ხალხის ფართო მასების მხატვრული წარმოსახვა, მშენებლობის ძუნწი, მაგრამ საინტერესო პასაჟები, ქამი, მიწისძვრა, საერისთავო ირმის ჯოგები, ბოლოს ის, რასაც ბუნების აღწერას ვეძახით, ხოლო კ. გამსახურდიას რომანებში უფრო სწორი იქნებოდა ბუნების შეგრძნება, განცდა გვეწოდებინა, დაუძლეველად მიმზიდველსა და კოლორიტულს ქმნის „დიდოსტატის მარჯვენას“. ეს ის მშვენიერი ჩარჩოა, რომლის შიგნით მოქმედებენ მდიდარი სულის მქონე, ძლიერი ნების და ჩაუქრობელი ვნებებით მოზიდული ადამიანები. მათი სუნთქვა გვწვავს, მათ მზერას თვალს ვერ ვუსწორებთ, მათი დრამა, რომელსაც ისინი საკუთარ სულში ატარებენ, თვალს გვინისლავს და მათი დიდი შთაგონება გვაგზნებს.

საკმაოდ მკვეთრად არის წარმოდგენილი რომანში საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა „ერთმორწმუნე“ ბიზანტიასთან. ფსიქოლოგიურად დამაჯერებლად და ისტორიული სისწორით წარმოდგენილია პატარა, პოლიტიკური გაძლიერების გზაზე მდგარი ერის დაჟინებული და შემმართებელი პოზიციები აყვავებისა და სიმძლავრის ზენიტში მყოფ ვეება იმპერიასთან. კარგად აღწუსხა თავის წიგნში მწერალმა ის მოჩვენებითობა, რომელიც ვერ

იჩქმალებოდა საქართველოსა და ბიზანტიის ვითომდა კეთილმეზობლურ ურთიერთობაში და ნამდვილად ისტორიულ ქიშპობაში მქლავნდებოდა. წიგნში კარგად არის გადმოცემული ის გარეგნული სიამტკბილობა, რომელიც რელიგიურ ნიადაგზე ვითომდა ფეხს იკიდებდა ამ ორ გადამტერებულ სახელმწიფოს შორის, მაგრამ ასევე პირველხარისხოვანია ის მომენტებიც, როდესაც უდღეური რელიგიური საბურველი საპნის ბუშტივით სკდება და რეალური ვითარება იჩენს თავს.

როდესაც გიორგი პირველმა უკანასკნელი ომიც წააგო ბასილი კეისართან, იძულებული გახდა, მძიმე ზავის პირობები ეტვირთა და პირველი პირობათაგანი კი იყო „მძევლად ძე თავისი ბაგრატი წლისა სამისა" მისთვის გაეგზავნა კონსტანტინეპოლში. ამავე პირობის მიხედვით, მცირეწლოვანი მძევალი კეისარს მესამე წელს უკან უნდა გამოეგზავნა სამშობლოში. აღთქმა ბასილმა პირნათლად აასრულა. 1025 წელს ბაგრატი შინ გამოისტუმრა. მალე, იმავე წელს, ბასილი კეისარიც გარდაიცვალა და მის მემკვიდრეს, კონსტანტინე მეფეს უნდოდა გაგზავნილი ქართველი უფლისწული უკან მოებრუნებინა, საგანგებოდ მოციქულიც კი აფრინა, რომ დასწეოდა". ახლა მოვუსმინოთ რომანისტს, თუ როგორ ასხამს ხორცს იგი ისტორიულ ფაქტს და თავისი ფანტაზიით სრულყოფს ამ ფაქტის მნიშვნელობას. „იმავე კვირას მდევარი გამოაკიდა ახალმა კეისარმა კატეპანსა და ბაგრატს. მალე მსრბოლელებმა გზაში მოუსწრეს ტაოს საზღვარზე მისულთ, წიგნი გადასცეს კატეპანს". „წიგნში" ავტორი ხაზს უსვამს იმ ზრდილობიან ტონს, რომლითაც იგი იყო შედგენილი და ითხოვდა უფლისწულის მობრუნებას. მაგრამ ეთიკეტი სულ მალე დაირღვა. „ლაშქრიანად შეეგებნენ ბაგრატს აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართლელნი, ძალაშ მიმართეს ბიზანტიელებმა, მაგრამ შეებრძოლნენ სპანი მეფისანი, კატეპანი დოკიანი და მისი ჯარი უკუაქციეს, ხოლო ყრმა უფლისწული მეფე გიორგის მოჰგვარეს". ამგვარ მტრობა-მეგობრობის თამაშზე აქვს აგებული რომანისტს ის მგლური დიპლომატია, რომელიც მოუცილებელი იყო ჩვენი ქვეყნის ურთიერთობაში სხვა მტაცებელ მეზობელ ქვეყნებთან.

გიორგი I-ის პოლიტიკური იდეები ემთხვეოდა იმდროინდელ მსოფლიოში არსებულ ყველაზე მოწინავე პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. გიორგი I-ს აქვს თავისი ისტორიული დამსახურება. იგი იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის, დამოუკიდებლობისათვის, მიაღწია ქვეყნის შიგნით მშვიდობის დამყარებას. ეს მეფე ყოველი ძალით ამაგრებდა ცენტრალისტურ მონარქიას, მიისწრაფოდა აბსოლიუტიზმისაკენ, რომელიც მე-11 საუკუნის ქვეყნისშიდა ძმათამკვლელი ომების დროისათვის ჯერ კიდევ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

ბიბლიოთეკა

ეს იყო ერთ-ერთი მძიმე პერიოდი ერის ცხოვრებაში, როდესაც ხალხის პატრიოტული თვითშეგნება საკმაოდ გამოფხიზლებული იყო, მაგრამ ფეოდალური შუღლი და სეპარატიზმი აქუცმაცებდა, ძირს უთხრიდა სახელმწიფოებრივ ძლიერებას. მოვიგონოთ საინტერესო მასობრივი სცენა სვეტიცხოვლის ეზოში ჟამიანობის დროს. ჟამისგან დაშინებული მონები, კალატოზები, ხელოსნები, ზემდეგები ტოვებენ ხარაჩოებს და უარს ამბობენ სამუშაოზე. ამ დროს გამოჩნდება არსაკიძე. „ლაზები გარს შემოერტყნენ თვისტომს. „ლაზებო, — მიმართა არსაკიძემ ბრბოს, — მართალია, ჟამიანობა დაიწყო, მაგრამ გახსოვდეთ, ჟამი საფრთხეს ყველას გვიქადის. ხომ ხედავთ, მეც თქვენთან ვარ განსაცდელის ჟამს, ლაზებო...

რას იტყვიან იბერიელები? მშიშარნი ყოფილანო ლაზები. იცოდეთ, ყველაზე მეტად ძმების უნდა გერიდებოდეთ, ლაზებო, რადგან არავინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა, არავინ ისე მოსარიდებელი, როგორც დედის ხსენის თანაზიარნი. საქართველო ჩვენი დედაა, ლაზებო, ხოლო იბერიელები ძმებია ჩვენი.

აბა, მოიგონონ, უხუცესებმა თქვენ შორის, სარკინოზებთან ან ბერძნებთან ომებში თუ ოდესმე გიღალატნიათ მათთვის".

მწერალმა აქ გვიჩვენა მაღალი ეროვნული თვითშეგნების დონე, რომელიც ჯერ ისევ შუასაუკუნეების საქართველოში სუფევდა. მან დაგვანახა ისიც, რომ სწორედ ამგვარმა გრძნობამ აალებინა მოწინავე მამაც ქართველებს ხმალი ხელში და მხნედ აბრძოლა გარეშე მტრის—ძალით დიდად აღმატებული ბიზანტიის წინააღმდეგ. სახელმწიფო გაერთიანებამ გააცხოველა ცალკეულ კუთხეთა შორის მისვლა-მოსვლა, ეკონომიური და პოლიტიკური კონტაქტი, სამეურნეო ცხოვრების მიმართ ინტერესების ზრდა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ამგვარი წინსვლა საქართველოს საგარეო პოლიტიკაში გამომჟღავნდა. კ. გამსახურდიამ თავის რომანში გვიჩვენა, რომ პოლიტიკურ აღმავლობაში მყოფმა საქართველომ შეძლო უძლიერესი მტრის ბრძოლით მოგერიება, ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნება და ამგვარ ბაზაზე მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული გაერთიანების დიდ საქმეს.

შედარებით შენელებული ინტერესით ეპყრობა ავტორი (მკითხველთან ერთად) მთის პარტიკულარისტი ფეოდალების ქიშპობას გიორგი I-ის ტახტთან. „დიდოსტატის მარჯვენაში" ნაჩვენები რელიგიური ფანატიზმი, რომელსაც იჩენს ორივე მხარე, მხოლოდ ნიღა-

ბია მათი მტაცებლური ნდომის განსახორციელებლად, ხოლო ქედმოდრეკა და ერთგულების აღთქმა ამ ფეოდალებისა დროის შერჩევაა მოხერხებული თავდასხმისათვის. რაც შეეხება ხალხს, რომელიც ბრმად მიჰყვება თავის მბრძანებლებს, „Чувства массы — წერს ენგელსი, — вскормлены были исключительно религиозной пищей; поэтому, чтобы вызвать бурное движение, ее собственные интересы должны были представляться ей в религиозной одежде[1].

გიორგი I-ის მეფობის პერიოდი ფეოდალური დაქსაქსულობის ხანაა, მაგრამ ნაწარმოებში სიმძიმის ცენტრი ამ საკითხებზე არაა გადმოტანილი (მიუხედავად იმისა, რომ რომანის საკვანძო საკითხებში მეფისა და მთის ერისთავ კოლონკელიძის შორის ატეხილი ბრძოლა საბედისწერო ხასიათის მატარებელია) და, აგრეთვე, გიორგი I-ის მიერ კოლონკელიძის წინააღმდეგ წარმოებული ომებით, ქვეყნისშიდა, ძმათამკვლელი ბატალიების გადმოცემით, განისაზღვრება, საერთოდ, ბატალიების ჩვენება, მაგრამ არც ამ შემთხვევაში წარმოადგენს იგი ნაწარმოების სურათოვან ცენტრს.

უფრო საინტერესოდ არის კ. გამსახურდიას რომანში გადმოცემული ხალხი. მკითხველი თითქმის განუწყვეტლად გრძნობს ხალხის, ადამიანთა არსებობას რომანის მოქმედების ადგილებში. მწერალს განვითარებული აქვს მასობრიობის, ხალხის სიმრავლის შეგრძნება და ბევრ შემთხვევაში საინტერესოდ ახორციელებს ამას.

რით არის მიზანშეწონილი ხალხის ასახვა ბელეტრისტიკაში, განსაკუთრებით კი — ისტორიულ ბელეტრისტიკაში?

გერმანელი მწერალი გებელი ჰოჰენშტაუფენების დინასტიის მეფეებზე ამბობდა: „მათ გერმანიასთან მხოლოდ იმგვარი კავშირი ჰქონდათ, როგორიც მუცლის ჭიას აქვს კუჭთანო“. ქვეყნის ისტორიის შემოქმედი ხალხია. მასზე გადადიან ისტორიის შეუჩერებელი ბორბლები. ისტორია იქმნება და მიემართება ხალხის მიერ. ხოლო ის, რაც იქმნება ხალხის მიერ, იქმნება მისთვის. ამიტომ ყოველგვარი ისტორიული გადატრიალება — ეს არის გადატრიალება ხალხის ცხოვრებაში. ამგვარი მოვლენების დროს ხალხის ძალას მებრძოლი, მოწინავე ერისთავ-აზნაურები მიუძღოდნენ, მაგრამ ჩვენ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სწორედ ეს ერისთავ-აზნაურები იყვნენ ნამდვილი ან მოწინავე წარმომადგენლები ხალხისა.

მეორე და, შესაძლოა, უფრო მეტად აუცილებელი მიზეზი მხატვრულ ნაწარმოებში ხალხის ასახვისა უნდა იყოს ის გამაცოცხლებელი უნარიანობა, ცხოველმყოფელობის უხვად გამომასხივებელი ძალა, რომელიც უაღრესად რთულად განსახორციელებელ მასობრივ სცენებით, მისი ამოძრავებით, ახმიანებით ხერხდება და რომლის საშუალებითაც ისტორიული ნაწარმოები დიამეტრალურად განსხვავდება მშრალი, უსიცოცხლო ქრონიკისაგან.

მას შემდეგ, რაც მწერლისთვის აქსიომად ხდება ხალხის პერსონაჟად ქცევა, მისი ახმაურება თავის ისტორიულ ნაწარმოებში, იწყება ძნელად გადასაწყვეტი რამ: მისი განლაგება რომანის ფარგლებში, მოფიქრებული „მიზანსცენების“ მოწყობა. ჩვენი აზრით, ეს მომენტიც „დიდოსტატის მარჯვენაში“ ბრწყინვალედ არის განხორციელებული.

რომანში ყველაზე კარგად მაშინ ვგრძნობთ ფართო მასების მოძრაობას, გვესმის მათი ფრაზების ნაწყვეტები, ხანაც მათი მწყობრი საუბარი, როდესაც ისინი თვითმიზნურად კი არ არიან გამოყვანილი რომანში, არამედ მათი გამოჩენა რაღაც სხვა, მაგრამ აუცილებელი გარემოებით არის გამოწვეული. მაგალითად, რომანში თითქოს მდაბიოთა კოლორიტული ფიგურებია გამოყვანილი: მეხამლე დრუისძე ქიტესა, მეჯინიბე გაბრიელ კოხრიჭისძე, ბაზიერი ესტატე ლომაისძე. ავტორი მოგვითხრობს, რომ წელიწადში ორჯერ—ირმის მყვირალობისა და წეროთა გადაფრენის თვეებში — ინით წვერს შეიღებავდა გიორგი I, სელის სამოსელსა და სამოგვის წაღებს ჩაიცვამდა, აიყოლიებდა თავის შეამხანაგებულ, მასთან შეზრდილ მდაბიორებს და გასწევდნენ უგზოუკვლოდ. მთელი კვირა გადაიკარგებოდნენ საყრმის მეგობრები, ნადირობდნენ ნარეკვავის ტყეებსა და არაგვის ჭალაში. დარბაზის საწოლის ბუმბულს მეცხვარეებთან ღამის თევას არჩევდა, მორთმეულ ირმის ცურს-სახელდახელოდ ტყეში შემწვარ მწვადებს“.

არა ერთი და ორი ოსტატური სცენა აქვს გადაშლილი რომანისტს მათი დროსტარებისა და მეგობრობის ალსაწერად, მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველა ეს მდაბიორი გამოგონილის შთაბეჭდილებას ტოვებს. გიორგი I-ის მეგობრობა მათთან მხატვრულად დამაჯერებელი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ეპიზოდები ისტორიულ რომანებში ყოველთვის „მომგებიანია“ და სათანადო ეფექტი — გარანტირებული. მდაბიორების თემა ნაწარმოების საერთო ქარგიდან გამოდის და მას თვითმიზნურობის იერი გადაჰკრავს.

გაცილებით ბუნებრივია უბრალო, მეომარი ხალხის გამოჩენა რომანში, როდესაც ეს მათი საქმიანობით არის გამოწვეული, მლოცველებით ავსებული ტაძრის ღრიანცელი ქადაგების დროს, შეთქმული შეიდი ხევისბერის სურათოვანი თათბირი და ზოგიერთი სხვა. დასამახსოვრებელი ეპიზოდია სამონასტრო ვენახები-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XIV, стр. 675.

დან ბერების დაბრუნების შემდეგ მთიდან ჩამოსული მწყემსების ჯირითისა. „მთიდან მოჰყავდათ მწყემსებს გიორგი მეფის ცხენების რემა. ფეხშიშველი მონები ისხდნენ უბელო ჰაკებზე, ზირკათი ფაფარდახუნძლული ულაყები ორ-ორ კაცს მოჰყავდა საბელით.. გამოექცა მგლისფერი ბჯილლა ორ ვაჟკაცს, აყიროსავით გადააგდო ერთი მათგანი მტვერში“...

სურათოვანია, აგრეთვე, მშენებლობის ამსახველი ეპიზოდები. მოძრაობით, ფათერაკებით, სასიყვარულო გრძნობებითა და რაინდული ჟესტებით ალსავსეა 46-ე თავი. სვეტიცხოვლის შემოგარენი სავსეა მისი მშენებლებით, სხვადასხვა ხელობის ჭრელჭრული ხალხით. აქ არიან სხვადასხვა ერის წარმომადგენლები, ხალხი, რომელიც ჟამიანობისგან დამფრთხალი და გულგრილად ელის სიკვდილს. აქ ამბობს არსაკიძე თავის მგზნებარე სიტყვას, აქვე უკრავს ფანდურს ლოდზე ჩამომჯდარი მჭითური ლაზი და უმღერის უმშვენიერეს ლექსს თავის უმშვენიერეს სატრფოს.

„ზღვის ფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას“...

ამავე თავში ტანჯავს არსაკიძეს სასტიკი ეჭვები შორენას მიმართ და ამ დროს აცნობებენ, მას, რომ ხელოსან მუშებშიც იფეთქა ჭირმა: „მიანას წათაიას, გამოსჩენოდა იღლიაში პირველი სვირინგი. დამფრთხალიყვნენ წარებზე მწოლარენი. სწორედ ამ დროს შეეტანათ ოსპით სავსე ქვაბი ფარდულში.

დასტაკებოდნენ მზარეულებს მუშები, ორივენი წაექციათ, ქვაბი გადმოეყირავებიათ, ხელფეხდათუთქულნი მიწაზე ფართხალებდნენ გულისმომკვლელად ყვიროდნენ ბედშავნი. ფარდულის კარებს აწყდებოდა დაშინებული ბრბო, შიგ შესვლა ვერ გაებედნა ვერავის“. ბოლოს, ამავე თავში ეწვევა სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარს მეფე გიორგი და ხელს ართმევს მას, ჟამიანის ფარდულიდან ახლად გამოსულს.

ძლიერად არის ასევე ხალხის ანგარიშმიუცემელი ძალა დახატული სამთავროს ეკლესიაში მელქისედეკის ქადაგების დამთავრებისას. ენერგიულად არის აღწერილი აბობოქრებული ხალხის მიერ საშინელი სრესა-ჭყლეტვის გამართვა, მთავარი დიაკვნის კათედრის წაქცევა, გულშემოყრილი მანდილოსნები, ბავშვის გასრესა და დედაკაცების კივილი და სხვა. მაგრამ ავტორის ყველაზე დამთავრებული ოსტატობა ჩანს ფართომოცულობიანი ბატალური სცენების ხატვისას. ბატალები კონსტანტინე გამსახურდიას სტიქიას წარმოადგენს. მკითხველი თვალწინ ხედავს ატორტმანებულ, აბჯარში გაწყობილი ხალხის მოწყობილ იერიშებს, მაგრამ უფრო ადრე მკითხველი საკუთარი ნერვებითა და კუნთებით გადაიტანს და შეიგრძნობს იმას, რისიც მხოლოდ წარმოდგენა ან გადაკითხვა შეიძლებოდა სხვა შემთხვევაში.

კარგად არის განხორციელებული მიწისძვრის სცენა ძველ მცხეთაში. კოლორიტულია ირემზე და დათვზე ნადირობის თავები. ოსტატურადაა ნაჩვენები მიმინოთი ნადირობის წესები და ჩვევები, ტირილისა და დაგლოვების რიტუალი. სრულყოფილია მეფის კარზე სადილობის ცერემონიალების აღწერა. ყოველივე ეს ხატოვანს, ცხოვრებისეულს ხდის რომანს, ქმნის მის შინაარსს მდიდარს, უხვსა და ტევადს.

ოსტატურადაა გადმოცემული შუასაუკუნეების რელიგიურობა და მორწმუნეობრივი ფანატიზმი. ძუნწად, მაგრამ მეტად დახვეწილად წარმოდგენილია რელიგიური შიშის გამოვლინებანი, რითაც შეპყრობილია პერსონაჟთა უდიდესი ნაწილი, იქმნება ეს მამამზე ერისთავის მეუღლე ბორდოხანი, თავად მამამზე, ბასილი II, მელქისედეკი, ფხოვის წარმართი ხევისბერი თუ მეფე გიორგი I. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ერთი ბედნიერად მოპოვებული სურათი, გამომსახველი გიორგი I-ის რელიგიურობისა. როგორც ისტორიიდან ვიცით, ბასილი კეისრის და გიორგი მეფის ჯარები მათი პირველი ომის დროს (1021 წ.) ბასიანთან შეხვდნენ. ისტორიკოსი გვამცნობს: ომის დაწყებას ვერც ერთი მხარე ვერ ბედავდა, შემდეგ კი ქართველებმა დაიხიეს; გიორგი I-ს არ სურდა დათმობილი ტერიტორია ხელშეუხებლად ჩავარდნოდა ბერძნებს, მისი სისასტიკე ამ დროს სავსებით გამოაშკარავდა. ამ ისტორიულ ფაქტს ამგვარად გვამცნობს ავტორი მამამზე ერისთავის პირით: „მერმე ის იყო, ჩვენ დავმარცხდით, ოლთისი გადავწვით გზაში. ქალაქიდანაც არ ვიყავით გასული, მოახსენეს მეფეს: უფლის სახლი იწვისო. გიორგიმ გადახედა ცეცხლშემოგზნებულ ეკლესიას, ზვიადს უბრძანა ჩააქრობინეო, მერე ცხენს დეზი ჰკრა...

მე გვერდით მივსდევდი ცხენდაცხენ; გადმოიხარა ჩემსკენ და მეუბნება: „ჰოი, რა უწყი, თუ რა არის კონცხსა მას, ან რასა ვცემთ თაყვანს?“ ესა სთქვა და ცეცხლში გახვეულ საყდარს მიჰხედა უკანასკნელად. ეს ისტორიული ფაქტი შესანიშნავად აქვს გამოყენებული ავტორს.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, გიორგი I-ის ცხოვრებაში ბევრი ცვლილება მოხდა, მაგრამ მას არ ტოვებდა ერთი აკვიატებული ჩვენება, რელიგიური ჰალუცინაცია. ნადირობის დროს, როცა მან თვალი გააყოლა წეროების გუნდს, დაინახა კავკასიონის მწვერვალზე ცეცხლშემოგზნებული ეკლესია. „შეძრწუნდა გიორგი, მუხლი მოეჭრა, საფეთქლებიდან ოფლი გამოსდინდა. თვალს მოიფშვნეტს, კვლავ გასცქერის მთას, ლაპლაპებს ცადამ-

წვდენი კოლონი, იწვის „უფლის სახლი“, ისევე, როგორც იმ საღამოს ოლთისში“.

ეს შესანიშნავი ფსიქოლოგიური დეტალია ადამიანის რელიგიური სულის დახატვისათვის; იგი დასამახსოვრებლად, ხატოვნად გადმოსცემს ანგარიშმიუცემელ შიშს იმის მიმართ, რომელსაც ღმერთი ჰქვია და რომელიც შეიძლება არც ქრისტიანული იყოს, არც წარმართული, მაგრამ ისეთივე ძალით სთრგუნავდეს ადამიანის გონებას, როგორც ეს შუასაუკუნეებისათვის იყო უმეტესად დამახასიათებელი.

საერთოდ, რომანში ძლიერად არის გატარებული შუასაუკუნეობრიობის სული, იმ დროის სურნელება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეპოქის გადმოცემას ავტორი ორგვარი მეთოდით ახორციელებს. ერთი მხრივ, გარეგნულად—ისტორიული გარემოსა და აქსესუარების საშუალებით, მეორე მხრივ, მოქმედ პერსონაჟთა ინდივიდუალობის ჩამოყალიბებით. ამ მხრივ ყველაზე ინდივიდუალიზებული და კონკრეტიზებულია ფარსმან სპარსი, რომელიც დამთავრებულ ტიპს წარმოადგენს თავისი დროისას, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი I ყველაზე უფრო ნაციონალური ხასიათია რომანში. ფარსმანის ხასიათში მრავალი ადამიანური თვისებაა ჩადებული. იგი კოლორიტულია და მრავალისტევადი.

როდესაც კ. გამსახურდია აგვიწერს ფარსმანის კომჰ-სამყოფელს, კოლორიტულობით იგი არ ჩამორჩება ალჰაქიმის ან ბიზანტიის კარის აღწერილობას, შუასაუკუნეობრიობის გადმოცემას, მაგრამ, როდესაც ავტორი იწყებს ფარსმანის პიროვნების, ამ „იდუმალთა მომთხრობისა და ჩურჩულის ოსტატის“, ძერწვას, მაშინ იგი აღემატება გარკვეული ეპოქის მოქალაქის დახატვის მიზნებს და ღებულობს განზოგადებულ მნიშვნელობას. ჩვენი გაგებით, ფარსმანი, გიორგი I, მელქისედეკი, შორენა და არსაკიძე არა მარტო შინაარსობრივად დაკავშირებული პერსონაჟებია, არამედ ნაწარმოების ერთი მთავარი პრობლემის ერთმანეთზე გადაბმული რგოლებია. ეს პრობლემა კი, ჩვენი აზრით, თავად ნაწარმოების ძირითად, შემქმნელ თემას წარმოადგენს, ხოლო „დიდოსტატის მარჯვენას“ შემქმნელი თემა— ეს ხელოვნების თემაა.

ფარსმანი წარმოშობით ქართველი აზნაურია, რომელიც ბედმა კოსმოპოლიტი გახადა და ერთი ქვეყნიდან მეორეში ათრია. იგი ბერძენთა ტყვეობის შემდეგ ანტიოქიაში გაიქცევა, აქედან — ანატოლიაში, შემდეგ — კაპადოკიაში; ჰალებში ფარსმანი უახლოვდება ალჰაქიმს, ქაიროში სწავლობს ხუროთმოძღვრებას, ალქიმიას და ფარსულ ენას, ხდება სოფისტი, შემდეგ — ფაკირი, მაგრამ თავს მაინც ისახელებს, როგორც მეომარი და დახელოვნებული დესპანი. [illegible]ბით, ფარსმანს მიუძღვის წვლილი [illegible] ტაძრის შეკეთებაში მიწისძვრისაგან მისი დაზიანების გამო. ბოლოს იგი ისევ საქართველოში მოხვდა წლებისაგან და მწარე გამოცდილებისაგან გულგატეხილი, სკეპტიციზმითა და ურწმუნეობით გამსჭვალული.

ოსტატობაზე მაღლა დგას ის, რაც გადმოგვცემს ფარსმანის ნახევრად-ლეგენდარულ პიროვნებას. მის სამუშაო კაბინეტში მუდამ დგას მოსქელო ფერადი ბოლი, უსიამო სუნი და ოხშივარი, რაც თითქოს წარმოადგენს იმ წლების სიშორეს და ბუნდოვანობას, ჩვენგან სულ ცოტა, 9 საუკუნით რომაა დაშორებული. მაგრამ მისი პიროვნება ან მეტყველება ხელოვნურად არქაიზებული არაა. (საერთოდ, „პრინციპში დიდი განსხვავება არ არის, ისტორიულ რომანს დავწერთ არქაული ენით თუ რომანს ბავშვების შესახებ დავწერთ ენამოჩლექით. ეს არის ნატურალისტური შეცდომა, თითქოს ისტორიული რეალობა მიიღწევა არქაული ენის გამოყენებით“, — წერს გ. ლუკაჩი).

ფარსმანის ოთახი ფაუსტის სამუშაო ოთახს ჰგავს. იგი ეტანება თავისდროინდელ მეცნიერებებს, ისევე როგორც ფილოსოფიურ განათლებას. ფარსმანი ისევე კარგი მეტალურგია, როგორც დიპლომატი, მას ხმლის პირებზე ფეხშიშველა შეეძლო სიარული, მაგრამ პლატონის ფილოსოფიაზე ლექციებს უტარებს გიორგი I. იგი აია-სოფიის შემკეთებელია ნაწარმოებში, მაგრამ სვეტიცხოვლის მისი სამი პროექტიდან სამივე უვარგისი აღმოჩნდა, ბოლოს, ოდესღაც, უებრო მეომრის სახელს ატარებდა, მაგრამ მოკვდა იმის გამო, რომ ავადმყოფ მიმინოს ოყნა ვერ გაუკეთა.

რომანში ფარსმან სპარსი არა მარტო კოსმოპოლიტია, ავანტიურისტი ან ინტრიგანი, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, იგი დილეტანტია და აქედან გამოდის მისი უილბლობია ყველა მიზეზ-გარემოება.

არა ნაკლებ საინტერესო პიროვნებაა ნაწარმოებში გიორგი I. იგი იდუმალებით სავსე, დიდბუნებოვანი მეფის საინტერესო პორტრეტია. ამ პერსონაჟის ხატვისას ავტორს მიზნად ჰქონდა დაეხატა ადამიანი, რომლისთვის მიწიერი სიკეთე, ნივთიერი შესაძლებლობანი განუსაზღვრელია და შეუზღუდველი. გიორგი ამქვეყნიური ყოვლისშემძლეობის და სიძლიერის თავისებური სიმბოლოა, თუმცა, მიუხედავად ამგვარი განზოგადებისა, არაა მოკლებული მხატვრულ სრულყოფილებას. იგი საკმაოდ ინდივიდუალურიზებულია ნაწარმოებში და გამოძერწილი, ემოციური. იგი მეფეა პოლიტიკოსი, მბრძანებელი, მოღვაწე, მეომარი და დიპლომატი, მაგრამ რომანში იგი არაა

მოკლებული ჭეშმარიტად ადამიანურ თვისებებს და ისევე გვებრალება ან გვძულს, როგორც გვაშფოთებს ან გვაოცებს.

გიორგის ბიოგრაფია გარეგნულად (რა შედარებაა ფარსმანთან...) ღარიბია და ფერმკრთალი, მაგრამ რამდენად შინაარსიანია იგი, ძალუმი, ფერადოვანი და სისხლჭარბი! რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მთლიანი, ნებისყოფიანი, ენერგიული და თანმიმდევრული პიროვნებაა. როგორც ისტორიიდან ვიცით, ამ მეფემ იმდენი ვნებიანობა და შემმართელობა გამოიჩინა გარეშე და შინამტრებისთვის ჭკუის სასწავლად, რაც მისსავე შესაძლებლობებს აღემატებოდა. ჩვენს ისტორიაში ბევრი როდი იყო ამგვარად გაბედული, თავისუფლების იდეით შეპყრობილი და „უშიშარი, ვითარცა უხორცო“ მეფე, რომელნიც მოქმედებდნენ მხოლოდ გმირული სულითა და სულისკვეთებით შთაგონებულნი.

თითქოს ამგვარი თვისებების ადამიანს ერთგვარი მორალური დაკმაყოფილება უნდა ეგრძნო საკუთარ მისწრაფებებსა და საქმიანობაში, რადგან მორალურ კმაყოფილებას ადამიანი იღებს მხოლოდ საკუთარი საუკეთესო ზრახვებისა და მოქმედებებისაგან. თითქოს, რომანის მიხედვით, ამ მეფემ გააკეთა იმდენი, რაც მას პირადად ზნეობრივ უფლებას მისცემდა, სიკვდილის წინა წუთებში მაინც სულიერი სიმშვიდე ეგრძნო და გაურკვეველი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას არ დაეთრგუნა. მაგრამ ეს ასე არ არის. რომანის მიხედვით, მეფე სკეპტიკურად არის განწყობილი თავისი პიროვნების მიმართ და შემთხვევითად არ თვლის, რომ მან ვერ მიაღწია სიმშვიდეს ან პირად სიყვარულში მარცხი განიცადა (შორენას მიმართ). იგი თავის უიღბლობას ფილოსოფიური სიმედგრით უყურებს, თუმცა არ აანალიზებს, — აანალიზებს ამას მკითხველი, ავტორის არჩევანი მასზე ჩერდება.

რომანში მეფე ხშირადაა შინაგანი ეჭვებით შეპყრობილი. ერთგან იგი ამგვარად ეკითხება ფარსმანს: „კიდევ რა სენი სჭირთ მეფეებს, ფარსმან?“ ეს შეკითხვა არაა მხოლოდ წვრილმანური ცნობისმოყვარეობით გამოწვეული, რადგან მართალი პასუხის მოსმენის შემდეგ, მას რომ გულში მოხვდა, გიორგი შეურაცხმყოფელად დასჯის მთქმელს. „ქედმაღლობა მეფეების უდიდესი უბედურებაა — უპასუხებს ფარსმანი. — მეფე ყოველ ქვეყანაში მარტოხელაა და ერთადერთი... მერმე, მიმოიხედავს ხოლმე მარტო — სული იგი და, რაკი თავის მსგავსს ვერავის ნახავს სხვას, მას ხელიდან ეცლება უძვირფასესი სამკაული კაცთა მოდგმისა, თავმდაბლობა.“ ფარსმანი გადაკვრით ახსენებს მეფეს, რომ ადამიანისთვის ჩალის ფასი აქვს ტიტულს, რომელიც თავს აკარგვინებს გვირგვინთმტვირთველებს. ძალაუფლება, მიწიერი დიდება არ სპობს სულიერ ტანჯვას: „მახვილო, მახვილო, აღდეგ, რათა ელვიდე ხილვასა შენსა ამაოსა და მანქანასა შენსა ცრუსა“.

ბიბლიოთეკა

გიორგი I რომანში, მისი მხატვრული სახის ყველაზე ღრმა გაგებით, ზნეობრივი დაუკმაყოფილებლობის თავისებური მსხვერპლია, რაც იმით არის გამოწვეული, რომ მისი ამქვეყნიური დიდება და სახელი წარმავალია, დროებითია. მოვიგონოთ მოხუცი მესაფლავის სიტყვები, როდესაც ქუთაისში ასაფლავებდნენ მის ცხედარს: „არც სიკვდილში ჰქონია გიორგი მეფეს ბედი“.

ქრისტიანული რელიგია, როგორც ვიცით, თავის დროზე პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, ხოლო დროთა მანძილზე მორალური მაქსიმების შემცველი იყო. წარსულ საუკუნეებში სარწმუნოება ადამიანის ზნეობრივ ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა და, ამგვარად, იდეოლოგიურ იარაღსაც წარმოადგენდა.

მელქისედეკ კათალიკოსის სახე ნაწარმოებში შედარებით ეპიზოდურია, მისი სამოქმედო როლი შეზღუდულია და ამიტომ — უფრო მკრთალიც. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ყოველი მისი გამოჩენა რომანში მხატვრულად სრულყოფილია და დასამახსოვრებელი. მელქისედეკი რომანში ორთოდოქსი მორწმუნეა, რელიგიური ფანატიზმით დაბრმავებული ადამიანი. იგი ღრმად მორწმუნეა და არ ესმის გიორგი I-ის პოლიტიკა, რომელიც ბიზანტიის სახელმწიფო ინტერესებს უპირისპირდება. ბიზანტია ქრისტიანობის ყველაზე მძლავრი კერა იყო შუასაუკუნეებში და, ამდენად, საქართველოს კათალიკოსის რწმენით, სავსებით ხელშეუხები. ამით ავტორი გვამცნობს რელიგიურად მოაზროვნე კათალიკოსის შეზღუდულობას და პოლიტიკურ გულუბრყვილობასაც.

ამას გარდა, ავტორი გვიჩვენებს, რომ რელიგია, როგორც იდეოლოგიის ერთ-ერთი ძველი ფორმა, შეზღუდულია თავის შესაძლებლობებში, ყალბია თავის პრინციპებში და გამუბრალოებელია ყველაზე მაღალი აზრისა. ყოველგვარი რელიგია კერპთთაყვანისმცემლობაა და ბიბლია, პირველ ყოვლისა, მხატვრული ნაწარმოებია. ყველაზე კარგად ამას ერთი ადგილი ამტკიცებს „დიდოსტატის მარჯვენაში“. სამთავროს ეკლესიაში მელქისედეკ კათალიკოსი ქადაგებდა. მისი ქადაგება დღეს დამყარებული იყო „დაბადებიდან“ აღებულ იაკობის მიერ ღმერთთან შებრძოლების სიუჟეტზე... „და წიაღ მოიკრიბა იაკობ ყოველივე რაიცა იყო მისი და დადგა იგი მარტო მუნ და ერკინებოდა მას კაცი ვიდრე განთიადამდე. და ვითარ იხილა რამეთუ ვერ უძლავს მისა მიმართ, შეეხო ვრცელსა ბარკლისა მისისასა და დაუბუშა ვრცელი ბარკლისაი იაკობისი“.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ორი ადამიანი ცდილობს განმარტოს ეს ადგილი — ერთია კონსტანტინე არსაკიძე, მეფის ხუროთმოძღვარი, მეორე — მელქისედეკ კათალიკოსი. პირველი პერსონაჟის ინტერპრეტაციაზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით, ხოლო მელქისედეკი ამგვარად პრიმიტიულად მარტავს მას: „მოწესეებსა და მღვდლებს მართებთო კარგად განმარტება ამ ადგილისა, რადგან მწვალებელნი და მკრეხელნი აუგად იყენებენო იაკობის მიერ ღმერთთან ბრძოლის ამბავს.

ამქვეყნიური სახელით და პატივით გულმოცემული შემოქმედს უტოლებენ თავს, ღმერთთან თანაბრძოლობას მიელტვიანო. აქ ხმა აუმაღლა კათალიკოსმა და იქედნური ღიმილით დასძინა: ამ საცოდავებს ის ავიწყდებათ, ბარკალი რომ მოსტეხაო ღმერთმა თავის უფალთან მორკინე იაკობს“.

ამ მითში, რომელშიც ადამიანი ებრძვის ღმერთს, ე. ი. თავის თავზე ძლიერ ძალას (განა, მართლაც, ბუნებაში ცოტაა ადამიანზე ძლიერი ძალები?) და სადაც ღმერთი გაგებული უნდა იქნეს, როგორც სიმბოლო, მოცემულია ადამიანის საუკეთესო ხვედრი — ებრძოლოს ბუნებაში არსებულ მასზე აღმატებულ ძალებს, ებრძოლოს, ამავე დროს, თავის თავს, რათა დასძლიოს მის გარშემო მყოფი საიდუმლოება, რომელსაც წარსულ საუკუნეებში, პირობითად ღმერთი ერქვა. ეს არის ბრწყინვალე უძველესი მითი ადამიანის სულიერ სიძლიერეზე, ხოლო რელიგიური შიშით მოცული მოხუცი ქადაგებს მოკრძალებას, მორჩილებას.

რომანის ავტორი, კ. გამსახურდია, მელქისედეკის სახით გვაცნობს, რომ ყოველგვარი პრიმიტიული მორალი, იაფფასიანი დიდაქტიკა მაღალი ადამიანების მოთხოვნილებების დამამცირებელია, დამაპატარავებელი და ისეთი მორალი, რომელიც სინამდვილეში ადამიანს თვალს უხვევს, ეწევა ზნეობრივი დაკნინებისაკენ და გაუბრალოებისკენ, საჭირო არაა. მელქისედეკი ამდენად უმწერ მორალისტის სახეა „დიდოსტატის მარჯვენაში“.

შორენა და კონსტანტინე არსაკიძე ყველაზე ნაკლებად დამუშავებულ ხასიათებს წარმოადგენენ ნაწარმოებში, მაგრამ ყველაზე კოლორიტულნი და მომხიბვლელობით სავსენი არიან. ისინი არ არიან შემკულნი ამა თუ იმ სპეციფიკური თვისებებით, მაგრამ, ამავე დროს, მათს სულიერ დრამაზეა აგებული ნაწარმოების ქარგა და მკითხველის მღელვარების საგანს სწორედ ისინი წარმოადგენენ.

შორენა რომანში თავისი ქალურობით, სინაზითა და სიწმინდით, მშვენებით, სიმტკიცითა და ერთგულებით სიყვარულის განსახიერებაა. განა მან არ ათქმევინა არსაკიძეს, „სიყვარულია თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე?“ იგი ნაწარმოებში სიყვარულის, სიმშვენიერის უფრო განზოგადებაა, ვიდრე კონკრეტულ-ადამიანური ხასიათი. მაგრამ იგი ამით თითქმის არ აგებს და ისევე დასამახსოვრებელი და ამაღლებული სახეა, როგორც ეს რომანის მთავარ გმირ ქალებს მოეთხოვებათ. შორენა სიყვარულის ერთგვარი სიმბოლოა. მისი სულიერი დრამა სასიყვარულო ხასიათისაა. შორენა და სიყვარულის ცნება ერთმანეთს ფარავენ, ავსებენ. შორენა ქალურობის, სიყვარულის გენიაა.

არსაკიძე რომანში თავისი მხატვრული გახსნით ძალზე ენათესავება შორენას. გიორგი მეფემ ერთხელ იკითხა: „ძმა ხომ არ არის ეს ვაჟი შორენასი?“ ამ ორი მხატვრული სახის მსგავსება (ქალური და ვაჟური გენიებისა) ავტორმა ერთგვარ გარეგნულ მსგავსებაზეც კი დაიყვანა! — იგიც თავისი მოწოდების მსხვერპლია. მისი სახე ერწყმის, ღღვება რომანის წამყვან თემაში და იმგვარადვე განზოგადებულია, როგორც შორენას პოეტური პორტრეტი.

არსაკიძე ხელოსანთა წრიდან გამოსული ხელოვანია. მამამისი კირითხუროო და მშენებელი იყო. მან თავისი ხალასი ნიჭით გაიკვლია გზა მეფის მთავარი ხუროთმოძღვრის თანამდებობამდე, თუმცა ეს თანამდებობა იმდენად აინტერესებდა მას, რამდენადაც უფრო ახლო იქნებოდა თავისი საწადელის განხორციელებასთან. იგი ისეთივე ადამიანური თვისებებით არის აღჭურვილი, როგორც სხვა დანარჩენი პერსონაჟები რომანში, მაგრამ მისი ფუნქციები უკანასკნელში უფრო იდეალურია, ვიდრე რეალური. არსაკიძის თემა — ეს ხელოვნების თემაა, ხოლო „დიდოსტატის მარჯვენაში“ ძირითად თემას სწორედ ეს წარმოადგენს.

ხელოვნება უღირს თვით სიცოცხლეს. ხელოვნების სიღრმეების ამოწურვისთვის ერთი სიცოცხლე — ეს მინიმუმია. ყოველი მომენტი, რომელიც შენ სხვა რამეს მოახმარე, ხელოვნებისთვის აღუდგენელია. ხოლო „ხელოვნება თავად უკვდავებაა... მხოლოდ ოსტატს ვერ დაეწევა სიკვდილი... ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“. ამგვარია ნაწარმოების კარდინალური ჩანაფიქრი. „მთელი ჩემი სიცოცხლე ღმერთის ძიებაში ვიყავი მე შლეგი ფხოვში, ჭანეთში და ბიზანტიაში. მხოლოდ დღეს მივხვდი, ჩემო, — ეუბნება არსაკიძე შორენას, — რომ ეს ცხოვრება არც ისე მრუდედ წარუმართავს არსთაგამგებელს. ყველაფერი იმისთვის შეემთხვევა ამ მიწაზე კაცს, რათა თავის თავს და თავის ღმერთს მიაგნოს ბოლოს. გჯეროდეს, ჩემო, საპატიოვალია კაცისა არა გლახური ღმერთის ძიება, არამედ თავათ უნდა გახდეს შემოქმედი უფლის მეტოქედ. ამ ღმერთს, რომელზეც არსაკიძე ლაპარაკობს, არაფერი საერთო არა

აქვს სარწმუნეობრივთან, არამედ მხოლოდ ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენს. არსაკიძე ერთგან ეუბნება შორენას, რომ თავისი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შეჰყვარებია. „მაშ, შენ ქვა სიცოცხლეზე მეტად გყვარებია, უტა?".

„განა ქვაა სვეტიცხოველი, ჩემო? ქვაყოფილია იგი ამჟამად. უფრო უკვდავი, ვიდრე ასიათასი მოკვდავის სული".

კ. გამსახურდიას ესთეტიკურ შეხედულების მიხედვით, ხელოვნება მარადისობას და ადამიანის გაუკვდავებას ემსახურება. ხელოვნება— ეს ადამიანის მონაპოვარია, რომლითაც იგი წარმავლობას ებრძვის. ხელოვნება, მწერლის რწმენით, იმიტომ არის უკვდავი, რომ იგი სულიერი მოღვაწეობაა, სულიერი ენერგიის ნაყოფია. ადამიანი უდიდესი შემოქმედია და შემოქმედებას იგი თავისი სულიერი ძალებით ახორციელებს, ხელოვნება კი ერთ-ერთი წარმტაცი განხორციელებაა ამ შემოქმედებისა. ამგვარია რომანისტის პოზიციები.

ხელოვნება, როგორც მოღვაწეობის ერთი ურთულესი სახე, მოითხოვს ურყევ ნებას, დიდ სიყვარულს საგნისადმი. იგი ადამიანის შესაძლებლობათა საზღვრების თავისებური გამოცდაა, მისი სულიერი ძალების საცდელი ქვაა. ამგვარივე აზრი გამოთქვა ერთმა ფილოსოფოსმა დაახლოებით ასე: ორი რამ ავსებს სულს მუდამ ახალი საოცრებითა და მოკრძალებით, რომელნიც მით უფრო ძლიერდებიან, რაც უფრო ხშირად და დაჟინებით ვფიქრობთ მათზე, — ეს არის ვარსკვლავიანი ცა ჩვენს თავზე და მორალური კანონი ჩვენ შიგნით.

პირველის შეგრძნება იწყება იმ ადგილიდან, რომელიც მე მიკავია ამ გარესამყაროში და სადაც ზღვარდაუდებელ სივრცეში ვუერთდები მსოფლიოს და კოსმიური სისტემების დაუსაბამობას უსაზღვრო დროისა და მათი პერიოდულ მოძრაობაში.

მეორე იწყება ჩემი უხილავი „მე"-დან, ჩემი პიროვნებიდან და ამიტომ სამყაროში, რომელიც ნამდვილად უსასრულოა, თავს ვგრძნობ არა შემთხვევითად, არამედ სრულ და აუცილებელ ერთიანობაში მასთან.

პირველი შეხედვით, ეს უსასრულო და მრავალრიცხოვანი სამყაროები თითქმის აცამტვერებენ ჩემს მნიშვნელობას! საცოდავ მოკვდავად წარმოვიდგენ ჩემს თავს, რომელმაც კვლავ უნდა დაუბრუნოს პლანეტას (პატარა წერტილს მსოფლიო მთლიანობაში) ის მატერია, რომლისგანაც იგი წარმოიშვა.

მეორე მხარე, სულიერი სიღრმე, პირიქით, უსაზღვროდ ზრდის ჩემს მნიშვნელობას, როგორც გონიერი არსებისა, ჩემი პიროვნების საშუალებით. მორალური კანონი გადახსნის ჩემ წინ ცხოვრების აზრს, დამოუკიდებელს ჩემი მოკვდავი არსებისგან და მთელი სამყაროსაგან, რამდენადაც ეს [illegible] ჩემი არსებობის მიზანშეწონილობისა და დანიშნულებისაგან.

ადამიანი დიადია მისი არსებობის მიზანშეწონილობისა და დანიშნულების გამო, თავის სულიერ შესაძლებლობათა შემწეობით, ხოლო ხელოვნება ამის ერთი უმაღლესი გამოვლინებაა. ამიტომაც ფერმკრთალდებიან არსაკიძის წინაშე ნაწარმოების ყველა სხვა გმირთა სახეები: ფარსმანი, როგორც დილეტანტი, წარმოუდგენელია სულიერი სიმაღლეების დამპყრობად, გიორგი I-ის საქმიანობა მასთან ერთად დავიწყებამ მიიბარა (კვლავ ხელოვანის ნიჭიერი ფუნჯი გახდა საჭირო, რათა მისი საქმეები აღმდგარიყო ჩვენ თვალწინ), მელქისედეკის რელიგიურ მოძღვრებებს კარგი ხანია საფუძველი შემოეცალა და ცარიელ ფარატინად დარჩა, ხოლო შორენა... მორალურად აქი იგიც უარყო დიდმა ხუროთმოძღვარმა: „რომელ გულს ეყოფა ძალა, — ფიქრობს ხელოვანი, — მიჯნურობას და ხელოვნებას ემსახუროს ორსავე თანაბრად? ასე ყოფილა ჟამის დასაბამიდან: ერთი ბომონი ვერ დაიტევს ვერასდროს ორ კერპს". ხოლო ერთგან უფრო მკაცრად გამოთქვა მან თავისი შეხედულება — მხოლოდ მოცლილებს ემარჯვებათ გამიჯნურება. ხოლო სიკვდილის წინ, როცა ხუროთმოძღვარს მოელანდა კვლავ თავისი საყვარელი და სთხოვა დიდოსტატს სული, „ცრემლებმა იწვიმეს კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოვლისთვის შეეწირა იგი".

არსაკიძე რომანში ფიზიკურად იღუპება, რათა მისგან დარჩეს ის, რაც მთავარი იყო მასში და რაშიც იგი სამუდამოდ განივთიერდა — უკვდავი სვეტიცხოველი.

რომანი მარტივია თავისი კომპოზიციით, ტრადიციულია ტექნიკური განხორციელებით, წარმოადგენს ეპიკურ თხრობას და ამბის მიუკერძოებელ გადმოცემას. თხრობითი ელემენტი ზომიერადაა ნაწარმოებში წარმოდგენილი, რაც დიდი პროზისთვის მოუცილებელი განსასახიერებელი საშუალებაა. რომანის ამ მხარეს კარგად ავსებს ის უზომო ემოციურობა, აზრის და სახეების პოეტურობა, განწყობილების სიუხვე და ზემოქმედება, რომელიც „დიდოსტატის მარჯვენას" ქართული პროზის შედევრად ხდის. კ. გამსახურდიას პროზა რიტმულია და ხატოვანი. მას ახასიათებს სიტყვის განცდა და მეტყველების პლასტიკურობა.

კ. გამსახურდია მოაზროვნე მწერალია. მისი ნაწარმოებების შემადუღაბებელ ძალას ღრმა აზრი, იდეათა მწყობრი სისტემა წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი ბენაშვილი

★

# შიო არაგვისპირელი*

მესამე უძლიერესი მოტივი შიო არაგვისპირელის შემოქმედებისა სატრფიალო მოტივია.

სიყვარულის გრძნობა შიო არაგვისპირელისათვის ორი თვალსაზრისით არის საინტერესო: ცხოვრებისეული და წმინდა ფილოსოფიური თვალსაზრისით. მწერალს ღრმად სჯერა, რომ სიყვარულის გარეშე თვით ცხოვრება დაკარგავდა მიმზიდველობას. ამიტომ ეხმაურება იგი თავის შემოქმედებაში ამ გრძნობას ასე მხურვალედ და თანმიმდევრულად.

პირველი ნაწარმოები, რომელშიაც შიო არაგვისპირელმა ყოველმხრივ წარმოგვისახა სიყვარულის მაღალი პათოსი, გახლავთ რომანი „გაბზარული გული“. ეს პირველი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი რომანია შიო არაგვისპირელისა, რომელიც აგრე ფართო ხელგაშლილობით წარმოგვიდგენს ცხოვრებას თავისი ღირსებითა და ნაკლით.

შიო არაგვისპირელი რომანში არ კმაყოფილდება მხოლოდ ერთი პრობლემის წამოყენებითა და გადაჭრით; ის აყენებს იმ პრობლემათა მთელ კომპლექსს, რომლებიც ჯაჭვის რგოლების მსგავსად ერთიმეორესთან დაკავშირებული არიან გარკვეული ინტერესებით. ამ პრობლემათა შორის არსებითია: თვით სიყვარულის პრობლემა, ოსტატობის პრობლემა და მევობრობის პრობლემა. ამ სამი მთავარი პრობლემის ფონზე ავტორს სურს გადაწყვიტოს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება, მათი ხასიათების კონფლიქტების შედეგად მათივე ადამიანური ბუნების შეცნობა.

იმისათვის, რომ თვით კითხვები ხელშესახები გახადოს ჩვენთვის, მკითხველისათვის, რომანის ავტორი ქმნის ნაწარმოების შემდეგ სიუჟეტურ ქარგას: ერთ-ერთ სახელმწიფოს განაგებს მეფე, რომელიც განსაკუთრებით გულისხმიერია თავისი ხალხის თხოვნისადმი; მაგრამ ერთი რამ აინტერესებს მეფეს: მის სახელმწიფოს ყველა კუთხიდან მოდიან მთხოვნელები საჩივრებით, მაგრამ ჯერ არც ერთი მთხოვნელი არ მოსულა მასთან იმ კუთხიდან, რომელსაც განაგებს მთავარი კაცია. როდესაც მეფე იკითხავს მიზეზს, აღმოჩნდება, რომ კაციას თავის სამთავროში გონიერ ადამიანურ კანონებზე მოუწყვია ცხოვრება, რომ ხალხისათვის მას შეუქმნია უზრუნველი ყოფა, რომ მისი კუთხის ყოველ მცხოვრებს აქვს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების საშუალება. კეთილ მეფეს კი არ ეხარბება კაციას საქციელი, არამედ უკვირს, თუ როგორ მოაწყო ასე გონივრულად თავისი სამთავრო. მაგრამ კაცია მარტო თავისი კუთხის გონივრული მოწყობით როდი იყო ცნობილი; ის სახელგანთქმული იყო ლამაზი ასულით — ეთერით. სწორედ ეს ლამაზი ასული იქცა კონფლიქტების მიზეზად, და შიო არაგვისპირელიც აქედან იწყებს თავის რომანს.

შიო არაგვისპირელის მიერ წარმოსახული ეთერი მხოლოდ ლამაზი როდია, ის გონიერი ადამიანია, მაგრამ თავისმა მღგომარეობამ და სილამაზემ მასში აღძრა პატივმოყვარეობის გრძნობა. პატივმოყვარეობის შედეგად ის გულგრილად ექცეოდა სიყვარულს ცნობილი ვაჟკაცებისას, რომლებიც ხელის სათხოვნელად მოდიოდნენ ეთერის მამასთან. მას აკვიატებული აქვს აზრი, რომ იქცეს დედოფლად; ამიტომ თავის ოცნებაში ეალერსება მისთვის სრულიად უცნობ მეფის ვაჟს. ამ ოცნებით შეპყრობილი ეთერი მთვარის ამოსვლის ჟამს გამოდიოდა ხოლმე თავისი კოშკის სარკმელთან, რათა მთვარისათვის გაემხილა თავისი სურვილი. სურვილის გამხელას ეთერი სიმღერით იწყებდა.

ამ სიმღერას შემთხვევით ყური მოჰკრა ოქრომჭედლის შეგირდმა მახარემ. იგი მოხიბლა ქალის არა მარტო ხმამ, არამედ სილამაზემაც, და შეუყვარდა ის. სიყვარულის ვნება დაეუფლა მახარეს, მაგრამ, ამავე დროს, მან იცოდა ის ზღვარი, რომელიც არსებობდა მთავრის ასულსა და შეგირდს შორის, რომ ეს სიყვარული უიმედო იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მახარემ მოინდომა ქალის გულის დაპყრობა ოსტატობით, რომელიც გადალახავდა სოციალურ ზღვარს. მახარემ მოინდომა ისეთი ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ჩაწერდა ქალის ხმას და ავტომატურად იმღერებდა კიდეც. მართლაც, დიდი ხნის მუშაობის შემდეგ მახარემ შექმნა დღევანდელი მაგნიტოფონის მსგავსი ინსტრუმენტი. ყველაზე დიდი ბედნიერება მახარემ მაშინ იგრძნო, როდესაც ეთერს, მისდა შეუმჩნევლად, სამჭედლოდან მოასმენინა საკუთარი ხმა. ამ ხმამ ჯერ შეაკრთო ეთერის პატივმოყვარე გული, შემდეგ კი მოინდომა ამ ინსტრუმენტის ხელში ჩავდე-

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 8.

ბა. არც თხოვნამ, არც მუქარამ არ გასჭრა და მაგიური ინსტრუმენტი, რომელსაც ზარის ფორმა ჰქონდა, ვერ ჩაიგდო ხელში ეთერმა. ქალმა მამას სთხოვა. ძალით წაერთმია მახარესათვის ის, რასაც ნებით არ იძლეოდა. მამა წინააღმდეგი იყო ამგვარი ნაბიჯისა, რადგანაც ის არღვევდა თავისუფლების იმ პრინციპს, რომელსაც ემყარებოდა კაციას სამთავრო. მაშინ ეთერმა ხერხს მიმართა: ვაჟთან ალერსში გაატარა ერთი ღამე და ჯილდოდ პირველი ღამისა მიიღო მახარეს მიერ გაკეთებული ზარი. ოსტატობის შედეგად შექმნილმა ხელოვნების ნიმუშმა გადალახა სოციალური უთანასწორობა და ქალის პატივმოყვარეობა.

ამ ხელოვნების ნიმუშის შექმნისათვის შეუყვარდა ეთერს მახარე და მაშინ, როდესაც ის თავისი სურვილის მიხედვით დედოფლად იქცა, პირველად იგრძნო თავი უბედურ ადამიანად. ქმარი — მეფე მისთვის არარაობად იქცა, ხოლო დედოფლობა ზიზღის გრძნობას აღძრავდა მასში. მახარე იქცა მისი ოცნების საგნად.

მახარემ იხსნა სახელმწიფო დაღუპვისაგან, რასაც უმზადებდა ვილაც დამპყრობელი ერი, შემდეგ მახარეს უღალატა თავისმა უახლოესმა მეგობარმა ირემამ და აუჯანყდა მას ბრბო, რომელიც გუშინ მახარეს სახელს ლოცულობდა.

ასეთია რომანის სიუჟეტური კანონზომიერება. მაგრამ აქ სიუჟეტი კი არ არის აქსებითი, არამედ, სიტუაცია, რომელიც აიძულებს ადამიანებს, ხელი ჰკრას მხურვალე სიყვარულის ჭეშმარიტ გრძნობას, შემდეგ კი უარყოფილი სიყვარულის გამო საკუთარი თავი სასიკვდილოდ გაიმეტონ? ან უღალატონ მეგობარს, რომელმაც მისი სიცოცხლე იხსნა საკუთარი სიცოცხლის ფასად? ან რა აიძულებს ადამიანებს, რომ გუშინდელ სათაყვანებელ კაცს დღეს ზურგი შეაქციონ და ზიზღით უცქირონ?

მწერლის აზრით, ეთერის უარს მახარეს სიყვარულზე განსაზღვრავდა სოციალური უფსკრული, რომელიც არსებობდა მათ შუა. ადამიანების ერთურთისაგან განაპირება სოციალური მიზეზების გამო თვით ადამიანის სულში აღძრავს სიძულვილს ერთმანეთისადმი, და თუ ამ სიძულვილის მიუხედავად, ბოლოს ეთერი მწუხარებაში ვარდება მახარეს სიყვარულის გამო, არა იმიტომ, რომ სიყვარულმა ობიექტურად მოსპო წოდებრივი ზღუდეები, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ სიყვარულის ადამიანური გრძნობა ცალკეულ ინდივიდუმებში მაღლა დგება წოდებრივ გრძნობაზე. მწერლის აზრით, აქაც ობიექტური ბორკილებია მიზეზი, რომელიც ბოჭავს ქალ-ვაჟის სიყვარულს.

იმავე რომანში შიო არაგვისპირელს დასმული აქვს ერთი კითხვა, სახელდობრ: რატომ არის მიზანი ლამაზი მისწრაფების დროს, ხოლო მიღწევის შემდეგ ეკარგება ელფერი და ის, რაც შორიდან მშვენიერი ჩანდა, მიახლოებისთანავე იძარცვება მშვენიერებისაგან? ეთერი ოცნებობდა, დედოფალი გამხდარიყო. დედოფლად იქცა და შეეზიზღა დედოფლობა. ეთერს უყვარდა მეფის ვაჟი, ნატრობდა მის მეუღლეობას, მაგრამ მეუღლეობამ შეაძულა მეფის შვილი. რომანის ერთ-ერთი გმირი ნადირა ოცნებობდა მახარეს მეგობრობას, გახდა მეგობარი და ბოლოს მის მტრად იქცა. რატომ ხდება ასე? ეს კითხვა შიო არაგვისპირელს აინტერესებს არა როგორც კერძო, არამედ როგორც ზოგად-ადამიანური პრობლემა.

მხატვრულ ნაწარმოებში სულ სხვა გარემოება იქცევს მწერლის ყურადღებას, რომელიც ხშირად სრულიად შეუნიშნავი რჩება ეკონომისტს, ისტორიკოსს, იურისტს, ფილოსოფოსს. ვერავითარი ეკონომიური ფაქტორით ეკონომისტი ვერ ახსნის ჯულიეტას საქციელს, ჯულიეტასი, რომელმაც შეიყვარა თავისი გვარის მოსისხლე მტერი რომეო, თუმცა იცოდა მან, რომ ამ სიყვარულით უბედური ქალი იქნებოდა. სიყვარულის საშუალებით რომეოსა და ჯულიეტას სურდა ორ მოსისხლე გვართა შორის იმ უფსკრულის ამოვსება, რომელიც მათ ერთმანეთისაგან აშორებდა. ბოლოს ორივე მსხვერპლი გახდა მათი უიღბლო სიყვარულისა.

ბედისწერამ მეფის ტახტზე დასვა ოიდიპოსი და იგი ფიქრობდა, რომ ბედნიერი ადამიანი იყო მთელ ქვეყანაზე; მან საკუთარი ხელით დაითხარა თვალები, რადგანაც იმავე ბედისწერამ საკუთარი დედა შერთო ცოლად. ყველა ზემოჩამოთვლილი ნაწარმოები დღესაც იმავე ძალით გვაგრძნობინებს მხატვრულ სიამოვნებას, რა ძალითაც ის თავის თანამედროვე ადამიანებს აგრძნობინებდა.

ამიტომ შიო არაგვისპირელის მიერ „გაბზარულ გულში" დასმულ პრობლემებს, გარდა თავიანთი კონკრეტული ხასიათისა, აქვთ ზოგადადამიანური მნიშვნელობა. სწორედ ეს გარემოება აგვიძულებს ვთქვათ, რომ შიო არაგვისპირელის მიერ „გაბზარულ გულში" წამოჭრილი საკითხები არა მარტო საინტერესოა, არამედ აქტუალურიცაა საკვლევაძიებო თვალსაზრისით.

შიო არაგვისპირელს აქვს ერთი ფრიად საინტერესო ნოველა „ყველაი დავკარგე". ამ ნაწარმოებში მეტად დამახასიათებელი სურათია წარმოსახული იმის გამო, თუ როგორ ტრაგიკულად ამთავრებს სიცოცხლეს შეყვარებული ადამიანი. ახალგაზრდა მთიელ ქალს შეუყვარდება ახალგაზრდა მთიელი ვაჟკაცი. ვაჟი უთანაგრძნობს ქალს და სიყვარულმა ორი ადამიანი ერთ არსებად აქცია. ეს სიყვარული მხოლოდ სექსუალური გრძნობებით გამოწვეული ვნე-

ბები როდია, არამედ სულთა კავშირია, რომელიც მხოლოდ ბუნების უშუალო შვილებმა იციან. ეს გრძნობა სიყვარულისა გამარჯვებით მთავრდება მხოლოდ იქ, სადაც ჯერ კიდევ არ შეჭრილა ცივილიზაციის პარალელურად წარმოშობილი, მაგრამ იმავე ცივილიზაციის მტერი — ზნეობრივი გარყვნილება.

ახალგაზრდა მიჯნური ვაჟი — ნინია ჯარში გაიწვიეს და ჯარისკაცის მოვალეობას იხდიდა დუშეთში. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მთიელ ჯარისკაცს ხშირად უხდებოდა ურთიერთობა „მოხეტიალე ქალებთან“ (როგორც შიო არაგვისპირელი ამბობს თავის ნოველაში), ამ ურთიერთობამ ზნეობრივად დააკნინა შეყვარებული, ის ივიწყებს თავის მოვალეობას სიყვარულის წინაშე. მთიელი ქალი სრულიად შემთხვევით გაიგებს შეყვარებულის საქციელს, ვაჟურად გადაიცვამს და დუშეთში შემოდის, რათა საკუთარი თვალით იხილოს კაცის ამორალური საქციელი. მართლაც, ქალი მოწმე ხდება სამწუხარო ამბავისა და მაღალი ფრიალო კლდიდან გადავარდება არაგვში. ასე ტრაგიკულად დასრულდა შეყვარებულთა ბედი.

იმისათვის, რომ უფრო მძაფრი ყოფილიყო მხატვრული სურათი, მწერალი თავისი ნაწარმოების პერსონაჟებად იღებს ბუნების უშუალო შვილებს — მთიელებს. დამპყრობელმა ძალამ ამ მორალურად მტკიცე კრისტალის დამსხვრევა ვერ შეძლო (?) — ამიტომ აგრე მძაფრია შიო არაგვისპირელის ნაღვლიანი კილო. აქ ერის არსებობის საკითხი სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზეა შეგდებული. მაგრამ ერთი ნათელი წერტილი აქვს ქვეტექსტს და გვაფიქრებინებს, რომ დამპყრობელი ძალა ვერ მოერევა მორალურად ჩვენს ხალხს. ქალთან შეხვედრის შემდეგ შეყვარებული ვაჟი მიხვდება თავის მძიმე დანაშაულს და იგრძნობს სინანულს. ვისაც სინანული შეუძლია თავისი მორალური დანაშაულების გამო, მას საკუთარი სახის შენარჩუნებაც შეუძლია. შეცდომის აღიარება პირველი სიმპტომია გაჯანსაღებისა. ამიტომ მწერალთან ერთად, ჩვენ, მკითხველსაც გვიხარია, რომ დიდმა მსხვერპლმა, რომელიც შეყვარებული ქალის ტრაგიკული სიკვდილით აღინიშნა, თავისი შედეგი გამოიღო და მორალურად გაბზარული ადამიანი კვლავ განკაცდა.

სატრფიალო მოტივზე დაწერილ შიო არაგვისპირელის ნაწარმოებთა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ავტორისათვის სიყვარულის პრობლემას მრავალი ფორმა აქვს და იმდენ ვარიაციებს შეიცავს, რამდენიც ადამიანია ამ ქვეყანაზე. მაგრამ ყველა ამ ფორმას ერთი შინაარსი აქვს. ოჯახური ურთიერთობა მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი, როდესაც ის მარტო მოვალეობას კი არ ეყრდნობა, არამედ სიყვარულის ბუნებრივ [illegible]. მართალია, სიყვარული მოვალეობასაც აკისრებს კაცს, მაგრამ პირველი მიზეზი უნდა იყოს, მეორე კი შედეგი. სადაც მეორე მიზეზად იქცევა და პირველი კი შედეგად, შიო არაგვისპირელის აზრით, იქ სიყვარულის გაუხამსებასთან გვაქვს საქმე. სიყვარულის გაუხამსება კი ანაღვლიანებს მწერალს, გულს უკლავს მისგან გამოწვეული ტრაგიკული შედეგები. ამ მოტივზეა აშენებული ნოველა „ქარი კი ამ დროს ზმუოდა, კვნესოდა და გმინავდა“.

ძველი ცხოვრების სასტიკმა ხელმა სვებედი გაუმწარა ახალგაზრდა ვაჟს — ტიტიკოს. ქვეყნის ამაოებით თავმობეზრებული, სკეპციზმის შხამით მოწამლული ტიტიკო მტკვრისაკენ მიეშურება თავის მოსაკლავად. შემთხვევით მას წინ შემოეყრება მეზობელი ქალიშვილი ბათო. ბათოსთან საუბარმა დაავიწყა ტიტიკოს თავისი განზრახვა და შეყვარებულ არსებად იქცა. ტიტიკომ ცოლად შეირთო ბათო და სიყვარულთან ერთად უდიდესი ოჯახური ბედნიერება იგრძნო. მაგრამ ეს ოჯახური კავშირი ემყარებოდა მხოლოდ მოვალეობის გრძნობას და არა სიყვარულს. რამდენადაც ტიტიკო გულწრფელი იყო თავის ქცევაში, იმდენად ბათო ყალბი და ცინიკურია, თუმცა ამ ცინიზმს ტიტიკო ვერ ამჩნევდა და ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ ბათო ერთგული მეუღლე იყო.

ჯვარისწერიდან ორი წლის შემდეგ ბათო გარდაიცვალა. ტიტიკომ კვლავ უბედურ ადამიანად იგრძნო თავი, მწუხარე ცრემლით დასტიროდა მეუღლის გვამს და ფიქრობდა, რომ ბათოს შემდეგ მისი სიცოცხლე ამაოებაა, და კვლავ განემზადა თვითმკვლელობისათვის. ამ მწუხარე ჟამს ფოსტალიონს შემოაქვს წერილი ბათოს სახელზე. ტიტიკოს ჩვევად არ ჰქონდა მეუღლის სახელზე მოსული წერილის გახსნა, მაგრამ ამჟამად თავის წესს უღალატა, რადგანაც ბათო მკვდარი იყო. ტიტიკომ წერილი წაიკითხა და საოცარი სულიერი ტრამვა იგრძნო. წერილი ბათოს შეყვარებულისაგან იყო. შეყვარებული ბათოს სწერდა იმის შესახებ, რომ მისმა ჯვარისწერამ ტიტიკოზე და ოფიციალურმა დაოჯახებამ საშუალება მისცა შეყვარებულებს უფრო თამამი შეხვედრისა. შეყვარებული აღწერდა ბათოსთან შეხვედრის მეტად უცნაურ სცენებს.

ამ წერილმა ტიტიკოს აგრძნობინა მთელი ის სიყალბე, რომელსაც მისი ოჯახი ეყრდნობოდა. თვალწინ დაუდგა გაცრუებული იმედები და ზნეობრივი დაცემა ადამიანისა. მან სიკვდი-

ლი უდიდეს ბედნიერებად ჩათვალა, გარეთ კი ქარი ზმუოდა, კვნესოდა, გრგვინავდა, უბედური ადამიანების ბედს დასტიროდა.

ნოველაში ადამიანის ზღვარდაუდებელი სევდაა წარმოსახული. შეიძლება ზოგიერთმა მკითხველმა იფიქროს: რაა აქ სატრაგედიო? ერთი შეხედვით, მართლაც ასე მოგვეჩვენება, თითქოს სხვანაირად შეუძლებელიც იყო, რადგანაც ნოველაში აღწერილი ოჯახი ეყრდნობოდა მხოლოდ გულცივ მოვალეობას და არა ერთმანეთისადმი სიყვარულს. მოვალეობა უძლურია, დაიცვას ოჯახური კავშირი მორალი ბზარისაგან, თუ მას სიყვარული არ უდგას გვერდით. მაგრამ ტიტიკოს მწუხარება ამ გარემოებამ კი არ გამოიწვია, არამედ სულ სხვა მიზეზებმა. მას აღელვებს ადამიანის ბუნების ერთი მეტად უცნაური თვისება. როგორ თავსდება ადამიანის ბუნებაში ერთსა და იმავე დროს სიყვარულიცა და სიძულვილიც? რატომ არა აქვთ ადამიანებს იმდენი გამბედაობა, რომ ცოლმა ქმარს და ქმარმა ცოლს გულწრფელად უთხრან ერთმანეთს, რასაც გრძნობენ, რომ ამით დაირღვეს ყალბად შექმნილი ოჯახი, რომელიც მხოლოდ მოვალეობას ეყრდნობა და არა სიყვარულს.

შიო არაგვისპირელიც ამ კონცეფციას უჭერს მხარს და ამიტომაც აგრე ტრაგიკულად წარმოგვისახა მან ოჯახი, რომელსაც მხოლოდ მოვალეობა აკავშირებს და არა სიყვარული.

ამავე კითხვას ეხება შიო არაგვისპირელის ნოველა „ხითხითებს და ხითხითებს". აქაც ოჯახში მოვალეობისა და სიყვარულის ბრძოლაა წარმოსახული. ვინმე ახალგაზრდა ვაჟს უყვარს ქმრიანი ქალი ანა. ანას კი ეზიზღება თავისი კანონიერი მეუღლე ქაიხოსრო. ანას ქმარი საშინლად ეჭვიანი კაცია და ცოლის ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებს. ანა გრძნობს ამას და ცდილობს, ქმარი გაათავისუფლოს ამ მტანჯველი ეჭვისაგან, რადგანაც ეს ეჭვი ხელს უშლის ქალს შეყვარებულთან ურთიერთობაში. ამ ნიადაგზე ანა მიმართავს მეტად მზაკვრულ ხერხს. ზაფხულში ანას მიწვევით ქაიხოსროს ოჯახს სტუმრად მოუვიდა ახალგაზრდა შეყვარებული. ეჭვიანი ქაიხოსრო ცოლის ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებს. ეს იცის ანამ, მაგრამ არ იცის შეყვარებულმა ჭაბუკმა. ვაჟს სურს ალერსი ქალისა, მაგრამ ქალი არ იძლევა ნებას, მიუხედავად იმისა, რომ იტანჯება სიყვარულით. ვაჟი ძალით მოინდომებს ანას კოცნას, ანა სილას გააწნავს შეყვარებულს. ჭაბუკი იწყენს ანას საქციელს და გამწარებული ბრუნდება საკუთარ სახლში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ახალგაზრდა შეყვარებული ვაჟი იღებს ანას წერილს, რომელშიაც ატყობინებს, რომ მისი საქციელი გამოწვეული იყო ეჭვიანი ქმრის თავმოყვარეობ-ს დასაკმაყოფილებლად, რომ ამის შემდეგ მეუღლეს ქალი მიაჩნია ურთგულეს ადამიანად, რომ ქმარმა თავი დაანება ეჭვიანობას, რომ ამის შემდეგ თავისუფლად შევხვდებით.

ანას წერილთან ერთად კონვერტში აღმოჩნდა ანას ქმრის — ქაიხოსროს მისაწვევი ბარათიც. ამის შემდეგ შეყვარებული ჭაბუკი ქაიხოსროს ოჯახის შინაური გახდა. „ანა უჩემოდ ველარ სძლებს, სულ ჩემთან არის და მე კიდევ მასთან... ქაიხოსრო კი, როდესაც ანასთან ერთად მნახავს, კმაყოფილებით ხითხითებს და ხითხითებს". აქ მეტად ობიექტური სურათია მოცემული ემპირიული სინამდვილისა. რეალური ცხოვრებისათვის ამგვარი სურათები დამახასიათებელი იყო, და მწერალი მოვალედ თვლიდა, შეხებოდა მას გარკვეული კუთხით. მაგრამ შიო არაგვისპირელი ამ სურათების გულგრილი მაყურებელი როდია. მწერლის ნაღვლიანი კილო ამ ნოველაშიც შეიმჩნევა. მას ქაიხოსროს ხვედრი კი არ აწუხებს, არამედ ქართული ოჯახის ბედი. მწერლის აზრით, ცოლი, ქმარი და საყვარელი არ იყო დამახასიათებელი ქართული ოჯახისათვის. ქართველ ვაჟკაცს თუ შეუყვარდებოდა მეორე კაცის ცოლი და ცოლი უთანაგრძნობდა შეყვარებულ კაცს, იმავე წუთში ცოლად ირთავდა და ამით კავშირს წყვეტდა მეტოქის ოჯახთან. ევროპული სამკუთხედის სავალდებულო კოდექსის თანახმად, საყვარელი თავშესაფარს ეძებდა შეყვარებული ქალის ქმრის ჭერქვეშ. ამ შეყვარებულის შეჭრის შემდეგ ოჯახში ფარისევლობა ბატონობდა და იმ მორალურ ელემენტს ხრწნიდა, რომელიც საფუძვლად უდევს ოჯახს.

შიო არაგვისპირელის აზრით, სიყვარულისაგან განტვირთული ოჯახური მოვალეობის გრძნობა ადამიანს აჩვევს სიცრუეს, ორპირობას, ვერაგობას, ფულით ვაჭრობას, ეგოიზმს, პატივმოყვარეობას და ყოველივე მანკიერ გრძნობას, რომელიც ხრწნის ოჯახს, როგორც ერის სასიცოცხლო უჯრედს. ოჯახის საფუძვლების შერყევა ბუნებრივად იწვევს ეროვნული ცხოვრების მოშლასაც. ეს გარემოება დაედო საფუძვლად შიო არაგვისპირელის სევდიან კილოს.

ამავე პრობლემის მხატვრულად გახსნას ისახავს მიზნად მოთხრობა „გიული". ეს მოთხრობა ჭეშმარიტი ხელოვნების ერთი საკუთესო ნიმუშია, რომელიც შეუნელებელი ინტერესით იკითხება. უდიდესი მხატვრული ზომიერების გრძნობითა და მკაცრი რეალისტური ალღოთი ავტორი ქმნის მეტად დამახასიათებელ სურათს იმის შესახებ, თუ როგორ იტანჯებიან ადამიანები უსიყვარულოდ, არაშესატყვისი ქორწინების შედეგად შექმნილი ოჯახის ორივე სქესის წარმომადგენლები.

შიო არაგვისპირელის აზრით, ოჯახის, როგორც საზოგადოებრივი უჯრედის ნგრევის,

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისიც არის, რომ ხშირად ადამიანები არავითარ ანგარიშს არ უწევენ ასაკს ქორწინების დროს და ხანშიშესული კაცი, თავისი კარგი მდგომარეობის გამო, ცოლად ირთავს ახალგაზრდა ქალს. უკიდურესი ეგოცენტრიზმი ახლავს თან ამგვარ ქორწინებას როგორც ვაჟის, ისე ქალის მხრიდან. ახალგაზრდა ქალს ხანშიშესული ქმრის კარგი მდგომარეობა აინტერესებს და მისი დაუფლება ქალს ერთადერთ მიზნად გაუხდია; ხოლო ქმარი ცდილობს სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალიშვილის მფლობელი გახდეს იმავე ეგოისტური მიზნებისათვის. ამ თვალსაზრისით შექმნილი ოჯახი ისევე იოლად ინგრევა, როგორც იოლად იქმნება იგი.

შიო არაგვისპირელის მოთხრობის მთავარი გმირი ქალი — გიული 16-17 წლის ქალიშვილია, რომელსაც მშობლები ძალით ათხოვებენ ხანშიშესულ ალიაზე. გიულის ქალური ინტერესები ფეხქვეშ იქნა გათელილი და არაბუნებრივი ქორწინების შედეგად მას დაეუფლა კაცი, რომელიც ეზიზღებოდა. ამგვარად შექმნილ ოჯახში ადვილად იჭრება მესამე პიროვნება, საყვარელი, რომელიც ანგრევს წარმოშობილ ოჯახს.

მაგრამ არც გიული და არც მისი საყვარელი იმ ადამიანებს არ ეკუთვნიან, რომლებიც ქურდულად სარგებლობენ შექმნილი მდგომარეობით. ახალგაზრდა ვაჟსა და ქალს უყვართ ერთმანეთი უკიდურეს გახელებამდე. ვაჟი მზად არის, მოიტაცოს გიული და ცოლად შეირთოს. ქალი თანახმაა. მაგრამ ქერბალაის ჩარევამ საქმეში დაანგრია შეყვარებულთა გეგმა. შეყვარებული ვაჟის მეგობარმა ქერბალაიმ, რომელსაც დავალებული ჰქონდა გარეჯის ქვაბულებიდან გიულის გატაცება, თვით შეუყვარდება გიული. ქალი წინააღმდეგია ქერბალაის სურვილისა. იწყება ბრძოლა ქერბალაისა და გიულს შორის. ქალი შემთხვევით გადმოვარდება ქვაბულიდან და კვდება; ქერბალაი კი სიყვარულისა და მეგობრისადმი ღალატის გამო თავს იკლავს.

ასეთი მძიმე შედეგებით მთავრდება არაშესატყვისი ქორწინების შედეგად შექმნილი ოჯახური ურთიერთობა.

შიო არაგვისპირელის მორალი ადამიანებს წინასწარ აფრთხილებს ამგვარი ცდუნებისაგან, იგი გმობს ქალის ინტერესების ფეხქვეშ გათელვას ქორწინების დროს და არაშესატყვისი ასაკის ადამიანების ერთურთთან დაკავშირებას ერთ ჭერქვეშ.

პლასტიკური მხატვრული ფერებით არის წარმოსახული გიულის არა მარტო გარეგანი სახე, არამედ მისი სულიერი ცხოვრება. ვგრძნობთ, რომ ეს ქალი სიყვარულისათვის არის გაჩენილი და ისე მოკვდა, რომ ვერ დაეწაფა მის ნექტარს.

მოთხრობაში რამდენადაც მეცხვარეების ყოფა რეალისტური ფერებით [illegible]ული, იმდენად თვით გიულის ქა[illegible] გაშათებულია რომანტიკული შუქით. არსებითად აქ, ისე როგორც შიო არაგვისპირელის მთელ შემოქმედებაში, საქმე გვაქვს რეალისტური და რომანტიკული ელემენტების ორიგინალურ შერწყმასთან, და ეს გარემოება ხდება პირველი ნიშანი მწერლის ორიგინალობისა.

როგორც შესავალში იყო აღნიშნული, შიო არაგვისპირელი მოვლენისადმი მხოლოდ ერთი კუთხიდან შეხედვით როდი კმაყოფილდება. ის მრავალმხრივ ზომავს დასჯის მოვლენათა შედეგებს, ამზეურებს უბრალო თვალისათვის შეუმჩნეველ, მაგრამ თავისთავად ფრიად დამახასიათებელ დეტალებს, რომლებშიც ფარულად იმალება ადამიანის სულის ნაწილები. ამ დეტალების ერთობლიობა ქმნის ადამიანის მეტად რთულსა და შინაარსიან ხასიათს. სტანისლავსკის თქმისა არ იყოს, ადამიანი ფარული საწყობია სულის ძვირფასი ნაწილებისა და იგი თავის თავს ამჟღავნებს იდეებში, ემოციებში, ვნებებში, განწყობილებებში.

ქალისა და ვაჟის უფლებრივი და პოლიტიკური თანასწორობის მაღალი იდეა, რომლის პრაქტიკული განხორციელება დიდი ხანია მიზნად დაისახა კაცობრიობის პროგრესულმა ნაწილმა, ინტენსიურად იპყრობდა გამოჩენილი მწერლების ყურადღებას. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დიდი მწერალი, რომელსაც ამ თემისადმი არ მიეძღვნას მხატვრული ნაწარმოები. შიო არაგვისპირელმაც მიუძღვნა ამ პრობლემას რამდენიმე მოთხრობა, მათ შორის ყველაზე უფრო საინტერესოა მოთხრობა სათაურით „ვაი ჩვენი ბრალი“.

ამ მცირე მოცულობის მოთხრობაში ეთიკური საკითხია გადატეხილი მხატვრულ პრიზმაში. რაკი შიო არაგვისპირელი ოჯახს თვლის ეროვნული ორგანიზმის ჯანსაღ უჯრედად, ის ეძებს ამ უჯრედის შემადგენელი ნაწილების ურთიერთობის მორალურ საყრდენს. პრინციპი ქალ-ვაჟთა თანასწორობისა, არაგვისპირელის აზრით, უნდა დამყარებული იქნეს სიყვარულისა და მოვალეობის მონოლითურ მთლიანობაზე. სიყვარული მოვალეობას აკისრებს ადამიანს, ხოლო მოვალეობა—გარკვეულ ფუნქციას ოჯახში. ფემინისტურმა მოძრაობამ, ქალ-ვაჟის უფლების მოწესრიგების ჯანსაღ ფორმებთან ერთად, წამოაყენა ყალბი ფორმებიც. ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ქალი აბსოლუტურად უნდა განთავისუფლდეს ოჯახური მოვალეობისაგან და მხოლოდ ამ გზით მიაღწევს თავისუფლებას და მამაკაცთან თანასწორობას. თავის დროზე ამ ყალბ მოძღვრებას გამოეხმაურა ვაჟა-ფშაველა და დაგმო იგი. ქალ-ვაჟთა თანასწორობა, ვაჟას აზრით, არ ათავისუფლებს ქალს ოჯახური მო-

ვალეობისაგან. ქალის — დედის საპატიო და სასახელო საქმეა შვილების წესიერი აღზრდა. ასეთი აღზრდით ქალი ქმნის ერის მომავალს და ამ მოვალეობისაგან განთავისუფლება თვით დედისათვის იქნებოდა დამამცირებელი, მისი უფლების უარმყოფელი. მამაკაცთან თანასწორობის უფლებას სწორედ ეს ფუნქცია ანიჭებს ქალს. ამიტომ ამ მოვალეობაზე უარის თქმა იქნებოდა თანასწორობის უარყოფა.

შიო არაგვისპირელი მხარს უჭერს ამ მოსაზრებას არა მარტო როგორც მოაზროვნე, არამედ როგორც მხატვარი.

ამ აზრის მხატვრულ დადასტურებას წარმოადგენს მოთხრობა „ვაი ჩვენი ბრალი". არსებითად ეს ნაწარმოები ფსიქოლოგიური ეტიუდია. აქ ქალ-ვაჟის ურთიერთობის ასპექტში მხატვრულადაა გახსნილი ქალ-ვაჟის ფუნქცია ოჯახში. მაგრამ ეს ურთიერთობა მარტო იურიდიულად როდია გააზრებული, არამედ მორალური თვალსაზრისითაც. მოთხრობის გმირ ქალს ერთი კითხვა აწუხებს: იურიდიული უფლებათა თანასწორობა ნიშნავს თუ არა მორალურ თანასწორობასაც? რატომ ითვლება გათხოვილი ქალის ურთიერთობა სხვა მამაკაცთან სამარცხვინოდ, მაშინ როდესაც მამაკაცის ურთიერთობას სხვა ქალთან თვლიან დანაშაულად? თუ ქალისათვის სავალდებულოა მეუღლის ერთგულება, რატომ კაცისათვის არ არის ეს სავალდებულო? აი, კითხვები რომლებიც აინტერესებს ეტიუდის პერსონაჟს, მორალურად უსპეტაკეს ქალს — ლიზას. ამ კითხვებისაგან იტანჯება შიო არაგვისპირელის გმირი ქალი, როგორც ოდესღაც იტანჯებოდა იბსენის ნორა ქმართან უფლებრივი ურთიერთობის გარკვევის დროს.

მაგრამ ნორას უფლების საკითხი აინტერესებს წმინდა სუბიექტური თვალსაზრისით, ხოლო ლიზას საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით, თუმცა ორივეს ერთნაირად სძულს საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია ქალის უფლების აბსოლუტურ უარყოფაზე. ნორასა და ლიზას იდეალია, რომ სიყვარულის ნიადაგზე ერთი არსება მეორეს შეუერთდეს სულიერად და ორივენი ერთ არსებად იქცნენ. მათი აზრით, მხოლოდ ამ პრინციპზე დამყარებული ოჯახი იქნება ბედნიერი.

ლიზას საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგას შიო არაგვისპირელის მეორე მოთხრობის გმირი ქალი გულჩინა[1]. ამ ქალმა ვაჟს სიყვარულის გამოცხადებისთანავე ჯვარისწერა მოსთხოვა. ვაჟი შეეჭვდა და დიდხანს ცდილობდა გამოერკვია ქალის ბუნება. ბოლოს ირკვევა, რომ ქალს ოჯახი სჭირდება იმ უწესო ცხოვრების დასაფარავად, რომელსაც ის ჯერ კიდევ ადრე ეწეოდა. გულჩინასათვის ოჯახი შირმაა, რომლის უკან იწყება სექსუალური ვნებათაღელვა. საყვარლის გარეშე ქმართან ცხოვრება, გულჩინას აზრით, წამება იქნებოდა. სექსუალური ვნებათაღელვა გულჩინას აიძულებს, იცრუოს არა მარტო ქმართან, არამედ საზოგადოებასთანაც. ამგვარი ტიპის ქალები ეგოიზმით არიან გამსჭვალულნი და შურისძიება შეუძლიათ უკიდურესობამდე.

სატრფიალო მოტივზეა დაწერილი შიო არაგვისპირელის ნოველები: „მელოს დღიურიდან", „ბეჩა, რადა მკლავ?!", „მძულხარ", „წერილის ნაგლეჯი", „სულ ერთია", „ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ", „ჩემი პირველი სიყვარული". აქ ჩამოთვლილ ნოველებს ერთი მოტივი აერთებს, მაგრამ ადამიანის სულის სხვადასხვა ტკივილს გამოხატავენ. პირველ ნოველაში 23 წლის მელო იტანჯება იმის გამო, რომ ცხოვრებაში მან ვერ იშოვა შესაფერი საქმრო. დრო და სილამაზე კი ყოველ წუთს ებრძვიან ერთმანეთს. ქალი იმანენტურად გრძნობს, რომ ნადგურდება მისი სილამაზე. მისი აზრით, ლამაზი ქალი დროთა სვლაში დანგრეულ ტაძარს ემსგავსება. მხოლოდ დაშლილ სვეტებსა და ადამიანის ფანტაზიას შეუძლია აღადგინოს შენობის მხოლოდ ფასადი. ფასადი კი არ იძლევა ნათელ წარმოდგენას მთელ შენობაზე. მელოს აზრით, ასეთივე მდგომარეობაში ვარდება ლამაზი ქალი. ოდესღაც მისი გავლა ქუჩაზე ალტაცებას იწვევდა მნახველში შემდეგ კი შეუმჩნეველი რჩება. რატომ ხდება ასე? ნუთუ გული არავის გტკენიათ ამ ლამაზი ქალის ტრაგედიის გამო? ეს კითხვები აწვალებენ მელოს და უნდა ითქვას, რომ სრულიად ბუნებრივი და ადამიანურია ეს კითხვები. მელოს აზრით, ყველა თაობას ჰყავს ლამაზი ასული და ყველა თაობა დარდობს ხოლმე დროთა სვლისაგან გაფერმკრთალებულ სილამაზეზე.

მეორე ნოველაში სულ სხვა ტკივილზე მოთქვამს ახალგაზრდა ქალიშვილი. ამ ქალის მწუხარება უფრო დიდია, ვიდრე მელოსი. ამ ქვეყანაზე ყველა მამაკაცი ცდილობს ლამაზი ქალის დაუფლებას, მაგრამ დაპყრობისთანავე ხელს კრავს მას, როგორც უსარგებლო ნივთს. ნინოს ტანჯავს კითხვები: რატომ არის მამაკაცებისათვის აგრე მიმზიდველი სილამაზე შორიდან და რატომ კარგავს თავის სიმშვენიერეს ის კაცის თვალში მისი დაუფლებისთანავე?

მესამე ნოველაში ძიებაა იმ მიზეზებისა, რომლებიც სრულიად შემთხვევეთ სამუდამოდ აშორებს ორ შეყვარებულ ადამიანს. ლევასა და ნატოს უყვართ ერთმანეთი. ლევამ ხელი სთხოვა ნატოს, რაღაც კაპრიზის გამო, ხუმრობით ნატომ უარი უთხრა ცოლობაზე. ლევა განშორდა ქალს, როგორც კეთროვანს. შემდეგ ქალი მიდის ლევასთან, მაგრამ ლევა თავიდან იშორებს უხეში სიტყვებით: „შორს, მძულ-

---

[1] შიო არაგვისპირელი, ტ. I, გვ. 226. მოთხრობის სათაურია: „სამხრები და ავიჩეჩე".

ხარ". ამ ნოველაში ორივეს — ლეგასაც და ნატოსაც — მტკივნეულად აწუხებს კითხვა: რატომ ხდება ასე?

მეოთხე ნოველაში პირდაპირ არის დასმული კითხვა: არსებობს თუ არა იდეალური სიყვარული? შეყვარებული ვაჟი ფიქრობს, რომ ეს პოეტების გამოგონილი ცნებაა, რომელსაც არ გააჩნია სინამდვილეში შესატყვისი შინაარსი. ვაჟი სწერს ქალს, რომ მას გაგიჟებით უყვარს ის, როდესაც მასთან არის, მაგრამ დაშორებისთანავე ის ამავე გრძნობით უკავშირდება სხვა ქალს და აქაც სიყვარული თავის პირვანდელ ძალას არ კარგავს. ბოლოს ვაჟი სთხოვს ქალს, მისწეროს წერილი იმის შესახებ, რომ ხომ არ არის თვითონაც ანალოგიური განწყობილების მატარებელი?

მეხუთე ნოველაში მესამე ნოველის ანალოგიური სიტუაციაა გაშლილი. ორ ახალგაზრდას უყვარს ერთმანეთი, მათ სურთ კარგი, სასახელო ოჯახი შექმნან. მაგრამ რაღაც წვრილმანი მიზეზების გამო ისინი სცილდებიან ერთმანეთს სამუდამოდ.

მეექვსე ნოველაში მთავარი პერსონაჟი ერასტი ფიქრობს, რომ ქალის შეცნობა აბსოლუტურად შეუძლებელია შეუღლების გარეშე. თუ გინდა ქალის ბუნება გაიგო, ის ცოლად უნდა შეირთო. ცოლობა ქალს თავის ნამდვილ ბუნებას უბრუნებს და იმად იქცევა, რაც თავისთავად არის. „ეჰ, ჩემო ელიზბარ, — სწერს ერასტი თავის მეგობარს, — ერთს კი გეტყვი, ყველა ქმარმა რომ ჩემსავით გულახდილად გიამბოს, იქნება ათასში ხუთიც არ იყოს კმაყოფილი თავისი მეუღლისა". ბოლოს წერილში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ დაშორდა ერთმანეთს ცოლ-ქმარი და როგორ დაინგრა ტანჯვით შექმნილი ოჯახი.

მეშვიდე ნოველაში ბუნებრივად დასმულია კითხვა: ვინ არის ალმხსნელი იმ მძიმე და მტანჯველი წუთებისა, რომელთაც შეყვარებული ადამიანი გამოცდის ხოლმე? რატომ თავდება კონფლიქტით შეყვარებულთა ცხოვრება? ბედნიერება ამ სფეროში აგრე იშვიათი რატომაა? ამ ნოველის გმირს კაციას უყვარდა ნუნუ, ქალსაც თავდავიწყებამდე უყვარდა კაცია, მაგრამ ბედმა არ ინება მათი შეერთება და სხვადასხვა კუთხეში განთესა ისინი. დიდი ხნის შემდეგ სრულიად შემთხვევით მატარებელში კაცია ხვდება ახალგაზრდა ქალს, რომელიც მას ნუნუს აგონებს. თავდავიწყებული ვაჟი ეხვევა მისთვის უცნობ ქალიშვილს. ქალს ეუცხოება კაციას საქციელი; მაგრამ ეს გარემოება არ ეუცხოება გვერდით მჯდომ მანდილოსანს, რომელიც ვერ იცნო კაციამ. ეს მანდილოსანი აღმოჩნდება კაციას შეყვარებული, ოდესღაც სილამაზით განთქმული ნუნუ, ხოლო ქალი, რომელსაც კაციამ აკოცა, ნუნუს ქალიშვილი. შვილის სახეში გაცოცხლებულმა ნუნუმ თავისი გაიტანა და კაციამ ახალგაზრდა გოგონა ცოლად შეირთო.

ეს გარემოებაც ბედის უკუღმართობად მიაჩნია მწერალს.

რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ჩვენს მიერ ზემო დასახელებულ ნოველებზე?

შიო არაგვისპირელის ნაღვლიანი კილო შეინიშნება ყოველ ნოველაში. მწერალი გულგრილი მაყურებელი როდი რჩება ამბებისადმი, რომლებიც აღწერილია ნოველებში. კიდევ მეტი: ჩვენ თითქოს ვხედავთ ავტორის მწუხარე სახეს და ვგრძნობთ მის პულსაციას. ქვეშეცნეულად მწერალი აღადგენს ჩვენს საკუთარ ყოფას, რათა ერთხელ კიდევ განცვიფრებულმა გვკითხოს: როგორ მოგწონს, ჩემო მკითხველო, აღწერილი ამბები? სწუხხარ თუ არა ჩემთან ერთად შენც ამ ამბების გამო? რამ მიგვიყვანა აქამდე და შეიძლება თუ არა მტანჯველი ტკივილების განკურნება?

ეს მძიმე კითხვები დგას ჩვენ წინაშე და მოვალე ვართ, პასუხი გავცეთ მას.

ისტორიულად ყოველ თვითმყოფ ერს მოეპოვება თავისი საკუთარი, მეორე ერისაგან განსხვავებული ტრადიციები, რის გამო ადვილი საცნაური ხდება ხალხის ნაციონალური ფორმა. ეს ტრადიციები, გარკვეული რიტუალის გარდა, თავისთავში შეიცავს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც აყალიბებენ ეროვნულ სულს, მის ეროვნულ ენერგიას. ისტორია ადასტურებს, რომ ეროვნული ტრადიციები არ წარმოადგენენ უცვლელ კრისტალს, რომ ის გარდაქმნის პროცესში მყოფი ორგანიზმია და ყოველთვის ტრადიციის ძველ ფორმებს ახალი ცვლის.

მაგრამ სამწუხარო იქნებოდა, რომ ერის ცხოვრებაში ყოველი ახალი ტრადიცია ძველი ეროვნული ტრადიციის ბუნებრივი განვითარება კი არ ყოფილიყო, არამედ სრულიად უცხო რაღაც, რომელიც ანგრევს ძველს, უარყოფს წარსულს და ერის ხასიათისათვის სრულიად უცხო ელემენტი იჭრება მის ნაციონალურ სულში.

შიო არაგვისპირელის აზრით, ქართულ ოჯახს არსებობა შეუნარჩუნა ორი ცნების მონოლითურმა მთლიანობამ, რაც გამოიხატება მოვალეობისა და სიყვარულის ორგანულ მთლიანობაში. ქართველი კაცის შეგნებაში ქალისადმი სიყვარული წარმოშობდა მოვალეობის უმაღლეს გრძნობას. სიყვარულის გარეშე მოვალეობა და მოვალეობის გარეშე სიყვარული ქართველისათვის ფიქცია იყო. როცა ეს ორი გრძნობა ერთიანდება, მხოლოდ მაშინ მყარდება მეუღლეობა ქალ-ვაჟთა შორის. მეუღლეობა კი მათ თანასწორ პასუხისმგებლობას აკისრებს ოჯახის წინაშე. ოჯახის პირველი ნიშანი ქართველი კაცისათვის კერა იყო. ამ კერასთანაა დაკავ-

**შირებული სიწმინდე, პატიოსნება, შრომის სიყვარული.**

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე, შიო არაგვისპირელის აზრით, ქართულ ცხოვრებაში იჭრება ეს უცხო ელემენტი, რომელმაც დაიწყო ნაციონალური ოჯახური ტრადიციების შერყევა. მწერალმა არა ერთი მაგალითი გვიჩვენა თავის მხატვრულ შემოქმედებაში ოჯახების ამგვარი შერყევისა.

• •
•

შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნოველებსა და მოთხრობებს, რომლებიც ზოგადადამიანურ პრობლემებს ეხებიან და ფილოსოფიის სიბრტყეზე აშუქებენ ადამიანის სულიერ ცხოვრებას. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ შიო არაგვისპირელი ამ ურთულეს პრობლემატიკას არ წარმოგვიდგენს დოქტრინულ თვალსაზრისით. ის ყველა ნოველაში რჩება უბრწყინვალეს მხატვრად, ადამიანის მესაიდუმლედ, სიტყვის ოსტატად.

ერთი ნაწილი ამ თემაზე დაწერილი ნოველებისა ეხება სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას. ეს პრობლემა ყველა ხალხისა და ყველა დროის მწერლობას აწვალებდა. სხვაგვარად ეს შეუძლებელიც იქნებოდა. მწერლობა მოვალე იყო, პასუხი გაეცა კითხვებისათვის, რომლებიც ხალხს აწუხებდა, მისი ინტერესების სფეროში შედიოდა.

შიო არაგვისპირელის პირველი ნაწარმოები, რომელიც ამ თემას ეხება, არის ნოველა „ადამიანი“. თვით სათაური გარკვეულ მითითებას გვაძლევს პრობლემაზე, და მკითხველიც წინასწარ იმსჭვალება მოსმენის ინტერესით.

შორეულ ჩრდილოეთში სტუდენტი ახალგაზრდობა, რომელსაც სდევნის შიმშილის აჩრდილი, მსჯელობს იმის გამო, თუ როგორ ემსახუროს ხალხს, ქვეყანას, როგორ აიღონ ხელში გამარჯვების დროშა, რათა ხალხს წარუძღვენ წინ თავისუფლებისაკენ. მათ შორის ერთი ახალგაზრდა, რომელიც ყველაზე უფრო აქტიურია და რომელსაც ფილტვები ჭლექით აქვს დაცრეცილი, ლოგინად ჩავარდება. მას სიკვდილი ემახის, სტუდენტი ახალგაზრდა კი სიცოცხლის უკანასკნელ ძალას იკრებს და იწყებს ფიქრს, თუ რა არის ადამიანი. მას ბევრჯერ სმენია ლექციებზე, რომ ადამიანი — ეს ძვირფასი თიხისაგან შეზელილი ჭურჭელია, რომელიც ღმერთის შთაბერვამ ადამიანად აქცია.

„უნდა მოვკვდე“, გაიფიქრა თედომ და ღიმილმა ოდნავ ტუჩებზე გადაუქროლა. „მაგრამ, — განაგრძო მან, აგრე მალე? ჯერ არ მიცოცხლია. რა გამიკეთებია, რომ ასე მესპობა სიცოცხლე? რა კვალი დარჩება ჩემ შემდეგ?.. ნუთუ ასე უმნიშვნელოდ უნდა გავიარო, კვალდაუმჩნევლად ისე, როგორც არ ტოვებს კვამლი ჰაერში კვალს?! თუკი მაგრე უმნიშვნელოდ გავივლიდი ცხოვრების გზას, რისთვისღა გავჩნდი? ნუთუ იმისათვის ვცოცხლობდი, რომ გავჩნდი და ვკვდები? მაშ, რა ვარ, რა სახელი მეწოდების?

„ადამიანი“ — საიდანღაც გაისმა იდუმალი ხმა.

ამ ხმის გაგონებაზე ავადმყოფი გამოფხიზლდა, თითქოს საბრძოლველად განეწყო ბედს. „და განა ეს დიდი სახელი, ფიქრობდა თედო, იმიტომ არ ეწოდება კაცს, რომ აღასრულოს თავისი ვალი ქვეყნის წინაშე? მერე-და, განა აღასრულა მომაკვდავმა თავისი ვალი? მაშ რატომ მოვიდა სიკვდილი ასე ადრე? ვინ იცის, რამდენმა სამარეში თან ჩაიტანა განუხორციელებელი იდეალები, რომელთაც შეეძლოთ ბედნიერების მინიჭება კაცობრიობისათვის? გიფიქრიათ თუ არა ამის შესახებ, ადამიანებო? ვინ აამეტყველებს სამარეში უდროოდ ჩამარხულ ადამიანის განუხორციელებელ იდეალებს?

თედო კვდება და ეს მძიმე კითხვები შთამომავლობას დაუტოვა განსასჯელად.

შიო არაგვისპირელი კარგად გრძნობს იმ ადამიანის ხვედრს, რომელიც დამშვიდებული კვდება იმ შეგნების გამო, რომ მან აღასრულა თავისი ვალი ქვეყნის წინაშე, მაგრამ რაგვარ ტანჯვას იტანს იგი, ვისაც სათქმელი აქვს და ვერ ამბობს, რადგანაც ჯალათი, სიკვდილის სახით, თავზე ადგას და არ აძლევს ჭაბუკს მოქმედების საშუალებას.

სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლის ფონზე იშლება მეორე ნოველა — „ორი მკურნალი“. შიო არაგვისპირელი აქ ადამიანის სულის უცნაურ, ჯერ კიდევ მეცნიერულად აუხსნელ თვისებაზე მიგვითითებს. ექიმი ჭლექით შეპყრობილს შალვას ურჩევს წავიდეს ნიცაში სამკურნალოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველ მაისამდე მოკვდება. იმაზე უფრო მძიმე ტანჯვა რა უნდა იყოს ადამიანისათვის, ვიდრე ფიქრი სიკვდილის წინასწარ დადებულ თარიღზე? შალვა ნიცაში ვერ წავიდა უსახსრობის გამო და ლოგინად ჩავარდა. თხუთმეტი დღეღა დარჩა სიკვდილამდე და ყოველი წამი მძიმე ჯვარივით აწვა ავადმყოფს.

შალვას შეყვარებული ქალი მიხვდა, რომ ავადმყოფს სიკვდილისა კი არ ეშინია, არამედ იმ საბედისწერო დღისა, რომელიც სწრაფი ნაბიჯით უახლოვდებოდა შალვას. საჭირო იყო ამ დღის ამოგდება შალვას მეხსიერებიდან. შეყვარებული ქალის მხურვალე ალერსმა დროებით დაავიწყა ავადმყოფს საბედისწერო დღე. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ამ დღის აჩრდილმა კვლავ გაიღვიძა მის ხსოვნაში. ეკლესიიდან ისმოდა ზარების გუგუნის ხმა. შალვა

მიხვდა, რომ დადგა ჟამი ამ საბედისწერო დღის მოსვლისა, რომ ზარების გუგუნი, რომელიც მან მოჩვენებად ჩათვალა, სწორედ ამის მომასწავებელ ხმას გამოსცემდა. როცა შალვამ შეყვარებულ ქალს ჰკითხა ზარების გუგუნის შესახებ მან აუხსნა, რომ დღეს არის 9 მაისი, შიო მღვიმის დღესასწაული. ავადმყოფმა არ დაიჯერა ეს. ის ხომ პირველ მაისს უნდა მომკვდარიყო. შალვა ლოგინიდან წამოდგა და შეყვარებულ ქალთან ერთად ეკლესიისაკენ გასწია. ძველი საბედისწერო დღის რწმენა ხსოვნიდან გაქრა და ახალმა რწმენამ დაიკავა მისი ადგილი. ავადმყოფი ვაჟი სიკვდილს გადაურჩა.

ამრიგად, ნოველის ლეიტმოტივის მიხედვით, ადამიანში მთავარია შინაგანი რწმენა. ფსიქოლოგიური განწყობა არის უმთავრესი მოტორი, რომელიც განაგებს ჩვენს მოქმედებას და ჩვენს დამოკიდებულებას გარემყართან. პასიური განწყობა ადუნებს ჩვენ ნებისყოფას, აქტიური კი აკაჟებს. არა ბედთან შერიგება, არამედ წინააღმდეგობა, რომელიც აიძულებს ადამიანს, სიცოცხლის ელექსერი მისცეს მომაკვდავ ორგანიზმს...

ადამიანის ღვთაებას რწმენასთან დამოკიდებულების პრობლემას ეხება შიო არაგვისპირელის ნოველა „ბაბდოკი...“ აღდგომის წინა დღეს მაია დასტირის სიკვდილის პირად მისულ ერთადერთ შვილს. დედის მწუხარება უზომოა. გარეთ კი ხალხი მხიარულობს, აღდგომისათვის ემზადება. ეკლესიის ზარები გუგუნებენ. ზარების ხმაზე მომაკვდავი ბავშვი გაცოცხლდება. დედას უღიმის. ბედგამწარებულმა დედამ თვალი გააყოლა შვილის მზერას. ბავშვი ანიშნებს დედას, რომ ვიღაც ეძახის.

„დედი, გამიშვი...

„სადა?

„ვერა ხედავ, მეძახის? აგერ, აგერ, როგორ ბრწყინავს... ქრისტე აღსდგა! ბრწყინავს... აგერ!.. წამოიწია და თითი მაცხოვარის ხატისაკენ გაიშვირა, რომელიც მარჯვნივ აღმოსავლეთის კუთხეში ესვენა“.

უნუგეშობის შხამით გატანჯული დედა უზომო მწუხარებამ მოიცვა. ის გრძნობს, რომ შვილი ხელიდან ეცლება, ვიღაც ართმევს შვილს, და ეს ვიღაც ღმერთია, მაცხოვარი, რომელიც თვით ეწამა ადამიანის ცოდვათა დახსნისათვის. და ნუთუ ცოდვად არ მიაჩნია ერთადერთი შვილის ასე უღვთოდ სიკვდილი? დედის სულში აღსდგება წინააღმდეგობის ძალა.

„რას მომცემს ის ქრისტე, რომელიც მე ჩემს ნუგეშს მართმევს“.

მწუხარე დედა დაჰყურებდა შვილის გაციებულ გვამს და თავის გონებაში ერკინებოდა უზენაესს, რომელმაც ერთადერთი ნუგეში წაართვა.

ამ ნოველაშიაც ჩვენ საქმე გვაქვს განწყობისა და რწმენის პრობლემასთან. გარკვეული განწყობის ნიადაგზე მაიამ იწამა ღმერთი, როგორც უზენაესი ძალა, რომლის ყოველი მოქმედება სამართლიანია და მისი შედეგი — ღვთაებრივი. ამგვარი რწმენა განაგებს მის ყოველ მოქმედებას. მაგრამ საკმარისი იყო ერთადერთი შვილის სიკვდილი, რომ ღმერთის რწმენა გამქრალიყო მაიას შეგნებიდან და ღვთის მოქმედება დაეგმო.

მწერლის აზრით, აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება ყოველთვის რელატიურია და დამოკიდებული ადამიანის განწყობაზე ობიექტურ სამყაროსთან. რაც გუშინ უწმინდეს იდეალად მიგვაჩნდა, დღეს ზურგს ვაქცევთ, რადგანაც გუშინდელი ჩვენი განწყობა მოშალა ახალმა განწყობამ. ამგვარი განწყობის საფუძველი ჩვენი რეალური მდგომარეობაა კონკრეტულ გარემოცვაში.

შიო არაგვისპირელის ფილოსოფიურ ნოველებს შორის თავისი მხატვრული და იდეური მნიშვნელობით გამოირჩევა ნოველა „იუდა“. აქ თავისებურად, მაგრამ ბრწყინვალედ არის წარმოსახული ქრისტიანული ლეგენდის ერთი დეტალი. მარიამ მაგდალინელის სიყვარულის გამო იუდამ უღალატა თავის მასწავლებელს და 30 ვერცხლად გასცა ის. ფანატიკურად განწყობილმა ბრბომ ხელისუფლებას მოსთხოვა იესოს ჯვარცმა, რადგანაც ის უკანასკნელი ქადაგებდა ახალ მოძღვრებას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ძველ აღთქმას და კეისრის ინტერესებს. ნოველაში პილატეს პირით ხელისუფლება უარყოფს ბრბოს წინადადებას და მოითხოვს უდანაშაულო პატიმრის განთავისუფლებას. ბრბო იმავე წუთში პილატეს წინააღმდეგ განეწყო და კეისრისადმი ღალატი შესწამა. პილატე შეშინდა და ქრისტეს ჯვარცმა დაადასტურა.

ბრბო სასიკვდილოდ განწირულ იესოს ქალაქის ქუჩებში შემოატარებს, რათა გზადაგზა დასცინოს და აწამოს ის. ამ ბრბოში ურევია ნიღაბაფარებული იუდა, რომელიც თავისი მასწავლებლის წამებით ტკბება. თავის გამარჯვებაში დარწმუნებული იუდა ნიღაბს მოიგლეჯს და ბრბოს წინაშე ნამდვილი სახით გამოჩნდება. ბრბოდან ვიღაცამ დაიძახა — „იუდა გამცემი“, „30 ვერცხლად გაყიდა თავისი მასწავლებელი“. ბოლოს იმავე ბრბომ დაუწყო დევნა იუდას, როგორც გამცემსა და მოღალატეს. ვისი გულის მოგებასაც ცდილობდა იუდა, მისივე გული დაკარგა. შეპყრობისა და სასჯელის შიშით იუდამ თავი ჩამოიხრჩო.

ამავე თემატიკურ რკალშია მოქცეული ნოველა „ჭეშმარიტად“. აქ რწმენა და ურწმუნოება ებრძვის ერთმანეთს. იუდას მიერ გაცემული მასწავლებელი დააპატიმრეს, ხოლო მისი მოწაფეები გაიფანტნენ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით. მხოლოდ პეტრე ხდება მოწმე ქრისტეს წამებისა. ბრბო დასცი-

ნის მასწავლებელს და ცრუ მოსახლეს უწოდებს. პეტრე უსმენს ამ სიტყვებს და ფიქრობს: როგორ შეიძლება, ცრუ და ყალბი ყოფილიყო მასწავლებლის ბაგეთაგან წარმოთქმული სიტყვები; მისი პირით ხომ თვით ჭეშმარიტება ღაღადებდა! მამლის ყივილმა მოაგონა პეტრეს მის მიერ ქრისტეს სამგზის უარყოფა და ტანში შეაჟრჟოლა.

პეტრემ თავისი ყურით მოისმინა მასწავლებლის სასოწარკვეთილი სიტყვები: „ღმერთო ჩემო... რისთვის დამიტევე მე". ამ სიტყვებისათვის შეეპარა ეჭვი ქრისტეს ღვთაებრიობაში პეტრეს. ის მწარე ფიქრმა წაიღო. ნუთუ ღმერთს შეჰფერის ასეთი სასოწარკვეთილი ვედრება უზენაესისადმი?! ასე ხომ ადამიანები იქცევიან და არა ღმერთები. იქნებ იესოც ადამიანია და არა ღმერთი? მარიამ მაგდალინელის ხმამ გამოაფხიზლა პეტრე, მაგრამ რაღაც მძიმე ეჭვი მის სულში შეიპარა და იქ იპოვა ბინა.

ორივე ნოველას, თუმცა ისინი რელიგიურ თემატიკაზეა აშენებული, წმინდა იდეალები ასაზრდოებს. თვით იუდას სახეში ადამიანის ფანტაზიამ ჩააქსოვა ულრმესი შინაარსი და მას მისცა ზოგადსაყოველთაო მნიშვნელობა. იუდა მარტო სახელის აღმნიშვნელი სიტყვა როდია, ის თავისთავად ცნებაცაა, რომელიც წარმოგვისახავს რაღაც დიდს, ზოგადს, საყოველთაოს, მაგრამ საზიზღარსა და არა ჭეშმარიტს.

ზოგადადამიანურ პრობლემას ეხება ნოველა „გულცივობამ". სკეპსისის შხამით მოწამლული ახალგაზრდა გულაცრუებულია საზოგადოებაზე. მას ღრმად სჯერა, რომ საზოგადოება, როგორც გარკვეული სახის კრებული, მტრულად არის განწყობილი ცალკეული ადამიანებისადმი. მისი აზრით, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაში პიროვნება ყოველთვის დაჩაგრულია, საზოგადოება კი — გულგრილი. საზოგადოება არ აფასებს პიროვნებას, რაგინდ დიდი ღირსებით არ უნდა იყოს აღჭურვილი იგი. თვით დიდი მწერლის სამუდამოდ განშორებაც კი არ აწუხებს საზოგადოებას, და თუ დასტირის მის ცხედარს, არა იმიტომ, რომ მწერლის პიროვნება უყვარს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მას მოაკლდა სიამოვნება, რომელსაც დიდი მწერალი ანიჭებდა. შიო არაგვისპირელს არ გამოაქვს ლოგიკური მსჯავრი სკეპტიკოსი ახალგაზრდა კაცის მოქმედების გამო, მაგრამ ქვეტექსტით ჩვენ ვგრძნობთ მწერლის დამოკიდებულებას მოვლენებისადმი.

სკეპტიკოსი ახალგაზრდა აქ ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე მსჯელობს, მაგრამ მისი განსჯა არც ძველი საზოგადოების მიმართ არის მართებული. სიკეთე როდი იკარგება უკვალოდ, როგორც ამას სკეპტიკოსი ფიქრობს. ძველმა ადამიანებმაც კარგად იცოდნენ ღირსეულის ფასი და მხოლოდ სკეპსისის შხამით მოწამლულ ადამიანებს შეეძლოთ საზოგადოების დიდი მწერლისადმი სიყვარულში ეჭვის შეტანა.

საზოგადოებრივი აზრი კარგად არჩევს ერთიმეორისაგან კარგსა და ცუდს, ბოროტსა და კეთილს, ჭეშმარიტებასა და არაჭეშმარიტებას და, თუ ხანდახან საზოგადოებრივი აზრის ხმა აღარ ისმის მოვლენათა შეფასების დროს, არა იმიტომ, რომ ის გულცივია მოვლენებისადმი, არამედ იმიტომ, რომ რაღაც გარეგანი ძალა ახშობს მის კეთილშობილ ხმას.

ნოველაში „ღმერთო, რა დაგიშავე" მხატვრულად არის წარმოსახული ამ ქვეყნიური იდეალების ბრძოლა განყენებულ, რელიგიურ დოგმებთან; ბერი სერაფინი, რომელიც მაგალითის მიმცემი იყო სხვა ბერებისათვის, გრძნობს, რომ მისი მოსვლა შიო მღვიმის მონასტერში შეცდომა იყო. ყოველი ლოცვის დროს ის გრძნობს წინააღმდეგობას განყენებულ იდეებსა და ადამიანის იდეალებს შორის.

ცხრა წლის ყრმა მოიყვანეს მშობლებმა მონასტერში და 15 წლის ლოცვისა და გვემის შემდეგ იგრძნო უძლეველობა იმისა, რაც აქ მოსვლამდე განიცადა. ლოცვის დროს გონებას არ სცილდებოდა სურათი ომიდან დაბრუნებული ძმის შეყვარებულ ქალთან ალერსი. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ სერაფინი უბრუნდება სოფლის მღელვარე ცხოვრებას, რათა ადამიანურ ტანჯვაში დალიოს დარჩენილი სიცოცხლე.

განხილული ნაწარმოებიდან ჩანს, რომ შიო არაგვისპირელი მტრულად არის განწყობილი დოგმებთან, რელიგიური იქნება ის, ფილოსოფიური თუ პოლიტიკური. მისი აზრით, ცხოვრება ფართოა და უსაზღვროდ მრავალფეროვანი. ადამიანიც ცხოვრებასა და ბუნებას გავს თავისი მრავალმხრივობით. ადამიანის სულის გამოვლინება არ შეიძლება ემორჩილებოდეს ერთ რომელიმე დოგმატიკურ კანონს, რადგანაც ყოველი კანონი თავისთავში შეიცავს განსაზღვრულობას, წინასწარ აღებულ კალაპოტს, რომელშიაც უნდა მოთავსდეს ადამიანის ქცევა. ადამიანის ვნებების, სურვილების და ინტერესების განუსაზღვრელი სამეფო კი ებრძვის და დროთა განმავლობაში ანგრევს ამ კალაპოტს.

მწერლის აზრით, ამით უნდა აიხსნას, ის გარემოება, რომ ისტორიის ასპარეზზე ყოველი მოძღვრება გამოდიოდა, როგორც დოგმების მტერი. მაგრამ დროთა სვლაში ოდესღაც თავისთავად პროგრესული მოძღვრება დოგმად იქცეოდა და ადამიანის აზროვნების განვითარებას ბოჭავდა. ამ ნიადაგზე, მოძღვრებას, რომელსაც მილიონი მიმდევრები ჰყავდა, შემდეგ ზურგს აქცევდნენ მასები და გულგრილი ხდებოდა იმ იდეალებისადმი, რომელთა გამოც ადრე კოცონზე იწვებოდნენ. კიდევ მეტი,

ადამიანი თვით საკუთარი სიცოცხლისადმი ხდება ხოლმე გულგრილი, თუკი მისი არსი ეწინააღმდეგება ადამიანურ იდეალებს. ეს გრძნობა შიო არაგვისპირელმა ყველაზე რელიეფურად გამოხატა ნოველაში, რომელსაც უცნაური სათაური აქვს: „ხა, ხა, ხა, რა სულელი ხარ“. გამოცდილი ექიმი აფრთხილებს 22 წლის ჭაბუკს, რომ მას მხოლოდ ორი წლის სიცოცხლე-ღა აქვს დარჩენილი და მისი ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებისათვის საჭიროა სასტიკი რეჟიმი. ექიმმა ჭაბუკს აუკრძალა ღვინო და ყოველგვარი ვნებათაღელვა. ექიმის რჩევაზე ჭაბუკი მწარედ იღიმება. რა საჭიროა სიცოცხლე, თუკი მისი შენარჩუნების ინტერესები მოითხოვენ ადამიანური ვნებების ჩაკვლას? განა სიცოცხლე ამ ვნებების გარეშე სანატრელია? ფიქრობდა ჭაბუკი. ამ ნიადაგზე ექიმის რჩევას ყური არ უგდო, უფრო მეტი გახელებით მისცა თავი ვნებათაღელვას და ერთი კვირის შემდეგ შეყვარებული ქალის მკლავზე გარდაიცვალა.

ამავე ხასიათისაა მეორე ნოველა „ბედნიერი დედა“. ახალგაზრდა დედას — მზექალას ექიმმა უწინასწარმეტყველა, რომ მისი ერთადერთი შვილი, როგორც დღენაკლული, მალე მოკვდებოდა. მზექალას არა სჯერა ექიმის დოგმატიკური გაფრთხილება და იმის საწინააღმდეგო გააკეთა, რასაც ექიმი ურჩევდა. ამ ნიადაგზე შვილის სიცოცხლე შეინარჩუნა.

იმავე თემატიკურ რკალშია მოქცეული და იმავე დოგმატიკური კანონების წინააღმდეგ არის მიმართული მოთხრობა „შეუმუსვრელი სამი მცნება“. 30 წელი ეძებდა მოთხრობის გმირი ადამიანის სიცოცხლის მიზანს და ცდილობდა იმის გაგებას, თუ რა კანონებს ემორჩილებოდა ადამიანის ცხოვრება. ძიების დროს წააწყდა ხავსმოკიდებულ ქვის ფიცარს, რომელზედაც წარწერილი იყო სამი მცნება: 1. ნურასოდეს ნუ დაეკითხები შენს თავს, რა არის ადამიანი, 2. ყოველგვარ მოვლენას შენს ცხოვრებაში გულგრილად შეხვდი, 3. ეცადე, შენი ცხოვრება მხოლოდ სიამოვნებით გაატარო.

30 წლის ძიებამ მოთხრობის გმირი მიიყვანა ამ დასკვნამდე და, როცა უკან მოიხედა, შეენანა თავისი ახალგაზრდობა. ნუთუ ადამიანები იმისათვის ეძიებენ, რომ რაღაც დოგმატიკური კანონები შექმნან ადამიანთა ქცევებისა და მოქმედებისა, მაშინ როდესაც ამ დოგმებს არ ემორჩილება ადამიანის ბუნება.

მოთხრობის გმირის სინანულს აქვს გარკვეული შინაგანი სიმართლე. მართლაც, შეუძლებელია ადამიანის ქცევისათვის აბსოლუტურად ზუსტი კანონების დაწესება; მაგრამ, მეორე მხრით, ადამიანები მაინც ემორჩილებიან გარკვეულ წესსა და კანონს. კერძოდ, ეს ითქმის ადამიანების მოქმედების მორალურ კოდექსებზე. ჩვენი ცხოვრება ანარქიად იქცეოდა, რომ ადამიანები, თავისთავში განმტკიცებულნი მორალური ნორმებით არ აკავებდნენ საკუთარ სურვილებს. აუცილებლობა თვით ქმნის სავალდებულო ნორმებს ცხოვრებაში, რომელსაც ემორჩილებიან ადამიანები, მაგრამ ეს შეგნებული აუცილებლობაა, რომელიც თავისთავში ატარებს თავისუფლებასაც. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ ზემოდასახელებული მოთხრობის გმირის თვალსაზრისი იმის გამო, თითქოს არ იყოს საჭირო, ადამიანმა გარკვეული ვალდებულება იკისროს საზოგადოების მიმართ, თითქოს ამგვარი ვალდებულება ბოჭავს პიროვნების თავისუფლებას.

ასეთია, ზოგადად, შიო არაგვისპირელის მოთხრობების ის ციკლი, რომელიც ზოგად ადამიანურ პრობლემებს ეხება და სხვადასხვა კუთხით აშუქებს ადამიანის სულიერ სამყაროს.

• •
•

ჩვენ ვამთავრებთ შიო არაგვისპირელის შემოქმედების ანალიზს. ისმება კითხვა: რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ამ ანალიზის შედეგად? შიო არაგვისპირელმა ქართული კლასიკური მწერლობის ლიტერატურულ ტრადიციებზე დაყრდნობით და გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების მსოფლიო ლიტერატურის მიღწევების გათვალისწინებით სრულიად ახალი თვისებებით გაამდიდრა ქართული ბელეტრისტიკა.

შიო არაგვისპირელი მცირე ფორმის მოთხრობების, ნოველების და ესკიზების ბრწყინვალე ოსტატად ითვლება. ყოველი მისი ნაწარმოები დაძაბული და შეუნელებელი ინტერესით იკითხება. ამავე დროს, ფორმის თვალსაზრისით მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ნოველას და პროზის ამ ფორმამ კლასიკურ სიმაღლეს მიაღწია მის შემოქმედებაში.

შიო არაგვისპირელის პროზის ანალიზმა ღრმად დაგვარწმუნა, რომ მისი ფესვები ემყარება, ერთი მხრით, ქართული ნაციონალური მცირე ფორმის მოთხრობების ხანგრძლივ ტრადიციას, მეორე მხრით, ამ საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ტრადიციებსაც.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს მსოფლიო ლიტერატურაში მცირე ფორმის პროზაულმა ნაწარმოებებმა გაბატონებული ადგილი დაიკავა. პირველი ტონის მიმცემი ამ საქმეში იყო პროსპერ მერიმე, შემდეგ კი — ჩეხოვი, კნუტ ჰამსუნი, ო, გენრი, მაქსიმ გორკი, ბუნინი და სხვა. მთავარი ყურადღება ნაწარმოებში ადამიანის სულიერ მხარეს მიექცა. წმინდა ოჯახური ყოფითი ელემენტები, რომლებიც აგრე დამახასიათებელი იყო რომანებისათვის, უკანასკნელ ადგილს

იჭერს მცირე ფორმის პროზაულ ნაწარმოებებში სამაგიეროდ, გაბატონებული ადგილი დაიკავა სულიერმა აფექტებმა. სულიერი ცხოვრების ერთი მცირე, მაგრამ უაღრესად საყურადღებო დეტალზე შენდებოდა მთელი შენობა მხატვრული ნაწარმოებისა. მწერლების აზრით, სულიერი ცხოვრება შედგება უამრავი დეტალისაგან. თითოეული დეტალის წარმოშობის მიზეზი ჩამარხულია ადამიანისა და ემპირიული სინამდვილის ურთიერთობაში. ამ ნიადაგზე დეტალების მთელი კომპლექსი ქმნის ადამიანის მთელ ხასიათს.

ამ გზის მიმდევარი მწერლები არასოდეს არ ეძებდნენ რაღაც არაჩვეულებრივსა და განსაკუთრებულ შემთხვევებს ადამიანის ცხოვრებიდან. მათთვის უკეთესი იყო უბრალო, ჩვეულებრივი, მაგრამ დამახასიათებელი შემთხვევა, რომლის არეშიაც ჩანდა ადამიანის სულიერი ცხოვრება. არაჩვეულებრივსა და გრანდიოზულს მე გავურბოდი და ყოველთვის ვარჩევდი შემთხვევას, რომელიც ხშირად ხდებოდა ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ ნაკლებად იქცევდა ხალხის ყურადღებას, — იტყოდა ხოლმე ჩეხოვი თავისი პირადი მეგობრებისადმი მიწერილ წერილში.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ჩვენ არ გვეგულება მეორე მწერალი, რომელიც დეტალს იმდენ ყურადღებას აქცევდეს, როგორც შიო არაგვისპირელი, და ისე ამუშავებდეს მას მხატვრულად, როგორც მის ნაწარმოებშია წარმოსახული. დეტალში ის ხედავს ადამიანის სულიერ სამყაროს, მის შინაგან ქვეყანას; და რაგინდ მცირეც არ უნდა იყოს ეს დეტალი, შიო არაგვისპირელი მას ანიჭებს სიცოცხლეს და მისდამი ინტერესით განმსჭვალავს მკითხველს.

შიო არაგვისპირელი არსებითად განწყობილების მწერალია და შესწევს უნარი ერთი დეტალის მეშვეობით და დამახასიათებელი მხატვრული ფერებით მოქსოვოს ადამიანის ხასიათი ისე, რომ ვიგრძნოთ არა მარტო ადამიანის სული, არამედ ემპირიული სინამდვილე თავისი მრავალმხრივი ბუნებით.

შიო არაგვისპირელის ყველა მოტივი, იქნება ის სოციალური,ეროვნული, სატრფიალო თუ ფილოსოფიური ხასიათისა, ეყრდნობა დეტალს. დეტალია მისი მხატვრული პალიტრის წარმმართველი ძალა და ოსტატობის მეტყველი ნიშანი. დეტალის მხატვრული ფიქსაცია ყოველთვის აღწევს მიზანს და, თუ მისი არც ერთი პროზაული ნაწარმოები მკითხველში არასოდეს არ აღძრავს გულგრილობის გრძნობას, მოწყენილობას, უნდა ვუმადლოდეთ დეტალის მხატვრულ დამუშავებას.

შიო არაგვისპირელი ქართული ნოველის ერთი ბრწყინვალე ოსტატია და მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი ნოველების დამახასიათებელი თვისებაა მძაფრი სიუჟეტი და პერსონაჟის დასრულებული ხასიათი. აქაც დეტალის საშუალებით იძლევა ადამიანის სიხარულსაცა და მწუხარებასაც. ყოველი ადამიანური ვნება აყვანილია მხატვრულ ხარისხში და ჩვენ მაშინვე ვგრძნობთ ამ ვნების გამომწვევ მიზეზებს.

შიო არაგვისპირელისათვის ადამიანი უბიწო ქმნილება როდია. მწერალს შეეძლო გაემეორებინა დიდი შექსპირის სიტყვები: ბუნება თვითონ გვძენს ზოგიერთ ნაკლს, რათა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და ყოველგვარი ადამიანური ჩვენთვის არ არის უცხო.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გარემოება. რეალიზმის კლასიკურ გაგებას შიო არაგვისპირელის ესთეტიკური თვალსაზრისი თავისებურ ელფერს აძლევს. მძაფრი ფსიქოლოგიზმი, რომელიც დამახასიათებელი თვისებაა არაგვისპირელის მთელი შემოქმედებისა, ახალ თვისებას ანიჭებს მის რეალიზმს და მწერლის მხატვრულ წარმოსახვაში თავისებურ ფორმას იღებს. ამ ფორმას ჩვენ უწოდებთ ფსიქოლოგიურ რეალიზმს, რომელმაც მთელი სკოლა შექმნა ქართულ ლიტერატურაში და რომლის ძლიერ წარმომადგენლებად ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე და ჭოლა ლომთათიძე მიგვაჩნია. თავისთავად შიო არაგვისპირელის ლიტერატურული სკოლა თავისი ფესვებით ებჯინება ვაჟას პროზას და მისი ნოყიერი ნიადაგით იკვებება.

შიო არაგვისპირელის პროზა თავის ცხოველმყოფელობასა და მიმზიდველობას ინარჩუნებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაშიაც.

შიო არაგვისპირელის მდიდარ შემოქმედებაში ქართველი კაცი ყოველთვის იპოვის სულიერ საზრდოს და ის იქნება მისი მუდმივი თანამგზავრი, ხოლო ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის — ერთი საპატიო და საამაყო სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ბაქანიძე

★

# გლებ უსპენსკი და საქართველო

გლებ ივანეს-ძე უსპენსკი რუსული კლასიკური ლიტერატურის ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი მხატვარი რეალისტი, ღრმა მოაზროვნე ადამიანი. გლ. უსპენსკის ცხოვრება-შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთის რთულ ეპოქასთან. რეფორმის წინა პერიოდისა და რეფორმისშემდგომი პერიოდის მშრომელი ხალხის ცხოვრება რეალისტურად აისახა მწერლის შემოქმედებაში. გლ. უსპენსკის მთელი მოღვაწეობა მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვისა და ამ ხალხის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას მიეძღვნა. ამიტომაა იგი ძვირფასი და ახლობელი საბჭოთა მკითხველისათვის, მოწინავე საზოგადოებრიობისათვის.

მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატი გლებ უსპენსკი, ლენინური „ისკრის" სიტყვებით რომ ვთქვათ „70-იანი და 80-იანი წწ. ყველა ლეგალურ მწერალთან შედარებით განუზომლად მეტი გავლენა იქონია ჩვენი რევოლუციური მოძრაობის მსვლელობაზე", გლებ უსპენსკის ნაწარმოებები პირველ რუს მარქსისტ რევოლუციონერებს „ეხმარებოდნენ კონკრეტულად გაერკვიათ თავისთვისაც და სხვებისათვისაც თავიანთი ისტორიული თეორია".

XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მოღვაწისა და მხატვრული სიტყვის ოსტატის გლებ უსპენსკის ცხოვრება-შემოქმედება რამდენადმე საქართველოსთან არის დაკავშირებული. ეს მოვლენაც რუსეთისა და საქართველოს ხალხების დიადი თანამეგობრობის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია.

* *
*

1878 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოსვლას იწყებს გაზეთი „ობზორი", რომლის გამომცემელ-რედაქტორად ცნობილი პუბლიცისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე გვევლინება.

გლ. უსპენსკიმ ნ. ნიკოლაძის მიწვევით „ობზორში" თანამშრომლობა 1878 წლიდან დაიწყო. მისი პირველი სტატია „ისევ ნეკრასოვზე!" ამ გაზეთის 27-ე ნომერში გამოქვეყნდა. ეს წერილი, ისევე, როგორც ორი მომდევნო („ჟურნალ „სლოვოს" პირველი წიგნი", „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის" 1-ლი № "), Г—В) ფსევდონიმით იყო ხელმოწერილი. გლ. უსპენსკის პირველი გამოსვლა თბილისის პრესის ფურცლებზე ამავე გაზეთში 1878 წლის № 2 გამოქვეყნებული სტატია-ნეკროლოგით „ნ. ა. ნეკრასოვი" იყო გამოწვეული [1].

ნეკროლოგში დიდი პოეტის არასწორი, მახინჯი სურათი იყო დახატული, იყო ცდა დაემცირებინათ ნეკრასოვის შემოქმედების მნიშვნელობა, გამოეცალათ მისთვის ნაციონალური საფუძველი, არ იყო ზუსტად დაცული ჟურნალში პოეტის მოღვაწეობის ფაქტები, ნეკრასოვი პლაგიატადაც კი იყო გამოყვანილი და სხვ.

გლ. უსპენსკის სტატია „ისევ ნეკრასოვზე!" რევოლუციონერ დემოკრატთა საერთო ინტერესებს ეხმაურება. მისი წერილი ნ. ა. ნეკრასოვის მემკვიდრეობის ირგვლივ გამართულ ბრძოლაში მედგრად და ოსტატურად იცავს დიდი პოეტის მემკვიდრეობას შერყვნისა და ფალსიფიკაციისაგან. გლ. უსპენსკი, წინააღმდეგ რეაქციონერებისა, აღიარებს ნ. ა. ნეკრასოვის მხატვრული სიტყვის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, გვიჩვენებს მისი შემოქმედების წმინდა რუსულ, ნაციონალურ ხასიათს, ხალხთან პოეტისა და მისი შემოქმედების სიახლოვეს.

---

[1] გლ. უსპენსკის ამ სტატიისა და დანარჩენი ორი სტატიის დედანსაც, რომლებიც „ობზორში მოთავსებული, ჩვენამდე არ მოუღწევია. საფიქრებელია, რომ გლ. უსპენსკიმ „ობზორის" რედაქციას უფრო ვრცელი სტატია გაუგზავნა, ვიდრე გაზეთში დაიბეჭდა. ამაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ „ობზორში" ნ. ა. ნეკრასოვის შესახებ დაბეჭდილ ნეკროლოგში პოეტის ცხოვრება-შემოქმედების ისეთი დამახინჯებისა და ფალსიფიკაციის, როგორიცაა საჟურნალო მოღვაწეობის საკითხი, გავლენის საკითხი და სხვ., პასუხს გლ. უსპენსკის ხსენებულ სტატიაში სათანადო ადგილი არა აქვს დათმობილი, მაშინ, როდესაც სხვა უმნიშვნელო საკითხებს, რომლებსაც ნეკროლოგის ავტორი ეხება, გლ. უსპენსკი შედარებით ვრცლად იხილავს. სავარაუდოა, რომ გლ. უსპენსკი მხოლოდ წვრილმან საკითხებს არ გამოეკიდებოდა და ცენტრალურ საკითხებს უყურადღებოდ არ დატოვებდა. ალბათ, გაზეთის რედაქცია-გამომცემლობამ უხერხულად მიიჩნია, ან არ გაიზიარა გლ. უსპენსკის შეხედულება ამ საკითხზე, ანდა კიდევ სხვა მიზეზების გამო გლ. უსპენსკის წერილი სრულად არ გამოაქვეყნა.

გლ. უსპენსკიმ გამოიყენა მდგომარეობა და ერთხელ კიდევ გაილაშქრა იდეალისტი „კრიტიკოსების“ წინააღმდეგ, რომელნიც დებულებას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ქადაგებდნენ. მან მკაცრი პასუხი გასცა იმ ე. წ. ლიტერატორებს, რომლებიც ნ. ა. ნეკრასოვის შემოქმედებას მისი ჰანგის „მრავალფეროვნებით“ აფასებდნენ, ცდილობდნენ, რომ დიდი პოეტის მემკვიდრეობა არ გადასულიყო ხალხის საგანძურში და დავიწყებას მისცემოდა, რომ მის შემოქმედებას დაჰკარგვოდა თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ბასრი იარაღის თვისება. რევოლუციური მოძრაობის მეორე ეტაპის შესანიშნავმა წარმომადგენელმა გლ. უსპენსკიმ მისთვის ჩვეული სიმახვილითა და საკითხის ღრმა ცოდნით ნიღაბი ახადა რეაქციონერ „თეორეტიკოსთა“ ამ გამოხდომას. მან ამ სტატიაში მკითხველებს ერთხელ კიდევ დაუმტკიცა, რომ მხატვრული ნაწარმოების შეფასების დროს მათთვის პროკრუსტოსის სარეცელის გამოძებნა და მათი პოეზიის არშინ-გოჯობით გაზომვა მხოლოდ უსუსურ ლიტერატორთა საქმეა; რომ მხატვრული ნაწარმოების შეფასება მისი საზოგადოებრივი დანიშნულების მიხედვით უნდა მოხდეს. მწერალმა თავისი სტატიით გააკრიტიკა იდეალისტური თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და ამ საკითხში რევოლუციონერ-დემოკრატთა ტრადიციის გამგრძელებლად მოგვევლინა.

გლ. უსპენსკის სტატია, მიუხედავად იმისა, რომ მიუთითებს კრიტიკის კონკრეტულ ობიექტს („ობზორში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგი), ამავე დროს, მიმართულია ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული იმ სტატიების წინააღმდეგაც, რომლებშიაც იყო ცდა გაეყალბებინათ პოეტი-მოქალაქის სახე (ასე, მაგ., „დოსტოევსკის, სუვორინის, ბელოვის და სხვ. წერილები).

დიდი რუსი მწერლის სტატია „ისევ ნეკრასოვზე!“ რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის ბრწყინვალე გამოვლენაა.

გლ. უსპენსკის ორი მომდევნო სტატია, რომლებიც ამავე გაზეთში გამოქვეყნდა, ახალ გამოსულ ჟურნალებს მიმოიხილავდა. ამ სტატიებში გამოჩნდა მწერლის შეხედულებანი თანამედროვე ცხოვრების აქტიურ პრობლემებზე და ლიტერატურის საკითხებზე.

გლ. უსპენსკის სტატია — „ჟურნალ „სლოვოს“ პირველი წიგნი“, რომელიც „ობზორის“ 1878 წ. 7 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა, მიმოიხილავდა ახალ რუსულ ჟურნალ „სლოვოს“.

თავისი სტატიის პირველივე გვერდებზე მწერალი ყურადღებას აქცევს ჟურნალის საერთო მიმართულებაა, მის ჰანგს, რომელიც მას ჟურნალთა გუნდში შეაქვს. გლ. უსპენსკი ჟურნალის ავკარგიანობის გარკვევის მიზნით სვამს კითხვას: რას ლაპარაკობს ჟურნალი, რაზე ლაპარაკობს და როგორ? მწერლის გაგებით, ეს კითხვები განსაზღვრავენ ჟურნალის იმ საკუთარ ხმას, რომელიც მას უეჭველად უნდა ჰქონდეს.

სტატიის გაანალიზების შემდეგ გლ. უსპენსკი მიდის დასკვნამდე, რომ ჟურნალს არა აქვს ერთი მიმართულება არა მარტო სტატიებს შორის, არამედ თვად სტატიებშიაც ვხვდებით ერთიმეორეს გამომრიცხველ აზრებსა და შეხედულებებს; რომ ჟურნალს თავისი ხმა არ გააჩნია, რომ მან ძირითადად, ძველი იდეები, ძველი რეაქციული აზრები გამოქექა და მას აწვდის საზოგადოებას, რომ ჟურნალში რუსეთის საშინაო ცხოვრების ასახვას ვერ ვხვდებით.

დიდმა რუსმა მწერალმა ახალი ჟურნალი პრინციპულად შეაფასა. მან მიუთითა იმ ტრადიციებზე, რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებზე, რომელთაც მოწინავე, პროგრესული ჟურნალისტიკა უნდა გაჰყოლოდა.

1878 წ. 12 თებერვალს გაზეთ „ობზორში“ ქვეყნდება გლ. უსპენსკის მესამე სტატია „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ 1 № “, რომელიც მას თ. კ. დოლინინთან ერთად დაეწერა (ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა სარეცენზიო ჟურნალის სტატიების შინაარსის გადმოცემა).

გლ. უსპენსკის ეს სტატია უმთავრესად ეპოქის აქტუალურ საკითხს — თურქეთ-ბალკანეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხს მიეძღვნა. მწერალი ამ საკითხში რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებას იზიარებდა და თავისი კალმითაც მათი იდეების პროპაგანდას ემსახურებოდა.

სარეცენზიო ჟურნალში დაბეჭდილ მხატვრულ მასალას გლ. უსპენსკი, ძირითადად სწორად აანალიზებს, ოლონდ ა. ნ. ოსტროვსკის პიესის „პირველი მსხვერპლის“ განხილვის დროს მწერალს რეალიზმის ალღო ღალატობს და ნაწარმოების მამხილებლური ხასიათის შეუფასებლობას იჩენს.

თბილისის პრესაში გამოქვეყნებული გლ. უსპენსკის სამივე წერილი ქართული საზოგადოებრიობის ყურადღებას ამახვილებდა ეპოქის მტკივნეულ საკითხებზე და ამავე დროს მკითხველებს სწორ დასკვნებსაც აწვდიდა.

* *
*

მასალას, რომელიც საქართველოსთან გლ. უსპენსკის კავშირზე მეტყველებს, გაზეთ „ობზორში“ გამოქვეყნებული მისი სტატიები წარმოადგენს. ეს არის ლიტერატურული დოკუმენტი, რომელიც გლ. უსპენსკისა და საქართველოს საზოგადოებრიობის ურთიერთობის ისტორიის შესწავლაში ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია. სხვა რაიმე მასალა, უფრო ადრინდელი, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

გლ. უსპენსკის ეპისტოლარული და სხვა

მემკვიდრეობის შესწავლიდან ირკვევა, რომ გლ. უსპენსკისა და გაზეთ „ობზორის“ რედაქციას შორის 1877 წლის დეკემბრისათვის დადებული იყო ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ, და რომ იგი შემთხვევითი ხასიათის მატარებელი არ იყო. მათ თანამშრომლობის გარკვეული წესი და რიგიც კი დაუდგენიათ, რის საფუძველზედაც მწერალი ვალდებული იყო, „ობზორისათვის“ სისტემატურად გამოეგზავნა ლიტერატურული და საჟურნალო შენიშვნები [1].

გლ. უსპენსკისა და საქართველოს საზოგადოებრიობის ურთიერთ დამოკიდებულების შესწავლის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწერლის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას. ნ. ნიკოლაძის, როგორც ერთ-ერთი ქართველი ინტელიგენტის, რომელსაც გლ. უსპენსკისთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ურთიერთ დამოკიდებულების საკითხს ნათელს ჰფენს ორივე მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა. განსაკუთრებით ეს ითქმის გლ. უსპენსკის წერილებზე, რომლებიც ნიკო ნიკოლაძისადმია მიმართული.

გლ. უსპენსკის პირველი წერილი, ნ. ნიკოლაძისადმი დათარიღებულია 1878 წ. 22 ოქტომბრით. ამ ბარათში გლ. უსპენსკი ნ. ნიკოლაძეს განუმარტავს, თუ რატომ დააგვიანა მან „ობზორისათვის“ სტატიის გამოგზავნა. ამავე ბარათში ეხება იგი დოლინინთან ერთად დაწერილ მის სტატიას და სხვ.

წერილში ნათლად ჩანს, რომ გლ. უსპენსკის გულითა და სულით სურს განაგრძოს თბილისის პრესაში თანამშრომლობა. იგი ბოდიშს იხდის რედაქციისა და საზოგადოებრიობის წინაშე თავისი სტატიის დაგვიანებით მიწოდების გამო და ჰპირდება, მომავალში გამოასწოროს ეს შეცდომა. გლ. უსპენსკი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ნ. ნიკოლაძეს ახალ საინტერესო ფელეტონს სთავაზობს. „მე გავიაზრე რამდენიმე ეტიუდი სათაურით „ანა კარენინას“ შესახებ, — წერდა გლ. უსპენსკი და განაგრძობდა, — ამ სტატიას მე ყოველგვარი ჰონორარის გარეშე გთავაზობთ და მხოლოდ სტატიის ას ანაბეჭდს გთხოვთ“ [2].

გლ. უსპენსკიმ თავის პირველ წერილს მეორეც მიადევნა, მაგრამ, როგორც ჩანს, ორივე წერილი უპასუხოდ დარჩა.

1881 წლისათვის ნ. ნიკოლაძე „ობზორის“ დახურვისა და მისი სტავროპოლს გადასახლების შემდეგ პეტერბურგში ჩადის. ამ დროს იგი ცნობილი ლიტერატურული მოღვაწეა. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი რევოლუციონერ დემოკრატთა ბანაკის ახლოს ტრიალებს. საფიქრებელი იყო, რომ „ობზორის“ დახურვის შემდეგ ნ. ნიკოლაძესა და გლ. უსპენსკის შორის კავშირი არ უნდა გაწყვეტილიყო. მით უფრო, თუ კი ორივენი პეტერბურგში ერთად იქნებოდნენ. ისინი უნდა შეხვედროდნენ, გაცნობოდნენ ერთმანეთს.

გლ. უსპენსკისა და ა. ვ. მაქსიმოვის მიმოწერიდან ირკვევა, რომ ნ. ნიკოლაძეს, მაქსიმოვს, უსპენსკისა და სხვებს საკმაოდ მოზრდილი გაზეთის გამოცემა განუზრახავთ, თანაც ამ პირველ სამს წამყვანი როლი უნდა შეესრულებინა ამ საქმეში. მათი წერილები გვიხსნიან ამ გაზეთის შექმნის ირგვლივ ჩვენთვის ჩამოშვებულ ფარდას [1]. სამწუხაროდ, გაზეთის გამოცემაზე გლ. უსპენსკის და სხვათა იმედები არ გამართლდა.

პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში გლ. უსპენსკი და ნ. ნიკოლაძე ერთმანეთს დაუახლოვდნენ, გაიზარდა მათი ურთიერთ პატივისცემისა და ნდობის გრძნობა. ამან თავისებური გამოხატულება გაზეთის გამოცემის საქმეში უკვე პოვა. ამ ორი პიროვნების გაცნობა-დაახლოებას ხელს უწყობდა კიდევ ის გარემოება, რომ 1880-იანი წლების დასაწყისში ისინი ჟურ. „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ ერთად თანამშრომლობდნენ, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს რედაქციასა თუ სალონებში. მათი მიმოწერიდან ირკვევა, რომ ისინი კარგად შეთვისებიან ერთმანეთს. ამ პერიოდის მათი წერილები გულთბილ და ინტიმურ ხასიათს იღებენ. ამ ორი მოღვაწის კეთილგანწყობის დამამტკიცებელი თუნდაც ის ფაქტია, რომ მწერალი მძიმე შემთხვევების დროს ყოველთვის ნ. ნიკოლაძეს მიმართავს ხოლმე. ასე, მაგალითად, გლ. უსპენსკი რამდენჯერმე სთხოვს ნ. ნიკოლაძეს თანხას, მავანი და მავანისათვის რკინიგზის უფასო ბილეთის შოვნას და სხვ.

საქართველოდან ნ. ნიკოლაძის წამოსვლის შემდეგ გლ. უსპენსკის თბილისის პრესასთან კავშირი არ გაუწყვეტია. იგი მართალია, სტატიებს ველარ ბეჭდავდა მათ ორგანოებში, მაგრამ მისი შუამდგომლობით თბილისის პრესაში სხვა მწერლის ფელეტონები დაიბეჭდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გლ. უსპენსკი 1884 წელს ჯერ კიდევ ითვლებოდა „ნოვოე ობოზრენიეს“ მუდმივ თანამშრომელთა სიაში.

---

[1] იხილე Г. И. Успенский, Полное собрание соч., изд. АН СССР, 1953 г., т. VI, с. 181.

[2] Г. И. Успенский. Полное соб. соч., изд. АН СССР, 1951 г., т. XIII, стр. 216.

[1] იხ. Н. В. Максимов, Письмо к Г. И. Успенскому, «Голос минувшего", 1915 г., № 7 — 8, с. 205 — 206. Г. И. Успенский, Полное соб., соч., изд., АН СССР, 1951 г., т. XIII, стр. 270, 276, 278.

1884 წ. საქართველოში მოგზაურობის შემდეგ, მწერალს ავადმყოფობამ ხელახლა შემოუტია. ამას ზედ მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებაც დაერთო. გლებ უსპენსკის მეგობარ-ნათესავებში უხდებოდა ფულის სათხოვნელად მიმართვა. მწერალს ასეთი თხოვნით ნ. ნიკოლაძისთვისაც მიუმართავს, ამას ჩვენ მათი მიმოწერიდან ვგებულობთ, რასაკვირველია, ნ. ნიკოლაძე შეეცადა, ეშოვნა ეს თანხა მისთვის და საბოლოოდ უშოვნა კიდეც, უფრო სწორად, გზა მონახა ფულის საშოვნად. მან თბილისის გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ მიმართა. მისი აზრით, სტეფანოვი მოისურვებდა დახმარების გაწევას. ნ. ნიკოლაძე აცნობებდა გლ. უსპენსკის, რომ ვალის გადახდა თქვენ შეგიძლიათ ფულითაც და სტატიებითაც“,... მე პირადად კი, — წერდა იგი გლ. უსპენსკის,— ბედნიერი ვიქნებოდი თქვენ უკანასკნელი ხერხი რომ აგერჩიათ, და თავად სტეფანოვიც...“ [1]

გლ. უსპენსკი ნ. ნიკოლაძეს „ნოვოე ობოზრენიეში“ თანამშრომლად მიუწვევია, მაგრამ მას ამ გაზეთში აღარ უთანამშრომლია. როგორც გლებ უსპენსკის საპასუხო წერილიდან ვგებულობთ, სანამ იგი ნ. ნიკოლაძისაგან ცნობას მიიღებდა, სალტიკოვ-შჩედრინს უზრუნვია და მისთვის გარკვეული თანხაც გამოუგზავნია.

1884 წ. მწერალი ისევ პეტერბურგში იმყოფება. მისი მორალური და, რაც მთავარია, სულიერი მდგომარეობა მეტად მძიმეა. მას ავადმყოფობამ დარია ხელი.

* * *

1882 წლის დასასრულისა და 1883 წლის დასაწყისისათვის გლ. უსპენსკი, როგორც ყოველთვის, დაძაბულ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა. იგი ძირითადად ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ თანამშრომლობდა და პარალელურად ლავროვთან „რუსკაია მისლიში“ ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებს. მწერალს უჭირდა ცხოვრება, თანაც მისი ფიზიკური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. ექიმები დაჟინებით ურჩევდნენ დასვენებას. და აი, 1883 წლის იანვარში გლ. უსპენსკიმ კავკასიისაკენ გამგზავრება გადაწყვიტა.

გლ. უსპენსკის კავკასიაში გამგზავრების მიზეზს მისი ავადმყოფობა წარმოადგენს, მაგრამ მხოლოდ ავადმყოფობა როდი უნდა იყოს ამის მიზეზი.

საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ის აზრი, რომ გლ. უსპენსკის, რომელიც მჩაგვრელი უღლისაგან ხალხთა განთავისუფლებასა და მათ ბედნიერ მომავალზე ოცნებობდა, — საქართველოსაკენ, კავკასიისაკენ ის აზრი ეწეოდა, რომ ხალხის ცხოვრებას გასცნობოდა. მწერალს, გლეხის გულის მესაიდუმლეს, მის მოტრფიალეს, რუსეთში სულს უხუთავდა შექმნილი ახალი ვითარება. გლ. უსპენსკი ისწრაფვოდა საქართველოსაკენ, რათა „კაპიტალის ძალისაგან“ თავისუფალი ხალხი ენახა, ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს კავკასიაში გლ. უსპენსკის გამგზავრების ძირითადი მიზეზი. ყველა ამ მიზეზმა გამოიწვია კავკასიისაკენ გლებ ივანესძის გამომგზავრება და მანვე განსაზღვრა მისი მარშრუტი.

1883 წლის 31 იანვარს გლ. უსპენსკი პეტერბურგიდან მოსკოვის გავლით კავკასიას გამოეშურა. საქართველოს სამხედრო გზით იგი ვლადიკავკაზს მიადგა. ვლადიკავკაზში მწერალი 6 თებერვალს ჩავიდა. მეორე დილით კი საფოსტო ეტლით თბილისისაკენ გამოემგზავრა. ორი დღის მგზავრობის შემდეგ, 1883 წლის 9 თებერვალს რუსეთის ქვეყნის დიდმა მწერალმა თბილისის მიწას პირველად დაადგა ფეხი. მეორე დილითვე, 10 თებერვალს, რკინიგზით ბათუმისაკენ გაემგზავრა. იმავე საღამოს იგი ბათუმში იყო. ამ ქალაქში გლ. უსპენსკი დიდხანს აღარ შეჩერებულა, იმავე ღამით გლებ უსპენსკი გემით ფოთს გაემგზავრა, ხოლო ფოთიდან იმავე დღეს—თბილისს. საქართველოს დედაქალაქში იგი 11 თებერვალს ჩამოვიდა. 12 თებერვალს, დღის 12 საათზე გლ. უსპენსკი ბაქოსაკენ გაემგზავრა.

გლ. უსპენსკის ამ მოგზაურობის შესახებ ცნობებს მეუღლისა და მეგობრისადმი მიმართულ მისივე წერილებში ვპოულობთ [1]. მწერალს, როგორც ამ წერილებიდან ირკვევა, საქართველოში სულ ერთ კვირამდე დაუყვია. შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზების გამო გლ. უსპენსკის არ შეეძლო საკმაოდ ღრმა დაკვირვება მოეხდინა საქართველოზე, მის სოციალურ-პოლიტიკურ ყოფაზე, მის კულტურაზე, მის ხალხზე.

გლ. უსპენსკი თბილისში ჩამოსვლისას სასტუმრო „ლონდონში“ უნდა გაჩერებულიყო. მწერალი საქართველოში სექტანტების ცხოვრებით დაინტერესებულა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა წყაროს, რომლებიც საქართველოში დიდი რუსი მწერლის მოგზაურობის საკითხს შუქსა ჰფენს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გლ. უსპენსკიზე ამ მოგზაურობამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მწერალი თავის ერთ-ერთ ბარათში აღნიშნავს: „უიმისოდ (ამ მოგზაურობის გარეშე — ო. ბ.) მე ჩავძაღლდებოდი“ [2]. კავკასიამ მწერალზე ცხოველმყოფელი გავლენა იქონია, აქ დაეტყო მას გამომჯობინება და აქ

---

1 ნ. ი. ნიკოლაძის წერილი გლ. უსპენსკისადმი, 1884 წ. 7/V-ს თარიღით. რლი, ფ. 313, აღწერილობა. 3, ს. № 208.

1 Г. И. Успенский, полное соб. соч., т. XIII, с. 300, 303.

2 იქვე, გვ. 308.

გამდიდრდა ცხოვრებაზე მისი შთაბეჭდილებანი; გლ. უსპენსკი გამოაცოცხლა კავკასიამ, „თავბრუ მეხვევა ყოველნაირი შთაბეჭდილებებიდანო“[1] სწერდა იგი თბილისიდან ნეკრასოვას. იგი იმდენად აღტაცებულია ამ ქვეყნით, რომ „ეშინია“ კავკასიამ მუშაობას არ გადააჩვიოს. იგი გააბრუა კავკასიამ. მაგრამ მას მაინც აქვს იმედი, რომ შემდგომში ამ ბურანიდან თავის დაღწევას შეძლებს და მრავალ ფაქტს მოიგონებს. მას სწამს, რომ „მისი მოგზაურობა უნაყოფო არაა, რომ შემდეგ მე ბევრს მოვიგონებ“[2]. გლ. უსპენსკი ჯერ კიდევ არ იყო პეტერბურგს გამგზავრებული, რომ ნათლად შეიგნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის კავკასიაში მოგზაურობას. „მე ჩავძაღლდებოდი პიტერში იმიტომ, — წერს იგი, — რომ, პირდაპირ, არ ვიცოდი, რა მექნა, — ახლა მე ვიცი, ახლა მე მაქვს ახალი ინტერესები, და მე არ ვუღალატებ მას“[3].

ასეთი დიდი და ცოცხალი შთაბეჭდილებების შედეგად დაწერა გლ. უსპენსკიმ ერთ-ერთი მეტად საყურადღებო ნარკვევი „მგზავრის შენიშვნებიდან“.

„მგზავრის შენიშვნებიდან“ ნარკვევის ჟანრს განეკუთვნება. XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიაში ნარკვევის ჟანრის განვითარება განსაკუთრებით რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში შეინიშნება თავისი ფორმითა და შინაარსით ეს ჟანრი ყველაზე მეტ ოპერატიულობას ამჟღავნებდა ქვეყნის საჭირ-ბოროტო საკითხების სასწრაფოდ გამოპასუხება — გადაჭრაში. ჩერნიშევსკი დობროლუბოვი, სალტიკოვ-შჩედრინი, უსპენსკი აღიარებდნენ ამ ჟანრის უპირატესობას საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხებისადმი აქტიური გამოხმაურების თვალსაზრისით.

გლ. უსპენსკიმ ამ პერიოდის ნაწარმოებებში პუბლიცისტიკა აიყვანა მაღალ მხატვრულ სიმაღლემდე, ხოლო ნაწარმოების მხატვრულ მხარეს კი მეტი პუბლიცისტური სიმახვილე მისცა. მწერლის ამ პერიოდის ნარკვევები მხატვრულობისა და პუბლიცისტურობის შესანიშნავ შერწყმას წარმოადგენდნენ.

გლეხთა ცხოვრებაზე ნარკვევების ციკლის დამთავრების შემდეგ გლ. უსპენსკი განაგრძობდა რუსეთის სოფლებსა და გუბერნიებში მოგზაურობას, უმთავრესად ცდილობდა დაეწერა ის, რაც მას „მიწის ძალის“ შემდეგ დარჩა დაუწერელი. იგი ყურადღებით განაგრძობდა გლეხისა და სოფლის ცხოვრების შესწავლას, ახალი მოვლენების შესწავლას. ნაწარმოების — „მგზავრის შენიშვნებიდან“ ძირითადი იდეები სწორედ ამ გლეხურ ციკლში განვითარებულ და გამოთქმულ იდეებთანაა დაკავშირებული.

კავკასიაში მოგზაურობამ, კავკასიის შთაბეჭდილებებმა გამოაფხიზლეს იგი, დაუსახეს ახალი ინტერესები. ეს „ახალი ინტერესები“ „კაპიტალის ძალის“ ასახვა უნდა ყოფილიყო. თუ იგი თავის ადრეულ შემოქმედებაში მთავარ ყურადღებას „მიწის ძალის“ ასახვას მიაქცევდა, ახლა „კაპიტალის ძალის“ ასახვას აქცევს ყურადღებას. მართალია, მის ადრეულ შემოქმედებაში „კაპიტალის ძალის“ ასახვის ცალკეული ელემენტები იჩენენ თავს, მაგრამ იმ დროს ისინი მხოლოდ მეორეხარისხოვანი ელემენტების როლს ასრულებდნენ. ასე რომ, „ახალი ინტერესების“ გამოჩენაში უნდა ვიგულისხმოთ მწერლის ყურადღების კონცენტრირება „კაპიტალის ძალის“ ასახვაზე.

კავკასიაში კაპიტალის, „ბატონი კუპონის“ შემოჭრისა და გაბატონების სურათები, კონკრეტულად, ფაქტების ილუსტრირებით, ნარკვევების „მგზავრის შენიშვნებიდან“ მეორე თავშია ნაჩვენები. დასათაურებიდან ჩანს, („კავკასიის მთები: გუდაური, ნობელი და პალაშკოვსკი. — ბათუმი“[1], რომ ავტორი, გლ. უსპენსკი, ამ თავშიც ყურადღებას უმთავრესად საქართველოში კაპიტალის შემოჭრასა და გაბატონებას აქცევს. ასახავს ამ ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარებას.

80-იანი წლების დასაწყისისათვის კავკასია, კერძოდ საქართველო, კაპიტალიზმის განვითარების გზაზეა დამდგარი. ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება ამ მძლავრ დინებაში მთლიანად ჩაება. გლ. უსპენსკი, რომელიც დიდი რეალისტური მხატვრული ალღოთი იყო დაჯილდოებული, შენიშნავს ამ მოვლენას. მწერალი ოსტატურად ასახავს კავკასიაში კაპიტალის შემოჭრის ფაქტს და ცდილობს, მკითხველს ამ მდგომარეობის რაც შეიძლება ნათელი სურათი დაუხატოს. ამ შემთხვევაშიაც მკვეთრად იჩინა თავი გლ. უსპენსკის შემოქმედებაში მომხდარმა ცვლილებამ — ნარკვევის მხატვრულ ქსელში პუბლიცისტური ნაკადის შეჭრამ, ე. წ. პუბლიცისტური წიაღსვლების გამრავლებამ.

ნარკვევში „კავკასიაში“ გლ. უსპენსკი ხატავს კავკასიის დიდებულ ბუნებას, აღწერს თავის სულიერ განცდებს და ამ ფსიქოლოგიური მოვლენის ასახვის დროს ნაწარმოებში ჩაურთავს ხოლმე პუბლიცისტურ ნაკადს, სადაც მოცემულია ავტორის განსჯა კაპიტალიზმის შესახებ. გლ. უსპენსკის აზრით, კაპიტალიზმი სპობს ყოველგვარ ნაციონალურ თავისებურებას და ახალი, საერთო ფორმა, შტამპი შემოაქვს. მწერალი ავითარებს თავის აზრს შემდგომ და „ტიპიური... შახსევანელის, რო-

[1] იქვე, გვ. 303.
[2] იქვე, გვ. 308.
[3] იქვე, გვ. 309.

[1] Г. И. Успенский, полное соб., соч. изд. 1949 г., т. VIII.

მელიც ფრანგულ ოტელში მოხვდა მოსამსახურედ“[1], მაგალითზე ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის განვითარება ქვეყანაში ცვლის ადამიანის არა მარტო გარეგნულ ფორმას, ტანსაცმელს, არამედ მის შინაგან სამყაროსაც. შახსევანელი, რომელიც ადრე გენერლის წინაშეაც კი არ იხრიდა ქედს, ახლა „ფრანგი მებუფეტე ქალის“ შემოხედვისაგან ცახცახებს. ამ ფაქტში ხაზგასმულია ის მდგომარეობა, რომ, თუ ადრე ამ ადამიანს კაცი ძნელად რითიმე დაიმორჩილებდა, ახლა იგი კუპონებს მონად გაუხდია.

გლ. უსპენსკი ხედავს კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში, იგი გრძნობს, რომ ქვეყანა გარდამავალ მდგომარეობაში იმყოფება, რომ პატრიარქალური ყოფა, ნაციონალური ფორმა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ჯერ მთლიანად უარყოფილი, უკუგდებული არაა, ახალი ფორმით შეცვლილი არაა. მწერალი შენიშნავს, რომ „მშვენიერი მეგრელი ბიჭი“ ჩაითრია კაპიტალიზმის მორევმა, მაგრამ მან ძველი გარეგნული ფორმა-ტანსაცმელი ჯერ კიდევ შემოინახა.

რა თქმა უნდა, ავტორი ამ ნაწარმოებში ვერ ამაღლდა კაპიტალიზმის მარქსისტულ კრიტიკამდე, მან მთელი რიგი მოვლენები — ჭარბი წარმოება, სისტემატური უმუშევრობა, რომლებიც კაპიტალიზმის თანდაყოლილი სენია, და სხვ. — ვერ გაითვალისწინა. მწერალს 1884 წლისათვის ასეთი დასკვნის გამოტანა არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების გამო არ შეეძლო. მაგრამ მან ის მოვლენა მაინც კარგად დაინახა, რომ რუსეთის განაპირა „ქვეყანა, რეფორმისშემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა, და ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიელს პოეტურ კოსტუმს და ევროპული ლაქიის კოსტუმით მოსავდა მას (გლ. უსპენსკი“).[2] ვ. ი. ლენინის ამ ციტატში გადმოცემულია გლ. უსპენსკის ნაწარმოებში ასახული მოვლენის — რუსეთის განაპირა რაიონებში კაპიტალიზმის შემოჭრის არსი.

გლ. უსპენსკი თავის ნარკვევში ასახავს, აგრეთვე, ქალაქ ბათუმს.

მწერლის ყურადღებას თავიდანვე იპყრობს ის გარემოება, რომ ბათუმი 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულებით, ამ ქალაქის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების პირობით, რუსეთს გადაეცა. გლ. უსპენსკი შენიშნავს, რომ პორტო-ფრანკოს ბათუმისათვის სული შეუხუთავს, განსაკუთრებით მძიმედ მოსახლეობის ღარიბ ფენებზე უმოქმედია. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ბაზარს ამარაგებდა, იძულებული გამხდარა, ბათუმიდან გაქცეულიყო. ერთადერთი ტიპი ადამიანისა, რომლისთვისაც პორტო-ფრანკო ხელსაყრელი გამოდგა, ბატონი არხიპოვი იყო, რომელიც ხალხს თავისი მაქინაციებით სულს ხდიდა.

„კავკასიაში“ სამოგზაურო ნარკვევის ჟანრს განეკუთვნება და ახალი სტილით ხასიათდება. ეს ნარკვევი მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევის ნიმუშია.

მიუხედავად იმისა, რომ მწერალი შეზღუდული იყო დროში და არ ჰქონდა საშუალება, საფუძვლიანად შეესწავლა ყოველი მოვლენა და ფაქტი, რომელსაც იგი ხვდებოდა თავისი მოგზაურობის დროს, მაინც გლ. უსპენსკის ნაწარმოებში მწერლის რეალისტური ალღოს წყალობით აისახა იმ ქვეყნის ტიპიური მოვლენანი და ადამიანები, სადაც მას მოგზაურობა მოუხდა. ასე მოიქცა იგი, როდესაც ასახა ნობელისა და პალაშკოვსკის, შახსევანელის, მეგრელი ბიჭის, ვაჭარ ბელოხრიუკოვის, არხიპოვის სახეები.

• •
•

ხალხოსნური მოძრაობა რევოლუციური მოძრაობის ეტაპია. საქართველოში XIX საუკუნის რევოლუციური მოძრაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან. საქართველოს სინამდვილეში ხალხოსნურ მოძრაობას, ძირითადად, ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორც რუსეთში.

მსოფლმხედველობა, თემის, ასახვის ობიექტის ერთიანობა ამ ორი ქვეყნის ხალხოსან მწერლებს შორის გარკვეული მსგავსების საშუალებას იძლეოდა. გლეხი და მისი ყოფა, მისი ცხოვრება, მისი მიზნები და მისწრაფებანი, — აი მთავარი თემა ორივე ქვეყნის მწერალთათვის.

ქართული მწერლობა, კრიტიკა მოწინავე რუსი მოაზროვნისა და თუმცა თავისებური, მაგრამ მაინც ხალხოსანი ლიტერატორის გლ. უსპენსკის იდეურ და შემოქმედებითს წყაროს ეწაფებოდა ხოლმე.

გლ. უსპენსკი ხალხოსნური ლიტერატურის ერთ-ერთი თავისებური წარმომადგენელი იყო. გლებ ივანეს-ძის თავისებურება ხალხოსნების მსოფლმხედველობის ძირითადი საკითხის — „თემური სოციალიზმისადმი“ დამოკიდებულებაში და მის მხატვრულ ასახვაშიც გამოჩნდა. ხალხოსნები, როგორც ცნობილია, ქვეყნის აღორძინებისა და განვითარების იმედებს „თემურ სოციალიზმზე“ ამყარებდნენ. გლ. უსპენსკის უდიდესი დამსახურება მარქსისტულ-რევოლუციონერების წინაშე ისაა, რომ მან, რო-

---

[1] იქვე, გვ. 220.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., გამ. 4, ტ. 3: გვ. 704.

გორც დიდმა მხატვარმა, თავის ნაწარმოებებში („გლეხი და გლეხური შრომა“ და სხვ.) შესანიშნავი ოსტატობითა და დამაჯერებლობით დაგვანახა ხალხოსნური თემური სოციალიზმის კრახი და მისი განხორციელების შეუძლებლობა. გლებ ივანეს-ძის ეს ნაწარმოებები რევოლუციონერებს ხალხოსნური იდეების უსაფუძვლობის და სინამდვილისადმი შეუფერებლობის ფაქტებით დამტკიცებაში ეხმარებოდნენ.

ცნობილ ქართველ მწერალსა და მოღვაწეს ნიკო ლომოურს თავის მხატვრულ ქმნილებებში ასახული აქვს თემური წყობილების კრახი. თუმცა იგი სრულიადაც არ იყო ამ კრახის მომხრე და მოსურნე. მოთხრობაში „ბერუა ქრისტესიაშვილი“ ავტორს გულით და სულით სურს გვიქოს და გვიდიდოს 28 სულისგან შემდგარი ბერუას პატრიარქალური ოჯახი, მისი ძალა და ძლიერება. მაგრამ ნაწარმოებშივე ასახული მოვლენების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ამ ოჯახის საძირკველი უკვე გამზარულია და მასზე აგებული შენობა დღეს თუ არა, ხვალ ჩამოინგრევა.

ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში სხვა მწერლებთანაც საკმაოდ მოიპოვება ძველი სოფლის იდეალიზაციის ფაქტები. ძველი სოფლის იდეალიზაციისაკენ მიმართულ ნაწარმოებებში ავტორთა რეალიზმის წყალობით, მათდა საუნებუროდ, მრავლად არის ხოლმე აღნიშნული ცვლილებანი „თემურ სოფელში“, რომლებიც ახალ ცხოვრებას, მის ახალ წესებს შეაქვს.

გლ. უსპენსკიმ გვიჩვენა არა მარტო გლეხთა უარყოფითი დამოკიდებულება თემური წყობილებისადმი, მათი ლტოლვა, უფრო ღრმად ჩაიკეტონ თავიანთ ნაჭუჭში, სკეპტიკურად და ეჭვის თვალით უყურონ თემურ მეურნეობას, არამედ ჭეშმარიტად რეალისტური კალმით მოხაზა და დაგვისურათა ის მიზეზები, რომლებიც ამ შემთხვევაში ამოძრავებდნენ გლეხობას.

გლ. უსპენსკის აზრით, გლეხები მიჯაჭვული არიან მიწას, ძალა და მიზიდულობა მიწისა ბატონობს გლეხის გონებაზე. გლეხის მთელი ცხოვრება, მისი აზრი და საქმიანობა, მისი ყოველი შემოქმედება მთლიანად დამოკიდებულია მიწაზე, როცა ნაწარმოების — „მიწის ძალა“ ერთ-ერთი გმირი უსახელო მოხუცი სოფელში ქალთა სიმღერას გაიგონებს, იტყვის: „უყურე, ერთი, როგორ გაჰკივიან! მოსავალი... წელს ღმერთმა მოგვცა...“ ხოლო, როდესაც სიმღერა უფრო ხმიანი ხდება, მოხუცი ამ ზედმეტად მაღალი, წკრიალა სიმღერის განსამარტავად იტყვის: „კართოფილი, ალბათ, ღმერთმა მოიყვანა...“; [1].

ქართულ ლიტერატურაში ამ თემამ თავისი გამოძახილი ჰპოვა. ქართველი მწერლები რეალისტურად გვიხატავენ სოფლად მიწისა და საქონლის ძალას, გვიჩვენებენ ამ მიწისათვის ბრძოლის ნამდვილ ეპიზოდებს, ასახავენ სურათებს, როდესაც მიწის გულისათვის ქალს თხოულობენ, კაცსა ჰკლავენ, იღუპებიან. ამგვარი სურათები შექმნილია ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას მიერ მოთხრობაში „მიწა“, ზ. გულისაშვილის ნაწარმოებში „მარტიაანთ პაპა“ და სხვ.

გლ. უსპენსკიმ აგვისახა რუსეთში კაპიტალიზმის შემოჭრა და განვითარება, რამაც სოფლად გლეხობის დიფერენციაცია გამოიწვია. მან გვიჩვენა, რომ ახალი ვითარების გამო სოფელი პროლეტარებად-ღარიბებად და კულაკებად-მდიდრებად იყოფა.

ქართულმა ლიტერატურამ კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ასახა. მან მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები მიუძღვნა სოფელში კაპიტალიზმის შეჭრისა და განვითარების თემას.

ზ. გულისაშვილის მოთხრობის „მეტივე“ მთავარი ბაციკა ერთ დროს ღარიბი გლეხი იყო, მაგრამ შემდეგ ფული დააგროვა, გამდიდრდა. „მალე ბაციკა თითონაც მეტივე გახდა, — წერს ავტორი, — ფული იშოვა და ახლა... უწინდელი სისაწყლე აღარც კი აგონდებოდა. ახლა იმის თვალწინ გინდ ყველა ამოეწყვიტათ, ის ხელს აღარ გაიქნევდა, ოღონდ იმის ჯიბისთვის არ ეხლოთ ხელი...“ [1]. კაპიტალიზმის განვითარებით გამოწვეული ცვლილებანი ეკ. გაბაშვილსაც აქვს ასახული თავის მოთხრობებში — „სურათი“, „სოფლის მევახშენი“ და სხვ.

გლ. უსპენსკიმ დაინახა, რომ ახალი ვითარების გამო „მიწის ძალა“ „კაპიტალის ძალით“ იცვლებოდა. 1888 წ. იგი წერს ნარკვევების ციკლს სათაურით „მძიმე ცოდვანი“, რომელშიაც პირველად შეაქვს ტერმინი „კუპონი“, ამ ტერმინს იგი კაპიტალისტის ან კაპიტალიზმის აღსანიშნავად ხმარობს. მწერალი თავის ნაწარმოებში ყოველთვის გვაგრძნობინებს, რომ „კუპონის“ ადამიანის კეთილყოფა მთლიანად აგებულია „შავმუშა ადამიანთა მასების“ შრომასა და ტანჯვაზე“. „ყიდვა!“ აი, რა აწერია სისხლით კაპიტალიზმის შავ დროშას.

ქართულმა ლიტერატურამ ხალხოსნებზე გაცილებით უფრო ადრე ასახა საქართველოში ფულის შემოჭრა და გაბატონება. მოწინავე ქართველმა მწერლებმა დაინახეს და ასახეს ფულის ძალა, შენიშნეს, რომ ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფული გაბატონდა, დღევანდელი დღის ღმერთად იქცა, ახალი საზოგადოების — ბურჟუაზიის სინდისნამუსი გახდა. ხალხოსანი მწერლები ზ. გულისაშვილი („ორიოდე სურათი ნარკვევიდან“, „ბედნიერი კუნჭუ-

1 Г. И. Успенский, полное соб., соч., изд. 1908 г., т. V, გვ. 114.

1 ზ. გულისაშვილი, მეტივე, ნარკვევები. მოთხრობები, 1953 წ. გვ. 71.

ლი“ და სხვ.), ნ. ლომოური („წუთისოფელი“ და სხვ.), ა. ფურცელაძე („მართა“ და სხვ.) აგვისახავენ ფულის გაბატონების სცენებს და მით გამოწვეულ შედეგებს.

* *
*

რუსმა რევოლუციონერმა — დემოკრატებმა თავისი თეორიით, იდეოლოგიით დიდი გავლენა მოახდინეს ქართველ მოწინავე მოღვაწეებზე. ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი და სხვანი სანიმუშო და მისაბაძნი იყვნენ ქართველი ლიტერატორებისათვის.

ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვის, გლ. უსპენსკის ნაწარმოებნი ქართველ მწერლებს ეხმარებოდნენ მსოფლმხედველობრივი ჰორიზონტის გაფართოებაში. „...ამავე დროს,— წერს ავტობიოგრაფიაში ნ. ლომოური, — წავიკითხე დობროლიუბოვი, ჩერნიშევსკი, გლებ უსპენსკი, ნეკრასოვი, ამათ ერთი ათად გააფართოვეს ჩემი შეხედულებანი, გრძნობანი, რწმენანი გლეხის შესახებ“ [1].

მხატვრული სიტყვის დიდოსტატის გლ. უსპენსკის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა რეალისტმა ე. ნინოშვილმა. ერთ-ერთ თავის წერილში იგი აღნიშნავდა: „საზოგადოდ შიოს მოთხრობები ძალიან მომწონს, გლებ უსპენსკის მოგონებს“ [2].

ასეთი და ამის მსგავსი შემთხვევები საშუალებას იძლევიან ვიფიქროთ, რომ ქართულ სინამდვილეში, მოწინავე ქართულ ლიტერატურაში გლ. უსპენსკის ნაწარმოებებს იყენებდნენ თავიანთი მსოფლმხედველობისა თუ მხატვრული დაოსტატების, სრულყოფისა თუ გაფართოების საქმეში. მოწინავე ქართველი ლიტერატორების ეს პატივისცემა და ლტოლვა რუსული რეალისტური სკოლის მწერლების წარმომადგენლებისადმი შემთხვევითი და უეცარი კი არა, სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო.

გლ. უსპენსკის ნაწარმოებები კეთილმყოფელ გავლენას ახდენდნენ საქართველოს მუშებზედაც. ყველაზე მკაფიოდ ეს გამოხატულია მწერლისადმი მიმართულ თბილისელ მუშათა ბარათში, რომელიც გლ. უსპენსკის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის თავზე გაეგზავნა.

თბილისელი მუშები წერენ გლ. უსპენსკის, რომ მისმა ნაწარმოებებმა მუშებს თვალი აუხილეს ცხოვრებაზე და პირველად მისცეს საშუალება, ღრმად ჩაეხედათ მათი მძიმე ხვედრის მიზეზებში, მიაჩვიეს, გაერჩიათ სიკეთე ბოროტებისაგან, კარგი — ავისაგან და სხვ.

---

[1] ნ. ლომოური, ავტობიოგრაფია, „ლიტერატურული მატიანე“, 1940 წ., წიგნი 1—2 გვ. 513.

[2] ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1955 წ., გვ. 602.

გლ. უსპენსკი თავისი ნაწარმოებებით ეხმარებოდა საქართველოს მუშებს კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებაში, მათი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებაში. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ლენინური „ისკრა“, გლ. უსპენსკის ნაწარმოებები ეხმარებოდნენ რევოლუციონერებს, განემარტათ თავიანთთვისაც და სხვებისთვისაც თავიანთი ისტორიული თეორია.

* *
*

გლ. უსპენსკი პროგრესული რუსული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენელია. საქართველოს მოწინავე მწერლები და მოღვაწენი, ისევე, როგორც რუსეთისა, მწერალში დემოკრატიული რუსეთის წარმომადგენელს ხედავდნენ.

პირველად გლ. უსპენსკის დახასიათებას, როგორც „ქვეყნის უმჯობესთ მომთხრობისა“, ჟურნალ „ივერიის“ ფურცლებზე ვხვდებით 1882 წელს.

1883 წელს გლ. უსპენსკიმ იმოგზაურა კავკასიაში, საქართველოში. იმავე წელს, ზაფხულზე, ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ მან გამოაქვეყნა ნარკვევი „მგზავრის შენიშვნებიდან“, რომელშიაც გადმოგვცა კავკასიაში მიღებული თავისი შთაბეჭდილებანი. ნარკვევის გამოქვეყნებამ ცხოველი გამოხმაურება პოვა. იმავე წელს გაზეთი „დროება“ ივლისის ნომერში ათავსებს სტატიას — „მგზავრის შენიშვნები კავკასიაზედ გლებ უსპენსკისა“ [1]. აქ მოცემული იყო მწერლის ნაწარმოების ანალიზი, განსაკუთრებით გამახვილებული იყო ყურადღება გლ. უსპენსკის მიერ ასახულ კავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების ფაქტზე. ავტორის აზრით, ნარკვევი ქვეყნის ცხოვრებაზე გონიერი და სამართლიანი შენიშვნებით ხასიათდება.

ქართული პრესა ცნობილი რუსი მწერლის სახელს დიდი პატივისცემით ეკიდებოდა. იგი ახასიათებდა მას, როგორც გამოჩენილ ლიტერატორსა და დიდ ადამიანს, მოქალაქეს. თბილისის პრესაში იბეჭდებოდა მოგონებანი გლ. უსპენსკის შესახებ. მასზე სტატიაში მრავალი საინტერესო ფაქტი იყო აღნიშნული. სტატიის ავტორი გ. თუმანიშვილი იგონებდა მწერალთან 1889 წ. პეტერბურგში მის შეხვედრას და გადმოგვცემდა მათი საუბრის შინაარსს, სადაც ნათლად ჩანდა მწერლის დამოკიდებულება სოფლისა და გლეხისადმი. სტატია გადმოგვცემდა, აგრეთვე, სხვა საინტერესო ცნობებს გლ. უსპენსკის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა ივანე გომართელმა ყოველდღიურ გაზეთ „კვალში“ დაბეჭდა სტატიათა სერია რუსული ლიტერა-

---

[1] „მგზავრის შენიშვნები კავკასიაზედ გლებ უსპენსკისა“, გაზ. „დროება“, 1883 წ. № 124.

ტურის შესახებ. ამ გაზეთში 1901 წელს მოთავსებული იყო სტატია გლ. უსპენსკის შესახებ. ი. გომართელი ახასიათებდა, საერთოდ, ხალხოსან მწერლებს და განსაკუთრებით ჩერდებოდა გლ. უსპენსკისზე. იგი გადმოგვცემს მწერლის ბიოგრაფიას, მის შემოქმედებას კი ორ პერიოდად ყოფს. პირველ პერიოდში, ავტორის აზრით, მწერალი ქალაქის ცხოვრებას აგვისახავდა, ხოლო მეორეში — სოფლის გლეხობის. იგი მაღალ შეფასებას აძლევს გლ. უსპენსკის მხატვრულ ოსტატობას და მას თითქმის შეუდარებლადაც კი თვლის. ი. გომართელი სწორად შენიშნავს რუსი მწერლის ნაწარმოებების იდეურ თუ თემატიკურ მიმართებას. ი. გომართელის აზრით, გლ. უსპენსკიმ სრულყოფილად აგვისახა ახალი ტიპი, რომელიც ქვეყანაში კაპიტალიზმის შემოჭრას ფეხდაფეხ მოჰყვა, გვიჩვენა მისი ძალა ადამიანებზე. ავტორის აზრით, რუსულ ლიტერატურაში გლ. უსპენსკის შემდეგ ასე ნიჭიერად არავის აუსახავს. სტატიის ავტორი ასევე სწორად შენიშნავს მწერლის შემოქმედების სხვა დამახასიათებელ თვისებებს, როგორიცაა „მიწის ძალის“, „თემური სოციალიზმის“ კრახის ასახვა. მაგრამ, მიუხედავად მართებული და მოხდენილი დახასიათებისა, ი. გომართელს მწერლის შემოქმედების შეფასებისას ხანდახან ღალატობს ზომიერების გრძნობა და მკითხველი შეცდომაში შეჰყავს.

გლ. უსპენსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქართულ გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნდა სტატია-ნეკროლოგები, რომლებშიაც მწერლის განვლილი გზა შუქდებოდა.

ქართული პრესა გლ. უსპენსკის, საერთოდ, ხალხოსნური მიმართულების მწერლად მიიჩნევდა. ქართველი კრიტიკოსების აზრით, ლიტერატურული მოღვაწეობა მან დაიწყო ხალხოსნობით და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. ქართველი ლიტერატორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად და სწორად შენიშნეს ევოლუცია როგორც მის მხატვრულ შემოქმედებაში, ისევე მის მსოფლმხედველობაში. ისინი აღნიშნავდნენ, რომ გლ. უსპენსკი ხალხოსანი მწერალია, ოღონდ მეტად თავისებური. „გლ. უსპენსკი“ ნაროდნიკია“, — წერს „ცნობის ფურცელი“, — მაგრამ მისი „ნაროდნიკობა“ ძალიან განსხვავებულია“, „მას აქვს ისეთი თვისებაც უმატებს მეორე გაზეთი „კვალი“, — რომელიც მას ანსხვავებს და მაღლა აყენებს სხვა „ნაროდნიკებთან“ შედარებით“ [1].

როგორც ამას ქართულ პრესაში აღნიშნავდნენ, საქმე ის იყო, რომ მისი მძლავრი მხატვრული ტალანტი ხალხოსნურ ვიწრო ნაჭუჭში ვერ ეტეოდა და ახალი ცხოვრების ახალ ელემენტებს აგვიწერდა. ქართული პრესა აღნიშნავდა, რომ, როდესაც ხალხოსნები გლეხის „ოქროს გულს“, „მახვილგონიერებას“, „ზნეობრიობას“ უმღეროდნენ, გლ. უსპენსკიმ გლეხისა და მისი ცხოვრების რეალისტური სურათი დაგვიხატა. ასეთი ნაწარმოებების დღის სინათლეზე გამოჩენამ, ნათქვამი იყო პრესაში, ხალხოსნური ილუზიების კრახი გამოიწვია. მაგრამ მწერლის შემოქმედება ამაზე არ შეჩერებულა. გლ. უსპენსკიმ თავის ნაწარმოებებში გვიჩვენა სოფლის ცხოვრების ძველი ყოფის, ძველი საფუძვლების ხრწნა, გვიჩვენა, რომ ხალხის ცხოვრებაში იწყება „ახალი ფაზისი“, გვიჩვენა, თუ როგორ ცდილობს „უფორმო მასა“ ცხოვრების ბატონად გახდომას.

გამოჩენილი მწერლის ცხოვრება შემოქმედება ქართულ პრესაში ძირითადად სწორად იყო შეფასებული. ლიტერატურის კლასიკოსების ტრადიციებზე აღზრდილმა ქართველმა კრიტიკოსებმა შეძლეს, სწორად მისდგომოდნენ და სწორად შეეფასებინათ გლ. უსპენსკის მემკვიდრეობა.

საქართველოში გლ. უსპენსკის შესახებ წიგნი 1922 წ. დაიბეჭდა. ამ დროს ვ. ვართანიანცი აქვეყნებს ბროშურას გლ. უსპენსკის შესახებ. ამ ბროშურის ავტორის კვლევის მეთოდი გლ. უსპენსკისა და ნ. ვ. გოგოლის მსოფლმხედველობისა მცდარია, თუმცა ავტორის მიერ გლ. უსპენსკის შემოქმედებაზე გამოთქმული აზრი, ძირითადად, მართებულია. მიუხედავად ამისა, ბროშურა რეაქციონურ ხასიათს ატარებს, იგი გაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატავს და მკითხველის შეცდომაში შეყვანას ცდილობს.

გლ. უსპენსკის მემკვიდრეობა მეტად დიდია. მისმა შესწავლამ მწერლის დამოკიდებულების თვალსაზრისით საქართველოსთან, მის შემოქმედებაში ამ ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების ასახვის თვალსაზრისით, საქართველოში მისი მემკვიდრეობის აღქმისა და შეფასების თვალსაზრისით, ჩვენ რუსი და ქართველი ხალხების დიადი ისტორიული მეგობრობის კიდევ ერთი ფურცელი გადაგვიშალა.

1 „კვალი“, 1902 წ., № 14, გვ. 223.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მარგველაშვილი

★

# ლეგენდა „ორი მაიაკოვსკის“ შესახებ ფაქტების სამსჯავროს წინაშე

დღიდან მაიაკოვსკის პირველი ლექსის გამოქვეყნებისა ვიდრე დღემდე, როდესაც მაიაკოვსკის გარდაცვალების შემდეგ 28 წელია გასული, ბურჟუაზიულ იდეოლოგებს — პოლიტიკოსებსა თუ ლიტერატორებს — მოსვენებას არ აძლევს, ძილს უფრთხობს ამ ბუმბერაზი რევოლუციონერი პოეტის მარად უკვდავი, ცოცხალი, მოქმედი, მებრძოლი პოეზია. ჩაბარდა წარსულს ის დღეები, როდესაც რეაქციულ კრიტიკოსებს, ცარიზმისა თუ კაპიტალის დაქირავებულ მჯღაბნელებს შეეძლოთ სირაქლემის პოზის მიღება და მაიაკოვსკის „არ შემჩნევა“. ის დროც გავიდა, როდესაც აქაიქ კიდევ პოულობდა გასავალს მისი ხელაღებით ლანძღვა-გინება. ბურჟუაზიის თანამედროვე იდეოლოგები, ისე როგორც სხვა სფეროებში, ლიტერატურის საკითხებშიაც არჩევენ ამჟამად ვითომდა უფრო „მოქნილ“ პოლიტიკას — ყალბისმქნელობის, ფალსიფიკაციის, დემაგოგიის პოლიტიკას. ასეთ ტაქტიკას მიმართავს, მაგალითად, თანამედროვე რევიზიონიზმი მის ყოველგვარ ნაირფეროვნებაში. ასეთივე ტაქტიკას მიმართავენ ის ბურჟუაზიული მკვლევარები, რომლებიც იძულებულნი არიან ტომები მიუძღვნან საბჭოთა ლიტერატურას (რომლის არსებობასაც კი უარყოფდნენ ისინი არც თუ ისე შორეულ წარსულში), რათა საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის გაყალბების გზით მიაღწიონ თავიანთ არაერთგზის დისკრედიტირებულ მიზანს.

ასეთი ფალსიფიკაციის ნამდვილ ენციკლოპედიას წარმოადგენს, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამასწინათ გამოსული „რუსული ლიტერატურის ლექსიკონი“ (უ. ჰარკინსის ხელმძღვანელობით შედგენილი).

ჰარკინსის მთავარი თეზისი მაიაკოვსკის შემოქმედების მიმართ შემდეგში მდგომარეობს: იგი ამტკიცებს, რომ მაიაკოვსკი თავისი პოეტური ბუნებით იყო დამთავრებული ფუტურისტი და როგორც კი მან, რევოლუციის შემდეგ, ვითომდა ძალა დაატანა თავის ნიჭს და შეეცადა ფუტურიზმს გადადგომოდა, იქვე განიცადა შემოქმედებითი და ადამიანური მარცხიო. ძნელია მაიაკოვსკის შემოქმედებითი განვითარების ამაზე უფრო ყალბი წარმოდგენა. ამ საკითხს ორი მხარე აქვს: სწორედ რევოლუციური სინამდვილის ნიადაგზე მიაღწია მაიაკოვსკის ნიჭმა გაფურჩქვნას, თავის უდიდეს განვითარებას, რამაც იგი მსოფლიო ლიტერატურული მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებულ ბელადად გახადა. ამ თვალსაზრისით უ. ჰარკინსისა და მის მსგავსთა გამოსვლები უკვე საკმარისად იყო მხილებული საბჭოთა პრესაში. მაგრამ საკითხს, როგორც ვთქვით, აქვს მეორე მხარეც. საქმე იმაშია, რომ არც მაიაკოვსკის რევოლუციამდელი შემოქმედება და ესთეტიკური შეხედულებანი, თუ მათ ობიექტურად განვიხილავთ და შევაფასებთ, არ აძლევენ ამ არამკითხე მკვლევარებს არავითარ საბაბს მაიაკოვსკის რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი შემოქმედების ასეთი შეპირისპირებისათვის. ვინ არ იცის, რომ მაიაკოვსკი მართლაც იყო წელთა მანძილზე დაკავშირებული რუსი ფუტურისტების დაჯგუფებასთან. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ დიდი პოეტის პირველი ნაწარმოებებიც კი არამცთუ ვერ ეტეოდნენ ფუტურიზმის პროკრუსტეს სარეცელზე, არამედ პრინციპულად, მთელი თავისი არსით ეწინააღმდეგებოდნენ ორთოდოქსალური ფუტურიზმის უმთავრეს, ქვაკუთხედურ პრინციპებს. და აქ ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ არა მარტო ახალგაზრდა მაიაკოვსკის მხატვრული პროდუქციის ობიექტური ჟღერადობა, არამედ მთელი მისი შეგნებული, პრინციპული ლიტერატურული პოზიცია. ამ თვალსაზრისით პირდაპირ და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ყველა ის (მათ შორის ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარიც), რომელიც მაიაკოვსკის რევოლუციამდელი შემოქმედების, მისი იდეურ-პოლიტიკური და ეთიკურ-ესთეტიკური მრწამსის შეუფასებლობას იჩენს, ობიექტურად ეხმარება ბურჟუაზიულ ყალბისმქნელებს მათს არაკეთილსინდისიერ და, ამავე დროს, სავსებით ამაო მეცადინეობაში შეთხზან ლეგენდა „ორი მაიაკოვსკის“ შესახებ. დავანებოთ თავი უ. ჰარკინსსთან თუ მის თანამოაზრეებთან დეტალურ პოლემიკას, განვიხილოთ თვით მაიაკოვსკის შემოქმედებისა და იდეურ-ესთეტიკური განვითარების პირველივე საფეხურები და ჩვენ აშკარად დავინახავთ, არის თუ არა სიმართლის თუნდაც ნატამალი ყალბისმქნელთა ამ უახლეს ნახელავში.

მოვიდა რა ლიტერატურაში მტკიცე გადაწყვეტილებით „აქეთოს სოციალისტური ხელოვნება", ყრმა მაიაკოვსკი არცთუ ისე შეუიარაღებელი იყო, როგორც ეს ჩვენ წარმოგვიდგენია ხოლმე. ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ მოსკოვის რევოლუციური წრთობა, უშუალო, პირადი რევოლუციური გამოცდილება რეაქციის მძიმე წლებში, როდესაც პროპაგანდისტს და აგიტატორს განსაკუთრებული მომზადება მოეთხოვებოდა — ყოველივე ეს გამომჟღავნდა მომავალში არა მარტო პოეტის წმინდა ემოციურ სიმპათიებსა თუ ანტიპათიებში, არამედ მისი თეორიული აზროვნების თამამ სვლებშიც, ახალი „სოციალისტური ხელოვნების" კონტურების შეუნელებელ ძიებაში.

ნუღარ შევეხებით მაიაკოვსკის, როგორც ბოლშევიკური პარტიის წევრის ან პარტიის მოსკოვის რაიონული კომიტეტის წევრის ბიოგრაფიის ფაქტებს; ყველა ამ საკითხზე არსებობს იმდენად მნიშვნელოვანი მასალა და მონაცემები, რომ მათი უგულებელყოფა ძნელად გასაგებია. უკვე მხოლოდ ის, რომ მაიაკოვსკიმ შეძლო სწორი პოლიტიკური ორიენტაციის მიგნება 1909-1912 წლებში, როდესაც არაერთი გამოცდილი ლიტერატორი და პოლიტიკოსი მერყეობდა, უკვე ამ ფაქტს უნდა გაენეფანტა მიუდგომელი მკვლევარისათვის ყოველგვარი იჭვები მაიაკოვსკის იდეური ფიზიონომიის მიმართ.

მაგრამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენი აზრით, თვით მაიაკოვსკის შემოქმედებაში და მის თეორიულ გამოსვლებში პოეტის „სამყაროსადმი დამოკიდებულების" „სისწორის" ამოკითხვას და მინიშნებას. (აქაც და ქვემოთ წინწკლებში მოყვანილია გამოთქმები მაიაკოვსკის ავტობიოგრაფიიდან „მე თვითონ").

მართლაც, შეეძლო განა უკვალოდ ჩაეარა „სოციალისტების უნარს ფაქტების ამოხსნისა და სამყაროს სისტემატიზირებისა", რომელმაც „ერთხელ და სამუდამოდ განაცვიფრა" მაიაკოვსკი? შეეძლო განა არ გამოელო ნაყოფი „ფილოსოფიის, ჰეგელის, ბუნებისმეტყველების, მაგრამ, უმთავრესად, მარქსიზმის" გატაცებით შესწავლას? თავის დროზე, ხომ „არ არსებობდა ხელოვნების ნაწარმოები", რომლითაც მაიაკოვსკი ისე ყოფილიყოს გატაცებული, როგორც „მარქსის წინასიტყვაობით"! (იგულისხმება მარქსის ცნობილი წინასიტყვაობა შრომისადმი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის"(?), სადაც ისტორიული მატერიალიზმის მთავარი პრინციპი იყო ჩამოყალიბებული). ამას დავუმატოთ „ორი ტაქტიკის" არალეგალური გამოცემა, რომლის გარეგან ფორმასაც კი მაიაკოვსკი ესთეტიკაზე ფიქრებს უკავშირებდა („მომწონდა, რომ წიგნი ასოებამდე იყო ჩამოჭრილი—მაქსიმალური ეკონომიის ესთეტიკა"). „ერფურტის პროგრამა", გორკის „ქარიშხალი", „ეკონომიური საუბრები", „ანტი-დიურინგი", „კაპიტალი" (ბუტირკის საკანში — გულმოდგინედ შესწავლილი) — აი ახალგაზრდა მაიაკოვსკის „ლიტერატურულ ინტერესთა" არასრული წრე. ამასთან, რევოლუციური თეორიის შესწავლას ერწყმოდა, როგორც ვიცით, პირადი რევოლუციური პრაქტიკა.

მაგრამ მაიაკოვსკი პოეტი იყო. მისთვის როდი იყო საკმარისი პერსპექტივა — „მთელი სიცოცხლის მანძილზე ეწერა პროკლამაციები, სადაც მოიყვანდა აზრებს, ამოღებულს სწორ, მაგრამ არა მის მიერ შეთხზულ წიგნებიდან". სიმბოლისტების — ბელის და ბალმონტის ხელოვნება, მიუხედავად „ფორმალური სიახლისა", უცხო იყო მისთვის. („თემები და სახეები არა ჩემი ცხოვრებისა"). იგი შეეცადა — „ეწერა ასევე კარგად, მაგრამ სხვა რაიმეზე. გამოირკვა, რომ ასევე სხვა რაიმეზე — შეუძლებელია. გამოვიდა ყალბი და რევცრემლიანი". მას „უკვე ეხლაც" ჰქონდა „სამყაროსადმი უფრო სწორი დამოკიდებულება". ოღონდ იაჭირო იყო გამოცდილება ხელოვნებაში. მას ესაჭიროებოდა ოსტატობის „სერიოზული სკოლა". „ჩემგან რომ წაკითხული გამობერტყორა დარჩება? **მარქსისტული მეთოდი.** მაგრამ... ადვილია მისი მომარჯვება, თუ საქმე მხოლოდ შენიანთა აზრთან გაქვს, მტრებთან შეხვედრისას კი რა უნდა იღონო? აი, ბელიზე უკეთ ხომ ვერ დამიწერია მაინც. მან, რის შესახებაც მას სურდა, მხიარულად — **„в небеса запустил ананасом"**, მე კი ჩემს გულისნადებზე ვწუწუნებ — **„сотни томительных дней..."** რა შემიძლია დავუპირისპირო მე სიძველის ესთეტიკას, რომელიც თავზე დამტყდომია? განა რევოლუცია არ მოითხოვს ჩემგან სერიოზულ სკოლას?"

აი, რაზე ფიქრობდა მაიაკოვსკი, როდესაც უშუალო-რევოლუციურიდან რევოლუციურპოეტურ მოღვაწეობაზე გადადიოდა და ერთადერთ მიზნად ისახავდა **„სოციალისტური ხელოვნების კეთებას".**

მაიაკოვსკი არ წასულა ნაკლები წინააღმდეგობის გზით, ტარასოვისა და მრავალი სხვა, თავისთავად მეტად საინტერესო დემოკრატიპოეტის გზით, რომელთა შემოქმედებაში ხშირად უცნაურად იყო გადახლართული რევოლუციური სინამდვილის „თემები და სახეები" დეკადენტურ „ფორმალურ სიახლესთან".

ღირსსაყურადღებოა, რომ მაიაკოვსკის დამოკიდებულება ამ „ფორმალური სიახლისადმი" საოცრად ემთხვეოდა მისდამი გორკის დამოკიდებულებას. მოვიყვანოთ კიდევ ერთხელ მაიაკოვსკის სიტყვები (სიზუსტისათვის ვიმოწმებთ დედანს): «Перечел все новейшее. Символисты — Белый, Бальмонт. Разобрала

**формальная** новизна. Но было чуждо. Темы, образы не моей жизни» და შემდეგ — „у меня уже и сейчас правильнее отношение к миру“ და შევადაროთ ნაწყვეტს გორკის მოგონებებიდან: **«Они пропагандировали Бальмонта, Брюсова; я понимал, что и тот и другой формально, технически обогащают поэзию, но мне совершенно непонятно было отношение** этих поэтов к **действительности».** (ხაზი ჩემია — გ. მ.).

განა შემთხვევითია ეს საკვირველი, თითქმის სიტყვასიტყვითი დამთხვევა? ამგვარად, არც სიმბოლისტები და არც ე. წ. დემოკრატიული ბანაკის მუშა-პოეტები ვერ გამოდგებოდნენ მაიაკოვსკის მასწავლებლად პოეზიაში. მაგრამ ფუტურიზმიც შეიძლებოდა გამომდგარიყო ოსტატობის ლაბორატორიად მხოლოდ ისეთი მხატვრისათვის, რომელმაც შეინარჩუნა „სოციალისტების უნარი ფაქტების ამოხსნისა, სამყაროს სისტემატიზირებისა“ და რომელსაც ჰქონდა „სამყაროსადმი სწორი დამოკიდებულება“.

ფუტურიზმთან კავშირი მაიაკოვსკისათვის ისეთივე „მეზალიანსი“ იყო, როგორც მომავალში კავშირი „ლეფთან“. ფუტურიზმი, ისევე, როგორც ლეფი, „კულტურის სხვადასხვა ჯურის მუშაკებს აერთიანებდა მემარცხენეობის ფორმალური ნიშნის მიხედვით და თანაც ვულისხმობდა, რომ მემარცხენეობა ემთხვევა რევოლუციონურობას“. ფუტურიზმი, ისევე როგორც ლეფი, აერთიანებდა „სრულიად სხვადასხვა მუშაკებს“, დაკავშირებულთ „მოჩვენებითი, უფრო სწორად, დროებითი სოლიდარობით“. „ასე თითქოს და სოლიდარულად უტევდნენ თვითმპყრობელობას სხვადასხვა კლასები, რათა გამარჯვების შემდეგ, იმ წუთსავე განეგრძოთ მთავარი ბრძოლა ურთიერთთან“ (ეს სიტყვები მოყვანილია მაიაკოვსკის მიერ ლეფის დახასიათებიდან).

მაგრამ „სოციალისტური ხელოვნების შექმნა“ შესაძლებელი იყო მხოლოდ ხანგრძლივი, ბეჯითი, მუდამ მიზანდასახული ძიებების შედეგად. მარტოდმარტო კი ამ ამოცანას ვერავინ დაძლევდა. ამიტომ დროულია გავიხსენოთ, რომ ვერავითარმა „ბურლიუკის კეტმა“ ვერ განდევნა მაიაკოვსკის არსებიდან არა მარტო ბლოკის ლექსები და „მარქსისტული მეთოდი“, რომელიც, მაიაკოვსკის თქმით, „დარჩებოდა მასში, კიდევაც რომ გამოეფერთხათ მისგან ყოველივე წაკითხული“, არამედ ლტოლვა და სიყვარული მაქსიმ გორკისადმი — მის ერთადერთ ნამდვილ მასწავლებლისადმი.

მარქსისტული მეთოდი და გორკის იდეურ-შემოქმედებითი გავლენა — აი მთავარი ფაქტორები, რომლებიც დაეხმარნენ მაიაკოვსკის გამკლავებოდა მოზღვავებულ „სიძველის ესთეტიკას“, და, ლენინის გორკისადმი მიმართული სიტყვები რომ გამოვიყენოთ, „საკუთარი მხატვრული გამოცდილებიდან და ფუნდამენტურ-იდეალისტური ფილოსოფიიდან“ ხანდახან არასწორი „შეხედულებების“ ამოკითხვის მიუხედავად, „მისულიყო **დასკვნებთან,** რომლებიც... მოიტანენ უდიდეს სარგებლობას“.

თუ ჩვენ ყურადღებით განვიხილავთ **დასკვნებს,** რომლებსაც მაიაკოვსკიმ საკუთარი შემოქმედებითი და ესთეტიკური ძიებების შედეგად მიაღწია, დავრწმუნდებით, რომ ისინი ღრმად ენათესავებიან იმ წამყვან ესთეტიკურ პრინციპებს, რომლებიც აღიარა გორკიმ მარქსის, ენგელსის და ლენინის კვალდაკვალ.

მაიაკოვსკის თეორიულ წერილებში გვხვდება მრავალი წინააღმდეგობა, მაგრამ მათი მცდარი, „ნეოკანტიანური“ გამოთქმების დიდი ნაწილი წარმოადგენს გარეგნულ, არაორგანიულ ელემენტს, რომელიც მეტწილად მექანიკურადაა მოთრეული ფუტურისტული ორთოდოქსიისა და ჯგუფური ინტერესების კარნახით. მხოლოდ ამით შეიძლება ავხსნათ ამ მცდარ ფორმულების გვერდით არა მარტო უბრალო თანაარსებობა, არამედ სისტემატური, მიზანდასახული, დაულალავი განმეორება ისეთი გადამწყვეტი ესთეტიკური პრინციპებისა, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ სუბიექტურ იდეალიზმთან, და ყველაზე პარადოქსალურად უკიდურეს ფუტურისტულ ფორმულათა ამგვარადვე ბეჯითი გადააზრება.

ნუ შევეხებით მაიაკოვსკის მიერ დამუშავებულ კერძო ესთეტიკურ პრობლემებს და თვალი გავადევნოთ მისი მთავარი, წამყვანი, გადამწყვეტი ესთეტიკური იდეების მოძრაობასა და განვითარებას.

• •
•

მაიაკოვსკის რევოლუციამდელი წერილებისა თუ გამოსვლების თუნდაც უბრალო მიმოხილვა და მათი შედარება ფუტურისტების კოლექტიურ მანიფესტებთან ცხადყოფს, თუ რამდენად დიდი იყო იდეური ზღვარი მაიაკოვსკისა და მის დროებით მოკავშირეებს შორის (შემოქმედებითს სხვაობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია).

განა გასაკვირი არ არის „ფუტურისტისაგან“, რომელიც ამაყად აცხადებს, რომ „სიტყვა-თვითმიზანია“, გაიგონო ამ ფორმულის გახსნა როგორც მხოლოდ და მხოლოდ მოთხოვნისა მოიძებნოს „აზრის გადმოცემის ახალი ფორმა“, მოთხოვნისა „ცხოვრების ყოველ ნაბიჯს“ გამოენახოს „საკუთარი სიტყვიერი გამოხატვა“?

განა გასაკვირი არ არის „ფორმალისტისაგან“, რომელიც ქედმაღლურად აცხადებს, რომ „შინაარსს მნიშვნელობა არა აქვს“, გაიგონო მწერლის ამოცანათა დახასიათება, როგორც

აუცილებლობისა „იდეათა ამა თუ იმ ციკლს გამოენახოს ყველაზე მკაფიო სიტყვიერი გამოხატულება“, ვინაიდან „ახალი გამოხატვის საჭიროებას საგანგებოდ გულისხმობს დროის ყოველი ცალკეული ეტაპი“!

განა გასაკვირი არ არის ერთი და იმავე წერილის ფარგლებში ამოიკითხო იმის მტკიცებაც, რომ „შინაარსი მხოლოდ შემთხვევითი ილუსტრაციაა სიტყვისა“ და იმის დასაბუთებაც, რომ სიტყვაში გამოხატული იდეები იმანენტურნი არიან მათი წარმომშობი ეპოქისადმი, რომ „იდეათა ყოველ ციკლს წარმოშობს და ამკვიდრებს ცხოვრების შესატყვისი წყობილება“! იმის განმეორებაც, რომ „მწერლისათვის სიტყვის გარკვეული კანონების იქით არ არსებობს არავითარი მიზანი“ და იმის ხაზგასმაც, რომ „ლაპარაკობს რა ასე“ იგი „სრულიადაც არ უჭერს მხარს უმიზნო დიალექტიკას“ და რომ ამით იგი მხოლოდ ცდილობს „ახსნას შემოქმედებითი პროცესი და გაერკვეს მწერლის ცხოვრებაზე ზემოქმედების მიზეზებში“.

ჩვენც ყველა ამ გამოთქმის შინაგან ლოგიკას რომ მივსდიოთ და ოდნავ სხვა თანამიმდევრობით გავიმეოროთ, რომ **იდეათა ყოველ ციკლს წარმოშობს და ამკვიდრებს ცხოვრების შესატყვისი წყობილება, რომ ხელოვნებაში ყოველი იდეა საჭიროებს მკაფიო სიტყვიერ გამოხატვას და რომ ამ სიტყვიერი გამოხატვის მიზანია — მწერლის ცხოვრებაზე ზემოქმედება**, — ფორმულებისაგან „სიტყვათვითმიზანია“ და „შინაარსს არა აქვს მნიშვნელობა“ არაფერი არ დარჩება, გარდა მაიაკოვსკის აშკარა სურვილისა და მეცადინეობისა საკუთარი, ახალი, საწინააღმდეგო აზრი ჩააქსოვოს ფუტურისტთა ამ ქვაკუთხედურ ლოზუნგებში.

და განა მარქსის ციტატად არ ჟღერენ მაიაკოვსკის სიტყვები იმის შესახებ, რომ „შრომის განაწილება — ინდუსტრიული ქალაქის კანონია“ და რომ ჭეშმარიტი მხატვარი მხოლოდ ის არის, ვისი შრომაც ინდივიდუალურად სასარგებლოდან, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს არა უმეტეს ახლობელის ჭამა-სმისა ან მისი გიმნასტიკური ვარჯიშისა, გადაიქცევა საზოგადოებრივად აუცილებელ შრომად“? ანდა ეს სიტყვები არ ეხმიანებიან განა გორკის აზრს „მოაგარაკეებიდან“, რომელსაც მარია ლვოვნა გამოთქვამს: „შეეცადეთ აიყვანოთ ის შემთხვევითი ფაქტი, რომ თქვენ ცხოვრობთ, საზოგადოებრივ აუცილებლობამდე — და თქვენს სიცოცხლეს აზრი მიეცემა“.

და თუ კიდევაც მაიაკოვსკი, როდესაც ის ციტირებულ წერილს ამზადებდა, სრულიადაც არ ფიქრობდა გორკის „მოაგარაკეებზე“ ორივე ამ მაგალითში ხომ აშკარად იგრძნობა ერთი და იმავე პირველწყაროს გამოძახილი?

• •

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნების, როგორც „ცხოვრების წყობილების“ მიერ წარმოშობილ „იდეათა ციკლის“ სპეციფიკურ, სახეობრივ, „მკაფიო“ გამოხატვის გაგებას მაიაკოვსკი უკავშირებს ესთეტიკის ერთ-ერთი მთავარი კატეგორიის — მშვენიერების, სილამაზის კატეგორიის მატერიალისტურ გააზრებას. მაიაკოვსკი განიხილავს **„ხელოვნების ისტორიას“, როგორც „საზოგადოებრივ მეცნიერებას“** და **„სილამაზის ფაქტები“** მას აინტერესებს მხოლოდ მათს კავშირში **„საზოგადოებრივ მოძრაობებთან, რომელთაც გამოიწვიეს მათი გამოვლენის აუცილებლობა“**.

არ თვლის რა საკმარისად ესთეტიკური კატეგორიების საზოგადოებრივი ყოფიერებით განსაზღვრულობის აღიარებას, მაიაკოვსკი ცდილობს დიალექტიკურად გაერკვეს ამ კატეგორიათა **ისტორიულ ევოლუციაში**. ასაბუთებს რა თეზისს — „ცხოვრების ყოველ ნაბიჯს — საკუთარი სიტყვიერი გამოხატვა“, მაიაკოვსკი ხაზგასმით აღნიშნავს ცხოვრების მოძრაობასა და განვითარებასთან ერთად თვით სილამაზის გაგების მოძრაობისა და განვითარების აუცილებლობას. იგი წერს: „მწერლები, რომლებიც ერთნაირი ყოფაცხოვრებით იყვნენ დაკავშირებულნი, ერთნაირი სიტყვებითაც ლაპარაკობდნენ. სილამაზის გაგება გაქვავდა, გაჩერდა თავის ზრდა-განვითარებაში, მოწყდა ცხოვრებას და გამოაცხადა თავისი თავი მარადიულად და უკვდავად“. განაგრძობს რა ამგვარი მეტაფიზიკური ესთეტიკის კრიტიკას, მაიაკოვსკი სტატიაში ეპიგრაფით „ხელოვნება მოკვდა, გაუმარჯოს ხელოვნებას“ ამ სფეროშიც ცდილობს შემოიტანოს „ხვონტიზმის“ ცნება (ტყუილად არ ჩაიარა ლენინის წიგნების კითხვამ, რომლებიც უკვე მაშინ იწვევდნენ მასში ფიქრებს ესთეტიკაზე!): „ხელოვნება მოკვდა იმიტომ, რომ ცხოვრების კუდში აღმოჩნდა: დონდლოს არ შეეძლო თავი დაეცვა. ცხოვრება კი წინ მიდის და იაზრებს ახალ სილამაზეს“.

მაგრამ ასეთი, სავსებით მატერიალისტური გაგება ხელოვნების სპეციფიკისა და დანიშნულებისა ჯერ კიდევ არ სცილდებოდა ჩერნიშევსკის ფორმულის ფარგლებს — „მშვენიერება არის ცხოვრება“. ცხოვრება ხომ „წინ მიდიოდა“ და აყენებდა „ახალი სილამაზის გააზრების“ ამოცანას უკვე **არა მარტო** ახალი სინამდვილისა და იდეების ახალი სიტყვიერი გამოხატვის მნიშვნელობით; ეპოქა მოითხოვდა არა მარტო „მშვენიერების“ „ცხოვრებით“ განსაზღვრულობის აღიარებას, — იგი საპირისპირო ხასიათის მოვლენებისადმიც აღრმავებდა ინტერესს, მოითხოვდა ყურადღების გამახ-

ვილებას იმ „გადატრიალებებისადმი, რომლებსაც სილამაზის ფაქტები მასათა ფსიქოლოგიაში იწვევენ“. პირველ პლანზე წამოიწია „ადამიანთა სულის ინჟინერიის“, ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთდამოკიდებულების შეცვლის პრობლემა. მომწიფდა კრიტიკული რეალიზმის მეთოდის უფრო ქმედითი მხატვრული მეთოდით შეცვლის აუცილებლობა.

სწორედ ამ წერტილში დაემთხვნენ ერთმანეთს გორკისა და მაიაკოვსკის ესთეტიკური ძიებანი, რომელთაც გამარჯვება ეწერათ მხოლოდ მარქსისტული მეთოდის მტკიცე საფუძველზე.

• •
•

„ახალი სილამაზის გააზრება“ და „მოზღვავებულ სიძველის ესთეტიკასთან“ ბრძოლა, მაშინაც კი, როდესაც ეს ბრძოლა უკიდურეს და, მაშასადამე, ხანდახან მცდარ ფორმას (ოღონდ მხოლოდ ფორმას!) იღებდა სრულიადაც არ ნიშნავდა მაიაკოვსკისათვის იმ „კულტურულ ნიჰილიზმს“, რომელსაც მას დღემდე ხშირად მიაწერენ. თავდასხმის და ბრძოლის ობიექტი მისთვის როდი იყო თვით კრიტიკული რეალიზმი: იგი ილაშქრებდა მხოლოდ და მხოლოდ ახალ საზოგადოებრივ ვითარებაში ძველი მხატვრული მეთოდების გამოყენების წინააღმდეგ, დრომოჭმული შემოქმედებითი სისტემის გალვანიზაციის წინააღმდეგ. ისტორიზმის გრძნობა მაიაკოვსკის იშვიათად თუ ღალატობდა (ისიც მხოლოდ და მხოლოდ პოლემიკის ქარცეცხლში) და როდესაც იგი თავს ესხმოდა ფაქტების მორჩილ, მათს სამსახურში ჩამდგარ პოეზიას, იგი სრულიადაც არ გამორიცხავდა ხელოვნების ამგვარ მიმართებას სინამდვილისადმი შესატყვის ისტორიულ ეპოქაში. **„ძველი პოეზიისათვის აქ არაფერია სამარცხვინო“** — აი სიტყვები, რომელთა ციტირება ღირს უფრო ხშირად, ვიდრე ყბადაღებული თეზისებისა პუშკინის და ტოლსტოის „თანამედროვეობის გემიდან“ გადმოგდების შესახებ. ეს სიტყვები თავისი არსით ემთხვევიან ენგელსის მითითებებს მოცემულს მინნა კაუცკაიასა და ლასალისადმი მიმართულ წერილებში. ენგელსი ხომ კრიტიკული რეალიზმისა და, უფრო მეტიც, ბურჟუაზიულ ეპოქაში შექმნილი სოციალისტური რომანის ამოცანებსაც სრულიად შეგნებულად ზღუდავდა „რეალურ ურთიერთობათა კეთილსინდისიერი გამოსახვით“. სამაგიეროდ, მომავალ საზოგადოების ხელოვნებისაგან, მომავლის ხელოვნებისაგან ენგელსი მოითხოვდა რეალურისა და იდეალურის, რეალიზმისა და სოციალისტური იდეურობის, სამყაროს ასახვა-ახსნისა და მისი გარდაქმნის სრულ და ორგანულ შერწყმას. სწორედ ასეთი აზრი აქვს ენგელსის წერილებში შექსპირისებური და შილერისებური საწყისთა შეპირისპირებას.

მაიაკოვსკი, ისევე როგორც გორკი, სრულიადაც არ სდებდა ბრალს კრიტიკულ რეალიზმს სისუსტეში და ცალმხრივობაში, სრულიადაც არ თვლიდა მის ისტორიულ როლს „სამარცხვინოდ“, იგი მხოლოდ ამტკიცებდა მის უკმარობას და შეზღუდულობას ახალ ეპოქაში. მან იცოდა, რომ ისევე როგორც ფილოსოფიაში „სამყაროს ახსნის, გაგების“ ამოცანა უნდა ამაღლებულიყო „სამყაროს გარდაქმნის“ ამოცანამდე, სწორედ ასევე ესთეტიკაშიც საჭირო იყო დამკვიდრება ლენინის აზრისა იმის შესახებ, რომ **„ადამიანის შეგნება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდევაც წარმოშობს მას“** (ვ. ი. ლენინი, ფილოსოფიური რვეულები). მაიაკოვსკიმ, ისევე როგორც გორკიმ, კარგად იცოდა, რომ ესთეტიკაშიც მომწიფდა „შემეცნებისა და პრაქტიკის გაერთიანების“ აუცილებლობა.

ლენინი ჰეგელის „ლოგიკის“ კონსპექტებში, ავითარებს რა მარქსის თეზისებს ფეიერბახის შესახებ, იძლევა ფორმულირებებს, რომლებსაც ამომწურავად შეუძლიათ აგვიხსნან გორკისა და მაიაკოვსკის ესთეტიკური ძიებების მიმართულება და ხასიათი. რა თქმა უნდა, არც გორკისათვის და, მითუმეტეს, არც მაიაკოვსკისათვის არ იყო იმ დროს ცნობილი ლენინის „ფილოსოფიური რვეულები“, მაგრამ ყოველი მათგანი მეტად თუ ნაკლებად ფლობდა „ფაქტების ამოხსნისა და სამყაროს სისტემატიზაციის“ „მარქსისტულ მეთოდს“ და სწორედ ამის მეოხებით შესძლეს მათ ლენინის ფუძემდებელ პრინციპებთან მიახლოვება.

მაგრამ აქ საჭიროა ერთი გარემოების განმარტება შესაძლებელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. ჩვენ დავინახავთ, რომ გორკისა და მაიაკოვსკის მთელი რიგი გამოთქმებია, რომლებიც **არსებითად** დაკავშირებულნი არიან მჭვრეტელობით-მატერიალისტური ესთეტიკის მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკასთან, თავისი **ფორმით** ხშირად ემგვანებიან სუბიექტურ-იდეალისტურ მოსაზრებებს. საქმე იმაშია, რომ მეტაფიზიკურ-მჭვრეტელობითი ესთეტიკის დიალექტიკურ-მატერიალისტურ კრიტიკასთან ერთად არსებობდა მასზე რეაქციის სუბიექტურ-იდეალისტური ფორმაც, რომელიც რუსეთში ყველაზე მკაფიოდ იყო წარმოდგენილი ანდრეი ბელის, ბრიუსოვის, ელისის და სხვათა შეხედულებებში. გორკის თეზისი მხატვრის შესახებ, რომელიც „არ ეძიებს ჭეშმარიტებას, არამედ ქმნის მას“ ანდა მაიაკოვსკის ზოგიერთი ფილოსოფიურ-ესთეტიკური დებულება **გარეგნულად** ხომ ძალზე მოგვაგონებს ბრიუსოვისა და ანდრეი ბელის ანალოგიურ დებულებებს, სადაც აღიარებულია „პრიმატი შემოქმედებისა

შემეცნებაზე“ („ხელოვნება არასოდეს არ წარმოსახავდა, არამედ ყოველთვის გარდაქმნიდა სინამდვილეს“ — ბრიუსოვი — „საიდუმლოთა გასაღები“). მაგრამ ხაზს უსვამდნენ რა შემოქმედი სუბიექტის „აქტიურ“, „ქმედითს“ როლს (რომელიც მათ თანაც მეტად ვიწროდ ესმოდათ), დეკადენტები საერთოდ უარყოფდნენ სამყაროს შეცნობადობას და ყოველ შემთხვევაში ხელოვნებას სავსებით „ათავისუფლებდნენ“ შემეცნებითი ამოცანებისაგან. ხოლო გორკი და მაიაკოვსკი, იაზრებდნენ რა შემოქმედებას მხოლოდ შემეცნების საფუძველზე, თვით შემოქმედებაში ხედავდნენ **შემეცნების აქტიურ ფორმას.** თუ დეკადენტები ამტკიცებდნენ, რომ „შემოქმედების მიზანი ძევს თვით შემეცნების ობიექტების შექმნაში (ანდრეი ბელი — „სიმბოლიზმი“), გორკისა და მაიაკოვსკისათვის ჰეგელის თეზისის ლენინისეული ამოკითხვის სიტყვებით რომ ვთქვათ, «деятельность цели... направлена не на самое себя..., а на то, чтобы посредством уничтожения определенных (сторон, черт, явлений) **внешнего мира дать себе реальность в форме внешней действительности».** (ვ. ი. ლენინი, ფილოსოფიური რვეულები). გორკი და მაიაკოვსკი ხელოვნების შემოქმედ, აქტიურ, პრაქტიკულ მხარეს აქცენტირებას უკეთებდნენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ შემოქმედებას ჰქონდა, კვლავ ლენინის სიტყვებს რომ მივმართოთ, „не только достоинство всеобщности, но и непосредственной действительнсти“ (იქვე).

არსებითად განსხვავებული ფორმულირებების გარეგნული მიმსგავსების შესაძლებლობა კარგად ჰქონდა შეგნებული გორკის, როდესაც მან კლიმ სამგინს წარმოათქმევინა თავისი საკუთარი უფრო ადრინდელი მოსაზრებანი. გავიხსენოთ: „ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ ეძებს სილამაზეს, ცოტანი ახერხებენ მის შექმნას. შესაძლებელია ბუნებაში სრულიადაც არ არსებობს სილამაზე, ისევე როგორც ცხოვრებაში ჭეშმარიტება; ჭეშმარიტებასა და სილამაზეს ქმნის თვით ადამიანი“ (სამგინი). აი კი თვით გორკის ფორმულა 1925 წელს დაწერილი სტატიიდან: „ბუნებაში სილამაზე არ არსებობს, სილამაზეს ქმნის ადამიანი“ (ალმანახი „Год XXI“, იხილე ანალოგიური მოსაზრებანი გორკის წერილში მ. პრიშვინის შესახებ).

ოღონდ სანამ კიდევ ერთხელ გავუსვამდეთ ხაზს ამგვარ გარეგნულად მიმსგავსებულ დებულებათა **არსობრივ განსხვავებას,** საჭიროა აღინიშნოს, რომ პირადად გორკისათვის (განსაკუთრებულ რევოლუციამდე) მჭვრეტელობით მატერიალიზმზე რეაქცია, რომელიც ხანდახან სუბიექტივიზმის მიჯნამდე მიდიოდა, გართულებული იყო მისი „ბოგოსტროიტელური“ ხასიათის ფილოსოფიური შეცდომებით, და რომ სწორედ ამიტომ ეხმიანებოდა ასე ადვილად მისი ფორმულა — „ჭეშმარიტებას არ ეძებენ — მას ქმნიან“ ფორმულას — „ღმერთებს არ ეძებენ — მათ ქმნიან“. მაგრამ გორკი შემდგომ ხომ თვით გვაფრთხილებდა (და სწორედ იმ სტატიის ბოლოს, რომლისთვისაც ყველაზე მეტად შეიძლებოდა სუბიექტივიზმში ბრალის დადება): «Вероятно, я в чем-то ошибся и преувеличил, зная, что делаю, ибо, кдк известно я человек умствующий и в некотором отношении заносчивый. Я думаю, что ошибиться в ту сторону, куда ошибся я не вредно, ибо я делаю это не потому, что намерен утешать себя и ближних «возвышающим обманом», а по предчувствию, что ошибаюсь в сторону той правды, которая неизбежно осуществится».

ამავე დროს, ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ის (ჰეგელთან ლენინის მიერ თანაგრძნობით ხაზგასმული) გარემოებაც, რომ პრაქტიკის პროცესში, ადამიანის შემოქმედებით პროცესში. სადაც „практическая идея, как действительное противостоит действительному...“ — „уверенность в себе, которую субъект имеет в своем само-в-себе и само-для-себя бытии, как определенного субъекта, есть уверенность в своей действительности и в недействительности мира“ (ვ. ი. ლენინი, ფილოსოფიური რვეულები). კარგად ესმოდა რა ასეთ ფორმაში გამოთქმული ამ აზრის მხოლოდ „ფსიქოლოგიური“ სისწორე, ლენინი იქვე დასძენდა: „т. е., что мир не удовлетворяет человека и человек своим действием решает изменить его“.

ლენინის კიდევ უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულ თეზისში—„сознание человека не только отражает объективный мир и он творит его“ — მაქსიმალური ლაკონიურობით არის გამოხატული ის ფილოსოფია, რომელიც ადამიანის მოქმედების საფუძვლად აღიარებს შემეცნებას, მაგრამ ხაზს უსვამს ადამიანის აქტიურ როლსაც, მის უნარს გარდაქმნას სამყარო, შექმნას „მეორე ბუნება“ და „მესამე სინამდვილე“ (გორკის ცნობილი გამოთქმებია). შემეცნებისა და პრაქტიკის ერთიანობა, მათი ურთიერთგანპირობებულობა, პრაქტიკის გაგება, როგორც შემეცნების აქტიური ფორმისა, და ამ შემეცნების ჭეშმარიტობის ერთადერთი ნამდვილი კრიტერიუმისა — აი რაში მდგომარეობს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ქმედითი პათოსი.

მხატვარს ეს ფილოსოფია ავალდებულებს შეისწავლოს ცხოვრება, შეიმეცნოს ობიექტური სინამდვილე და ამ შემეცნების საფუძველზე საკუთარი ხელოვნების ძალით ზეიმოქმედოს სინამდვილეზე, გარდაქმნას სამყარო. ასეთ

შემთხვევაში საზოგადოებრივ-ყოფითი წყობაც და ბუნებაც წარსდგება მის წინაშე როგორც მასალა, რომელიც გადამუშავებასა და გარდაქმნას მოითხოვს მისგან.

განა საჭიროა მტკიცება, რომ სწორედ ასე ესმოდა გორკის მხატვრის დანიშნულება? ეს ხომ მისი სიტყვებია: **«Для меня природа если не хаос, то уж конечно не гармония, а именно материал. Наша человеческая задача — обрабатыват., гармонизировать этот сырой материал"** (გორკი, თავის თავის შესახებ, „სიბირსკიე ოგნი“, № 2, 1928 წ.) .

მაგრამ თუ გორკის იდეურ-შემოქმედებითს პოზიციაში იშვიათად თუ ვინმეს ეპარება ეჭვი (თუმცა ამ ნათელ და მკაფიო დებულებებამდე იგი გაცილებით გვიან მივიდა, უკვე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, „სამყაროს შეცვლისა“ და „ბუნების გარდაქმნის“ გიგანტური სოციალისტური პრაქტიკის საფუძველზე), თუ, ვიმეორებთ, გორკის მიმართ ჩვენში ხშირად ჭარბობს სირთულეთა მიჩქმალვის და შეცდომათა გვერდის ავლის ტენდენცია, მაიაკოვსკის მიმართ ჩვენ საწინააღმდეგო დამოკიდებულებას ვამჩნევთ. ჯერ ხომ არავის უცდია სერიოზულად შესდგომოდა მისი ესთეტიკური შეხედულებების ევოლუციის შესწავლას, და განა ბევრია ჩვენში ისეთი მკვლევარი, რომელიც ახალგაზრდა მაიაკოვსკის ესთეტიკის ანალიზისას არ იფარგლება ისეთი ფუტურისტული მანიფესტების განხილვით, როგორიცაა, მაგალითად, **„Пощечина общественному вкусу“**? განა უფრო საგულისხმო არ არის მაიაკოვსკის საწყისი ესთეტიკური პოზიციების შესწავლისას იმ ელემენტების გამოვლენა, რომლებიც უფრო ახლო არიან ჩვენთან, ეხმიანებიან ახალი, სოციალისტური ხელოვნების პრინციპებს, საინტერესო ანალოგს წარმოადგენენ მაქსიმ გორკის იდეურ-ესთეტიკური ძიებებისას და, რაც განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია, თვით მაიაკოვსკის რევოლუციამდელი შემოქმედების მთავარი და წამყვანი შემოქმედებითი ტენდენციების ერთადერთ ჭეშმარიტ თეორიულ პროექციას წარმოადგენენ? ასეთი ანალიზის შუქზე სწორედ **„Пощечина“**-ში და სხვა ამგვარ დოკუმენტებში დეკლარირებული ფორმალისტური და სუბიექტურ-იდეალისტური მოსაზრებანი წარმოგვიდგება ჩვენ მაიაკოვსკის საერთო ფილოსოფიურ-ესთეტიკური მრწამსისათვის შემთხვევით და უცხო ელემენტად. მით უმეტეს, რომ ამ ელემენტების მხატვრული რეალიზაციის უბრალო ცდასაც კი ჩვენ ძალზე იშვიათად ვნახავთ დიდი პოეტის ადრინდელ შემოქმედებაში. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ვცდილობთ მაიაკოვსკიზე ფუტურიზმის უარყოფითი გავლენის მიჩქმალვას. ამ გავლენას ჰქონდა ადგილი და იგი საკმაოდაა შესწავლილი. ჩვენ მხოლოდ შეგნებულ აქცენტს ვაკეთებთ საქმის მეორე მხარეზე, რომელიც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია და განუზომლად მეტ მასალას გვაწვდის ჩვენი ეპოქის უდიდესი პოეტის იდეურ-ესთეტიკური ევოლუციის შესასწავლად.

* *
*

„ბუნება — მხოლოდ მასალაა, რომელსაც მხატვარი უფლებამოსილია მოექცეს ისე, როგორც მას სურს, ოღონდ **ერთი პირობით: თუ ის შეისწავლის ცხოვრების ხასიათს** და ჩამოასხამს მას ისეთ ფორმებში, რომლებიც მანამდე არავისთვის არ იყო ცნობილი“. საჭიროა არა „რეალური ცხოვრების რელიეფური ფოტოგრაფია“, არა „დუბლირება ცხოვრებისა“, არამედ „დიდი ხელოვნება მხატვრისა, რომელიც გარდაქმნის ცხოვრებას თავისი ადამიანური არსისა და ბუნების შესაბამისად“.

განა არ მოაწერდა ხელს ამ შესანიშნავ სიტყვებს ყოველი მარქსისტი, მათ შორის მარქსისტი მაქსიმ გორკი? ისინი კი წარმოთქმულია მაიაკოვსკის მიერ ათას ცხრაას ცამეტ წელს, ე. ი. მისი ფუტურისტული აქტივობის ზენიტში და გორკის ზემოთმოყვანილ ანალოგიურ დებულებებზე ათი-ხუთმეტი წლით ადრე! ეს სიტყვები ყველაზე ზუსტად, და ყველაზე სრულად გამოხატავენ მაიაკოვსკის 1913-1915 წლებში ცალკეულ წერილებში და გამოსვლებში გაფანტულ ესთეტიკურ შეხედულებებს.

მართლაც, რას მივიღებთ ჩვენ, თუ ერთად შევკრებთ და სისტემაში მოვიყვანთ ამ შეხედულებებისა და გამოთქმების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს?

„იდეათა ყოველ ციკლს წარმოშობს და ამკვიდრებს ცხოვრების შესატყვისი წყობილება“. მხატვარი „უნდა გამოდიოდეს ცხოვრებიდან და არა სურათებიდან“ (ლაპარაკია ფერწერაზე). შემოქმედების აუცილებელი პირობაა — „ცხოვრების ხასიათის შესწავლა“, „ახალი გამოხატვის საჭიროებას საგანგებოდ გულისხმობს დროის ყოველი ცალკეული ეტაპი“. ხელოვნებაში „იდეათა ყოველი ციკლი“ მოითხოვს „თავის განსაკუთრებულ სიტყვიერ გამოხატვას“. ხელოვანმა ცხოვრება უნდა „ჩამოასხას... ისეთ ფორმებში, რომლებიც მანამდე არავისთვის არ იყო ცნობილი“. საჭიროა არა „რეალური ცხოვრების რელიეფური ფოტოგრაფია“ ან „დუბლირება ცხოვრებისა“ (ე. ი. ნატურალიზმი) და არა „უმიზნო დიალექტიკა“ (ფორმალიზმი), არამედ „დიდი ხელოვნება მხატვრისა, რომელიც გარდაქმნის ცხოვრებას თავისი ადამიანური არსისა და ბუნების შესაბამისად“. „სიტყვა საჭიროა ცხოვრებისათვის. ჩვენ უარვყოფთ უსარგებლო ხელოვნებას“. ხელოვნების დანიშ-

ნულებაა „მწერლის ცხოვრებაზე ზეგავლენა“, მშვენიერების მიზანია „მასათა ფსიქოლოგიაში გადატრიალების“ მოხდენა. „ჩაერიეთ ცხოვრებაში! “

**მხოლოდ** ამ, არსებითად მწყობრი ესთეტიკური კონცეფციის შუქზე შეიძლება სწორად გავიაზროთ მაიაკოვსკის ის დებულებებიც, რომლებიც ამ იდეური კონტექსტის გარეშე შეიძლება სუბიექტივისტურად მოგვეჩვენოს. ამავე შუქზე თავისი ადგილი და თავისი ახსნა გამოეძებნება მაიაკოვსკის მიერ განმეორებულ აშკარად მცდარ ფუტურისტულ, ფორმალისტულ, სუბიექტივისტურ თეზისებსაც, რომლებსაც, იგი „ჯგუფური დისციპლინის“ ზეგავლენით იმეორებდა (თუმცა, როგორც დავინახეთ, იმეორებდა უმეტეს შემთხვევაში იმისთვის, რათა მათში სულ სხვა აზრი ჩაექსოვა). დამახასიათებელია აგრეთვე, რომ მაიაკოვსკის ფორმით სუბიექტური გამოთქმები თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევიან გორკის მიერ 1923-28 წლებში გამოყენებულ ფორმულირებებს. ეს ფაქტიც მიუთითებს ორივე მწერლის ესთეტიკური შეხედულებების საწყისი წერტილებისა და განვითარების ლოგიკის სიახლოვეზე. თანაც 1913 წელს მაიაკოვსკი საკმაოდ ხშირად ნაკლებად **„ЗАНОСЧИВЫЙ“** იყო (გორკის ზემოთმოყვანილ თვითდახასიათებას, რომ მივმართოთ), ვიდრე თვით გორკი 1923 ან 1925 წელს. მაგალითად, გორკის ფორმულაში — „ბუნებაში სილამაზე არ არსებობს. სილამაზეს ქმნის ადამიანი“ — ადგილი ჰქონდა, თვით გორკის აღიარებით „შეცდომას სიმართლის მიმართულებით“, მაიაკოვსკის ფორმულაში კი — „სილამაზე ბუნებაში არ არსებობს. მას ქმნის მხოლოდ მხატვარი. **მხოლოდ მხატვარი იწვევს რეალური ცხოვრებიდან ხელოვნების სახეებს“** — ამ შეგნებულ შეცდომასაც არა აქვს ადგილი და გორკის მიერ გაზიარებული თეზისიც სავსებით მატერიალისტურად არის განმარტებული და კომენტირებული. ასეთივე განსხვავებას ვხედავთ ჩვენ იმ შემთხვევით ილუსტრაციებშიაც კი, რომლებსაც მიმართავენ გორკი და მაიაკოვსკი თავიანთი დებულებების დასამტკიცებლად. თუ გორკი კატეგორიულად აცხადებს, რომ ლევიტანამდე სილამაზე რუსეთის ბუნებაში არ არსებობდა და რომ ლევიტანმა **კი არ აღმოაჩინა,** იგი, არამედ თავისგან **შეიტანა,** როგორც საკუთარი, ადამიანური საჩუქარი დედამიწას („პრიშვინის შესახებ“), მაიაკოვსკის მიერ მოყვანილ მაგალითში არ არის ასეთი (თუნდაც შეგნებული, განგებ გამახვილებული) ესთეტიკური მაქსიმალიზმი. ის ლაპარაკობს ვერჰარნის მიერ **აღმოჩენილ** ქალაქური პეიზაჟის სილამაზეზე, „მოზარდი ქალაქების აფორიაქებული ცხოვრების“ სილამაზეზე, ჩეხოვის მიერ შექმნილ „რაზნოჩინელთა ესთეტიკაზე“ და ა. შ.

მაიაკოვსკი არ იფარგლება ზოგადი იდეის აღიარებით „მხატვრის დიდ ხელოვნებაზე, რომელიც გარდაქმნის ცხოვრებას“, იგი უტევს როგორც „წმინდა“ ხელოვნების დამცველებს, რომლებიც „არ სწავლობენ ცხოვრებას“, ისევე უილაჯო ემპირიკოსებს, რომლებიც გორკის „ანკარას“ მსგავსად ფაქტების ჰაობში არიან ჩაფლულნი. ის ქადაგებს პოეზიას, რომელიც მარშივით აღაფრთოვანებს ჯარისკაცს ან ჩექმასავით აუცილებელია მისთვის, რომელიც გვასწავლის ჩვენ ამბოხის სიყვარულს და არტილერისტის ყუმბარას მართავს“. „დროა ვაჩვენოთ ყველას, რომ პოეტები კეკლუცი პეპლები როდი არიან, „სასარგებლო“ ობივატელთა სასიამოთ შობილნი, არამედ დამპყრობელნი, რომელთაც ძალუძთ თქვენთვის თავიანთი ნებასურვილის კარნახი“ — მიმართავს მაიაკოვსკი ამ „სასარგებლო“ და კეთილსაიმედო ობივატელებს. „ცხადია, რომ ის, რაც თქვენ პოეზიათ მიგაჩნიათ, — მდიდრული ჟურნალის ჩასქელებულ ფურცლებზე მოკლე კაბაში მოკუნტრუშე ბალმონტი, — ომის დროს უნდა აიკრძალოს, როგორც შანტანი ან ალკოჰოლიან სასმელთა გაყიდვა“. ჩვენ ვხედავთ, რომ მაიაკოვსკის არა აქვს არავითარი ილუზია ასეთი ხელოვნების „სიწმინდის“ „თავისუფლებისა“ და „აპოლოტიკურობის“ შესახებ— იგი მშვენივრად ხედავს ამ „სიწმინდის“ სარჩულსაც — მის გამხრწნელ, გამაბრუებელ ზემოქმედებას. იგი მზად არის მიესალმოს თუნდაც ადმინისტრაციულ რეპრესიებს ასეთი პოეზიის მიმართ, რომელსაც აწუხებს მხოლოდ ერთი რამ — „изящно пляшу ли?“

Как вы смеете называться поэтом<br>
и, серенький, чирикать, как перепел!<br>
Сегодня<br>
надо<br>
кастетом<br>
кроиться миру в черепе!

მაგრამ, გორკის მსგავსად, მაიაკოვსკიც ორ ფრონტზე იბრძვის. მის წარმოდგენაში ვულგარულ-რეალისტური, ნატურალისტური პოეზიაც, რომელიც „თეთრწინსაფარშემოკრული ემსახურება წვრილმან მოვლენებს“ არსებითად ისევე შორსაა ცხოვრებისაგან, როგორც „პეპლების პოეზია“. აქედან ლოზუნგები: „ძირს პოეზია-ლაქია!“. „ჩაერიეთ ცხოვრებაში!“

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მაიაკოვსკის სწორად ესმის რუსული ლიტერატურის ისტორიული თავისებურება, რომელიც, გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმაში მდგომარეობს, რომ თუ დასავლეთში, ფილოსოფოსთა მხარეში „ფილოსოფია სრულიად არ ახდენდა გავლენას ცხოვრებაზე და ამით ადასტურებდა რუსული ანდაზის სისწორეს — „მელანე უწალოთ“..., ჩვენთან, რუსეთში

მწერლის აზრს ჰქონდა განსაკუთრებული აღმზრდელობითი ღირებულება“.

მაიაკოვსკი თითქოს წინ უსწრებს გორკის ამ უფრო გვიანდელ შედარებას და ლაპარაკობს პოეზიაზე, რომელიც „მარშივით აღაფრთოვანებს ჯარისკაცს და ჩექმასავით აუცილებელია მისთვის“. „ვის სჭირდება ევროპის მიერ გაკრიალებული ხელოვნება? ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ რუსეთის მხატვრული სული, ლირიკოსებისა და განწყობილებიანი პეიზაჟისტების ნაცვლად ჩვენ გვჭირდება ცოდნის ამირსპასალარები“. „შეიძლება არ წერო ომზე, მაგრამ უნდა წერო ომით“ — ამტკიცებს მაიაკოვსკი.

წარმოდგენა პოეზიაზე, როგორც „შეიარაღებულ ლაშქარზე“ („მთელი ხმით“) სულ უფრო ხშირად გვხვდება მაიაკოვსკის გამოსვლებში. „პოეტი-დამპყრობელი“, „პოეზია-მარში“, მხატვრები — „ცოდნის ამირსპასალარები“, „სიტყვა-გასროლა“, „დღევანდელი პოეზია — ბრძოლის პოეზიაა“ — ასეთი და მსგავსი გამოთქმები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ახალგაზრდა მაიაკოვსკის ლექსებში, წერილებში და ზეპირ გამოსვლებში. „დე ყოველმა ჩვენგანმა **გამოჭედოს ლექსები საკუთარი გულის ფოლადიდან**“ — ეს უკვე პირდაპირი, თუმცა უნებლიე პასუხია გორკის მოთხოვნაზე, რომ პოეზიაში საჭიროა „схватить себя за сердце“ (წერილი დ. სემენოვსკისადმი).

ჩვენ დავინახეთ, რომ ხელოვნების ახალი ისტორიული დანიშნულების სწორმა გაგებამ, რომელიც გულისხმობდა შემეცნებით და პრაქტიკულ ამოცანათა ორგანულ შერწყმას, მიიყვანა გორკი, ხოლო მასთან ერთად მაიაკოვსკი მთელ რიგ ისეთ წინააღმდეგობათა დაძლევამდე, რომლებიც მანამდე მსოფლიო ლიტერატურული პროცესის თითქმის განუყრელი თანამგზავრები იყვნენ. ახალმა ხელოვნებამ გააერთიანა სამყაროს ახსნა-ასახვა მის გარდაქმნასთან, სიტყვა საქმესთან, შეიტანა ახალი ეთიკური კრიტერიუმი ესთეტიკაში, ახალი სოციალური კრიტერიუმი ეთიკაში, გადაწყვიტა მარადიული კამათი „სილამაზესა“ და „სარგებლობას“ შორის, „პოეტსა“ და „მოქალაქეს“ შორის. მან მოხსნა საკრამენტალური „მაგრამ“ ფორმულაში „Поэтом можешь ты не быть, но гражданином бить обязан“ „და დაამკვიდრა ახალი ტიპი მხატვრისა, რომლის არსებაშიც „პოეტი“ და „მოქალაქე“ ორგანულად არიან შერწყმულნი და არ შეადგენენ ტრაგიკული შინაგანი კონფლიქტის ელემენტებს. აფასებდა რა დამსახურებისამებრ კლასიკური ლიტერატურის მოქალაქეობრივ პათოსს, მაიაკოვსკი ამავე დროს კარგად ხედავდა, რომ ხშირად მისი „ცხოვრებაში ჩარევა“ ხდებოდა პოეზიის ხარჯზე. Толстой... от „Войны и мира лаптем замесил паезию „—აღნიშნავდა ერთ ადგილას მაიაკოვსკი და ამით მიუთითებდა იმ ტრაგიკულ გარემოებაზე, რომ არასწორმა სოციალურ-ეთიკურმა მიზანდასახულებამ ტოლსტოის კინალამ ხელი არ აალებინა მწერლობაზე. მეორე ადგილას მაიაკოვსკი არსებითად იმას ასაბუთებს, რომ გორკის შემოქმედებაშიც „მარკომ“ და „პროგრამა-მაქსიმუმმა“ უნდა შეავსონ ურთიერთი და არა გამორიცხონ.

ერთხელ ბლოკმა საოცარი გულწრფელობით და სიღრმით გამოხატა ასეთი ტრაგიკული წინააღმდეგობის მთელი არსი:

„რაც უფრო ღრმად გიყვარს ხელოვნება, მით უფრო შეუსაბამო ხდება იგი ცხოვრებასთან; რაც უფრო ძლიერად გიყვარს ცხოვრება, მით უფრო უძირო ხდება უფსკრული მასა და ხელოვნებას შორის. როდესაც ერთნაირი ძალით გიყვარს ერთიც და მეორეც — ასეთი სიყვარული ტრაგიკულია. სიყვარული ორი ძმისადმი, რომლებიც ერთნაირად არ იცნობენ ერთმანეთს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ მტრობენ ურთიერთს და მზად არიან საბედისწერო შებრძოლებისათვის — უკანასკნელ საათამდე, სანამ მოვა მესამე, აუხდის ორივეს ჩაჩქანს და ისინი ერთმანეთს პირისპირ შეხედავენ. მაგრამ როდის მოვა ეს მესამე? ჩვენ არ ვიცით“..

ხომ არ იყო გორკისა და მაიაკოვსკის მოსვლა ხელოვნებაში ამ „მესამე ძმის“ გამოცხადება?

იგივე ბლოკი წერდა: „სანამ ჩვენ ვმსჯელობთ მთლიანობაზე და ჰარმონიაზე, მარადიულ პროგრესზე, — გამოირკვა, რომ გამოხრულია აკურატული ნაპრალები ადამიანსა და ბუნებას შორის, ცალკეულ ადამიანთა შორის და ბოლოს ყოველ ადამიანშიც დაშორებულია სული და სხეული, გონება და ნება“.

გორკიმ და მაიაკოვსკიმ, რომლებმაც ქებათა-ქება უძღვნეს ადამიანსა და მის ქმედებას, მისი შემოქმედებისა და შრომის ძალას, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ „абстрактная вражда между чувством и духом необходима лишь до тех пор, пока собственным трудом человека не создан человеческий вкус к природе, человеческое чувство природы, а значит, и естественное чувство человека» (მარქსი).

გორკიმ და მაიაკოვსკიმ თავიანთი შემოქმედებითი დავაჟკაცების პირველსავე ხანაში მხატვრულად დაასაბუთეს ლენინის დებულება, რომ „ადამიანის შეგნება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ ქმნის კიდეც მას“.

Жилы и мускулы — молитв верней.
Нам ли вымаливать милостей времени!
Мы —
каждый —
держим в своей пятерне
миров приводные ремни!

. . . . . . . . . . . . . .

Нам-ли смиренно просить:
„Помоги мне!“
Молить о гимне,
об оратории!
Мы сами творцы в горящем гимне —
шуме фабрики и лаборатории

---

ჩვენ შეგნებულად გავამახვილეთ ყურადღება მაიაკოვსკის თეორიულ წერილებსა და გამოსვლებზე, ვინაიდან ამ ბოლო დროს დასავლეთში ისეთი მკვლევარებიც გამრავლდა, რომლებიც ორად ჰკვეთენ მაიაკოვსკის არა მარტო იმ ნიშნით, რომელიც ჰარკინსს შეურჩევია („რევოლუციამდე“ და „რევოლუციის შემდეგ“), არამედ პოეტის სულში, გულში და გონებაშიც იწყებენ ხელების ფათურს, რათა აღმოაჩინონ იქ „გაორება“, „შინაგანი ტრაგიკული კონფლიქტი“ და ა. შ. ასეთი მკვლევარები, მაგალითად, წყალგამყოფ ზღვარს ეძებენ მაიაკოვსკის სოციალურ-პოლიტიკურ, ეთიკურ-ესთეტიკურ იდეებსა და მის მხატვრულ ნაწარმოებთა ობიექტურ ჟღერადობას შორის. ეს მაშინ, როდესაც ძნელია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მოიძებნოს ისეთი მონოლითური, საკვირველად მთლიანი და უმაღლეს ადამიანურ ჰარმონიას ზიარებული პიროვნება, როგორიც მაიაკოვსკი იყო. ტრაგიკული კონფლიქტი? მაგრამ რასთან? რევოლუციურ ეპოქასთან? მაგრამ ის ხომ ამ ეპოქის პირმშო იყო, სისხლთაგან სისხლი და ხორცთაგან ხორცი მისი. მას ხომ რევოლუცია ისე უყვარდა, რომ მიმართავდა მას სანუკვარი სიტყვებით, რომლებსაც სატრფოსათვისაც კი არ გაიმეტებდა! პოეტის კონფლიქტი მოქალაქესთან, პოლიტიკოსთან? მაგრამ მთელი ის რევოლუცია, რომელიც მაიაკოვსკიმ პოეზიაში მოახდინა, ხომ აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო იმ მოქალაქეობრივ-პოლიტიკური მიზანდასახულობის გარეშე, რომელიც მაიაკოვსკის ასულდგმულებდა. რევოლუცია პოეზიაში ხომ რევოლუციური პოეზიის დამკვიდრებას ნიშნავდა. იყო თუ არა საერთოდ გამოვლენილი ტრაგიზმი მაიაკოვსკის შემოქმედებაში? რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ეს „გაორების ტრაგიზმი“ და „შინაგანი კონფლიქტი“ კი არ იყო: ეს იყო ნამდვილი, წმინდა, დიდი ადამიანის, მომავალი კომუნისტური საზოგადოების პოტენციური მკვიდრის მტკივნეული შეჯახება ყოველივე მასთან, რაც წინ აღუდგებოდა ამ მომავალს ან ჩრდილს ჰფენდა მას. ამიტომ იყო განსაკუთრებით მწვავე ეს ტრაგიზმი რევოლუციამდე, როდესაც ადამიანი დამონებული იყო არაადამიანური კერპების მიერ და ამიტომ ამოხეთქა ვულკანური ძალით პოეტის ოპტიმიზმის ყოვლისმძლე ნიაღვარმა, როდესაც „ავრორას“ ქვემეხებმა კაცობრიობას კერპების მსხვრევა ამცნეს.

ფუტურიზმი? რა შუაშია ფუტურიზმი? რა უმნიშვნელო, მიზერულ რამედ ჩანს ამ ლიტერატურული მიმდინარეობის გავლენა თუნდაც ადრინდელ მაიაკოვსკიზე, თუ მას შევადარებთ ამ ბუმბერაზი ხელოვანის მსოფლმხედველობისა და და მსოფლშეგრძნების მთელს გაქანებას, მისი შემოქმედების ნიაგარულ ენერგიას! „მაიაკოვსკი და ფუტურიზმი“ — ეს იგივეა, რომ თქვა — „მაიაკოვსკი და კრუჩონიხი“. ამ უკანასკნელის გვარი კი მხოლოდ ლიტერატურის ვიწრო სპეციალისტებს და მოსკოვის ბუკინისტებს თუ ახსოვთ. და განა სცდებოდა სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი, უდიდესი ალღოსა და მიხვედრის მწერალი მაქსიმ გორკი, როდესაც 1915 წელსვე განაცხადა კატეგორიულად: „არავითარი ფუტურიზმი არ არსებობს. არის მაიაკოვსკი. პოეტი. დიდი პოეტი“.

ვერ შეძლებენ ათასჯურის ჰარკინსები ამ დიდი პოეტის ხსოვნის შებღალვას და მისი შემოქმედების ხელყოფას. მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურა იცნობს მხოლოდ ერთ მაიაკოვსკის, რომელიც დღიდან თავისი პოეტური დებიუტისა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა სწორედ ჰარკინსების სამყაროს და სწორედ მათ გააწნა ოთხკეცი სილა, როდესაც მთელი მსოფლიოს გასაგონად დაჰკრა საბრძოლო ყიჟინა:

Долой вашу религию!
Долой ваш строй!
Долой ваше искусство!
Долой вашу любовь!

და წინასწარმეტყველური შემართებით აღიარა რევოლუციის გამარჯვების ისტორიული გარდუვალობა:

Где глаз людей обрывается куцый,
главой голодных орд,
в терновом венце революций
грядет шестнадцатый год!

---

# ხელოვნების საკითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ თოფურია

★

## ლადო გუდიაშვილი

ძნელია ფასი დასდო იმ წვლილს, რომელიც დიდმა ქართველმა მხატვარმა ჩვენი მხატვრული კულტურის ემოციური სრულყოფის, ნაციონალური და განსაკუთრებული თვითმყობადი ხელოვნების საგანძურში შეიტანა, ეს არის დახვეწილი გემოვნებისა და ოსტატობის, მაღალი პოეზიისა და ღრმა აზრის, ჟანრული მრავალფეროვნებისა და ფართო თემატიკური დიაპაზონის ხელოვნება. ხელოვნება, რომელიც ასახავს ისტორიულ წარსულსა და დღევანდელ დღეს.

1957 წლის მაისს თბილისში გახსნილმა გამოფენამ, რომელიც მოწყობილი იყო მხატვრის დაბადების 60 წლისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით, ჩვენი საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია და იგი მთელი ორი თვის განმავლობაში უდიდესი წარმატებით სარგებლობდა.

ვერ ჩამოვთვლით ყველა იმ ქარხნისა და ფაბრიკის მუშებს, საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელებს, საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებმაც ზეპირად ანდა წერილობით განაცხადეს, რომ ლ. გუდიაშვილის ნამუშევრების გამოფენა არის ქართველი ხალხის დიდი დღესასწაული, რომ მათთვის საყვარელი ლადო ერის სიამაყეა, ერთ-ერთი კორიფე მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ისტორიაში, და რომ მისი შემოქმედება ეკუთვნის საუკუნეებს...

ჩვენი ხალხი ღრმად აფასებს თავის დიდ ნაციონალურ მხატვარს, ლადო გუდიაშვილს, სწორედ იმიტომ, რომ მისი ხელოვნება ხალხურია და სიცოცხლისუნარიანი, სავსეა ადამიანისადმი სიყვარულის გრძნობით და იგი ცხოვრებაში სიკეთისა და სილამაზის განმტკიცებას ემსახურება.

ლადო გუდიაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ეს თვისებები ნათლად გამომჟღავნდა გამოფენის მთლიან კომპლექსში, მათვე განსაზღვრეს იმ ნაწარმოებების იდეური არსი, რომლებიც მხატვარმა ჯერ კიდევ თავის ახალგაზრდობაში შექმნა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ შემოქმედებითი ოსტატობის მკვრივ ნიადაგზე მდგომი ლადო გუდიაშვილი ავტორი იყო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ტილოებისა, რომლებიც ძველი თბილისის ბოჰემის წარმომადგენელს — კინტოს ეძღვნებოდა. ქართული ნაციონალური სახვითი ხელოვნების ამ შედევრებში მთელი სიღრმით აირეკლა მხატვრისა და მოქალაქის დამოკიდებულება ყოველივე იმ არაჯანსაღისადმი, რაც წარმოშვა რევოლუციამდელი საქართველოს სინამდვილემ.

ბოროტი ყორნების მსგავსად გამოიყურებიან ბოჰემის წარმომადგენლები — კინტოები ნაწარმოებში „ხაში“, რომელიც 1919 წელს შეიქმნა.

გადაგვარებული ადამიანის მწუხარე სახეებით არიან წარმოდგენილი, აგრეთვე, ძველი, ქანცგაწყვეტილი, ნაღვლიანი სახის მეძავი და მთვრალი კინტოები სურათში „კინტოს ქეიფი ქალთან“ (1919 წ.).

სამუდამოდ მახსოვრობაში გვრჩება „ქრისტინეს“ (1919 წ.) უბედური სახე, რომელიც გამოუვალი გაჭირვებისა და ვაჭარი კინტოს მსხვერპლი გახდა, კინტო მას წარბების ქვემოდან შესცქერის, ისე როგორც ქინის მოსაკლავ საგანს.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს, აგრეთვე, „ახალი სუფრა განთიადისას“ (1920 წ.).

ამ სურათში ზიზღისმომგვრელია გახელებული მოქეიფე, მხოლოდ ცხოველურ ვნებას რომ იცხრობს; საშინელ გულისტკივილს იწვევს ორგიებში დაქანცული გაყიდული ქალის სხეული.

ეს დაუვიწყარი ტილოები მოგვითხრობენ ადამიანების ცხოვრებიდან გარიყვის ტრაგედიაზე.

ამავე აზრს ატარებენ „იდილია“, „ორთაჭალელი მეოცნებენი“.

ღრმა მწუხარებისა და ნაღველის ბეჭედი აზის ხანშიშესული ორთაჭალელის სახეს, რომელიც მიხვედრილია, რომ მან უაზროდ გაატარა თავისი არაადამიანური ცხოვრება და რომ ადამიანური ღირსებისათვის შეუფერებელი უბადრუკი არსებობა შეურაცხმყოფელია მისთვის.

ნაწარმოებებში, რომლებშიც გამოხატულია ძველი თბილისის ბოჰემის კინტოს ცხოვრება, ლადო გუდიაშვილს განაჩენი გამოაქვს ცხოვრების პირობებზე, რამაც ადამიანები გონებრივი და მორალური გადაგვარებისათვის განწირა.

უფრო მეტიც, სურათში „ახალი სუფრა განთიადისას“ (1920 წ.) ახალგაზრდა მხატვარმა არა მარტო ადამიანების ნაღვლიანი ყოფის სურათი დახატა, არამედ მოუწოდა მათ ასეთი ყოფის წინაამდეგ პროტესტისადმი.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ამ მეტად შესანიშნავი ნაწარმოებების მთავარი გმირის ფსიქოლოგიურად გამომხატველი სახე. მის მრისხანე გამოხედვაში და მწარე ღიმილში, ტუჩებზე რომ დასთამაშებს მას, იგრძნობა დამცირებული გრძნობის სიმძიმით გამოწვეული წყენა და, ამასთანავე, ადამიანის შეურიგებლობა თავის მწარე ხვედრთან.

ასეთია, ჩვენი აზრით, გამოფენაზე წარმოდგენილი ნაწარმოებების ღრმა ცხოვრებისეული შინაარსი ციკლიდან „კინტო“.

შესანიშნავია, აგრეთვე, მათი მხატვრულ-სახეობრივი ფორმის თავისებურება, რომელიც ბევრითაა შეპირობებული ქართული ფრესკული ხელოვნებით. ქართული ექსპრესიული ფრესკის ყაიდაზეა ძირითადად აგებული ეს ფორმა. ამის დამადასტურებელია ის ნიშნები, რითაც განსხვავდება ლადო გუდიაშვილის ეს ციკლი სახელდობრ, მისი გრაფიკული თვალსაჩინოება და სილუეტის სიმახვილე, ჟესტის სპეციფიკურობა და კომპოზიციური განლაგება, ადამიანთა სახეებისა და სხეულის თავისებური დეფორმაცია.

მაგრამ, ამასთანავე, ძნელი არაა შევნიშნოთ, რომ ქართული ექსპრესიული ფრესკის პრინციპები, გამოსახატავი სახის დეფორმირებულობა აქ მხატვრის მიერ გამოყენებულია არა თვითნებურად და ფორმარულად, არამედ მის მიერ გადასაწყვეტ იდეურ ამოცანასთან სრულ შესატყვისობაში.

ქართული ფრესკების გარეგანი პლასტიკური ფორმის შეგნებული გამოყენებით პირობადებული იყო, აგრეთვე, მხატვრის მიერ შექმნილი ამ რეალისტური გროტესკის ბრწყინვალე ნიმუშთა გამომსახველობითი მხარე და ნაციონალური თავისებურებანი.

ლადო გუდიაშვილის ხელოვნება აღმოცენებულია ქართული ნაციონალური მხატვრული მემკვიდრეობის მდიდარ ნიადაგზე.

შევეხეთ რა მემკვიდრეობის საკითხს, აუცილებელია იმის შესახებაც ითქვას, რომ ლადო გუდიაშვილის შემოქმედებითი ფორმირების პროცესზე კეთილისმყოფელი ზემოქმედება იქონია, აგრეთვე, მაღალნიჭიერი და თავისებური მხატვარ-თვითნასწავლის ნიკო ფიროსმანიშვილის ქმნილებებმა.

ახალგაზრდა მხატვარი თავისი ზეშთაგონებისათვის ძალას ამ კეთილშობილი წყაროდანაც სესხულობდა. ფიროსმანიშვილის ხელოვნება მისთვის გახდა ახლობელი თავისი ნამდვილი ხალხურობის, განუმეორებელი უბრალოების, მიმზიდველი გულწრფელობისა და თემატიკის გამო, რომელიც ძირითადად აგებული იყო ძველი თბილისის ცხოვრებაზე.

შემთხვევით კი არ უძღვნა ლადო გუდიაშვილმა თავის წინამორბედს და სულიერ მეგობარს შესანიშნავი ნამუშევრების მთელი ციკლი.

გვხიბლავს მეგობრული ჰუმორის, სისათუთით 1916 წ. ტუშით შესრულებული ნაწარმოებები: „ფიროსმანის ოცნება“, „ფიროსმანის საღებავები“, „ფიროსმანი ღვინის სარდაფთან“.

შესანიშნავია, ფანქრით შესრულებული ნახატები (1917 წ.), რომლებიც წარმოგვიდგენენ საწყალ უანგარო ფიროსმანის მეცენატს ბეგოს დაკიბისქვეშ ქოხს — „ფიროსმანის სახელოსნო“.

შესანიშნავია თავისი შინაარსის შთამბეჭდავი სიღრმითა და ფორმის მიმზიდველობით, ზეთით ფრესკულ სტილზე სიმბოლურად შესრულებული „ნიკო ფიროსმანიშვილის პორტრეტი შველით“ (1928 წ.). ფსიქოლოგიური სიღრმითა და მხატვრული მომხიბლაობით ხასიათდება „ჩვენი ნიკალა“ (1936 წ.).

წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ორიგინალური და ღრმააზროვანი „ფიროსმანის შესანდობარი“ (ტუში — 1940 წ.). აქ შველი, რომელსაც ფიროსმანის საფლავის ძეგლი უჭირავს, გამოხატულია როგორც უქკნობი სიმბოლო ჭეშმარიტი ხელოვნებისა. სურათში გაოცებას იწვევს ამ უბრალო და დიდ ნიკალაზე ეპიკური თხრობის ძალა.

დიდ ნიკალაზე მგრძნობიარე სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად მხატვარმა შექმნა მხატვრული ტილო „მე და ფიროსმანი (1949 წ.).

მაგრამ „ფიროსმანის სიკვდილმა“ (ზეთი — 1946 წ.) გადააჭარბა ფიროსმანის გარშემო შექმნილ ყველა შესანიშნავ ნაწარმოებს, ეს არის დიდი პოემა, რომელიც დაწერილია ლადო გუდაშვილის შთამაგონებელი ფუნჯით.

მხატვრული ზემოქმედების განსაცვიფრებელი ძალითაა გამოსახული ლეგენდარული მხატვრის ტრაგიკული სახე, რომელიც მუდმივ გაჭირვებასა და სიმარტოვეში, თავის ნამუშევრებს შორის გარდაიცვალა, ნამუშევრებისა, რომელთაც ჯერ აღიარება არ დასცალდათ.

„ფიროსმანის სიკვდილი“ — ეს არაა მხოლოდ ამაღელვებელი მოთხრობა ერთი პიროვნების ნაღვლიანი ხვედრისა. მხატვრის მიერ იგი დიდი სოციალური განზოგადების სიმაღლემდეა აყვანილი. სურათში ნიღაბი ეხდება წარსული ცხოვრების უსამართლობასა და მომაკვდინებელ წყობილებას, აქ სოციალური პროტესტის ის ხმა ისმის, რომელიც ასე ძლიერად მხატვრის ადრეულ, პარიზამდელი და პარიზის შემდგომი პერიოდის ნაწარმოებებში გაისმა.

ბრძოლა ბოროტებასთან, ადამიანური სიმართლისათვის, — აი, რით განისაზღვრა ძირითადად თავისი განვითარების ყველა ეტაპზე ლადო გუდიაშვილის შემოქმედების ჰუმანური შინაარსი.

იმყოფებოდა რა პარიზში (1919 — 1926 წ.წ.) ფორმალიზმისა და ანტირეალისტური მიმდინარეობათა გაფურჩქვნის ხანაში, ახალგაზრდა მხატვარს თავისი შემოქმედებითი მრწამსი კი არ შეუცვლია, არამედ კიდევაც „ამეტყველდა, — როგორც ამას აკად. ბ .ფარმაკოვსკი წერდა, — ევროპული ხელოვნების ენაზე უფრო თავისუფლად და გაბედულად კაპიტალისტური სამ-

. . . . . . . . . . . . . .
Нам-ли смиренно просить:
„Помоги мне!“
Молить о гимне,
об оратории!
Мы сами творцы в горящем гимне —
шуме фабрики и лаборатории

---

ჩვენ შეგნებულად გავამახვილეთ ყურადღება მაიაკოვსკის თეორიულ წერილებსა და გამოსვლებზე, ვინაიდან ამ ბოლო დროს დასავლეთში ისეთი მკვლევარებიც გამრავლდა, რომლებიც ორად ჰკვეთენ მაიაკოვსკის არა მარტო იმ ნიშნით, რომელიც ჰარკინსს შეურჩევია („რევოლუციამდე“ და „რევოლუციის შემდეგ“), არამედ პოეტის სულში, გულში და გონებაშიც იწყებენ ხელების ფათურს, რათა აღმოაჩინონ იქ „გაორება“, „შინაგანი ტრაგიკული კონფლიქტი“ და ა. შ. ასეთი მკვლევარები, მაგალითად, წყალგამყოფ ზღვარს ეძებენ მაიაკოვსკის სოციალურ-პოლიტიკურ, ეთიკურ-ესთეტიკურ იდეებსა და მის მხატვრულ ნაწარმოებთა ობიექტურ ჟღერადობას შორის. ეს მაშინ, როდესაც ძნელია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მოიძებნოს ისეთი მონოლითური, საკვირველად მთლიანი და უმაღლეს ადამიანურ ჰარმონიას ზიარებული პიროვნება, როგორიც მაიაკოვსკი იყო. ტრაგიკული კონფლიქტი? მაგრამ რასთან? რევოლუციურ ეპოქასთან? მაგრამ ის ხომ ამ ეპოქის პირმშო იყო, სისხლთაგან სისხლი და ხორცთაგან ხორცი მისი. მას ხომ რევოლუცია ისე უყვარდა, რომ მიმართავდა მას სანუკვარი სიტყვებით, რომლებსაც სატრფოსათვისაც კი არ გაიმეტებდა! პოეტის კონფლიქტი მოქალაქესთან, პოლიტიკოსთან? მაგრამ მთელი ის რევოლუცია, რომელიც მაიაკოვსკიმ პოეზიაში მოახდინა, ხომ აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო იმ მოქალაქეობრივ-პოლიტიკური მიზანდასახულობის გარეშე, რომელიც მაიაკოვსკის ასულდგმულებდა. რევოლუცია პოეზიაში ხომ რევოლუციური პოეზიის დამკვიდრებას ნიშნავდა. იყო თუ არა საერთოდ გამოვლენილი ტრაგიზმი მაიაკოვსკის შემოქმედებაში? რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ეს „გაორების ტრაგიზმი“ და „შინაგანი კონფლიქტი“ კი არ იყო: ეს იყო ნამდვილი, წმინდა, დიდი ადამიანის, მომავალი კომუნისტური საზოგადოების პოტენციური მკვიდრის მტკივნეული შეჯახება ყოველივე მასთან, რაც წინ აღუდგებოდა ამ მომავალს ან ჩრდილს ჰფენდა მას. ამიტომ იყო განსაკუთრებით მწვავე ეს ტრაგიზმი რევოლუციამდე, როდესაც ადამიანი დამონებული იყო არაადამიანური კერპების მიერ და ამიტომ ამოხეთქა ვულკანური ძალით პოეტის ოპტიმიზმის ყოვლისმძლე ნიაღვარმა, როდესაც „ავრორას“ ქვემეხებმა კაცობრიობას კერპების მსხვრევა ამცნეს.

ფუტურიზმი? რა შუაშია ფუტურიზმი? რა უმნიშვნელო, მიზერულ რამედ ჩანს ამ ლიტერატურული მიმდინარეობის გავლენა თუნდაც ადრინდელ მაიაკოვსკიზე, თუ მას შევადარებთ ამ ბუმბერაზი ხელოვანის მსოფლმხედველობისა და და მსოფლშეგრძნების მთელს გაქანებას, მისი შემოქმედების ნიაგარულ ენერგიას! „მაიაკოვსკი და ფუტურიზმი“ — ეს იგივეა, რომ თქვა — „მაიაკოვსკი და კრუჩონიხი“. ამ უკანასკნელის გვარი კი მხოლოდ ლიტერატურის ვიწრო სპეციალისტებს და მოსკოვის ბუკინისტებს თუ ახსოვთ. და განა სცდებოდა სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი, უდიდესი ალღოსა და მიხვედრის მწერალი მაქსიმ გორკი, როდესაც 1915 წელსვე განაცხადა კატეგორიულად: „არავითარი ფუტურიზმი არ არსებობს. არის მაიაკოვსკი. პოეტი. დიდი პოეტი“.

ვერ შეძლებენ ათასჯურის ჰარკინსები ამ დიდი პოეტის ხსოვნის შებღალვას და მისი შემოქმედების ხელყოფას. მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურა იცნობს მხოლოდ ერთ მაიაკოვსკის, რომელიც დღიდან თავისი პოეტური დებიუტისა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა სწორედ ჰარკინსების სამყაროს და სწორედ მათ გააწნა ოთხკეცი სილა, როდესაც მთელი მსოფლიოს გასაგონად დაჰკრა საბრძოლო ყიჟინა:

Долой вашу религию!
Долой ваш строй!
Долой ваше искусство!
Долой вашу любовь!

და წინასწარმეტყველური შემართებით ძლიერა რევოლუციის გამარჯვების ისტორიული გარდუვალობა:

Где глаз людей обрывается куцый,
главой голодных орд,
в терновом венце революций
грядет шестнадцатый год!

---

„ბრძოლა ნაძალადევში 1905 წელს“ მხატვრის ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებთაგანია, რომელიც ქართველი ხალხის რევოლუციურ მამაცობას უმღერის.

ასეთივე მნიშვნელოვანია „თბილისში წითელი არმიის შემოსვლა“, სადაც გამოსახულია განმათავისუფლებელი წითელი არმიის შეხვედრით გამოწვეული ქართველი ხალხის სიხარული.

ბევრი ნამუშევარი უძღვნა მხატვარმა საბჭოთა საქართველოს ახალ ცხოვრებას. მისი „გლეხები“ და „მუშები“ — ეს ახალი ცხოვრების მთესველები და მშენებლებია, რომლებიც თავიანთი გოლიათური ძალით გვიზიდავენ.

„კულაკების გაძევება“, „ფერო ზესტაფონში“, „ახალი მცხეთა“, „ყაზბეგის ანდეზიტის მოწინავე ბრიგადა“, „რიონჰესი“, „საბჭოთა დღესასწაული“, „საკოლმეურნეო ბრიგადის დაბრუნება“, „ფასანაურის კოლმეურნე მწველავი“, „სამგორის მშენებლობაზე“, „საკოლმეურნეო ჩაის კრეფა“, „შრომის გმირი ჯობავა“, „ბრიგადა ჩაის პლანტაციაში“, „გუდამაყრელი მწყემსი“, — აი, ის არასრული სია ნაწარმოებებისა, რომლებშიც ლადო გუდიაშვილი ასახავს საბჭოთა საქართველოს ცხოვრებას.

„მესტვირის დალოცვა“ ამ ცხოვრების სილამაზეზე და მადლზე წმინდა სიმღერასავით ჟღერს. „მშვიდობის ქართული სიმღერა“ — ეს არის სიმღერა მტრედის კერაზე. „მტრედის კერა“ კი თავისუფალი შრომის, ბედნიერი სიცოცხლისა და სილამაზის სამყაროა.

ლადო გუდიაშვილი ღრმა მცოდნეა შრომისმოყვარე და მებრძოლი ქართველი ხალხის ისტორიისა, ხალხისა, რომელმაც შექმნა უძველესი კულტურა და დღენიადაგ ბრძოლებს აწარმოებ- და აგრესორების წინააღმდეგ.

დიდი სიყვარულითა და მაღალი ოსტატობით ასახავს მხატვარი ამ ისტორიას.

ჩინებულია მისი „ლეგენდა თბილისის დაარსებაზე“ და „თბილისის პირველი მკვიდრნი“.

ლადო გუდიაშვილის ერთ-ერთ შედევრს წარმოადგენს მისი შთამაგონებელი, შინაგანად დაძაბული, ემოციური ტილო „ვეფხვის მკურნალი“, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ამაყი და თავისუფლებისმოყვარე ხალხის ძალას, ხალხისა, რომელსაც შეუძლია უკუაგდოს და დაიმორჩილოს მაჰმადიანური ვეფხვები.

შთაბეჭდილების მომხდენია თავისი საზეიმო განწყობილებით „საკადრისი პასუხი“ სულთან ნუქარდინზე, რომელმაც ყოვლისმძლე მეფე თამარს წინადადება მისცა, მაჰმადიანური სარწმუნოება მიეღო და მისი ცოლი გამხდარიყო. მხატვარმა ეს სურათი დახატა როგორც მოთხრობა იმაზე, თუ როგორ არ შეეხო უწმინდურის მიერ ნასროლი ტალახი მზეს.

გვატყვევებს მხატვრის ნამუშევარი „თბილისის კარიბჭის დამცველნი“, ეს არის ჭეშმარიტად ქართული ვარიანტი ლეონარდო და ვინჩის „ანგიარის ბრძოლისა“.

სიღრმითა და ეპიკური ნაწარმოების იდეური აზრის გამჭვირვალობით გამოირჩევა ლადო გუდიაშვილის „ერეკლე II.“ აქ მხატვარმა საქართველოს უმძიმესი ეპოქა გამოხატა, — ქვეყანა დაძაბუნებულია აგრესორებთან საუკუნეობრივ ბრძოლებში, ბნელით მოცული თბილისის პეიზაჟის ფონზე მოჩანს ქართველთა მეფე და მებრძოლი, რომელსაც ხელები რუსეთისაკენ გაუწვდენია, როგორც ხსნის ერთადერთი იმედისაკენ.

გასაოცარი ნათელი ხედვით და შთაგონებით აღადგენს მხატვარი ანტიკური ეპოქის ქართულ კულტურას.

ამის დადასტურებაა „არმაზის აკლდამიდან“ პიტიახშის მშვენიერი ქალიშვილის, „სერაფიტას გასეირნება“, „ქორწილი არმაზში“; „ფრესკის ფრაგმენტი“ „ფრესკის ღიმილი“ ლომების მომთვინიერებელნი არმაზიდან“ და სხვ.

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტიდან ტ. ჩუბინაშვილი შთაბეჭდილების წიგნში წერს:

„მე, როგორც სპეციალისტს, განსაკუთრებული ინტერესით მიმიხდა, თვალი მომევლო ლადო გუდიაშვილის იმ ნახატებისათვის, როგორიც არიან „სერაფიტას გასეირნება“, „ქორწილი არმაზში“ და სხვ., სადაც განსაცვიფრებლად კარგად შესრულებულია სურათების სიუჟეტური მხარე, განსაკუთრებული გემოვნებითა და ანტიკური ეპოქის შესანიშნავი ცოდნით გადმოცემულია ქართული ანტიკური კულტურის მრავალი ნიუანსი.

დიდი მადლობა დიდ ქართველ ხელოვანს, რომელმაც ასეთი ოსტატობით ასახა ქართული კულტურის ეს ისტორიული მონაკვეთიც“.

ლადო გუდიაშვილის ფუნჯით დახატულია, აგრეთვე, ქართველ ქალთა შესანიშნავი პორტრეტები.

მხატვრული სრულყოფით და მომხიბვლელი თავისებურებით გამოირჩევიან ძველი თბილისის ქართველი ქალების სახეები: „ჩუღურეთელი თეკლე“, „ისნელი ქალი“, „მარიამი“, „დარიკო“ და სხვ.

ძლიერ საინტერესოა „მანანა შოთაძის პორტრეტი“, სიყვარულის ასაკში შესული ქალიშვილის სახე და მსახიობ „თამარ ციციშვილის პორტრეტი“; რომლის შესახებ ალ. გერასიმოვი წერდა, „ეს არის ცოცხალი სახე, რომელიც გვაიძულებს ვიწამოთ ავტორის მანერის სიმართლე“ („Советское искусство“, №10, 1946 г. „Живописцы братских республик“).

მაგრამ უფრო მომხიბლავია „დოდო აბელედიანის პორტრეტი“ და „ეთერი სარკის წინ“, — ტილოები, რომლებიც დაწერილია ქართველი ტიციანის ფუნჯით.

შესრულების ფართო დიაპაზონით ხასიათდება ლადო გუდიაშვილის ხელოვნების პორტრეტული ჟანრი, რომელიც შეიცავს საკმაოდ ბევრი ქართველი ქალის დასამახსოვრებელ სა-

ხეებს. ხასიათის ღრმა ფსიქოლოგიური გახსნით გამოირჩევა „მხატვრის მეუღლის ლ. გუდიაშვილის“ სურათი. სახის გახსნის სიღრმით ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება ქართულ რეალისტურ პორტრეტულ ხელოვნებაში.

სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობით ხატავდა მხატვარი ქართველ ქალებს. ადამიანისადმი სიყვარულის გრძნობით გაამდიდრა მან თავისი პორტრეტული ხელოვნება, ასეთებია: „ესპანელები“, „ბობი ჰალენის პორტრეტი“, „ესპანელი მეგობრები“, „ალბანელი გოგონა“, „თათრის გოგო ფერიდე“ „ასურელი გოგო ოლ-ოლი“, „ოსი ქალი ზალიხანი“, „სომეხი ქალის პორტრეტი და სხვ.

ლადო გუდიაშვილისათვის ჩვეული ნიჭიერების ბეჭედი აზის, აგრეთვე, მის მიერ შესრულებულ ხალხური ლიტერატურული ნაწარმოებებისა და ფოლკლორული მარგალიტების ილუსტრაციებს.

დახვეწილი ოსტატობა, თემის იდეურ სიღრმეში ჩაწვდომა, ქართული მინიატურისათვის დამახასიათებელი პლასტიკური გამომხატველობა, ხაზის რიტმისა და კომპოზიციური გადაწყვეტის ორიგინალობა — საუკეთესო განმასხვავებელი თვისებებია გუდიაშვილის ქართული წიგნის გრაფიკისა.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, პროფ. გრ. ჩხიკვაძის „ქართული ხალხური სიმღერების“, ხალხური ეპოსის „არსენა ყაჩაღის“ და ქართული ხალხური ზღაპრების ილუსტრაციები წარმოადგენენ საერთოდ ქართული წიგნის გრაფიკის ბრწყინვალე ნიმუშებს;

შესანიშნავია აგრეთვე ლ. გუდიაშვილის მიერ ხორცშესხმული ქართული პოეზიის კორიფეების ნათელი სახეები.

რაოდენ ღრმა აზრისა და ემოციურ ძალის შემცველია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“.

ამ ნაწარმოების მთლიან რომანტიკულ ბათოსში ხორცშესხმულია თავისუფლებისათვის და სინათლისაკენ შეუდრეკელი გზის მაძიებლის სახე.

როგორ გვატყვევებს „გურამიშვილის სიკვდილი“, რაოდენი პოეზია, რაოდენი შინაგანი სიღრმეა ამ კეთილშობილი მოხუცის სახეში, რომელმაც სამშობლოზე ჩაუქრობელ დარდში სამუდამოდ დახუჭა თვალები.

რაოდენ უბრალო და დიდებულია ნამდვილი სახე „ვაჟა-ფშაველასი“. დიდი მთიელი, ქართველი ჰომეროსი ზის გაკვამლულ ფშაურ გლეხურ ქოხში და ფანდურის აკომპანიმენტზე ამღერებს თავის ეპიკურ თქმულებებს.

არაჩვეულებრივად ფართოა ლადო გუდიაშვილის შემოქმედების ჟანრული დიაპაზონი. მხატვარმა სახელი გაითქვა, აგრეთვე, თემატიკური მრავალფეროვნებითა და ღრმა რეალისტური ალეგორიული ხელოვნებით.

„ცრუმორწმუნეობის უღელქვეშ“, „მითი ბედის კერპებზე“, „სოკრატისეული ზემთაგონება“, „თქმულება „დრომოჭმულ სიბრძნეზე“ ისეთი ნაწარმოებებია, რომლებიც შესრულებულია დაჯერებული ათეისტის სიბრძნით.

გვხიბლავს ორიგინალურად გამოხატული ღრმა აზრი სურათში „ნიჭის მდუმარე დამფასებლებთან“. ქართული ფრესკის მკვიდრნი თავიანთი მდუმარე, მაგრამ მრავალისმეტყველი ირონიით ტაძრიდან აძევებენ მხატვარს რომელიც ვერ გარკვეულა წინაპართა ხელოვნების სიდიადეში. უნაყოფოა უმემკვიდრეო შემოქმედება — ასეთია ლ. გუდიაშვილის ამ ნაწარმოების აზრი.

ლადო გუდიაშვილმა ბრწყინვალედ გამოავლინა თავისი თავი თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებაში.

მის მიერ შესრულებული დეკორაციების და და კოსტუმების ესკიზები პიესებისათვის „ლამარა“ „არსენა“, „ოიანა — ბუიანა“ წარმოადგენდნენ სპექტაკლის მხატვრული გაფორმების მხრივ ბრწყინვალე ნიმუშებს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ქართული თეატრისათვის ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული „მაია წყნეთელის“ მხატვრული გაფორმებაც.

ლადო გუდიაშვილის ინტერესი თეატრისადმი არ ისაზღვრება მხოლოდ თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნებით.

მხატვარი ავტორია მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისა, რომლებიც ეძღვნება თემებს ქართული თეატრის ისტორიიდან „თელაველი ბერიკები“, „ბერიკა „მამასახლისი“, „ბერიკებმა ბოქაული მიბეგვეს“ და ლადო გუდიაშვილის სხვა ნამუშევრები აღადგენენ „ბერიკების“, ძველი ქართული ხალხური მსახიობების სატირიკულ-მამხილებელ სახეებს.

„ყეენობა თბილისში“ და „ყეენის მტკვარში გადაგდებას“ მხატვარი უძღვნის მასობრივი თეატრალური საკარნავალო მსვლელობის გამოხატვას, რომელიც მთავრდებოდა ხალხის საძულველი პიროვნების გამომსახველ ყეენის მდინარეში გადაგდებით.

მთელ რიგ ნაწარმოებებში ლადო გუდიაშვილმა გამოხატა „ქართული ნიღბის თეატრი“, რომელიც აღმოცენებული იყო ხალხური თეატრალური სანახაობის ტრადიციებზე.

ლადო გუდიაშვილის ფუნჯს ეკუთვნის, აგრეთვე თავისებური მხატვრული მომხიბლაობით აღსავსე ტილოები რომლებზედაც გამოხატულია ქალის ტიტველი სხეული;

ამ ტილოების მთელი კომპლექსის ცხოვრებისეული ღრმა აზრი ჩვენ წინ იხსნება ორი, პრინციპულად ერთმანეთისაგან განსხვავებული, ცოცხალი ადამიანის სხეულის ტრაქტოვკაში.

ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა „ქალი კლდეებში“, „ირმის წყაროსთან“, „საქორწინო განბანვა“, „გოგონები საყვარელ ნაკადულთან“,

„განდევილი მიწიერ მშვენებათა წინაშე“ მხატვარი ცდილობს აჩვენოს ქალი, როგორც ცხოვრების დამგვირგვინებელი სილამაზე, როგორც ზნეობრივად ამაღლებული მიწიერი სილამაზის ყოფა.

ისეთ ნაწარმოებებში, რომლებიც იდეურად ენათესავებიან „სიბრძნის ეტრატს“, მხატვარი ჰკიცხავს ადამიანის ბიწიერ ბუნებას, მისი სხეულის ცხოველურ ავხორცობას.

შიშველი სხეულები შეადგენენ ლადო გუდიაშვილის ხელოვნების შესანიშნავ მხარეს, ისინი შეიცავენ დიდ შინაარსს, მომდინარეს მხატვრის მაღალი მორალური და ესთეტიკური შეხედულებებიდან ცხოვრებაზე.

შესანიშნავია აქ აგრეთვე, შესრულების ოსტატობა, იგი ფართოა თავისი ფარგლებით და შეიცავს როგორც პასტოზურ, ასევე რბილ და ნაზი წერის მანერას, რომელიც ხანდახან ადამიანის სხეულის გამოხატვაში გასაოცარ სიმსუბუქესა და ჰაეროვნებას აღწევს.

ლადო გუდიაშვილის შემოქმედება ადამიანისადმი დიდი სიყვარულის ნაყოფია და ნამდვილ სილამაზეზე ღრმა ფიქრებითაა აღსავსე.

ნამდვილ სილამაზეს ლადო გუდიაშვილი სამყაროს ცხოვრებისეულ დუღილში ხედავს, ცოცხალ ადამიანში და, უპირველეს ყოვლისა, მის ნამდვილ ადამიანურობაში.

სწორედ ეს კონცეფცია უდევს, აგრეთვე, აზრობრივ საფუძვლად ქმნილებას, რომელსაც მხატვარმა „სილამაზის საიდუმლოება“ უწოდა და რომლითაც დაიწყო მან დიდი სამამულო ომის დღეებში თავისი მებრძოლი გრაფიკული ციკლი რეალისტური ალეგორიებისა, რომლებიც ფარდას ხდიდა ფაშიზმის მხეცურ ბუნებას

„სილამაზის მესაფლავენი“ — ასე უწოდა ლადო გუდიაშვილმა სიცოცხლისა და კაცობრიობის მტრებს. „სილამაზის მესაფლავენი“ მეორე ქმნილებაა მხატვრის მიერ ანტიფაშისტურ თემაზე შექმნილი ციკლიდან.

ყველაფერი დიადი, რაშიც ადამიანის გენია გამოვლინდა, მიწასთანაა გასწორებული და ფასი აქვს დაკარგული ფაშიზმისათვის, — გვიყვება ლადო გუდიაშვილი თავის ნაწარმოებებში, რომლებიც შევიდა ციკლში სახელწოდებით „ეს მძიმე ტვირთად არ მიგვაჩნია“. და რა გესლიანი სარკაზმია „შრომის სიმჩატის“ ამ გამოხატვაში, სიმჩატისა, რომლითაც ველასკეზის „ინფანტას“ მაიმუნები „ეუფლებიან“ სახვითი ხელოვნების ამ მსოფლიო შედევრს.

არა ნაკლები სარკაზმით ხასიათდება მხატვრის სხვა ნაწარმოები. — „ვინ იცის, რაში გამოადგებათ“, ნაწარმოები, რომელშიც გამოხატულია ფაშიზმის ბნელეთის მოციქულები, მიწისქვეშა ჯურღმულებში რომ მიათრევენ კაცობრიობის გენიის უდიდეს ქმნილებებს.

ფაშიზმი კულტურისა და პროგრესის მტერია, — აი, აზრი ამ ალეგორიებისა, და ციკლის ერთ-ერთი შედევრისა — „რეაქციული ცენტრის ძეგლის პროექტი“.

ამავე თემას ეხება სურათი „ფაშიზმი წყლული ხელოვნების საგანძურში“, სადაც ეს „წყლული“ ნაჩვენებია მხატვრის მიერ მიქელ-ანჯელოს „მოსეს“ გვერდით.

როგორი აზრის სიღრმეა ამ ლაკონური და თემის მრავალმხრივად გამხსნელ ალეგორიულ სურათში. მასში მხატვრის მიერ „მოსე“ გამოყენებულია არა როგორც მხოლოდ მაღალი ხელოვნების იდეის გამომხატველი, არამედ როგორც ებრაელობის სიმბოლო, რომელსაც სდევნიდა ფაშიზმი. დაშნაზე წამოცმული ადამიანის სხეულები ფაშიზმის მხეცობასა და სადიზმზე მეტყველებენ.

ჰიტლერელი კანიბალებისადმი სიძულვილით იყო შექმნილი „მოძალადე“, „არესის სამსხვერპლოზე“ და „ეს არ მოხდება“.

მაიმუნის მაგვარი, მაგრამ განუზომლად საზიზღარი სისხლისმსმელ არსებას თავის კლანჭებში არაქათგამოლეული ქალი მოუქცევია, ქალი მოძალადისადმი აუტანელი ზიზღითაა შეპყრობილი, იგივე კაციჭამია სადისტური კმაყოფილებით კლავს „არესის სამსხვერპლოში“ ოჯახის ქმარსა და მამას...

მაგრამ ეს არ „მოხდებაო“, ამბობდა გუდიაშვილი ჯერ კიდევ ომის პირველ წლებში, როდესაც ჰიტლერს გამარჯვებული ეგონა თავი. მხატვარი სარკასტულად დასცინის „ჰიტლერის ფანტაზიის კოსმიურ გაფრენაში“ მსოფლიო დაპყრობისა და კაცობრიობის დამონების გიჟურ „იდეას“

ჯერ კიდევ 1942 წელს მხატვარმა „საზიზღარ ქვეწარმავალში“ სამარცხვინო ბოძზე გააკრა გერმანელი ფაშისტები.

„ფაშიზმის წინააღმდეგ ლადო გუდიაშვილის მიერ შექმნილი გრაფიკული ციკლი, — წერს ჟურნალ „ბულგარეთის“ მთავარი რედაქტორი კ. გრიგორიევა, — გვიჩვენებს ფაშიზმისა და ყველა ომის გამჩაღებელის მხეცურ სახეს, ეს შესანიშნავად ჩაფიქრებული და შესრულებული ნაწარმოებები ადამიანებს სიფხიზლისა და მშვიდობისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებენ“.

გამანადგურებელი ომის თემა ყოველთვის აღელვებდა მშვიდობისათვის მებრძოლ ლადო გუდიაშვილს. ამას ხორცი შეასხა მან თავის „აგრესორის ულტიმატუმში“, „ომის უძღებ ყორანში“ და სხვა ნამუშევრებში.

ფორმის ნაციონალურობა და შინაარსის პროგრესულობა ლადო გუდიაშვილის ხელოვნების ყველაზე ძვირფასი თვისებაა.

„აზრთა და გრძნობათა დიად სამყაროს“ უწოდებს ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას აკად. გ. ახვლედიანი.

გ. ახვლედიანის ამ აზრის სიმართლე მტკიცდება არა მხოლოდ ლადო გუდიაშვილის ხელოვნების საქართველოში საყოველთაო აღიარებით, არამედ მოძმე რესპუბლიკებისა და უცხო ქვეყნების

წარმომადგენელთა მიერ გუდიაშვილის ნამუშევრების მაღალ შეფასებაში.

გამოფენის სქელტანიან შთაბეჭდილებათა წიგნში შეხვდებით ჩვენი სტუმრების მიერ გამოთქმულ აღტაცებას ქართველი მხატვრის შემოქმედების გამო.

აი, რამდენიმე მათგანი:

„საქართველოს სამართლიანად შეუძლია იამაყოს ამ შესანიშნავი ოსტატით. მადლობა ქართველ გოიას" — სსრკ არქიტექტორთა სამმართველოს სწავლული მდივანი კ. ხოჯაევი.

„სახეთა სიმდიდრე, იდეური შინაარსის სიღრმე, დიაპაზონის სიფართოვე, თავისებურება და მხატვრული გადაწყვეტის სითამამე გამოყოფს ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას თანამედროვე მხატვრებისაგან. მთელი მისი შემოქმედება ჰუმანიზმითაა გამსჭვალული, რომელიც მაღალ იდეალებს ქადაგებს", — წერს ცნობილი ორიენტალისტი, ხელოვნებათმცოდნე ლენინგრადელი პროფ. ლ. მაცულევიჩი.

აი, რას წერს ყველასათვის ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი: „აღფრთოვანების აფეთქებით დავათვალიერე ლადო გუდიაშვილის ბრწყინვალე შემოქმედება. ლ. გუდიაშვილმა უნდა დაიკავოს თავისი ადგილი მსოფლიოში თანამედროვე ეპოქის დიდ მხატვართა რიცხვში".

თავის სტატიაში „მოზღვავებული შთაბეჭდილებანი" (ჟურნალი „ცისკარი" № 2, 1957 წ. გვ. 105) გამოჩენილი ჩეხი ქართველოლოგი, პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი იარომირ იედლიჩკა ასეთ აზრს გამოთქვამს ლადო გუდიაშვილის ხელოვნების შესახებ: „ამ დიდმა ქართველმა მხატვარმა უსაზღვროდ დამაინტერესა თავისი ხელოვნების ბუმბერაზული გაქანებით, თავისი ფანტაზიის სიძლიერითა და ნაირფეროვნებით, შემოქმედების ფერებისა და იდეურობის სიმდიდრით, დამაინტერესა ესოდენ მრავალსახოვანი და, ამავე დროს, ურღვევ მთლიანობაში გაერთიანებული ხელოვნებით, რომელშიც გარე სინამდვილე და შინაგანი განცდები გამუდმებით შერწყმულია, ხელოვნებით, რომელიც სინათლეს ჰფენს დანახულს და ღრმა შემეცნებით, ხალხის გულს რომ სწვდება".

ლადო გუდიაშვილის საღამოზე, რომელიც 1958 წელს მოსკოვში გაიმართა, აკად. სიდოროვმა თქვა: „ლ. გუდიაშვილის ხელოვნება წარმოადგენს, როგორც მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენ საბჭოთა და მსოფლიო საგანძურს... ლადო გუდიაშვილის შემოქმედება კეთილშობილი, ლამაზი, თავისუფლებისმოყვარე და ამაყი ქართველი ხალხის ენით მეტყველებს. ლადო გუდიაშვილი ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მხატვარია. მხატვრულ გამოსახვის ასეთ ძალას, ასეთ უდიდეს ოსტატობას მე არ ვიცი, ვინ აღწევს აქ, ჩვენთან, მოსკოვში... ლ. გუდიაშვილს, როგორც გრაფიკოსს, ჰყავს მხოლოდ ერთი წინამორბედი — ფრანსისკო გოია. ქართველი მხატვრის გრაფიკა მე, როგორც გრაფიკის ისტორიის ერთ-ერთ სპეციალისტს, მაიძულებს გავიხსენო გოია, მაგრამ ახალი გოია, თანამედროვე გოია, რადგანაც ლ. გუდიაშვილი დგას გრაფიკული სილამაზის განსაკუთრებით მაღალ სიმაღლეზე, რომელიც, შესაძლებელია, არც გოიას ჰქონდა, რადგანაც მის წინაშე იდგა სხვა ამოცანები.

ჩვენ მივესალმებით ლ. გუდიაშვილს იმისათვის, რომ იგი გამბედავი, უკომპრომისო, შინაგანად პატიოსანი დიდი საბჭოთა მხატვარია".

# წიგნების მიმოხილვა

## მარქსიზმის ფუძემდებლები ხელოვნების შესახებ

☆

მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიურ-ესთეტიკური მოძღვრება იყო და რჩება ჩვენი პარტიის პოლიტიკის საფუძვლად ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში. მარქსიზმის ფუძემდებლების ეს მოძღვრება სრულად არის წარმოდგენილი ორტომიან კრებულში „კ. მარქსი და ფ. ენგელსი ხელოვნების შესახებ", რომელიც ამასწინათ გამოსცა რუსულ ენაზე სახელმწიფო გამომცემლობამ „ისკუსტვომ". ახალი კრებული წინა გამოცემისაგან (1937 წ.), უწინარეს ყოვლისა, განსხვავდება წარმოდგენილი მასალების სისრულით, რომლებიც განლაგებულია თემატური პრინციპით. პირველ ტომში შეკრებილია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის უმნიშვნელოვანესი გამონათქვამები მხატვრული შემოქმედების ისეთ ზოგად საკითხებზე, როგორიც არის საერთოდ ისტორიის და კერძოდ ხელოვნების მატერიალისტური გაგება, მისი იდეურობა და კლასობრივი ბუნება კლასობრივ საზოგადოებაში, რეალიზმი და სხვ. მეორე ტომი შეიცავს კომუნიზმის ფუძემდებლების გამონათქვამებს ხელოვნების ცალკეული, კონკრეტული საკითხების შესახებ. ორივე ტომში მოყვანილია მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ მარქსისა და ენგელსის ბრძოლაზე, როგორც რევიზიონიზმის, ისე დოგმატიზმის წინააღმდეგ.

ამ წიგნების გამოცემა განსაკუთრებით დროული და ძვირფასია ესთეტიკური თეორიისადმი იმ უდიდესი ინტერესის გამო, რასაც იჩენენ ამჟამად საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეები, მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, მხატვრები და სხვ. ესთეტიკის საკითხებით დაინტერესებული მკითხველი კრებულში ნახავს ძვირფას მასალას ესთეტიკური მეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე. მაგრამ ეს წიგნები მარტო სპეციალისტებსა და ხელოვნების მუშაკებს როდი გამოადგებათ. ყველა, ვინც დამოუკიდებლად სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, აქ ბევრ სასარგებლოსა და საჭიროს ნახავს, რადგან მარქსი და ენგელსი ხელოვნების საკითხებს ყოველთვის განიხილავდნენ პოლიტიკასთან განუყრელ კავშირში, კომუნისტურ მსოფლმხედველობასთან კავშირში.

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შექმნით ესთეტიკას ჩაეყარა მკვიდრი, ნამდვილად მეცნიერული თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. მარქსმა და ენგელსმა პირველად მეცნიერულად გამოარკვიეს, თუ რა ადგილი აქვს ხელოვნებას საზოგადოებრივ განვითარებაში; მათ გვიჩვენეს, რომ ხელოვნება არის საზოგადოებრივი ცნობიერების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ასახავს საზოგადოებრივ ცხოვრებას მხატვრული სახეებით და საბოლოო ანგარიშით განპირობებულია საზოგადოების ეკონომიური ბაზისით. განიხილავდნენ რა ეკონომიურ ბაზისს, როგორც განმსაზღვრელს იდეოლოგიური ფორმების მიმართ, მარქსი და ენგელსი არასდროს არ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ეს ფორმები, კერძოდ ხელოვნება, წარმოადგენს ეკონომიური საფუძვლების პასიურ პროდუქტს, როგორც ამას სჩადიოდნენ II ინტერნაციონალის თეორეტიკოსები და ვულგარული სოციოლოგები. „პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური, რელიგიური, ლიტერატურული, მხატვრული და სხვ. განვითარება, — წერდა ენგელსი შტარკენბერგს, — ეკონომიურ განვითარებას ემყარება. მაგრამ ყველა ესენი გავლენას ახდენენ აგრეთვე ერთმანეთზე და ეკონომიურ საფუძველზეც. საქმე ისე კი არ არის, რომ ეკონომიური მდგომარეობა არის ერთადერთი აქტიური მიზეზი, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი მხოლოდ პასიური შედეგი. არამედ ეს არის ურთიერთზემოქმედება იმ ეკონომიური აუცილებლობის საფუძველზე, რომელიც საბოლოო ანგარიშით მუდამ ხორციელდება" (იხ. ტ. 1, გვ. 99).

მარქსმა და ენგელსმა პირველად მიგვითითეს იდეოლოგიური მოვლენების შედარებითი დამოუკიდებლობის შესახებ, იმის შესახებ, რომ იდეოლოგია აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მის წარმომშობ საზოგადოებრივ ყოფიერებაზე .ამ მითითებებს მეტად აქტუალური მნიშვნელობა აქვს ჩვენს დროშიც. ისინი გვაიარაღებენ როგორც მარქსისტული მოძღვრების ვულგარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე თანამედროვე იდეალისტური, რევიზიონისტული „თეორიების" წინააღმდეგ ბრძოლაში, თეორიებისა, რომლებიც

ქადაგებენ საზოგადოებრივი ცნობიერების, მათ შორის ხელოვნების, „სრულ ავტონომიას“, იცავენ ხელოვნების არა მარტო ეკონომიური ბაზისისაგან, არამედ აგრეთვე სხვა ზედნაშენური მოვლენებიდან მოწყვეტას.

კრებულში გამოქვეყნებულ მასალებში მოცემულია კლასობრივ-ანტაგონისტური ფორმაციების პირობებში მხატვრული კულტურის განვითარების ღრმა ანალიზი. მარქსი და ენგელსი განსაკუთრებით დაწვრილებით იკვლევდნენ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ხელოვნების მუშაკების მდგომარეობის საკითხს. ამ ანალიზის შუქზე ცხადი ხდება ბურჟუაზიული იდეოლოგების მტკიცების უძლურება, რომ თითქოს კაპიტალიზმი უზრუნველყოფს ადამიანის შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას.

მარქსისა და ენგელსის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მათ რეალიზმის პრინციპებს მისცეს ნამდვილი ფილოსოფიურ-ესთეტიკური დასაბუთება. ეს პრინციპები რომლებიც განვითარებულ და გამდიდრებულ იქნენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომებში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების მნიშვნელოვან დოკუმენტებში, საფუძვლად დაედო სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებას. მარქსიზმი გვასწავლის, რომ მხატვრული შემოქმედება ეს სინამდვილის ასახვისა და გარდაქმნის ერთ-ერთი საშუალებაა. ამიტომ სრულფასოვანი ხელოვნების, მისი ქმედითობის აუცილებელი პირობაა ობიექტური სამყაროს სიმართლითა და სიღრმით ასახვა. მარქსი და ენგელსი ყოველთვის მთლიანობაში განიხილავდნენ ხელოვნების შემეცნებით და მხატვრულ ღირებულებას. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ რა ხელოვნების შემეცნებითს როლს, მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ რეალიზმი შემოქმედების ისეთი მეთოდია, რომელიც მწერლებს საშუალებას აძლევს სრულად და სწორად ასახონ საზოგადოებრივი ცხოვრება. ენგელსის კლასიკური განმარტებით, „რეალიზმი გულისხმობს, გარდა დეტალების სიმართლით გადმოცემისა, ტიპიურ ვითარებებში ტიპიური ხასიათების სწორ რეპროდუქციას“ (იქვე, გვ. 11). როგორც ვხედავთ, აქ რეალიზმის პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია ტიპიურობის საკითხთან, რომელსაც მარქსისა და ენგელსის ესთეტიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს.

ხელოვნების თანამედროვე ბურჟუაზიული თეორეტიკოსები იბრძვიან რეალისტური მეთოდის, განსაკუთრებით მისი განვითარების უმაღლესი ეტაპის—სოციალისტური რეალიზმის მეთოდის წინააღმდეგ. ამ მებრძოლთა შორის რევიზიონისტები უკანა რიგებში როდი დგანან. მათ არაერთხელ განაცხადეს, რომ სოციალისტური რეალიზმი არის „პიროვნების კულტის შედეგი“. ამ თეორეტიკოსებს არ ესმით, ან არ უნდათ გაიგონ, რომ ამა თუ იმ მხატვრული მეთოდის წარმოშობა ისტორიულად კანონზომიერი მოვლენაა. სოციალისტურ რეალიზმს თავისი ფესვები ღრმად აქვს გადგმული სოციალურ გარდაქმნებში, რომლებიც განხორციელებულია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. რევიზიონისტები განსაკუთრებით ესხმიან თავს ლიტერატურასა და ხელოვნებაში პარტიულობის მარქსისტულ-ლენინურ პრინციპს. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ხელოვნების პარტიულობის ლენინურ იდეას არა აქვს ზოგადესთეტიკური ხასიათი, რომ ეს იდეა თითქოს გამოსაყენებელია მხოლოდ პარტიული პუბლიცისტიკის მიმართ. ცხადია, ასეთი მსჯელობა მიმართულია იქითკენ, რომ დაუპირისპირონ ლენინი და მარქსი, დააკნინონ თვით კომუნისტური პარტიულობის პრინციპი. მარქსმა და ენგელსმა პირველად ჩამოაყალიბეს იდეოლოგიის ყველა ფორმის, მათ შორის ხელოვნების კლასობრიობის ფორმულა. ხელოვნების კლასობრივი განპირობებულობის მარქსისა და ენგელსის ფორმულასა და ლენინის ხელოვნების პარტიულობის იდეას შორის ღრმა კავშირია. ლენინის დებულება ხელოვნების პარტიულობის შესახებ წარმოადგენს იდეოლოგიის ყველა ფორმის სოციალური მიმართულებისა და განპირობებულობის შესახებ მარქსიზმის მოძღვრების შემდგომ შემოქმედებითს განვითარებასა და კონკრეტიზაციას.

ლიტერატურისა და ხელოვნების კლასობრიობის დამადასტურებელია ნაწარმოების ტენდენციურობა. აკრიტიკებდნენ რა ბურჟუაზიულ თეორიებს იმის შესახებ, რომ თითქოს ხელოვნება დამოუკიდებელია კლასებისა და კლასთა ბრძოლისაგან, მარქსმა და ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ ხელოვნებას ახასიათებს იდეურობა, ტენდენციურობა. „მე,—წერს ენგელსი,— არავითარ შემთხვევაში წინააღმდეგი არა ვარ ტენდენციური პოეზიისა, როგორც ასეთისა. ტრაგედიის მამამთავარი ესქილე და კომედიის მამამთავარი არისტოფანე ორივე ძლიერ ტენდენციური პოეტები იყვნენ, არა ნაკლებ დანტე და სერვანტესი, ხოლო შილერის „ვერაგობა და სიყვარულის“ მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი წარმოადგენს პირველ გერმანულ პოლიტიკურ ტენდენციურ დრამას. თანამედროვე რუსი და ნორვეგიელი მწერლები, რომლებიც საუცხოო რომანებს წერენ, ყველა ტენდენციურია“ (იქვე, გვ. 9).

ხელოვნების ბურჟუაზიული თეორეტიკოსები ამტკიცებენ ნაწარმოების უიდეობას, ქადაგებენ „წმინდა ხელოვნებას“, რითაც მწერლებს მოუწოდებენ არა საზოგადოებრივი ცხოვრების ტიპიურ სახეებში ასახვისაკენ, არამედ საზოგადოებრივი მოვლენების, კლასთა ბრძოლის მაჩქმალევისკენ, უიდეობისკენ. სინამდვილეში კი მისწრაფება უიდეობისაკენ თავისთავად არის გარკვეული იდეის გამოხატვა მხატვრულ ნა-

ნაწარმოებში. მხატვრული ნაწარმოების უიდეობა ავტორის გარკვეული კლასობრივი ინტერესების გამოხატულებაა. საზოგადოებაში არსებული კლასთა ბრძოლა ხელოვნებაში ვლინდება როგორც იდეათა ბრძოლა. ეს იდეები ხელოვნების ნაწარმოებში გამოხატულია არა განსაზღვრული პოლიტიკური ლოზუნგების ფორმებით, არა აზრების ლოგიკურად დალაგებით, არამედ მხატვრული სახეებით.

მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს იმის ახსნა, თუ რატომ არის, რომ ზოგჯერ მწერალი მხატვრულ ნაწარმოებში იძლევა თავისი კლასის გამანადგურებელ კრიტიკას. ენგელსი, ეხება რა ბალზაკის შემოქმედებას, აღნიშნავს: ბალზაკი თავისი პოლიტიკური შეხედულებებით ლეგიტიმისტი იყო. მისი დიადი ნაწარმოები მაღალი საზოგადოების გამოუსწორებელი დაშლის გაუთავებელი ელეგიაა; მისი სიმპათიები გადაშენების გზაზე დამდგარი კლასის მხარეზეა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სატირა არასოდეს არ ყოფილა უფრო მახვილი, მისი ირონია არასოდეს არ ყოფილა უფრო მწარე, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი აიძულებდა ემოქმედათ სწორედ იმ ადამიანებს, რომელთაც ის ყველაზე უფრო მეტად თანაუგრძნობდა, ე. ი. არისტოკრატებსა და არისტოკრატ ქალებს. და ადამიანები, რომლებზედაც ის ყოველთვის დაუფარავი აღტაცებით ლაპარაკობს, ესენი არიან მისი ულმობელი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, რესპუბლიკელები — ქუჩის გმირები... ადამიანები, რომლებიც მაშინ (1830 — 1836) ნამდვილად ხალხის მასების წარმომადგენლები იყვნენ (იქვე, გვ. 12).

მარქსი და ენგელსი, ებრძოდნენ რა ბურჟუაზიულ ობიექტივიზმსა და „წმინდა ხელოვნების" თეორიას, მწერლისაგან მოითხოვდნენ, რომ მხატვრული ნაწარმოები ყოფილიყო ტენდენციური, პროლეტარული იდეოლოგიის მატარებელი . მაგრამ ტენდენციურობა, როგორც ენგელსი აღნიშნავს, ბუნებრივად უნდა გამომდინარეობდეს ნაწარმოებიდან ისე, რომ ამაზე ავტორმა სპეციალურად არ უნდა მიუთითოს. „რაც უფრო დაფარულია ავტორის შეხედულებები, მით უფრო უკეთესია ხელოვნების ნაწარმოებებისათვის" — აღნიშნავს ენგელსი მ. ჰარკნესისადმი მიწერილ წერილში. მარქსს ლასალის ტრაგედიის „ფრანც ფონ ზიკინგენის" ძირითად ნაკლოვანებად მიაჩნდა ის, რომ ლასალი წერდა შილერისებურად, რომ მას ინდივიდუმები დროის იდეების უბრალო რუპორებად ჰყავდა გადაქცეული. ამ ნაწარმოების უარყოფით მხარედ ენგელსიც იმას თვლის, რომ ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირები გამოიყურებიან აბსტრაქტული, არაკონკრეტული, არაცოცხალი სახით. ლასალის ნაწარმოების ეს ნაკლოვანებანი აიხსნება არა უბრალო მექანიკური შეცდომით, არამედ ლოგიკურად გამომდინარეობენ მისი მსოფლმხედველობიდან, რომელიც უგულებელყოფდა ისტორიაში ხალხთა მასების როლს.

კრებულში წარმოდგენილი მასალები ნათელ წარმოდგენას იძლევიან იმაზე, თუ როგორ წყვეტდნენ მარქსი და ენგელსი ესთეტიკის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიც არის კომიკური და ტრაგიკული სინამდვილეში და ხელოვნებაში, ტიპიურობა, შინაარსისა და ფორმის საკითხი ხელოვნებაში და სხვ. მარქსისა და ენგელსის შეხედულებანი ხელოვნებაზე წარმოგვიდგება როგორც მთლიანი ესთეტიკური მოძღვრება. ეს მოძღვრება გზას უნათებს სოციალისტური ქვეყნების კულტურის მუშაკებს თავიანთ ყოველდღიურ მოღვაწეობაში. ბურჟუაზიის აპოლოგეტები ყოველნაირად ცდილობენ ხელოვნების განვითარება სოციალიზმის დროს წარმოადგინონ დამახინჯებულად, დააშინონ მხატვრები იმის მტკიცებით, ვითომდა ჩვენს მხატვრულ შემოქმედებით პრაქტიკაში ინდივიდუალობის თავისუფლება არ არსებობდეს. მათ წისქვილზე წყალს ასხამენ ის ფსევდომარქსისტები, რომლებიც მარქსიზმის „დაცვის" ალმით რევიზიას უკეთებენ მის ძირითად პრინციპებს. მაგალითად, იუგოსლაველი მწერალი ტანასია მლადენოვიჩი, ეხება რა საბჭოთა მწერლებს, ისტორიული ფაქტების ჭინააღმდეგ ამტკიცებს, რომ სავალდებულო კავშირი, ერთი მხრივ პოლიტიკასა და მეორე მხრივ, ხელოვნებას შორის ნიშნავს ყოველდღიური პოლიტიკისადმი მის სრულ დამორჩილებას და არ ითვალისწინებს მწერლის დამოუკიდებელ თვალსაზრისს, მის მიერ სამყაროს აღქმას. მლადენოვიჩისა და მათი მსგავსი თეორეტიკოსების საყურადღებოდ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის წარმოებს ქმედითი ბრძოლა მხატვრის ინდივიდუალობის უგულებელყოფის წინააღმდეგ; ამის შედეგია, რომ საბჭოთა ხელოვნებამ მსოფლიოს მისცა არა ერთი მსოფლიო მნიშვნელობის ნიმუში. ყოველივე ამით მთლიანად დადასტურდა მარქსისტული ესთეტიკის მთავარი მიზანი: მხოლოდ კომუნიზმი შექმნის რეალურ ნიადაგს ადამიანების მთელი უნარისა და ძალების ჰარმონიული განვითარებისათვის.

მარქსისა და ენგელსის ნააზრევში დიდი ადგილი უჭირავს ესთეტიკური გრძნობის წარმოშობისა და სპეციფიკის საკითხს. მათ დაამტკიცეს, რომ სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება წარმოადგენს მისი (სინამდვილის) ათვისების ერთ-ერთ ფორმას. მათი აზრით, შემოქმედება „მშვენიერების კანონების" მიხედვით წარმოიშობა შრომითი მოღვაწეობის შედეგად. შრომის პროცესში, მიუთითებდა მარქსი, ადამიანი არა მარტო ცვლის ბუნებას, არამედ იცვლება აგრეთვე თვითონ. მარქსმა და ენგელსმა პირველად გვიჩვენეს, რომ ხელოვნების განვითარების წყაროა არა თვით მასში, არა მშვენიერების შესახებ ადამიანთა ცვალებად წარმოდ-

გენებში, არა სულის განვითარებაში, როგორც ამას ძველი ესთეტიკოსები ამტკიცებდნენ, არამედ საზოგადოებრივი ყოფიერების განვითარებასა და ცვალებადობაში.

ხელოვნების ზოგადი საკითხების გარკვევასთან ერთად მარქსმა და ენგელსმა ბევრი მნიშვნელოვანი შეხედულება გამოთქვეს ცალკეული მწერლებისა და ნაწარმოებების შესახებ. ეს შეხედულებები წარმოადგენს ხელოვნების მოვლენების მეცნიერული ახსნის საქმეში მატერიალისტური დიალექტიკის მოხდენილად გამოყენების ნიმუშს, წარსულის მემკვიდრეობისადმი პარტიულობის თვალსაზრისით მიდგომის ნიმუშს.

მარქსმა და ენგელსმა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ შექმნეს მოძღვრება, რომელიც შემდგომ განავითარა და გაამდიდრა ლენინმა. მტკიცედ ეყრდნობა რა ამ მოძღვრებას, პარტია თავის დოკუმენტებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე შემოქმედებითად ავითარებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების იდეებს. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკური შეხედულების შემოქმედებითად განვითარების მაგალითს წარმოადგენს პარტიული დოკუმენტი „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“.

კრებულის „კ. მარქსი და ფ. ენგელსი ხელოვნების შესახებ“ გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში. იგი ხელს შეუწყობს ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დარგში გაცხოველებულ მუშაობას, დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო საბჭოთა, არამედ აგრეთვე ხელოვნების საზღვარგარეთელ თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს მათს ბრძოლაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რევიზიონიზმის წინააღმდეგ სოციალისტური რეალიზმის პრინციპების გამარჯვებისათვის მსოფლიო ხელოვნებაში.

ამ კრებულის ქართულ ენაზე უმოკლეს ვადაში თარგმნა და გამოცემა ჩვენი რესპუბლიკის კულტურის მუშაკების საპატიო ამოცანაა.

ილია ტყეშელაშვილი,
დავით კაკაბაძე

---

## გ. შატბერაშვილის „მერცხლის ბუდეს“ გამოცემის გამო

★

თანამედროვე ქართველ საბავშვო მწერალთა შორის გ. შატბერაშვილი გამოირჩევა საკუთარი თემატიკით. მის შემოქმედებას ანოყიერებს უკეთილშობილესი იდეები. გ. შატბერაშვილის მოთხრობებში მთავარი მოქმედი პირი — ადამიანია, ეს ადამიანი უბრალო მაყურებელი როდია, იგი ბუნების მოვლენებზე მუყაითი დამკვირვებელი და უმწეოთა მფარველია. შატბერაშვილის მოთხრობებში აღწერილია ბუნების მოვლენები, სულდგმულთა თავგადასავალი და, ამავე დროს, აქვე იძერწება ადამიანების ხასიათი და სულიერი მოძრაობანი. გ. შატბერაშვილი ხატავს ბუნების გასაოცარ სიმდიდრეს, მის საიდუმლოებას და ბავშვში ნერგავს მისადმი სიყვარულს. მეორე მხრივ, გ. შატბერაშვილი ბავშვში ნერგავს შრომის ძალის შეგნებას. მწერლისათვის შრომის თემა გახდა ბავშვში კომუნისტური ჩვევის, ახალი მორალის გამომუშავების საწყისი. შრომა ადამიანს ძალ-ღონეს ჰმატებს და ახალისებს. გ. შატბერაშვილი ხშირად ბავშვის შრომას გაიდეალებულადაც წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში მისი ბავშვები გამოცდილ უფროსებს სჯობნიან მოსაზრებაში და სასოფლო საქმეების მოწესრიგებაშიც, მაგრამ მწერალს ეს მოსდის უფრო ბავშვების სიყვარულით, მათი მეგობრობით, ვიდრე ბავშვების უფროსებზე მაღლა დაყენების სურვილით.

გ. შატბერაშვილი თანამედროვე ცხოვრებაში ყველაფერს კარგსა და მშვენიერს ხედავს. მართლაც, ხომ არ შეიძლება ყველაფერი კარგის გამოგონება, თუ მწერალმა თავის თვალით მაინც არ ნახა და არ განიცადა კონკრეტული შემთხვევა. ალბათ გ. შატბერაშვილს თავის თვალითაც ბევრი კარგი დაუნახავს და განუცდია კიდევაც. მწერალს არ უნდა ბავშვი დატვირთოს მძიმე ფიქრებით და ბუნდოვანი აზრებით. იგი არც მძაფრ კონფლიქტებს ეძებს. მისი აზრით, კონფლიქტი, წინააღმდეგობანი თვით ბავშვის ბუნებაშია. მწერალი ნაძალადევად და მომაბეზრებელი დარიგებებით კი არ აწესრიგებს ბავშვის უწესობასა და ნაკლს, არამედ თვით ბავშვი მიჰყავს გარკვეულ შეგნებამდის. თუ ბავშვი თვითონ მიხვდება, რომ ბევრი რამ მისთვის საზიანოა, თუ ბავშვი თავის თავთან შერცხვა და ეს შეიგნო, ასეთ ბავშვს დარიგება არც ესაჭიროება. გ. შატბერაშვილის მიერ დახატულ ბავშვებს გულწრფელობა და სიმართლის თქმა ახასიათებთ, გ. შატბერაშვილი ბავშვის ინდივიდუალობას

საზოგადოებას უკავშირებს. ყველა ამ ღირსების მეოხებით გ. შატბერაშვილის მოთხრობების შემოქმედების ძალა მკითხველ ბავშვზე საგრძნობია. საბავშვო მოთხრობების სიუჟეტური სვლა არასოდეს არ არის მოდუნებული. ის დინამიკურია მაშინაც კი, როცა ბუნების აღწერილობაა გადმოცემული. ასეთია, ძირითადად, გ. შატბერაშვილის საბავშვო პროზა.

სარეცენზიო წიგნში შეტანილია მწერლის 39 მოთხრობა, მათგან — ორი მოზრდილი მოთხრობა „მტკვრის სათავისაკენ“ და „ნიკო და სიკო“, დანარჩენი პატარა მოთხრობებია. მართალია, ეს პატარა მოთხრობები ყველა არა დგას მხატვრულ სიმაღლეზე, ზოგი მოთხრობა ნაძალადევი, მოდუნებული და ტრაფარეტულია, მაგრამ ამ მოთხრობების უმეტესობა გვაჩვენებს, რომ მწერალი ბავშვების სამყაროსთან ახლო დგას და მათი სვებედით არის დაინტერესებული.

ავიღოთ თუნდაც პირველი მოთხრობა „ატმის კურკის ამბავი“. რა უბრალო ამბავია და რა დიდი მორალის შემცველია. პატარა გივი ზაფხულის განმავლობაში აგროვებდა ატმის კურკებს. უნდოდა სკოლის დავალება პირნათლად შეესრულებინა. რამდენადაც მეტი კურკა გროვდებოდა, იმდენად გივის გული სიხარულით ივსებოდა. გივის თავის მოხერხება და მუყაითობა ახარებდა, და მონდომებითაც აკეთებდა. ახლა ბებიაც დაჰპირდა ჭრელ ლამაზ ხურჯინის მიცემას და იშვიათი ნივთით კურკის მიტანა ხომ ყველას გააკვირვებდა. მაგრამ გივის არ გაუმართლდა ოცნება. მისი ეზოს და სკოლის ამხანაგმა ონავარმა ლადომ უმუხთლა. ღამით ხურჯინი კურკიდან გაათავისუფლა და აგურის ნატეხები ჩაუყარა. გივიმ როგორც გულმართალმა ბიჭმა, ეჭვი ვერავისზე მიიტანა. მაგრამ ცუდი საქციელი როდი დაიმალება. ლადო გასცა ატმის კურკიდან გაკეთებულმა სასტვენმა. იგი ყველგან უსტვენდა. ერთხელ მის სტვენაზე ტროლეიბუსიც კი გაჩერდა, ხალხიც შეგროვდა, რადგან მილიციელმა წესრიგის დამრღვევი ლადო დაიჭირა. გივიმ, რომელიც იქ შემთხვევით მოხვდა, იხსნა ლადო, დაუდგა თავდებად მილიციელთან და აღუთქვა, რომ ლადოს საქციელს რგოლის შეკრებაზე დააყენებდა და გაკიცხავდა. ლადოზე ამან გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა. მან ისევე ჩუმად ჩამოხსნა ჭრელი ხურჯინი, კვლავ აავსო ატმის კურკებით და პატრონს დაუბრუნა. გგონიათ, გივი არ იყო მიხვედრილი, ვინ უმუხთლა? აკი რაზმის ხელმძღვანელმა უთხრა, „საბუთი უსტვენსო“, მაგრამ კეთილშობილმა გივიმ საბუთი მაშინ ირწმუნა, როცა ხურჯინი კურკით სავსე ნახა. ამის შემდეგაც ლადო კი არ ამხილა, მას კი არ ეჩხუბა, არ გაუწყრა, არამედ მიამიტად უთხრა: „ვიღაცას ჩემი ატმის კურკა უკან მოუტანიაო!“ ლადოს შეეძლო დაემალა თავისი დანაშაული? არა, და გამოუტყდა კიდევაც. როგორ მოიქცა გივი? დიდი ტაქტით. მან აჰკიდა ხურჯინი ლადოს და სკოლაში წაალებინა, სიტყვებით: „არც ძველ დანაშაულს გაპატიებ და არც წუხანდელს, დღესვე რგოლის შეკრებას მოვიწვევ... აბა, ნაბიჯით იარ!“ მართლაც, გივი მოაწყობდა რგოლის შეკრებას, მაგრამ გივი აქაც ისეთ ტაქტს გამოიყენებდა, რომ ლადო თვითონ ძალდაუტანებლივ აღუთქვამდა ამხანაგებს, აღარასოდეს ჩაიდენდა ამხანაგების მიმართ გულისსატკენ ოინს. ჩვენ ეს გვჯერა.

ჩვენ ვთქვით, რომ შრომის თემა ერთი ძირითადი თემაა გ. შატბერაშვილის საბავშვო პროზაში. მწერლის მიერ დახატული ქართველი ბავშვების ხასიათი ძირითადად ყალიბდება შრომითი პროცესის დროს. მწერალს შრომა მიაჩნია ბავშვის გამაკეთილშობილებლად, ხასიათის ჩამოსაყალიბებლად, გამოსასწორებლად.

გ. შატბერაშვილმა ჯერ კიდევ მოთხრობაში „კარგი ბიჭი“ მკვეთრად, მთელი სიღრმითა და მომხიბვლელად გამოხატა, თუ შრომა როგორ ამაღლებს ხალხის თვალში დიდსა და პატარას, მშრომელი ადამიანი როგორ ხდება სხვისთვის მაგალითის მაჩვენებელი; შრომის აპოლოგიას წარმოადგენს გ. შატბერაშვილის უკანასკნელი მოთხრობა „ნიკო და სიკო“. აღნიშნული მოთხრობა ლირიზმით, ჰუმორითაა გამთბარი.

ბიძაშვილები ნიკო და სიკო ხასიათით განსხვავდებიან. სიკო უფრო გულმართალი და მორჩილია. ტანით ჯმუხი, დაბალი, მიწაში ჩარჩენილი მორივით იცოდა მაგრად დგომა; ნიკო კი ტანმაღალია, თითქოს ოჩოფეხებზე შემდგარი, ნემსივით წვრილ კისერზე კომბოსტოსოდენა თავით. ნიკო უფრო ონავარია, ყოველგვარი ხრიკის გამომგონებელი და აზარტის ამყოლი. მათ გვერდით დგას მამით ობოლი ვახტანგი, დიდი ტაქტის მქონე ბავშვი, შრომის მოყვარე, გამრჯე, ამხანაგის გამტანი. ნიკო და სიკო გამრჯელი კოლმეურნე შიოს ძმისწულები არიან. ცხოვრებაში გამოცდილი ძია შიო გულმშვიდად აჩვევს ბიჭებს დილაადრიან ადგომას, წყლის მოტანას და ბოსტანში შრომას. თუ ონავრებმა ადგომა დაიზარეს, ძია შიო თვითონ შეაბამს ურემში სახედარბარტყუნას და წავა წყლის მოსატანად. ძია შიო სწორედ ამ მოქმედებით არცხვენს ბიჭებს. ისინიც ერთმანეთზე გადაბრალებით, რომ ძია შეაწუხეს, წამოცვივდებიან და გარბიან მისაშველებლად. ძია შიომ ისე შეუმჩნევლად, ისეთი ტაქტით შეაჩვია შრომას ეს ჩვეულებრივი ბავშვები, რომ ზოგჯერ გამოცდილ პედაგოგსაც კი გაუჭირდება. ერთხელ ბიჭებს სამარცხვინო მარცხი მოუვიდათ, რაშიც მათი ხასიათი უკეთ გამოჩნდა. ძია შიომ არ აღირსა ბალით გამასპინძლება, თუმცა დაპირებული იყო. ბი-

ჰებს მოთმინება დაეკარგათ და ჩუმად გაკრიფეს.

მეტად ცოცხლად დახატა მწერალმა ბიჭების ბლის ხეზე აცოცება. მათ გული იჯერეს. ჭამით დამძიმებულებს ხიდან ჩამოსვლა გაუჭირდათ და ჩამოსვლის დროს ერთი კუნწულა ხის ქვეშ მძინარე ძია შიოს ფეხთით დაეცა. ბიჭებმა კვალის დასაფარავად თავიანთ უბანს სხვა მხრიდან შემოუარეს და თავი სამშვიდობოს დაიგულეს. მაგრამ რაიმე დანაშაული განა დაიმალება? მაშინ, როდესაც ჩვენი გმირები სიამოვნებასა და განცხრომაში იყვნენ, მათი მეზობლის ბიჭი და სკოლის ამხანაგი ვახტანგი ბარით ხელში თავგამოდებით რწყავდა სიმინდს და თან თვალს ადევნებდა ბიჭებს. ბიჭებმა როდი დაიშურეს ბალი. ვახტანგმა კარგად შეატყო, საიდანაც და როგორც ჰქონდათ ბიჭებს ბალი მოპოვებული და ბლის ტოტი რუს პირას ჩრდილში მიდგმულ კალათს გადააფარა.

ბიჭების მიერ ბალის ჩუმად გაკრეფა შიომ კუნწულით შეიტყო. ის ჩვეულებრივი ტაქტით ჯერ დინჯად შეეკითხა მათ, მაგრამ უარის მიღებისთანავე კუნწულით ხელში გაიყოლიებს ბიჭებს კვალის მიგნებისათვის. კვალმა ვახტანგთან მიიყვანა. მას ბალი ჯერ არც კი ეჭამა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ვახტანგი მშრომელიც არის, ჭკვიანიც და ამხანაგების გამტანიც. მან არც ამხანაგები გათქვა და ბალსაც ნაქურდალი არ უწოდა.

ბიჭებმა თავი ნაწისქვილარში შეაფარეს. სიკო უფრო ღრმად განიცდის მომხდარ ამბავს და წუხს კიდევაც. ნიკო კი სულ იმის ფიქრშია, თუ როგორ გადაუხადოს სამაგიერო ვახტანგს. და აი, რა მოიგონა: მიჰყვეს ნაკადულს, რუს სათავემდის და წყალი გადაახვიოს! სიკომ უფრო იცის შრომის ფასი და მშრომელის პატივისცემა, ამიტომ ის ეწინააღმდეგება ნიკოს. მაგრამ ნიკო მაინც წავა და რუს სათავეს ერთხელ კი არა, ორჯერ მოშლის, თან სიამოვნებას განიცდის ვახტანგის წვალებაზე, ვახტანგისა, რომელიც გულხეთქებით ამოვარდება რუს გადასაგდებად. ნიკო ფრიად კმაყოფილი და გახარებული იყო თავის ოინით, სიკო კი არა მარტო გრძნობდა ვახტანგის მიმართ უადამიანო მოქცევას, მის დაძაბულობას, ჯაფას, თავდადებას, არამედ მას ეცოდებოდა კიდევაც უდანაშაულო ვახტანგი, მით უმეტეს, ვახტანგს ვადა უკვე გასთავებოდა და მეურვემ წყალი აღარ მისცა, ვახტანგს მოურწყავი დარჩა სიმინდი. აქ კი ველარ მოითმინა სიკომ და ნიკოზე ჯავრი იყარა. ამ ციდა და ჯმუხმა ბიჭმა მუჯლუგუნით ნიკო ორჯერ დასცა გულაღმა. სიკოს ფიზიკურად გამარჯვებამ და სულიერად ნიკოზე მაღლა დგომამ ნიკოზე მორალურად იმოქმედა. მათ ორივეს როგორღაც უნდა გამოესყიდათ დანაშაული, და გამოისყიდეს კიდევაც. სიკომ გულმართლად უამბო ყველაფერი როგორც ძია შიოს, ისე ვახტანგს. მისი გეგმითვე გამოისყიდა ნიკომ დანაშაული: მას დაევალა ნაკვეთის მორწყვა.

მართალია, ჩვენ არ ვიცით სამი ბიჭის ბიოგრაფია, არც წითელი ყელსახვევები უკეთიათ მათ, მაგრამ ვგრძნობთ, რომ ისინი თავიანთი ფსიქოლოგიური განწყობით, შრომისადმი დამოკიდებულებითა და სიყვარულით, ერთმანეთზე ზემოქმედებით ჩვენი ეპოქის ქართველი ბავშვები არიან, სხვებისათვის კარგი მაგალითის მიმცემნი.

შესანიშნავი მოთხრობაა „მტკვრის სათავისაკენ“. იგი ფართო ამბების შემცველია. ავტორი დიდი დახვეწილობით გადმოგვცემს წყლის მობინადრე თევზების ცხოვრებას, მათ ზნეს, მათ მონაწილეობას ადამიანთა ცხოვრებაში. შატბერაშვილი თევზებზე გატაცებითა და სიყვარულით წერს. უჩინარ თევზებს თავისი სამყარო აქვთ, როგორც ფუტკრებს, ჭიანჭველებს, ფრინველებს, ცხოველებს. თევზებსაც ჰქონიათ ბუნების სიმშვენიერის შეგრძნობა. თევზებს აქვთ ქცევის გარკვეული წესი. ქარავნის გამგზავრება, მისი ორგანიზაცია. თევზებს ჰყავთ ქარავნის წინამძღოლი, მეთაური. აბა ნახეთ, მეთაურ უშიშა კალმახს როგორ უყვარს თავისი მომავლის იმედი პატარა მერცხალა. თავს ევლება, წვრთნის მეთაურად და შეჰხარის. მკითხველი თითქოს თვალით ხედავს ქარავნის გამგზავრებას, მათ ქცევას, იმდენად ცოცხლად აქვს აღწერილი მწერალს. მაგრამ როცა ქარავანს გაშლილი ბადე შხუილით დაეცა და ქარავანი აირია, აიბნა, რა გასაოცარი ძალით ცდილობს უშიშა ქარავნის დამორჩილებას, მის დაბნეულობის წესრიგში მოყვანას. ყველა ამას, როგორც ვთქვით, თითქოს ხედავთ და მწერლისაც გჯერათ, როცა ამბობს, „უშიშას განა ერთი და ორი განსაცდელი ჰქონდა გადატანილი. ბევრჯერ ალმასის კბილებით დაუგლეჯია დახლართული ბადე, მებადურებს თვალსა და ხელს შუა გასხლტომია და სამშვიდობოს გასულა“. უშიშა სამართლიანი და მკაცრი იყო. ის შიშსაც უნერგავდა კალმახებს და სიყვარულსაც. გაიყვანდა მდინარიდან მერცხალას ტოლებს, დაამწკრივებდა და ეტყოდა: „აბა, ვინც უფრო სწრაფად გავა მტკვრის მეორე ნაპირზე და პირველი დაბრუნდება, ის იქნება ნამდვილი კალმახიო“.

მოთხრობის შესანიშნავ ადგილს წარმოადგენს, თუ როგორ იბრძვიან სიცოცხლისათვის და თავისუფლებისათვის ბებერი ლაყუჩა კალმახი, და ბალახებში გახლართული, აგრეთვე, ბადეში გაბმული მერცხალა. მაგრამ უფრო წარმტაცია უშიშასაგან განკიცხული მორბედას თავგადასავალი. მას ორაგულთან ბრძოლაში

მარცხენა თვალი დაუზიანდა და საგნებს ძლივს არჩევდა. იგი ამტანი და უთქმელი იყო, არავის უმხელდა თავის უბედურებას. ახლა დიდი მარცხი მოუვიდა. მას ჩააბარა პატარა კალმახები უშიშამ და ქარავნის მომავალი იმედი მერცხალა კი დაიკარგა. აი, ამის გამო განდევნა უშიშამ მორბედა. ამან ეს ვერ აიტანა, მორბედა ამაყიც იყო და გასაჭირში არავის ეჩვენებოდა. ამიტომ გასაოცარი რამ ჩაიდინა. იგი თავგამეტებით „საოცარი სისწრაფით, გმინვითა და ქშენით გაქანდა და წყალში ჩაშვებულ ლოდს თავით დაეჯახა. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ კალმახი უკან გადმოვარდა, ანკარა წყალი სისხლით შეიღება... „მორბედამ ორი კალმახის ლანდს რომ თვალი მოჰკრა, სიამაყემ სძლია და რომ მისი თავის დასჯა არავის დაენახა, ლონე სწრაფად მოიკრიფა და ელვის სისწრაფით გაუჩინარდა. მორბედა გხიბლავთ თავისი ლმობიერებით, სიმხნევით. უკან დადევნებულ კალმახებს, რომლებიც დარანში წასვლას ემუდარებიან, იგი სიყვარულით ეტყვის: „წადით, წადით... თუ გადავრჩი, ჩემს დანაშაულს როგორმე გამოვისყიდი, ალბათ, ბედი მქონია".

ჩვენ მიერ მოტანილი კალმახების თავგადასავალი მხოლოდ ფონია (თუმცა ამ ფონს მოთხრობის სამი ნაწილი უკავია) იმისათვის, რომ ავტორმა ორი სამყარო — იქითა, კაპიტალისტური დაუპირისპიროს აქეთა მხარეს — სოციალისტურს. კალმახებიც კი თითქოს გრძნობენ იქითა მხარის მოწყენილსა და პირქუშ იერს, სევდიან მოთქმას, უკულმართი ბედის ჩივილს, ხედავენ იქითა მხარის ადამიანების ტანჯულ სახეებს, ნაღვლიან თვალებს, გამხდარ სხეულებს. კალმახებიც კი ვერ შეჰრიგებიან ამას და მოისწრაფვიან ისევ ხერთვისისაკენ, სახეგაბრწყინებული პიონერებისაკენ, რომელნიც მხიარულ სიმღერებს აგუგუნებენ. ამგვარად, მკითხველი თუ იმ მხარის ცხოვრებას ეცნობა, მეორე მხრივ, თვალწინ ცოცხლად უდგება თევზების ხასიათი, მათი ზნე-ჩვეულება, მათი სულიერი სიმტკიცე, თავისუფლებისათვის ბრძოლა, აგრეთვე დიდ ესთეტიკურ სიამოვნებასაც მიიღებს იმ პოეტური ადგილებისაგან, რითაც შემკულია მოთხრობა.

ამგვარად, გ. შატბერაშვილის საბავშვო მოთხრობების კრებული „მერცხლის ბუდე" ნათლად გვიჩვენებს რომ იგი თვალსაჩინო საბავშვო მწერალია.

**ანა ღვინიაშვილი.**

---

## რევაზ ინანიშვილის მოთხრობების მეორე წიგნის შესახებ

★

პროზაიკოსის ხალასი ნიჭით იყო აღბეჭდილი რევაზ ინანიშვილის პირველი მოთხრობები. მან იმთავითვე გვაგრძნობინა სინამდვილესთან მიდგომის მწერლური თავისებურება, და ამით მიიქცია კიდეც მკითხველის ყურადღება. თითქოს ვიწრო სჩანდა მწერლის თვალთახედვის ჰორიზონტი, იგი არც ცდილობდა, ფართო პლანით გამოეხატა თავის მიერ დანახული, შემჩნეული თუ აღმოჩენილი. ბელეტრისტული ხერხებით, მანერით იგი ტრადიციული იყო, ტრადიციული და არა ეპიგონური. და მაინც მის საუკეთესო თვისებებთაგან მკაფიოდ იგრძნობოდა დამკვირვებლის თვალი. ეს შეადგენს მისი, როგორც მწერლის, ხასიათს, შინაბუნებას და აქედან მოდის მისი ნიჭის უტყუარი თავისებურებანი. როდესაც მწერალზე ამბობენ, დაკვირვებული თვალი აქვსო, გულისხმობენ, რომ იგი სხვათათვის შეუმჩნეველს ამჩნევს ცხოვრების მრავალფეროვნებაში, იმავე დროს, ეს მრავალნაირობაში ნაპოვნი ერთადერთი, სხვათა თვალში უმნიშვნელო, უცებ ყველაზე მნიშვნელოვნად გვიჩვენებს სინამდვილეს. პატარაში დიდის განჭვრეტის ეს პრინციპი მისთვის ყველაზე ორგანული აღმოჩნდა. ამიტომაც ბევრი რამით დავალებულია იგი ჩეხოვისაგან. ოღონდ მისთვის უცხოა ჩეხოვისებური მწარე ირონია. იგი თავიდანვე მოხიბლული იყო უბრალო ადამიანის სულიერი მშვენიერებით და ძირითადად ამაზე აგებდა თავის პირველ მოთხრობებს. მას იტაცებდა ადამიანში ღრმად ჩაფესვილი კეთილშობილება. აქ ხედავდა იგი თავისი დროის მორალის სათავეს. მისი დარაჯი ნიკალა, სკოლის ცეცხლფარეში იაგორა, ოფიციანტი მაია, ვულკანიზატორი ნატაშა, მოულოდნელი სულიერი თავისებურებით დგებოდნენ მკითხველის წინაშე და აჯადოებდნენ მას. აქაც, ადამიანთმცოდნეობაში იგი დიდ ჰუმანისტებს ეყრდნობოდა; ამიტომაც ადამიანთან მისვლას კი არ ცდილობდა იგი სინამდვილის შეცნობის გზით, არამედ, პირიქით, ადამიანის შეცნობით პოულობდა სინამდვილესთან მისასვლელ გზებს. ეს პრინციპი თავისთავად მოითხოვდა ადამიანის ფსიქოლოგიაში გარკვევის ალღოს,

დაკვირვების უნარს. შეიძლება ითქვას: ეს ყველაფერი მან წიგნებიდან მიიღო, სულ ერთია, ვისგან უფრო მეტად, მ. გორკისაგან, ჩეხოვისაგან, ალფონს დოდესაგან თუ რომელიმე ქართველი მწერლისაგან. შემდეგ თვით ცხოვრებას ჩაუღრმავდა. აქ წიგნი კარიბჭე იყო, რომელზეც მთავარი პრინციპები ამოიკითხა სინამდვილისა, შემდეგ კი შეეცადა, ღრმად შესულიყო სინამდვილეში. ძალდაუტანებლად, შინაგანი მოქალაქეობრივი თუ მწერლური ინტერესით ჩაება იგი ცხოვრებაში, მუშაობდა ქარხანაში, სამგორის მშენებლობაზე. აქ პოულობდა თავის გმირებს, ნატურიდან იხატავდა მათ, დაღლილი მარჯვენით წერდა იგი პირველ მოთხრობებს, ცდილობდა სიყალბე არსად შეპპარვოდა, დოკუმენტალური სიზუსტით გადმოეცა უბრალო ადამიანების ამბავი. ამ მხრივ მისი პირველი მოთხრობები თითქოს რეპორტაჟს მოგვაგონებდა. აქ მწერალი აზარებდა მკითხველს უცნობ, შეუმჩნეველ ადამიანთა დიდბუნებოვნებით. წერისას იგი უაღრესად ლაკონიური იყო, ფრაზა მოქნილი, დაუმუშავებელი ჰქონდა, სიტყვიერი მასალა — თვით ცხოვრებიდან ამოკრეფილი, დიალოგები — სტენოგრაფიული სიზუსტით გადმოწერილი მისთვის საინტერესო ადამიანების საუბრებიდან.

და ყველაფერი ეს იყო კარგი დასაწყისი.

შემდეგ რევაზ ინანიშვილი ჩვენ თვალწინ დაოსტატდა, როგორც მხატვარი. მან იგრძნო, რომ თავისი სამზერიდან თითქოს ერთი და იმავეს ხედავდა მხოლოდ, შეეცადა კიდეც, უფრო ვრცლად გამოეხატა ცხოვრება, ახალი ადამიანები შემოეყვანა თავის მოთხრობებში. იგი გულდასმით სწავლობდა მწერლობაში ყოველ ახალ საინტერესო, გახმაურებულ ნაწარმოებს, მთავარი ტენდენციების ამოცნობას ეშურებოდა პოეზიაში, კინომატოგრაფიაში, ფერწერაში. ბოლოსდაბოლოს, ეს ძიებები დაეტყო მის მოთხრობებს, ზოგი რამ შეიცვალა მის სტილში, უფრო დაიხვეწა და გამდიდრდა. მაგრამ მეორე წიგნი თითქოს გაგრძელებაა პირველისა, და არა გაღრმავება. თავი დავანებოთ იმას, რომ საერთო სათაური „მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან“ უნებურად გვახსენებს ალფონს დოდეს ქმნილებას — „წერილები ჩემი წისქვილიდან“. მთავარი ეს არ არის: მთავარია სულ სხვა: როგორია ამ წიგნში მწერლის სამყარო, რა მოხდა ასეთი საინტერესო მასში, რა შემოიჭრა მნიშვნელოვანი, ამაღელვებელი? ამაზე ძნელია უცებ თქვა: მასში დასრულებული და გაღრმავებულიცაა ბევრი რამ ადრინდელი, მაგრამ არის უფრო მკაფიოდ გამოვლენილი ის ხარვეზებიც, რომლებიც ადრეც ახასიათებდა მწერალს.

როდესაც ჩვენ მოხუცი დარაჯი ნიკალა („ბუდრუგანში“) ნატაშა („უცნაური“) ან მაია („მაია“) გავიცანით, პირველად საინტერესო ნაცნობობა გაიბა მწერალთან, მის გმირებთან. ეს იყო სასიხარულო ნაცნობობა. რ. ინანიშვილმა მართლაც ძალზე თავისებური, ლამაზი ბუნების ადამიანები დაგვანახა, მათი ცხოვრების პოეზიით გაგვათბო. და ეს იყო მეტად ინტიმური, გულთბილი შეხვედრა მწერლისა და მკითხველისა. ახლებურად იყო დანახული გარე კახეთის პეიზაჟები, ამ გმირების გარემო და ჩვენ ველოდით, რომ მწერლის ვარდისფერი სათვალეები წარსულს ჩაბარდებოდა და ჩვენი ცხოვრება მეტი შინაგანი სიმძაფრით, მღელვარებით, წინააღმდეგობებით და მათი დაძლევის ძლიერი პათოსით აღიბეჭდებოდა მის მოთხრობებში. ცუდად არავინ გაგვიგოს, ამით მწერალს იმას როდი ვეუბნებით, საკუთარი მანერა შეიცვალოს, სხვის ხმაზე ამღერდეს. ამით მხოლოდ ის გვინდა ვთქვათ, რომ იმავე დეტალებში, ნახევარტონებში და ნიუანსებში შეიძლება გადმოიცეს ცხოვრების დიდი ამბები. სულ ერთია, რაში გვაგრძნობინებთ მკლავის ძალას შოლტის მოქნევაში თუ მახვილის, ოღონდ გვაგრძნობინეთ კია. სადღაც მწერალმაც იგრძნო ეს, იგრძნო და შეეცადა კიდეც თავისი გმირების სარბიელი უფრო გადაეშალა, ადამიანიც მარტო ერთი მხრით, მისი სულიერი კეთილშობილების მხრით, კი არა, მრავალწახნაგოვნად ეჩვენებინა. რა თქმა უნდა აქ იგი ვერ იქნებოდა ზედმეტად ტემპერამენტიანი, აგზნებული და გატაცებული ავტორი დამკვირვებლის, ანალიტიკოსის, ოდნავ ლირიკულად განწყობილი ადამიანის საპირისპიროდ. მაგრამ ეს მაინც შესძლო მან. ამას ადასტურებს მოთხრობა „ჩურჩხელები“. ვინ არის მოხუცი ცეცხლფარეში „იაგორი“? ეს ისევ ჩვენი კარგი ნაცნობი ნიკალაა „ბუდრუგანიდან“, მასავით კეთილი, მასავით კაცთმოყვარე ადამიანი, უაღრესად პატიოსანი მოქალაქე, ტკბილი მოხუცი. მაგრამ თავისთავად ამ კაცის ალტრუისტული ბუნების გამოხატვა არ არის მწერლის ამოცანა. აქ სულ სხვა რამაა მთავარი. ეს მოხუცი დავიწყებული ადამიანია, დავიწყებულია შვილისა და სიძისაგან. იგი ლანდივით დაფათურობს საკლასო ოთახებში, ღუმელებს უნთებს ბავშვებს, ზრუნავს მათზე, მის მიმართ კი თითქმის არავინაა გულთბილი. ეს მოხუცი კაცი ააფორიაქა შემთხვევით გაცნობილი ბიჭების პატარა „განსაცდელმა“ — გამოცდებს ჩააბარებენ თუ ჩაიჭრებიან. ბიჭები დაპირდნენ, რომ შედეგს შეატყობინებდნენ, მაგრამ არც გახსენებიათ ბერიკაცი. ისინი სწავლობენ, მეცნიერებას ითვისებენ, ადამიანის გულისა კი თითქმის არა გაეგებათ რა. და მწერალი იაგორთან ერთად საყვედურობს ამ გულქვა ახალგაზრდებს, საყვედურობს ყველა შვილს, ვისაც მშობლის გული დავიწყნია და ეგოიზმს გულისყური წაურთმევია ახლობელი ადამიანისადმი. ეს საყვედური მწარეა თავისთავად. მიტოვებული, მივიწყებული მოხუცი იაგორიც მკითხველის

თანაგრძნობას იწვევს. მაგრამ საყვედური მაინც საყვედურია და სხვა არაფერი. რა მოხდა? ბიჭები დაპირდნენ, შეგატყობინებთ გამოცდაზე რას მივიღებთო, მაგრამ ვერ მოვიდნენ მოხუცთან, დაავიწყდათ. ან იქნებ არ დაავიწყდათ, განგებ არ მოვიდნენ, საჭიროდ არ მიიჩნიეს სიტყვის შესრულება. იქნებ ვერც ის წარმოედგინათ, რამდენად აწყენინებდნენ მოხუცს, რომელსაც საგულდაგულოდ შეხვეული ჩურჩხელები მოჰქონდა მათთან? მე არ მინდა ოდნავადაც დავამცირო ეს მეტად საინტერესო მოთხრობა, მაგრამ იგი მაინც ვერ ადის დიდი ვნებათა ღელვის სიმაღლეზე. ძალიანაც რომ ეცადოთ, ამ საქციელის მიხედვით ვერ გაიგებთ როგორი არიან ის „ბიჭები“, რომელთაც, ვინ იცის, უნებური ტკივილი გამოუწვიდათ. თავისთავად დეტალიზაცია მთელ ამ მოთხრობაში ძალზე ოსტატურად, გამოცდილი ხელით არის შესრულებული. ხელშესახებად, გაცოცხლებულივითაა თვითონ მოხუცი იაგორა და მისი მეუღლე ელისაბედი, იმ უცნობ ბიჭებსაც ხედავს მკითხველი. თავისთავად იაგორის ხასიათში არის რაღაც მელოდრამატული, ჭარბი გრძნობიერება, რაც თანაგრძნობასთან ერთად სიბრალულსაც ბადებს მკითხველში. „მეფე ლირის“ ტრაგედია შვილების გაშმაგებულ ეგოიზმსა და მამის ეჭვიანობაზეა აგებული, მაგრამ, აბა, სცადეთ და უბრალო განაწყენებათ აქციეთ მეფე ლირის ზვიადი მძვინვარება, რა დარჩება მაშინ ამ საკაცობრიო რეზონანსის ვნებათაღელვიდან? როგორც ჩანს, ყოველ პრობლემას, ყოველ თემას აქვს უმაღლესი და უმდაბლესი ზღვარი და ზედმეტი დაწვრილმანება თემისა.

ეს საყვედური დაწვრილმანებისა „ჩურჩხელებზე“ მაინც ბოლომდე არ ითქმის. სხვა რომ არა იყოს რა, ბიჭებთან „კონფლიქტის“ გარეშეც იაგორის ხასიათი თავისთავად კარგად არის დახატული და ცხოვრების პატარა მონაკვეთი იშვიათი სიცხადითაა განათებული. მოთხრობაში „გადასასვლელზე“ ძალზე პოეტურად, რაიმე გადაჭარბების გარეშე ნაამბობია ორი ახალგაზრდის ლამაზ სიყვარულზე. როგორც „ჩურჩხელებში“, აქაც უნდა დრამატიზმი შეიტანოს ავტორმა. და რას ვიგებთ მოთხრობის ბოლოს? ეს ორი ახალგაზრდა გაშორებია ერთმანეთს, სიყვარულიც გამქრალა. ცხოვრებაში ხდება ასე და ამას როდი მოსდევს უმნიშვნელო სულიერი ტკივილები. სიყვარული კი ნამდვილად ლამაზი და ღრმა იყო. ეს ჩანს ყველაფრიდან, მათი გაცნობიდან, მომავალზე ოცნებიდან, ერთმანეთთან ძალზე ფაქიზი, მეგობრული ურთიერთობიდან. მეტად ლირიკულ ტონებშია ნაჩვენები ეს სიყვარული. ხასიათებიც ცოცხალია, ხელშესახები. და უცებ... „მაგრამ სემესტრის ბოლოს ჩვენი ბედნიერება გაიბზარა. პოეზიის მაცდურ გზაზე დამდგარმა რამდენიმე საგანში ჩათვლა ვერ მივიღე და სულ მივატოვე სასწავლებელი“. და ეს საკმარისი აღმოჩნდა დიდი, ლამაზი სიყვარულის გასაქარწყლებლად... „ეს თითქოს ჩვეულებრივი დამდურება იყო. მალე ისევ შევრიგდით, მაგრამ მისი წყნარი თვალებიდან ის შიში, ჩემთვის ესოდენ აუტანელი შიში, მაინც ვერ განვდევნე. ის აღარ მეკითხებოდა რის გაკეთებას ვაპირებდი მომავალში, მაგრამ ყოველ წამში კი ველოდი მას. მეჩვენებოდა, რომ აი ახლა, აი ახლა მკითხავს, ჩამომყვება ძირისძირობამდე და გამოააშკარავებს ჩემს ნამდვილ სახეს, რომელიც რაღაცით თვითონ არ მომწონდა“. სახელდობრ, რითი? რა არის ეს „ნამდვილი სახე“, რომელიც გახდა მიზეზი ამ ორი ადამიანის დრამისა? ეს ამოუცნობია მოთხრობაში. გასაგებია, მთელი ნაწარმოების სევდიანი განწყობილება, ბუნებრივია ლირიკული, ოდნავ სენტიმენტალური ტონიც, მაგრამ შთანაფიქრი? თვით მოტივი დრამისა აქ მეტისმეტად წვრილმანია, რაღაც ახირებას უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზულ საბაბს. ეს მშვენივრად დაწერილი მოთხრობა ამიტომაც ბევრს აგებს. კარგია, როცა რ. ინანიშვილი თავის მოთხრობებში გულმოდგინედ ახორციელებს ჩეხოვის პრინციპს, რომ ნაწარმოებში არაფერი იყოს ზედმეტი. ზედმეტი მართლაც არაფერი უნდა იყოს, მაგრამ შთანაფიქრის ორიგინალობა, ნაწარმოების ინტელექტუალური, მისი მორალურ-ფილოსოფიური ქვეტექსტი მეორეხარისხოვანი რამ როდია.

საწინააღმდეგო ხასიათისაა „საყვარელი დღეები“. აქაც სიყვარულის ამბავი, სტუდენტური ყოფის პოეზიაა, ფაქიზად, განწყობილებით შესრულებული! შედეგი კი სრულიად სხვაა. ორი ახალგაზრდის ნაცნობობა ერთგვარი გამომწვევი, ათვალისწუნების ნაირი ურთიერთობით იწყება და ჰარმონიული, ბედნიერი სიყვარულით მთავრდება. თავისთავად ამ ბედნიერ სიყვარულში, ისე როგორც იმ უპერსპექტივო სევდიან რომანში („გადასასვლელზე“), არის პოეზია, არის სილამაზე. მაგრამ აქაც შთანაფიქრს სიღრმე აკლია. ამის გამო ხასიათები ნაკლებ რელიეფურნი არიან. გასაგებია ისიც, რომ რ. ინანიშვილის სტილისთვის უცხოა ეპიკური გაშლა ამბებისა, ეპიკური დასრულება. იგი ლირიკოსი მხატვარია, თითქოს აკვარელით მუშაობს. მაგრამ აქაც მარტოოდენ განწყობილების შექმნაზე დაყრდნობა და ღრმა აზრის, შთანაფიქრის ზედმეტი სიმკრთალე-უკიდურესობაა. ამას ჩვენ ვეუბნებით მწერალს, მეტად საინტერესო შემოქმედს, რომლის დიაპაზონი ხვალზევ უნდა გაიზარდოს და თავისი მესამე წიგნით ახალ სიმაღლეზე ავიდეს. მწერალს, რომელიც ნამდვილად შეჩვეულა დეტალებით აზროვნებას, აქვს კომპოზიციის გრძნობა, კარგი ლექსიკა, საკმაოდ განვითარებული შეგრძნობა მხატვრისა. მისი ყოველი მოთხრობა მკვეთრ ჩარჩოში ზის, მან იცის ამბის ორიგინალურად

დაწყება და დასრულება, შეთვისებული აქვს მკითხველთან საუბრის სხვადასხვა ხერხი. მაშ რატომ უნდა გაურბოდეს იგი მწვავე დრამატულ სიტუაციებს, რატომ არ ამჟღავნებს მომადლებულ პოეტურობას ხასიათების მკვეთრ შეჯახებებში? ალბათ ესეც სიჭაბუკის ამბავია, ჯერ კიდევ მეოცნებე, ლირიკოსი სჯობნის დამკვირვებელს, ანალიტიკოსს, ინტელექტის ადამიანს. ამ მხრივ რომ საჭიროა მისი შემოქმედების გაღრმავება-განვითარება, ამას თვითონვე გრძნობს მწერალი. „აბა, თვითონ მითხარი რა დაგიწერო? ვთქვათ, ეს დავწერეთ, რომ ნორჩ ალვას გავხარ, ტანკენარსა და სათუთს, მაჰავით მეოცნებე, სიხარულით თუ მწუხარებით მთრთოლი. ვთქვათ ისიც დავუმატეთ, რომ ლექციებს არ აცდენ, რაღაც-რაღაცებს სწავლობ, სახეგაბრწყინებული მოდიხარ უნივერსიტეტში და უხალისოდ ბრუნდები შინ... განა ეს მოთხრობა იქნება? არა, არა? მაშ რა ვქნათ? („ნათელა“) რა ვქნათ? ამას მწერალს ვერავინ ასწავლის. იგი იმიტომაც არის მწერალი, რომ სხვაზე უკეთ ძალუძს ცხოვრების სიღრმეებში შეჭრა და ახლის აღმოჩენა, მისი ცოცხლად, მომხიბლავად გამოხატვა. და აქ, დაკვირვების უნართან ერთად, ფანტაზიაც საჭიროა, არა განქენებული, არამედ სინამდვილიდან აღმოცენებული ფანტაზია. იმავე „ნათელაში“ რ. ინანიშვილი მოკრძალებით ამბობს: „ფანტაზიით? ო, მე უთუოდ ძალიან ხელმომჭირნე კაცთან მოვხვდი, როცა ამ მადლს არიგებდნენ... ესეც არ იყოს, ფანტაზია თუ სინამდვილესთან ცოტათი მაინც არ არის ახლოს, რა ფასი აქვს ასეთ ფანტაზიას?! სინამდვილე კი... სინამდვილე მეტისმეტად უცნაური რამაა“. ყოველივე ეს მოწმობს, რომ რ. ინანიშვილი ჯერ კიდევ რთული ძიებების პროცესშია, ჯერ კიდევ არ დამცხრალა მასში მეოცნებე, ჯერ კიდევ ჯიუტად ეძიებს იგი როგორც ცხოვრებაში, ისე ხელოვნებაშიც. საინტერესოა ისიც, რომ მისი მოხუცების სახეები უფრო დამაჯერებელი, ფსიქოლოგიურად უფრო დასრულებულია, ვიდრე ახალგაზრდებისა. შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ თვითონ ახალგაზრდობის ასაკში ხასიათები ჩამოყალიბების პროცესშია, ბევრი რამ დაუდუღარი, დაუდგენელია? არა ნაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ახალგაზრდების ცხოვრებას იგი მოხუცის თვალებით უყურებს ხშირად, მუდამ საჭიროებს ამგვარ კონტრასტს „ცუდი ჭაბუკების“ სულიერი მანკიერების გამოსამჟღავნებლად, ასეა დაწერილი „ჩურჩხელები“, „მამა და შვილები“, „ნოშრევანის ნაამბობი“. მაინც ეს ახალგაზრდები, საერთოდ, „ცუდი ბიჭები“ არიან, ცალ-ცალკე კი მათი ბუნება ჯერ კიდევ ამოუცნობია ამ მოთხრობებში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „ცუდი ბიჭები“ მას აინტერესებს თვით ხანდაზმული ადამიანების, იაგორისნაირი მოხუცების ხასიათების ბოლომდე გასახსნელად. თვითონ ახალგაზრდების ბუნება კი მის მოთხრობებში ჯერ კიდევ ესკიზურად არის გამოხატული, ხასიათის რაიმე ცალკეული ნიშნის მიხედვით. ასეა ეს მოთხრობებში „კისკისა“, „სასაცილო“, „გრძელი დღე“. იგი კარგად იცნობს სოფლის ადამიანებს. იშვიათი სიზუსტით აღწერს მათ ჩაცმულობას, მანერებს, ზუსტად გადმოსცემს საუბრის კილოსა და ტონს, გრძნობს ხალხური იუმორის, აფორიზმის, გადაკრული სიტყვის, მახვილი გამოთქმის ძალასა და სურნელებას. ადამიანის გარეგნობაში იგი დაიჭერს ხოლმე დამახასიათებელ შტრიხს და ამით სახეს ერთი მოსმით ხატავს. მის ნიკალას („ბუდრუგანაში“) ისეთი წამოფარფლილი წარბები აქვს, თითქოს ქოხიდან გიყურებსო, იაგორა („ჩურჩხელები“) ქურთუკს, თექის ჩექმებს და ქუდის ზემოდან მოხვეულ ყაბალახს ატარებს. ერთი გმირი ისე დადის, თითქოს ბარავსო, მეორეს ენა ებმება, მესამე სხაპასხუპით ლაპარაკს არის დაჩვეული; ერთი ყველაფერ უცნაურს, აწირებულს შეამჩნევს ხოლმე (როსტია, „სასაცილო“), მეორეშ გულიანი სიცილი იცის („კისკისა“), მესამის სტიქია მოსმენაა, დუმილით ლაპარაკობს („გადასასვლელზე“). ამ თვისებათა ტიპიზაცია, განზოგადება ხდება რ. ინანიშვილის მოთხრობებში. შთანაფიქრიც ხასიათის ამა თუ იმ ნიშნის ლოგიკურ განვითარებას ემყარება უმეტესად, მაგრამ არა ყოველთვის. ზოგჯერ იგი ხასიათებსაც არ ხატავს. ბუნდოვნად, როგორც დაუმთავრებელ სურათზე გვიჩვენებს ადამიანებს მყუდრო ბაღის ფონზე და რაღაც დიდ სევდაზე, ცხოვრების დრამით აღძრულ სევდაზე მიგვანიშნებს („სევდა“); ამ შთაბეჭდილების, სევდიანი განცდის იქით არ მიდის, არც აინტერესებს ადამიანების ბედი. მეორე შემთხვევაში კი ადამიანის სულის ყველაზე ღრმა კუნჭულში ჩაიხედავს, იქ აღმოცენებულ სიხარულს გვამცნობს („ბიჭი“). მას უხვად მოეპოვება ფერები, თითქოს მრავლად ჩაუხატავს ადამიანები ნატურიდან თავის ალბომში; მაინც ამ მოთხრობების კითხვისას შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მოხვდით მხატვრის სამუშაო ოთახში, სადაც ბევრი დაწყებული და დაუმთავრებელი ტილოა, ხოლო ცოტაა დასრულებული. და არის იმედი, რომ ყოველივე ეს დასრულდება, დიდ ხელოვნებად იქცევა.

**გ. ხუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოტია იოსელიანის საბავშვო მოთხრობები

★

ქართულ საბავშვო პროზას შეემატა ოტია იოსელიანის მოთხრობების წიგნი. ო. იოსელიანი ახალგაზრდა საბავშვო მწერალია. წიგნში მოთავსებულია ოცამდე მცირე ზომის მოთხრობა. ზოგიერთი მათგანის სიუჟეტი მეტად საინტერესო და ორიგინალურია. მწერალი განზრახ არ ართულებს სიუჟეტს, არ ქმნის ყალბ, არაბუნებრივ სიტუაციებს, რომლებსაც შეუძლია მკითხველის განცვიფრება, სენსაციის გამოწვევა.

ო. იოსელიანის მოთხრობების ღირსება ისაა, რომ აქ აღწერილია მწერლისათვის უახლოესი და ნაცნობი გარემო, ბავშვთა ყოფაცხოვრების სურათები, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, მწერლის თხრობა ლაღი და ძალდაუტანებელია, შეზავებულია ხალისიანი ჰუმორით; აგრეთვე თხრობაში აქა-იქ მოხდენილად არის ჩართული ენობრივად კარგად გამართული დიალოგები. მეტ-ნაკლებად ამ ღირსებებით ხასიათდება თითქმის ყველა მოთხრობა. მათ შორის ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია „დროული კაცი“. ამ მოთხრობის სიუჟეტი არც ისე რთულია. მისი შინაარსობრივი ქარგა გაშლილია აღზრდის თემაზე. მთავარი მოქმედი პირი სკოლის დარაჯი ბაბუა ყარამანია, ნამდვილად დროული კაცი, ბევრის მომსწრე და მნახველი. იგი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. მოთხრობაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ რა გადამწყვეტი როლი შეასრულა „დროულმა კაცმა“ ჩამორჩენილი მოსწავლის გამოსწორებაში. ბაბუა ყარამანს შეუმჩნეველი არ დარჩენია პატარა დათოს ცუღლუტობა, სწავლაზე გულის აყრა. იგი ხედავს, რომ დათო ხშირად იგვიანებს გაკვეთილებზე, არ მონაწილეობს სასკოლო მიწის ნაკვეთის დამუშავებაში. მოხუცი წუხს, სულ იმაზე ფიქრობს, როგორ დააყენოს დათო გამოსწორების გზაზე. თავის მხრივ სკოლის ხელმძღვანელობა, მთელი პედკოლექტივი, რომლის მოწოდებას შეადგენს მოზარდის იდეური და ზნეობრივი აღზრდა, ეძებს გზებს, რომ დათო გამოასწოროს, ჩააყენოს მოწინავეთა რიგებში. მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ზრუნვა და ღონისძიება არა ჭრის. დროულმა კაცმა კი გამონახა გზა და გამოსავალი. იგი ასეთ ხერხს მიმართავს: ყოველ დილით ადრე იწყებს შეშის ხერხვას, დათოს გამოჩენისას მოჰყვება წუწუნს, რომ მას შემწრალე არა ჰყავს, რომ უკვე აღარ შეუძლია ასეთი სამძიმო საქმე. დათოში ილვიძებს მოხუცისადმი სიბრალულისა და პატივისცემის გრძნობა. იგი სიტყვას აძლევს მოხუცს, რომ ამიერიდან ადრე მოვა და დახმარებას გაუწევს. დათო მართლაც, ასე იქცევა. იგი თავის სიტყვას საქმედ აქცევს: ყოველ დილით ადრე ცხადდება სკოლაში და შველის მოხუცს შეშის დამზადებაში. ამასობაში დათო ეჩვევა დილით ადრე ადგომას, გაკვეთილებზეც აღარ იგვიანებს, ხოლო ყარამანი შესანიშნავად განაგრძობს თავის საქმიანობას.

მაშასადამე, ის, რაც ვერ შესძლო აღმზრდელთა კოლექტივმა, თავისებური გზით შეძლო და ბრწყინვალედ გააკეთა დიდი გამოცდილების მქონე სკოლის დარაჯმა. ამგვარად, დროული კაცის სახით მწერალმა შექმნა მეტად სიმპათიური ტიპი მოხუცისა, რომელსაც ამოძრავებს მოზარდი თაობისადმი სიყვარულისა და სიკეთის გრძნობა. მაგრამ აქვე არ შეიძლება არ დაგვებადოს კითხვა: რამდენად გაამართლებს მოხუცის მოქმედებას პედაგოგიური მეცნიერება? მართალია, ბაბუა ყარამანის მოქმედების შედეგი დადებითია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ის გზა, რომლითაც იგი მიზანს აღწევს, ემყარება პედაგოგიურად გაუმართლებელ მეთოდს.

ახალგაზრდა მწერალი თავის მოთხრობებში გვიხატავს ბავშვებს სკოლის გარეთ, მათ ურთიერთობას მშობლებთან, ბაბუასთან, თანატოლებთან. იგი დამაჯერებლად აღწერს ცხოველთა სამყაროს, ბავშვების სიყვარულს ზოგიერთი ცხოველისადმი, რომელიც ადამიანს მეგობრობას უწევს.

რა თქმა უნდა, ბავშვებისათვის ფრიად საინტერესოა ცხოველთა სამეფოს შესწავლა და გაცნობა. ამ საკითხის გასაცნობად ძალიან სასარგებლოა მოგზაურობა ანდა ბუნების პეიზაჟებისა და სიმდიდრის აღწერა. ო. იოსელიანს ეხერხება პატარ-პატარა სურათების ცოცხლად, მიმზიდველად დახატვა. მისი წიგნი თითქოს არ საჭიროებს კარგად შესრულებულ მხატვრულ ილუსტრაციებს ტექსტის აზრის გახსნისათვის, ისე ცხოვლადაა გადმოცემული ამბები, მოქმედება და გმირთა ხასიათები. თუმცა ისიც ცნობილია, რომ წიგნი აუცილებლად დასურათებული უნდა იყოს, რადგან „თვალსაჩინოება“ ბავშვის განვითარების საფუძველს შეადგენს. ეს მოთხოვნა მეტ-ნაკლებად ეხება ყველა ჟანრის ნაწარმოებს, მით უფრო, თუ იგი განკუთვნილია მცირეწლოვანთათვის, ანდა სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის.

ო. იოსელიანი ზოგიერთ მოთხრობაში („ღრუჩუნა“, „ასე მოკვდა მურია“, „ნიშო“ და სხვ.) გვიხატავს ბავშვების მრავალფეროვანი ცხოვრების მართალ სურათებს. დაკვირვებული მწერლის თვალი იგრძნობა, მაგალითად, პატარა მოთხრობაში „ღრუჩუნა“. ეს შეიძლება ითქვას,

ო. იოსელიანი. „კარის მეზობლები“. საბლიტგამი. 1957.

ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა მთელს წიგნში. მისმა წაკითხვამ არ შეიძლება აღტაცებაში არ მოიყვანოს არამცთუ პატარა, არამედ მოზრდილი მკითხველიც კი. კარგად არის დაწერილი აგრეთვე მოთხრობა „ასე მოკვდა მურია“. ბავშვისა და ძაღლის მეგობრობის თემა საკმაოდ გავრცელებული იყო კლასიკურ ლიტერატურაში. ო. იოსელიანმა შეძლო ამ თემისთვის მოენახა ახალი ასპექტი, თავისებურად გადაეწყვიტა იგი. ამ მოთხრობაში რელიეფურად ჩანს ბავშვის სიყვარული ცხოველისადმი, ამ უკანასკნელის უსაზღვრო ერთგულება პატრონის მიმართ.

საბავშვო წიგნის მთავარი დანიშნულება მაინც ბავშვის ზნეობრივი აღზრდაა. მოზარდის ჩამოყალიბება ნამდვილ მოქალაქედ, საზოგადოების სრულუფლებიან წევრად მეტად რთული პროცესია; ამ პროცესის სწორად წარმართვა ბევრად არის დამოკიდებული კარგ საბავშვო წიგნზე. ამგვარად, ზრუნვის მთავარი საგანი უნდა იყოს ზნეობა, მკითხველზე დადებითი მორალური ზემოქმედება, მაგრამ მშრალი დარიგება და ჭკუის სწავლება მეტად მოსაწყენია.

ო. იოსელიანი თავის მოთხრობებში არ მიმართავს მოსაწყენ რჩევა-დარიგებას, არამედ უბრალოდ, ძალდაუტანებლად ჰყვება საინტერესო ამბებს, ცხოვრებისეულ მოვლენებს აღიქვამს და აფასებს ბავშვის თვალითა და გონებით. მისი მოთხრობების გმირთა მოსაზრებანი, მოქმედების ხასიათი უმეტეს შემთხვევაში გამომდინარეობს მათივე ასაკიდან, თუმცა მოთხრობაში „რა თქვა კოტემ“ ბავშვი ასაკისათვის შეუფერებელ მოსაზრებულობას იჩენს. ეს მჟღავნდება მის მეტყველებაშიც. მაგალითად, პატარა გოგონა ნანი მის ტოლ-ამხანაგს კოტეს, რომელმაც რვეულზე ფეხი დაუბიჯა, ეუბნება: „წერა მაინც არ იცი და თუ ამ ქუსლს რამდენჯერმე ფანქრით გადაილებ, ხატვას მაინც ისწავლი“ (გვ. 79).

ო. იოსელიანის მოთხრობებში გამოყვანილი ბავშვები არ ჰგვანან ერთმანეთს, თვითეული მათგანი თავისებურად აზროვნებს. განსაკუთრებული და განსხვავებული წარმოდგენისაა საგნებსა და მოვლენებზე. რაც მთავარია, მწერალი წინასწარ შემუშავებული სქემით არ წერს. მის მიერ მოთხრობილ ამბავში დიდაქტიკა შეუმჩნევლად არის შეპარებული, ამიტომ შინაარსი ვითარდება საინტერესოდ, სურათობრივად, და აზრის ამოკითხვაც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

საინტერესოა ამ მხრივ მოთხრობა „თუ კი წაიკითხავ“. მოთხრობის გმირს პატარა მანანას ბიბლიოთეკიდან წიგნი წამოუღია, მაგრამ წაკითხვით კი არ წაუკითხავს. როცა ბიბლიოთეკიდან დაბრუნებულს თანატოლები შეხვდებიან და ჰკითხავენ, თუ რა წაიკითხა, იგი გაუგებარ პასუხს აძლევს ამხანაგებს. ისინი მიხვდნენ, რომ მანანა წიგნის შინაარსს არ იცნობდა. ამ მოთხრობაში მწერალი სრულებით არ ამძიმებს ბავშვის გონებას მოსაწყენი დარიგებით. ავტორი ამბობს, რომ წიგნი ბავშვის მეგობარია და ცხოვრების მეგზური, რომ ამ ტომ კარგია წიგნის კითხვა, მაგრამ ისე ხატავს სურათს, რომ მკითხველი რწმუნდება — უწიგნოდ შორს ვერ წახვალ. აქვე მოხდენილად აგრძნობინებს ავტორი მოზარდს, რომ ტყუილის თქმა ძლიერ ცუდი თვისებაა, უნდა იყო გულწრფელი და გულახდილი. ავტორი თხრობის დასასრულს არ აკეთებს დასკვნას, მკითხველს საშუალებას აძლევს იფიქროს, იაზროვნოს დამოუკიდებლად და თვითონვე გამოიტანოს დასკვნა წაკითხულიდან. ამ მხრივ დადებითად უნდა შეფასდეს მოთხრობა „გამბუზია“. მისი დედააზრი, რომელიც ერთგვარ ზნეობრივ აფორიზმად გაისმის („როცა კაცმა შენი არ იცი, სხვას უნდა ჰკითხო“), თვალსაჩინო კონკრეტულ სახეებშია გახსნილი.

საყურადღებოა, რომ ახალგაზრდა მწერალი თავის მოთხრობებში უფრო მეტად დადებით ბავშვებს ხატავს, მაგრამ ამასთანავე იგი არ ივიწყებს ცუდი ყოფაქცევის ბავშვებსაც, სასტიკად ჰკიცხავს მათ. მოთხრობაში „წამხედურა“ მწერალს გამოჰყავს ბავშვი, რომელიც ყველაფერს სხვისი წამხედურობით და ჯიბრის გრძნობით აკეთებს. ასეთია, მაგალითად, პატარა თენგიზი, რომელსაც ამხანაგის წარმატება შურს, რაც იქცევა დაბრკოლებად მათ შორის მეგობრობის გრძნობის განსამტკიცებლად. ამ მოთხრობით მწერალი ასწავლის ბავშვს, რომ წამხედურობა და ჯიბრი ცუდი თვისებებია.

უარყოფითი ბავშვები გამოყვანილია აგრეთვე მოთხრობებში „სტუმარი“ და „სახელგატეხილი“. პირველში ნუგზარის სახით ჩვენ ვეცნობით თავხედ, უქნარა და ჯიუტ ბავშვს. იგი ხშირად არღვევს ქუჩაში მოძრაობის წესებს, ხტება ტრამვაიდან და ამას ვაჟკაცობად თვლის. როცა სოფელში ჩამოდის, მედიდურად უყურებს სოფლის ბავშვებს, ტოლ-ამხანაგებს, რომლებიც საკოლმეურნეო შრომაში ხალისით მონაწილეობენ.

მწერალი გალაშქრით გმობს ნუგზარის საქციელს, აქვე აფრთხილებს ნორჩ მკითხველს, რომ სახელს თავიდანვე უნდა გაუფრთხილდე, თორემ თუ ერთხელ გაგიტყდა, მერე სიმართლესაც არავინ დაგიჯერებს. მოთხრობის ფინალში კარგად არის ნათქვამი: „ერთხელ სახელის გატეხას კი არა, ოდნავ გაბზარვასაც ცხრაჯერ თავის გატეხა სჯობია და ცხრაჯერვე, თუ გნებავთ, შურდულით ან დამძვრალი ნაჯახის ყუით“ (გვ. 31).

წიგნს საერთო სათაურად აქვს — „კარის მეზობლები“. მართლაც, თითქმის ყველა მოთხრობის გმირები კარის მეზობლები არიან: ისინი არა მხოლოდ ერთმანეთის გვერდით

ცხოვრობენ, არამედ ერთიანი აზრითა და სულისკვეთებითაც არიან გამსჭვალული.

ო. იოსელიანი წერს კარგი ქართულით, დახვეწილი ენით. მისი წერის სტილი ნათელი და გამჭვირვალეა, თხრობის მანერა მსუბუქია და სილაღით სავსე.

ო. იოსელიანის მოთხრობებში შეიძლება ვიპოვოთ ცალკეული შეუსაბამო თქმები, როგორც, მაგალითად, „მეხსიერება გადმოვაქოთე“, „კუდის რიკამდე ჩაჰყვება“, და სხვ., [illegible] მცირეოდენი ენობრივი ლაფსუსები[illegible] მთლიანად წიგნი დადებით შეფასებას იმსახურებს. მისი ავტორის სახით ახალგაზრდა მკითხველებს ნიჭიერი საბავშვო მწერალი ჰყავთ.

**მარიამ ხვედელიძე.**

---

## წიგნი საბჭოთა ოჯახისა და საოჯახო სამართლის შესახებ

★

ს. ჯორბენაძის შრომა „საბჭოთა საოჯახო სამართალი“ დამხმარე სახელმძღვანელოდაა გათვალისწინებული, მაგრამ მას, ამავე დროს, პრაქტიკულ-მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

ავტორის მიერ წიგნში გამოთქმული ზოგიერთი თეორიულ-პრაქტიკული მოსაზრება საყურადღებო და გასათვალისწინებელია ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიმდინარე საკოდიფიკაციო მუშაობის პროცესში საოჯახო სამართლის ნორმების დადგენისას.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე ავტორი ოჯახს განიხილავს, როგორც ისტორიულ კატეგორიას, რომლის არსი და ფორმები შესწავლილი უნდა იქნეს კონკრეტული-ისტორიული თვალსაზრისით, გარკვეული სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის ფონზე და მისგან განპირობებულად.

სარეცენზიო შრომაში განვითარებულ თეორიულ მოსაზრებათა მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ წარმოების განვითარების გარკვეულ საფეხურს შეესაბამება საზოგადოებრივი წყობილების გარკვეული ფორმა, ოჯახის, კლასთა შესატყვისი ორგანიზაცია.

წიგნში სავსებით სწორადაა აღნიშნული, რომ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომ ოჯახის წევრები დაკავშირებული არიან არა მარტო ერთმანეთთან, არამედ ადამიანთა იმ საზოგადოებასთან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ გარკვეული წარმოებითი ურთიერთობით.

ნაშრომში გაშუქებულია მონათმფლობელური, ფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოებათა ოჯახის სოციალური არსი. დახასიათებულია კაპიტალიზმის დროს ქალის უფლებრივი მდგომარეობა.

მარქსიზმის ფუძემდებლები „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მიუთითებენ, რომ ბურჟუაზიულმა წყობამ, სადაც კი გაბატონებას მიაღწია, არ დატოვა არავითარი სხვა კავშირი ადამიანებს შორის, გარდა გაშიშვლებული ინტერესისა, რომ ბურჟუაზიამ პიროვნების პირადი ღირსება საცვლელ ღირებულებად გადააქცია და ოჯახური ურთიერთობანი მარტოოდენ ფულად ურთიერთობაზე დაიყვანა. ქორწინება, რომელიც საოჯახო ურთიერთობათა საფუძველია, მისგან გამომდინარე ყოველგვარი იურიდიული შედეგებით, კაპიტალიზმის პირობებში საქონელგაცვლის ხელშეკრულების ერთ-ერთი სახეა და ამიტომაც, როგორც სამართლიანად შენიშნავს წიგნის ავტორი, ბურჟუაზიულ სამართალში ქორწინება სახელშეკრულებო ურთიერთობათა სფეროს მიეკუთვნება.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში მარტოოდენ ბურჟუაზიული ოჯახი როდი არსებობს. პარალელურად ბურჟუაზიულისა არსებობს და ვითარდება აგრეთვე პროლეტარული ოჯახი. იგი არსობრივად და პრინციპულად ეწინააღმდეგება ბურჟუაზიულ ოჯახს.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პროლეტარული ოჯახი წარმოადგენს ახალ, პროგრესულ ძალას, რომელიც მოწოდებულია, შექმნას მომავალი სოციალისტური ოჯახის საფუძვლები. ამიტომ ავტორი სწორად შენიშნავს, რომ კაპიტალიზმის დროს პროლეტარული ოჯახი ის უჯრედია, რომელშიც ახალი კლასის, როგორც საზოგადოების არსებითად გარდამქმნელი კლასის, ყველა ჯანსაღი ნიშანი მოჩანს.

საბჭოთა ოჯახი უმაღლესი სოციალისტური ტიპის ოჯახია. მასში, როგორც ავტორი აღნიშნავს, ყოველმხრივ და ნათლად ჩანს პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების ჰარმონიული შეთავსება, მათი ერთიანობა, სადაც მეუღლეთა დამოკიდებულება დაფუძნებულია ურთიერთ

პატივისცემაზე, დახმარებასა და თანასწორობაზე, რაც ჯამში თაობათა კომუნისტური აღზრდის ინტერესებს ემსახურება.

ნაშრომში გაშუქებულია მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საოჯახოუფლებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი კანონმდებლობის განვითარება. კერძოდ, მოცემულია დახასიათება სოციალისტური სახელმწიფოს პირველი კოდექსის — რსფსრ-ს 1918 წლის საქორწინო-საოჯახო კანონთა კოდექსისა, რომელსაც ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოკავშირე რესპუბლიკების საოჯახო კანონმდებლობის შემუშავებისა და განვითარების საქმეში. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება საოჯახო სამართლის ინსტიტუტების განვითარების საკითხს საქართველოს სს რესპუბლიკაში.

შრომაში ფართოდაა გაშუქებული სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საოჯახო კანონმდებლობა, რაც წიგნის ფრიად დადებით მხარეს წარმოადგენს.

ავტორი გამოთქვამს ზოგიერთ საყურადღებო და ორიგინალურ მოსაზრებას. მაგალითად, საყურადღებოა ავტორის აზრი იმის შესახებ, რომ დღესდღეობით არსებული წესის წინააღმდეგ, რომლითაც აკრძალული არ არის დაქორწინება ბიძაშვილებს შორის, მომავალმა საოჯახო კანონმდებლობამ გაითვალისწინოს ქორწინების აკრძალვა ნათესავების უფრო მეტ ხარისხებში (გვ. 181). ამასთან, ვფიქრობთ, რომ ავტორს ეს კარგი მოსაზრება უნდა დაესაბუთებინა არა მარტო იმით, რომ აღნიშნული შეხედულება საბჭოთა ადამიანების მორალურ წარმოდგენებს შეესიტყვება. მას, ამავე დროს, უნდა მიემართა მეცნიერების სხვა რომელიმე სპეციალური დარგისათვის და აეხსნა, ახდენს თუ არა რაიმე უარყოფითს გავლენას მოდგმის ნორმალურ განვითარებაზე ბიძაშვილების, დეიდაშვილების, ან ამგვარი სისხლით ახლო ნათესავების ერთმანეთთან სქესობრივი კავშირი.

საგულისხმოა, აგრეთვე, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბელორუსიისა და საქართველოს რესპუბლიკების კოდექსებით გათვალისწინებული წესი — მეურვის მეურვეობაში მყოფთა, ანდა შვილად ამყვანის შვილად აყვანილთან დაქორწინების აკრძალვა გადაიქცეს საერთო საკავშირო მნიშვნელობის წესად (ნორმად) და იგი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მიერ შეტანილი იქნეს მათს კანონმდებლობაში, როგორც კომუნისტური მორალის პრინციპებიდან გამომდინარე მოთხოვნა (გვ. 182).

მართებულად მიგვაჩნია ავტორის მიერ წიგნის 229-ე გვერდზე გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ცოლ-ქმარს შორის მომხდარი ნიუქების ხელშეკრულებისათვის წერილობითი ფორმის გამოყენება ეწინააღმდეგება ცოლქმრული ნდობისა და ურთიერთ პატივისცემის პრინციპებს. ჩვენი აზრით, აღნიშნულმა შეხედულებამ გავრცელება უნდა პოვოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში გარიგების ურთიერთობათა სხვა სახეებზეც.

მნიშვნელოვანია წიგნში ქორწინების აღდგენის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხის დაყენება.

არსებული წესის მიხედვით ქორწინება შეწყვეტილად ითვლება არა განქორწინების შესახებ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, არამედ მას შემდეგ, როდესაც მხარეები მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში სათანადო ფულად თანხას გადაიხდიან და სასამართლო გადაწყვეტილებას რეგისტრაციაში გაატარებენ. მაგრამ არის შემთხვევები, როცა სასამართლო აქტის მიღების შემდგომ, მხარეები ფაქტიურად არ სწყვეტენ საქორწინო ურთიერთობას და ამიტომ, სასამართლო გადაწყვეტილებას რეგისტრაციაში არ ატარებენ. ზოგჯერ განქორწინებული მეუღლეები აღადგენენ კიდეც ქორწინებას. ხოლო თუ გადაწყვეტილება მათი განქორწინების შესახებ არ ყოფილა გაფორმებული მმაჩის ორგანოში. მათ საქორწინო რეგისტრაციაში ხელახლა გატარება არ ესაჭიროებათ. აღნიშნული შემთხვევის უფლებრივი რეგულირება რაიმე უშუალო ნორმით ჩვენს კანონმდებლობაში გათვალისწინებული არ არის. ამიტომ ორიგინალურია ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მომავალმა საქორწინო კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ქორწინების აღდგენის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხი, როცა ასეთი აღდგენა ხელახლა საქორწინო რეგისტრაციას არ ექვემდებარება. (გვ. 214) ამ შეხედულების მნიშვნელობა მდგომარეობს მასში, რომ ჩვენის აზრით მომავალი კანონმდებლობით ქორწინება ჩათვლილი უნდა იქნას შეწყვეტილად სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის და არა გადაწყვეტილების რეგისტრაციის დროიდან, რამდენადაც მმაჩ-ის ორგანო განქორწინების სფეროში სრულიადაც არ ქმნის მხარეთათვის რაიმე უფლებრივ ვალდებულებებს. მმაჩ-ის ორგანოებს ევალებათ მხოლოდ ტექნიკური მოქმედების შესრულება გადაწყვეტილების გაფორმების თვალსაზრისით. საკითხის იურიდიული მხარე კი, რომელიც განქორწინების სუბიექტების უფლებრივ ვალდებულებებზე მიუთითებს გადაწყვეტილია სასამართლო აქტში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ჩვენ უგულვებელვყოფთ მმაჩ-ის ორგანოს მნიშვნელობას რამდენადაც განქორწინების სფეროში მის დანიშნულებას მხოლოდ ტექნიკურ მოვალეობის შესრულებაში ხედავს. მაგრამ ეს არ იქნებოდა მართებული. ჩვენ მმაჩ-ს ვთვლით ისეთ სახელმწიფო დაწესებულებად, რომელიც განქორწინებისას მხარეთათვის კი არ ქმნის რაიმე ვალდებულებებს, არამედ პირთა მიერ უკვე გამომჟღავნებულ და გადაწყვეტილებაში

გამოხატულ ნების დოკუმენტალურ გაფორმებას ახდენს სასამართლო აქტის საფუძველზე. ამდენად, ჩვენის აზრით განქორწინების მოწმობა არ არის ნორმატიული აქტი. იგი მხოლოდ იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი საბუთია. ამიტომაცაა, რომ კანონმდებელმა მმაჩ-ის ორგანოს, მხოლოდ განქორწინების ფაქტის რეგისტრაცია დააკისრა, ხოლო სასამართლოს კი საქორწინო ურთიერთობათა რეგულირება მიანდო.

ამასთან დაკავშირებით უნდა ავღნიშნოთ, რომ შრომაში თითქმის არაფერი არ არის ნათქვამი ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტზე, როგორიც მმაჩ-ის ორგანოა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით, იგი საქორწინო საოჯახო კოდექსის რეგულირების საგანს შეადგენს. ამიტომ, ავტორს მართებდა სპეციალურად შეჩერებულიყო ამ საკითხზე და გაერკვია მმაჩ-ის ორგანოების როლი და ადგილი სახელმწიფო დაწესებულებათა სისტემაში.

წიგნში განხილულია სამართლის მეცნიერების ზოგადი მნიშვნელობის ისეთი თეორიული საკითხები, როგორიცაა საბჭოთა საოჯახო სამართლის წყაროები; საოჯახო კანონების მოქმედება სივრცესა და დროში, მისი ახსნა-განმარტება და შეფარდება; საოჯახო კანონმდებლობის თანაფარდობა სოციალისტური თანაცხოვრების წესებთან — საბჭოთა მორალის ნორმებთან, საოჯახო ურთიერთობის რეგულირების პროცესში.

საფუძვლიანად არის განხილული ჩვენი სახელმწიფოს როლი დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეში და დახასიათებულია ის ღონისძიებები, რომლებსაც იგი ამ სფეროში ახორციელებს.

წიგნში დაყენებულია თეორიული მნიშვნელობის ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი აზრით, შენიშვნას იწვევს.

მაგალითად, ავტორი წერს: „არ შეიძლება სქოლასტიკურად იხილებოდეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი კატეგორიაა ოჯახი ბაზისური თუ ზედნაშენური. ოჯახი — ეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ურთიერთობაა. მისი ფიზიოლოგიური მხარე ემიჯნება იმ მოვლენებს, რომლებიც აპირობებენ მოსახლეობის ზრდას, რაც მატერიალური წარმოების ნაწილია. ოჯახის სამეურნეო, ქონებრივი მხარე მჭიდროდაა დაკავშირებული ბაზისთან, მაგრამ მას არ ემთხვევა, ბაზისში სრულად არ ითქვიფება. ხოლო ოჯახის იდეოლოგიური მხარე, მაშასადამე სამართლებრივიც დაკავშირებულია ზედნაშენთან და მისი ნაწილია“ (გვ. 10).

ამრიგად, ს. ჯორბენაძის აზრით, ოჯახი წარმოადგენს შუალედურ მოვლენას, რომელიც არც ერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება და, უფრო მეტიც, ავტორის შენიშვნით, ოჯახის „ზედნაშენურ კატეგორიად წარმოდგენა შეცდომა იქნებოდა“ (გვ. 8). აღნიშნული დასკვნა ჯორბენაძეს გამოაქვს იქიდან, რომ ოჯახი, როგორც რთული სოციალური მოვლენა, თავისი სამეურნეო ქონებრივი მხარით მჭიდროდაა დაკავშირებული ბაზისთან, ხოლო იდეოლოგიური მხარით ზედნაშენთანაა დაკავშირებული. მაგრამ იმის გამო, რომ ოჯახს სამეურნეო და იდეოლოგიური მხარე აქვს და, ამდენად, ბაზისთანაც და ზედნაშენთანაა დაკავშირებული, ჩვენი აზრით მისი განსაზღვრა რაღაც შუალედური მოვლენად არ იქნებოდა სწორი. ცნობილია, რომ ზედნაშენის სისტემის ყველა შემადგენელი ელემენტი ბაზისთანაა დაკავშირებული, მაგრამ ისინი მაინც ზედნაშენური კატეგორიებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ უნდა იქნეს გაგებული ისტორიული მატერიალიზმის დებულება, რომ წარმოების ესა თუ ის წესი, რომელიც გარკვეულ ბაზისს წარმოადგენს, განპირობებულია ამ კონკრეტულ ბაზისზე წარმოშობილი საზოგაოების ფიზიანომიისა და თვით ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ოჯახის ფორმითაც? ოჯახის ზედნაშენური მნიშვნელობის უარყოფა, ჩვენი აზრით, წინააღმდეგობაში ჩააყენებდა წიგნის ავტორს თავისივე სწორ მოსაზრებასთან, რომ „საოჯახო ურთიერთობაში მისი მატერიალური წარმოებითი მხარისათვის ხაზის გასმა სრულიადაც **არ უარყოფს და არ ამცირებს ისეთი ზედნაშენური მოვლენების უდიდეს მნიშვნელობას, როგორიც არის საქორწინო-საოჯახო სამართალი,** კომუნისტური მორალის, კომუნისტური იდეოლოგიის პრინციპები, რომლებიც საბოლოო ანგარიშით წარმოების **ურთიერთობათა ერთობლიობით არიან განსაზღვრული**“ (გვ. 9. ხაზი ჩვენია — ზ. რ.).

სამართალი, რომელიც ადამიანთა ქცევის წესების ერთობლიობაა, პირთა შორის უფლებრივ ურთიერთობას არეგულირებს. სამართალი ადამიანის გონებაშია გავლილი და გააზრებული და, ამდენად, იგი, ვ. ი. ლენინის გამოთქმით, იდეოლოგიურ ურთიერთობის სახეს წარმოადგენს. მაშასადამე, ზედნაშენ კატეგორიასაც. ამიტომ, საოჯახო სამართალი, რომელიც ოჯახში წარმოშობილ დამოკიდებულებებს ასახავს და არეგულირებს, შეუძლებელია მივაკუთვნოთ ზედნაშენის სისტემას, თუ თავისთავად ოჯახს გამოვთიშავთ ზედნაშენის სისტემას. ავტორის სიტყვით ოჯახის წევრები დაკავშირებული არიან არა მარტო ერთმანეთთან, არამედ საზოგადოებასთანაც წარმოებითი ურთიერთობით. მაშასადამე, საოჯახო ურთიერთობა საზოგადოებრივი ხასიათისაა. ამიტომ, ჩვენი აზრით, ოჯახის ცნება მასში არსებულ ურთიერთობებში მდგომარეობს. ამდენად, ვფიქრობთ, წარმოებითს ურთიერთობაზე დაფუძნებული ურთიერთობანი ზედნაშენის სისტემას უნდა მიეკუთნოს.

ვფიქრობთ, მარქსის მითითება იმის შესახებ, რომ „კაპიტალისტური სისტემის დროს... მსხვილი მრეწველობა, რომელიც გადამწყვეტ როლს

აკუთვნებს ქალებს, მოზარდებს, და ორივე სქესის ბავშვებს ოჯახის ფარგლებს გარეთ, **წარმოების საზოგადოებრივად ორგანიზებულ პროცესებში, ახალ ეკონომიურ საფუძველს ქმნის ოჯახისა და ორივე სქესს შორის ურთიერთობის უფრო მაღალი ფორმისათვის“** ოჯახის ზედნაშენურ ხასიათზე და მნიშვნელობაზე ლაპარაკობს.

ავტორის მიერ მოყვანილი დებულება ვ. ი. ლენინისა იმის შესახებ, რომ ბავშვთა წარმოების ურთიერთობანი არ შეიძლება მიკუთვნებულ იქნენ იდეოლოგიურ ურთიერთობათა რიცხვს (ტომი I, გვ. 165) ეხება არა ოჯახის საზოგადოებრივ მხარეს, არამედ მის ბიოლოგიურ ანუ ადამიანთა წარმოების მხარეს.

ბიოლოგიური მომენტი არ შეადგენს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტორს საოჯახო ურთიერთობაში, რადგან იგი მარტო ადამიანთა მდგომარეობისათვის არ არის დამახასიათებელი. ოჯახის სოციალურ დანიშნულებაში მთავარი და წამყვანია საზოგადოებრივი მომენტი. ამიტომაც იყო, რომ ფ. ენგელსი დაუშვებლად თვლიდა რაიმე პარალელის გავლებას ცხოველთა ოჯახის ფორმებსა და თვით პირველყოფილ ადამიანთა ოჯახის ფორმებს შორისაც.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: ახასიათებს რა ოჯახის ისტორიულ ტიპებს და ფორმებს, ავტორი ოჯახს განიხილავს უმთავრესად და განსაკუთრებით — კი ექსპლოატატორულ საზოგადოების პირობებში თითქმის მარტოოდენ ცოლქმრული დამოკიდებულების და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით. ავტორს კი მართებდა ერთდროულად ოჯახის საზოგადოებრივ მხარეზეც მიექცია ყურადღება, რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ოჯახის საკითხი სრულიადაც არ არის მხოლოდ მეუღლეთა კერძო ურთიერთობის საქმე, იგი ღრმა მნიშვნელობის სოციალურ საკითხს წარმოადგენს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორს მართებდა უფრო სრულყოფილად გაეშუქებინა კომუნისტური პარტიის ბრძოლა ფემინისტური გადახრების წინააღმდეგ და ეჩვენებინა, რაში მდგომარეობდა ამ გადახრების შინაარსი.

სადავოდ მიგვაჩნია ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ განქორწინების საქმის გადატანა მეორე სტადიაზე (ე. ი. სახალხო სასამართლოდან უმაღლეს სასამართლოში) მარტო იმ მეუღლეს შეუძლია, რომელმაც სახალხო სასამართლოში შეიტანა განცხადება განქორწინების შესახებ. ეს საკითხი მარტო პროცესუალური მნიშვნელობის საკითხი არაა. იგი პირველ რიგში ურთიერთობის უფლებრივი მხარეა და, ამდენად, ჩვენი აზრით, პირველ ინსტანციაში წარმოებული საქმის მონაწილე პირებს, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ შეიტანა განცხადება სახალხო სასამართლოში, სარჩელის ზემდგომ ინსტანციაში გადატანის თანაბარი უფლება უნდა ჰქონდეთ. ერთი მხარის მიერ განცხადების შეტანა არ გამორიცხავს მეორე პირის განქორწინების სურვილს. ამიტომ, მეორე ინსტანციაში სარჩელის გადატანის უფლების მხოლოდ განცხადების შემტანი პირისათვის დატოვება მეორე პირს მოუსპობდა განქორწინების საშუალებას ახალი სარჩელის გარეშე, რაც, ვფიქრობთ, არ იქნებოდა სწორი.

აღნიშნული შენიშვნები არ ამცირებენ სარეცენზიო წიგნის მნიშვნელობასა და ღირსებას. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ინიციატივას გამოიჩენს და მოცემული ნაშრომის რუსულ ენაზე გამოცემის საკითხს დააყენებს სახელმწიფო იურიდიული გამომცემლობის წინაშე.

**ზურაბ რატიანი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

★

### ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ"

**ხუტა ბერულავა** — ჩინეთის მზე. რედ. ელ. უბილავა, გვ. 48, ფასი 45 კაპ.

**ფუცუ დგებუაძე-ფულარია** — ოქროს ბეჭედი. რედ. ელ. უბილავა, გვ. 554, ფასი 11 მან. 25 კაპ.

**ვლადიმერ გელაშვილი** — რაიკომის ინსტრუქტორი. რედ. მ. კორძახია, გვ. 60, ფასი 80 კაპ.

**ჯუმბერ ჭუმბურიძე** — ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან. რედ. რ. ორჯონიკიძე, გვ. 362, ფასი 10 მან. 25 კაპ.

**სერგო ხარაზიშვილი** — მთებსა და ტრამალებში, რედ. ბორის მირცხულავა, გვ. 100, ფასი 90 კაპ.

**თავისუფლების მომღერლები** — სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პოეტები. თარგმანი გრ. აბაშიძისა, რედ. ბ. მირცხულავა, გვ. 290, ფასი 7 მან.

**მირზო ტურსუნ ზადე** — რჩეული, თარგმანი ტაჯიკურიდან მ. თოდუასი, რედ. ვ. ჯავახაძე. გვ. 130, ფასი 4 მან. 60 კაპ.

**სოფოკლე** — ოიდიპოს მეფე. თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა, რედ. სიმონ ყაუხჩიშვილი, გვ. 66, ფასი 1 მან. 40 კაპ.

**ა. ი. კუპრინი** — ორთა ბრძოლა. თარგმანი პლ. ბებიასი, რედ. არჩილ დავითიანი, გვ. 290, ფასი 5 მან.

**ა. აირაპეტიანი** — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო სომხური თეატრის ისტორია. (სომხურ ენაზე) რედ. საak მანველიანი, გვ. 150, ფასი 10 მან. 20 კაპ.

**გ. სიხარულიძე** — გლეხთა რევოლუციური მოძრაობა გურიაში 1900 — 1905 წწ. რედ. კ. ჯოხიძე, გვ. 208, ფასი 4 მან.

**ა. კოჭლავაშვილი** — ა. წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი. რედ. პროფ. შ. ჩხეტია, გვ. 292, ფასი 10 მან. 50 კაპ.

**ლ. ხვატი** — იდუმალი კონტინენტი. თარგმანი ე. ბახუტაშვილისა, რედ. დ. სალუქვაძე. გვ. 324, ფასი 8 მან. 25 კაპ.

### ᲡᲐᲑᲚᲘᲢᲒᲐᲛᲘ

**ამბავი იგორის ლაშქრობისა** — თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა, რედ. ვ. ბეწუკელი, გვ. 50, ფასი 4 მან. 80 კაპ.

**ნიკოლოზ ჩაჩავა** — იყო ერთი ბეკეკა. რედ. მ. ჭავჭანიძე, გვ. 20, ფასი 3 მან. 10 კაპ.

**მედეა კახიძე** — ჯიუტი ჩიტები. რედ. ქ. ქუჩუკაშვილი, გვ. 52, ფასი 3 მან. 80 კაპ.

**ნელი ოქროპირიძე** — ექიმი ფხუნელა. რედ. ვ. ბაიაძე, გვ. 116, ფასი 3 მან 80 კაპ.

**ალ. მირიანაშვილი** — იგავ-არაკები. რედ. ნ. კალანდარიშვილი, გვ. 72, ფასი 2 მან. 10 კაპ.

**ალექსანდრე დიუმა** — გრაფი მონტე-კრისტო. წიგნი V — VI, თარგმანი ფრანგულიდან თამარ საჯაიასი, გვ. 486, ფასი 18 მან.

**კონან დოილი** — დაკარგული ქვეყანა. თარგმანი მირანდა ფალავანდიშვილი-გამსახურდიასი, რედ. ვ. ჭელიძე, გვ. 234, ფასი 3 მან. 30 კაპ.

**ტ. გრიცი** — ერმაკი. თარგმანი ზეინაბ გოშაძისა, რედ. ვ. ძიძიგური. გვ. 76, ფასი 2 მან. 50 კაპ.

ფასი 8 მ.

б 178/187

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕЛО»